14
979

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ISSN 0132-599X

# მნათობი

114

74

5

1979

# მნათობი

ყოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 56-ე | № 5 | მაისი, 1979 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

## შინაარსი

კოლაუ ნადირაძე — ლექსები . . . . . . . . . . . . . . 3
ოტია იოსელიანი — შავი და ცისფერი მდინარე. რომანი. წიგნი მეორე. გაგრძელება 5
გიორგი გიგაური — ლექსები . . . . . . . . . . . . . 58
ვასილ გვეტაძე — ლექსები . . . . . . . . . . . . . . 60
გურამ კაკანაძე — მოთხრობები . . . . . . . . . . . . 62
გივი ალხაზიშვილი — ლექსები . . . . . . . . . . . . 75
ჯარჯი ფხოველი — ლექსები . . . . . . . . . . . . . 78
ჯანრი გოგეშვილი — ვალი. მოთხრობა . . . . . . . . . 83
იმედა არაბული — ლექსები . . . . . . . . . . . . . 90
მიხეილ ჩაჩუა — ლექსები . . . . . . . . . . . . . . 91
ნოდარ ჯალაღონია — ლექსები . . . . . . . . . . . . 93
სილოვან ნარიმანიძე — ლექსები . . . . . . . . . . . 96
ანატოლი ჟაჟიევი — ჩიფა და ძიბილი. მოთხრობა. თარგმნა ოსურიდან მერი ცხოვრებოვამ . . . . . . . . . . . . . . 100
ხაყანი შირვანელი — ლექსები. თარგმნა მაგალი თოდუამ . . . . . . 129

### კრიტიკა და პუბლიცისტიკა

გურამ გვერდწითელი — „უსიყვარულოდ არ არსებობს". . . . . . . 132
ნიკო გოგოჭური — ვაჟა-ფშაველას პოეტურ სამყაროში . . . . . 142
ამირან ჩხარტიშვილი — პოეზია პორტრეტსა და პეიზაჟში . . . . . 145
ნოდარ ლომოური — ნოქალაქევისა და ციხე-გოჯის იგივეობის თაობაზე . . 151
ეთერ ქიტიაშვილი — უცნობი თქმულება თამარზე . . . . . . 161

### ჩვენი იუბილარები

ლავროსი კალანდაძე — ბორგვა პოეტისა . . . . . . . . . 163
ვლადიმერ მაჭავარიანი — ერის მგოსანი . . . . . . . . . 166
ალექსანდრე კალანდაძე — ლექსის ერთგულება . . . . . . . . 167
ზურაბ ჭუმბურიძე — შალვა ალხაზიშვილი . . . . . . . . . 172

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## წიგნების მიმოხილვა

მიროდ ხერგიანი — ლამაზად გაქვეყნებული სიტყვები . . . . . . 176
გ. ნადარეიშვილი, ო. კაციტაძე — რუის-ურბნისის ძეგლისწერა . . . . . 181
ლაურა სორდია — წიგნი ლეო ქიაჩელის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე . . 185
შალვა გოზალიშვილი — ილია და სამართლიანობა . . . . . . 187
გიორგი ნატროშვილი — რომანი ბრძენ დიონისეზე . . . . . . 189

მთავარი რედაქტორი გიორგი ნატროშვილი

სარედაქციო კოლეგია:

გრ. აბაშიძე, ი. აბაშიძე, რ. ამაშუკელი (მთ. რედ. მოადგილე), ხ. ბერულავა, ო. ბიბინეიშვილი, კ. კალაძე, მ. ლებანიძე, ლ. მრელაშვილი, ა. სულაკაური, ა. ქუთათელი, ხ. შანშიაშვილი, დ. შენგელაია, ნ. წულეისკირი, ვ. წულუკიძე, ო. ჭილაძე, გ. ხარანაული, რ. ჯაფარიძე, გ. ჯიბლაძე.

ტექრედაქტორი რ. ჩაკვეტაძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 12.

ტელეფონები: რედაქტორის — 93-55-11.
პ/მგ. მდივნის — 93-55-13, განყოფილებების — 93-55-15, 93-55-17, 93-55-20.

გადაეცა ასაწყობად 6/IV-79 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 23/V-79 წ., ანაწყობის ზომა $7^1/_4 \times 12$, ქაღალდის ფორმატი $70 \times 108^1/_{16}$, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 12, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 13, სააღრ.-საგამომცემლო თაბახი 16,58.
უე 08230. ტირაჟი 15.250. შეკვ. 1066.
საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

© საქ. ცკ-ის გამომცემლობა, 1979.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კოლაუ ნადირაძე

# ფრესკები

I

ჩაფხუტს იხურავდნენ,
ტანს ჯაჭვის პერანგით,
ჯავშანით მოსავდნენ,
სატევარ იარაღს —
შუბსა და მახვილს —
გულდასმით ლესავდნენ,
მზად ჰყავდათ
სალაშქროდ კაზმული ცხენებიც;
დინჯი ვაჟკაცები
ქვეყნის დასაცავად
ომში მიდიოდნენ
და უკან რჩებოდათ:
დედების, დების და ცოლების
მათდამი მთრთოლვარედ
გაწვდილი ხელები...
რჩებოდათ
დედების, დების და ცოლების
ფარული დარდები,
ფარული ცრემლები.

II

ჩნდებოდა ლოდინი —
იმედი გულისა
კვლავ მათი
შინ მოსვლის
მხნედ დაბრუნებისა!
და ისევ იმედი,
სანატრელ წამისა:
მათი შინ შემოსვლის,
კვლავ მათი ნახვისა!
წამები, წუთები,
უძილო ღამისა!
რწმენა და იმედი
ეჭვით ხელუხლები,
ხატის წინ
მორჩილად
მოხრილი მუხლები!
ჯადო, შელოცვანი,
მსხვერპლთა შეწირვები!
კვირა დღით
ტაძარში
ღვთისმშობლის წინაშე
დგომა
და ვედრებით
მოსმენა წირვების!

III

ვაჟებმა მანძილი
დიდი გადალახეს,
მტრებს შურისძიების
ძალა დაანახეს!
ომით და ბრძოლებით
გული მოიჯერეს,
მტრებს კვლავ რაინდული
გმირობა უჩვენეს...
მტრის სისხლით
მონამეს.
მინდვრები, გორები,
მტრის სისხლის
დასტოვეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრამალზე ტბორები!
მაგრამ დაეცნენ
მაინც საბრალისადა
იმსხვერპლა გმირები
სიმრავლემ ძალისა!
დახოცეს ვაჟები,
და მათი ცხენებიც,
და შემდეგ მგლებისა,
ტურების ღმუილმა,
სვავთა და ყორნების
შემზარავ ჩხავილმა
აიკლო ტრამალი,
აიკლო ჯელები!

IV

დღე დღეს მიჰყვებოდა,
თვეები — თვეებს,
დღეები,
თვეები
იზრდება წლებად!
არავინ ბრუნდება!
არავინ ჩნდება!
იმედის შუქი
ნელინელ ქრება!
ალარვის ახარებს
შემოსვლა მაისის,
ცისკრის გაბრწყინება,
ალერსი აისის!

მხოლოდ ეკლესიის,
სოფლის ეკლესიის,
მწუხრის ჟამს
ზარის ხმა,
მწუხრის ჟამს
ზარის ხმა,
გლოვის ხმად
გაისმის!..

V

სოფლად კი,
დედების ხელით
შენახული,
(შვილთა მოსაგონად,
და მარად სახსოვრად)
კედლებზე ეკიდათ
საბავშვო შვილდ-ისარი,
სულ მოკლე, პატარა,
ნახმარი შარვალი,
ყვითელი მესტები,
წუღებს მორგებული,
საბავშვო ფარ-ხმალიც...
ზემოთ კი ჩანდა —
ჯვრებით მოჭარგული,
ხშირ გამზეურებით
ფერებდაკარგული,
ქართული ანბანით
პატარა ჩანთა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოტია იოსელიანი

# შავი და ცისფერი მდინარე

რომანი

წიგნი მეორე

## ნაწილი პირველი

ბესოსთვის გამოგზავნილ წერილებში გამოკრთებოდა გუგუტა. უთუოდ ძმის წერილებს ფოთოლა დეიდაშვილის უმეთვალყურეოდ აგზავნიდა. იქაც, ერთადერთი, რაც ბაკურის სათავისოდ უნდა მიეჩნია, იყო „მოგიკითხავთ თქვენზე დარდით გულდათუთქულმა გუგუტამ“.

მაგრამ ბაკური დედის, მამის, ბიძის, ბიძაშვილების, თვით ფოთოლას წერილების შეწყვეტას ისე არ შეუშფოთებია, როგორც შავი ცხენის პატრონის — ყაფლან გასვიანის დუმილმა ააფორიაქა. კვირა ერთი იყო და ყაფლანისაგან ორი-სამი წერილი მაინც მოდიოდა. ჯერ სიბერეში წერა-კითხვის ნასწავლი უბირი კაცის ხელნაწერის გარჩევა არ გინდოდა? და მერე ერთხელ, ქართაში, ლობის გადაღმიდან თვალმოკრული ცხენის თაობაზე უნდა გეპასუხა, როცა პატრონს მისი ყოველდღიური ამბავიც კი უნდოდა სცოდნოდა. ბაკურს და ბესოს თვალები გაწყალებული ჰქონდათ და ტვინი გალაყებული, იმდენ რაღაც საარაკო და საზღაპრო რაიმეს იგონებდნენ ალბათ სადმე, უკვე ჩამკვდარ მის ცხენზე — ელვაზე.

ვითომ, თავიდანვე „ელვას“ გენერალმა დაადგა თვალი. ბაკურმა უფრო დიდ გენერალს აუხსნა, პატრონმა ჩამაბარა და ვერ დავუთმობთო. მერე ბინოკლით გერმანელებს დაუნახავთ და უმთვარო ღამეში ათი კაცი გამოუგზავნიათ, იქნებ ცოცხლად ჩავიგდოთ ხელშიო, მაგრამ ელვამ შორიდანვე იყნოსა ,თუ მოესმა მტრის მოახლოება და ჭიხვინი ასტეხა, მთელი კავალერია ფეხზე დააყენა. მერე, კინაღამ ალყაში მოექცნენ შავი ცხენის გამო, ისე სდომებია მისი ხელში ჩაგდება ამჯერადაც, რა თქმა უნდა, ისევ გერმანელ გენერალს. ბრძოლაში ხომ, ხმალი არ ეჭირა პირში და მტერს არ კაფავდა ყაფლანის ცხენი, თორემ ალარაფერი უკლდა.

...და ყაფლან გასვიანის წერილების შეწყვეტა ქვეყნის დაქცევას უდრიდა. საქმე, ვერც სხვა მხრივ გამოიყურებოდა სახარბიელოდ. უფროსობა ღრმად გათხრილ ბლინდაჟებში გამოიკეტა, აგიტაცია-პროპაგანდა მიჩუმდა, სურსათი

---

გაგრძელება, იხ. „მნათობი“, № 2, 3, 4.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯერ განახევრდა, ბორშჩს ან რაღაც ამგვარ ცხელ საჭმელს რომ მოიტანდნენ ათეულისთვის, სათლში ათიოდე ორად გაჭრილი გაუთლელი კარტოფილი დაცურავდა და შიგ გაქნილი ბურღული წყალს ფერს ძლივს უცვლიდა.

გაჩნდა დუმილი: მართალს რომ ვერ იტყვი და ტყუილს კაცი არ დაგიჯერებს ვითომ არც მტერი და არც მოყვარე არ აშფოთებდათ და ყველა შეშფოთებული კი იყო. სამხედრო წესისა და კანონის პედანტურად დამცველი კლიმოვი მთლად ხელიდან წავიდა, თვითონ აქეზებდა ჯარისკაცებს სპირტის და თვითნახადი არაყის საშოვნელად. ერთხელ ძველი დარდიმანდი თავადიშვილივით მარცხენა ფლანგზე გაჭიმულ ნაძვნარ ტყეში ნადირობაც კი მოინდომა, თუ ცოცხალს არა, იქნებ მკვდარ ღორს, კურდღელს ან ფრინველს მაინც გადავეყაროთო. ილეშებოდა და კიოდა ვილაც მრუში, მოღალატე აკულკას „ჩასტუშკებს“:

„თუ ქმარს რქები არ დავადგი,
ისე ძილი არ ვიცი,
თუ კაცს გვერდით არ მოვიწვენ,
ისე კაცი არ ვიცი...“

ერთხელ, სემიჩასტნის გაუბედავ შეკითხვაზე, ბრძოლას როდი ვიწყებთო, გამობრუჟულმა ასმეთაურმა ჯარისკაც ვიზგინს ხელი გადახვია და ისევ სიმღერა წამოიწყო:

„ეს ცხოვრება ისეთია,
რაც არ ვიცი, არ ვიცი,
მტერი ჩვენ ვართ ჩვენი თავის,
ვის ვებრძოლოთ, არ ვიცი“...

და ამას ისევ აკულკას გულისტკივილი მოაყოლა:

„მე, აკულკამ, ორი ღღეა
ქმრის ღალატი არ ვიცი,
ორი ღამე ვწევარ, მაგრამ
ძილი რაა, არ ვიცი“...

მეორე ათეულის ჯარისკაცმა კულიჯანოვმა, თავისი ათმეთაურის კარხანოვის მუხლებზე მდუღარე წყალი რომ დაექცა და ცალი ჩექმა გაუვსო, დაბნეულმა, ვითომ გასაგრილებლად, ჯერ ცივი წყალი გადაუშვა და მერე მიეშველა, რაკი დამდუღრულმა ფეხსაცმელი დაუხმარებლად ვერ წაიძრო, კოჭთან შენასკვული ზორტი რომ გაუწყვიტა, ნიფხვის ტოტს წვივის ტყავიც გაატანა. დაშავებული ორი კვირა სანბატის მედდებთან ანეკდოტებს და ივანოვის ათეულზე ტყუილს და მართალს ყვებოდა, „შინ“ — წინა ხაზზე დაბრუნებულმა, ვალია ქიქინას მოკითხვა და თამარ მირიანაშვილის ქართული ორსიტყვიანი ბარათი მოიტანა. „როგორმე მოახერხეთ და გვინახულეთო“, იწერებოდნენ ისე ცივად და საიდუმლოდ, ბაკურმა და ბესოიამ ჯერ ივანოვისაგან გამოითხოვეს ნებართვა, მერე სემიჩასტნისაგან, კლიმოვი ამ ბოლო დროს ყველაფერზე თანახმა იყო, და გზას ფეხით დაადგნენ.

— რა უნდათ? — ალაწუნებდა კბილებს ბესოია, რაკი ისიც ხვდებოდა, ის სამი სიტყვა, სიყვარულის ბარათი არ უნდა ყოფილიყო.

— რა ვიცი, ალბათ რაიმე ახალი, „საინტერესო“ რაღაცაა...

— რა?

— საქმე რომ კარგად არაა, შენც იცი.

— ვიცი...

— სემიჩასტნიმ გითხრა რამე?..

— ხომ ხედავს...

— ასე ჩვენც ვხედავთ.

— ჰო და ის თქვა, რასაც ვხედავთ...

— რაღაც „კარგი!“ რაიმე კი დატრიალდება, ვიცი...

— რა იცი, თუ კაცი ხარ, ნუ დაგიჩემებია... წიგნი იმიტომ უნდა იკითხო... ჩემზე მეტი რომ იცოდე.

— შენზე მეტი, ბესოია, აქ მე კი არა, გენერალმაც არ იცის.

— აბა, იმათ რა გაიგეს.

— თამარმა და ვალიამ?

— ჰო, რატომ გვიბარებენ...

— ალბათ ჩვენზე მეტი იციან. — დაეთანხმა ბაკური ბესოს ეჭვს და ნაბიჯს კიდევ აუჩქარა.

ფორანს წამოეწივნენ, ორი ძვალტყავა რუსული ცხენი შუახნის, პირგაუპარ-

სავ მეფორნე ჯარისკაცს თავის ნებაზე მიეშვა, რაკი ალბათ, მათრახის ცემითაც ვერ ააჩქარებდა.

— რავა იტყვი ბესოია, რაღაცით... ჩვენ ამ ცხენებს ხომ არ ვგავართ.

ბესო ჯაგლაგებს მიაშტერდა.

— დაშავებულია ჩალისფერი, მაგის შებმა საცოდაობაა...

— შენ მეორე ნახე, ორი ფეხით კოჭლობს... მაგრამ ის მითხარი, ვგავართ ჩვენ მაგ ცხენებს, თუ არა?

— არც ერთი არა ვართ ჯერ კოჭლი და დაშავებული...

— არა, მე ეს კი არ მითქვამს...

— თავის ნებაზე რომ ვართ მიშვებული?

— ჰო...

— და თანდათან ვილეწებით და ვკოჭლდებით? — გაალაწუნა კბილები ბესოიამ. გრძელ, მძიმე ნაბიჯებს აუჩქარა.

საათნახევარს მოუნდნენ სანზატამდე მგლური ძუნძულით სიარულს. გადაქროდნენ და გადმოქროდნენ მშვიდობიანად ცაზე „მესერები“.

— გადმოაგდონ რამე, ამათი პატრონის ქვეყანა... — შეღრინა ზეცას კლიმოვის ხელიდან წასვლით, მტრის დუმილით და ახლა კიდევ ამ ორსიტყვიანი ბარათით შეშფოთებულმა კინწურაშვილმა.

— ომის დროს დაბომბვა და ტყვიის წივილი ჩვეულებრივი იქნებოდა და არა საინტერესო. — აუხსნა ბაკურმა და ტყის განაპირა, სანზატის ჭრელი კარვების ახლოს შეჩერდა.

— რომ ვინმემ გვკითხოს, რა ვუთხრათ?.. — შეაწუხა მაინც ქალებთან მისული გლეხი სინდისმა.

— თუ გვკითხავენ, აქ რა გინდათ, ცეცხლის ხაზი რატომ დატოვეთო და დაგვსჯიან, უკეთესია. მაშინ ყველაფერი რიგზე და წესზე ყოფილა.

— მართალია, უკეთესია...

— და როგორც ვიცი, ახლა არავინ ამას არ იკითხავს, თუნდაც ვალია ცოლად შეირთო და ამ ტყეშ[illegible] გამართო...

ეროვნული

— ე, ეგერ, ხედავ?.. — ბესოიას არც გაუგონია, რა ბედნიერება უწინასწარმეტყველეს, ბაკურს ძველ ჩაშვავებულ ხის მორზე ჩამომჯდარი გოგოები დაანახა.

— ვხედავ, სხედან, წიგნს კითხულობენ და ვინ იცის, „ომსა და მშვიდობას“ კი არა, „ანა კარენინას“...

— მაგი არ ვიცი მე... გამოადგი ფეხი და ვკითხოთ, რა ახალი უბედურებაა. — ბრაზიანად გაალაწუნა ბესომ კბილები, ალბათ იმიტომაც, რომ ვალიასთან მისი უცაბედი, თითო-ოროლა შეხვედრები აქაური, ერთადერთი გაუმხელელი სიხარული იყო, რაც უთვისტომობას და გაჭირვებას წუთით მაინც ავიწყებდა. ახლა იგი გრძნობდა, ომი მათ უენო საუბარშიც გაჩნდებოდა და ამ ქალთანაც ვერ მოიშორებდა.

— გველოდებიან... — თქვა ბაკურმა.

გოგოები განმარტოებითაც ისხდნენ და კარვებიდან დასანახავადაც. როცა მიუახლოვდნენ, საპაემანო განწყობილება და ღიმილი არც ერთის თვალებში არ შეუნიშნავთ.

ჩვეულებრივ, ნორმალურ ცხოვრებაში ისინი ერთმანეთისთვის უცხონი იყვნენ, უკეთეს შემთხვევაში ნაცნობები, მაგრამ აქ, ყველა თავისიანს და ყველაფერს მოწყვეტილნი, ძალიან ახლობელნი, ყველაზე, ყველა ირგვლივ მყოფზე უახლოესი და უსაყვარლესი. უფრო მეტიც. თუ ჩვეულებრივ ადამიანს ჰყავს მშობლები, დედმამიშვილები, ნათესავები, მეგობარი და ამხანაგი, სატრფო და გულისსწორი, აქ ისინი ერთმანეთისათვის, ეს შემთხვევით გაცნობილნი, ყველაფერი იყვნენ. აბა, სხვა ვინ უნდა მოგნატრებოდა, ან ვისთვის უნდა გაგეწვდინა ხელი, ვისი ნახვა გაგიხარდებოდა და ვისთვის შეგეჩივლა, ვინ უნდა ამოგერჩია უფრო სანდო და ერთგული, რომ საიდუმლო გაგენდო, ან იმდენ თავსატეხსა და ამოუცნობს, რასაც ყო-

ეროვნული

ველ ფეხის ნაბიჯზე აწყდებოდი, ვინ ამოგიხსნიდა.

და ისინი ერთმანეთისაკენ მიილტვოდნენ. რამდენადაც დაუჯერებელია, ორჯერ-სამჯერ შეხვედრილ ადამიანზე იფიქრო, ის ჩემთვის ყველაფერიაო, იმდენად ახლა ეს სინამდვილე იყო.

გლეხ ბესოიას, სადაც დაიბადა და გაიზარდა, იქ არ ჰყოლია მესაიდუმლე (ან რა საიდუმლო ჰქონდა ისეთი) და ზედ რომ დაჰკანკალებდა, ისეთი მეგობარი. ჰყავდა დეიდაშვილები, მეგობრები, ამხანაგები, ჭირში მხარში უდგა, ლხინში ილხენდა ,ხნავდა, ბარავდა, თოხნიდა და იყო. აქ კი ვიღაც გოგოსთვის (რომლის ენაც არ იცოდა) იყო უახლოესი ადამიანი, ისე როგორც ის გოგო მისთვის. რომ ეთქვათ, ბესოია, საითაც გაგეხარდეს, და ვისთანაც გეამოს, მასთან წადიო, ვისთან წასულიყო, ვინ იყო მის ბაროზე, რომ არჩევანი დაეწყო, ადგებოდა და ვალიასკენ გამოსწევდა. იქნებ არც სიყვარულის ასახსნელად, არც იმისთვის, ქალს ერთი წელზე ხელი შემოვხვიო, ისიც საამოა და წუთიერი სიამოვნებაც სიამოვნებაა. ბესო არც ერთის გამკეთებელი არ იყო და არც მეორესი. მაგრამ ეს ადამიანი იყო ის, ვისთანაც ყველა აქაური გზა მიდიოდა, რაკი მის მეტი არავინ იყო.

ახლაც გოგოებს მოსულებმა ისეთი იმედი მოუტანეს, რასაც მთელი დივიზია ვერ შეძლებდა, მხოლოდ მათ სიხარულზე რომ ეფიქრა. ბიჭებიც რომ ნებართვას თხოულობდნენ და გამორბოდნენ, რომ ვინმეს ეკითხა, ვისთან გაგიწევიათ, აქ ვინა გყავთ ისეთი, ვინც გენატრებათო, რა უნდა ეთქვათ? მით უმეტეს, თუ ასეთ ნაცნობებთან საქეიფოდ და სალლაბუცოდ არ მიიჩქარი.

თამარი ადგა, წიგნი კი არა, რაღაც სრიალა ფურცლების კონა მარჯვენა იღლიაში ამოიჩარა და ბაკურის მარცხენა მკლავი შეაჩეჩა.

— გავისეირნოთ? — ჰკითხა ვაჟმა.

— თითქმის... — თქვა ქალმა და პილოტურა თავზე, ბაკურის მხარეს გადაიტანა, რომ ქუდით თმა დ[illegible] გვერდით მომავლისათვის ეცქირა.

ბესოიას მკლავი ვალიას ორივე ხელით ეჭირა და მთელი სახით მისკენ იყო მიბრუნებული, რაკი მათ „საუბარს" ქალური თავშექცევება და ზოგჯერ ირიბი გადახედვა არ შველოდა.

ტყე დაუბომბავი იყო და მართლა თვალს ეამებოდა სანთლებივით ალანძული ფიჭვები, რუხ ქერქზე ვერცხლისფრად კვარჩამოდენილი ნაძვები, სოჭი და შიგადაშიგ ცაცხვი და მურყანი, მშვიდობიანად თავისთვის მოფრთხიალე ფრინველები, და ჰაერი, — საყვარელი ქალის ამონასუნთქივით.

თითქოს მზე ზედმეტი იყო. ამდენ სიკეთეს ღვთის თვალი აღარ სჭირდებოდა, მაგრამ იყო და... მზე აღარც ცხელი იყო, მაგრამ გრილი უფრო არ ეთქმოდა, იყო ისეთი, როგორსაც ინატრებდი და დაგავიწყებდა, რომ ცოდვის შვილი ხარ, თოჯინა ხარ, რომ ვინმე აიღებს ქვას და თავს გაგისრესს, რომ ვინმე გილალატებს, გაგყიდის, და ესეც რომ არა, ისეთი მთხლისაგან ხარ ნახელავი, დღეს არა, ხვალ, თავად ჩაძაღლდები.

თამარი მიდიოდა ძალიან ნელა და გზას იმდენად იმრუდებდა, თითქოს ხეს რომ მიახლოებოდა, ეშინია რაიმეს მომწევსო. სათქმელის დაწყებას კი აპირებდა, რაკი ნაფიქრი ჰქონდა და უთქმელობას თქმა ამჯობინა, მაგრამ თავისი მიუკიბავ-მოუკიბავი ხასიათი, ახლა არ გამოადგებოდა, თავის შემოვლა მას არ ეხერხებოდა და პირდაპირ თქმა უჭირდა.

— ჩვენ სიყვარული ერთმანეთისათვის მგონი ახსნილი გვაქვს... — მიეშველა ბაკური, როცა დარწმუნდა, თამარს ამის თქმაც ასე არ გაუჭირდებოდა.

— თითქმის... — გულგრილად დაეთანხმა ქალი; შენც იცი, ამის თქმა რომ მდომებოდა, რა იყო ასეთი საჩოთიროო.

— ამ შუა ფრონტზე რომ ნამეტანი მშვიდობიანადა ვართ, ამას ორივე ვხედავთ...

— ამაზეც ბევრი გვაქვს სალაპარაკო...

— და კიდევ უფრო მნიშვნელოვანი!. — ბაკურმა ცას ახედა: არიქა, მიშველეთ! რომ მჯერა, არაფერი არ უნდა მიკვირდეს, მეც კი მოთმინების ფიალა ამევსოო.

თამარი შეჩერდა.

— ვინ იყო, თქვენ რომ იმ ღამით მომაკვ... დაჭრილი მოიყვანეთ?

— დაილუპა?.. — ბაკურს ისევ სახვევებში ამოჩრილი, ნაცნობი ცხვირი გაახსენდა, მის მეტი რომ იმ მომაკვდავის არაფერი დაუნახავს.

— არა! — სასწრაფოდ იუარა ქალმა, — ჩვენ ცოცხალი გადავაგზავნეთ, იმის გაჩერება აქ არ შეიძლებოდა... მაშინ ზურგთან კავშირი გვქონდა.

— როგორ, ახლა აღარაა?!

— ახლა არ ვიცი...

— და მაინც უფრო მნიშვნელოვანია ის დაჭრილი?!

— მაინც...

— მერე, გაიგეთ რამე, რაც გაგზავნეთ?

— არაფერი... ჩვენ ანგარიშს არ გვაბარებენ.

— აბა რა? იმ მაზარაში მართლა გენერალი ხომ არ იყო გახვეული.

— რა მნიშვნელობა აქვს, გენერალიც კაცია და ჯარისკაციც...

— ჯარისკაცი თუ გენერლობაზე არ ფიქრობს...

— ჰო, ჯარისკაცი არაა... მაგრამ — არავის არაფერი უთქვამს და არც თქვენ იცოდით, ვინ მოიყვანეთ?

— რა, გერმანელი ხომ არ იყო?

— დაჭრილი, გერმანელიც რომ ყოფილიყო, არც ეს იქნებოდა სასწაული.

— აბა, მიქელ-გაბრიელი ჩამოვიდა ციდან? კი გვითხრეს, ღმერთს ელაპარაკებაო...

— ძმაა...

— ძმა?!

— ჰო, შენი ძმა.

ბაკურმა მიიხედ-მოიხედა, მხრები შეუტოკდა, ნიკაპი შეუთრთოლდა.

— ჩე-მი ძმა, თამარ, როგორ გავიგო?..

— გაიგე ისე, როგორც ძმა.

— ძმა... ძმას აქ რა უნდოდა... ძმა ასე, როგორ..

— შენი ძმები ომში არ არიან?

— არიან... გაწვეულებია, მაგრამ..,

— ჰოდა, შენი ძმა იყო...

— და აღარაა?!

— მე ხომ გითხარი...

— ჰო, გადააგზავნეთ, მაგრამ რომელი...

— სულერთი არაა?

— კი, მაგრამ... თამარ, მე შენ კარგად კი არ გიცნობ?..

— იმდენად მაინც, რომ მე ასეთ ხუმრობას არ მოვინდომებდი.

— და ის ჩემი ძმა იყო!.. მაინც რომელი?..

— აი ის... გახსოვს? ერთხელ მე და შენ ეკლესიას ვუახლოვდებოდით...

— მამუკა! — წამოიყვირა ბაკურმა, თამარს მხრებზე ხელები მოხვია და გულში ჩაიკრა. რატომ ჩაიდინა ეს, ვერც ქალმა გაიგო, ვერც თვითონ.

— წყალზე ისე გაივლის, ვერც დამინახავს...

— მამუკაა ის, თამარ... — ქალს ხელები უშვა და მიბრუნდა, ვიღაცას ეძებდა აქ, ვიღაცა, კიდევ ვიღაცა უნდა ყოფილიყო ახლომახლო, რომ ბესო და ვალია ზედ მოაწყდნენ.

— ჰო, ბესო! შენ გეძებდი, იცი?..

— ვერ გავიგე, ვალია მეუბნება შენს ძმაზე, მამუკაზე... ვეუბნები, კი ჰყავს ძმა მამუკა-მეთქი, დაჭრილიო... საკაცეზეო...

— ის დაჭრილი... ჩვენ რომ გადმოვიყვანეთ...

— ასე მითხრა ვალიამ... — ახლა მიხვდა ბესო, წელან რაც ვერ გაიგო.

— მამუკა ყოფილა!

— მამუკა?! — გაალაწუნა ბესოიამ კბილები და თავი გააქნია, ვალიას ხარივით თვალები გადაუბრიალა, ვალიამ უხერხული ღიმილით, თითქოს ეს „ტყუილი“ მას მოეგონებინოს, თავი დაუქნია. ვალიასაგან რომ არაფერი გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოვიდა, თამარს შეუბღვირა: თუ ანცობის გუნებაზე დადექით, ეს რას ჰგავსო... მუშტის სიმსხო ნიკაპი წინ წამოუვარდა.

— დიახ, ბესო! მამუკა გახლდათ... — მხრები აიწურა მირიანაშვილის ქალმა.

— მამუკა ფარნაოზოვიჩ ა-მაგ-ლობე-ლი.! — დამარცვლა ვალიამაც.

სამარისებური დუმილი ჩამოწვა.

V

სემიჩასტნი უთუოდ ყველაზე მეტად ენდობოდა კინწურაშვილს და ამ ნდობას ჰქონდა თავისი „დამაჯერებელი“ მიზეზი. ამაღლობელი, თავისი გარეგნული გულგრილობით მაინც, უცხო თუ თავისთავში ჩაკეტილი კაცი ჩანდა. იგი არ გილებდა გულისკარს, ან ვერ გილებდა, თუ შიგ საიმედო პატრონისთვისაც არაფერი იყო და თვითონ უჩრდილოს, შენთვის რა თავშესაფარი უნდა მოეცა. თავის თანამემამულეებში ანატოლის ერთგული ვინმე უნდა ამოერჩია, რომელსაც თავის მხრივ სანდო ვინმე ეყოლებოდა და შეიქმნებოდა ჯაჭვი. შიშსა და პანიკას შეეძლო მაინც იმაზე უარესი მოეხდინა, რაც თითქოს აღარ შეიძლებოდა. უკინწურაშვილოდ იმის ცდა, რაც უმცროს ლეიტენანტს საჭიროდ ეჩვენებოდა, არ მოხერხდებოდა. გარეგნულად ჩუმ და მორცხვ სემიჩასტნის მეტი ფიქრი შეეძლო, ვინემ მასზე მაღალი წოდების თავის თავში დარწმუნებულ უფროსებს და უბრალო, პირდაპირ ინსტიტუტიდან, ყანიდან და ქარხნიდან მობილიზებულ ჯარისკაცებზე მეტი, სამხედრო საქმისაც გაეგებოდა.

ძველი ოფიცრის შვილი, სამხედრო სასწავლებელში მამის სიყვარულმა მიიყვანა. არ დაცალდა იმდენის სწავლა მოესწრო, მომხიბვლელ საქმეს გათამამებოდა და აბუჩად აეგდო. იგი, გარეგნულად დიდებით მოსილი მრისხანე შენობის გარეთ დარჩა და ის ერთი წელი, რაც იქ გაატარა, სხვა არა იყოს რა, თუ არა ამ სახლის პირველი სართულის ფანჯრებში გარედან ჰვრიტინი. ერთი კურსის გავლით, სასწავლებელში მეცნიერებისადმი რა რიდი და პატივისცემაც გააჩნდა ის ინტუიცია ,დაუგეშავ მონადირე ძაღლს რომ თან დაჰყვება ხოლმე, რითაც გაწვრთნილ ნაგაზს სჯობია.

კლიმოვს ომამდე ჰქონდა დამთავრებული სამხედრო სკოლა და ზედმიწევნით იცოდა, რაც უნდა სცოდნოდა, მაგრამ იმაზე მეტი არაფერი. მას შეიძლება თანდათანობით გენერლის ჩინამდე მიეღწია, მაგრამ საგენერლო საქმეზე მანამ არ იფიქრებდა, სანამ დივიზიას ან კორპუსს არ ჩააბარებდნენ. ახლა კი მან იცოდა თავისი ასეულის საქმე და ამას ზუსტად და კეთილსინდისიერად აკეთებდა. დანარჩენზე უნდა ეფიქრათ მის უფროსებს და მას კი სიტყვის შეუბრუნებლად აღესრულებინა. ამ ბოლო დროს როცა ზევით მასზე ფიქრისათვის ვერ მოიცალეს, თუ ფიქრით და თავის მტვრევით არაფერი გამოვიდა, კლიმოვი ფარეხის იმ ერთგული ძაღლივით პირდაღებული აღმოჩნდა, მგლის წინ, მწყემსის წასისიანების და შეგულიანების გარეშე რომ არასოდეს დაუყეფია.

სემიჩასტნი საიდუმლოდ გაუტყდა ბესოიას, რომ დივიზია, პირველ დღეებშივე განადგურებულ მარცხენა ფლანგის და მაგრად შეთხელებული მარჯვენა ფრთის მოვლით მტერმა გარემოცვაში მოაქცია. „უენო“, სამხედრო საქმის უვიცმა გლეხმა, აქამდე ფილთა თოფის მეტი ხელში არ სჭერია, რა თქმა უნდა, ვერაფერი გაუგო. თითქოს „ალყას“ მიხვდა, რაკი ხედავდა, მათ ირგვლივ რაღაც ომისთვის შეუფერებელი სიმშვიდე სუფევდა, მაგრამ ალყა მას წარმოედგინა, დასაჭერ ცხენებს რომ მდინარის პირას მოხვეულში მიიმწყვდევ და რკალს თანდათან ავიწროებ. თუ მტერს შეეძლო ათეული კილომეტრებით აექცია გვერდი, სადღაც შორს, ზურგსუკან მოგქცეოდა ისე რომ თვალითაც არ დაგნახებოდა, ამაზე ფიქრი ალბათ აქამდე სემიჩასტნისაც არ შეეძლო. ოცმეთაურმა იცოდა, ვისაც ენდობოდა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

მასთან რა ენაზეც უნდა ელაპარაკნა. ამიტომ მიწაზე — ბესოიასთვის ყველაზე კარგად წასაკითხ ქაღალდზე, დაუხატა ის, რასაც სიტყვით ალბათ თავის თანამემამულეებსაც ვერ გააგებინებდა: მდინარე, რომელიც ბესოიამ კასრებით გადაცურა და გადმოცურა, მარცხნივ ტყე, რომელსაც ორივე ხედავდა, მარჯვნივ, შორს, მშრალი ხეობა, რომელიც მათგან არ ჩანდა. იქვე მონიშნა ზურგში მეორე ეშელონის მერე, სანბატის მიდამოებიც, სადაც მესამე ეშელონი იყო განლაგებული. ირგვლივ ყველა შიშსა და დაბნეულობას შეეპყრო. სანბატის მიღმა ტყეების, მინდვრების, და ნაყანევის იქით ვინ იცის, რამდენ კილომეტრზე, მტერი წინ მიიწევდა.

ბესოიამ ნახაზიდან თავი აილო და ხაფანგში მოქცეული მგელივით მიიხედმოიხედა, უნდოდა ახლა მაინც შეემჩნია, რასაც აქამდეც გრძნობდა და თვალით კი ვერ ხედავდა.

სემიჩასტნიმ იცოდა, კინწურაშვილს მხოლოდ ამაღლობელთან შეეძლო ამაზე ლაპარაკი და სხვაგვარად არც შეიძლებოდა, თუ ოდესმე ალყიდან თავის დაღწევაზე იფიქრებდნენ, ბესოიას ბაკური მხარზე გადებულიც რომ ეტარებინა, ცოცხალი თავით არ დატოვებდა.

ბაკურისთვის ის, რაც ბესოიამ უამბო, სულ არ იყო ახალი და დაუჯერებელი. მას შემდეგ, რაც სულთმობრძავი ძმა მთელი ღამე ატარა, და მისი ცხვირის მეტი არაფერი დაუნახავს, რატომ უნდა გაკვირვებოდა, ასეთ კარგად მოფიქრებულ კომედიაში, მტერს თავი დაევლო, თუნდაც ათეულ კილომეტრებზე და გარემოცვაში მოექცია. რა თქმა უნდა, ციხეებზე შემოწყობილი მტერი, რომელსაც გოდოლებიდან შეუცდომლად დაითვლიდი, ძველი იყო და მოსაწყენი.

— მერე? — იკითხა გულგრილად და თამარისაგან გადმოცემული, ნოშრევან არდაძის ჩანთაში ნაპოვნი მარგალიტა ალხაზიშვილის ალსარების დღიურები გაკეცა.

— მერე, საჭმელი აღარაფერია...

— რა თქმა უნდა.

— გვიძუძგურებენ ალბათ, როდის დავყრით იარაღს.

— ხელში გიჭირავს და ებრძვი თუ? არა და ასე ტყუილად დავიხოცებით, ან განძრევის თავი რომ არ გვექნება, მოვლენ და წაგვრეკავენ?

— ეს ალბათ ასეც უნდა იქნეს.

— რა უნდა იქნეს ასე? — აღრინდა ბესო, კბილებში თითქოს რიყის ქვის კენჭი დაეფშვნას, ისე ახჭრიალდა.

— აბა რა გინდათ რომ ჰქნან, შენ და სემიჩასტნიმ. მკვდარი ღორის ბალნიანი ტყავი რომ გაქვთ დაფლული, იმ განძით გერმანიის აღებას აპირებთ?!

იმ ღამით მუსა სულეიმანოვი და ზახარ კონოვალოვი ხელცარიელნი დაბრუნდნენ: მათი სპირტის საბადოსათვის ვილაცას მიეგნო და დაერბია. ჯავრიან გულზე ღორის ტყავთან ერთად გადამალული ორი ბოთლი სპირტიდან, ერთი ბოლომიანი გულის მოსაოხებლად გამოაძვრინეს, კრიჭაშეკრული კლიმოვიც მათთან გაჩნდა და თავისი წილი ისე გაუზავებლად გადაჰკრა, თითქოს ბესოიას ისევ ძალა დაეტანებინოს. მეოთხე ათეულიდან ხუთი ჯარისკაცი გაპარულიყო და იმჯერად ასმეთაურს მრუში აკულკაც არ გახსენებია, ამ ცეცხლივით სასმელმაც ღრანჭი ვერ გაუხსნა. ნაშუაღამევს, როცა ასმეთაური წაბანცალდა და სემიჩასტნიც გაიყოლა, ათისთავმა ივანოვმა ბაკური დაიმარტოხელა და კინწურაშვილისათვის სათქმელად აუხსნა ის, რაც ბესოიამ ანატოლისაგან იცოდა. საშველი არ იყო, რაღაცა გზას უნდა დადგომოდნენ.

ჯარისკაცებზე პოლკის, დივიზიის და შტაბის უფროსებს რა ეზრუნათ, როცა საკუთარი თავიც მძიმე ტვირთად აწვათ და რა მიწა გაეთხარათ, გარს შემორტყმულ მტერს ხელიდან როგორ დაძრომოდნენ, სადავიდარაბოდ ესეც ყოფნიდათ. კლიმოვი არავის დაუსჯია იმისათვის, რომ ერთი ათეულიდან ხუთი მებრძოლი გაქრა. კაცმა რომ თქვას,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მტრის ხელიდან ასე თითო-ოროლას გასხლტომა უფრო შესაძლებლადაც კი მიაჩნდათ, მაგრამ ამის ბრძანებას ვერავინ გასცემდა და ისედაც ტყვიით გასახვრეტ შუბლს ამით არავინ დაისახიჩრებდა.

ბესო საგონებელში ჩავარდა. მაინც ვერ გაეგო, რას ნიშნავდა ეს ალყა და ხეირიანად ვერც ბაკურმა აუხსნა. რაც არ იცოდა, რა აეხსნა. ბესოს შეეძლო რაიმე მძიმე ტვირთი მხარზე გადებული წაელო, მოეჭრა ხეები, შეეკრა ტივი და მდინარე, ან ზღვა გადაეცურა. წინ თუ ვინმე გადაეღობებოდა თავში რაიმე ეთხლიშა და გზიდან ჩამოეშორებინა. უთუოდ ზურგისკენ უნდა წასულიყვნენ, მაგრამ თუ მტერი ირგვლივ იყო შემოწკაპული და ელოდა, დამშეული და გამოკეტილი ბესო, ბოლოსდაბოლოს გაქცევას მოიგუნებებსო, თავს ასე ხომ ვერ დაუდებდა კეტის სარტყმელად. ამას გარდა, მას არ შეეძლო ბიჭებიდან ვინმე დაეტოვებინა, როგორც იმ ათეულის ხუთმა ჯარისკაცმა გააკეთა. შეიძლება ეს ადრე ჩაედინა, ივანოვი ან დამცინავი ქირქილა მაიბოროდა მიეტოვებინა, თავიდან, წვრთნის დროს, როცა მაიბოროდა ბესოს ღრმად გათხრილ ორმოს თავზე დ...დგებოდა ხოლმე და „გამარჯობა კაცოს“ ყვავივით დაჩხაოდა. ბესოს უხაროდა რომ მშობლიურ ენაზე ესალმებოდა, სხვები კი იკრიჭებოდნენ და ბაკური ილუშებოდა. ამ ბოლო დროს, როცა მას უკვე რიდით ეპყრობოდნენ, მაშინ მიხვდა მაიბოროდას ქილიკს, რაკი ქართულიდან ისევ რუსულზე გადავიდა. იქნებ მუსა სულეიმანოვს და კონოვალოვს შელეოდა, სანამ ისინი ლუკმას გაუყოფდნენ, ან ვიზგინს, სანამ თვითონ ბათინკებზე ლანჩას გამოუკერებდა. ახლა არჩევანი არ იყო, ან ყველას უნდა გაეღწია, ან ერთად დახოცილიყვნენ. სემიჩასტნი ამ ათეულთან ბესომ დააახლოვა და ის ერთადერთი იყო, ბაკურში რომ გამოერჩეოდა.

მაგრამ ეს არ იყო ბესოს შიშის და გაუბედაობის მიზეზი. ამ ბიჭებს ჯერჯერობით ძალაც მოსდევდათ და ჯამიც, ბესოს რომ არ გაჰყოლოდნენ, ცხვრებივით მტერს ხელში ისედაც არ ჩაუცვივდებოდნენ და რაღაცას ილონებდნენ. მაგრამ კინწურაშვილს არ ძალუძდა მიეტოვებინა ვალია ქიჟინა, ერთადერთი ქალი, რომელმაც მას ამქვეყნად „გაუგო“ ... ასეთი „გაგება“ თვით ბაკურისთვისაც უმნიშვნელო იყო და სხვა, ქალებში გაქნილი და გაქსუებულიც, ხომ ქუდს ისე დაიხურავდა, და თავს უშველიდა, იქნებ არც გახსენებოდა ასეთი „ნაცნობი“.

ბესოსთვის ქვეყანა საბალახო მინდორი არ იყო, სადაც ცვრიან იონჯას, ან მწყერფეხას წააწყდები, მოძოვ, გამოჩნდება მგელი, აჰყარე მალაყი და მოუსვი.

ვალიამ თავისი ქალური უშუალობით და სიხალისით ცხვირი კი არ აუბზუა უხეშ, ტლუ ბიჭს, ხელის ჩამორთმევას რომ ვერ ახერხებდა ისე, ქალისთვის ძვლები არ დაელეწა. მან რაღაც მაშინვე იგრძნო, რაც ბესოს უიმისოდ ახლა აქედან ფეხს არ გადაადგმევინებდა. იმ ხაოიან, ძლიერ ხელებს ამ ძნელბედობის დროსაც არ შეეძლო აეწია მჩატე, ტყლაპის ნახევივით პატარა პილოტურა, მოერგო თავზე, გზას დადგომოდა და მტრის ხელში მიეტოვებინა ქალი, რომელსაც, ბესოიასაც შეეძლო წარმოედგინა, რა ელოდა. ბესოსთვის ქალი ხელშეუხებელი, შეუბღალავი სამყარო იყო და „ოღონდ თავს უშველე, ქალის მეტი რაა ამ ქვეყანაზე“, მისთვის არ არსებობდა. ვალია მას ადრე ეკრძალებოდა. მასთან შეხვედრას თავს არიდებდა, უთუოდ ეშინოდა. ამ უბედურების ჟამს, ერთმანეთის ტვირთად არ ქცეულიყვნენ. ეტყობოდა, თვითონაც არ შეეძლო „წაბალახება“. „წამბალახებელს“ და „წამსმელ-წამჭმელს“ ბესოს ხელის ჩამორთმევა ეტკინებოდა და „მუნჯს“ საუბარს ვერ გაუმართავდა. ოცი წლის გოგო ამ ჯოჯოხეთში ბესოსთანა მაგარ, მძიმე ტვირთს მხარზე არ მოიკიდებდა, რომ ეს მხოლოდ ჰკუის საქმე ყოფი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიყო და სანამ ჭკუას ჭკუა ეთქმოდა, მანამ ისიც მაგრად იდგა. ბოლო შეხვედრისას, ტყეში, მამუკაზე რომ საუბრობდნენ, ორივე გრძნობდა, აქ, ამ გარემოცვაში მაინც ერთმანეთის ამარა იყვნენ. რამდენად ამაზე სიტყვა არ უთქვამთ და ხელუხლებლად ინახავდნენ თითქმის შეუფერებელ, საჩოთირო გრძნობას, იმდენად წყალში რომ ორი მუგუზალი გადააგდო, ერთმანეთს თავი თავს მიადონ და ცეცხლი დაინთოს, ისე ღვივდებოდა და ჩნდებოდა სიყვარული, რომელიც ტვინს არ ემორჩილებოდა, შეხვედრისას სიხარულს იწვევდა და განშორებისას გულის ტკივილს, უერთმანეთოდ, ერთმანეთზე ფიქრს.

ბესოს სჯეროდა, ამას ვერც ბაკური გაუგებდა, ვერც ანატოლი, მითუმეტეს სხვები, და მაინც უძლური იყო, აქაურობას უიმისოდ გაცლოდა, სადაც ქალი და ზედმეტი ბარგი კი არა, ფრთები რომ გამოესხა, ცოცხალი მაინც ვერ გააღწევდი. აქედან გაძრომა რომ შეიძლებოდეს, ამდენის მცოდნე, ნასწავლი ხალხი და უფროსობა თავის დასაკლავ დანას ყელს რატომ მიუშვერდნენ.

მით უმეტეს ბესოიას არ შეეძლო ბაკურისა და თამარის შეხვედრებისათვის ხელი შეეწყო, იგი თავისი გლეხური ალღოთი წლების მანძილზე გრძნობდა, მის დეიდაშვილს ცეცხლი რომ ზეზეურად ეკიდა და რაღაცით თავგზააბნეულ ამაღლობელს, მირიანაშვილის ქალთან დაახლოება, კიდევ უფრო გაუადვილებდა გუგუტასთან განშორების გზას იძულებით რომ ადგა, მაგრამ ადგა.

ბაკურს ამ ვითარებაში რაიმე რჩევის მოცემა არ შეეძლო. იგი იტყოდა, ვალიას და თამარის წაყვანაც აუცილებელია, რაკი ისე ტრაგედია დრამატული არ იქნებაო, ამით კი ბესო ვერაფერს გაიგებდა. ბიჭები ამ საიდუმლოს ერთმანეთსაც ვერ უმხელდნენ და სადღაც, სანზატში გაცნობილი ქალების აკიდებაზე ფიქრსაც კი შორს დაიჭერდნენ. ამას ბესოს, ასეთ დროს, ბაკურზე მეტად გამგები სემიჩასტნი[illegible] გაუგებდა. მაგრამ რა ექნა ამ მრუდე წუთისოფლითა და ომით შეურყვნელ გლეხს, როგორ გაეგო კაცის ამოდენა უნდობლობა, ღალატი და გაუტანლობა, რაც ქვეყნად ბობოქრობდა, როცა მან იცოდა. დათესდა პურს და პურს მოიწევდა, დარგავდა ვენახს და ყურძენი უნდა მოესხა. როგორ დაეჯერებინა, რომ ვალიას დარგულმა ვარდმა თუნდაც ეკლიანი, მაგრამ მაინც ვარდი არ მოისხა?

განა შეიძლება კაცმა უარი თქვას ქალზე იმიტომ, რომ ის უმწეოა ჯოჯოხეთთან ბრძოლაში, ჰკრა ხელი და კუპრში გადაუძახო? თუ შენ ღონიერი ხარ და იმიტომ აგდებ მდუღარეში, რომ უძლურია?

რა თქმა უნდა, ბესო ამას ვერ იზამდა, ეს სემიჩასტნისაც რომ ვერ გაეგო და სხვა გზა არ გააჩნდა, მეგობრისათვის არ ეთქვა.

ამ ბოლოს ვალიასთან განშორებისას, მის ცისფერ კი არა ,მომწვანო, ბოროს ხსნარით შეწამლულ ვენახის ბარდისფერ თვალებში რამოდენა გულისტკივილი იყო, უკანასკნელად ვშორდებით ერთმანეთსო და ბესოს თუნდაც მარტო ამ განშორების უიმედობის მძიმე სევდის გამო არ შეეძლო ქიქინას ეჭვი გამართლებულიყო, არ შეეძლო რაკი ბრძოლას, ომს სიცოცხლისათვის, თავის გადარჩენისათვის ცდას და წვალებას არავითარი აზრი აღარ ექნებოდა.

სემიჩასტნიმ ბესოზე მეტად დაიმორცხვა, როცა გაიგო საკირეში ჩავარდნილ კინწურაშვილს სიყვარულისთვის მოეცალა. ბესომ ნიჩაბივით ხელები გაასავსავა, რა სიყვარული, რისი სიყვარული, მაგრამ ანატოლი ამან კიდევ უფრო დააახლოვა ბესოსთან. მით უმეტეს, თუ ეს სიყვარული არ იყო და მაინც არ შეეძლო მიეტოვებინა უპატრონოდ ადამიანი, რომელსაც შველაც არ უთხოვია. ასეთ კაცთან მტერთან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძოლაში კი არა, თვით მტრის ხელშიაც არ დაიკარგებოდა.

VI

იმ ხუთი ჯარისკაციდან, რომლებიც თავის საშველად და ალყიდან გასაძრომად გაიპარნენ, კლიმოვს ერთი სანგრებში ენახა, ორივე ხელში დაჭრილი. დანარჩენები გერმანელებს დაეხოცათ. ამის შემდეგ ალალ-ბედზე გზაზე დადგომა უაზრობა იქნებოდა, მაგრამ ასე გულხელდაკრეფილი, მშიერ-მწყურვალი ორმოებში იჯდე და ელოდო, როდის, ვისი ხელით ამოგხდებოდა სული, ესეც ძნელი იყო. როცა თავის გადარჩენას ცდილობ და კვდები, სხვაა, ერთხელ მაინც კვდები. ხოლო როცა ყოველდღე ელოდები დაღუპვას და დაწოლისას გაწყობილი იძინებ, იქნებ შენს ირგვლივ ყველანი ისე ამოწყდნენ, ხელები რო გულზე დაგიკრიფოს, ისეთიც არავინ გადარჩეს, ყოველდღე ცოცხლად იმარხები და საკუთარ დასაფლავებას ესწრები; ერთადერთი შენი ჭირისუფალიც თვითონვე ხარ.

გაღმა, გერმანელებმა, სანგრების პირზე რადიო-რეპროდუქტორები დადგეს, რუსული ხალხური სიმღერები მოასმენინეს აქეთა ნაპირზე ალყაში მომწყვდეულებს და მერე, სხვათაშორის, კარგი, გამართული რუსული ენით „მეგობრულად“ ურჩიეს, ხომ არ მოისურვებდნენ ხელი ჩაექნიათ უკვე წაგებულ ომზე და მათთან გადასულიყვნენ, ისევ რუსულ მიწაზე. მათ სიცოცხლეს მხოლოდ ამ შემთხვევაში არ ელოდა საფრთხე. გამთენიისას თვიმფრინავებიდან „საშვებიც“ გადმოაგდეს, „პატიოსან სიტყვას“ იძლეოდნენ: მობრძანდით და ჩვენ ვიცით თქვენი პატივისცემაო.

— ისე წახდა საქმე? — ამოიღრინა ბესომ, როცა ბაკურმა მტრის ქადაგება უთარგმნა.

— ამდენხანს ის „პატიოსანი“ ხმას არ იღებდა, ეგონა, იმდენი ჭკუა გვქონდა, თვითონ მივხვდებოდით...

ბესოიამ თავი ჩაკიდა, ბაკურს არ ახსოვდა თავდახრილი, შეშინებული თანასოფლელი, თუმცა ისეთი ცხოვრება არც თავის სახლში ჰქონია, რომ ყინჩად გაჯგიმულს ევლო.

იმ დღეს არაფერი, არც იმ საღამოს. ალბათ „დაპატიჟებულთ“ მოთმინებით მიელოდა; დილით, როცა მოლოდინით თვალები მოექცა და ცხელი კერძი გაუცივდა, „პურმარილზე“ წიხლდაკრული, გაბრაზდა და ვინც ამის მიზეზად მიიჩნია, შური იმაზე იძია.

ინათა თუ არა, ექვსი, ფრთებბოლომომრგვალებული თვითმფრინავი გადმოვიდა. იქაურობას გადაუფრინეს, როგორც ამას სხვა დროს აკეთებდნენ, წავიდნენ აღმოსავლეთით და ღრუბლებში მიიმალნენ. მზე რომ ამოიწვერა, პირველ სხივებს ძრავების გუგუნი და ზრიალი მოჰყვა, ხმას თუ გაიგონებდით, თორემ მანქანები თვალის მომჭრელ მზის სხივებში არ ჩანდნენ და მესამე ეშელონის მხრიდან აფეთქებების გრიალით ღრუბლის ქულები დედამიწაზეც გაჩნდა.

— მადლობა **ღმერთს!** — აღმოხდა ბესოს და თოფს ხელი წამოუსვა.

— საზენიტო არაა ბესოია, მაგ თოკი! — შეახსენა ბაკურმა და თავის სანგრის ძირში ჩაჯდა: კომედია იწყება, როდის გამაგდებენ სცენაზე ვინ იცის, მზად უნდა ვიყოო. თვითმფრინავებმა რაღაც დავალება ზუსტად შეასრულეს და უკან გაბრუნდენ. მერე კი ამოცვივდნენ მორჩილა, მკვირცხლი მიმინოებივით აღმა-ჩაღმა მოთარეშე „მესერშმიტები“, ისე მოქნილად და ტანმჩატედ დაიწყეს ცის თავანზე რიალი, ურიგო საყურებელი მართლაც არ იყო. თან პინგვინებივით ისეთი ცნობისმოყვარენი გამოდგნენ, სულ მიწამდე ჩამოდიოდნენ, ყირა-ყირა, ტრიალ-ბზრიალით კაბინის მინებზე არეკლილი მზის სხივები იცინოდნენ, და იცინოდნენ მფრინავებიც. ბესოიამ თოფი ორჯერ რომ გაისროლა, მუშტების ქნევა დაიწყეს, სალოკ და შუა თითს შორის

ეროვნული ბიბლიოთეკა

განჩხიბული ცერი დაანახეს. არც სხვებს დაწყვიტეს გული უყურადღებობით, ყოველ ორმოში იჭყიტებოდნენ და ძრავების გრიალის გარდა რაღაცას ისეთ საგანგაშო და თავზარდამცემს ასივლებდნენ, სანგრებში შიშით ფერმიხდილ ჯარისკაცებს თავზე წამოზრდილი თმა ყალყზე დაუდგათ და ვისაც მუზარადის დახურვა ვერ მოესწრო, პილოტურები თავიდან უცვივოდათ.

დაზაფრულ მაყურებლებს რომ თავიანთი ხელოვნება უჩვენეს, თან მაგ ორმოების „სავარძლებში“ სად და რამდენი ხართ მოკალათებული, ვიცითო, სულ მაღლა-მაღლა აიწიეს, წერტილებად იქცნენ და გადმოუშვეს, მაგრამ რა გადმოუშვეს. წივის, ზივის, გუგუნებს, ღრიალებს, ხროტინობს, ყმუის და მოდის. რომ არ ელირსა და მიწამდე ვერ ჩამოაღწია! რომ არ დაადგა საშველი, კისერში მომდგარი სული ბარემ ამოეხადა! როდის, როდის თითო-ოროლამ ამაზრზენი ზრიალით ძლივს მოიღო ახლო-მახლო ზღართანი, მაგრამ აფეთქების მოლოდინში, ვისაც სანგრის ძირას ჰქონდა რაიმე ხვრელი, თავი შერგო, ვისაც არა, ფრჩხილით და კბილით დაუწყო თხრა, ის კი რაც ჩამოვარდა, არ სკდება, ზევიდან ისე მოდიოდა და მოზმუოდა, ფხრეწდა ჰაერს, ყურის აპკს, თავის ქალას, გული ყელში ამოჰყავდა, გინდოდა ნერწყვთან ერთად გადაგეყლაპა, მაგრამ ნერწყვი გააშრო... ერთი წყება ჩამოცვივდა და დუმს. დანარჩენი ისევ ჰაერშია. რაღაცა პირდაპირ ბაკურის თავზე მოფარფატებს. ბომბი თუა, რატომაა, რომ სტვენით არ მოდის და ბარემ არ აქცევს ამ დასაქცევ ქვეყანას. ხმა აქვს, გრიგალი რომ ღობეში გაეტევა და აკივლდება, მოდის, ტრიალებს, მოქანაობს, მოცეკვავს, თევზივით თავწამახული და ლაპლაპა კი არა, მწვანეა, რაღაც უფორმო თუ ოთხკუთხედი, რასაც გინდა, მიამგვანებ, ბომბს კი ვერა, და რაკი არ იცის, რაა, არ იცი რას დაგმართებს, როგორ დაგგლეჯს და დაგაქიაქებს, ათასგზის გირჩევნია ბომბი იყოს, შენს არჩევანზეა თუ რა... არჩევანიც იმ კაცისაა და არადანიც. იქვე, სანგრის თავზე, თითქმის უხმოდ, ქათამი რომ საბუდრიდან გადმოფრინდება, ისე ეცემა, აბა, ახლა გასკდება, დაიქცევა ქვეყანა, აბა, ახლა დამთავრდება ტრაგიკომედია... უწივის ფიქრი ბაკურს გულში, ყურებში თუ თავში, მაგრამ სადაა, ვინ შვრება სიკეთეს, ვინაა, რომ გიხსნას, გადაგარჩინოს... მოადინა ბეთქვა სადღაც, კარხანოვის ათეულის თავზე, რაღაც უშველებელმა, ორი კაცი ხელს რომ ვერ შემოაწვდენს. ამ ნაპირს ბარემ მიწასთან გაასწორებსო, „იმედი“ მიეცა ბაკურს, მაგრამ სადაა კაცი პატრონი, დაცემის მერე ბაიბური არ ისმის, ჩამოცვივდა, მოეფინა მიწას, კაცის თვალს ციდან წამოსული რამ არ უნახავს და ყურს არ გაუგონია, იმდენი ამაზრზენი, სხვადასხვა ფერის, ზომის, სისწრაფის, ხმის და სხვადასხვაგვარი შიშის ალმძვრელი უბედურება. დალაგდნენ მიწაზე და ახლა დუმილით კიდევ უფრო დააყრუეს და დააბრმავეს, ვინც სიცოცხლეზე ხელი ჩაიქნია და სიკვდილის იმედად-ღა დარჩა.

— ე, შე ოჯახამოწყვეტილის გამოგზავნილო, გასკდი ბარემ! — მოესმა დაყრუებულ ბაკურს ყელში დანაგაყრილი ხარის ბღავილივით ბესოიას ღრიალი.

—ე ბიჭო, დაგვაყენე საშველი! — მიაძახა ბაკურმაც.

— შენი დედა... შენი გადმომგდების დედა!.. რას უცდი! — იკივლა ცივი ხმით ვიზგინმა, მაგრამ არაფერი საშველი არ გაჩნდა, „სანატრელი“ გრიალის და აფეთქებების ხმა არსაიდან არ ისმოდა.

თვითმფრინავები ცის თავანზე ერთმანეთის მხარდამხარ დალაგდნენ, შემაძრწუნებელი წესრიგით, იმაზე მეტად თავზარდამცემად, სანგრების თავზე რომ რიალებდნენ და დასავლეთისკენ დაიძრნენ, ცაზე თითო-ოროლა ღრუბელმაც კი დნობა დაიწყო. ზორბა, ტანადი კაცის სიმაღლეზე წამოსული ბარჩხალა

ეროვნული

მზეც ისეთ გუნებაზე ჩანდა, ვითომ ციდან მანანა გადმოეღვაროთ.

— ბაკური! — გაისმა გრგვინვასავით და ბაკურიმ თავი რომ მაღლა' აიღო, სანგრის თავზე პირგამეხებული ბესოს დანახვამ ბურთივით წამოაგდო და მაღლა აისროლა.

— ბესოია, მიწის ზევით რა გინდა?!— ბაკურის ახლა გაკვირვება და გაოცება რომ შეძლებოდა, ალბათ ასე მოიქცეოდა.

— კინწურაშვილი! — ღრიალებდა ათმეთაური, მაგრამ დაბეჩავებულ, მასხრად აგდებულ, შეგინებულ ბესოიას არაფერი ესმოდა.

— შეხედე, შეხედე! — იმტვრევდა საწყალი, უდანაშაულო კბილებს.

— რას შევხედო? — ბაკური სახეში ჩააჩერდა, ალბათ რაღაცა თავში დაეცა და გადარიაო.

— შეხედე, რა გადმოუგდია ამის დედა და მამა... ამის ავი და კარგი... ამის ცოლი და შვილი... ამის მტერი და მოყვარე!.. — ბესოს ასეთი გაუთავებელი და ბინძური გინება შეეძლო კი არა, თუ გაეგონა, ვერც ძველი და ვერც ახალი მეგობარი ვერ წარმოიდგენდა.

სანგრების თავზე გერმანული იარაღის თუ სურსათის ფიცრის მწვანე ყუთი ეგდო. კარხანოვს არაუშავდა, რკინის თავმოხდილი კასრი რგებოდა და კაცმა რომ თქვას, ისე აბუჩად აგდებული მაინც არ იყო, როგორც ივანოვის ათეული. ზოგს მთლად გამართლებოდა და რელსის ნაჭერი და ბეტონით შედუღებული ათი აგური მიეღო თავის წილობაზე. ბლინდაჟის თავზე ნორვეგიული ქაშაყის აყროლებული ხის კასრი ეგდო.

იმ ღამით თუ განადგურებულ ბესოიას გოგოები მოაგონდებოდა და თავს არ უშველიდა, ბაკურსაც არ ეგონა, მაგრამ საღამომდე ისიც ნათელი გახდა რომ მტერს მესამე ეშელონი ისე ზუსტად და ანგარიშიანად დაებომბა, ტყეში განლაგებული სანბატის კარვების თუ რაიმე გადარჩა, არავის ეგონა. კაცმა არ იცის უხაროდა [illegible] ლავდა გაცამტვერებულ გლეხს „ზედმეტი ტვირთის“ მოშორება. ბაკური სირბილით გაიყოლია და გზას შებინდებამდე დაადგა. ბესოიას რომ ეკითხა, ბაკურის დარწმუნებით შეეძლო დაეიმედებინა ,რომ გოგოები სალსალამათი დახვდებოდნენ, რაკი ასეთი მუხანათი მტრისაგან მათი თავის დაღწევის ცდა უქალებოდ გაადვილდებოდა და ამ „დრამაში“ გაადვილება და შეღავათიანობა ყოვლად შეუძლებელი უნდა ყოფილიყო.

მართლაც, სანბატის მთავარი კარვის ადგილას ისეთი ღრმა, პირღია ორმო დაუხვდათ, იმ ბომბის გადმომგდებსაც რომ შეზარავდა და იმ ხუთი, ალყიდან თავის დაღწევაზე მეოცნებე ბიჭებიდან ობლად გადარჩენილი, ხელებში დაჭრილი საბოლოოდ აქ მოესპო. ვისაც გაქცევა შეეძლო, თავისთვის ეშველა.

ვალიას ბეჭზე მსუბუქი დაჟეჟილობის გარდა არაფერი დაშავებოდა. ბომბისაგან ამორღვეულ მიწის ბელტის თუ ქვის ნატეხი მოხვედროდა. თამარს დამნაშავესავით გაეღიმა, მაგრამ ახლა ჩვეულებრივად კი არა — ასე მოხდენილად მე ვიღიმებიო, — პირიქით — ასეთ დროს მხოლოდ მე ვიღიმებიო.

VII

— ბესარიონ ესტატევიჩ, ქალები, ქალები დაგვღუპავს! — ივანოვი კინწურაშვილს თვალს არიდებდა, სემიჩასტნის ქვეშ-ქვეშ უცქეროდა: დიახ, შენც ასე ფიქრობ, ვიცი, და ერთი სიტყვა შემაწიეო, მაგრამ ანატოლი ბესოსავით დუმდა.

— ამაზე ლაპარაკი გვიანაა... — ჩაურთო ბაკურმა, — ყველაფერი გადაწყვეტილია... — ვინ გადაწყვიტა, მან და ბესოიამ, თუ სხვამ, ზეცაში, არ უთქვამს და არც არავის მოპრიანებია ამის გაგება.

— ქალები... არა, არა, ისიც წყალში!.

— წყალში, სხვა გზა არაა, წყალში—

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამაზე მე ბევრი ვიფიქრე, ახლა ამას სადაოდ ნუ გავხდით, — ცოტა ხმამაღლაც კი თქვა სემიჩასტნიმ.

— გერმანელებს გვინდა გავუსხლტეთ და პირში კი ვუძვრებით! — ამოიკვნესა მიტია ვიზგინმა.

— მომხიბლავი გეგმაა... თვალის სეირი იქნება! — ორი დღის მშიერმა ბაკურმა კარდალაში ჩარჩენილი წყალი მოსვა და მიწურის კუთხეში მოისროლა, თუ მდინარეში გადაცვენას ვაპირებთ, ზედმეტ ტვირთს, და ისიც წყლის ჭურჭელს, რა თავში ვიხლით.

ფეხებგაბარჯღული მუსა სულეიმანოვი წყნარი, განიერი მდინარით გაპარვის მომხრე იყო. კასპიის ზღვის პირას დაბადებულს, ცურვა და სიარული ერთად ესწავლა და ვერ წარმოედგინა, ტყვიამფრქვევის ცეცხლის ქვეშ მიწაში როგორ ჩავძვრეთ, წყალში კი ფსკერამდე ჩავიყურყუმელავებო, იმედოვნებდა.

გორბატოვს, წყალში გდება ციებას შემიბრუნებსო, ისედაც ყვითელს შიშით მკვდრის ფერი ედებოდა.

— მდინარე კი, მაგრამ ქალები?! — არ ასვენებდა ამაზე ფიქრი ივანოვს, — ჩვენი ხელით ვიდებთ ხელფეხზე ბორკილს!

ბესოიას კისრის ძარღვები ებერებოდა, როცა სემიონი ქალებს ახსენებდა, ამათ ჰგონიათ ვალია მიყვარსო, მაგრამ ასე მდუღარეგადასხმული ძაღლივით კუდამოძუებული გაპარვა კიდევ უფრო დიდ უნამუსობად მიაჩნდა და დუმდა, დუმდა რაკი იცოდა, ათმეთაურიც მართალი იყო.

ბიჭებს შეეძლოთ თავზე ტანსაცმელი დაედოთ, ჩაცვენილიყვნენ წყალში და დაჰყოლოდნენ დინებას, იქნებ, ვინ იცის, მთელი ღამეც შუა მდინარეში გაეტარებინათ, რაკი ქვევით ტყის გადაღმა მტერს უკვე ორივე ნაპირი ეჭირა. სემიჩასტნი სწორედ ამას იმედოვნებდა: თუ საალყო ხაზს წყლით გაცდებოდნენ, რაც მტერს საგანგებოდ ექნებოდა გამაგრებული და დაცული (სადაც იმ ხუთმა ჯარისკაცმა ვერ გააღწია), [illegible], გერმანელებს ორივე ნაპირი რომ თავისად ეგულებოდა, დარაჯების დაყენება და სანგრებიდან თვალთვალი არ დასჭირდებოდათ. იქიდან საით უნდა წასულიყვნენ და თავისიანებს როგორ უნდა შეერთებოდნენ, არავინ იცოდა. ჯერჯერობით მთავარი საზრუნავი ის იყო, აქედან თავის დაღწევა მოეხერხებინათ.

ხუტორებში, ადგილობრივები თუ მთლად არ გაუწყვეტიათ, რაღაცას ურჩევდნენ ან თვითონ ილონებდნენ რაიმეს, რაკი მტრის ძალები მოწინავე პოზიციებზე იქნებოდა შემჭიდროვებული და თავისად მიჩნეული, ამოდენა ტერიტორიაზე ისე ვერ მოედებოდნენ, სადმე გასაძრომი არ დარჩენოდათ.

აქ კი, ამ ტყის გამოღმა სტეპებში ერთი ქოხიც არ ჩანდა და ალბათ თავიდან ჯარი აქ იმიტომაც ჩასანგრდა, რაკი ცხარე ბრძოლას მოელოდნენ, გაშლილი ასპარეზი აირჩიეს, რაც უარესი გამოდგა. ტყის საფარის გარდა, თითქმის შიშველ ხელისგულზე აღმოჩნდნენ. ზევით დანგრეულ ხიდის თავში ასევე გაპარტახებული ნაქალაქარის გარდა, ახლო-მახლო არარაფერი იყო, იმასაც მტერი და მოყვარე ესეოდა და ძარცვავდა. ახლა თაგვები იქიდან აქეთ გამორბოდნენ, მძინარე ჯარისკაცებს იქნებ ბათინკების ტყავი შევუჭამოთო. ბაკურის იმ ქალაქში ჩარჩენილი ტყუპშვილიანი გლაშა რომ მოაგონდებოდა, მზად იყო მდინარეში ეცურა კი არა, მიწა გაეთხარა და აქაურობას გაცლოდა.

კომისარი მირონოვი შტაბის დაბომბვისას დაიღუპა, კლიმოვი ბარძაყში დაიჭრა და სანბატის გადარჩენილ კარვებში აკულკას ჩასტუშკებს შეშლილივით გაჰკიოდა. ვალია ამბობდა: ყურებზე ხელი თუ არ მიიფარე, იმ არემარეზე ვერ გაივლიო. „თავგაჩეხილი დაზვერვის ოცეულის უფროსის დანილოვის კვნესა და კლიმოვის სიმღერა ჯოჯოხეთის დუეტიაო“, — მკვდრის ღიმილით უამბობდა თამარი ბაკურის.

ვითომ კარვების გადანაცვლებას და

ეროვნული

უფრო საიმედო, შეხამებული ადგილის ძებნას ვაპირებთო, მაგრამ მტერი ცაზე ბატონობდა, სანგრებში ყოველ ჯარისკაცს ბრაწნს უჩვენებდა და კარვებს და შენობებს დაუმალავდი? დაბომბვა ალბათ მალე ისევ განმეორდებოდა და უთუოდ ეს იყო, კლიმოვს რომ „ამღერებდა“ და დანილოვს აკვნესებდა.

ღვთის წინაშე, როცა ბესომ და ბაკურიმ ასეულის მეთაური უმოსაკითხოთ ინახულეს, კლიმოვმა მუშტი მოიქნია და ალბათ ერთადერთი სანატრელი ესლა ჰქონდა, გვერდით კედელი ყოფილიყო, რომ მტკივნეულად მიერტყა, და სხვაზე რალაზე უნდა ეოცნება, როცა ქვიტკირის ნაცვლად ჭრელი ბრეზენტი აფრიალა. დაბოლმილმა ამოიღმუვლა:

— წადით ბიჭებო, წადით აქედან, თავს უშველეთ! — და ისევ სიმღერა წამოიკივლა:

> აკულკა ვარ, წოლა მიყვარს,
> ფეხზე დგომას ვერ ვიტან,
> თავზე კაცი უნდა მაწვეს,
> ცის ყურებას ვერ ვიტან!

ჭალია ატირდა, როცა გაიგო, ბიჭები ალყიდან გაძრომას ვაპირებთო. მის ვარდისფერ შერჩენილ ლოყებზე რომ გამჭვირვალე ცრემლმა სველი ნაკვალევი დატოვა და ხაკისფერი კაბის კალთა რუხი წერტილებით მოჩითა, ბაკური დარწმუნდა, ბესო, სანამ პირში სული ედგა, ამ ქალს არ მიატოვებდა.

და ივანოვს რამდენიც არ უნდა ეწუწუნა, ეწუწუნა კი არა, თოფი რომ აელო და კინწურაშვილისთვის ლულა გულზე დაედო, ერთ საყოყმანო სიტყვასაც ვერ წამოაცდენინებდა. რა თქმა უნდა, არც ბესომ იცოდა, როგორ შესძლებდა ქალების კი არა, აქედან ტყავის გატანას, მაგრამ ის რაიმე საიმედო მოსაზრების გამო კი არ ადგა თავისას, მან იცოდა, შეიძლებოდა დალუპვა, მაგრამ არ შეიძლებოდა ქალის მიტოვება. არც ვალიასთვის უთქვამს, ჩემთან წამოდი, გადაგარჩენო, არც ის უკითხავს, ცურვა იცით თუ არაო. თუ არ იცოდნენ, რა, დატოვებდა? არა. მაშ რა აზრი ჰქონდა.

ბესო არავის იმედს არ აძლევდა, მაგრამ მტრის ხელში არ ტოვებდა და მისი წინადადება უფრო ამას ჰგავდა: წამოდით, თუ ჩვენთან გირჩევნიათ და ერთად დავილუპოთო, რაზეც ვალიამ უარი ვერ უთხრა.

ივანოვს, თუ ქალებს ჩამოიშორებდნენ, რალაცის იმედი ჰქონდა, ყოველ შემთხვევაში ხელფეხგახსნილნი იქნებოდნენ. ბესომ „თავისი“ ქალები სხვას თავზე ვერ მოახვია და ბაკურს უთხრა, ასე ათი-თხუთმეტი კაცის გასვლა ერთად ძნელიც იქნება და ორ ჯგუფად გავიყოთო. უთუოდ თვითონ, ბაკური და გოგოები ერთად წავიდოდნენ, ალბათ ანატოლიც. ივანოვი და ათეულის დანარჩენი წევრები ერთად, მაგრამ სემიჩასტნის ბესოს იმლამინდელი, კარგად შეკრული კასრები, ტყვია-წამლის მძიმე ყუთები და დაჭრილის გადმოყვანა გაახსენდა და იფიქრა: ქალები იმ ყუთებზე მძიმე არ იქნებიან, არც ისე, დაჭრილივით სათრევი, ასეც რომ იქნეს, ბოლოსდაბოლოს ხელით ქალის ტარება არ ჯობია ბომბებისა და ჭურვების თრევასო? თანაც, შეფერთხილი, მაგრამ მაინც ტანმძიმე და მგონი ბრონქიალური ასთმით დაავადებული კონოვალოვი ათი ფეხის ნაბიჯის გარბენაზე რომ იღლება და კი არ ქშინავს, სტვენს, ქალებზე ნაკლები ტვირთი იყო?

გოგოებს წერილი ანატოლიმ წაულო. იმ დღეებში, როგორც კი ამინდი წახდებოდა და რაც უარესად წახდებოდა, მით უკეთესი, წინა ხაზისკენ უნდა წამოსულიყვნენ. აქ თუ ვინმე კიდევ იყო დარაჯი და რაიმე წესრიგის გამკითხავი, სემიჩასტნის ოცეული უნდა მოეძებნათ, მერე ივანოვის ათეული. წინა ხაზზე ქალებს რომ დაინახავდნენ, ბიჭებს თვალები წამოცვივოდათ და ხელში აყვანილებს მიიყვანდნენ, სადაც უბრძანებდნენ.

ბესომ თითო-ოროლა ბიჭთან ტყეში დაიწყო ბორიალი, სომეხ მზარეულს რუსული ნაჯახი გამოართვა, შეშას მო-

გიტანო, რიყის ქვებზე გალესა. მიკირტიჩიანი „კაზიონ“ ნაჯახს შენ დაგანებებდა? მაგრამ სახარში და სადუღებელი ალარაფერი გააჩნდა, ნაჯახი რაღა თავში სახლელად უნდოდა.

ბესოს რაღაცა ტივის მაგვარი, ორისამი, ერთმანეთზე მისაკრავი ხე უნდა გამოეძებნა და ეს არც გაჭირდებოდა, მაგრამ გლეხმა თავისი საქმე იცოდა. რაც შეიძლება ხმელი და ფუტურო ხე უნდა ეპოვნა, რომ მისი წყლამდე მიტანა და ჩაშვება არ გაძნელებულიყო. ამას გარდა, გამომშრალ ხეს შეეძლო სამი ნედლი ტვირთი აეცურებინა, მოცულობით მომცრო და ნაკლებად შესამჩნევი ყოფილიყო, ტვირთის ზიდვა კი შეძლებოდა.

ივანოვი ამაყობდა იმით, რაც ბესომ ორ დღეში, წყალთან, თხმელების ძირას ჩათრეული, მჩატე, ექვსი ოთხმეტრიანი მორისაგან გააკეთა. ორი მსხვილი ხე, ხელს რომ ვერ შემოაწვდენდი, კიდეებზე დაუდო, ოთხი მორჩილა, შუაში მოაქცია და მუხის ლორთქო ტოტები, ულელზე კავის ჩასაბმელად რომ ღვლერჭავდა, ისე დაგრიხა და ძელები შეკრა. იმ ორი, მსხვილი მორის შუა, ლტოლვილები რომ ჩაწოლილიყვნენ, ტივი მდინარის დინებით თავისთავად წავიდოდა. ნაპირებიდან ტივზე გართხმულებს ვერავინ დაინახავდა. იმ ოთხი მორჩილა მორის შუა ერთმანეთზე მიდებულ გვერდებზე, თითო მტკაველი, შეკვრამდე ამოჩეხა და როცა ერთმანეთს მიაწყო, იმხელა ღრუები დარჩა, მდინარეში რომ ჩაგეყვინთა და შიგ თავი ამოგეყო, თუ მტერი ტყვიას ციდან შუბლში არ დაგახლიდა, გვერდიდან არც შუბლი გიჩანდა და არც კვინიხი, ქვევით კი წყალში იქნებოდი და ესეც საფარი იქნებოდა. ამის შემდეგ სემიონ სემიონიჩმა დაასკვნა: თუ ქალები სადმე კიდევ გეგულებათ. ყველა წამოასხით, შავ ზღვამდე უხიფათოდ ჩავიყვანთ, იქ, ყირიმიდან ბათუმამდე სულ სააგარაკო ადგილებია, გერმანელს როგორ არ შერცხვება, ფეხი არსად დაგვ[illegible]სო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შელამებულში შეშაც მოჰქონდათ მზარეულისთვის, თითო ჯიბე ასკილი და ღვიის ტოტები, ჩაი მაინც მოგვიდუღეო. ასკილი სურავანდის წამალია, მტერს რომ კბილით ვეცეთ, არ დაგვცვივდესო.

შუაღამეს ალარაფერი უკლდა, თავსხმა წვიმაში რომ კარხანოვმა თამარი და ვალია ატბორებულ სანგარში მიწურამდე მიაცილა და ცნობისმოყვარე ჭუტა თვალებით ჰერს დაუწყო თვალიერება. დარწმუნებული იყო, ვერავითარი სიყვარული ახლა ამ გოგოებს სანბატის კარვებიდან ვერ გამოდენიდა.

— ვიძლევი ჩერჩილს, — ასწია ხელები ნიკოლაი სემიონიჩმა, ოღონდ ბესარიონი თავისი სტუმრით დამითმეთო, მაგრამ სემიონ სემიონიჩმა სტუმრიან ბესოში დამატებით ამერიკის პრეზიდენტი, ირანის შაჰი და შაჰინია მოთხოვა. ფეტვივით დაიბნა კარხანოვი, კინწურაშვილის ფასი რომ ასე, თვალსა და ხელს შუა იზრდებოდა. ნიკოლაი სემიონიჩმა: სტუმრები გყავთ, ათასი სამასპინძლო საქმე გაქვთ, ხელს აღარ შეგიშლითო, ბესო და გაზუზული გოგოები თავიანთ საეჭვო დუმილთან დატოვა და თავის დამშეულ, უილაჯო ათეულს მიაშურა. არ იჩქაროთ, სადღეგრძელოები არაფერი გამოგრჩეთო, ეს კი დაიბარა, მაგრამ ამ ხუმრობის მიუხედავად, მუსამ მაინც გამოაძვრინა მიწაში დაფლული შავი შუშით მათარა, ღმერთი და ალაჰი ერთად ახსენეს, რომ ან ერთს ან მეორეს ეკისრა მათი მფარველობა.

## VIII

წვიმის წვეთები მსხვილი არ იყო, მაგრამ სქლად, მსუყედ ცრიდა.

მდინარეზე ორთქლის ნისლი იწვა, თუ ღრუბელი ციდან მიწამდე დაეშვა; ტივზე გართხმულებს სანამ ამ ფარდას მამაზეციერი არ ახდიდა, მტერს პრო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟექტორებით და შუშხუნებითაც კი გაუჭირდებოდა მათი მიკვლევა.

ტივი, ოთხი, მოკლე ნიჩაბის უხმაუროდ მოსმით, წყლიდან ისე რომ ამოჰქონდათ, წვეთი არ გავარდნოდა, შუა მდინარეში შეაცურეს, რამდენზეც ამ ნისლიან, ბნელსა და წკვარამ ამინდში ამის გარჩევა მოახერხეს და დინებას დაუყვნენ, თუ ამ დინებას დინება ერქვა.

მალე ისე გაილუმპნენ, წყალში ჩასახტომიც რომ გამხდარიყვნენ, ამით არაფერი შეიცვლებოდა.

თამარი და ვალია თავიდანვე შუა, მორჩილა მორებზე ჩასხდნენ, სიცივით აკანკალებულები ერთმანეთს მიეკვრნენ და კბილი კბილს მაგრად დააჭირეს, რომ მათი არსებობა, ნაპირზე გაბატონებულ მტერს კი არა, აქაურ, ამ ტივის მკვიდრ მოყვარესაც არ „გაეგო“.

ბაიბური არ ისმოდა. სემიჩასტნის სამხედრო ნიჭი და ბესოს შრომა ფრთებს ისხამდა. მაგრამ უბედურება ის იყო, რომ მდინარეზე ხიდი იქნებოდა, თუ რაიმე გადასასვლელი და იმ ექვს შემპალ მორს ფრთებიც რომ გამოესხა, ვერ გადაფრინდებოდა. რამდენად ნისლის ფარდა, ლტოლვილებს მტრის თვალიდან იფარავდა, იმდენად შეიძლებოდა, ხიდს ზედ მიწყდომოდი და მტერი მაღლიდან რომ ტყვიას დაგაყრიდა, მისი არსებობა მაშინ შეგემჩნია. ტივს კი ზევიდან თავდაცვის არავითარი სახსარი არ გააჩნდა. თუ ალყის ხაზს გასცდებოდნენ, ასე ალალბედზე რომ ნაპირს მიახლოვებოდნენ, იქნებ სწორედ მგლის ხახაში ამოეყოთ თავი.

ნაპირები იმდენად შორს იყო, ამ ქარწვიმაში, გერმანელები, დაფდაფებს თუ დაცხებდნენ თორემ ფეხის ხმას, მარშითაც რომ ევლოთ, ვერ გაიგონებდნენ, წინ კი, თუ ღმერთი თავის წყალობაზე ხელს აიღებდა და ხიდს გადააწყდებოდნენ, საეჭვო იყო, გადასასვლელზე ვინმეს ბრაგა-ბრუგით ევლო. ტივს რამდენად მსხვილი მორები ჰქონდა, თავისი მკვიდრნი რომ გვერდიდან დაშენილი მცირე კალიბრიანი თოფის ტყვიისაგან დაეფარა, იმდენად სწრაფი სვლისთვის უილაჯო იყო, რაკი ბესო, „გემთმშენებლობის“ საქმეში, მიუხედავად მისი „დიდი გამოცდილებისა“, მაინც მოიკოჭლებდა.

ათისთავმა ივანოვმა უნიჩბოდ დინების მიყოლა ამოიჩურჩულა, სანამ რაიმეს გარჩევას შეძლებდნენ. სემიჩასტნიმ: ჩვენ თუ ვინმეს შევამჩნევთ, ჩვენც შეგვამჩნევენო. მისი გეგმა მტერთან მიახლოებას ითვალისწინებდა, რომ გაცლოდნენ.

გაღმა ნაპირი კარგა ხანია გერმანელებს ეჭირათ და ალბათ რაიხის იმპერიას თავისად მიაჩნდა. აქეთა ნაპირს, საითკენაც „მეტივეებს“ თავისიანები ეგულებოდათ, მტერი ჯერჯერობით მთლად საკუთრებად ვერ ჩათვლიდა და უფრო ფხიზლად იქნებოდა. რა თქმა უნდა, წინდახედული, წესრიგიანი ფრიცები არც გაღმა ნაპირს დააგდებდნენ უმეთვალყურეოდ — საკუთრებას მოვლა და პატრონობა უნდა, მაგრამ სად ის, რომ შენს სახლში უშფოთველად ხარ და სად ის, როცა ყოველ წუთს თავდასხმას ელოდები.

ტივი ნელ-ნელა წავიდა გაღმა ნაპირისაკენ და ძაღლის ყეფაც მოისმა. ნიჩბები ხელებში შეაცივდათ და ყურები ცქვიტეს. ძაღლი გერმანული იყო, თუ სოფლის ეზოს ნაგაზი, მონადირე თუ მაწანწალა, ნაპატიები თუ ნაშიმშილები, ხმაზე უნდა გამოეცნოთ. კიდის ვეება ფუტურო მორზე დამხობილმა, პანკრატ მაიბოროდამ ჩაიქირქილა, მე მაცალეთო. ყველამ პირი დააღო, პანკრატმა საქილიკაოდ მოიცალათ, როცა რა ხანია კრიჭა არ გახსნია, იგი კარგა ხანს გალურსული ისმენდა ნაპირიდან, ერთმანეთში არეულ ძაღლების ყეფას. კაციშვილი ვერ გაარჩევდა, რა ჯურისა და ხმის ძაღლები წკავწკავებდნენ, იღრინებოდნენ და წკმუტუნებდნენ. თითქოს გაყუჩდებოდნენ კიდეც და მერე ერთმანეთს წაესეოდნენ, აღმუვლდებოდნენ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

აჭაჭყანდებოდნენ, აყეფდებოდნენ და აკივლდებოდნენ.

— ჰე, რას იტყვი ძაღლების უსტაბაშო? — იკითხა მუსამ, ტივის განაპირას რომ იჯდა, თუ საჭირო გახდა, წყალში კისრით გადავეშვებიო.

— აცალე! — ამოიხვნეშა კონოვალოვმა, ახლა რომ წყალში გადახტომა დამჭირდეს, სიცივე ყელში წამიჭერს, სტვენა ამიტყდება და არცერთი ტყვია არ ამცდებაო. — აცალე! — იქნებ პანკრატს ძაღლების მართლა რაიმე გაეგება და ხიფათს აგვაცილოსო.

— იქ გერმანული ავჩარკაცაა.

— ვაი დედა მშობელო! — დაცეცხლა გორბატოვს, ციებას დამიწყებს და ბესო ისევ შარდით გამჭყიპავსო.

— ეზოს ძაღლებიცაა... მოიცა! მოიცა! — ამოიჩურჩულა, თუმცა გორბატოვს მეტი ალარაფერი უთქვამს. — აი ის, ციმბირულია, ის კი რომ წკავწკავებს და ყეფს, ორლობის მაწანწალაა. მივა ახლოს — წკავწკავებს, გაიქცევა უკან და ყეფს.

— ბიჭო, ხედავ თუ?! — გაოცდა ივანოვი, ათეულში ეს ვინ მყოლია, ამდენხანს ჭურში ხომ არ ვიჯექიო.

— აცალე! — შეეხვეწა კონოვალოვი, იქნებ მდინარეში გადაყრას გადაგვარჩინოსო.

— ნახევარზე მეტი მშივრები არიან...

— თუ შენი საკუთრება იყო, გვჭმია რამე! — ამოიწრიპინა ვიზგინმა, რაკი თავის გამყინავ ხმას სხვანაირად ვერაფერი მოუხერხა.

— ე, ის, ეფერება და ალერსიანად წკმუტუნებს...

— ვის ეფერება, არ გადამრიო! — კინაღამ იყვირა ივანოვმა, ეს რა ოქროს პატრონი ვყოფილვართო.

—რამდენია, დათვლილი თუ გყავს?— ამოიკვნესა გორბატოვმა, თუ ეგ ძაღლები ფერებისა და ალერსის გუნებაზეა, ნაპირს რომ მივადგეთ, იქნებ არც ჩვენ დაგვჭამონო.

— ათიოდე ხვადია და ერთი ძუკნა!.. — როგორ, ამას თქვენ ... ვერ მიხვდითო? — გაუკვირდა.

— რა ფერისანი არიან? — ამოიწრიპინა ვიზგინმა და სიცილი არ წამსკდესო, პირზე ხელი აიფარა.

— სოფელია გაღმა ნაპირზე, მოზრდილა. — ახსნა ძაღლების ზედმიწევნით მცოდნე პანკრატმა.

— იქნებ საშუალოა, ან მორჩილა?— ჩააცივდა ივანოვი, ხომ არაფერი ეშლება ამ ჭკუის კოლოფ მაიბოროდასო.

— არა, — იუარა „ჭკუის კოლოფმა“, — ამდენი ძაღლი ნაომარ სოფელში ვერ გადარჩებოდა, რომ დიდი არ ყოფილიყო, მაგრამ გერმანელებიცაა...

— რამდენი არიან? — რაკი ყოვლის მხილველი ხარ, ეგეც გეცოდინებაო, არ მოეშვა ფრთებშესხმული ათისთავი.

— ბევრნი, რაკი სხვა ძაღლებიც ჰყავთ.

— სადაა, მანდაა ისინიც?

— შორიდანაც ისმის ყრუ ყეფა.

— აბა, ეს რომელიც ამათთანაა, რატომ გამოუშვეს?

— ეს არავის გამოუშვია, აიწყვიტა...

— კაი ერთი, თუ ღმერთი გწამს! — ივანოვს, ეს ზღაპრებს ყვებაო, სიხარული და თავის გადარჩენის იმედი, ტივიდან წყალში გადაუცვივდა.

— არ გესმით, კისერზე ჯაჭვი აქვს ათრეული! — გაოცდა მაიბოროდა, აქ საეჭვო და გამოსაცნობი რაღაათ?

— რავა ვქნათ მერე ახლა, რას გვირჩევ?! — ივანოვმა, წელან წყალში გადაგდებული გადარჩენის იმედის ნაპერწკალი მუგუზალივით ამოიღო.

— ამ სოფელს რომ გავცდებით, ახლო-მახლო მოსახლეობა არაა...

— ბიჭო, რას ხედავ ამ ქვეყნის დაქცევაში?! — ახლა კინაღამ თვითონაც წყალში გადავარდა ივანოვი თავისი იმედის მუგუზლიანად.

— ახლოს რომ სოფლები იყოს, ძაღლები იქედანაც მოგროვდებოდნენ და ცხრა ხვადის გარდა...

— ათიო, წელან არ თქვი?! — ეცა

ფანოვთ: არ დამღუპო, არაფერი გეშ-ლებოდესო.

— ერთი ხომ გერმანელებისაა.

— ჰო, ის არ ითვლება... — ამოთქვა სული თამამად კარხანოვმა, სულ იმის შიშში იყო, ღრმად რომ ჩავისუნთქო, ხმაურზე და სტვენაზე მტერმა არ და-გვიშინოსო.

— მერე, მერე! — აჩქარდა ათმე-თაური, რაკი ყოვლის მცოდნე მაიბო-როდა ვერაფერში „გამოიჭირა“.

— აქაურობას რომ გავცდებით... — სამი-ოთხი კილომეტრის შემდეგ...

— რა ვუყოთ, რომელ ორდენზე წარ-ვადგინოთ ეს, ანატოლი სემიონიჩ? — დაეკითხა ათმეთაური ოცმეთაურს.

— შეგვიძლია თანდათან გაღმა ნაპი-რისკენაც წავიდეთ! — დაასკვნა სემი-ჩასტნიმ, — იქნებ გათენებამდე თავი ტყეს, ან ჭაობებს შევაფაროთ.

მდინარეში რომ იხვი ჩაყვინთავს, ბე-სოიამ ნიჩაბი წყალში ისე უხმოდ ჩაუ-შვა და ტივს ნელ-ნელა მიმართულება და სიჩქარე უცვალა.

IX

განთიადს მდინარეში ვერ დაელოდე-ბოდნენ, მით უმეტეს წვიმამ იკლო და ნისლი შეთხელდა. ნაპირზე ლელს, ხეს, ბუჩქს, ხრამს, ტყეს, ქვას ან მიწას იფა-რებდა განწირული, აქ, წყალში თუ ღამისა და ნისლის საფარი აღარ იქნე-ბოდა, მათზე, ფრთებდასხეპილი იხვე-ბივით შეიძლებოდა ნადირობა.

გადაიკარა და უთუოდ მალე ალიონიც დაჰკრავდა, რომ უკვე გაქლენთილ, წყა-ლში ღრმად ჩამჯდარ მორზე ლელის ხეშეშა ფოთლებმა გაიშრიალა და ტივს დუმფარები ათრევინა. თითქოს ნაკა-დულის ყრუ ჩხრიალიც მოისმა. სად-ღაც ახლო, მდინარეს, წუხანდელი წვი-მით მოდიდებული ღელე ერთვოდა და იქ თუ ღრმა ხევი არა, რაღაც დახრამუ-ლი ლარტაფი მაინც უნდა ყოფილიყო.

წყალი დამდორდა. შენაკადს უთუოდ აქ უბე ჰქონდა გაკეთებული და სანამ დინებას შეერთვოდა, ივანებდა, თუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მდინარე აუმღვრეველი ტყის, [illegible]-ბოდა: ლექს, შლამს, სილას ტოვებდა და ზედ ლელს, ლაქაშს და დუმფარას ამრავლებდა. ნაპირზე ტირიფნარს, თხმელას, ძეძვს, შამბს ზრდიდა და ლტოლვილს თავშესაფარს არ მოუსპო-ბდა.

ლელიანის ტბორში ცისიერმა ჩაიხე-და. ტივი, ნაპირიდან გადმომხობილ, წყლამდე ტოტებდაშვებულ, მომრგვა-ლო ფართო ფოთლებიან ხესთან მიცუ-რდა. ბესომ ხის მთრიმლავი ტოტი ფრთხილად ასწია, რომ თავწამორგული გოგოები არ წამოდებოდნენ. ტივი და-ბალი ნაპირის შლამში შეჩერდა.

თენდებოდა, მაგრამ ვაი ამ გათენებას. შიმშილი, სიცივე, მტერი და არცოდნა იმისა, ამ უშველებელმა მდინარემ სად გამოგრიყა, კაცი მოგკლავს, ნადირი, თუ ნადირზე უარესი გერმანული ნაგაზები დაგგლეჯენ, ყველაფერი ეს რომ ძვალ-რბილში გაქვს გამჯდარი, კანკალი და ძიგძიგი აღარ შველის.

ბესომ წყალში ჩაიბოტა. ხის ძირები წინდაწინ მოსინჯა, მომპალი არ იყოსო და მაღლა ისე აძვრა, იქვე, თავისიანებ-საც არაფერი გაუგონიათ. კინწურაშ-ვილს ივანოვი მიჰყვა, მისი ნაფეხური კარგად არ დაუნახავს, მაგრამ გუმანით გრძნობდა, ფეხი სად უნდა დაედგა.

მდინარის ნაპირზე, კალაპოტის თხე-მამდე, ხშირი თხმელები მოდებოდა და ნაწვიმარზე ნოყო. ნეშომპალის, გვე-ლის სოკოს და მანჭკვალას ლორწოს ხე-ებში ჩაბუდებული ნისლი ზეთივით შე-ესქელებინა. გულზოდელმა გლეხმა სუ-ლი ჩაიბრუნა. ეს იყო ყველაზე ახლო-ბელი, მიწის მსუყე სუნი, რასაც ის ზედ-მიწევნით იცნობდა, როგორც ჩვილი დედის მოშიშვლებულ მკერდს და რძე-მოწოლილ ძუძუს. წუთით თავის ბრუ-ალში და ნაშიმშილებზე სიმაძღრის უა-მური მოლუნება დაეუფლა. სემიონი არ შეჩერებულა, წინ გადაუსწრო და ბე-ქობზე ბათინკის უქუსლო ნაკვალევი დატოვა.

მაღლა პილოტურები მოიშვლიპეს და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაპირის. კიდეზე მოდებული მაღალი ბალახის ძირებში გაიხედეს, ისე ფრთხილად, დალუმპულ სარეველასთვის წვეთი არ გაუგდებინებიათ.

ველს მდელო უფრო ეთქმოდა. იქაურობა აბზინდას, ვერცხლის ვაციწვერას და მაწაქს დაეფარა. მდელოს არყის ხეების ხშირი ზოლი ჰყოფდა და ამ არყნარის მიღმა შორს, რამოდენიმე თეთრი ქოხი იყო მწკრივად ჩარიგებული თუ ერთი გრძელი დაბალი შენობა, კარგად ვერ გაარჩიეს.

— ფერმაა, — უჩურჩულა ბესომ სემიონს.

— აჰა... — მიხვდა ივანოვი და თავი გადააქნია: ხომ არაფერში გამოგვადგება.

ბესომ გადაჭრით ვერაფერი თქვა, თუმცა ორივეს სჯეროდა, იქ ახლა არავინ არ უნდა ყოფილიყო. ჯოგი თუ მტრის შემოსევამდე არ განარიდეს, გერმანელები ფერმის მოვლა-პატრონობისათვის ჯერჯერობით ვერ მოიცლიდნენ და იძულებული იქნებოდნენ, თავისი ისედაც მსუყე კერძი, რუსული, ველის წითელი ჯიშის ხბოს ჩიჩიათი გაემდიდრებინათ. ვორონეჟის პედაგოგიურ ტექნიკუმ დამთავრებული სემიონიც კი მიხვდა, რომ დიდი ხანია ფერმის შემოგარენში პირუტყვს ფეხადაც არ გაევლო.

ჯერ ერთი ეშმაკს თვალი არ უჩანს და მეორეც, ამ გაპარტახებულ ფერმაში კიდეც რომ არავინ დაგიხვდეს, ნაკელისა და ნეხვის მეტს რას ელოდები. სადღაც ახლოს სოფელი კი იქნებოდა, მაგრამ მტერი „წმინდა არიული სისხლისღვრით" ალებულ ადგილ-მამულს შენს სათარეშოდ და საკუნტრუშოდ დატოვებდა?

არა და, ვინ იცოდა ახლო-მახლო გადიოდა შარაგზა ან სარკინიგზო ხაზი? აქვთ გერმანელებს რაიმე ბაზები, ან საწყობები? იქნებ ამ მშვენიერ ტყეებსა და მდელოებში, იმდენი სირბილით დაღლილმა მთლად დასასვენებელი და გასართობი ბუნაგი მოაწყო... ივანოვს და კინწურაშვილს ხომ არ დაუცდიდა, რას მირჩევთ, როგორ მოვიქცეო?

სემიჩასტნიმ, თავისი სამხედრო ნიჭით გათამამებულმა, თავის მოსაზრება ამჯერად დაუმორცხვებლად წამოაყენა და თუ ამას შიმშილით გამოწვეული ანგარება არ ახლდა, მისაღებად უნდა ჩაეთვალათ.

ღამით მტერი ფრთხილია, მოყვარეც კი უნდოა, ძაღლი და მამაძაღლი — შეუმჩნეველი. დღეს, თავისი ულმობელი ნაკლი აქვს, ნასროლი ტყვია არ აგცდება, მაგრამ არც შენ ააცდენ. გერმანელს ტყვია-წამალი არ ეზოგება, ათასიდან ერთი რომ წამოგედოს, არაფერს კარგავს. ჩვენ დათვლილი, თითო მუჭა ვაზნა და თითო-ოროლა ხელყუმბარა გაგვაჩნია. ღამით, ღმერთი რომ გაგვიწყრეს და გავისროლოთ, მათ ერთი და ორი გასროლით ვერაფერს დავაკლებთ. ჩვენს ადგილ-სამყოფელს კი გავცემთ.

— და ჩვენთან რომ ქალები არ იყვნენ, კიდევ ჰო... — ჩაურთო ივანოვმა, რასაც ფიქრობდა. თამარმა ვალიას გადახედა და მხოლოდ მის ლოყებზე შერჩენილ ვარდისფერს რომ სიწითლეც გაუჩნდა, ბესოიამ თათბირის დამთავრებას არ დაუცადა, წამოვარდა და ანატოლის ხელი თვალებთან მიუტანა. მოხრილი სალოკი რამდენიმეჯერ შეარხია, შენი რევოლვერი მათხოვეო.

— არ გინდა, ბესარიონ ესტატევიჩ, არ გინდა... მე ხომ, შენც იცი... ეგ სიფრთხილისათვის... ყოველ შემთხვევისათვის... — მოუბოდიშა ივანოვმა ნაწყენ კინწურაშვილს, მაგრამ თხმელის ტოტებში თავვგაყოფილ ბესოიას მუხლი ველარ მოახრევინა.

ანატოლიმ რევოლვერი მისცა და ბუდიდან წყალი გადაწურა.

— ვინც გინდა, აირჩიე, — ხელები ასწია ჩაჩოქილმა ათისთავმა, — მე თუ აღარ მენდობი...

— მაიბოროლდა, — თქვა ბესოიამ და არც არავის გაკვირვებია, ძაღლების ასეთ მცოდნეს აქ ვინ დატოვებდა.

— ბესარიონ ესტატევიჩ, აქ ერთი მე-

თაური ზედმეტია, — თან თითებით ანიშნა მე და სემიჩასტნი ხომ ორნი ვართო. სემიონმა იცოდა, შიმშილითა და წვალებით ფერმიხდილ ანატოლის, ბესო ახალი წამებისა და ხიფათისთვის არ გაიმეტებდა.

კინწურაშვილს თანხმობა არ უთქვამს, ისე გაეკიდა უკან ივანოვი.

მდინარის ნაპირს, რასაც ხეები საიმედოდ ვერ ფარავდა, ერიდებოდნენ და მთლად წყლის პირას ჩადიოდნენ, რომ გაღმიდან ღელეს მოფარებოდნენ. კალაპოტის თხემს კი იქედან ზვერავდნენ, სადაც კბოდეზე შამბი ხარობდა. ასე მოვიდნენ დარიანში მშრალ და ახლა მღვრიე ღელიან ფლატემდე. ფლატის პირას, ფერმის მხარეზე ისევ არყნარი გასდევდა, მეორე ნაპირი ჩაჩიქვული ან მოშიშვლებული ჰქონდა, მაგრამ ნაყანევში სარეველას ახლანდელი პატრონის ხელში, კარგად ეხეირა და თუ ას თვალსა და ყურს გამოისხამდი და ნაბდით დაჭედილი ივლიდი, სანამ ლარტაფში მიძვრებოდი, თითქოს არა გიშავდა.

ფერმას რომ გაუსწორდნენ, ახლოდან უფრო კარგად დაინახეს გრძელი, ფანჯრებჩალეწილი, ოდესღაც თეთრი შენობა, ორი მორჩილა ფიცრული, უსახურავო სასილოსე მრგვალი კოშკი, შემორაგულის ჩანგრეული ღობეები და ჩამხობილი ჭიშკარი. ფერმა რომ გვერდზე მოიტოვეს, ბატების ტბორს წააწყდნენ, ახლა ორი მამალი იხვი-ღა რომ შემორჩენოდა და ნაპირზე ბუმბულიც კი აღარსად ეგდო.

ტბორს ზემოთ ფლატეს თავი ანებეს, ღელე, რაც სოფელს მიუახლოვდა, დავიწროვდა და დადაბლდა. მის გაღმა არეც თანდათან სულ გაშიშვლდა, რაკი კაცი ბუნებით ზარმაცია, შორს წანწალს და შეშის ძებნას ურჩევნია ახლომახლო მოჭრას და ცეცხლს დაადოს. ტყე ოდნავ მომაღლო ფერდობსღა შერჩენოდა და ბესომაც გეზი იქით აიღო, საიდანაც განვიწრო, სანაკადულე ხრამი ტყიდან ჩამოდიოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

X

სანამ ეშმაკს ნახავდე, გგონია ისეთია, როგორსაც ხატავენ.

ტყეში თავშეფარებულებს ნაწვიმარი, პირდაბანილი ხუტორის მაცდუნებელი სიმშვიდე, სტუმართმოყვარე ხეხილები, ჭის ოწინარი და სოფლის თავზე გარინდული ქოხების ფერი, ფთილა ღრუბლები, ამ ნაჩვევ, ადამიანური ყოფის სიმართლეში უფრო აჯერებდა, ვინემ გუშინდელი, უჩვეულო, არაადამიანური სისაძაგლე შეეძლოთ ერწმუნათ. მბჟუტავი ცეცხლის კვამლი, გამონაპირა ორი სახლის ერთი სახურავიდან ქათქათა ქულებით მოჩითულ, მოსარკულ ზეცისკენ დუნედ მიიწევდა.

თითქოს ღრუბელიც და კვამლიც მხოლოდ იმისთვის გაეჩინა ღმერთს და ადამიანს, რომ თვალუწვდენი ცის სიხასხასე უკეთესად გეგრძნო და მოსაწყენ უსასრულობისათვის ზღვარი დაედოთ.

თითქოს არაფერი არ გიშლიდა ხელს, მისულიყავი კაცი კაცთან, უსახლკარო სახლკარიანთან, დაგელოცა მასპინძლის ჭერი, რომელიც ადამიანის თავშესაფრად აიგო, გადაგეთბო ხელი ცეცხლზე, რომელიც ასევე ადამიანისათვის მოსტაცა ღმერთს ამირანმა და გაგეტეხა პური ჩვენი არსობისა. ბოლოს დაეყენებინე გზაზე მასპინძელს და ის, მადლობელი, რომ საშუალება მიეცი მასპინძლობისა, შენ ბედნიერი, რომ ქვეყნად კიდევ ერთი მოკეთე გაიჩინე, გადგომოდი ბილიკს, რომელიც შინ მშვიდობით მიგიყვანდა.

ფლატეს გამოღმა, ტყემდე, მოშიშვლებულ ველს, სამარხილო გზა გასდევდა, რომელზედაც ახლა ბალახი წამოზრდილიყო.

ფერმის მხრიდან ცალუღელა ცხენის ფორანი გამოჩნდა. ცხენი არ იყო უპატიური და მოუვლელი. პატრონი, რომელსაც ალვირის გრძელი ღვედები ხელში ეჭირა და წინა თვლების გასწვრივ მიჰყვებოდა, ცოცხლად და მარჯვედ მოაბიჯებდა. არც დაღლა ემჩნეოდა, არც სიზანტე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბესო დაეჭვდა: ასე ადრე ტყის მოჭრას და დატვირთვას ვერ მოასწრებდა, ფორანი კი ცარიელი არ იყო, მაგრამ ზედ არც შეშა უნდა ყოფილიყო.

ივანოვმა მაიბორროდას გადახედა: შენ ჩახვალ და გამოკითხავ, თუ ჩემი ჩასვლა აჯობებსო. ბესომ გლეხი კაცი რომ დაინახა, კინალამ თვითონ ჩაირბინა სამარხილე გზამდე და ასეც მოიქცეოდა, რომ არ მოგონებოდა აქ ნაცნობი, საერთო საქმის გარდა, ენაც საჭირო იყო. ამათ რაღა აეჭვებთო, გაუკვირდა, მაგრამ სემიონმა თავისი თოფი რომ მიაჩეჩა, პილოტურა შარვლის ჯიბეში ჩაიკუჭა და ხიდან ხეს მოფარებული ქვევით წავიდა, ბესომ უნებურად ჩაიჩოქა და პანკრატის გვერდით ხის ფესვს მუხლი დააბჯინა, ასე უფრო კარგად ჩანდა მინდვრის ის მონაკვეთი, სადაც ივანოვი მეფორნეს უნდა დახვედროდა და იქიდან ვერ შეემჩნიათ.

ჩია, მკვირცხლი კაცი, ერთი შეჩერება მაშინვე შეჩერდა, როგორც კი ათმეთაური გზას დაადგა და ხელში აკეცილი ლვედები ცხენს დაანება, მაგრამ ალვირმა ორ-სამ ნაბიჯზე ჩამორჩენის საშუალება მისცა და კვლავ მარჯვედ აედევნა, ისევ აითოკა და ცხენის გავასთან ფორანს ფეხი აუწყო. ცხენი ჭაკი იყო, ყრუ წაბლისფერი, ღერძის თავები — გაპოხილი, გზა ნაწვიმარი და ბალახით წაფარული. საზიდარს ტვირთიც იმდენი ედო, რასაც გამწევი ძალა მოერეოდა, პატრონს მათრახის ტლაშუნი და შეძახილი არ სჭირდებოდა.

პანკრატმა მხრები აიჩეჩა და ბესოს მოხედა. ბესომ თავი დაუქნია: ჭკვიანი გლეხია, საქონლის მოვლა ჰყვარებიაო, მაგრამ მაიბოროდას თვალებში ამ უსიტყვო პასუხის კითხვა არ ყოფილა დასმული, ახლა მიხვდა და ისევ სამარხილე გზას გახედა.

ფორანზე, წყლის სარკესავით ირეკლავდა ცისფერს, ჩაშავებულ ჩარჩოში ჩარჩენილი მინის ნატეხი. საზიდარზე ირიბად თავწახერხილი კოჭები, კარები, ხარიხოები და ფიცრები ეწყო. ფერმიდან მოაქვსო, მიხვდა ბესო, მაგრამ [illegible] ვითომ ძალიან ფრთხილად და ყურადღებით გამოუარეს, რატომ ვერც ხმაური გაიგონეს და ვერც ცხენი და კაცი შენიშნეს?..

სანამ სემიონი მინდორზე გავიდოდა, ფეხით ტყის პირას მოსული შამბი რომ გადათელა, ცქვიტმა მეფორნემ სადავეები უხმოდ მოსწია და ოთხთვალა შეაჩერა, მაგრამ სემიონს კი არ მიაშტერდა, ვისაც ვერ ხედავდა, თვალით იმას დაუწყო ძებნა. ყურებჩამოშვებული ქუდი ცერით მაღლა აიწია, თავი ერთი ხელის დადებამდე დაუგრძელდა. წყენა, ღიმილი, შიში და სიხარული ერთად დაეუფლა და მაინც ღიმილისა და სიხარულის გამოჩენა სცადა.

— ჩვენები?! — იკითხა, როცა ივანოვმა აქეთ მოიხმო. მინდორზე ასე აშკარად, უსაფროდ გასვლა მაინც რომ ვერ გაბედა.

— თქვენები, თქვენები! — დაიმედა სემიონმა.

— ახლავე! — დაფაცურდა მეფორნე, დატვირთულ ოთხთვალასა და ცხენის გავის შუა სოფელს გახედა, ლვედები ჭაკს ზურგზე შეაყარა და მარდად გამოსწია, თუმცა ყოველ მეორე ნაბიჯზე უკან-უკან იხედებოდა.

სოფელში გერმანელებია! — უჩურჩულა ბესოს მაიბოროდამ.

— კი, ფერმას ანგრევს და სახლში მიაქვს! — დაეთანხმა ქართულად კინწურაშვილი.

ჩია ივანოვს მოუახლოვდა და იმდენზე გაჩერდა, სტუმარს ხელის ჩამორთმევა რომ მოენდომებინა, ვერ მიწვდებოდა, თან ყოველ სიტყვაზე მძალე ღიმილს იშველიებდა, მასპინძლის ნაქები კერძი რომ პირს გამოგთუთქავს და იღიმები, რომ სხვებმაც იგემონ.

— არ მომწონს... ვინაა... — ჰკითხა ივანოვს დაბრუნებისთანავე მაიბოროდამ.

— ვინ უნდა იყოს, აქაურია... — აუხსნა ვითომ სემიონმა.

ფორანი გზას დაადგა, გამონაპირა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თრი მოსახლის ეზოების ქვევით ფლატის ფონში ჩაუხვია.

— გერმანელები, სოფლის იმ თავში, გზისპირას ყოფილან... — მოყვა ივანოვი, — სულ რამდენიმე ჯარისკაცი, მაგრამ ხუტორი გამცემლებით და ჯაშუშებითაა სავსე, არავინ დაგინახოთო.

— მაშ წავიდეთ, სანამ დროა...

— არ გვირჩია, საღამომდე ფეხი არ მოიცვალოთო...

— რომ ვინმემ შეგვამჩნიოს... თუ ამ არე-მარეზე მარტო მაგია პატიოსანი, ავდგეთ და ეგ ერთგული კაციც დავღუპოთ და საკუთარი თავიც?

— აჰ!.. — სემიონი დაიბნა.

— მთელი სოფელი გამცემი არ არსებობს. გამცემი თითო-ოროლა ჭირდება მტერს, რომ ორგულები მორჩილებაში იყოლიოს... გზა გასწავლა?

— არა, საღამოს მე თვითონ ფორნით გაგიყვანთ, ვითომ შეშაზე მივდივართო..

— არ დაიჯერო! — გადაირია პანკრატი, — შეშაზე მაგი არ დადის, ფერმას ანგრევს და სახლში ეზიდება სოფლის ნამალავად, — მაიბოროდამ ბესოს გადახედა, ჩემი თუ არ გჯერა, აგერ ჰკითხე კინწურაშვილს და ამას ისიც გეტყვისო.

— კი ასეა... — დაუმოწმა ბესომ.

— არ დამინახავს... — შეცბა ათისთავი და ბესოს თავისი თოფი გამოართვა, უკან გავბრუნდეთო, მაგრამ პანკრატმა ფეხი არ მოიცვალა.

— აბა აქ ვიდგეთ და ვიცადოთ? — ახლა ივანოვმა შეუბრუნა კითხვა.

— გაგვცემს...

— რატომ გგონია, რომ გამცემია? — ეწყინა ივანოვს: იმ კაცს მე ველაპარაკებოდი და შენ რა იციო.

— თუ სანდოა, ხომ კარგი, თუ არა და ყველას დაგვღუპავს... თუ დავიცდით, ისინი მაინც გადარჩებიან. შენ ისიც ხომ არ გათქმევინა, სადა გყავს ჩვენები დატოვებული?

— ის არ უკითხავს, მაგრამ მარტო არ იქნებიო, ეს კი მითხრა... თქვენ მგონი დაგინახათ...

— წავიდეთ! — მხარი დაუჭირა სემიონს ბესომ და ჯიბეში, სემიჩასტნის რევოლვერს ტარში ჩააფრინდა.

— ძალლები? — ჰკითხა პანკრატმა ბესოს, ამ ერთ სიტყვას მაინც გავაგებინებ, მართლა ღმერთი არ გაუწყრეს და აქედან წასვლაზე ესეც არ აიყოლიოსო.

— ძალლები?!

— ძალლები, — გაუმეორა მაიბოროდამ, წაიხარა, მოკლე, ჩქარი სუნთქვა აუტყდა, ნადირის კვალზე დამდგარი მეძებარივით, — ძალლებით დაგვედევნებიან.

ბესო ივანოვს შეაჩერდა: ნამეტანი მართალს ამბობს და მე კი, მაგრამ შენ რა ღმერთი გიწყრება, რომ ძალლები სულ დაგავიწყდაო.

— ჩავასწრებთ მდინარემდე, — დაფაცურდა ივანოვი.

— მერე? — იკითხა პანკრატმა.

— მერე, წყალში ძალლები...

— ძალლები რომ სუნს ველარ აიღებენ, იქ, წყალქვეშა ნავი გველოდება, თუ?

მაიბოროდა ცამდე მართალი იყო. ის კაცი ერთგული იყო თუ მოღალატე, ფეხის მოცვლა აღარ შეიძლებოდა. გაცემის შემთხვევაში აქედან წასვლა ყველას დაღუპვას უდრიდა, თუ ერთგული გამოდგებოდა კიდევ უარესი — აქაურობის მიტოვება იმას ნიშნავდა, მოყვარეც მტრად გადაგეკიდებინა, რაკი ეჭვი შეიტანე მის კეთილსინდისიერებაში და გაიქეცი. იქნებ შენი გულისთვის თავს სწირავდა და თუ მიაფურთხე, ადგება და ამ შენს მიფურთხებულ ტყავს მაინც გადაირჩენს, სანამ მას სხვა დაასმენდეს, თვითონ იტყვის სიმართლეს...

ფორანმა ეზოს მარჯვნიდან მოუარა, ერთხანს ხეხილებს მიღმა გაუჩინარდა და მალე მეორე მხრიდან ჭიშკარში შემოვიდა. ცისფერდარაბებიან სახლის ახლოს შეაყენა ცხენი, არ გამოუხსნია, უკან ისე გაბრუნდა.

ბესოს ეს არ გაკვირვებია, რაკი წინა ეზოს, ამოლმართი ჰქონდა და პირუტ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყვის მოყვარული გლეხი, სანამ ფორანს ადგილზე არ მიიყვანდა, არ შეჩერდებოდა, რომ ნაწვიმარზე ცხენს ალმართზე ხელახლა დაძვრა არ გაჭირვებოდა. მაგრამ ჭიშკრის დასახურად გაბრუნებულ პატრონს დააგვიანდა.

ეზო-გარემო ისე იყო მოვლილი, სახლი კარგად გამართული და საიმედოდ შემორაგული (მისი მეზობლისას კი არ ჰგავდა), თუ ჭიშკარიც ამის შესაფერისად იყო მოწყობილი, მიხურვას და გადარაზვას ამდენი დრო არ უნდა დასჭირვებოდა.

— თან უნდა გავყოლოდით! — ატყდა ისევ მაიბოროდა.

— გამცემი თუა?!. — შენ ხომ არ გაგიჟდიო, თვალებში ჩააჩერდა სემიონი, მოღალატეს ვდიოთო?

— შეეშინდებოდა, რომ არ წაგეხრჩო...

მეზობელი სახლიდან, აქეთა მხარეზე რომ ორი მომცრო ფანჯრები ჰქონდა ჩალეწილი და მინების მაგივრად ფიცრები ჩაეჭედათ, მხრებში წახრილი კაცი გამოლასლასდა. იმდენად თავდახრილი და უყურადღებო ჩანდა, რამდენად მისი მეზობელი ფხიზელი და მარჯვე. ოციოდე ნაბიჯზე ბურულიან ბოსლისკენ წაბაჩუნდა. ისე ფერდებჩაცვენილი თხა გამოათრია, ტყიდანაც შეამჩნიეს, რომ უკანალი მიმხმარი ჰქონდა და აფშეკილი კუდის ქიცინიც ეზარებოდა. უშველებელი, გადაგრეხილი რქებიღა იყო დარჩენილი.

— აი, პატიოსანი კაცი... — თქვა მაიბოროდამ.

— შუბლზე აწერია? — ჰკითხა სემიონმა, — პატიოსანი კი არა, ხარმაცია... თხა შიმშილით მოუკლავს.

— გაასუქებს და იცის, რა მოელის...

— შენ, პანკრატ პეტროვიჩ, იურისტი ხარ?

— ვინ მაცალა, თორემ ვაპირებდი...

— მერე, სად იყავი ამდენხანს, იმ სანგრებში ენაჩაგდებული რომ იჯექი...

— მოიცა! — გააწყვეტინა პანკრატმა, — იმ ბებერს ის თხა აქეთ მხოლოდ ნეკერის საკვნეტად არ მოჰყავს!.. მაიბოროდამ ადგილი მოიცვალა, დახრილ ნაძვის ტოტს გასცდა და წინ დააცქერდა.

თხის პატრონმა ეზოს გამოღმა, ტყრუშული ღობის ძირს პირუტყვს თავი მიუკრა და ფორანთან ამდენხანს დაკარგული პატრონიც დაბრუნდა. ცხენის გამოხსნას შეუდგა. თხის პატრონი ღობის ძირში ჩაჯდა, ფეხსაცმელი გაიძრო და გადმოაპირქვავა. მალულად კი აქეთ დაიწყო ცქერა.

— ამ კაცს უნდა ვკითხოთ და ყველაფერს გვეტყვის! — პანკრატი ტყეს ალმა აუყვა.

ივანოვმა: მართლა ასე დოყლაპიასავით ყველაფრის დაჯერება არ ივარგებს, სჯობია სხვებსაც ვესაუბროთო, ბესოიას თავით ანიშნა, მივყვეთო.

მოხუცმა ხელიც კი მოიჩრდილა, რაკი იმედი ჰქონდა, ღობესთან ჩამჯდარს ვერავინ დაინახავდა, მაგრამ უთუოდ დიდხანს, მოფარებულში ყურყუტიც არ შეეძლო და ისევ იმ ღობეში დატანებული კუტკარით ეზოში შებრუნდა ჭიშკრის მოხურვისას ისევ გადმოიხედა და მწკრივად აყოლებულ დაბალი ვაშლის ხეივანს ისევ ბოსლამდე აჰყვა.

მეფორნემ ცხენი გამოუშვა და კეხი და ცალული თავლისკენ წაათრია. ჭიშკრის დაკეტვისა არ იყოს, თავლაშიც შეაგვიანდა. პანკრატმა ტყიდან ჩირგვნარში გადაუხვია და მოხუცის სახლისა და ბოსლის გასწვრივ წავიდა ისე, რომ მის მეზობელს მაშინაც ვერ დაენახა, ჩირგვნარს რომ გაცდებოდა. ფეხად გაასწროთ ბოსლიდან მოხუცმა. დაცდას აპირებდნენ, რომ ჩირგვნარის გადმოღმა, ნაურმალის თავში, ასე თერთმეტ-თორმეტი წლის ბიჭები გამოჩნდნენ, ერთადერთი ნაჯახის ამარა.

მაიბოროდამ ფეხი იშვირა, ივანოვიც მიჰყვა და ბოსლის გვერდით ეზოში ჩახტნენ. გადმოღმა ბესო დარჩა და რაკი ბიჭები თვალებში მისჩერებოდნენ, განძრევა ვერ შეძლო. დარჩა ასე, ღო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბეს მიკრული, ხილის ქურდ ბავშვებში რომ ალალ-მართალს დაიჭერენ.

წითელარმიელის დანახვაზე ბავშვები თვალებად იქცნენ, მიყვებოდნენ გზას, მაგრამ თავებს იმდენად იბრუნებდნენ გაშეშებული ჯარისკაცისკენ, რამდენად წინ მიიწევდნენ.

ბესო, როგორც იქნა, „გონს“ მოეგო. აქ ხილის დასაკრეფად მოვედით და რაკი ღობის ახლოს ბოსელი იყო და არა ხეხილი, ქვევით-ქვევით დაუყვა, საითაც ბიჭები მიდიოდნენ, რომ არ ეფიქრათ, გაქცევას, ან დამალვას აპირებსო. ვითომ პატრონს ეძებდა, იქნებ ორიოდე ვაშლის მოწყვეტის ნება მომცესო.

კუტკარამდე რომ ჩააღწია, იქ გამწლეული თხისადმი გამოიჩინა დიდი ყურადღება, თითქოს ამის მსგავსი რამ არ ენახოს. ის იყო ზურგზე თვალებგამობმული ბიჭები ფლატის ფონში მიიმალნენ და სადღაციდან მეფორნეც ეშმაკივით გაჩნდა. ბიჭების მხარეზე მიჩერებულმა ბესომ რომ მოიხედა, შიშით შეკრთა, ეს გამწლეული თხა ხაა კაცად ხომ არ გადაიქცაო.

მეფორნემ ისევ პირდათუთქულივით გაუღიმა და თავი დააქნია: ვიცი, იმ ჯარისკაცს ახლავხარ, ტყესთან რომ შევხვდით. ბესომაც თავი დააქნია და ეზოს გადაღმა ვაშლის ხეები დაანახა: ორი ცალი ვაშლი მინდოდა, — მუცელზე ხელები იტაცა, — შიმშილით წელები მერჩევაო. ჩიამ: აგერ, ჩემს ეზოში მიირთვითო და გაუძლევა, იქვე, საზღვართან, ოთხი ღერი ლატანის ვიწრო კუტკარში შეუძღვა, თვითონ რომ ძლივს გაეტია და ბესოც გვერდულად ძლივს გაძვრა.

პატრონმა ხის ძირას მიიყვანა, მაგრამ იმ მძაღე ღიმილით ჰკითხა, რატომ არაფერს ამბობო.

— რუსული, რუსული არ ვიცი! — აუხსნა ჯარისკაცმა.

— ჰო, გეტყობა რუსი არა ხარ...

— არა, — გააქნია თავი ბესომ.

მასპინძელმა ისევ შესცინა და ხელით სიმაღლე მოხაზა:

— კავკასია?..

— კავკასია...

— კი, კი, — დაეთანხმა მასპინძელი და როცა პირი კავკასიისაკენ ჰქნა: მივხვდი ვინცა ხარ, აი, იმ მხრიდანო, ბესომ რევოლვერი ჯიბიდან უბეში გადმოიტანა, ყოველი ფეხის გადადგმაზე რომ ჯიბიდან ტარის ბოლო ამოეჩრებოდა.

სტუმარმა რვა ვაშლის მოკრეფა მოასწრო, რომ მოტოციკლეტების ხრიალი მოისმა. შეშინებულმა მასპინძელმა მხარზე ხელი დაკრა, ჩაჯექი, არ დაგინახონ, არ დამღუპოო. ბესომ ეზოს გადაღმა გადაიხედა და თხის პატრონის ლაფაროში ატუზულ ივანოვს და კარებში შესულ მაიბოროდას მოჰკრა თვალი.

მასპინძელი წინ წახრილი წავიდა და ზურგს უკან ხელით ანიშნა, მომყევიო. ბესოს იმედი მიეცა, რაკი მეპატიჟება, სადმე დამმალავს, ქრისტიანი კაცი მტრის ხელში ხომ არ ჩამაგდებსო და მისი ყოველი თითის მოძრაობას ხნასავით ჩაებღაუჭა. უკანა, ჩონჩორიკის გადასაყარი კარით პატრონი თავლაში შეუშვა და ტუჩზე თითის მიდებით ანიშნა: ხმა არ გაიღოო.

მოტოციკლეტების გრიალი თვალის დახამხამებაში მოახლოვდა.

ბესომ ბნელ, ცხენის შარდით და ნეხვით აყროლებულ თავლაში, ერთი, ძელებში დატანებული, ნაკელით შემოგოზილი გამჭვარტლულ-გათითხნილი მინა შენიშნა. უბეში ჩაყრილ ვაშლებში რევოლვერი ამოიღო და მტკაველა სარკმელს ხელების ცეცებით მიუახლოვდა. სანამ მინაზე არ დააფურთხა და თითით ერთი გოჯი არ გაწმინდა, გარეთ გაჭვრეტა არ მოხერხდა. ხეირიანად მაინც არაფერი ჩანდა, მაგრამ მეზობლის ღობის და ბოსლის დანახვა შეიძლებოდა. წინა ეზოში და ჭიშკართან რა ხდებოდა, კაცმა არ იცოდა, მაგრამ ბიჭები რას აპირებენო, ახლა ეს უფრო უნდოდა სცოდნოდა, და სარკმელს შუბლით მიეკრა. ღობეს არსად სამეზობლოდ გადასასვლელ-გადმოსასვლელი არ ჰქონ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და, ბესო ამან უფრო დააფრთხო, ვინემ კარზე მომდგარმა მტერმა. ძლივს გაარჩია, რომ ივანოვი მეზობლის საბძელში შევარდა. არ გაუვლია წუთს და ლობის გადაღმა პრიალა ჩექმებს მოჰკრა თვალი, როგორიც არცერთ მის მეგობარს არ ცმია.

იქნებ ჩემი აქ ყოფნა არავინ იცისო, სარკმელს თავი ანება და წინა კარისკენ წავიდა. თაროზე შემოდებულ ახლად მოხდილ კეხს მიაწყდა. ცხენის ოფლის მჟავე ნაცნობმა სუნმა მხნეობა შემატა. კარის ღრიჭოდ მოლება სცადა, მაგრამ, ნურას უკაცრავად... გულმა მძიმედ ჩამორეკა და მარცხენა მკერდში ძარღვი გაუწყდა, სისხლი თავში აუვარდა, თვალებში ყვითელ-წითელი რგოლები დაუტრიალდა. უკანა კარებისკენ მიბრუნებამდე, გარედან ფეხის ხმა მოესმა. სარკმელს მიაშურა, თაროს წამოედო, კეხი და ცალული გადმოყარა, მერე ზედ დაეცა და მინას რომ მიასკდა, იქვე ჩავლილი გერმანელის მუზარადს შეასწრო თვალი, რომელიც ეჭვი არ იყო, უკანა კართან ჩაუსაფრდა.

„მინას არ მოვშორებოდი, ტყვიას ყურის ძირში დავახლიდი...“ — მწარედ ინანა და მიიხედ-მოიხედა. კარი გარედან იყო გადაკეტილი. მტერს და „მოყვარეს“ როცა მოეპრიანებოდათ, მაშინ შეეძლოთ გაეღოთ, მაგრამ შიგ გამომწყვდეულსაც ხომ უნდა ეფიქრა თავის უფლებებზე? ისეთი მძიმე და ღონიერი ვერაფერი შენიშნა, რომ კარზე მიედგა და გარედან ვერ შემოეგლიჯათ.

იმაზე ადრე, სანამ კინწურაშვილს წინადადებას მისცემდნენ, ხელები აეწია და გამოსულიყო, ყვირილი და ავტომატების გრიალი მეზობლის სახლთან გაისმა.

ყვირილიც და სროლაც ისე ერთდროულად მოხდა, ბესო დარწმუნდა, ამათ ბევრი ბოდიშები არ უყვართო. ერთდროულად ორივე მხარეზე რომ შემოცვივდნენ და ტყვია დამიშინონ, სად მივიმალოო. ძლივს საქონლის აუყრელი ბაგა შენიშნა, ოდნავ გვერდწაფერდილი, ძელებისაგან გ[illegible]. ხელი წამოუსვა, ნაკელით გადაწებებული მორი აგლიჯა და წინა კარს მიაბჯინა. მინაც ხომ შეეძლოთ შემოემტვრიათ და იარაღის ლულა შემოეყოთ. მეორე მორს წამოუსვა ხელი, სიჩქარეში თვალები და პირი ნაკელით აევსო, და მეორე კარს მიაყუდა. ჰო, სარკმლისთვის რა მიეფარებია? რაღაცას მოგლეჯდა და ამოქოლავდა, მაგრამ ასე თვალდათხრილი როგორ იქნებოდა, ამას გარდა, მეზობლისას რა ხდებოდა, და ბიჭებს რა ჭირდათ, ხომ უნდა დაენახა.

ძელური მრგვალი ხეებით იყო ნაშენი და თუ კარს ვერ შემოამტვრევდნენ, კედლებში ტყვია არ შემოატანდა. ამ მტკაველიან სარკმელთან თუ ავტომატს შიგ არ შემოჰყოფდნენ, მხოლოდ საპირისპირო კედლის დაცხრილვა შეიძლებოდა. გარედან კი ისმოდა გერმანულ-რუსული ყვირილ-გინება, ავტომატების ტკაცუნი და მინების მსხვრევის ხმა. ეს ახლა უკეთესიც იყო. ყველაფერი რომ ჩაჩუმებულიყო, მაშინ უნდა გეკითხა. მეზობლიდან შაშხანის გასროლის ხმა და ბღავილი მოისმა, რომელსაც ისევ ავტომატების გაბმული გრიალი მოჰყვა, მაგრამ ამჯერად ერთი იარაღით ნაკლები. ბესოს გუმანით, იქ სამი გერმანელი დარჩა, აქ, თავლასთან ორზე ნაკლები არ უნდა ყოფილიყო, თუ „მასპინძელი“ სათვალავში ჩასაგდები არ იყო.

ჯერ წინა კართან გაჩხაკუნდა რაღაც, მერე კი ორივე კარს ძალუმად წიხლი ჰკრეს და უკან, ჩონჩორიკის გროვასთან გაისროლეს კიდეც. ასე ერთი ხელის დაკვრით რომ ვერ შემოცვივდნენ, ღრენა და გნიასი ატყდა. ბესო მინის ქვევით იყო ჩაყუნცული და კედელს მისრესილი, ესმოდა ნაპატიები ნაგაზების ყეფა და მისთვის ყოველივე დაახლოებით ამდენადვე გასაგებიც იყო.

წინა აივანში უთუოდ „მასპინძელს“ გაუჯავრდნენ, რაკი ფინიასავით წუწკუნი მოისმა: ალბათ ამ კარს შიგნი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დან ჩასაკეტი არა აქვს და, რა ვიცოდი, თუ ხაფანგში გაბმული ბოგას ამიყრიდაო.

ბესოს ამ ორი გერმანელიდან ერთი მაინც უნდა ჩამოეშორებინა, რომ გაქცევაზე ფიქრი შესძლებოდა. თავიდან ივანოვს და მაიბოროდას რომ მიჰყოლოდა, კარგი იყო. ცალკე, მარტოდმარტო სიკვდილი ძნელია, ისიც ჩონჩორიკის და ფუნისაგან გამოუგველ თავლაში. „ნეტავ მამაჩემი ხარებს ფეხშიშველებს ხომ არ ამუშავებსო“, ამის გაფიქრება მაინც მოასწრო, თუმცა კარგად ხედავდა, ხარიც ოხრად რჩებოდა, დედაც და ვალიაც.

წინა კარის ძირში „მასპინძელი“ ისევ აწკმუტუნდა; ალბათ, „სტუმარს“ დანებებას ეხვეწებოდა, რომ თავლა არ გადაეწვათ. ბესომ ერთი კი გაიფიქრა, ვითომ ფარ-ხმალის დაყრას ვაპირებ, კარს გამოვალებ, იქნებ ერთი მაინც წინ გავიძღოლო და როგორმე თავს ვუშველიო, მაგრამ გამოცდილ კაცის მკვლელს რომ უბირი გლეხი ანკესზე ვერ წამოაგებდა, მაშინვე მიხვდა. თავს ზემოთ მინის ნამსხვრევებს ცეცხლი და ტყვიის გრიგალი შემოჰყვა. საპირისპირო კედელზე ძელებს შუა, ხნულში ჩაყრილი სათესლე მარცვლებივით გაიარა ტყვიის მწკრივმა, ზედ მიყრდნობილ კაცს რომ მუხლებზე მოწვდებოდა. გარეთ ისევ გაისმა ყეფა და წუწკუნი. მეზობლის სახლსაც ჰქონდა დარჩენილი მინები, იქაც ისმოდა სროლის და მსხვრევის ხმა.

XI

თავლაში გამომწყვდეულ კინწურაშვილს არ შეეძლო ევარაუდა, რომ ერთადერთ მინაჩალეწილ მტკავლიან სარკმელში, საიდანაც მტერი ტყვიის ცეცხლს აფრქვევდა, თუ ბომბის შემოგდებასაც მოინდომებდა. მაგრამ ეს, თუ ივანოვმა არა, მაიბოროდამ იცოდა და როცა გაავებულ გერმანულ ყეფას და ნაკელით ჭუჭრუტანებამოგოზილ სქელ კარებზე ბრაგუნს ყური არავინ ათხოვა. „ნაგაზმა“ იქვე, კარის ძგიდესთან, ალბათ თავისსავე კუდზე ჩამჯდარი ფინია და გესლა და ჩაქოლვა მოუნდომა, რაკი მიწას გართხმული ხმა, ზღურბლთან ფეხის მლოკველი ძაღლის წკმუტუნივით მოისმა.

თავგაუცვეთელი ლურსმნით მოჭედილი ჩექმის ბრახუნი აივნის კედელს გამოჰყვა და წუხანდელ ნაწვიმარ ლაფაროში ჩლახუნად იქცა. ბესო ფანჯრის ქვევით გასახმობად გაწკიპინებულ საქალამნე ტყავივით გაეკრა და საპირისპირო კედელს მიაშტერდა. ნაწვიმარ ლაფაროში ჩექმების ჩლახუნი არც კი შეწყვეტილა, რომ სარკმელთან ისევ ტყვიების ლაწა-ლუწი ატყდა და ძელს მჭვარტლიანი შავი გვერდი ახლიჩა. უსისხლო ყვითელი ქონივით გამოჩნდა გამურული ფიჭვის ჭრილობა.

ავტომატის წუთიერ დუმილს მეზობელი სახლიდან შაშხანის გასროლა მოჰყვა, მაგრამ მასზე ადრე ბესოს ყურთან ძელებში გამომძვრალი ტყვია მეორე კედელს ეცა და ჩაიჭედა.

„ბიჭები ერთ-ერთი მაინც ცოცხალიაო, — იმედი მიეცა, მაგრამ გაოცდა, — აკეთკენ რად ისვრიანო!“ რომ გარეთ სასოწარკვეთილის ღმუილი და ხელყუმბარის გრიალი გაისმა. ადგილიდან ისე მოწყდა და წამოვარდა, არ უფიქრია, ახლა სარკმელში გახედვა შეიძლებოდა თუ არა.

თავლის გვერდით, ორ-სამ ნაბიჯზე, გულაღმა ეგდო მარჯვენა წაწყვეტილი, დაფლეთილი გერმანელი. შავი, პრიალა ჩექმების გარდა, სისხლიანი მწვანე ჩვრების და ხორცის გროვად ეყარა. მარცხენა, საღი ხელით ჩექმისფერ პრიალა ავტომატს ჩაფრენოდა.

„ბიჭებს უსვრიათ, როცა „ლიმონის“ შემოგდებას აპირებდა და ხელში აუფეთქდა...“

მაშინვე მეზობლის სახლში გაისმა აფეთქების გრიალი და ბესო ძელურის კედლიდან წინა კარებს მიაწყდა, რომლის ზღურბლთან ჩამხობილი დაზაფრული „მასპინძელი“, ფეხის მოცვლას ვერ ბედავდა. უკანა კარებთან გატრუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნული, ჩახმამხშემართული მტერი საფარიდან დაძვრას არ აპირებდა, რომ მისი ბედი არ გაეზიარებინა, ვინც ამ წუთას თვალწინ მოუკლეს.

ბესომ ლატანს მიბჯენილი მორი ცალი ხელით, უხმაუროდ გამოაცალა. ანჯამებს იქით მიაყუდა და კარი სწრაფად გამოაღო. იქვე ჩაცუცქულმა, გაფითრებულმა „მასპინძელმა" ორივე ხელი ჰაერში შეისროლა, თითქოს ზევიდან ვინმე წვდა და მაღლა ასწიაო, ისე აჰყვა თავისივე მკლავებს და შეუმჩნევლად უკან-უკან დახევა დააპირა.

პირზე დუქმომდგარმა კინწურაშვილმა უიარაღო კაცისთვის ნაგანის ტყვიის დახლა ვერ მოისაზრა, მაგრამ იცოდა, იმის იქიდან გაშვება არაფრით არ შეიძლებოდა. კარში ერთი ნაბიჯი გადმოდგა და გულისპირში, ტანსაცმელში წვდა, თუ პირდაპირ ნეკნებში წაავლო ხელი, თავლაში ისე შემოათრია, პატრონს ზღურბლისთვის ფეხი არ წაუკარებია. ცალ ხელში ისევ მაღლა ეჭირა, რომ მეორეთი შემოსახვლელი დაახშო.

თავისივე ხალათის გულისპირში ჩამძვრალ თავლის პატრონს ყურებიანი ქუდი რომ გადაუვარდა, ბესომ მასზე მიფეცებული თხის თვალები დაინახა, კისერში ხელწაჭერილს რომ პეტელი დავიწყებოდა. „მასპინძლის" ყალყზე დამდგარმა თხელმა, ჩალისფერმა თმამ მოაგონა, თუ ამ თავზე წითელარმიელის პილოტურა ეხურებოდა და უკანა კარში ცხვირს გაყოფდა, რას იფიქრებდა იქ ჩასაფრებული, გონდაბნეული მტერი? არჩევანისთვის ვის ეცალა! რას იფიქრებდა და მოიმოქმედებდა ავტომატმომარჯვებული, მისი საქმე იყო.

პილოტურა „მასპინძელს" სრული მოუვიდა, მაგრამ კისერში ხელწაჭერილმა დაწუნება ვერ მოასწრო, რომ თავი კარში გააყოფინეს. გარედან კი ცხელი ტყვიები ჩალისფერ თმაზე მაშინვე ნაკვერჩხლებივით დააყარეს. ერთი წამოყმუვლება და კბილებით მაგარძვლიან, ხეშეშ მკლავზე ჩაფრენა მოასწრო, რომ ფეხქვეშ ისედაც მიწაგამოცლილს ფრთები შეესხა, თავლიდან ორ სა[illegible] ნაყარ, ცხელი ჩონჩორიკის კაცის სიმაღლე გროვას მიენარცხა. ერთბაშად თავსა, მკერდსა და მუცელში გავლილმა ტყვიებმა დაჭმუჭნა, დახვია და ცალულივით დააგორგოლავა.

ნაკელში აფართხალებულ „მასპინძელს" მიმდგარი, დარეტიანებული გერმანელი მანამ არ აპირებდა ტყვიის ცეცხლის შეწყვეტას, სანამ სიცოცხლეს გაყრილი ყოველი კუნთი ცახცახს არ შეწყვეტდა, მაგრამ გვერდით, ყურთან რევოლვერის გასროლის ხმა მოესმა და ყბაც მოენგრა. ხელებში ავტომატი უჩვეულოდ აუხტუნდა, ველარაფრით დაამაგრა და კონდახის უკუდარტყმამ წააქცია. წუნწუხში გულაღმა გაიშხლართა. თავი თავლის ქვედა ძელს დაჰკრა და მსხვილ მუთაქასავით სასთუმლად მოექცა. ამის მერეც ესმოდა გასროლა თითო-თითოდ, მაგრამ უფრო ხმიერად საკუთარი თავის ქალის მსხვრევის ხმა.

ბესო მაშინ დაფრთხა და ძელზე თავმიბჯენილი, სახედახვრეტილი, თვალღია მიცვალებულისაგან უკან მაშინ დაიხია, როცა მუჭში მოქცეული მისი იარაღი შუაზე გატეხილი ცხენის ნალივით დადუმდა. შიშმა, თვალის დახამხამებაში, თავლაში შეაგდო და ისევ ბოგის მორს ეცა. მაგრამ სანამ კარს მოხურავდა, თვალში დისკზე დაწოლილი გაკრიალებული შავი ავტომატის მზის ათინათი მოხვდა. თითქოს გაუცვალაო, რევოლვერი ლაფაროში გაშხლართულის ჩექმებთან დააგდო და მის შავ იარაღს ლულაში წვდა. იარაღის სითბო იმდენად უჩვეულო იყო, როცა იქვე ორი მიცვალებული ეგდო, კინაღამ ხელიდან გაუვარდა. თავლაში რომ თავი დაიგულა, ვითომ ამოდენა ძელებში სიკვდილის სიცივე ვერ შემოატანსო, ნახევრად ფხიზელი გონება დაუბრუნდა და იმ მტკაველნახევრიან სარკმელს ეცა, ვითომ ბიჭებთან გაქცევას და მიშველებას აპირებდა, მაგრამ ღობესთან რომ თავდაპირველად ჩექმები დაინახა, ის გაახსენდა, ისევ იმ ადგილას მიასო მზერა, კვლავ ჩექმები დალანდა, ჩექმე-

ეროვნული

ბის პატრონი კი არც თავიდან შეუნიშნავს და არც ახლა ჩანდა. ღობე, მართალია, მომსხო წკნელისა იყო, მაგრამ მის მიღმა კაცი ისე მაინც ვერ უნდა დამალულიყო, ფეხების მეტი არაფერი გამოჩენოდა. საზღვარს შამბი და ბალახიც მიძალებოდა, მაგრამ ქათანაცარა, ოყრალუე და ცოცხა ბალახი ტყვიისაგან ვერ დაიფარავდა ხომ იცოდა. მაშინ რატომ უნდა ჩასაფრებულიყო იმ ფანჯარასთან, საიდანაც აგერ, თავლასთან გააგორეს კაცი და იქვე, ღობესთან ჩაწოლილი კი ვერ ჩააჩუმეს. აქეთ მოშვერილი ფეხები კი ჩანს და და სწორედ აქედან გაისმის ყველაზე მეტად სროლის ხმა და სახლის არც ერთი მინა მთელი აღარაა. ორი ზედა ჯერ კიდევ არ ჩამოცვენილა, მაგრამ ობობას ქსელივითაა დახაზული.

გერმანელი, ლუმელში თუ აგურების გროვაში შეწოლილი უნდა იყოს, რაკი ჩექმები კი არ დგას, წაქცეულია თუ წახრილი, ტახტზე თავდაღმა დამხობილმა რომ ფეხები ძირს გადმოკიდო, რაღაც იმგვარად.

ბესომ ავტომატის ლულის სარკმლიდან გარეთ გაყოფა მაინც ვერ გაბედა. თაროდან უნაგირი ჩამოაგდო, ზედ შედგა და როცა დაუმიზნა, მაშინ იგრძნო, რომ თურმე კანკალებდა.

„დავილუპები, დავაცილებ... გამოზოგებით უნდა ვისროლოო“, და შიშს, რომელიც ტანში გაჯდომოდა, წელან თავლიდან რომ „მასპინძელი“ გაისროლა, ისე მოუნდომა გაძევება, მაგრამ ეს უფრო გაჭირდა. იმ იმედით, ფილთა თოფით გაფრენილი მწერი ჩამომიგდია, ავტომატით ლობის გადაღმა იმოდენა მუტრუკს როგორ დავაცილებო, ჩახმახს ფეხი გამოუშალა და ავტომატი ხელში რომ სამ-ოთხჯერ შეხტა, სასხლეტს თითი აუშვა, ჩექმები აფხარკალდა და ყვირილს სროლის ხმაც მოჰყვა, მაგრამ ამჯერად თხის სამწყვდევ ბოსლიდან და სახლის წინა მხრიდან. ტყვიანაკრავს კი თითქოს ზევიდან ვინმე აწვა და წამოდგომის საშუალებას არ აძლევდა, ფეხებს აფხარკალებდა, რაც [illegible] დუნდა.

ამის შემდეგ ისეთნაირი სიჩუმე ჩამოვარდა, არც მტერმა და არც მოყვარემ რომ არ იცის, რა გზას დაადგეს. ბესომ იგრძნო, ეს დაბნეულობა უნდა გამოეყენებინა. მას ახლა ტვინი სტკიოდა და გულის ძგერასთან ერთად ყოველ დარტყმაზე საფეთქლებიდან გადმოლვრას აპირებდა. „აქედან სროლა ესმოდათ, მაგრამ თავლის უკან, ნაკელში რა მოხდა, არავის დაუნახავს, მომკლეს თუ მოვკალი, არავინ იცის... თუმცა ლობის ძირში ჩასაფრებული რომ ჩავაძაღლე, ეს ხომ დაინახეს... ახლავე... ახლავე უნდა გავიდე აქედან!“ — გაალრჭიალა კბილები ბესომ, წინა კარს მორი მოაცალა და ვითომ გავარდნას რომ აპირებდა, თავშესაფარს როგორც კი გაცდა, მაინც მოიკაკვა და ეზოში დაყენებულ, დატვირთულ ფორნამდე წელში ვერ გასწორდა.

ფორნის იქით „მასპინძლის“ სახლს მოფარება შეიძლებოდა, მაგრამ სახლთან რომ მიფორთხდა, წამოდგომა და გამოკეტილი კარის შეგლეჯა ვერ გაბედა. იატაკის ქვეშ შესაძრომს დაუწყო ძებნა.

იატაკის ქვეშ დაჩოქილიც კი ვერ გაიმართებოდა, მაგრამ ახლა გაჯგიმულ სიარულს არც აპირებდა. ფიცრული, განიერი კარის სარაზავში ცერის სიმსხო წვერწათლილი პალო იყო ჩარჭობილი.

სარდაფში შეძვრომა არ გაჭირვებია, მაგრამ კარი რომ მოიხურა, თავლასავით დაბნელდა და ოთხივე მხარეს შემოშენებულ ცალფა აგურში დატანებული ვიწრო, სათოფურებივით საჰაეროებილა ჩანდნენ. მეზობლის მხარეზე ასანთის კოლოფის სიგანე ნათელ ჭრილს ხედავდა და იქით მიფორთხავდა. მტვრით და მყრალი ნესტით, ფიცრებით, ჩარჩოებით, თუნუქებით თუ ყუთებით იყო ავსებული იქაურობა. არა და, არც ერთი უმნიშვნელო ხმაური, არც ერთი გაუფრთხილებელი ფეხის წინ გადადგმა არ შეეძლო, რაკი ზევითაც, ოთახში ვილა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცა უნდა ყოფილიყო კარჩაკეტილი და ხმაგაკმენდილი. თან უნდა ეჩქარა, რომ მტერს გონზე მოსვლა არ მოესწრო.

სარდაფის ვიწრო „სათოფურიდან“ კარგად ჩანდა მეზობლის სახლის ის ორი მხარე, რასაც თავლიდან ვერ ხედავდა. ამჯერად ბესომ კარგად დაინახა, სათხებოს სახურავში თავამოყოფილი გერმანელი, რომელიც ამ მხარეზე საფრთხეს არ მოელოდა, მაგრამ არა და არ ჩანდა მეორე, რომელიც სახლის წინა მხრიდან ისროდა. კაცმა რომ თქვას, იქ დასამალიც აღარაფერი იყო. ალუბლების ძირებში დაბალი, ხელის დადება, შემოდგომის მწვანე ბალახი და ყვავილნარი იყო. ბესომ ხის ტოტებში დაუწყო ძებნა მტერს, მაგრამ ალუბლები არც იმოდენები იყვნენ, კენწეროებზე კაცი დაემაგრებინათ და არც ხშირფოთლიანი.

სახლის ჩალეწილ წინა ფანჯარას შავად დაეღო პირი. ტყვიას მინები რომ ჩაემსხვრია, მერე ჩარჩოს ტიხარიც ჩაეტეხა.

ბოსლის თავზე თავამოყოფილი გერმანელი ავტომატს მჭიდეს უცვლიდა და ალბათ ადგილის გამოცვლასაც აპირებდა (ტანმა თუ უგრძნო), რაკი თვალი სულ აქეთკენ ეჭირა. მართლაც, ავტომატი რომ ქვევით ჩაუშვა და ნელნელა, ცივ წყალში რომ ფრთხილად ჩაყვინთავ, სუნთქვა არ შემეკრასო, სახურავში მხრები ჩაიტანა, მეზობელი სახლის სარდაფის ბნელი ჭრილიდან ცეცხლის ენამ გამოიხედა. მოწყვეტით ჩავარდა და საბძლიდან ზლართანის ისეთი დაგუბული ხმა მოისმა, წმინდა ნაფქვავით სავსე ტომარა რომ მაღლიდან სოხანეზე დაანარცხო. ამაზრზენი ის კი არ იყო, რომ კაცი მოკვდა და მკვდარი დაილეწა, ამ გასროლის პასუხად არავის კრინტი არ დაუძრავს. ბესომ შიშით კბილი კბილს დააჭირა, რომ მტერმა აღმოაჩინა მისი ახალი სამალავი და არ ესროლა. ვაითუ ისევ აპირებს წამოეპაროს, როგორც მან გააკეთა. ბესოს თავს ზემოთ რომ კატის კნავილი და იატაკზე მუხლით ფორთხვის ყრუ ხმა მოესმა, თავში ურო დაკრეს, ეგონა, მაგრამ ამ დროს მეზობელი სახლიდან, ბათინკებით მინების ნამსხვრევების ხრჭიალი მოისმა და ჩალეწილ, პირღია ფანჯრიდან მაიბოროდა გადმოფრინდა ყვირილით:

— ბესო, „ბერეგის!“

— პანკრატ, რას შვრები, კაცო! — უყვირა ბესომაც, მაგრამ მისი ხმა ყვავილნარში აგრიალებულმა ავტომატმა დაფარა და არ დაუნახავს როგორ მოხვდა ტყვია მაიბოროდას, რაკი მის წინ ჩამომტვრეული აგურების ნაფხვენები სახეში შეეყარა. თვალის მოხუჭვის ან დახამხამების დრო არ იყო, ტყვია კარგად მოვლილ ყვავილნარს დაუშინა, საიდანაც საყნიანი კაცი წამოვარდა. ერთი გაჯგიმვა მოასწრო და მოცელილივით ჩაწვა.

ბესოსთვის რომ ვინმეს ეკითხა, იმ ყვავილნარში ბეღურას არ შეუშვებდა, მაისამდე ბულბულებისთვის შეინახავდა.

## XII

სიცოცხლე — ეს ძველი და გაცვეთილი ცხოველური ინსტინქტი, ვერაგულად დარაჯობს ყველაზე გულად ადამიანსაც კი და ზოგჯერ ისეთ სილაჩრეს ჩაადენინებს, რომლის მერე კაცის არსებობას კაპიკის ფასი არა აქვს. სიცოცხლე თავისას მოითხოვს და სულ არ დაგიდევს შენს სიცოცხლეს აქვს რაიმე აზრი თუ არა. იგი დედამიწის მთელ სიგრძე-სიგანეზე მბრძანებლობს, რომელსაც თავისი ზუსტი საბრძოლო ამოცანა აქვს. — რადაც არ უნდა დაუჯდეს, გაიმარჯვოს! და შენ — მის ჯარისკაცს, არ გეკითხება, გინდა თუ არა ბრძოლა, დაიღალე, დაკარგე რწმენა და მიზანი. იქნებ აღარც სიცოცხლე გინდა? შენთვის რომ ეკითხათ, იქნებ ქვეყნად გაჩენაც არ მოგესურვებინა (ადამიანების უმრავლესობა ალბათ ასეც მოიქცეოდა). მაგრამ შენ იმის ნებით გაჩნდი და ამ ქვეყნიდან შენს ხუშტურზე წასვლა გაგიჭირდება. შეიძლება გაწვალდე, გაძაღლდე, გათახსირდე, ლუკმა პურისათვის ხიდის ყურში მათხოვრად დაჯდე და მა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინც ილარლილო. სიცოცხლე — მობარებული განძის კიდობანივითაა (მობარებული თურმე მგელმაც შეინახა) და ხშირად არც კი იცი ამ კიდობანში რა თვალ-მარგალიტია, მაგრამ დღედაღამ ერთგული ძაღლივით დარაჯობ. დარაჯობ. დარაჯობ სანამ ახალი ცვლა არ მოვა.

ბესო შლიგინ-შლიგინით გარბოდა ჯერ ტყე-ტყე, მერე თავის ნაცნობი ღელის ღარტაფში ცვითა თავი და მდინარისაკენ დაეშვა. გარბოდა და მიაძუნძულებდა ბრეზენტის ღვედით შეკრულ, დახოცილ მეგობრებისა და მტრის იარაღებს, რაკი კარგი იარაღით უფრო საიმედოდ შეგიძლია უდარაჯო „კიდობანს“. ვინც დაიღუპა, უნდა მიატოვო. მეგობარი იყო ის, სანამ გვერდით გიდგა და უდექი, და ამ მეგობრობით უკეთესად დარაჯობდით თქვენზე მობარებულ „განძს“ — სიცოცხლეს. როცა მას ეს აღარ შეუძლია, ზედმეტი ბარგია და გეძლევა ბრძანება, შენს „კიდობანს“ გაუფრთხილდე. შენი გულისტკივილის, ცრემლისა და ტანჯვისათვის არავის ცხელა.

არავის ესმოდა ბესოს კბილების მტვრევა და ზლუქუნი. ჯერ კიდევ ფრონტი თვალით რომ არ ენახათ, სადღაც, სოფლის წყალ-ტალახიან გზაზე დაიღუპა ელექტრონის მავთულებში გახლართული გაიდუკოვი, მერე კი დაბომბვისას — ასეულის მზარეული, მაგრამ ეს ბესოსთვის იყო მაინც ადამიანის დაღუპვა, მაგრამ ივანოვი და მაიბოროდა არ იყვნენ მხოლოდ ადამიანები, ან ჯარისკაცები და სად დატოვა დახოცილები და სად გარბოდა! მიცვალებულს სოფელი დაუმარხავს არ დატოვებსო ალბათ ამას ამბობდა წვერგაბურდული, ბაჩუნა, დარბეული სახლის პატრონი, როცა გალენჩებულმა ბესოიამ ადგილიდან დაძვრა ვერ მოისაზრა. ამასვე ანიშნებდნენ ღობეს მომდგარი დაზაფრული თითო-ოროლა მეზობლები, ცალი თვალი რომ გზისკენ ეჭირათ, მტერმა არ მოგვისწროსო, თორემ ბუნებისაგან მობარებულ „კიდობანს“ ხელიდან გამოგვაცლისო.

და უნდა დატოვო ამხანაგი, მეგობარი, ძმა, დედა და მამა, თუ ისინი სიცოცხლეს აღარ სჭირდება და უშველო შენს სიცოცხლეს, რომელსაც შენთვის ჩალის ფასი აღარა აქვს, მაგრამ „ვიღაცისთვის“ (ბაკური რომ „მოსეირეს“ ეძახის) აუწონავი ოქროს ღირებულება გააჩნია. გაქვს შენ ამის სურვილი თუ არა, უნდა ეცადო მეტი სიფრთხილე და მოხერხება გამოიჩინო, რომ, რაც შენმა მეგობრებმა დაკარგეს, მტერმა შენც როგორმე ხელიდან არ გაგაგდებინოს.

ბესოს გასაოცრად ასე მოიქცნენ სროლის ხმაზე საშველად წამოსული გულკეთილი და სათნო სემიჩასტნი, ოცმეთაურს ადევნებული ვიზგინი და რახიმოვი. ფერმის გასწვრივ რომ ფლატეში შემოხვდნენ, იარაღები ხელიდან გამოგლიჯეს და უკან მოკურცხლეს. ასევე მოიქცეოდნენ, ალბათ, თუ კინწურაშვილი სიცოცხლეს გამოესალმებოდა, ივანოვი და მაიბოროდა და გააგრძელებდნენ სიცოცხლეს — ამ რკინის, შეურყეველ, ულმობელ კანონს.

შებინდებისას ორი კაცით შემსუბუქებული, მაგრამ დარდით და ბოღმით კიდევ უფრო დამძიმებული ტივი მდინარეს ფრთხილად აუყვა სიცოცხლის გადასარჩენად და თავისიანებთან შესაერთებლად.

ნაშუაღამევს მდინარეს თავი ანებეს, რაკი შორიდანვე მოჰკრეს თვალი რკინიგზის ხიდზე დამცველ პროჟექტორებსა და აღმოსავლეთ ნაპირზე გადავიდნენ. ორიენტირი საძებარი არ იყო. რკინიგზის ხიდის მიღმა მტრის სამხედრო ბაზები და აეროდრომი უნდა ყოფილიყო, საიდანაც ძრავების განუწყვეტელი გუგუნი ისმოდა და იქიდან წამოფრენილი სიკვდილის მანქანები, ჭირში ჩავარდნილი ადამიანის გადასარჩენად რომ თავდაუზოგავად გაიქცევი, ფრონტის ხაზისაკენ ისე გამალებული ეშურებოდნენ. უკან მსუბუქად, მაგრამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დალლილი და ქანცგამოცლილი ბრუნდებოდნენ.

ლტოლვილებს გათენებამდე უნდა გადაეჭრათ რკინიგზის ლიანდაგი, რომ ხვალ დღისითაც შეძლებოდათ გზის გაგრძელება. რკინიგზას, სოფლის ორღობესავით უპატრონოდ არავინ მიატოვებდა, მაგრამ ხიდთან ახლოს დაცვა მით უფრო გაძლიერებული იქნებოდა და ახლოს ვერ გაეკარებოდნენ.

წუხანდელ წვიმას გზასა თუ ნაგზურზე, მანქანებით, ტანკებით, თუ ჩექმით ნაჩირხალებ, ბომბით თუ ბარით ამოთხრილ ორმოებში ჭენჭყობი დაეტოვებინა. ბნელში ფეხის დაცდენისას და წუმპეში ჩავარდნისას, ქალებს მაინც, სულ დაოთხილი უხდებოდათ ლაფიდან ამოფორთხება.

თამარი მთლად ხელიდან წავიდა, გიმნასტურის მაჯებამდე მოთხვრილი ხელებით ხოხვაც ველარ შველოდა, მით უმეტეს დანაბომბ ორმოებში აფეთქებისაგან გაფუებული მიწა წვიმას საპნის ფაფასავით ექცია, და თუ მაღლა ვინმეს არ მოებღაუჭებოდა, ისევ ორმოში მიცურავდა და ფეხებს და ხელებს მუხლის მიშველებაც სჭირდებოდა, რომ როგორმე ამოფორთხებულიყო, წინ წასულებს არ ჩამორჩენოდა; ამ კუნაპეტ ბნელში არ დაკარგულიყო და სიცოცხლე საფრთხეში არ ჩაეგდო.

ორი მეგობრის დაღუპვამ ჯარისკაცები დაბოლმა, დააშინა და სიმხდალემ ქალი გადაავიწყა, თუ ქალის ლოლიავის თავი დაუკარგა. მიზეზი იშოვა — მგლოვიარე ვარ, ძმები დავკარგე და შენი ბაზიერობა სადღა შემიძლიაო.

რკინიგზის მიწაყრილს თოფის ტყვიის მიწვდენა მანძილზე მისდევდნენ და ალბათ სანამ ტყეს არ გადაეყრებოდნენ, მანამ გაგრძელდებოდა ეს დაოთხილი ფორთხვა.

— ბესო, ოჰ, ბესო! — უეცრად ამოხდებოდა ენაზე კბილდაჭერილ, აღშფოთებულ ვალიას. თამარი ხელებს წინ იწვდიდა, სადაც იქ, ჩასავარდნი, ჩასაფლობი ან ფეხწამოსაკრავ[illegible] მაინც იყო.

— ჩქარა, ჩქარა! ნუ ზოზინობთ! — წმინდა ნემსივით გახვრეტდა ყურებს ვიზგინის წვიტინა ხმა; ან სადმე ჩაშავებული, მაინც ხორცსავსე, ზახარ კონოვალიოვის სტვენა და გინება; ტაშიბულათ რახიმოვის ტაჯიკური ბურდღუნი, რომლის გამგები აქ კაციშვილი არ იყო, თუ მუსა სულეიმანოვს არ ეყურებოდა თითო-ოროლა სიტყვა.

ბესოსი და ანატოლის თავიდანვე არაფერი ისმოდა. ისინი წინ მიდიოდნენ, თავისიანებს იმდენზე დაშორებულნი, მოულოდნელად მტერს რომ გადაყროდნენ, დანარჩენების ხმა და ჩურჩული შემთხვევის ადგილზე ვერ უნდა გაეგონათ.

ბაკური მთვარის ჩრდილივით შოლასლასე სენკა გორბატოვს მიყვებოდა და მისი, ცხვირით კვნესა და ოხვრა, (ტუჩი კბილით ეჭირა) ესმოდა იმად, რასაც თვითონ ფიქრობდა და განიცდიდა. თუმცა განცდა და ფიქრი არც დაერქმეოდა, რაკი არ იყო რაიმე, ერთმანეთზე გადაბმული, უწყვეტი, ლოგიკური ძაფი. ეს გავდა, ფიქრის, წვალების, სიკვდილ-სიცოცხლის დაწყვეტილ კრიალოსანის ტალახში ჩაყრილ მძივებს, ლაფში რომ ხელს ურევ და ალალბედზე რომელიმეს წამოედები:

„თამარი, რომელიც უკან მოფორთხავს, საძაგელი დასანახავია, მისი თეთრი მუხლები ცხენის ფლოქვებივით ტორავს ლაფს...

„მამუკა, თუ ახე ეწამა, რაც მას დღისითაც არ შეეძლო ორმო და მეწყერი დაენახა...

„ბიძა — ლუკა ამაღლობელი, გორბატოვივით კბილზეკბილდაჭერილი ახვლებს, რომ ჭლექის ჩხირები ვითომ შორს არ გაფანტოს...

„სისხლიანი საკაცე, რომელზეც მამუკა ესვენა... ახლა უფრო მცემს შედედებული სისხლის კლერტების ნაცნობ სუნს, ვინემ მაშინ, როცა ხელში მეჭირა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ნოშრევან არდაძის ჩანთა, ჩანთაში რომ მიდევს და დავათრევ ამ ჯოჯოხეთის გზაზე, ქმრის მოღალატე მარგალიტა ალხაზიშვილის საიდუმლო დღიურებით.

„თავდახრილი გუგუტა, არასოდეს რომ არ გახსენებს თავს, თითქოს შავი კუპრის ლაფი რომ დაფარავს და ამ ლაფიდან მაინც ნაკელზე ამოსულ ფურისულასავით გამოჩნდება...

„და თამარი... თამარი, როგორც ბორკილი, ძნელად მოსაშორებელი, შეუღეველი და მაინც გუგუტას გახსენება, სადაც სხვაა დასურათხატებული, არაფრით მსგავსი გუგუტასი, თავისთავადი, სრულქმნილი და მაინც ის, ვინც არაა და არც იქნება...

„ივანოვის ორად გაყოფილი ნიკაპი და მაიბოროდას გამჭოლი მზერა.

„სიბნელე, ლაფის ზღლა...

„გაფხეკილ ფარდაგგადაფარებულ ტახტზე წამოწოლილილი დედა, ფეხებზე რომ ძველმანები აქვს წაფარებული და ცალთვალწაჭუტული მამის სახის არც ერთი ნაკვთი რომ ღიმილს არ გამოხატავს, ჩათვლემილს მტკივანი ღიმილით დაცქერის და მაინც ფეხაკრეფით კი დადის...

იზილება ტალახი, ილესება გაფანტული ფიქრის კრიალოსანის მძივები, მაგრამ შენ ამ ლაფშიაც მაშინვე ხვდები, რომ ეს ამ ღამესავით შავი თვალები, თეკლასია. გოგოსი, რომელიც მამუკას უყვარდა, უყვარდა ისევე უსაზღვროდ, როგორც ამ სიბნელეს არ უჩანს დასასრული. უყვარდა ისე ბრმად, როგორც არ შეეძლო ბაკურის გუგუტა ყვარებოდა, როგორც ლეონს უყვარდა ხე და ბალახი, და როგორც არ უყვარდა ვატუტის, ან როგორც თავისი თავი უყვარს...

ტალახი, — რომელმაც შექმნა ყველაფერი, ლაფი და ტალახი — რადაც უნდა იქცეს ყველა და ყველაფერი, და ისევ გამოიძერწოს ახალი სილამაზე და სიმახინჯე, ღიმილი და გოლგოთა...

გასროლა, რომელმაც ბნელი დაფხრიწა, შორიდან მოისმა, მაგრამ ბაკურის რაკი იქ ბესო და ანატოლი იმყოფებოდა, ამიტომ ახლოს დაიგულა... ისედაც დაწყვეტილი კრიალოსანის მძივები ტალახში ფსკერზე დაიძირა. იწყებოდა ახალი, ბნელით მოცული სცენა. თოფი, რომელსაც კონდახი ლაფით ჰქონდა მოსვრილი, მხრიდან ჩამოიღო, როცა „თამაშს“ დაიწყებდა, იარაღი მარჯვედ სჭეროდა და ვინც ამ ბნელ ფარდიდან გამოვიდოდა, მისთვის პარტნიორობა გაეწია.

მტერმაც იცოდა, რომ ლიანდაგი ტყეში გადიოდა და მიუხედავად ტყისადმი მისი გულგრილობისა, მატარებლის მუდამ მინდორ-ველად ტარება არ შეეძლო. მით უმეტეს ეს გზა აქ ადრე, მისი პროექტის გარეშე გაიყვანეს და ახლა იძულებული იყო ფრთხილად ედარაჯა.

სემიჩასტნი და კინწურაშვილი აქლოშინებულები დაბრუნდნენ. ბესო კბილებს იმტვრევდა, რომ სიფრთხილე ვერ გამოიჩინეს და მტერი გაალვიძეს, რომელიც ახლა ლიანდაგების გასწვრივ ტყვიას მოკლე ჯერით უშენდა, რომ ფრონტის მთავარი სასიცოცხლო არტერია არავის გადაეჭრა. შორს, ხიდთან, ისევ იქნევდა პროჟექტორი ელვის გრძელ მათრახებს. ზეცა ისვენებდა. აძინძიხებულ ქვეყანას ღრუბლების გაუმჭვირვალე, ნოტიო ფარდა ეხურა.

ბესომ თოფი და ჩანთა დაყარა და გერმანული ავტომატით პირდაპირ ლიანდაგებისაკენ გასწია. სემიჩასტნის არაფერი უთქვამს, გრძნობდა ხაფანგში ფეხჩადგმული მგელი, თუ სხვა ხსნა არ იყო, თავისივე წვივს გადაიღრღნიდა, გულხელდაკრეფილი კი ვერ დაჯდებოდა. არავინ უწყის რამდენი ხნის მერე დაბრუნდა... იქნებ ნახევარ საათში, იქნებ უფრო ადრე, ან გვიან. ანატოლის გულზე ხელი დაადო თუ როგორ გააგებინა რა ამბავი მოიტანა, ხმა კი არ ამოუღია.

ქალები მოძებნა, გვერდით დაიყენა და როცა ისევ წავიდა, თან გაიყოლა. ლიანდაგებთან ახლოს ქვევით გაუხვია, მაღალ ჩირგვნარს მიეფარა, რომლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიღმა რკინიგზის, კაცის სიმაღლე მიწაყრილი და მიწაყრილზე თავშაქრის ტოლა თეთრი ქვის ნამსხვრევები ილანდებოდა. სათითაოდ გაანაწილა ყველანი, რომ ამ ჩირგვნარში გასაძრომები ჰქონოდათ, თვითონ ისევ ქალებთან დაბრუნდა და გაილურსა. ტყის მხარეზე უკვე იშვიათ, თითო-ოროლა გასროლას ყური მიუგდო. სადღაც მამლის ყივილი გაისმა, შორს გაჭიატებული ვარსკვლავივით, იმედიანად. სადღაც იყო მამალი, საქათმე, ქოხი, ცეცხლი და საჭმელი, ლოგინი... მაგრამ ზესოსათვის უიმედო იყო ქოხები და ფანჯრები, კერიები და ლუმელები. ის, ლობის ძირში ჩექმებგამოჩრილი მტერი ხომ ეზოში გამართულ ძველ ლუმელში შემძვრალი მოკლა. როგორ წარმოიდგენდა კაცს ლუმელში? ისე, როგორც გონებაგამჭრიახი მაიბოროდა არ მოელოდა, თუ ყვავილნარიდან სასიკვდილო ტყვიას დააყრიდნენ.

ორთქლმავლის ბუბუნი სანამ არ მოისმა, არავითარი სინათლე არ შეუნიშნავთ, ქშენასთან ერთად გაარჩიეს საცეცხლე ქვაბთან გაყონილი ნაკვერჩხლისფერი, დახშული სიწითლე. მატარებელი არც თუ დიდი რიდით და შიშით მოდიოდა, არც ნელა. თუ ორთქლმავალს და ვაგონებს ასეთი ხმაური და აურზაური მოსდევდა, არც ერთს მანამდე არ წარმოედგინა, პირდაპირ თავზე გადაუარათ, მაგრამ გადაიარა და ასე, ტყვიის მისაწვდენზე მიგრიალებდა, რომ ზურგზე ჩანთით, შაშხანით და გულზე ავტომატით დამძიმებულმა ზესომ ქალებს აქეთ-იქით მხრებში ხელი წაავლო და დანასავით პირბასრ, თეთრი ქვებით მოკირწყლულ ლიანდაგის მიწაყრილზე შეისროლა, შეჰყვა, გაწვა, იდაყვებით გაფორთხდა და რელსებს იქით, ორივე, ჩენჩოთი დატენილი ტომრებივით გადაყარა.

XIII

რკინიგზას, შარას, სოფელ-ქალაქს ახლოს გაუკარებლად, ტყე-ტყე, გაბურდულ ეკალ-ძეძვებში, ჭაობის ლელიანსა, ნაყანევსა და ეწერ-სტეპებში მგლურმა თრევამ და წოწიალმა ქალი და კაცი მოქანცა, გამოაშრო, ყველას დაუკარგა საკუთარი ხასიათი, ქცევა და სუნიც კი.

ქალები გაზუნზლა, კაბები ჩამოაფლითა და გიმნასტურები ოფლითა და მარილით გამოუთეთრა. იღლიებშიც კი, ჯარისკაცური, თუ ფორნის ცხენის ამჟავებული შმორის სუნი გაუჯდათ. ტილი და ჭუჭყი ფრონტული ცხოვრებისათვის არც ახალია და არც ძველი, ამისთვის ჯარისკაცი ღმერთს ვერ გმობს. ისედაც ჰყოფნის მიზეზი სოფლის სამდურავისათვის, მაგრამ აქ ყველაფერი ჩაახრეს და ჯოჯოხეთად აქციეს ქალებმა... თვითონ ხომ გაწამდნენ და ეცვნენ ჯვარს, მამაკაცებსაც სული ამოხადეს სადღაც, ტყის სიღრმეში მუხლჩახრილს არ შეგეძლო გიმნასტურა პერანგიანად, მკლავებიდან წაუძრობლად, გადმოგებრუნებია და სისხლისმსმელი პარაზიტები ცერის ფრჩხილებით გესრისა. საცვლის დახილვაზე რომ არაფერი ითქვას, ბარძაყების გულიანად დაფხანაც კი ყოველთვის არ ხერხდებოდა.

გამჭკნარი კენკრის, ძახველის, ან არყის ხის ქერქის ლეჭვით და წუწვნით სანამდე უნდა გეარსებ. იშვიათად, თუ პანტა ვაშლს კიდევ ჰქონდა შერჩენილი თხილის სიმსხო ნაყოფი, ქალები ხეს მაღლა ასასვლელად არ წაეკარებოდნენ. კონოვალოვის გარდა, ყველას იმ თითო მუჭიდან, რასაც თავის წილობაზე მოინაკვერებდა, უკეთესი გოგოებისთვის უნდა ეწილადებინა.

ამ „მშვენიერი სქესის“ გადამკიდე, ერთი, გულის მოსაოხებელი ღვარძლიანი გინებაც ჭირდა, რომელიც ჭირში ჩავარდნილს დედის ნანასავით ეფონება. ნათრევს, მშიერს, მიუსაფარს, ქანცგაწყვეტილს, ჩანთა, გალესილი მაზარა, ლაფმოდებული, ლანჩაავარდნილი და თასმით ან ღვლერჭით ამოკრული ბათინკებით თავისი და გერმანული იარაღის თრევა ისე არ უჭირდა, როგორც ამ ქალებისა, მართალია, მჯდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გასაოცრად, მამაკაცებზე ნაკლებ გამძლეობასა და ამტანობას რომ არ იჩენდნენ, მაგრამ მაინც ბორკილები იყვნენ; ხუნდები, რომლებიც რისკისათვის ხელფეხს გიკრავდნენ. სიქა ჩაქცეულს ბათინკები რომ დოლაბებად გექცეოდა, შარდისთვის ძეძვებში იმდენზე უნდა გადაგეხვია, ისეთ სიმყუდროვეში, ჩიტის სუნთქვა რომ ისმოდა, წყლის თქლიშინის ხმა მათ ნაზ სმენას არ მიწვდენოდა...

ქალები რამდენად გაურყვნელი და ხელდაუკარებელი იყვნენ, იმდენად ბოჭავდნენ ყველას, ვისაც ისინი უყვარდათ თუ არ უყვარდათ, ერიდებოდნენ და ელოლიავებოდნენ, რაკი ეს ტლუ, რეგვენი გლეხი ეკრძალებოდა; ბაკურს კი, მათთვის გაუგებარ ენაზე, თამართან ისე ღრმა და სერიოზული საუბარი ჰქონდა, ქალის გადამტკიცულ შუბლს ნაოჭებს უჩენდა. სემიჩასტნიმ ხომ ეს სიწითლე, როგორც ცხვირს ვერ მოიცილებ, ისე ვერ მოიშალა და ყველანი ამ სახადივით გადამდებ უხერხულობის, თუ მოკრძალების წუმპეში ჩაცვივდნენ. ბოლომა აღრჩობდათ და სული კბილით ეჭირათ, რომ არ ებლავლათ და არ ეგინებინათ.

არავის, არავის არ შურდა ბესოს და ბაკურის ბედი, რომ დღეს არა, ხვალ, ამ ქალებს გვერდით მოიწვენდნენ და თავზე რკინის უხეში მუზარადების მაგიერ, ბუნების უმაღლეს გვირგვინს დაიდგამდნენ. პირიქით, ზიზღნარევი სიბრალულითაც კი უცქერდნენ, რომ მათ ასეთი მოვალეობაც აწვათ მხრებზე, რისგანაც, მადლობა ღმერთს, დანარჩენები თავისუფალნი იყვნენ. მაგრამ მათ ეჩქარებოდათ, როგორც დაღლილს მძიმე ტვირთის მხრებიდან მოცილება, სული მისდიოდათ, მომხდარიყო მოსახდენი. თუნდაც იქვე, მათ თვალწინ წამოექციათ, რის შემდეგ. დამდაბლებული და შერყვნილი იქვე, ჩამხმარ ბალახებში, მორზე, ან ბუჩქისძირა ნეშოში ჩატოვებდა მისდამი კრძალვას და რიდს.

გულის ამრევი და ზიზღისმომგვრელიც კი იყო ახლა ეს პატრიოტიზმი და ნამუსდაცულობა, როცა ციდან სიკვდილი წვიმდა, მიწაზე ცოდვის კუპრში ხოხავდნენ და ყოველ წამს შეიძლებოდა ფეხი ნაღმზე დაგედგა, ან ავტომატსა და ტყვიამფრქვევს დაეცხრილე. მაგრამ ამიტომაც ხომ არ ჭირდა დაენგრიათ ეთიკის მონაჩმახი ზღუდე, რამდენადაც მას ასე ხელშეუვალად იცავდნენ იქ, სადაც მისი დაცვა ყოვლად სისულელე და გაუმართლებელი იყო?

არა და არ ჩანდა საშველი, ვითომ რა ძალის და ღონის პატრონებიც იყვნენ, იმაზე მეტს აკეთებდნენ. დღე და ღამე, ქვეყნის ნამალავად, მიიწევდნენ აღმოსავლეთისაკენ და უკვე აღარავინ ფიქრობდა, ფრონტის ხაზზე როგორ გადასულიყვნენ. ჯერჯერობით როგორმე იქამდე უნდა მისულიყვნენ, როგორმე დასწეოდნენ თავისიანებს და ხვალისაზე ხვალეს ეფიქრა. მაგრამ რამდენს ესენი ტყე-ველში უჩამიჩუმოდ, ხოხვით და ფორთხვით წინ ინაცვლებდნენ, იმდენს მტერი თვითმფრინავით, ტანკით, მანქანით და მოტოციკლით მოიწევდა და დასაბომბად მათ თავზე გადავლილი მტრის თვითმფრინავების მისვლა-მოსვლაც შეიძლებოდა ევარაუდათ, რომ მანძილი ხაზამდე დიდად არ შემცირებულიყო.

ივანოვის და მაიბოროდას დაღუპვით დადევნებულმა შიშმა, რომ სოფელში მტერია, მანამ აწოწიალათ ქოხებისაგან თვალმიუწვდენელ მანძილზე, სანამ ივანოვისა და მაიბოროდას ბედი შესაშური არ გაუხდათ. ბოლოს მაინც სოფლისკენ გაუწია ძლივს მფეთქავმა გულმა, როგორც მშიერი მგელი რკინის სუნს გრძნობს, მაგრამ მისატყუარის მადისმომგვრელ სუნს ხაფანგისკენ მიჰყავს.

— კი, უკაცრიელი სოფელი ჩანს.. — დათანხმდა სემიჩასტნი.

— ახლა კიდევ უკაცრიელი! — ამოისტვინა თვალებჩამქრალმა კონოვალოვმა, რომელმაც ზედმეტი ხორცი ვერც ამ შიმშილით და ძაღლური წან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წალით ვერ მოიცილა და საბრძოლო საჭურველივით დაათრევდა.

— მერე, არის ასე დედაბუდიანად გადაბუგული სოფლები? — იკითხა ჩამწვარი სანთელივით ფერმიხდილმა გორბატოვმა, წუხანდელი ყინვა რომ აგონდებოდა, კბილებს აკაწკაწებდა.

— რამდენიც გინდა — „დაამშვიდა" ანატოლიმ და დარუჯული ტანკებით, ქვემეხისა და ფორნის ბორბლებით, ყუმბარებით დათხრილი სანგრის პირას დაპობილი მუზარადებით და მაზარების ნაკუწებით მოფენილი დიდი ველის მიღმა, ტოტებისაგან განძარცვული ნაძვნარის იქით, თეთრად გაჭიატებული ქოხის ნანგრევს თვალი გაუშტერა.

— იქამდე, ამ ბათინკებს, ახლებიც რომ იყოს, მაინც ფსკერი გავარდება! — ამოიწვიტინა ვიზგინმა და ლანჩაგავარდნილი ფეხი რატომღაც ბესოს მხარეზე გაწვადა.

— ჯერჯერობით არ ვიცით, სოფელი მთლად გადამწვარია თუ კიდევაა იქ ვინმე სულიერი! — მეთაური ვერ დაპირდა სულწასულ ჯარისკაცს, რომ იმ ქოხის ნანგრევებთან თავშესაფარს მისცემდა.

— ბესოს ვინ წაყვება? — იკითხა ანატოლიმ მორცხვად, რაკი თვითონ იქამდე რომ მიეღწია და იქ დასარჩენი პირი არ ჰქონდათ, უკან მობრუნებას ვერ შეძლებდა.

— მე რა ვიცი! — ამოისტვინ-ამოიგმინა ყვითელ წიწვებზე მედუზასავით გათხაპნილმა კონოვალოვმა და მაინც ბაკურის შეხედა. სხვებმა ვითომ კონოვალოვის მზერას გააყოლეს თვალი, ყვავს რომ აფრენა უნდოდა და ხელის აქნევას უცდიდა: „რას იზამთ, რაკი ამაღლებული სიყვარულისთვის გცხელათ, აგერ ბურთი და მოედანიო".

ჩანთაზე მიმხობილი ბაკური მწუთხე ღიმილით წამოდგა და პირში ხმელ ბალახგაჩრილ თამარს გადახედა, რომელსაც ეს ღიმილი გადაედო, მაგრამ ვერ გაითავისა. გადაედო ისევე მწუთხედ, როგორც ბაკურიმ დამართა.

— არა, მე წამოვალ, ბესო, მე! — ყველას გასაკვირად მკვირცხლად წამოდგა ვალია და თითქოს იმით გაამართლა თავისი წინადადება, რომ მთელი ჩექმები ეცვა. ვიზგინის გაწვდილ ბათინკთან ნაბიჯი გადმოდგა.

— არა, მე!.. — ვითომ ითაკილა ტაშიბულათ რახიმოვმა ქალისაგან მამაკაცის აბუჩად აგდება.

მუსა მუხლზე გადალლეტილ გაფხიკინებულ შარვალს ქამრის აბზინდის ენით ხვრეტდა და ნახვრეტში წვერდანერწყვებულ რამდენიმეფა ძაფს უყრიდა, რომ ორ-სამ ადგილას გამოენასკვა და ყოველი ნაბიჯის გადადგმისას წუნწუხისფერი საცვალი არ გამოჩენოდა.

— რატომ, შენ?! — გაიკვირვა კონოვალოვმა და რახიმოვს ალმაცერად გადახედა, — ვალია რომ წავიდეს... — თან თვალი ჩაუკრა: ერთად ყოფნა მაგათაც ეამებათ და ჩვენც სულს მოვითქვამთო.

ტაშიბულათმა: თუ მაგათთვის ასე სჯობს ხელს არ შევუშლიო, აილო და რაკი თავისი მამაკაცური ვალი მოხდილად ჩათვალა, მუხლებში ცელგამოსობილივით თავის ფეხებზე ჩაჯდა.

XIV

სოფელი ცეცხლის ხაზში მოჰყოლოდა და მტერსა და მოყვარეს საძირკვლამდე დაენგრია. ირგვლივ ჩაშავებულ ნანგრევებში ფეხზე ხუთიოდე საკვამლე მილი იდგა გარედან ისე გარუჯული და გამურული, თითქოს ვინმეს მაზარის სახელოსავით გადაებრუნებინა და გამჭვარტლული შიდა პირი გარეთ მოექცია. ხეებიც კი დაეხოცათ: მიწაზე ან დაუმარხავი მკვდრებივით ეფინა, ან რომელსაც ფეხზე დგომა კიდევ შეეძლო, ტოტები სახსარში მომტვრეული მკლავებივით ჩაეწვართა ტყვიებისაგან დაკაწრული და ნაფოტახლეჩილი... ჭის გვიმის სახურავიც გადაეგდო აფეთქების ტალღას და მიშორებით ქარისაგან მოტაცებული ფართოფარფლიანი ქუდივით ეგდო თავდაღმა ჩამხობილი. ჩაფენილ ლობეებზე გადავ-

ეროვნული

ლილ მძიმე მანქანებს ლატანები ჩაემსხვრიათ და მიწაში ჩაეჭეჭყათ. ჭურვებით, ნაღმებით და ბომბებით გადახნული ეზოები, ბაღები და ბოსტნები მტრის და მოყვრის სამხედრო საჭურველის ნამუსრევით იყო მოთესილი.

სოფელი სიცოცხლეს ძვირად შეელევია, და რაკი მისი მიწის პირისაგან ალგვა მოენდომებიათ, დიდი მსხვერპლი მოეთხოვა.

— ბესო!... — ჩაიჩურჩულა ვალიამ და წელში გაიმართა. როგორც დიდი ხნის წინ დაფლეთილი, გახრწნილი მტრის ჯარისკაცი საშიში აღარაა, ისე ამ სოფელს სიცოცხლის ნიშანწყალი აღარ ეტყობოდა.

დაღუპულ ჯარისკაცს მტერი ან მოყვარე დამარხავს. მკვდარი სოფელი კი აგდია გულაღმა უსაფლავო მიცვალებულივით და ჩამქრალი საკვამურებით ზეცას მიშტერებია ჩუმი, უკიდეგანო საყვედურით: თუ მისი სიკვდილიც კაცივით შეიძლებოდა, რატომ იყო იგი დაღუპულ ადამიანზე უბედური და მისი დამარხვა არ ხერხდებოდა?..

— ვალია... — უპასუხა მოგვიანებით ჯარისკაცმა და ტოტებდალეწილ ხის ტანს მიყრდნობილ ქალიშვილს სოფლის მხრიდან აეფარა. ვალიას ცალ ლოყაზე ძლივს შესამჩნევი ფოსო ჩაუღრმავდა: „ამ უკაცრიელ სოფელშიაც მტრის ეშინია ისე დაზაფრა და დაამწუხრა ბიჭების დაღუპვამ...“

— ვიცი, ბესო... — თავი ოდნავ დაუქნია და დაშაშრულ სახეში შეაჩერდა. ახლა თვალნათლივ ჩანდა კინწურაშვილის მაგარი ყბის ძვალი და ერთმანეთზე გადაბმული ჯაგარა წარბების ქვეშ, ორჯერ დიდი თვალები, პირველად კაზარმასთან რომ დაინახა. ქალი უცქერდა არა მადლობით, ან კმაყოფილებით, არამედ იმედით და რწმენით. არაფერი ისე არ სჭირდება ადამიანს ადამიანისაგან, როგორც იმედი. რაკი ორივე თვალით ხედავს, რომ თვით მარადიული და უკვდავი მიწაც კი უძლურია და ვერ უმკლავდება თავზე დამტყდარ წარღვნას. კვდება სახლი, ხე, აგური და ლობე, ვითომ უსულო და [illegible] შენ — ადამიანი, მუშტის სიმსხო ბელტი რომ სულს გაფრთხობინებს, რამ უნდა გადაგარჩინოს? იცი, აქ ბესოს მაგარი ძვლები, ან გორბატოვის ციებისაგან დალეულ-გამხვლეული მკლავები რას დაგიფარავს, როცა ხელის დადება სისქის ჯავშნიანი ტანკი, აგერ, გვერდგამობდღვნილ ქოხთან, მუხლუხო მოგლეჯილი, გადაფერდილი საქათმესავით გდია. ერთადერთი, თუ აქ რაიმე გაძლებინებს — ადამიანის რწმენაა, რწმენა იმისა, რომ შენს არსებობას მისთვის, მიუხედავად იმისა, რომ ასე გაუფასურდა სიცოცხლე, მაინც აზრი აქვს. შენი არსებობა, რომელიც შენც მოგბეზრდა და შეგზიზღდა, მხოლოდ იმდენადაა აუცილებელი, რამდენადაც ეს ვინმეს სჭირდება, მხოლოდ ამდენად შეიძლება გაუფრთხილდე მას, რამდენადაც ამას ვინმე გავალებს, ან შენგან მოითხოვს.

ერთ კვირაზე მეტია, რაც ისინი რკინიგზას გადმოსცდნენ და ქალს ახლაც დალურჯებული აქვს მკლავი, ბესომ რომ ხელი წამოუსვა და ლიანდაგზე შეაგდო, მაგრამ ვალიას, კაცისაგან ამაზე ალერსიანი მოპყრობა ოცნებაშიაც არ მოლანდებია. და იმ დროს, როცა სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა, ისეთი ქალური ვნება გაუჩნდა, თავისი თავის შერცხვა. თითქოს სასურველ მამაკაცს ფოლადის ცივ რელსებზე და პირბასრ ქვებზე კი არ გადაეთრიოს, არამედ თბილი, ბუმბულით მოგებულ ლუმელის თავზე შიშველი დაეგორებინოს. ალბათ, თუ ეჭვი და ორგულობა გულს გიღრღნის, ბუმბულზეც შეიძლება სიცივემ დაგაზროს, და თუ ერთგულება და რწმენა გათბობს, ვნება რელსმაც და ლოდმაც ვერ ჩაგიქროს.

— ვალია?.. — ჰკითხა ბესომ.

ქალმა თავი დაუქნია: თუ აქ თავის შესაფერებელი რამ მოიძებნება, ამ არემარეზე არც მტერსა და არც მოყვარეს აღარაფერი ესაქმებაო.

— ბესო! — მხარზე ხელი მოუთათუნა ქალმა, რაც ბესოს თავდასხმასა და მათთან შეჯახებასაც იმ ადგილას ცეცხლს

მოულოდნელად ყინვაშიაც იმ ადგილას ცეცხლს

ეროვნული ბიბლიოთეკა

უჩენდა, სადაც ვალია შემთხვევით თუ საგანგებოდ ხელს შეახებდა. ახლაც მხარზე თბილი ქრქოლა გაუჩნდა და მის მეორე, გაწვდილ ხელს თვალი გააყოლა. ისინი გრძელი დიალოგების მაგიერ მუდამ ერთმანეთის სახელს წარმოთქვამდნენ და დანარჩენი უსიტყვოდ ესმოდათ. ალბათ ეს იყო, რომ კინწურაშვილს ამ ქალთან ცოცხალი თავით ვერაფერი დააშორებდა.

— ჰო, ვალია. — ბესოს ტუჩის ორივე მხარეზე ღრმა ნაოჭები ჩაუღრმავდა და პირი მოერღვა.

— ბატები...

— ბატები... — ქართულად გაიმეორა ქალმა და ორივემ წუთით ისეთი შვება იგრძნეს, თითქოს ეს დაქცეული სოფელი მკვდრეთით აღმდგარიყოს.

სოფლის განაპირა გუბეში ორი ნაცრისფერი ბატი ნება-ნება დაცურავდა. გამდინარე წყალი რომ ყოფილიყო, დამნახავს ფიტულები ეგონებოდა.

ვაჟს სახე მოეღრუბლა: თუ ცოცხალი ბატები ჰყავთ, აქ კიდევ ვინმე ყოფილაო და ვალიას ანიშნა, ჩაიმუხლეო.

დაიმედებული ქალი, რომ ამ ნანგრევებში შეიძლებოდა ცეცხლის დანთება და ღამის გათევა, მხოლოდ ბატების დანახვამ ვერ დააფრთხო, წელში ისევ ვერ მოხარა.

„მაშინ შენ ამ ხესთან დარჩი და მე მივივლ-მოვივლიო“, ბესომ გულზე დაკიდებული, გერმანული ავტომატი ჩამოიღო (გარეგანი შავი, პრიალა ფერი და პეწი რომ დაჰკარგვოდა), ხელში დაიჭირა და წაიხარა, ჩალეწილ ღობეებს რომ გუბურის მხარეზე გაჰყოლოდა, მაგრამ ქალი მაშინვე აედევნა.

— ვალია!.. — მოხედა ბესომ.

ვალიას ბაგეზე გამკრთალმა ღიმილმა: უშენობას შენთან სიკვდილი მიჯობსო, ჯარისკაცი თითის წვერებზე შეწკიპა და ასი ყური და თვალი გამოასხა.

ერთადერთ ქოხს, ჰურვს აივნის მხარეზე რომ გვერდი გამოენგრია და ღობესთან დამწვარი ტანკის შავ კვამლს ცალი კედელი გაემურა, თავი შეაფარეს. ერთიანად მინებჩამოლეწილ ფანჯრიდან ისევ გუბურას გახედეს. ბესოს თვითონვე გაუკვირდა, ისე უჩუმრად როგორ შემოვიპარეთ, ფრთხილ ბატებსაც არაფერი გაუგიათო.

ვალია, შავფერფლდადებულ სკამზე ჩამოჯდა, თავი ალიზის, ერთ დროს შეთეთრებულ, ახლა შემჭვარტლულ კედელს მიაყრდნო და დიდი ხნის შინიდან წასული ქალი რომ დაღლილი ქმარშვილში დაბრუნდება, განშორებას ოჯახი ერთი-ორად რომ სანატრელი გაუხდია, ისე ამოიხვნეშა.

მაგიდა, ღუმელი, კედელში დატანებული ორთაროიანი წალო, რომლის ძირში დამსხვრეული თეფშები და თუჯის ვიწრო ძირიანი ქვაბი ეგდო, ჩამოვარდნილი კარი და პირღია, გამონგრეული კედელი, საიმედოს არაფერს ამბობდა, მაგრამ ამ უმინო, თამასებჩამტვრეულ ფანჯარაზე გაწყვეტილ ზონარის ნახევარზე ნაქარგი ფარდის ცალი ფრთა ეკიდა, რომელიც გაპარტახებულ სახლ-კარს სტუმართმოყვარე დიასახლისივით შერჩენოდა და ზედ, გულუბრყვილო, ფერადი ორნამენტები კერიაზე დარჩენილი ნაკვერჩხლებივით ენთო.

ვალიამ თავი გააქნია:

— მეტი აღარ შემიძლია...

ბესომ პასუხად ღუმელის კარი გამოაღო: ღმერთმა ნუ იცის გერმანელების თავი, შიგ არავინ იყოსო.

მეზობელ პატარა ოთახში, სანამ აქ თავს შემორგავდნენ, მანამ შეიჭვრიტა ჩალეწილ, მომცრო ფანჯარაში, ახლა აქედან გამავალი ფიცრის გულებიანი კარი გამოსწია, ზედ მიყრილი გამოგლეჯილი კედლის ნანგრევები რომ გამოღებას უშლიდა.

მეორე ოთახი იმდენად პატარა იყო, უთუოდ სიმცირემაც იხსნა, დაბზარული კედლები მთელი შერჩენოდა და რკინის საწოლზე ძველი, საკერებელდადებული თივის ლეიბიც კი ეგდო. ერთადერთ, კარებმოფელილ, შავ-მოწითალო კარადაში საკიდებად შუა წელში თასმაჩაბმული ცერის სიმსხო ჯოხები ჩანდა, ზოგს ერთი ბოლო ჰქონდა აღმა გაქცეული და ზოგს მეორე.

ეროვნული

დაფენილი ლობეები, გვერდგამონგრეული სახლი, რომელსაც თუნუქის სახურავი ჰქონდა და ალბათ დაწვას ამანაც გადაარჩინა, პატარა ოთახი, ეზოში დამწვარი ტანკი, არც თუ ისე შორს გუბურა, ორი ბატი და ჭა, დარბეულ ბოსტანში ჩარჩენილი ჭარხლისა და სტაფილოს ძირები, თუ „სტუმრებს" ვინმე ტყვიებს არ დაუშენდა, ცუდი მასპინძლობა არ ეთქმოდა. არას მქონებლისთვის მთელი სიმდიდრე და უბედურისთვის ბედნიერება იყო.

## XV

შიშზე, ჯერ სიბნელემ, მერე შიმშილმა და ბოლოს, როცა პირი ბატის ქონით მოიზუნზლეს, ძილმა გაიმარჯვა. ჩალა და თივა, რაც ფანჯრებისა და გამორღვეულ კედლის დაგმანვას გადარჩა, სოხანეზე დაყრილ ჯარისკაცებს ნაალაფარივით მიეტაცებინათ და გარეთ მოდარაჯე ბესოსა და სკამზე ჩაძინებულ ბაკურისათვის ერთი მუჭაც არ დაეტოვებინათ. ალბათ დამშვიდებული სინდისით ჩასძინებოდათ, რომ ამ „საყვარლებიან ვაჟბატონებს" გამთბობები და გამრთობები კედელს იქით მომცრო, იატაკიან ოთახში ლეიბიან საწოლზე ეწვათ და ნეტავ რა დღებედნიერს უცდიდნენ, მაინცდამაინც ჯვარდაუწერლად რომ არ აპირებდნენ ქალთან მიახლოებას? სახლი მაინც ეწვოდათ და ხელი გადაეთბოთ. არც ის უნდოდათ, ბესო რომ ქალებისათვის თუ დალუპული მეგობრებისათვის თავს ისჯიდა და ყველას მაგიერ ყველაფერს აკეთებდა. არც იმას ავალებდნენ სახლის ლაფაროში, ლობის ძირას, თუ ტანკის მუხლუხოებს მოფარებულს, დილამდე ედარაჯა, მაგრამ არც ის მოსწონდათ, რომ ბაკური სხვაზე მეტს არაფერს აკეთებდა.

იცოდნენ, კინწურაშვილი უნდა შეეცვალა ვინმეს, რაკი მთელი ღამე, ყინვაში თვალებდაჭყეტილი ყურყუტი გაუჭირდებოდა და ყურადღება მოუდუნდებოდა, მაგრამ სხვაზე უწინ ბაკურის უნდა შეეცვალა, რაკი მეორე ქალი მისი საკუთრება [illegible] ვისაც „მეთაური" დაასახელებდა, მაგრამ იმის იმედიც ჰქონდათ, რომ სემიჩასტნი უწინ თვითონ აიძურწებოდა და ფეხაკრეფით გაილალებოდა, ვინემ ვინმე მძინარე ნატანჯ ჯარისკაცს წამოადგებოდა.

ბაკური ჩარჩოზე აყუდებულ, ჩამოვარდნილ კარში გაძვრა და გარედან, როგორც მოახერხა, ისევ მოაყუდა, რომ ღრიჭო არ დაეტოვებინა.

ნასოფლარს მკრთალი ნათელი ადგა. ჭირხლს ვერცხლის სირმით დაეფარა დასახიჩრებული სოფელი და ჭრილობები სახვევებით დაებანდა. ნამძინარევმა მაზარის საყელო აიწია და ცხვირი გულისპირში ჩამალა. არავინ იცოდა, რა დრო იყო.

სახლს ფეხაკრეფით შემოუარა. ბესო არსად ჩანდა, რაკი ყველაფერს ჭირხლის თეთრი, თხელი ბლონდი ჰქონდა გადაკრული, რუხმაზარიანი ჯარისკაცის გარჩევა არ უნდა გაჭირვებოდა.

ტბა ცისიერს ცაზე უფრო ნათელი გაეხადა. მის ნაპირებზე გადავლილი ომის გრიგალის ზუსტი ანარეკლი თავდალმა თვალნათლივ ჩანდა. გაღმა ნაპირზე წელჩალეწილი ფორანი გდებულა, ახლა რომ მისი თვლების ფერსოებში გაყრილ ყოველ სოლს დაითვლიდი და ხელნაზე შერჩენილი ღვედის ნაგლეჯი რა სიგრძისა იყო, შეგეძლო გევარაუდა. ხეს, რომელიც ამ გუბურის პირას ვინ იცის, რამდენი წელიწადი იდგა, ახლა ასე ნაჯიჯგნს და ნამუსახდილს წყალში თავდალმა დგომა თითქოს უფრო შეეფერებოდა. გაღმა ნაპირის უსწორ-მასწორო მიწაყრილები, თეთრ ქაღალდზე რომ ბავშვი მთების დახატვას მოინდომებს და მთები მხოლოდ შავი ფერისა წარმოუდგენია, წყლის სარკეში ასე მინიატურული ქედის გულუბრყვილო პეიზაჟს ჰგავდა. ნამეხარ მუხაზე დაბუდრული ყვავი წყალში გულაღმა — მოტაცებული ვარიასავით ეკიდა ხმელ ტოტზე.

მყუდროება, რომელიც წყლის სარკეს გლუვსა და მყიფეს ხდიდა, ადვილად

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაგარწმუნებდათ, რომ ამ მკვდარ სოფელში ისე არავის ესაქმებოდა, როგორც ძველ სასაფლაოზე...

— ბაკური! — მოისმა ჩურჩული ჩალით ამოქოლილი მომცრო ფანჯრიდან, — შემოდი, მანდ ნუ დგახარ!

ციცქნა ოთახიდან უკანა აივანში გამომავალი კარი იოლად და უხმაუროდ შეაღო, მაგრამ თხელი ფიცრის იატაკმა ფეხის შედგმისთანავე გაიჭრიალა.

— აქ სიფრთხილე არ ხერხდება... — თავი კი არ იმართლა, ახსნა ის, რაც მოხდა.

— ვალია ბესოსთანაა. ქართულად ილაპარაკე! — აუხსნა თივის ლეიბზე უთავსასთუმლოდ, მაზარაწახურულმა თამარმა.

— ტბაში, მძინარე ერთი ყვავის გარდა, არაფერი ჩანს.

— ტანკში უნდა იყვნენ.

— ტანკში — სანთიობო?!

— სანთიობო... ეს სადაც ახალ ჯვარდაწერილები პირველ ღამეს ათევდნენ?

— კი... და არ მოგწონს?

— თითქოს შესაფერისია...

— მაგრამ ხომ უნდა მოფიქრება?

— ღმერთმანი...

— ეს სიკვდილისათვის მოგონილი მანქანა ბესომ შეიძლება სიცოცხლის დასაბამად აქციოს.

— როგორც ირგვლივ სიცოცხლისათვის აგებული სახლები სიკვდილის მანქანებად ქცეულან... ნუ დგახარ, საწოლზე ჩამოჯექი... — ქალმა ჩექმებიანი ფეხები კედლისკენ მიაჩოჩა.

— შეიძლება აქ წამოვწვე კიდეც?

— რა თქმა უნდა...

— და რამდენად ეს საწოლია და არა ტანკი ან ზარბაზანი, ეჭვი არაა, უბიწონი დავრჩებით.

— შებრუნებული, პირუკუ კანონის თანახმად.

— თუმცა ჩვენთვის იატაკიც ფუფუნებაა, და საწოლი მეტისმეტი ხომ არაა?

— ამ თივის ლეიბსა და იატაკს შორის რომ რაიმე სხვაობა იყოს...

ქალის ცივ, მშრალ აზროვნებას ვნების ნატამალი არ ეცხო, მაგრამ ნელ-ნელა ჯერ კედელს მიაწვა, მერე გადმობრუნდა და გადაბრუნდა. ისედაც კედელს მიკრული, ისევ აეტმასნა, რალაცას წვალობდა, ჯახირობდა და თითქოს განგებ უხეშად აჭრიალებდა ისედაც მონჯღრეულ, ჟანგიან საწოლს. თქმით არაფერი უთქვამს, ბაკური მიუხვდებოდა და ამ საჩოთირო საუბარს თავი აარიდა. გაწამებული ჯარისკაცები თავიანთ გვერდით ჯარისკაცის ცოლს მოითმენდნენ, გაუწვდიდნენ ხელს და ჭირზე ჭირს დაამატებდნენ. ახლა აქ რაინდობა პირფერობას ჰგავდა, სადაც ალბათ ნანგრევებში ბავშვების გვამები ისევ ეყარა. ქალი — ოცნებაა, ქალი — შთაგონების წყაროა, აქ ზიზღს და გულისრევას იწვევდა. ქალი თუ ცოლია, რომელიც გათბობს, გირეცხავს და გიკერავს, რომ ტილმა და რწყილმა სისხლი არ გამოგწოვოს, გიხვევს ჭრილობას და შენს გვერდით ჩახმახშემართული თოფით დაუწუწუნებლად მოაბიჯებს, ისიც ჯარისკაცია. პუტავს ბატს და ხარშავს, რომ სული ჩაგიბრუნოს და დამწვარ ტანკს შიშით კი არ უყურებს, უყურებს როგორც ქოხს, სადაც გაშიშვლდება და უცებ ცხელ კალად იქცევა. ცივ რკინებში დაიღვრება სითბოდ და ალერსად, რომ ქვეყანაწართმეულს და თოფის სანიშნეზე დასმულ ლტოლვილს მიწა და სიყვარული წუთით მაინც დაგიბრუნოს. საოცნებო ისედაც ბევრია: თავისუფლება, დედა, სახელი, საქმე ლოგინი და სადილ-ვახშამი, წიგნი და თეატრი, რაც შორსაა, რაზეც ხელი და თვალი არ მიგიწვდება. აქ, შენ, ჩემს გვერდით იყო, ვისაც შეგიძლია წუთით მაინც დამავიწყო კუპრში რომ ვიხარშები და შენზეც ვიოცნებო? ბუმბული არ მიგია, ტანკში ოცდაოთხი გრადუსი სითბო არაა და ვერ გავშიშვლდები?! ბუმბულზე ვოცნებობ, სითბოსა და ჭერისთვის ვიბრძვი, ესენი რომ მქონდეს, დავწვებოდი და შენი სიზმრად ხილვაც მეყოფოდა! კაცმა რომ თქვას, თუ ზმანებად აპირებ დარჩენას, მე შენზე ფიქრი უშენოდაც შემიძლია. შენი გულისათვის, ისედაც განწირულმა, რომ ყოველ წუთს თავი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასწორზე არ დავდო, ერთი თვის მშიერმა ნახევრად მოუხარშავი, მჭლე ხორციდან უკეთესი ნაჭერი შენ არ გადმოგილო! ოცნებას ხორცი, მაყალო ვაშლი და ძახველი არ ჭირდება. ოცნება ჩეჩმაშიაც შეიძლება.

ამ საღამოს რომ თავის ბანა და პერანგის რეცხვა გამომიგონე? ოცნების ქალს აბანო არ ჭირდება, ისედაც მუშკის სუნი ასდის. ვნებას კი არ გიძრავს, რომ სოხანეზე წამოაქციო, ნანგრევებში და ორმოებში აკოტრიალო; ოცნება მაღლა მიგაფრენს და ჰაეროვან კოცნას გიგზავნის. შენი, გიმნასტურაში დაგუბებული მწუთხე მომჟავო ოფლის სუნი იმდენად მიწიერია, ბატის უმი ხორცით მაძღარ ჯარისკაცში ვნებას აჩენს და ამ მკვდარ სოფელში პირველყოფილ, ცხოველურ წადილს და წყურვილს აბორგებს. როგორც ადამიანს ბუმბულებში არ დაუწყია სიცოცხლის ჩასახვა, აქაც, როცა ველურივით იკვებები ველური ხილ-კენკრით, დაძრწი და ნადირობ გაველურებულ ბაღზე, აქ თბილი და მოხატული სანთიობო, რბილი საწოლი და ატლასის საბანი ისევე ჩაგიქრობს ვნებას, როგორც „დედას ბიჭს“, ლოგინიდან პერანგის ამარა რომ თოვლში მოისროლო. მგლოვიარე ვარ, მეგობარი და ახლობელი დამელუპა, აქ არც ამის დროა. ეს იქ ხდება, სადაც ბედნიერებას ჩრდილი დაეცემა და მწუხარებას სიცოცხლის ხალისს დაბინდავს. აქ სიკვდილი და უბედურება — ცხოვრებაა და რა გიკვირს? ასეთია ახლა შენი ყოფა და თუ არ აპირებ ასეთ სიცოცხლეს, ერთი ტყვია, შენ რომ არ გექნეს გადადგი რამდენიმე გაუფრთხილებელი ნაბიჯი და მტერი …გიხერხებს. თავს ძალიან კარგად მალავ ორმოში, ეფარები ხეს და ქვას. მოგიკლეს მეგობარი, მკვდარს რაღა ვუშველო, ჩემს სიცოცხლეს მაინც გადავარჩენო და კარგად მოცოცხე! რომ გეცოცხლა, ხომ? ჰოდა, აქაური სიცოცხლე ასეთია და როგორიცაა; ისეთ ვნებას შობს, როგორი კვამლიც ადის, ისეთი ცეცხლი გიზგიზებს.

— სემიონ სემიონიჩი რომ ცოცხალი ყოფილიყო, ჩვენ აქამდეც ხშირად მოგვიწევდა ერთად წოლა და არც ამ საწოლის ხელოვნური ნჯღრევა იქნებოდა საჭირო.

— ვინ გიყვარს ასე უჩვეულოდ... უცნაურად, თუ... რა დაერქმევა შენსა და იმ ქალიშვილის დამოკიდებულებას?.. — პასუხის მაგიერ ფარული, უბოროტო ეჭვით იკითხა თამარმა და ისევ თამამად გადაბრუნდა.

ბაკური შეცბა.

— არ ვიცი... ვერც მე გეტყვი.

— სიყვარული, ვთქვათ... მაგრამ სულელური, თუ ავადმყოფური?.. შენც იცი, მე ნუგეშისცემა არ მჭირდება, რაკი არაფერს ვკარგავ...

— მე კი გამაჩნია... მიყვარს და ვკარგავ...

— ნამდვილად გაგაჩნია?

— ნამდვილად, შეიძლება ითქვას, ჭეშმარიტად...

— გიყვარს, უყვარხარ და მაინც კარგავ?

— აუცილებლად.

— მე ვიცი, ამაზე ლაპარაკი ახლა... აქ კი არა... საერთოდ რა საჭიროა... მაგრამ ამას ორივე ვხედავთ...

— კი, რომ ჩემი ომი თქვენს ომზე ადრე დაიწყო და ვაი თუ თქვენზე დიდხანს დავრჩე ჯარისკაცად!

— რა თქმა უნდა, შენ გგულისხმობ, თორემ მე რა... ამ ლოგინზეც ერთად რომ ვართ, ბესოს უნდა ვუმადლოდეთ, თორემ ის გოგო...

— პიროვნების დაუსახელებლად!.. — ისე უეცრად გააწყვეტინა ბაკურმა თითქოს თამარს გუგუტას სახელი სცოდნოდეს და საქვეყნოდ გამოცხადებას აპირებდაო.

— ჩემთვის მაინც არა აქვს მნიშვნელობა, არ ვიცნობ, არ მიცნობს, ამას გარდა, მე მეტოქედაც არ ჩავითვლები.

— ჭეშმარიტ სიყვარულს მეტოქე არა ჰყავს.

— თუნდაც ამიტომ.

ქალი ერთხანს დუმდა. მერე თითქოს ხელი ჩაიქნია და სიმართლის თქმა ამჯობინაო, ალსარებასავით ამოთქვა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ვისაც შენი სიყვარულის უფლება ექნება, თუ შენც შეიყვარებ, შეგიძლია თავი დამშვიდებულად იგრძნო.

— კომპლიმენტი?

— მართალია ერთ საწოლზე ვწევართ, მაგრამ რაღაცა, არ მგონია მაინც ამის გუნებაზე ვიყო...

— მაშინ, მადლობის მეტი რა მეთქმის... და მაინც...

— მაინც, ცოტა ჩავთბით და აღარ გაგვიჭირდება ამაზე ლაპარაკი, ან გაგება?

— ახლა ჩვენ თუ რაიმეს გაგება და მიხვედრა გაგვიჭირდება, ბრმად ვყოფილვართ დაბადებული...

— ნეტავ მართლა ბრმად და ყრუდ დავბადებულიყავით! — ამოიკვნესა თამარმა.

— რა ბედნიერებაა... — გულით ინატრა ბაკურმაც.

— ალბათ როგორც ბრმისთვის თვალის ჩინი...

— თითქმის.

— უყვარხარ ქალიშვილს... — რძეში რომ ნაღველს გალესავენ მუცელმტკივანი ბავშვის სამკურნალოდ ისე ჩამოწვეთა ქალმა.

— ამის თქმა ძნელია, მაგრამ... ვუყვარვარ... — ამოღერღა სამსალანასვამმა ვაჟმა.

— გიყვარს... — რაკი სავსე ფიალა გაიბზარა, შხამს რამდენიც შეიძლებოდა გამოექონა, უკან დახევა აღარ ღირდა.

— რა არის, იცი, თამარ...

— თითქოს.

— მაშინ შენ თქვი, აქ სხვამ, გამგებმა, შეიძლება უკეთ იგრძნოს.

— ავადმყოფს უჭირს დიაგნოზის დასმა.

— თუნდაც ასე ვულგარულად...

— და მაინც, კი არ გიყვარს...

— არ მიყვარს? — ვერც ამაზე დაეთანხმა ბაკური.

— მაცალე! ამას ალბათ სიყვარულიც არ დაერქმევა.

— ჰო, ჰო...

— „ის“ ისეთი ვიღაცაა, თუ იცნობ და შეგიძლია გაუგო... დავიწყებას ვერ შეძლებ. ყველა სხვა მას გახსენებს და მხოლოდ მასთან გაახლოებს... სხვა რამდენად გიახლოვდება, ამდენად „ის“ გიახლოვდება... მე ნამეტანი ხომ არ ავურიე?..

— რაღაცას მაინც გასაგებად ამბობ.

— მაგრამ ის სხვას არ უყვარს... ეს ბანალური სამკუთხედია, რომელიც აცოფებს მამაკაცს... შენ ამ მხრივ გულმშვიდად ხარ...

— თამარ, მე რაღაც ასეთი საშინელი ბედი, თუ როლი მერგო... თითქოს შენც უნდა მიყვარდე. არ შეგეშინდეს, ჯერ არ შევშლილვარ.

— გასაგებია. რომ გგონია მარტო სული ხარ და ვიღაცას ცოტა რამ მაინც ესმის შენი, პატივისცემით იმსჭვალები.

— ბესოს უყვარს ვალია, იმათთვის ეს საზიზღარი ომი ისე მტანჯველი არ იქნება, თუ პირიქით?

— ბესო იცნობს „იმ“ ქალიშვილს?..

— რა თქმა უნდა, ძალიან ახლო ნათესავია...

— ჩემზე არ ეჭვიანობს, რაკი „მისი“ უსაზღვროდ სწამს. ყოჩაღ, ბესო!

— ბავშვობიდანვე მათთან გავიზარდე, მაგრამ ბესო უფროსი იყო და ამიტომ აქ მოვახერხე მისი გაცნობა.

— მეც ვიცი, რომ ვალია ბედნიერი იქნება... თვითონაც ამბობს... ესეც კარგი გულის გოგოა. ერთხელ გაცრუებია იმედი და...

— სხვა ჰყვარებია?

— ასე ვთქვათ... მოსწონდა თურმე ერთი კოხტაპრუწა და ღმერთს უმადლის, რომ მის მეგობარ გოგოს დროზე უთქვამს, მეც მოვწონვარო. ახლა მან იცის ერთგულების ფასი და ბესოზე ილოცებს.

— ციდან ჩვენმა და მტრის თვითმფრინავებმა ბომბების მაგიერ შიშველი ქალები რომ ჩამოყარონ, ვალიას შეუძლია მაინც გულმშვიდად იყოს.

— იცის... და მე მგონია, აქ ეს ყველამ იცის, ამიტომაა, ყველას უნდა მათი...

— ტანკში ყოფნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თუ ძალიან შიშველი არ გამოჩნდება ჩემი ნათქვამი...

— ბნელა... დაამშვიდა ბაკურიმ, მაგრამ იგრძნო, გუგუტაზე ახლა ითქმებოდა ის, რისთვისაც ამ მკვდარ სოფელში სიყვარულზე სიტყვა ჩამოვარდა და შეაყრყოლა.

— მაშინ ხმას არ ამოვიღებ.

— უთქმელობა, ალბათ, აქამდე შეიძლებოდა...

— არც ის მინდა, ხვალ თვალი ვერ გაგისწორო.

— უკეთესია, ბიჭები ამას სათავისოდ გაიგებენ...

— ნუ მათამამებ...

— მაშინ მე გეტყვი, შენ რაც გინდა, იმასაც ვიტყვი და არც შენს ნათქვამად ჩაითვლება.

— მე დიდი ხანია ვიცი, რატომ უყვარხარ შენ „იმ“ ქალიშვილს, თუმცა იცის, ამის უფლება, რატომ ,მე არ ვიცი, მაგრამ არა აქვს.

— ქათინაური?

— შენ ის თქვი, რაც მე მინდოდა მეთქვა.

— შიშველი ქალების წვიმა რომ მოვიდეს, არც „იმას“ უნდა ჰქონდეს არაფრის შიში, ხომ ეს გინდოდა გეთქვა?

ქალმა ერთხანს იყუჩა და მერე ორჭოფული პასუხი არჩია:

— დაახლოებით...

მაგრამ ორივემ იცოდა, ქალი რომ ყველგან ქალი არ იყოს, ეს „დაახლოებით“, დასტური იყო.

ამ დროს იატაკმა გაიჭრიალა და დილის რიბირაბოში, ნახევრად მოღებულ კარში ქალის პერანგის ამარა ვალია გამოკრთა. ბაკურმა მისდაუნებურად წამოიწია.

— ღვთის გულისათვის, იწექი! — შეეხვეწა თამარი და ბაკურმა, გვერდით კედელთან მისრესილ ჩექმებს იქით მუხლებზე ხელი მოხვია.

— თამარ... — ჩაიჩურჩულა რაღაცით გულნატკენმა, მაგრამ ბედნიერმა ვალიამ.

— ვალია, ჩემთან ბაკური წევს და რა ვქნა?..

— იყოს, იყოს...

ის გულისტკივილი, რომელიც ამ კარებთან გაუჩნდა პერანგის ამარა ქალს, დილის რიჟრაჟში ნისლივით გაქრა და ატიტინდა.

— მე, თამარ, ჩავიცმევ ამ ოხერ ტანსაცმელს... თენდება თამარ, ჩავიცმევ და წავალ... ტბაზე წასვლა გვინდოდა მაინც, ტბა იცი?.. დღეს დარი იქნება, თამარ ტბაზე... მზე, თამარ... მზე...

## ნაწილი მეორე

## თავი პირველი

### I

— ბოკერია!.. — საბეჭდ მანქანაზე დახრილმა შავტუხა გოგომ, ასოების ბრჭყვიალა ღილებს რომ თვალდაცეცებული ჩაშტერებოდა, თავი მოაბრუნა და დაძაბულს, უდროოდროს გახსენებულ ხუმრობასავით, თვალებში ღიმი ჩაუდგა.

თავზე ჰოსპიტლის სუნით გაჟღენთილი ფერმკრთალი, გაძვალტყავებული, სახენაიარევი ჯარისკაცი იდგა. ახალი, დაჭმუჭნული მაზარა რომ არ ცმოდა და თავზე ასევე მოფლაყული ახალი პილოტურა რომ არ ჰხურებოდა, სათუოში გამოსულ ნატიფარს უფრო ჰგავდა.

— თქვენ იკითხეთ ბოკერია?

— ავთანდილ ბოკერია... — გაიმეორა ჯარისკაცმა, ერთი კვირის გაუპარსავ შავ წვერში ცერის სიფართე მოწითალო ნაიარევი და პილოტურაზე წითელი მინანქრის ვარსკვლავი რომ არა, მემანქანეს ვერავინ დააჯერებდა, რომ კარგახნის მკვდარი არ ელაპარაკებოდა.

— გლაშა! — გასძახა შავტუხამ ოთახის კუთხეში მიდგმულ ვეება კარებდაფელილ კარადასთან ჩაყუნცულ ცე-

ეროვნული

ცხლისფერთმიან ქალიშვილს, ქვედა თაროებზე რომ დანომრილ საქაღალდეებს გულისყურით აწყობდა.

— გლაშა გისმენს! — კარადაში შესძახა ცეცხლისფერთმიანმა.

— ავთანდილ ბოკერიას...

— სად არის ავთანდილი! — გააწყვეტინა გლაშამ და საქაღალდეებიც და კარადაც გულიდან გადავარდა, მაშინვე მოტრიალდა.

— აი, ეს... ჯარისკაცი კითხულობს.

გლაშას „ზეზეულად მკვდარი ჯარისკაცის“ დანახვაზე ისევ კარადა და საქაღალდეები მოაგონდა.

— მერე და მისი პოლკი ხომ აქ არ არის... — ჩაილაპარაკა ნაწყენმა: მე მეგონა თვითონ ავთანდილი გამოჩნდა და იმ სიცოცხლით სავსე ბიჭის მაგიერ ამ დასახიჩრებულ მიცვალებულს რა თავში ვიხლით.

— დიახ... — შეწუხდა შავტუხა და ისიც საბეჭდ მანქანას მიუბრუნდა, — მისი პოლკი სადღაც სოფელში დგას...

— აქ ყოფილა... — მწუხარე შვებით თქვა ჯარისკაცმა, ვითომ სიხარულის განცდა რომ შემეძლოს, ამაზე ბედნიერი არასოდეს ვყოფილვარო, და იქვე უხმოდ დაეყუდა.

— ხომ გითხარით, აქ არ არის! — გაუწყრა მემანქანე, როცა კარგა ხნის შემდეგ მოიხედა და ისევ ამ ცოცხალმკვდარს შეხედა.

— ამ დივიზიაშია...

— დივიზიაში?

— ამ დივიზიაში...

— გლაშა,ავთანდილის პოლკი ჩვენს დივიზიაშია?.. — ისევ კარადასთან ჩაყუნცულ, მუხლებწამოყრილ ქალიშვილს მიუბრუნდა.

— სულელი! — გაწყრა გლაშა, — აქ ყველა პოლკი ჩვენი დივიზიისაა.

—მე რა ვიცი, აქედან ოცდაათ კილომეტრზეაო, შენ არ ამბობდი?

— კი, იქნებ მეტზეც... — გლაშამ, აქეთ მოუხედავად, ხელი მოწყვეტით მთებისკენ გაიშვირა.

ჯარისკაცმა კარი გაიხურა და კიბეს ძალმოკვეძარესავით ჩაუყვა. გზადაგზა ნასიზმრალივით იხსენებდა [illegible] დავიწყებულ, მბჟუტავ აზრს ულიმოდა: ბოკერიას ამბავი გოგოებს უნდა ჰკითხო... ქალებმა იციან ავთანდილს თუ სადმე ფეხი დაუდგამს... ბოკერია გოგოებმა იციან... ავთო... ბოკერია...

— ეი, ჯარისკაცო! — მოაძახა ვიღაცამ, კაზარმის ეზოში რომ გამოვიდა.

— მიდი, ბიჭო, მიდი! — აგულიანებდნენ ერთმანეთს ეზოში ჩამწყვდეული სამოქალაქო ძველმანებში გახვეული და თავზე ქუდჩამოფხატული, სიცივით დალურჯებული ახალწვეულები.

— იქნებ ქართველი არცაა და მაგდენი რუსული სადაა?

— რას გაიგებ, გაურეცხავი მიტკლის ფერისაა...

ჯარისკაცი შეჩერდა.

— გაიგონა, ქართველია... მივიდეთ, ვკითხოთ...

ჯგუფს ორი გამოეყო, ორივე თავმოხოზრილი. ერთს ტარიანი პაპიროსი კბილებით ეჭირა და ხელები შარვლის ჯიბეებში ჩაეწყო, მეორეს ბამბა-შალის გახუნებული, საყელოაღრეკილი, გრძელი პალტო ეცვა.

— ქართველი ხარ? — მაინც იკითხა პაპიროსიანმა.

— რას ეკითხები, ქართული დივიზია რომაა, არ იცი?

— მერე და სხვები არ არიან თუ?!

— რაღაც თითო-ოროლა, ისიც ჩვენებურები.

— მერე, ეს ჩვენებურია?

— “ჩვენებურია“ — შეუჯაჯღანა პაპიროსიანმა., — ფრონტზე ნამყოფია, დაჭრილია, ვერ ხედავ?

— ჰო, ეს კი... — თავი დააქნია პალტოს დაღრეკილ საყელოში ჩამძვრალმა.

— სად დაგჭრეს? იკითხა პაპიროსიანმა და მოქაჩა, ცეცხლი ჩაქრობოდა, მაგრამ არც ნამწვი გადაუგდია და არც ასანთი მოუძებნია.

ჯარისკაცმა მხრები აიჩეჩა.

— არ იცი, სად დაგჭრეს?! — ჰკითხა პალტოიანმა წყენით: რა ვუყოთ, რომ ნათმარი ხარ, ჩვენც ეს დღე გველის და როგორმე თავი გაგვიყადრეო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

შავ წვერში ნაკვერჩხალივით ჩანთებუბულ ნაჭრილობევს გულაღრენილი მიაჩერდა და ყვრიმალის ძვლის თავში ის ადგილი მოიქექა, სადაც ჯარისკაცს ასე უშნო ნაიარევი ჰქონდა.

— რა გითხრა, არ ვიცი.

— რა მოგარტყეს? — ეს მაინც გეცოდინებათ, ოდნავ ნიშნისმოგებით ჩაკითხა პაპიროსიანმა.

ჯარისკაცმა ისევ მხრები აიჩეჩა.

— არც ეს იცის?! — შეიცხადა პალტოიანმა.

— არა.

— იქნებ ბნელოდა... — აუხსნა პაპიროსიანმა პალტოიანს და ყაზარმის კედელის გვერდით თავგამოყოფილ, ჭილისქუდიანს გასძახა:

— ვალიკო, მოდი, პაპიროსი მომიკიდე!

— მანდ ვინმე მეთაური გამოივლის და ხელში ცოცხს, ან ბარს მომცემს! — იუარა ვალიკომ.

—მოკალი? — იკითხა პალტოიანმა და საყელოდან თავი წამოსწია. პასუხის მოლოდინში ყურის ბიბილო მოისრისა, ზღვიდან მობერილი ცივი ქარი რომ ნიჟარაში შეუძვრა.

— ვინ? — იკითხა ჯარისკაცმა.

— ვინც... — განაწყენებული იყო, აბუჩად გვიგდებსო, მაგრამ „ვინც ასე დაგასახიჩრაო“, მაინც ვერ თქვა — ვინც დაგჭრა.

— არა.

— აბა, ეს შეარჩინე?! — პირი დააღო პაპიროსიანმა და ნამწვი თოვლჭყაპიან ტალახში ჩაუვარდა.

— ვის? — ისევ ვერაფერი გაიგო დასახიჩრებულმა.

— რეზო!.. — მიუბრუნდა გაოგნებული პალტოიანი მეგობარს, ეს ჭკუაზე არაა და რას ველაპარაკებითო.

— შენ ფრონტზე იყავი? — მოისაზრა რეზომ: იქნებ ეს კაცი ხრამში ჩაიჩეხა და მტერი თვალით არ უნახავსო.

— ვიყავი... კი ვიყავი.

— ვინ გესროლა, რა გესროლა. გეძინა, გელვიძა! — აღშფოთდა პალტოიანი და ახლა ორივე ყური მოისრისა. იქნებ გამჭოლმა ქარმა სმენა დამიხშოო.

— არ ვიცი, არაფერი არ ვიცი... — თავი ჩაღუნა ჯარისკაცმა, მოღეღილი ფარაჯის გულისპირის. შებნევა სცადა, მაგრამ ყვითელფრჩხილებიანი ხელები მკერდამდე რომ აიტანა, ესეც ემძიმა. თითქოს მთელი ცხოვრების გზა უკვე გაევლოს და რაღაც ისე უმნიშვნელო ჰქონდეს დარჩენილი, ამას გულისპირის დაუთბუნავადაც გავივლიო, გზას დაადგა.

ბიჭები იდგნენ და ვერც ის დაიჯერეს, ეს საცოდავი ამაყია, თავი არ გაგვიყადრაო და ვერც ის ირწმუნეს, რომ არ იცოდა, ვინ დაასახიჩრა, ვერც შური იძია და არც ამის სურვილი გააჩნდაო.

ზურგზე ახალი, დაჩუტულ, დაჭმუჭნულ ჩანთა-მაზარა-ქუდიანი, ლანდივით მილასლასებდა.

## II

ზღვისპირა ქალაქიდან მომავალი გზა მთავარ მაგისტრალს ჰკვეთდა და თოვლით დაფარულ შიშველი მთებისაკენ მიემართებოდა. დაჭრილი ჯარისკაცი ადგა ამ გზას და მიდიოდა, მიდიოდა დიდი ხნის დაღლილი კაცის ნაბიჯით, რომელსაც მეტი არც დაღლა შეუძლია, არც ტკივილი და სიცივე იცის, არც წყენა და სიხარული.

მანქანა, რომელმაც ჩაუარა, არც დაუნახავს და არც აპირებდა, ულვაშა, მკვირცხლთვალებიან, ბავშვივით მგრძნობიარე შოფერს გაშვლეპილ გზაზე რომ შორიდანვე არ შეენიშნა შოფერმა სამუხრუჭე სატერფულს ფეხი ნელ-ნელა შეაპარა, ამ გაშვლეპილზე ერთბაშად რომ შევაჩერო, გზიდან არ გადავცურდეო. ზემდეგს გადახედა, ხომ არ გაგვეჭირვებია და კაბინაში არ ჩაგვესვაო, მაგრამ ახალი პოლკის ფორმირების გაწამაწიაში დაოსებულ ზემდეგს მანქანაში ჯდომაც არ უნდოდა, ძრავის ხმაურის გაგონებაც ძილს გვრიდა.

ჯარისკაცი როდის როდის აფორთხდა ბიდონებით, ყუთებით, ტომრებითა და კასრებით სავსე ძარაზე და იქვე

ეროვნული ბიბლიოთეკა

იატაკზე ჩაჯდა, როცა შოფერმა მანქანას შემოუარა, ძარიდან თავი-ღა მოუჩანდა, ისე მოკრუნჩხულ-მობუზული იყო.

— ფრონტიდან? — თანაგრძნობით ჰკითხა და ულვაშის ბოლო ბრტყელ კბილებში მოიქცია, თუმცა მოკვნეტა არ უცდია.

ჯარისკაცმა თავი დაუქნია.

— ახლა საით, ძმობილო?

— ბოკერია... ავთანდილ ბოკერია...

— ეს რომელი? ლეიტენანტი?

— ავთანდილ ბოკერია...

— ჩვენი ასეულის მეთაური?

ჯარისკაცმა თავი დაბნეულად გაიქნია: არ ვიცი, ლეიტენანტი და ასეულის მეთაური თუაო.

— ჩვენთან გამოგიშვეს ესე იგი...

— არა... — თავი გააქნია ჯარისკაცმა.

— აბა როგორ, ისე იცნობ?

— ძმაა...

— უჰ! — შეწუხდა მკვირცხლთვალებიანი ულვაშა, დაფაცურდა და ჩიქორთული რუსულით კაბინისკენ გასძახა, — ამხანაგო უსტალოვ! ამხანაგო პეტრე! — მერე ქართულად ალაპარაკდა, მაგრამ ხმას მაინც დაუწია, — რა ჯანდაბა ჰქვია მამამისს, რომ აღარ მახსოვს... — აგერ ჩვენი... კაცო, მეთაურის ძმაა!

— წადით! სულ ერთია... — აკვნესდა ძარაში ჩაფეხვილი.

— რას ვდგევართ? — ამოიხვნეშა პასუხად უსტალოვმა.

შოფერი კაბინაში შეძვრა და ყურში ჩასძახა:

— მეთაურის ძმა, ამხანაგო ზემდეგო!..

— წავედით! — დაიფშვინა ზემდეგმა და ადგილზე მოთუხთუხე მანქანა აზრიალდა, გზას დაადგა.

ულელზე კავის ჩასაბმელ ღვლერჭივით დახვეულ შარას ულელტეხილამდე მანქანა ერთნაირი, შეზომილი სიჩქარით აუყვა. ზევით, ზევით გზაზე წაყინული თოვლი იდო და ყოველ მოსახვევში ბიდონები და კასრები აწყდებოდნენ და აწვებოდნენ გალიგვებულ, ფერმიხდილ ნაფრონტალს, მაგრამ მისთვის, როგორც შოფერს უთხრა, სულერთი იყო. სადაც მიდიოდა, იქამდე მიაღწევდა იცოდა და იმას იქით თითქოს არსად წასვლასაც არ აპირებდა.

მანქანამ, ვინ იცის მერამდენედ მიუხვ-მოუხვია და ისევ მაღლა აუყვა. ჯარისკაცმა, კისერგაშეშებულივით რომ თავს არ აბრუნებდა, ქვევით, შორს, მუსულმანური სასაფლაო დაინახა. მოშიშვლებულ, ხევგალმა ზეგანზე თოვლწაფარებული სასაფლაო ვერ უნდა გაერჩია, მაგრამ ფეხზე წამომართული კაცის სიმაღლე მოწითალო ქვები, აქედან რომ ზედ არაბული წარწერები არ ჩანდა, არაფრით არ ჰგავდა კლდოვანი მთებიდან ჩამოზვავებულ ლოდებს. იქვე შეფენებაზე, სკის ფიჭასავით, ერთმანეთზე ალიზის ყუთებივით სართულებად აკოწიწებული აული მიყუჟული იყო. ვითომ ამ ერთმანეთზე მიხოლიხებული მიწურებიდან ამომძვრალი წივის ბოლით მაინც შეიძლებოდა შორიდან სოფლის გარჩევა, მაგრამ მას ახლა სასაფლაოს დანახვა შეეძლო და როცა შეუხვევდა, და ბოლოს მოიქნევდა, ფეხზე წამოცვივნულ მკვდრებივით წამომართულ, ბრტყელ ლოდებს უცქეროდა, თეთრნაბდიანებივით რომ იდგნენ თავისსავე საფლავის მცველად და მწყემსად.

ულელტეხილიდან უშველებელ, უკაცრიელ დაბლობზე დაეშვნენ. ერთგან, შუა გზაზე, ძველი საფოსტო თუ საგზაო, მომცრო გალავანშემოვლებული შენობა იდგა ობლად და ეულად.

„მანქანა რომ არ შემხვედროდა, დალამებამდე აქ მოვაღწევდი?..“ — იკითხა ძარის ბოლოში ჩაყუჟულმა.

როდის როდის დაიწყო ისევ აღმართები და ისევ აიდგეს ფეხი კასრებმა, ბიდონებმა და ყუთებმა. ზეგანზე მოზრდილა სოფელი შემოხვდათ. ეტყობოდა, აქაურებს გულით უნდოდათ ამ სოფელს ქალაქი რქმეოდა, რაკი თიხის შენობების წინ აბრები მიეკრათ, ვითომ აქ დაწესებულებები გვაქვსო. „ქალაქში“ არ შეჩერებულან, ერთი კი შეუხ-

ეროვნული

ვიეს და ისევ ვაკეზე გაიჭრნენ. გზის ორივე მხარეს დაბუქულ ლობეებს იქით ბლის თუ ალუბლის ბაღები უნდა ყოფილიყო, რაკი თოვლის თეთრ საბურველს შორის ხეების პრიალა, მუქი მოწითალო-რუხი თხელი ქერქი ჩანდა.

მდინარეს კარაქისფერი, მშრალი ნაპირები ღრმად ჩაეჭრა და ხევი თუ არ დაერქმეოდა, კალაპოტზე უფრო დიდ და სრულ გამოქვაბულში ჩაკარგულიყო.

მანქანა ვიწრო დაქანებას ჩაუყვა, ძელური ბოგირი გადაიარა და ალმა ისევ თავზე წამომდგარ ბექობში შეჭრილ გზას შეუდგა.

აული, მორჩილი გორაკების, შეუმჩნევლად ალმა მიმავალ საყანეებისა და სათიბების ზემოთ, ტყიანი ქედის შუა გაეშენებინათ. ერთმანეთზე მილესილი თიხის მაღალი ლობეებით და ამ ლობეკედლების მიღმა თიხისავე ხწორბანიან სახლებს შორის შეჯაყჯაყდნენ.

ფერმის ეზოში, გრძელ ფაცხებს შორის, ახალწვეულები ირეოდნენ. აულის შუაგულში ჩანდა მეჩეთი და მორჩილა მინარეთი. მარცხნივ, შეფენებაზე მოზრდილი თეთრი ქვითკირის შენობა — სკოლა.

შოფერმა, ლობე-კედელს მოცვენილ თავმოხოტრილ ბიჭების წინ მანქანა შეაჩერა და კაბინიდან გადასძახა:

— ბიჭებო! ლეიტენანტი ბოკერია არ დაგინახავთ?

— ვინაო? — იკითხა ყურებზე კაშნეახვეულმა ახალწვეულმა, ცხვირზე რომ წვინტლი ეკიდა.

— ბოკერია, ასმეთაური ბოკერია!

— აქ იყო, რო? — გადახედა ზურგს უკან მოყუდებულს, ყურებიანი შავი ქუდი რომ ნიკაპქვეშ მიტკლის თასმებით გაენასკვა.

— იყო, როგორ არ იყო...

— საით წავიდა? — ხმას აუწია შოფერმა.

— ეს რას დაინახავს, — მიუბრუნდა წვინტლიანი და ზურგს უკან ატუზულს ხელი ჩამოფხატულ ქუდზე ჩამოჰკრა, მთლად აუხვია თვალები.

— მაშინ შენ რატომ არ დაინახავ! მუშტი მოუქნია თვალახვეულმა, სანამ ქუდს მაღლა აიწევდა.

— იმას ვერავინაც ვერ დაინახავს! — ახსნა საქმეში ჩარეულმა მაღალმა, ნიკაპჩამოგრძელებულმა ბიჭმა.

— რას გაიგებ, ახლა რომ აქაა, იმვერს ფეხს და... — ამაყად, ჩვენი მეთაური თქვენ ვინ გგონიათო, ახსნა თვალებდაყვლეპილმა ჭორფლიანმა, ჯარისკაცის უვარსკვლავო, ძველი პილოტურა რომ ჯირკივით თავზე წამოესკუპებინა.

— სად იქნება, არც ის იცით?..

შოფერმა მანქანა აათუხთუხა და ყოველშემთხვევისათვის გადაგდებული კითხვის პასუხს არ დაუცადა, ვიწრო, ნაკელით და წუნწუხით აჩირხალებულ ორღობეს აუყვა. ბზეშერეული თიხით კარგად შელესილი საწყობების წინ შეაჩერა და როგორც კი ძრავა ჩაქრა, ბნელი, ნესტიანი, აშმორებული მიწურის სიღრმიდან ჭიქა-საინის მსხვრევახავით მოისმა გაცოფებული ბოკერიას ყვირილი:

— ხელი ამიღე, რომ გელაპარაკები, და ისე მომახსენე, თუ არა გასწავლი მე შენ ჭკუას!..

— არის, აგილო ხელი, ამხანაგო მეთაურო!

— დედას გიტირებთ მე თქვენ!..

ამ დროს მანქანიდან გადმოსულმა ზემდეგმა უსტალოვმა მიირბინა და გამოეჭიმა, რომელსაც ძრავის გაჩერებისთანავე გამოელვიძა, ბოკერიას ხმაზე და მაშინვე გამოფხიზლდა.

— ჰაიტ! — უჯღავლა ავთანდილმა კართან გაჯგიმულს. — ტრიბუნალს გადაგცემ, შენი დედა!..

— არის, ამხანაგო ლეიტენანტო! — ამოიბლუკუნა უსტალოვმა.

— უმარილო კომბოსტოს ნახარში?! მარილი, მარილი რა უყავით!

— მარილი, ამხანაგო ლეიტენანტო... — ჩაიბუზღუნა ზემდეგმა, — მოვიტანეთ...

— ახლა მოიტანეთ? ახლა მოიტანეთ? ვინაა კაცო, ეს? დაგხვრეტ! ისედაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძვლები არ გამაგრებიათ ისეთი ბალნები მოაყარეს და თქვენ უმარილო ბორშით და ფაფით აპირებთ მაგათ გაჯარისკაცებას? მოღალატეები ხართ, თქვენი პატრონის ქვეყანა!.. ტრიბუნალი!.. პროკურორი!..

— ამხანაგო მეთაურო!.. — ახლა ულვაშა მკვირცხლთვალებიანი შოფერი გამოექომა გაცეცხლებულ მეთაურს, ავთანდილმა სინათლისკენ დაიწია, ეს ვილაა თვალში შემოხედვას რომ მიბედავსო.

— სადა ხარ ცხოვრებაძე, მთელი დღეა! მე შენ ვერ გასწავლე მანქანის ტარება?! ფეხსადგილი გარეცხე!.. — იბღავლა მეთაურმა, — ასეულის ფეხსადგილი!..

— სადაა მეთაურო, ფეხსადგილი?.. — გაიღიმა ცხოვრებაძემ.

ეს იღიმებაო, ავთანდილი კინაღამ შეიშალა.

— ახლავე ათი დღე-ღამე, ათი დღე-ღამე, კაზარმების ირგვლივ რაც ნეხვია!..

— ამხანაგო ლეიტენანტო, ძმა ჩამოგიყვანეთ! — გამოტყდა ცხოვრებაძე, ამიტომ იყო რომ შეგეთამამეო.

— ძმა?! — ბოკერია შოფერს დაცეცებულ თვალებში ჩააჩერდა, ამას თავი მართლა ხომ არ მოძულებიაო.

— ძმა, ამხანაგო ასეულის მეთაურო!

— კაცო, შენ წერას ხომ არ აუტანიხარ! — დაიბნა სხარტი მოსაზრების ლეიტენანტი, თუ ხუმრობას არ იშლის, ეს რა ხუმრობააო.

— ძმა, ამხანაგო უფროსო!

— ცხოვრებაძე!.. — ხმას დაუწია და კაცს რომ რჩევას მისცემ, მიფრთხილდი, თავს ნუ მომაკვლევინებო, ისე დარიგებასავით ჩაულაპარაკა — ძმა არ მყავს მე და აქედან გამეცალე, თორემ გაგათავე!..

ცხოვრებაძეს მანქანის ძარაში ჩაკვეტებული იმ საცოდავი ჯარისკაცის უფრო სჯეროდა, ჯერაც რომ წამოდგომა ვერ მოეხერხებინა, ვინემ ამ ცეცხლივით მეთაურისა და მაინც დაღუპული ვარ, თუ მართლა ძმა არ გამოდგაო, თავისი არ დაიშალა.

— თქვენი ძმა, ამხანაგო ასეულის მეთაურო!

— კაცო... — უსტალოვს გადახედა, თუ საერთოდ ძმა მყავს, ეს თქვენ იცით და აქ გყავთ, რატომ შენ ხმას არ იღებო. უსტალოვმა ხელი აუღო და მხრები აიჩეჩა.

— ცხოვრებაძე!.. — დაზავდა თავის თავში დარწმუნებული ავთანდილი, ჩემთან სიცრუეს ვერ გაბედავენო, — სადაა ჩემი ძმა?..

— აგერ, ამხანაგო მეთაურო! — მიტრიალდა, მოურბინა მანქანას, ძარას უკანა ფარდის ყულამბრები თვალისდახამხამებაში ახსნა და ქვევით ჩამოკიდა. კასრებში და ბიდონებში ჩაჭედილ, გათოშილ, მომაკვდავ ჯარისკაცს თავზე დააყენა.

— მამუკა ხარ, კაცო, შენ?! — იკითხა ბოკერიამ ძალიან, ძალიან წყნარად და ორივე ხელით მისკენ გამოწვდილ ამაღლობელს მკლავები მოხვია, ციმციმ, უსუსური ბავშვივით დალეული, ძარიდან გადმოიყვანა და გულზე აიკრა.

— ძმაა? — გადაუდგა წინ წელში გამართული შოფერი.

— ძმაა ცხოვრებაძე, და დამანებე კაცო თავი, ვერ ხედავ შე შობელძაღლო, რომ ორივე ვკვდებით?!

— მანქანა, ამხანაგო ლეიტენანტო...

— ამას ახლა, რაკი ჩემამდე მოაღწია, აღარაფერი და არავინ არ უნდა, ასე ხელში აყვანილს ვატარებ...

— ხელით რატომ, აგერაა მანქანა.

— ასე მირჩევნია, რომ გელაპარაკები მე შენ!

## III

ბოკერია, საქონლის და ცხვრის ნაკელით აჩირხალებულ შუა ორღობეში მიაბიჯებდა, კოჭებამდე დაფლული, გულზე მიკრული, ფეხებჩამოწვართული ჯარისკაცი მიჰყავდა. ზევიდან მომავალი ორი არმიელი შემოხვდა. ბიჭებს მხარზე გადებული, კეტზე აცმული პირთამდე გალიცლიცებული ორი სათლი მოჰქონდათ. თიხის მაღალ ღობე-

ეროვნული

გალავანთან ატუზული შავი ძროხა წითელ, ჯაკელ უშობელს ლოკავდა და ჯარისკაცებს გზა არ მისცა. ჩავლისას სათლი ძროხას რქაზე წამოედო და ქათქათა რძე გადმოიქცა.

— შიოშვილი, სდექ! — იჯღავლა ბოკერიამ, ჯარისკაცებმა პირუტყვს წიხლი ამოკრეს და ღობის ძირში სათლების მხრიდან ჩამოღება დააპირეს.

— შიოშვილო!.. — ჯარისკაცები აღარ განძრეულან, მაგრამ აღარც იმისა სჯეროდათ, რასაც ხედავდნენ: ეს გამოწკეპილი ასმეთაური, ბუზს რომ არ ისვამდა, ახლა ცოცხალ-მკვდარი აეხუტებია და ლაფში მოაბოტებდა.

— რაა კაცო, ეს!

— რძე, ამხანაგო ლეიტენანტო... — ხელი აუღო შიოშვილმა.

— მე შენ ვინ გგონივარ, სერჟანტო შიოშვილო!

ჯმუხ, დაბღვერილ სერჟანტს კრინტი არ დაუძრავს.

— წითელარმიელო ჩიქოვანო, ეს რაა კაცო?! — ჩექმის ჰვინტით მაგ ლაფში ჩაღვრილ რძის ირგვლივ წრე შემოხაზა, თუმცა თვითონ ვერ ხედავდა, ატატებული ფერმიხდილი ჯარისკაცი უშლიდა.

წოწოლა, ცხვირა ჩიქოვანმაც ხელის აღება სცადა და მხვართალა ხელი მარჯვენა მხარზე გადებულ ქეტს წამოჰკრა, კინაღამ ორივე სათლი გადმოაპირქვავა.

— გააჩერე ხელი, შე უპატრონო, არ დამღუპო!

წოწოლას პასუხად სახე ცხენივით დაუგრძელდა და რძესავით თეთრი ბრიალა კბილები გადმოყარა.

— ჩიქოვანო, რომ იჯღანები, შენ თავი ლეჩხუმში ხომ არ გგონია? კაცო, იცის შიოშვილმა, ამ რძისათვის მე რა ომი გადამხდა?! თავმჯდომარესთან რომ ვერაფერს გავხდი, რაიკომის მდივანს ვეცი: ძუძუნაწყვეტი ბაღნები მომცეს ჯარისკაცებად და ურძეოდ დამიწყდებიან-მეთქი, შენ და შიოშვილი გზაში აქცევთ!

— არა, უფროსო, — ცხვირი დაუგრძელდა ჩიქოვანს, — შიოშვილის [illegible]-ქით... ამ ჰირის გასაწყვეტი ძროხის ბრალია...

— ხომ სუფთა რძეა? — ბოკერიამ კისერი წაიგრძელა და სათლში გადაიხედა, — თბილია?

ჩიქოვანმა ტორი სათლს ხელუკუღმა მიადო და გაჩერდა.

— სერჟანტო შიოშვილო, არ გადამრიო მე შენ!

— რაც გამომატანეს, ამხანაგო ასმეთაურო...

— რას ამბობ, კაცო, შენ?! — შეიცხადა მეთაურმა, — ძროხის შარდი რომ გამოგატანონ, მოგაქვს?!

ჩიქოვანმა ამჯერად მოიცხვად, მაგრამ მაინც გადმოყარა კოპიტის ნაფოტივით ქათქათა კბილები.

— კოვზი რომელს გაქვთ?

— კოვზი? რა კოვზი, ამხანაგო... — ვერაფერი გაიგო სერჟანტმა.

— ჩიქოვანო, სუფრის კოვზი გაქვს მაგერ წვივსახვევში და ამოაძვრე!

— არის ამოვაძრო! — ჯარისკაცმა ჯერ ჩახრა დააპირა, მერე მოაგონდა რძე არ დამეღვაროსო და ფეხი აიკაუჭა.

— ხელში არ მცალია, ხომ ხედავ, ამოიღე რძე და გამასინჯე!

მამუკას გულისპირზე ორი თეთრი წვეთი დაეცა და დიდიხნის წინ დავიწყებული ღიმილი გაახსენდა, მაგრამ კრიჭა არ გახსნია.

— არაა მაგი ურიგო რძე, მაგრამ სერჟანტო შიოშვილო, გაიგონე, რომ გელაპარაკები მე შენ... მწველავებს თავზე დაადგები და თბილ-თბილს წამოიღებ.

— არის, თბილ-თბილი წამოვიღო! — სერჟანტმა ხელი აიღო, მაგრამ გზის გაგრძელება არ ინდომა.

— სერჟანტი აქ დამიცდის და მე... — გულზე მიხუტებულ ჯარისკაცზე ანიშნა ჩიქოვანმა, — მოგეშველებით...

— არ მინდა ბიჭებო, მოშველება, ამას... ასე ურჩევნია... მე მირჩევნია. წადით, თქვენს გზას ეწიეთ!

— რძეს მოგიტანთ, მეთაურო... —

ეროვნული ბიბლიოთეკა

დალვრემილმა შიოშვილმა გაცრეცილ ჯარისკაცს დახედა.

— რძე კი დამჭირდება, კაცო, იცოდე შენ... — მოაგონდა ბოკერიას, — ჩიქოვანს გამოატანე. შენ მზარეულს დაადექი თავზე, არავის არაფერი დააკლოს... დღეს უმარილო ბორშით გაგიმასპინძლდნენ? გაყიდეს მარილი, ოქროს ფასი აქვს...

— გაყიდვით არ ვიცი...

— შენ რომ არ იცი კაცო, მე ვიცი... ჯარისკაცს მისი გაჭირვება ეყოფა. ფრონტი ჯერ თქვენ არ იცით და გაიგებთ... მეთაური „ერთი, ორი, ერთი ორი...“ კი არაა... მე ბოქვენკოს გაზრდილი ვარ, აი, ამან იცის... — გულზე აკრულ ჯარისკაცზე ანიშნა. — მამაჩემს არ ვუყვარებივარ ისე...

— წაბრძანდით, წაბრძანდით! — შეიბრალა დატვირთული მეთაური ჩიქოვანმა.

— ეს კი არა კაცო, ზარბაზანი და ტანკი მითრევია, ფრონტი არ იცით თქვენ...

ჯარისკაცები დაიძრნენ.

— სდექ! — მიაძახა ისევ უფროსმა, — ზურგისაკენ! — საწყალმა ბიჭებმა თან შიშით, რძე არ დავღვაროთო, თან ამ კეტიანად მკვირცხლად როგორ მოვბრუნდეთო, ძლივს-ძლივობით ჰქნეს პირი უკან.

— სერჟანტო შიოშვილო, ეს აყლაყუდა ჩიქოვანი რომ ღალმართზე უკან მოგდევს და შენ მოუძლევები... მეც ვიყავი ათმეთაური, მაგრამ სულ წინ კი არ ვიდექი...

— არის, ამხანაგო მეთაურო, ვიარო უკან!..

— ბიჭებო! — მიაძახა მეთაურმა, — ჩემი მოადგილე ვახტანგ კრავცოვი იქნება იქ სადმე და გამომიგზავნეთ!..

— ხანუმ, ჰა, ხანუმ! — გასძახა ავთანდილმა, როცა ფიცრული კუტიკარი ფეხისკვრით შეაღო და ბომბორა ჯოგის ძაღლმა წელისწყვეტით წამოიწია, გამოქცევას არ აპირებდა, მაგრამ „ნაცნობს“ ისეთი უსიამოვნო სუნი შემოჰყვა, დაყეფის მაგიერ წამოიყმუვლა. ნაგაზი, ამ სიბერეში ჯარისკაცების სუნს ძლივს შეეჩვია და ახლა კიდევ მძაღე, ლეშის თუ სისხლის ყროლმა, მგლის კვალზე დამდგარივით ააფორიაქა.

მიწაწაყრილ ბრტყელსახურავიან განიერი მიწური სახლიდან, სახეახვეული სქელ-სქელი დედაკაცი გამოძვრა და კარზე მოსეულ, ბრიალა თვალებადქცეულ ბავშვებს ზურგს უკან ხელი გაუქნია.

— ჰა-ჯან, ნაჩალნიკ? — გაუკვირდა დიასახლისს: აქ ჯარისკაცების მეტი რა მინახავს, მაგრამ ეს გულზე ახუტებული რა ალაჰის რისხვააო.

— სალამ, ხანუმ! — თავი დაუკრა ბოკერიამ.

— სალამ, სალამ! — ჩაილაპარაკა და „ნაჩალნიკს“ გვერდ-გვერდ გამოჰყვა, ფეხებჩაწვართული გალეული ჯარისკაცი ჯერ მკვდარი ეგონა, მერე სიცოცხლის რაღაც ნიშანწყალი შენიშნა და ამოიოხრა: — ალაჰ, ოი, ალაჰ! — წინ გადაუსწრო, სახლის გვერდზე ოთახში შესასვლელი კარი შეაღო და ხელით დაიჭირა.

სოხანიან ოთახს ამ შეღამებისას, ერთი პაწაწინა ფანჯარა თითქოს არც ჰქონოდეს, ისე ბნელოდა. მიწურში ხმელი ნაკელის, ბზის, მიწის, არაყის და სიმშრალის თბილი სუნი იდგა. მათრობელა სიმყუდროვის, ცხვრის ქონის და ყველის, მატყლის, თითქოს ნაცრისაც და ჩამქრალი მუგუზალისაც.

— ხანუმ, ჩემი ყონაღია! — აუხსნა ავთანდილმა დიასახლისს ასეთი მზრუნველობის მიზეზი, როცა სტუმარს თავისი ხელით გახადა ფარაჯა, ბათინკები და ერთადერთ დაბალ, ბრტყელი რკინის საწოლზე გულაღმა დააწვინა.

დიასახლისმა ღია კარის წინ ხელები გაშალა და იკითხა:

— ნაჩალნიკ?..

— შენგან რა მინდა და... — ბოკერიამ ხელი გულისჯიბისკენ წაიღო და წითელი სამთუმნიანების ყური გამოაჩინა.

ოტია იოსელიანი
ბიბლიოთეკა

ქალმა თვალი აარიდა.

— ხანუმ! — მოახედა ავთანდილმა, ისედაც ვერაფერს გაგებინებ და შენ თუ კიდევ ტყეში იცქირე, ძალიან კი მიგახვედრებო.

— ჰა ჯან? — თვალებში შეაციცინდა დიასახლისი.

— ჩემი ყონალი... ბუხ-ბუხ!.. — ხელი ჩრდილო-დასავლეთით გაიშვირა ბოკერიამ, რაც ალბათ იმას ნიშნავდა, ფრონტელი მეგობარია და ომიდან დაბრუნდაო.

— ოი, ალაჰ! — ამოიხვნეშა გულნატკენმა დედაკაცმა.

— ცეცხლი... — ბუხარზე მიუთითა, — ქათამი, — პირში რომ მწიფე ქათმის ბარკალს გამოისობ, ისეთი მოძრაობა გააკეთა, — კვერცხი... — ცერი და სალოკი თითით ოვალური წრე შეკრა, მეეე! — ცხვარივით დაიპეტელა, ცხვრის ხორციც დამჭირდებაო. — ხინკალი, ხინკალი! — ხინკალიც მოვამზადოთო, — ყველი და ყველაფერი... — ხელით დიდი წრე შემოხაზა. — ირგვლივ, ჩვენ თუ არა, მეზობლებს რაც გააჩნიათ ყველაფერი იშოვეო, მერე ბეჭებზე მკლავი შემოხვია, — ხანუმ! — თვალებში ჩააჩერდა...

— ნეტ, ნაჩალნიკ!.. — დაიმორცხვა ქალმა და ახვეული პირის შავი საბურავი მოიხსნა, უფრო მოხერხებულად მინდა მოვიბუროო, ერთი გამოჩენა, ხანშეპარული, მაგრამ მაინც სავსე სახისპირი, გამოაჩინა.

— ნეტ, არ ვიცი კაცო მე... — „იწყინა“ ბოკერიამ, — მიყვარხარ, მორჩა და გათავდა!..

— ალაჰ, ალაჰ! — ხელები გაასავსავა დედაკაცმა და კარისკენ შებრუნდა ბევრად უფრო გაახალგაზრდავებული, ვინემ თავდაპირველად ჩანდა.

— ალაჰის თუ გეშინია, მეჩეთში დავიწეროთ ჯვარი! — გაიცინა ავთანდილმა, კართან მისულს ხელები ორივე მხარზე ისე დაუთათუნა, თუ იმ დედაკაცს ქალური ვნება კიდევ გააჩნდა, ფრთები უნდა გამოსხმოდა.

## IV

ცეცხლი გუზგუზებდა, ტკაცუნებდა და ნაპერწკლები სოხანეზე ბწკიალით ცვიოდა. მამუკა აკვანში ჩაკრული ბავშვივით ბუხრისაკენ კისერმოღრეცილი შესცქეროდა ცეცხლს, რომელიც მხოლოდ სითბოს, სინათლისა და სილამაზისთვის ენთო. თითქოს მას ოდესმე ენახოს ასეთი რამ, მაგრამ არ სჯეროდა, რომ შეიძლება შენთან ახლოს რაიმე იწვოდეს ისე, რომ შენ არ დაგფუფქოს, არ მოგხარშოს ან არ გაგრუჯოს მაინც. მონაყოლივით აგონდებოდა ბებია, რომელიც ასეთ სითბოსთან ქსოვდა ლადარივით ცხელ წინდებს და ჰყვებოდა ქაჯის ამბავს, რომელსაც ეშინოდა ცეცხლის. ყუმიხ დიასახლისს ხედავდა მაშინ, როცა ის თავისი სრული, ნაოჭებიანი გრძელი კაბით სინათლეს ჩამოეფარებოდა, კარებამდე მოსულ თავის გოგონებს, ოთახში შემოსვლის ნებას არ აძლევდა და ხელს ზღურბლთან უცლიდა.

შელამებისთანავე კართან ისეთი ბრახუნი და ბრაგუნი ატყდა, გეგონებოდა ქვემეხის ჭურვებიანი ყუთები მანქანიდან უდიერად ჩამოყარესო. კარი ყურთამდე მოიღო და ცეცხლის წითელ სინათლეზე შემოსასვლელში გაჰედილმა, წარბებდაფანჩულმა ვეება კაცმა ბოხი ხმით ჩაიხითხითა, რომელიც იმიტომ კი არ ხითხითებდა, რაიმე სასაცილო დაინახა, არამედ ჩახველების მაგიერ ყურადღების მისაქცევად რომ გაიხმაურებ.

— ხი-ხი-ხი! შეიძლება?..

— არ ვიცი... — ჩაილაპარაკა მამუკამ ლოგინიდან თავაუწევლად, — შეიძლება...

შემოსულმა ჩექმები ახლა სოხანეზე აახმაურა მძიმე ყუთებივით და ისევ ჩაიროხროხა:

— ხი-ხი-ხი, გეთაყვა, რა კაცია ეს ბოკერია, სალამოსო... სალამო არ არის?..

პასუხად ხმა არავის გაუღია.

— ხი-ხი-ხი, — ახლა მართლა გაეცინა, — გამარჯობა, კაცო, შენი!.. — კა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რი მჭიდროდ მიხურა, მაზარა მოიხადა და საყელოზე ნაპერწკალივით გაჭიატებული მინანქრის ოთხკუთხედები გამოუჩნდა.

საწოლზე ძვლებდაყრილი, დაჭმუჭნული მამუკა ვერც კაპიტნის ჩინმა წამოაგდო მატყლის ლეიბიდან.

— გეთაყვა, ეს ნავთის ლამპა მაინც აგვენთო... რა კაცია ეს ბოკერია!.. რას იზამ, უნდა დაველოდოთ, სტუმარი მასპინძლის ვირია, სადაც დააბამს, მისი ნებაა, ხი-ხი-ხი!..

ეს „ხი-ხი-ხიც" სიცილისათვის არ უთქვამს, ვითომ უფრო მოხერხებული და მარჯვე ანდაზა არ მომაგონდაო. ბუხრის გვერდზე გაურანდავი, ფიცრის ლურსმნით შეჭედილი ტაბურეტი იპოვნა, ხელისგული გადაუსვა და ცეცხლთან მოეწყო.

ეზოში ბოკერიას ხმა მოისმა:

— ხანუმ, ა, ხანუმ!..

— ნაჩალნიკ! — გაეხმაურა დიასახლისი და ეზოში ბიჭების ხორხოცი ატყდა. ბუხართან მოკალათებულმაც ჩაიხითხითა.

— გეთაყვა, რა კაცია ეს ბოკერია... ამ ყუმიხ დედაკაცს რა ენაზე ელაპარაკება...

— არ ვიცი... — შემკრთალი ხმით გაეპასუხა საწოლზე გულაღმა დაგდებული.

კარს ჯარისკაცები მოაცვივდნენ და ავთანდილმა შემოსვლისთანავე წამოიძახა:

— რა ვთქვი კაცო მე! კაპიტანი ხარაზიშვილი ახლა ბუხართან ზის და გველოდება-მეთქი!

— კი თქვი, კი!.. — დაეთანხმა მომცრო ახალმოსული, ტალახიან ჩექმებს რომ კარის წირთხლს გარედან აწმენდდა.

— აბა როგორ, გეთაყვა, სალამოსო, აგრე არა ვთქვით?

— შე კაი კაცო, რომ ვთქვით ხომ უნდა აცალო დალამება! — ჩაიბუზღუნა ვითომ ნაწყენმა მომცრო ჯარისკაცმა, ჩექმები რომ კარის წირთხლს შეაწმინდა და ახლა, თვალის დახამხამებაში გახდილი მაზარის დასაკიდებელს ეძებდა.

— მაზარები ყველამ აქ მომეცით! — გასცა განკარგულება ავთანდილმა, როცა თავისი, პაწაწინა ფანჯრის თავზე ორ ლურსმანს შორის გააწკიპარტა და ლამპას დაწეულად მოუკიდა.

— ჰა, აგერაა და რაც გინდა ის უქენი! — მიაჩეჩა ვითომ აბუზღუნებულმა და ცეცხლის პირას, ხარაზიშვილის გვერდით, ჩაცუცქდა, ხელები გადაითბო.

— შემოეტიე შინ და მიხურე მაგ კარი! — გაუწყრა ავთანდილი წრიპას, კარში კი არა, თაგვის ხვრელში რომ გაეტეოდა.

— აქ ჰოსპიტალია, თუ საცხოვრებელი ბინა? — იკითხა წრიპამ და ჰაერი ორ ფეხზე შემდგარ წრუწუნასავით მოყნოსა.

— ვინც შენ ექიმობა დაგაბრალა, დაიქცა მისი ოჯახი! — შეუღრინა ავთანდილმა, — აქ წამლების გარდა, არაფრის სუნი არ გცემს?

— მცემს, ავთანდილის ჭირიმე, მცემს... — აქსუტუნდა დაგვალული და მწოლიარე მამუკას გვერდით ჩამოჯდა, — ესაა ჩვენი სტუმარი?

— ესაა... — ჩაილაპარაკა ავთანდილმა და სტუმრების მაზარები საწოლზე კედლის მხარეს მიაყარა, ექიმისაც ზედ დაუმატა, რაც ჩია მკურნალს მაინცა და მაინც სასიამოვნოდ არ დაურჩა, მაგრამ წყენა არ შეიმჩნია, როცა ბოკერიამ „სტუმარი" ლოგინზე წამოსვა, სწორედ ამ მაზარების გროვას ზურგით მიაყრდნო.

— ჰოსპიტალიდან ადრე გამოუწერიათ... — მკურნალმა კოლეგები მეტი საყვედურისთვის ვერ გაიმეტა.

— გზაში გაციებულა, ფეხებიც ვერა აქვს წესრიგში... — თავი გადააქნია გულდათუთქულ დედასავით ბოკერიამ.

— ორივე ფეხში იყო დაჭრილი?

— ეჰ, სადღა არ იყო...

— სახეც... — ექიმმა თავი გადააქნია, ვერც ამჯერად გაიმეტა კოლეგები სააუგოდ.

— აკაკი გოშხეთელიანო, აუწიე მაგ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლამპას, რომ ატუზულხარ და გულზე ხელები გადაგიჯვარედინებია! ნეტავი აქ რას ზვერავ?!. — ცერად გამოხედა ავთანდილმა.

— ავუწევ, რა დიდი ამბავია... — დაფაცურდა მზვერავთა ოცეულის მეთაური გოშხეთელიანი.

ოთახი ყვითელი შუქით აივსო.

— ავთანდილ, შე ოჯახაშენებულო, ტაბატაძე ავადმყოფს მართლა ახლოს არ მიაკარო, ისედაც ძლივს გადარჩენილა!.. — ვითომ სინათლეზე ახლა დავინახე, ლოგინზე რომ ჩამოჯდომიაო, გაასავსავა ცეცხლზე შემთბარი ხელები ხუჭუჭთმიანმა მომცრო ლეიტენანტმა და სიცილი წასკდა.

— შამშე გეწაძე, შენისთანა ინჟინრები... — დაიწყო ტაბატაძემ, მაგრამ საყელოზე ელვაგადაჯვარადინებულმა, მინანქარივით ლოყებაწითლებულმა უმცროსმა ლეიტენანტმა არ აცალა.

— ავთანდილ, ძამია, მართალს ამბობს შამშე, სანამდი ავადმყოფი კარგად არ მომაგრდება, მანამდე ლონგინოზ ტაბატაძე ეზოშიაც არაა შემოსაშვები...

— თქვენი ჭირიმე, ესეც მე ვარ?! — გაიბადრა გეწაძე.

— გუჯაბიძე, მაგი მეკუთვნის მე შენგან?! — გაოცდა მკურნალი.

— მოიცათ, კაცო! — აჯაჯგანდა ავთანდილი და ოთახის კუთხეში მიწყობილ ლაბადაგადაფარებულ ხორაგთან ჩაცუცქულ შავგვრემან უფროს სერჟანტს შეუცაცხანა, — ვახტანგ, რას აკეთებ მაქ. გადი გარეთ, ფანჯარასთან ფიცრებია მოყუდებული, ჩემს „ხანუმას“ მოუზიდია, შემოიტანე და რალაც სუფრა შევახუხულავოთ, თუ გგონია აქ საშალი მაგიდა მაქვს და შენი ქორწილისათვის ვინახავ!

— ახლავე, ამხანაგო... — წამოხტა ვახტანგი და კარში გავარდა.

— გეთაყვა, ავთანდილ, როგორი რუსია ეს შენი მოადგილე, ხი-ხი-ხი... — აროხროხდა ხარაზიშვილი, ნასიამოვნები, რომ ამისთანა მარჯვე ბიჭი სუფრის საქმეს მალე მოახელთებსო.

— მაგის ბაბუის ბაბუა...

— ხი-ხი-ხი, პაპის პაპა, — ჩაურთო კაპიტანმა.

— ჰო, წინაპარი, ერეკლეს ჩამოუყვანია საქართველოში.

— მეზარბაზნეებად, გეთაყვა?

— ალბათ...

— დიახ, მეზარბაზნეებად, ამხანაგო ბატალიონის მეთაურო! — განმარტა გაურანდავ, სქელი ფიცრით ხელში კარში თავშემორგულმა კრავცოვმა.

— მაშინ არტილერისტად გაგეშვათ... — დაუსვა დიაგნოზი ლონგინოზ ტაბატაძემ.

— ასე, მოწოდების მიხედვით რომ იყოს, ძამია, შენ ცხვრის ფერმის მკურნალად უნდა გაემწესებინეთ, — ვერ გაუშვა ხელიდან ხუმრობის შემთხვევა გუჯაბიძემ.

— მე ბეითალი არ გახლავართ, ამხანაგო მეკავშირე და შენ ჩემს გოგოებთან კავშირზე დღეიდან დაიბანე ხელები!..

— ასეა საქმე, ლონგინოზის ჭირიმე?! — გეწაძემ, როგორც კი ექიმმა გოგოები ახსენა, მაშინვე მედიცინის მხარე დაიჭირა.

— ვახტანგ, საწოლზე ჩამოდევი მაგ ფიცრის თავი კაცო, რომ გელაპარაკები მე შენ! ლონგინოზ, ადექი მაქედან!

— ავადმყოფს მოაშორე, თუ ღმერთი გწამს, ავთანდილ! — შეიხვეწა ისევ გუჯაბიძემ.

— დეზერტირ! — მოაძახა საწოლიდან გაძევებულმა ტაბატაძემ.

— ა, სად წახვალ ახლა? — შანი მოუგო გეწაძემ, ექიმი კაცის განაწყენება შენ რა გგონიათ.

— დეზერტირია მაგ თქვენი მეკავშირე გუჯაბიძე და ომში თუ მაგის იმედზე აპირებთ ყოფნას, კარგ კავშირს დაამყარებს!

— შენ გოგოებთან ხომ საიდუმლო კავშირი აქვს? — არ დაიღუპო, ლონგინოზს გოგოები გულიდან არ გადავარდესო, ცოდვის ვაშლივით ისროლა გეწაძემ.

— მაგისთვის დეზერტირობს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აკაკი, გაანძრიე ხელი შე კაცო, რა გითხარი მე შენ! — შეუტია ისევ მასპინძელმა კედელზე აკრულ და გულხელდაკრეფილ გოშხეთელიანს.

— კი ბატონო, რა დიდი ამბავი მაგ არის... — წვდა კარში გახიდულ ფიცარს დაზვერვის ოცეულის უფროსი.

— აჰ, ლონგინოზ? გოგოებისათვის, ხომ, მაგ სალახანა, მაგი!.. — დაასხა მინავლულ ცეცხლზე ნავთი შამშემ.

— აბა, მაგი და ერთი სტუდენტობის მეგობარი მყავდა, ამალლობელი, ერთია.

მამუკამ საწოლის თავს იქით ატუზულ ექიმს ერთი კი მოხედა, მაგრამ მერე ისევ ცეცხლს ჩააჩერდა.

— ნოდარისთანა წყალწაღებული არ იქნებოდა! — გაიმეტა საბოლოოდ შამშემ გუჯაბიძე.

— ვინ ამალლობელია? — იკითხა საქმით გართულმა ავთანდილმა.

— არაფერი, ავთოს ჭირიმე, ჩვენ აგერ რაღაცას ვლაბუცობთ... — დააშოშმინა შამშემ მასპინძელი და ისევ შეუნთო ცეცხლი კრუხის პალო, ავგულა მკურნალს, — თუ გუჯაბიძეს გავდა ის შენი სტუდენტობის მეგობარი, გარყვნიდა მთელ სამედიცინო ინსტიტუტს.

— ჯოხისთვის რომ კაბა გადაგეცვა, მაშინვე გაწვებოდა და ქვევიდან დაუწყებდა ჭვრიტინს.

გეწაძე და გუჯაბიძე ახარხარდნენ.

— ხი-ხი-ხი, — აროხროხდა ბუხართან კაპიტანი ხარაზიშვილიც.

მამუკას ცეცხლისთვის თვალები არ მოუცილებია.

— ისიც დეზერტირია? — იკითხა პირმოლებულმა გეწაძემ.

— დეზერტირია აბა რა, ადრეც კოჭლობდა, მაგრამ ომი რომ დაიწყო მთლად მოიკაკვა.

— თუ კოჭლია?! — გამოექომაგა ნოდარი ტაბატაძის კოლეგას.

— მისი ფეხის გასწორებას ერთი თვე არ უნდა, მრუდედა აქვს შეხორცებული...

— ლონგინოზ, ჯანდაბას მისი თავი, შენი ჭირიმე, ეს, — ნოდარს მხარზე ხელი დაუთათუნა, — ეს რას დეზერტირობს, თუ პროფესიული საიდუმლოება არაა, გვითხარი.

— არ ვამხილე, თვარა ნახავდა თვალისსეირს... — გაიქაჩა ჩია ექიმი.

— რომ არ მამხილე, ძმია, ეგეც ლალატია! — გამოიჭირა სიტყვაზე ნოდარმა, — ახლა შენც ჩუ და მეც...

— არა, მაინც, მაინც?.. — არ დავიდუპო, მართლა არ დაზავდნენო, შეელმერთა დაგვალულს შამშე.

— რა და, აულია ბოთლის ნატეხი და მუხლი გადაუჭრია! — ამხილა ბოლოსდაბოლოს „დამნაშავე“ მედიცინის პირუთვნელმა წარმომადგენელმა, — და მომადგა, ერთი-ორი დღე მაინც დამაწვინე ამ გოგოებთანაო.

— უყურე შენ!.. — მოიხედა გოშხეთელიანმა, ამ ხუმრობა ხუმრობაში მართლა საეჭვო ხომ არაფერი ითქვაო.

— რაც ჰქენი მერე, შენი ჭირიმე, ერთხანს ვერ გააჩერე? — შეებრალა გუჯაბიძე შამშეს.

— გადავუხვიე და გამოვაგდე გარეთ.

— არ გიქნია კარგი... — შეწუხდა გეწაძე, — როგორც კი ფრონტზე მოხვდება, ნახავ შენ, თუ მაგ გოგოებისთვის ზარბაზნის ჭურვს შუბლს არ შეუშვერს.

— ვიზამ! — გაჯიუტდა გუჯაბიძე.

— იზამ და ჰქენი! — არ დაუშალა მკურნალმა, — იმ გოგოებს რომ უპირებ თავის მოჭრას, შენს თავს მოვაჭრევინებ.

— მე არა, ლონგინოზ და ავთანდილ ბოკერიას უფრთხილდი ძმია, თუ არ გინდა ის შენი სანნაწილი საბავშვო ბაგად გადაგიქციოს! — გაიცინა გუჯაბიჯემ და საწოლიდან კარამდე გადებულ ფიცარზე ხელების ფშვნეტით ჩამოჯდა.

□ გაგრძელება იქნება □

ეროვნული
ბიბლიოთეკა

**გიორგი გიგაური**

## სვანები ქარაფზე

ფეხი არ უსხლტებათ ციცაბო ქარაფზე,
კაშხალს შეენივთნენ ხორცით და ძვალით,
ბუნებას არ თხოვენ არაფერს,
ბუნებასართმევენ ძალით.

ნუ გიკვირთ, ისინი მუხლმტკიცე სვანებია,
მუჭში გაუწურავთ ენგური,
ოფლით მოწეული ლუკმა ჰყვარებიათ,
მიზანიც შრომაში ეგულვით.

მამაცთა სულისათვის უცხოა სიმშვიდე,
ბედნიერების განცდაა სიმაღლე;
უტევდნენ და ფაფარს ლომივით იშლიდნენ...
ახალუხლებიც ბაძავენ წინაპრებს.

ფეხი არ უსხლტებათ ქარაფზე ჭარმაგებს,
ერთი გრეხს რკინას,
სხვა ბეტონს ასხამს,
იმათი სიმაგრე კაშხალსაც ამაგრებს,
იმათი სიმაღლე ამაღლებს კაშხალს.

დღევანდელ ოცნებას ბექნუ თუ პირიბე
ხვალ სიბრძნის წიგნივით გაშლის, —
ჩამოათავებენ ციცაბო ბილიკებს,
ტივებით შეცურავენ ზღვაში.

## სულის საგზალი

შემოგთავაზებ ყვავილს ნაკრძალის,
ულრუბლო დილის ნამით ნაპკურებს,
შენ იყავ ჩემი სულის საგზალი,
დღესაც სიცოცხლეს შენით ვაპურებ.

ძუნწის ქვევრივით დაუხარჯავი,
ნაგვირისტალი სისხლის წკარუნით,
მომმადლებელი,
განა მტანჯავი,
მაგ სილამაზის მაქვს სიყვარული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენი ნათელით ამიღაღანდა
მიტოვებული სამკალ-სათიბი
და ახლა
ბლოსთან,
ღულთან,
ახადთან
თავს იწონებენ ჭრელი ქათიბით.

ფეხზე ადგომით გლოცავენ მთები,
გაქვს საფიცარად ჩემი სახატე,
თაფლივით დნება ნიავი თმებში,
ორბებმა ჭიუხს ფრთით მიგახატეს.

აქაც ამოგყვა სულის საგზალი,
არ დამიწუნე კვამლი ფარეხის,
ავი თვალისთვის შენ ხარ ნაკრძალი,
ნაკრძალისათვის შენ ხარ მარეხი.

## გულისთქმა

თუ სილამაზის უნაზეს უნარს
და სიყვარულის უმაღლეს ძალას
ველარ შევიგრძნობ,
ჩამქოლეთ უმალ,
განვლილი წლებიც დამადეთ ვალად.

თუ ჩემს სამწყემსოს ვერ მოვუარე,
ვერ ვუპატრონე სინდისს, სიწმინდეს,
ველი სიკვდილზე უფრო უარესს —
ვიდგე კუპრში და
ხელებს ვიწვდიდე.

## მოლოდინი

მთელ ღამეს თოვდა,
გაყინულ ფიფქებს
გულში ვიკრავდი ცხელი თითებით,
ვფიქრობდი,
ფიფქმა მიშველოს იქნებ
და ფარფატებდნენ თეთრი ფიფქები.

თოვლზე ვძერწავდი შენს ლამაზ სახელს,
მზე გაგიფინე ქათქათა გზებზე,
მერე უტკბილეს სიზმარში გნახე
და უშენობა მე ველარ შევძელ.

მოდი,
გიწამო,
ფრთებად გიგულვო,
ამღერებულო, ჩემო არმაზო,
დე, სიყვარულმა გაგადიდგულოს
და კიდევ უფრო გაგალამაზოს.

## თაიგული

ის კითხულობდა,
სიყვარულმა რაც ათქმევინა,
სული მზის სხივებს მიუფიცხა
გასალაღებლად,
ლექსის ხანძარი მოეკიდა
ბებერ ხეივანს,
ხმა ამოიღეს თეთრმა თაღებმა...

და თაიგული დაფნის ფრთიანი
პოეტს გოგონამ გაუწოდა
გულისფრიალით.

გაიღიმილა,
გაიხარა ფერთა ციმციმით,
მოუხმო
თამარს,
თინას,
მარიკას,
გაანაწილა ყვავილების
ნაზი სიცილი
და სათითაოდ ჩამოარიგა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვასილ გვეტაძე

# მცირე კი არა, ქვეყნის ტოლია

ზღვა და კუნძული წინ ალანდული,
მოსაგონადაც მძიმე რამ არის...
ქერჩის გორაკებს ელვა გადუვლის
და განათდება ზეცა ტამანის.

შეჟრიალდება მიწა ყირიმის,
გაშავებული ქერა ჩრდილებით.
ფეხზე დგებიან ჟივილ-ხივილით
ძმები, აქ ერთად გაჟლეტილები.

ჩამოეფარა ფარდა არყიანს
და მგლოვიარე თვალები უმზერს,
რომ თითო მუჭა მიწას აყრიან
აჩხანაგების საფლავებს გულზე.

და ახლა სიტყვა სად მოიძებნოს,
გვჭირდება ფრთები და ფრთების შესხმა.
„მაგრამ მეგობარს რა მოკლავს, ძმებო!“..
ამოიძახა ტირილით ლექსმა.

ლორთქო აპრილი მწვანედ ფართქალობს,
სადაც დაცემულ ძმათა ძვლებია.
სიტყვავ მართალო, სიტყვავ მართალო,
თურმე, რამდენი რამ შეგძლებია!

ჰე, მეომრული მათი ჯალაბი,
არა, არ გაქრა, ძილს არ დანებდა.
სიკვდილს ებრძოლა დავიდარაბით,
სანამ აქ მყუდროდ დაივანებდა.

ყინვით გამზრალი გათბა გულები,
მზემ დაუვალმა ცაზე იალა,
და უსახელოდ დაცემულები,
ბორცვებზე დადგნენ სახელიანად.

ეს სხვა ბორცვია, ეს სხვა კორდია,
ამ დიდ სიმაღლეს დრო ვერ შებინდავს.
აჰა, მოდიან, აჰა, მოდიან,
ცამოგვცქერიან სტრიქონებიდან.

მტერმა სცადა და ვერ დაარბია
და ვერ შეჭამა მიწამ უძღებმა...
მარშის გუგუნით მოდის არმია,
გმირი სარდალი წინ მოუძღვება.

მათი მგზავრობა უხანგრძლივესი
იტყვის, ფრონტებზე როგორ იომეს.
გზა, გზა მიეცით, გზა, გზა მიეცით,
ფეხზე წამომდგარ ბატალიონებს!..

დე, სიჭაბუკე ფერშეუცვლელი,
ზამთრის გზებზედაც მორთონ ფარჩებმა.
სხვა ძალისაა წიგნის ფურცლები —
ყველა მათგანი ცოცხლად დარჩება.

სად გაიხსენა გმირი ამდენი,
ვინ სად დაეცა, მომხდურს ეომა.
არ დავიწყნია დღე დაბადების,
ჩვენი, ქართველი ბიჭის დღეობაც...

სხვა ჟრუანტელი ათბობს სტრიქონებს,
ცეცხლში გავლილს და ოქროს ფერიანს,
და უკვდავება თვით მოიგონებს,
ვისი სახელიც წიგნში სწერია.

ვინც გზა ბოლომდე ვერ გაიარა,
განა, ივიწყებს მას ისტორია?
ახლა ეს მიწა, მცირე კი არა,
იცოდე, მთელი ქვეყნის ტოლია.

ჩადგა ერთბაშად ქარი ფრთაცივი,
გზა გადიზოლა ზღვასთან ზვიადად,
და დიდი მიწის მცირე ნაწილი
მართალმა სიტყვამ გაადიადა...

დიდება სიტყვას, ტკივილით გამთბარს,
განცდებს, რომლებიც არ გვასვენებენ,
არ შორდებიან მშობლიურ კალთას
და სინანულით თავს გვახსენებენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დაბადების დღე

ათი დღე ჩამოიშალა,
რაც ზღვა დატოვეს ძმებმა.
ათი დღე ჩამოიშალა
და მეთერთმეტე დგება.
ამ დღეში, მტერმა პირშავმა
იცის, არ გაგვეძლება.

ერთმანეთისგან გვთიშავენ,
მაგრამ ერთად ვართ ჯერაც.
შავი ღრუბლების სიშავე
გაიფანტება, გვჯერა.
ტყისპირი ქოჩორს იმშრალებს, —
უბეში ცისკარს ფერავს.

მიწა კი — ვიწრო გალია
და ტრანშეებში მალვა...
თხუთმეტი თებერვალია,
როგორც თხუთმეტი ალვა.
თხუთმეტი თებერვალია,
თათარაშვილო შალვა!

მაგრამ დღე ხომ არ შეგშლია,
ხომ სინამდვილე არი?!..
ხელს ვერ წაატან ფრთებშია,
წავიდა, როგორც ქარი...
— ოცდამეოთხე წელში ვარ,
ბიჭებო, გადამდგარი!

იცნო მეგობრის ნათქვამი
თანამებრძოლმა მალე:
— ამგვარად ტკბილი რად არი
დღეები, როცა წავლენ.
რომ იყოს, გითხრა მართალი,
დღეს ღვინოს ჩაფით დავლევ...

ხმა წავა საქართველომდე,
თუმც კი გრძელი გზა გვთიშავს.
სხვას აქ არაფერს ელოდე,
თუნდაც მეორედ იშვა:
— ოცდასამ ვაზნას მოგართმევ,
ოცდასამი წლის ნიშნად...

ასე თქვა თანამებრძოლმა —
ტკბილმა ჭაბუკმა კაცმა.
ასე თქვა თანამებრძოლმა
ყველა მეგობრის ნაცვლად,
და ზამბახების მაგივრად,
მისცა ვაზნების აცმა...

ხევთან, სანგრებს რომ გადივლი,
ჯგუფს დაინახავ მარცხნივ.
ვით წინა დილას, ამ დილით
ცეცხლი ბალახებს ვარცხნის.
აქ დღეობაა ნამდვილი
ქართველი ჯარისკაცის.

წამი ცის გახსნის სადარი
და უეცარი თრთოლვის...
თავის დარით და ავდარით,
თავის ბუქით და თოვლით —
ზურნა და დოლი სად არი,
ჩვენი ზურნა და დოლი!

მაჭრის შუშხუნი სად არი,
ფიცხი ჩინჩხლები ღვინის,
სიტყვა ზედ ცერზე დამდგარი,
არა ნაღები ინით.
ჭასთან ჭიქა და ჭადარი
და ჩვენებური ლხინი.

ღია მარანი გვანახონ
და მოსახდელი ჭური.
ნაკვერცხლით თონე გვანახონ
და ამოყრილი პური.
კრავი რომ ჩრდილში ბალახობს,
ქვაბში ქაფქაფებს ბური.

ვაზი რომ რძეს ღვრის ცურიდან
და მზე ძარღვებში ჩადის.
ტკბილად ახდენას სურვილთა
მოსდევს ქეიფი ნადის,
ღვინითა ატენურითა,
ჭანარითა და მწვადით.

დე, აქაც აალუღუნონ
ჩანგური ცრემლის ღვრითა.
ფანდური აალუღუნონ
და თქვენ, ვსულდგმულობთ რითაც.
დე, ამ დღეობას უყუროს
მტერმა გადაღმა მხრიდან.

ბალახზე შავად მიმშრალა
სისხლი და მიწა ძღება.
ათი დღე ჩამოიშალა,
რაც ზღვა დატოვეს ძმებმა.
ათი დღე ჩამოიშალა
და მეთერთმეტე დგება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გურამ კაპანაძე

# მოთხრობები

## სად ხარ, წიქარავ!

ქალაქში სიცხის ლული დგას. უძრავია ფოთლები, ფარდები და სურვილები. მხოლოდ ბახულას ენა მუშაობს გამალებით, შორაპნიდან საჩხერისკენ გაქანებული ორთქლმავლის ბორბლების შემაერთებელ ისარივით დარბის წინ და უკან.

ლუყურტი ბიჭი კინკილ-კინკილით მოდის ვიწრო ქუჩაში. კუნაპეტივით შავი თმა ძალზე ჩამოზრდია კისერზე. ბახულა უკან მისდევს. ბიჭი ოფლად იღვრება, ძაღლსაც რაღაც აწუხებს.

გადასასვლელთან ბიჭი შედგა. ცხოველი მაშინვე დროს იხელთებს, მიუახლოვდება ჭადარს და უკანა ფეხს ოდნავ შემართავს მაღლა. მოპირდაპირე მხარეს აივანზე გადმომდგარი მელოტი კაცი ტროტუარზე წყალს ასხამს შლანგით, შთაგონებით, მონდომებით ასხამს. ბიჭი ჯიბიდან ვაშლს ამოაძვრენს და კბეჩავს. გაშტერებული შესცქერის ბახულა. მერე აწეულ ფეხს ტროტუარზე დგამს, უახლოვდება და კუდს უქიცინებს, თანდათანობით ემანჭება სახე ბიჭს. მარახოში ვაშლია. მელოტი კაცი შლანგს მოაჯირზე გადადებს და ოთახში იკარგება. როდესაც ნაკბეჩს უკან გადმოაგდებს, ბიჭს კოხტაპრუწა მეზობელი გოგო მოაგონდება. ელიმება. ოთახში მიმალულ მელოტ კაცს თვალს უკრავს, ბახულას კი ეკითხება:

— ცივ მდინარეში იბანავებდი?

ვისთვის ჩაიცვა შუათანა ძმის გადაკეთებული, გაუთოებული შარვალი და თახახიანი კეწკეწა პერანგი? ვისთვის ისწორებდა თმას?.. ისევ ღიმილი, გულუბრყვილო, ჯერ კიდევ ბავშვური.

კოჯორში ის გაულვიძია, აბასთუმანში მერცხლები მოფრენილან, ჰელიოსი ახლად შერემონტებულ ორთვალაზე შემჯდარა. ეს არის გაზაფხული? ალბათ, არა... გაზაფხული მაშინ დგება, ახალი სიცოცხლე იქიდან იწყება, როდესაც პატარა მოდებაძე პირველად გადაწყვეტს მეზობელ კოხტაპრუწა გოგოს დასანახავად თმის შეკრეჭას, შელამაზებას, თუნდაც იმ დროს ყინულის ლოლუებს როკვა გაემართოთ, ან თუნდაც ქალაქში სიცხის ლული იდგეს.

ბიჭი მოკრძალებით მიუახლოვდა სადალაქოს. ჯერ თავი შეჰყო, მიიხედ-მოიხედა და მერე შევიდა. ბახულა კართან დატრიალდა და ალაზე დაჯდა.

სადალაქოში სისუფთავე და სიჩუმე სუფევდა. თეთრხალათიანი დალაქი კუთხეში იჯდა. სკამზე ხატაურა შესკუპებულიყო.

მოლარე დიდხანს აკვირდებოდა ბიჭს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირდაღებული შესცქეროდა. მერე მთელი საათი უწერდა ქვითარს. ორმოცდაორი კაპიკი გადაახდევინა.

დალაქმა ზურგი მოიფხანა მაკრატლით.

— ამალია, ასეთი კლიენტი ღმერთმა ნუ მოუშალა ჩვენს მტერს, — თქვა მან, — რა ვქნა ახლა?

— აქვსენტი, ნუ აჩქარდები!

— შე, ლოქოფაჩა, ამ ძაღლის ალიონზე რომ ამდგარხარ, უპატრონო ხარ?

— მამა მყავს, დედაც და ორი უფროსი ძმაც.

— ბებია და ბაბუა?

— სოფელში.

— რომელ სოფელში?

— ნიგოზეთში.

— ინდაურის ჭუკები?.. ამალია, დამთარსა ამ ღლაპმა... აქვსენტია გერგეცა, დაბადება დეგექცა.

სარკეში მოლარეს ნესვივით წაგრძელებული თავი მოჩანდა. კოკროჭინა სათვალე შუბლზე აეწია.

— პატარა კუწუნწრახა, — ჩაილაპარაკა მოლარემ.

როდესაც ხელები არ იცი სად წაიღო, როდესაც თვალები იატაკისთვის ვერ მოგიცილებია, ირგვლივ კი განურჩევლობა და სიცარიელეა, ვის გაიხსენებ პირველად: ბახულას, დედას, მეზობელ გოგონას, თუ ზეწარს ან სარდაფს?

— ჩაჯექი, — მეშგადაკრულ სავარძელზე მიუთითა დალაქმა. შემდეგ ქვითარი ჩამოართვა და დახედა. — ოდეკალონიანი ჩეკი გამოუწერია... შენ რას იტყვი, ამალია?

— თათარიახნად გაკრიჭე, აქვსენტი!

დალაქმა პატარა კლიენტს თეთრი წინსაფარი შემოახვია და გვერდზე კისერთან ინგლისური ქინძისთავით შეუკრა.

— ძია, ძალიან ნუ გამკრიჭავ... ძია, დიდი თმა მიხდება.

— დიდი, ხოჩრის ყურები?..

საკრეჭი მანქანა მოიმარჯვა, ბავშვს თავი დაახრევინა და საქმეს შეუდგა.

— რა კიპრუჭნაჭამივით ცქმუტავ, — თქვა ცოტა ხნის შემდეგ დალაქმა.

მოლარემ კუჭკუჭი ატეხა. ბიჭი [illegible] ლურსა.

დრო მიიზლაზნებოდა. დალაქი კი ღიჯნიდა და ჯიჯგნიდა, იატაკი თანდათან შავდებოდა, იფარებოდა თმით.

— ძია, რას მიშვები? — გაბედა ბიჭმა ხმის ამოღება.

— ჩუ, — თქვა დალაქმა.

— ორ აბაზად ასე კრეჭენ, — დაიკნავლა მოლარემ.

— ამალია, ერთი შეგახედა რა თებოიანი თავი აქვს.

— მართლა?.. საინტერესოა, — მოლარე წამოდგა და მიუახლოვდა.

— ღმერთო მომკალი, ბიჭო მაგ გოგრას წელიწადში ერთხელ მაინც არ იბან?.. ფუი, რა ბუწუკი თმა გქონია.

— გუშინ დავიბანე, — წაილუღლუღა ბიჭმა და თვალთაგან წამოსული ორი კურცხალი დაეცა ყორნის დაჩეხილ, დალეწილ ფრთებზე.

შემდეგ სიჩუმე. ეძინა ფისოს, შტერი ბახულა ვერ მიმხვდარიყო რა აწუხებდა ასე.

დაბოლოს დალაქმა თითქმის ნახევარი ფლაკონი ოდეკალონი მოასხურა თავზე.

— ულვაში ხომ არ შეგისწოროო? — ჰკითხა ბიჭს.

— შემეშვი, არაფერი არ მინდა.

როდესაც თავი მაღლა ასწია, პირველად მხოლოდ ყურები დაინახა. ორი მოზრდილი, ფართო, ღრუიანი, მომღიმარი ყური შესცქეროდა, ზუალი და იუპიტერი. შემდეგ დალაქის ექიდნურ სახეს მოჰკრა თვალი და უცებ მაკვილაკი მანანა მოაგონდა...

ბახულამ, ამ ერთგულმა ცხოველმა, რომლისთვისაც სულერთი იყო, თუ რამხელა ყურები ებმებოდა მის მეგობარს, ერთი ამბავი ატეხა ბიჭის დანახვაზე, ენაც კი დამალა.

მე ვიცნობდი ერთ ოჯახს, სადაც ცხოველები არ უყვარდათ, არ იკარებდნენ ახლოს. ერთხელ, როდესაც ამ ოჯახში მცხოვრებ ბიჭს გაუჭირდა, ის მარტოდმარტო დარჩა, არცერთი ძაღლი არ მოეკარა, არ გაუქიცინა კუდი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბახულა ხტუნვა-კუნტრუშით, ბიჭი კი ქურდულად ბრუნდებოდა შინ.

კვირა დღე გახლდათ. თმა მოდებაძეების ფარი და მახვილი, რიწის ტბა და უშბა, ყველას საერთო სიამაყე იყო. ოჯახის ყველა წევრს ხშირი, რბილი თმა ამშვენებდა.

ბიჭმა კარის ზღურბლს გადააბიჯა და შედგა.

მამა ვარჯიშობდა, სამფუთიან ორბირთვებს ისროდა ჭერში, უფროსი ძმა, მოჭიდავე ილო, „ლელოს“ კითხულობდა.

დედა ღიმილით შეაცქერდა.

— ბონდოსთან ხარ, ჩემო კარგო? — ჰკითხა მან, — ბონდო საცაა დაბრუნდება, საპარიკმახეროში წავ... უიმე, მიშველეთ ახლობლებო!... მიშველეთ, მომკლეს!

— რა მოხდა ქალო? — იკითხა მეუღლემ, — ეს ბალანა ვის ელოდება?

— შვილო, რაშია საქმე, ვინ დაგვღუპა?—შუბლში იტკიცა დედამ ხელი.

— ორ აბაზად ასე ვკრეჭავთო, — წაილუღლუღა ბიჭმა.

ძნელია, ბოლომდე სიმართლის თქმა, ძალზე ძნელია. ძია აქვსენტის დათარსვაზე კრინტი არ დაუძრავს ბიჭს.

— ღმერთმანი, პატარას დაბრიყვება ვერაფერი ვაჟკაცობაა, — ჩაილაპარაკა ილომ და კითხვა განაგრძო.

მამამ ორბირთვა თავზევით შეაჩერა და გაიყინა.

— საკვირველია, ასეთ მეტყველ ყურებს ჩემს სიცოცხლეში პირველად ვხედავ...

— ღრინწი გაუწყდა იმ ბოროტ ადამიანს, — წაიცრემლა დედაკაცმა.

— ნუ ავღელდებით, — თქვა მამამ,— მაგრამ ნურც ვაპატიებთ იმ ახვირაკს ჩვენი ოჯახის აბუებას... რა იქნა ჩემი პერანგი?.. — მიმოიხედა ირგვლივ.

— შენ რად უნდა შეწუხდე, — გაუკვირდა ილოს, — მე მოველაპარაკები იმ პატიოსან ადამიანს.

სიდინჯით, გონიერებით გამოირჩევა უფროსი ძმა. არ აჩქარებულა, სარკის წინ დადგა და ნახშირივით შავ, გრძელ თმაზე ალუმინის სავარცხელი გადაისვა... სამსონი, ლეგენდარული სამსონი...

— ილო, შენ შემოგევლე, ჩხუბი არ ატეხო, — შეეხვეწა დედა.

— რას ამბობ, დედა... მხოლოდ წავესაუბრები და მეტი არაფერი... არა, ორ აბაზიან ჩეკს გამოვიწერ და თმას შევასწორებინებ... მერე კი...

„ილო არ ვიყო, კიპკიპაზე ტყავი თუ არ ავაძვრე“. წავიდა. მამა თავზე გადაუსვა ხელი ბონდოს,ფეხბურთზე წაყვანას შეპირდა. მიხეილ მესხი დღეს ისევ ითამაშებდა „დინამოელთა“ რიგებში, ისევ გაიელვებდა მწვანე მინდორზე საოცრება, ზღაპარი, ქარი და ნიაღვარი. რაც შეეხება თმას, — მაინცდამაინც ნუ იდარდებს, ერთ ან ორ თვეში ამობიბინდება, ჩვენი გათელილი ჯეჯილიც აუცილებლად მალე გაიზრდება.

ბიჭმა ზლუქუნი შეწყვიტა. შემდეგ წიგნს მიუჯდა და ცხრა მთას იქით გადაიხვეწა. ყველაფერი გადაავიწყდა. წიქარამ შეისვა ზურგზე.

როდესაც ხარიდან ჩამოხტა, როდესაც ისევ დაუბრუნდა სინამდვილეს, კედლის საათი ოთხს უჩვენებდა. ფეხბურთი ექვს საათზე იწყებოდა. ილო არ ჩანდა.

— უნდა გავუდგე იმ ყმაწვილს, მეტი რა ჩარაა, — თქვა მამამ და ზლაზვნით წამოდგა, — ბიჭო, შენც წამოდი, ის სადალაქო მაჩვენე.

თაკარა მზე იკბინებოდა და იკბინებოდა.

სადღაც მთაში კი ალბათ სიგრილე სუფევდა. სადღაც ნიავი, ტალღები, თავისუფლება, აქ უმოძრაობა, ოფლი და არტახები.

ეზოდან ფრთხილად გამოჰყო ბიჭმა თავი.

ქუჩაში ძე-ხორციელი არ ჩანდა. მაშინ თავისუფლად ამოისუნთქა.

ქუჩის მეორე მხარეზე გადავიდნენ. ბახულა უკან მისდევდათ.

უცებ მოსახვევში მანანა გამოჩნდა.

აგურისფერი ბაბთები ექეთა, თეთრი მაშიები ეცვა, იღიმებოდა, მხიარულ გუნებაზე ჩანდა. მასთან შეხვედრას, ას

მაწუხელას შორის მოხვედრა ერჩივნა ბონდოს. მაგრამ ეტყობა ასეთი იყო მისი ბედი. ვინ გაქცევია ბედს, ამ თვალებახვეულ დედაკაცს. ფუი!

ეს სხვა დროს იმლიკი გოგო მამაშვილის წინ შეჩერდა .თავი დაუკრა. ძაღლსაც მოელოლიავა. მეჭინჭრიას ჰგავდგა.

— როგორ ბრძანდები, მანანა?—მოიკითხა მამამ, — ერთხელ მაინც რატომ არ შემოივლი ჩვენთან?

— დღეს საღამოს ვაპირებდი გამოვლას, — თქვა მან და ბონდოს შეხედა.

ბიჭმა მეყსეულად თავზე დაიდო ხელები და გოგონამ ჩაიკისკისა.

— ყოველთვის სანატრელი სტუმარი იქნები... აბა, შენ იცი, აუცილებლად გამოიარე ფეხბურთის შემდეგ.

— სტადიონზე მიბრძანდებით?

— დიახ.

„ავქაშს გავტეხ, თუ სტადიონზე წამოსვლა არ მოისურვა“, აწითლებული ყურები ოდნავ შეუტოკდა ბიჭს.

— უი, მე, ბიძია ბენო, რა მოხდება, მეც წამიყვანეთ.

„თუ მამა დათანხმდა, თავი მექნება მოსახერხი“.

— რატომაც არა, წაგიყვანთ, სამი ბილეთი გვაქვს და ოთხნი თავისუფლად მოვთავსდებით. აბა, დავიძრათ, ოღონდ ერთი წუთით საპარიკმახეროში შევივლი.

„სხვას რას მოსთხოვ საშუალო წონის ძალოსანს, მთელი ცხოვრება სიმძიმეების აწევაში რომ გაატარა... ყველგან რკინა აქვს ჩაღვრილი: მკლავებში, ბარძაყებში და თავშიც... არავითარი საიდუმლოება, სამალავი, მიხვედრა...“

წინ ბენო წავიდა, უკან მანანა მიჰყვა, შემდეგ გამორიტინებული ძაღლი და, ბოლოს, თავზე ხელებშემოდებული ბონდო.

ბახულა ვერასგზით ვერ მიხვდა, თუ რატომ აითრია ბიჭმა ფეხი. რა ხდებოდა, წარმოდგენა არ ჰქონდა. ისე, თვითონ ამ გოგოს კეთილი თვალებით უყურებდა. მოხვეულში, სიბნელეში არასოდეს არ უკბენდა.

სადალაქოსთან მამა შედგა.

— აქ დამელოდეთ, თმას გადავიკრიჭავ და გამოვალ, — თქვა მან და თვალი ჩაუკრა ბონდოს, მალე ნახავ სეირსო.

სადალაქოში გრილოდა. მოლარე თვლემდა. დალაქი ბუზს დასდევდა. კატა პირს იბანდა.

ბენომ ჩაახველა. მაშინ მოლარემ ცალი თვალით გამოხედა.

— ჯერ გაიკრიჭეთ და შემდეგ გადაიხადეთ ფული.

— რა თაბაუთია როდის გადავიხდი.

— რა ბრძანეთ?

ბენომ მანეთიანი გაუწოდა.

— ხომ გამართლდა ჩემი სიტყვები,— თქვა დალაქმა.

— მე ხომ არ მეკუთვნის თქვენი გამონათქვამი? — იკითხა ბენომ.

— კი, ავქსენტი, — უპასუხა დალაქს მოლარემ.

როდესაც სავარძელში მოთავსდა და სარკეში თავისი ლამაზთმიანი თავი დაინახა, ბენომ თქვა:

— მხოლოდ კისერთან შემისწორეთ... ხო, მართლა, აქ ერთ შავგვრემან ვაჟს ხომ არ შემოუვლია?... აი, თითქმის ზანგივით შავს, მაღალს...

დალაქმა არ უპასუხა. ქვითარი ჩამოართვა და მაგიდაზე დადო. უნებლიეთ დალაქის ხელს გააყოლა ბენომ მზერა, ნიჩაბივით ფართო და უზარმაზარ ხელს. შემდეგ მსხვილ მკლავებსა და ორმეტრიან მხრებს ჰკიდა თვალი. ბენომ იცოდა, თუ რა ზეკაცური ძალა იმალება ხოლმე ასეთ სხეულში. უცებ უკან დახევა მოუნდა ბენოს, დაჩოქება, გაცოცება და მერე გაქცევა. „დედაკაცს და ბალანას რავა უნდა აჰყვე ამხელა კაცი?!...“

— როგორ გგონია ამალია, რატომ იკრეჭენ თმას ან რატომ იპარსავენ წვერს?

— გალამაზებისათვის ავქსენტი...

— არა ამალია, არავის არ სურს ცხო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველს რომ ჰგავდეს, ყველას უნდა გარეგნულად მაინც რომ განსხვავდებოდეს პირუტყვისაგან.

ეს ახმახი კაცი ადამიანის სისუსტეს არასოდეს არ სცემდა პატივს, გაიფიქრა ბენომ. შემდეგ ქლესურად გაიღიმა.

— რომელ რაინდულ ორდენს ეკუთვნით?.. რა წონის შტანგას წევთ შეჯიბრებაზე?...

— იყუჩე, — მიუგო დალაქმა და ხელი დააჰირა, მხარზე მთაგორა აწვებოდა ბენოს.

როდესაც დალაქი სავარცხლითა და მაკრატლით წვდა მის თმას, ბენომ გაიფიქრა რომ ადამიანები ცეცხლისა და წყლისა, მიწისა და ჰაერისაგან არიან შექმნილნი. ცეცხლი ქრება, წყალი ორთქლდება, ჰაერი იფანტება და რჩება ნაცარი, მხოლოდ ნაცარი. არცერთი ფიჩხი ოქროსი, ამ ძვირფასი მეტალისა. მხოლოდ კალიუმი, კალციუმი, რკინა (მცირე რაოდენობით), გოგირდი, ფოსფორი... ფეხებიდან წამიკიდეთ ცეცხლი, ჯერ ფეხები და მერე თმები... სუსტი ადამიანი და თოვლჭყაპი ერთი და იგივეა, ორივე არავითარ კვალს არ ტოვებს დედამიწაზე... შე აპაშა, ეს ხომ ავტოკრატიაა!..

შემდეგ ტკივილი, სიბერე, უმწეობა და, ბოლოს, სრული მორჩილება.

რა დიდებულად ითამაშა იმ საღამოს თბილისის „დინამომ". მიხეილ მესხს ხომ არავინ შეედრებოდა. ჩვენი ფეხბურთის წიქარა, წუთით დაბრუნებული ფეოდალური ხანის რაინდი და ოცდაერთი ვასალი. ზეიმობდნენ თბილისელები. არავითარი ძალდატანება, არავითარი ყალბი შეძახილები. ნამდვილად ზეიმობდნენ. აღმოსავლეთ ტრიბუნაზე, სხვა თავებთან ერთად, სასიამოვნოდ ირხეოდა სამი წყვილი უშველებელი ყური და აგურისფერი ბაბთები. და ვიდრე მზე არ მოეფარა, სამი საზამთროსავით კრიალა თავი ლაპლაპებდა თვალისმომჭრელად. ბენო მხოლოდ მოედნისკენ ყურებას ცდილობდა. ილო დროგამოშვებით თვალებს უბრიალებდა ბიჭს. ხოლო იმ კოხტაპრუწა გოგოს სიცილი თითქმის მთელ სტადიონზე ისმოდა, განსაკუთრებით მაშინ, როცა მარცხნივ იყურებოდა, სადაც მეზობლები ისხდნენ. მოედანი იქით, მარჯვნივ იყო, ის კი წარამარა მარცხნივ აბრუნებდა თავს. და მაშინ ჩუმჩუმად ბუტბუტებდა ბიჭი: სად დამეკარგე, სად ხარ, ჩემო წიქარავ?...

ჩვენი წიქარა სადღაა? სორე წიქარა?

## უჟისმათლ

აივანზე ვიჯექი. ჩამოცვენილი მოყვითალო ფოთლებით მოფენილ ქუჩას გავცქეროდი. ხეები აღარ სუნთქავდნენ. სივრცეს თითქოს ვიღაცის შავი ფრთები გადაეფარებოდა. ერთი ფოთოლი ქარმა აафრიალა ტროტუარიდან, დაატრიალა და სადღაც გააქრო.

გაძვალტყავებული ფისო ფეხებს შორის გაწოლილიყო და ფეხსაცმლის ზონარს ათამაშებდა. ბუდუნა ერქვა. ჩემს გარდა არავინ ჰყავდა.

იმ წუთას ყველაფერი შეცვლილად მეჩვენებოდა. თითქოს იგივე საგნები, იგივე ქუჩა, იგივე ხეები, იგივე შემოდგომა იდგა. მაგრამ სინამდვილეში ერთმანეთისათვის უცხონი ვიყავით.

ყველაფერი მოგონილს ჰგავდა — ქალაქი, ბუდუნა და ხვალინდელი ქორწინებაც კი. ქუჩას გავყურებდი.

რამდენიმე საათის წინ მორიდებულად შევაღე რედაქციის კარი. ოთახები ცარიელი დამხვდა. მაგრამ ბოლო ნესტიან პატარა ოთახში მაინც ვიპოვნე ის, ვისაც დავეძებდი. დამინახა თუ არა, ჩაახველა და მცირე თავპატიჟის შემდეგ ჩამოვჯექი. ცარიელი პორტფელი მუხ-

ლებზე დავიდე და შევეცადე სახეზე გაჩენილი ნაძალადევი, ქლესური ღიმილი თავიდან მომეშორებინა.

— თქვენი მოთხრობები წავიკითხე,— მითხრა მან, სარედაქციო კოლეგიის წევრმა.

— ჰმ, გამომიხტა პირიდან.

სარედაქციო კოლეგიის წევრს მაგიდაზე ნაბეჭდი ფურცლები ედო და ხელში ჩინური კალმისტარი ეჭირა. მხრებზე პიჯაკი მოეხურა. წვერი გაზრდოდა, მოღუშული სახე მოუჩანდა და ალბათ არაფრის გუნებაზე არ იყო.

— რამდენი მოთხრობა მოიტანეთ?— მკითხა და მიხაკისფერი თვალები შემომანათა.

— თორმეტი, — ვუპასუხე და ოდნავ წინ წამოვიწიე.

— თორმეტი, — გაიმეორა და მაგიდის უჯრა გამოხსნა.

მაგრამ იქ ჩემი მოთხრობები ვერ იპოვნა. მაშინ უკან მიბრუნდა. მოთხრობები არც კარადაში აღმოჩნდა. ისევ გამოხსნა მაგიდის უჯრა და ცოტა ხნის შემდეგ მომწვანო საქაღალდე ამოიღო.

— ეს არის, — ვთქვი მე.

საქაღალდე მაგიდაზე დადო და გადაშალა.

— პროფესიით ექიმი ბრძანდებით, არა?

— დიახ.

— იგრძნობა, — თქვა მან და ნაწერს ჩააცქერდა. შემდეგ განმარტა, — ეს თქვენს მოთხრობებში იგრძნობა.

ჩემი მოთხრობების არსებობის შესახებ ვიცოდით — მე, მან, მეორე ლიტერატურული ჟურნალის „ვარსკვლავის“ სარედაქციო კოლეგიის წევრმა და მამინაცვლის ბიძაშვილმა.

რედაქციის თანამშრომელმა თავი მაღლა აიღო და რაღაც თანაგრძნობით გამიღიმა. უთქმელად მივხვდი, რომ მისი და ჟურნალ „ვარსკვლავის“ საბოლოო აზრი ერთმანეთს ემთხვეოდა. ამ ღიმილში განაჩენი წავიკითხე.

— თქვენ თითქმის ტრაბახობთ, ექიმი რომ ხართ...

უხმოდ მივჩერებოდი. [illegible] თავს ვუქნევდი. „ვარსკვლავის“ თანამშრომელსაც ვუკრავდი თავს, როცა მეუბნებოდა, რომ სამედიცინო თემაზე დაწერილ მოთხრობებში ვერსად იგრძნო, ექიმი რომ ვიყავი.

ჟურნალ „შუქურას“ სარედაქციო კოლეგიის წევრს არ მოეწონა ის, რამაც „ვარსკვლავის“ თანამშრომლის ყურადღება მიიპყრო ასე თუ ისე, შემიქო ის, რაც მის კოლეგისათვის სავსებით მიუღებელი აღმოჩნდა.

გამომშვიდობებისას მითხრა:

— ვიდრე სიარულს ისწავლიდეს ადამიანი, ხშირად ეცემა, ბევრჯერ ეკაწრება სახე და სისხლჩაქცევები აჩნდება.

— დიდი მადლობა!

მოღვენთილი, დანაღვლიანებული დავბრუნდი შინ. პატარა, უსარკმლო სამზარეულოში ნავთქურა ავანთე.

— ესეც ასე, — ვთქვი. მხედველობაში მქონდა სამწერლო კარიერის დასასრული. აღარ ვენდობოდი, სამუდამოდ შევაქციე ზურგი ჩემს დემონებს.

ნავთქურაზე გუშინდელი ბორშჩით ნახევრად სავსე ქვაბი შევდგი. მეზობელ ოთახიდან მოცარტის ნაცნობი მელოდია ისმოდა. იქ ერთი მარტოხელა კაცი ცხოვრობდა, პენსიონერი, მუსიკის ყოფილი მასწავლებელი.

როდესაც „ვარსკვლავის“ რედაქციამ უკან დამიბრუნა მოთხრობები, სასწრაფოდ გადავიკითხე ამ ჟურნალში უკანასკნელ წლებში დაბეჭდილი მხატვრული პროზა და კიდევ ერთხელ დავარწმუნე თავი, რომ მწერლები არ გვყავდა. შემდეგ ოცდაცამეტი წლის მოპასანი და მისი პირველი დაბეჭდილი მოთხრობა მოვიგონე. ფლობერის პირველი რომანიც ხომ დაიწუნა მისმა პირველმა მკითხველმა. გავიხსენე ბარათაშვილი, იუვენალი, ვან გოგი, ედგარ პო, ბულგაკოვი, და ისევ მივუჯექი ჩემს ძველ მასიურ საწერ მაგიდას. მაგრამ ზოგჯერ მაინც მეჩვენებოდა, რომ „ვარსკვლავის“ თანამშრომელი მართალი იყო, როცა მეუბნებოდა: „შეეშვი ამ კომედიას...

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაცობრიობა, საზოგადოება ერთი დიდი სხეულია. ხოდა, უპირველეს ყოვლისა, ეცადე, რომ უკანასკნელი არ გახდე, ეცადე, ზევით მოიკალათო, მხრებამდის მაინც აცოცდე. მთავარი ეს არის, ისე გინდ ვიზეხის პირამიდა გჭერია ხელში, გინდ ბოლოკი".

საავადმყოფოდან პირდაპირ შინ ვბრუნდებოდი. ხუთ საათზე მე და ბუდუნა ვსადილობდით. დასაძინებლად გვიან ღამით ვწვებოდი, როცა ყველას ეძინა — ქალაქსაც და კატასაც...

ბორშჩი ნავთქურაზე დამრჩა. ვიჯექი აივანზე და უაზრო თვალებით გავსცქეროდი ქუჩას. ამ მედიტაციურ მდგომარეობაში მომისწრო მამინაცვლის ბიძაშვილმა.

* * *

— ალბერტ — მჭახედ დამიძახა თამარმა. შემოვბრუნდი. ბუდუნა მაშინვე გაიპარა.

— შენ ხარ?...

შუა ოთახში იდგა. წარბები მოეღუშა და დოინჯი შემოეყარა.

— იცი, ვინ ხარ? — ზიზღის გამომხატველი თვალებით მიყურებდა.

— რა მოხდა, თამარ? — ვიკითხე და ზეზე წამოვდექი.

ოთახში თითქმის ბნელოდა. კედლის ძველი საათი გამალებით წიკწიკებდა. ასე გამოპრანჭული მამინაცვლის ბიძაშვილი არასოდეს მოსულა. La roie — თვალებში მომხვდა საათის ციფერბლატზე აღბეჭდილი სიტყვა. რაღაც საცოდავად გამოვიყურებოდით მე, ბუდუნა და ოთახი ამ ბრწყინვალედ ჩაცმული ქალის ფონზე.

— თუ იცი რისთვის გეახელი? — მკითხა მან.

— ვხვდები, — ვუპასუხე.

— მაგრამ ვიდრე ყველაფერს გეტყოდე, ჯერ სიგარეტს გავაბოლებ.

— კეთილი.

რედიკული გახსნა და „საქართველო" ამოიღო. სკამი შევთავაზე, მაგრამ არ დაჯდა. სიგარეტს ცეცხლი მოუკიდა და მაგრად მოქაჩა.

— არ გეგონოს, რომ შენი დაქორწინება მხეთქავდეს გულზე, — მითხრა მან. მის თვალებში ისევ ზიზღი იყო ჩაღვრილი, — სიმართლის სათქმელად გამოგეცხადე.

— მეც უქეიფოდ ვარ, — ვუთხარი მას, — ჩემი მერანი სინამდვილეში ჩოჩორი გამოდგა.

ალმაცერად გამომხედა. შემდეგ რაც მითხრა, ყველაფერი მართალი გამოდგა. მაგრამ ახლა ცრუობდა. დიდი ხანია თვალი ეჭირა ჩემზე. ერთმა ქალმა, რომელსაც ორი ლამაზი ბავშვი ჰყავდა, დაბადების დღეზე დიდი ტორტი მომიტანა. ტორტი ძლივს მოჰქონდათ ბავშვებს: „მოგვილოცავს ბიძია", — მითხრეს მათ. „გმადლობთ", — ვუპასუხე და სუფრის გაწყობის თადარიგს შევუდექი. საღამო სასიამოვნოდ გავატარეთ. ოჯახს და ბავშვებს არაფერი ჯობია, მეუბნებოდა ქმარგაცილებული ქალი და თვალებში შემომცქეროდა. მაგრამ ყველაზე დაჟინებით მაინც თამარი მიტრიალებდა. დარწმუნებულიც იყო, რომ დღეს თუ ხვალ, გამარჯვებას იზეიმებდა, რადგან ძალიან დავუახლოვდით ერთმანეთს და ბევრი საერთოც გამოგვაჩნდა: სიამაყე, წიგნების სიყვარული და ზოგიერთი შეხედულება ცხოვრებაზე.

— მაშ, მომისმინე, — თქვა მან.

— საფერფლე შენს უკან არის, — ვუთხარი მას.

— ვხედავ.

დივანზე ჩამოჯდა და ფეხი ფეხზე შემოიდო.

— ბორჯომის წყალს მოგიტან.

— არ მინდა... ახლა კი დავიწყოთ, — მითხრა მან, — შენისთანა ბითური მწერალი მეორე არ დაბადებულა. ნიჭის ნატამალიც არ გაგაჩნია... თუნდაც ენა ავიღოთ... შეურაცხყავი ილია და აკაკი.

ამ დროს გამახსენდა, რომ ბორშჩი მედგა ცეცხლზე და ავწრიალდი.

— რა მოგივიდა? — მკითხა თამარმა.

ვუპასუხე, — ჯერ მომისმინე, — მბრძანებლური ტონით მითხრა.

— გადაიხარშება, თამარ!

— ყური მიგდე, თანამედროვე ქართული ლიტერატურა ოპტიმიზმითაა გამსჭვალული. შენ კი კოშმარები გაქვს აღწერილი. იგრძნობა, რომ პატივმოყვარე, საკუთარ ნაჭუჭში ჩაკეტილი კაცის დაწერილია... ცინდალო, რა გესმის ქალის ბუნებისა, რომ მასზე გაუთავებლად წერ და წერ... ჩემამდე თუ გყავდა ვინმე?

— არავინ.

— აი, ხომ ხედავ, ქალების საკითხში სნობი ხარ... მერე რა ყალბი გემოვნება გაქვს. როდესაც ვკითხულობდი... „ადამიანის სული გულის მარცხენა ნახევარშია მოთავსებული"... ან „მანონა ერთდროულად რძე, თაფლი, ღვინო და ხუთი ათასი მანეთის შემნახველი სალაროს წიგნაკის მფლობელი იყო", ვწითლდებოდი და ოფლი მასხამდა. მწერალი, განსაკუთრებით ჩვენი მწერალი, არ უნდა ფიქრობდეს ფულზე და აგარაკებზე... თუმცა ეს უწინ ვწითლდებოდი, როდესაც მეგონა, რომ ნამუსის ნატამალი მაინც გაგაჩნდა...

— თამარ, გულწრფელად მიპასუხე, მართლა არცერთი მოთხრობა არ მოგწონს?

— არცერთი.

— არც ის, გაცრუებულ იმედზე რო არის ლაპარაკი?

— არც ის... კაცი, რომელიც ულმერთოდ, უსიკეთოდ ცხოვრობს, დიდებისათვის არ არის გაჩენილი.

— მომიტევე, მაშინ ასე გამოდის, თვალთმაქცობდი.

— მეცოდებოდი, — თქვა და ზეზე წამოდგა. კარამდის მივიდა და გამობრუნდა. — ხო, მერე უბადრუკად ცდილობდი მიგებაძა ოლდოს ჰაქსლისათვის, ზოგჯერ ნიკო ლორთქიფანიძისთვის... მომისმინე, ალბერტ, რატომ მიაყენე შეურაცხყოფა ჩემს წმინდა გრძნობას... მართალია, რაც გაიგე(?)

უცებ საწოლის ქვეშ ბუდეუნას მოგდა-რი თვალი. რატომ უნდა [illegible] ეროვნული ბიბლიოთეკა კუნჭულში ოჯახის წევრი? მაშინ პირდაპირ შევხედე ქალს და მივხვდი, რომ ბუდეუნასავით მეც აღარ მიყვარდა იგი.

— რით მჯობია ის გომბიო?.. რამდენჯერ დამირეცხია შენი ჭუჭყიანი წინდები და საცვლები. ეს მაინც არ უნდა დაგვიწყებოდა.

ორი ყალბი ცრემლი გადმოსცვივდა. თითქოს სახეც გვერდზე მოექცაო. მერე მომიჯდა, მიმიზიდა და მომილოლიავა.

— მისაბეგვი ხარ, — მითხრა, — დიდო ავადმყოფო ბავშვო, ველურო და ცეცხლოვანო... განა შეიძლება ჩვენი დაშორება?! ჩვენ ხომ ერთმანეთისთვის ვართ გაჩენილი!

— შეიძლება, — ვუთხარი და ფრთხილად მოვიშორე.

მაშინ ზეზე წამოხტა.

— მშვიდობით, — თქვა და სამუდამოდ გაქრა.

როდესაც წავიდა, მთელი ჩემი მოთხრობები ტაშტში ჩავყარე და ცეცხლი წავუკიდე.

* * *

მეორე დღეს დავქორწინდი. წმინდაო გიორგი, ჭკუა-გონების შენარჩუნება დიდი ბედნიერების ჟამს, თითქმის შეუძლებელია. ერთი თვე სიზმარს ჰგავდა. მისტერიები და მასკარადები, ოფლი, წკმუტუნი და დიდბუნოვანობა, მხურვალება და კეთილსურნელება, განმეორება ერთი და იგივესი და კეთილშობილება, ორგანული და სულიერი სამყაროს დაზავება, ორის უცილობელი უპირატესობის აღიარება მარტოხელასთან შედარებით, ველურად გადაქცევის გაუმეორებელი წუთები, ექსკურსია შორეულ წარსულში, კაცობრიობის ბავშვობის პერიოდში გადანაცვლება... ან ლოგინში ვიწექით, ან ქუჩა-ქუჩა დავდიოდით ხელიხელგადახვეულები. ვიყავით მახათას მთაზე, თბილისის ზღვაზე, მთაწმინდაზე, მცხეთაში, ლისის და კუს ტბებზე, ქალაქის გარეუბნებში. და

ეროვნული

თბილისმა, რომელიც უშნო მეჩვენებოდა უწინ, მომხიბლა და მომაჯადოვა. ნარიყალას ციხიდან ვბრუნდებოდით. ჩვენს უკან ტურისტები მოდიოდნენ. შევჩერდი და ერთ უცხოელ ქალს ვკითხე ფრანგულად:

— მოგწონთ თბილისი?

— რა თქმა უნდა!

ყანყრატოსთან რაღაც მომაწვა.

— ხომ ნამდვილად ჰგავს პატარა პარიზს, ხომ პატარა პარიზია თბილისი?

— პარიზზე უკეთესია, — გაიღიმა ქალმა.

— გმადლობთ, გმადლობთ, — ვუთხარი და გავშორდი.

შემდეგ ისევ დავეწიე და მერიზე, ჩემს მეუღლეზე მივუთითე.

— ასეთი ლამაზი გოგონები თუ არიან პარიზში?

იმ წუთებში გედივით ეჭირა თავი მერის.

— თქვენი პარტნიორი, — მითხრა ერთმა ხანშიშესულმა ულვაშებიანმა ფრანგმა, — ულამაზესი ქალია. ამაში მერწმუნეთ, ყმაწვილო, არ შევცდები.

ფრანგები სახლში მივიპატიჟეთ. მაშინვე მათმა გამყოლმა ქართულად ჩამჩურჩულა ყურში:

— რაც მალე მოუსვამთ აქედან, მით უკეთესი იქნება.

— კეთილი, — ვუთხარი და მაღაზიებს ჩამოვუარეთ.

მაღაზიის სანახავად მზად იყო სხვა ქალაქში წასულიყო მერი. თვალებგაბრწყინებული ათვალიერებდა: მატერიებს, კაბებს, ჯემპრებს, პალტოებს, სამკაულებს, ჩანთებს, წინდებს, ქოშებს, ტყავს, ბეწვეულს. იმ დროს ბედნიერი იყო. ოცი წლის არც კი იყო და ყველაფერს ხარბად შესცქეროდა. მე კი მას ვერ ვაშორებდი თვალს და ვცდილობდი ამეხსნა, თუ რით მომაჯადოვა ასე. მაგრამ მარტო მე კი არა, მთელი ეზო დაძაბული იყო. მეზობლები ფარდის უკან იდგნენ და თვალს ადევნებდნენ მანქანიდან გადმოტვირთულ ავეჯს... ძველმანები იმავე მანქანაზე შევყარეთ. ბოლოს ჩემი საწერი მაგიდა გა[illegible] „ნი-ვთების სიცოცხლე კიდევ უფრო ხანმოკლეა“, — გავიფიქრე, მაგრამ მათ ადამიანებზე ღირსეულად ეჭირათ თავი, არცერთი სიტყვა, არცერთი ცრემლი, მხოლოდ ყრუ, რაღაც უცნაურ, გაუგებარ ტკივილს ტოვებდნენ ოთახებში.

მეორე დღეს მეზობლები გვესტუმრნენ, რიგრიგობით შემოდიოდნენ, გვილოცავდნენ, აქებდნენ მერის გემოვნებას. ფრთხილად ჯდებოდნენ სავარძელში. ნაზად ეხებოდნენ კარადასა და საწოლს. აქლერებდნენ როიალს. საღამოზე კი ჩემდაუნებურად ყური მოვკარი მეზობლების საუბარს. საერთო საპირფარეშოში ვიყავი, თან რაღაცაზე ვფიქრობდი. ამ დროს მომიჯნავე ოთახში ალაპარაკდნენ.

— დოყლაპიავ, — ეუბნებოდა დედა ვაჟიშვილს, — ხედავ რა ქალი შეირთო. არც დაგვესიზმრება ასეთი ქვეშაგებები, საბნები, ფარდები... შენს ცოლს კი ერთი ზეწარიც არ შემოუტანია.

ყოველ ქალს თავისი საიდუმლოება, თავისი ღიმილი, სიცოცხლის თავისი მადა აქვს. როდესაც მერი ოთახში შემოდიოდა, თან განთიადის შუქი შემოჰქონდა.

— იულიუს კეისარმა მაშინ დაიპყრო რომი, როდესაც ქალაქი დატოვა. მერი, როდესაც სარეცელიდან დგები, როდესაც ოთახიდან გადიხარ, შენ — კეისრად იქცევი, — მე კი უმოქმედო, დატყვევებულ რომად.

მერი იცინოდა. მე კი მართლაც დიდ წამებად მეჩვენებოდა მასთან ერთი წუთით განშორებაც კი. მაგრამ განა შეიძლება ისე, რომ სიხარულს პატარა სიმწარე მაინც არ გამოერიოს? შემდეგ ზოგჯერ ამ საკითხზეც მიფიქრია.

— კი მაგრამ, მერი, მარტოობის, გაჭირვების წუთებში ბუდუნა ჩემი ერთადერთი მანუგეშებელი იყო. როდესაც ადამიანები მამწარებდენ, ეს ცხოველი დარდს მიქარწყლებდა.

— კატები ჭიებს, ტოქსოპლაზმებს და

სხვა მრავალ ჭირს ავრცელებდნენ. ჩემზე უკეთ მოგეხსენება.

— მართალი ხარ, მაგრამ...

ბუდუნა ქუჩაში გავაგდეთ. მე თვითონ ჩავიყვანე, ტროტუარზე დავსვი და სწრაფად გამოვბრუნდი. სველი, ნაღვლიანი თვალები გამომაყოლა... მაგრამ მერი ათას ბუდუნას მერჩივნა.

დაქორწინებიდან ერთი თვის შემდეგ მერიმ მკითხა:

— ალბერტ, ბიჭი უფრო გეყვარება თუ გოგო?

ჩაქუჩი, რომლითაც ლურსმანს ვაჭედებდი, ხელიდან გამივარდა. შემდეგ შემოვბრუნდი, ლურსმანი გამოვიღე პირიდან და ხმადაბლა ვკითხე:

— მერი, ნუთუ ასე მალე?

— რა, ძვირფასო?

— ნუ... — დავიბენი, ვერაფერი ვთქვი. მერე მუცელზე დავიდევი ხელი.

გაიცინა.

—ჯერ არა, — თქვა მან, — მაგრამ მაინც რომელს უფრო ისურვებდი?

— რა გითხრა, ბიჭს ალბათ.

— რატომ? — თავზე გადამისვა ხელი.

— მამაკაცებს უფრო ვიცნობ. მათი წვრილმანი სიხარული და საზრუნავი უფრო ახლობელია ჩემთვის. ბიჭს ადვილად გავუკაფავდი გზას. შეცდომებს აღარ გაიმეორებდა.

— გამომართვი, — ჩაქუჩი გამომიწოდა.

— მე კი მეგონა, მერი...

— განაგრძე მუშაობა.

— გმადლობ, — ჩაქუჩი ჩამოვართვი და ისევ ავედი კიბეზე.

— ინგლისურს ასწავლიდი, ალბერტ?

— ინგლისურს და ფრანგულს.

— რატომ გიზიდავენ ასე ფრანგები?

— ფრანგებს დიდი მწერლები ჰყავთ. ერს, რომელსაც ცხოვრებას და ბრძოლას რაბლე, მონტენი, ვიიონი, კორნელი, რასინი, ბუალო, დეკარტი, მონტესკიე, პასკალი, შატობრიანი, ვოლტერი, რუსო, მოლიერი, დიდრო, მიუსე, ფლობერი, სტენდალი, მოპასანი, დიუმა, ჰიუგო, ბალზაკი, რემბო, ბოდლერი, მალარმე, პრუსტი, სარტრი, კამიუ ასწავლიდნენ, არ შეიძლება რამდენიმე კაცმა, ან სხვა ერმა რომ დაიმონოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ფრანგებს ფულიც უყვართ, ალბერტ... რამდენი გაქვს ხელფასი?

— ასი მანეთი.

— გინდა ერთ კარგ რჩევას მოგცემ?

— აბა.

— დისერტაციის წერას უნდა მოჰკიდო ხელი.

— დისერტაციის?

— დიახ.

— თუკი სიყალბე აღარ მიზიდავს?.. არავის არ ჭირდება შენი დისერტაცია... მომისმინე, ოთხმოცდაათ პროცენტში დისერტაციას საქმოსნები აკეთებენ...

— იგი კეთილდღეობას მოგვიტანს, ალბერტ!

— სიყალბეზე და სიცრუეზე აგებული კეთილდღეობა, წყალწყალა და არამტკიცე იქნება.

მერიმ გაიცინა:

— ნუთუ, ალბერტ, არ გინდა, დილაობით შვილმა რომ გითხრას — ბონ ჟურ, პაპა!

* * *

ღამის ორი საათი იქნება. მერის მშვიდად ძინავს. აი, ვის მეშვეობით გაგრძელდება ჩემი მარადიულობა. აი, რატომ არის უკვდავი კაცობრიობა. როგორ, როდის, სად იბადება სურვილები?... სიბნელეში, წყვდიადში, როგორც ყველაფერი, რაც გასაჩენია — ნაკადული, ნაყოფი, პური თუ ნაღველი.

ლუმელს ჯერ არ ვანთებთ. ცივა. მერი წყნარად, მსუბუქად სუნთქავს. რატომ არ ვუთხარი დილით ყველაფერი. აუცილებლად გამიგებდა. ბოლოს და ბოლოს, ინგლისური ენის ცოდნის და ჯინსის შარვლების გარეშეც შეიძლება იცხოვროს კაცმა, ხოლო ფული იმ ქალსა ჰგავს, ხელიდან ხელში რომ გადადის. მთავარი ხომ სულ სხვა რამეა... მაინც რა არის ძირითადი... მეც რომ არ ვიცი?. ხვალ ყველაფერს ვეტყვი, თორემ შემდეგ შეიძლება დაგვიანდეს.

დილით ფოსტალიონმა გაზეთები შემოყარა კარქვეშ და ვიდრე წყალი ადუღდებოდა ჩაიდანში, ახალ სპორტულ ამბებს ვკითხულობდი. მეზობლის ოთახიდან ისევ მოცარტის მელოდიები ისმოდა. დაბალ ხმაზე უკრავდა, არ აწუხებდა სხვებს. დილაადრიანად ებრძოდა მარტოობას. ქრისტეს დაუძინებელ მტრებივით — ებიონნივით და კერინფივით რომ ჩასაფრებულიყო. ამ მარტოობის გარეშე ალბათ უაზრობაც იქნებოდა მისი სიცოცხლე მან შეცვალა მისი წარსული წვრილმანი სიხარული და მწუხარება იგი ამაყობდა მოწინააღმდეგის სიძლიერით და აზრით, რომ უკანასკნელ წლებსაც ღირსეულად ატარებდა.

ნაცრისფერი დილა იდგა. მეეზოვემ ქუდი მომიხადა.

— სალამი შაშილს.

ჟინჟლავდა. საცაა ზამთარიც მოგვადგება. ოცდამეექვსე ზამთარი.

ქალს ყურში წაევლო პატარა ბიჭისთვის და ძალით მიჰყავდა სკოლაში. რატომ გვეზარება სასწავლებელში სიარული? ვისი ბრალია? რატომ უნდა იყოს ყველაზე საყვარელი დღე — კვირა და არდადაგები? რატომ არ ვიღებთ ხმას? რატომ ჩაგვივარდა ენა მუცელში და ალის ქარი პირში?

ბაღის კუთხეში სიგარეტების ნაცნობი ცალფეხა გამყიდველი მუშტარს ანგარიშს უსწორებდა. „პრიმა“ გამოვართვი და გამოველაპარაკე. კოლმეურნეობის მოედანზე ჭადრების ქვეშ ჯგუფ-ჯგუფად ხელოსნები იდგნენ, ყალბი და ნამდვილი ოსტატები. ძნელაძის ქუჩაზე მილიციელები გამოჩნდნენ და ისინი გაიქცნენ. ახალგაზრდა და ხანშიშესული ხელოსნები გარბოდნენ პუშკინის მოედნისკენ, ბარათაშვილის ხიდისკენ და ბაზრის მიმართულებით. მოედანი დაცარიელდა. მე კი ავტობუსში ჩავჯექი და „ლელო“ გავშალე.

შემდეგ საავადმყოფოს ეზო გავიარე, ქვის კიბეზე ავედი, კორიდორში მარჯვნივ გავუხვიე და საორდინატორო ოთახის კარი შევაღე.

ოთახში ციოდა. ფანჯარა მივხურე და პალტო გავიხადე.

ცოტა ხნის შემდეგ დამლაგებელმა ქალმა შემოიხედა.

— დილა მშვიდობისა, სუფთა ხალათს ხომ არ ჩაიცვამ, ექიმო?

— კარგს იზამ, — ვუთხარი და როდესაც ხალათი შემომიტანა, ვკითხე: — ლიზა, სად შეიძლება ბევრი ფული იშოვნოს კაცმა?

— კარტში ხომ არ წააგე?

— კარტს არ ვთამაშობ.

— მაშინ მანქანას ყიდულობ ალბათ.

— რა დროს მანქანაა, ლიზა!

სიგარეტს ცეცხლი მოვუკიდე და დავჯექი. დამლაგებელმა საფერფლე გადმოდგა მეორე მაგიდიდან. შემდეგ კარისკენ გაემართა. შუა ოთახში შედგა, გამომხედა და ისევ განაგრძო გზა.

— რა მოხდა? — ვკითხე.

— მანეთს როდის მომცემ?

— სულ მალე, ლიზიკო!

— მესამე ხალათის ფულია, ექიმო!

— აი, ავალთ თუ არა სამ მანეთამდე, ერთად გადაგიხდი.

გაეღიმა, ოთახიდან გავიდა და კარი მიხურა.

ექიმები დილის ხუთწუთიანი კონფერენციიდან ბრუნდებოდნენ.

მიქელაძემ ხელი დამკრა მხარზე.

— სად ხარ? — მკითხა და მაშინვე ოთახში შემოსულ განყოფილების გამგეს მიუბრუნდა: — მთავარი ექიმი გეძებდათ.

— ვნახე.

— გათბობას როდის ჩართავენ?

— როდესაც თოვლი მოვა, — გაიცინა ახალგაზრდა ორდინატორმა.

— ინება წასვლა ბულბულაშვილმა მიქელ გაბრიელთან? — მკითხა განყოფილების გამგემ.

—მოკვდა... როდის?

— განთიადისას.

მაგიდის უჯრა გამოვწიე და ბულბულაშვილის ავადმყოფობის ისტორია მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვძებნე. გაცრეცილი ფურცლები ნელ-ნელა გადავშალე. სამოცდათოთხმეტი წლის მარტოხელა ქალს სიკვდილზე მეტად თავის პატარა ოთახში დაბრუნების ეშინოდა. ფილტვების ქრონიკული ანთება კი, როგორც ერთგული ძაღლი, არ შორდებოდა. მაგრამ შეიძლება დაავადება თავშესაფარიც იყო, მისი ნათესავი და ახლობელი? ის ხომ მორჩილებას დაბადებიდანვე შეჩვეული იყო. ხოლო სხვები კიდევ უფრო ულვივებდნენ ამ თვისებას. არავის არასოდეს დაუცავს, არავის უსწავლებია ბრძოლის, წინააღმდეგობის გაწევის ხერხები, როგორ იდგა ამ მრისხანე სამყაროში ფლიდობის, ვერაგობის, სიცრუის და უაზრობის პირისპირ? ნუთუ მართლაც მხოლოდ დაავადება იყო მისი დამცველი ფარი?

„დასრულდა კიდევ ერთი პატარა სპექტაკლი. ჩვენ მხოლოდ ერთმანეთისთვის ვთამაშობდით, მაყურებელი არ გვყავდა“.

— ასე ჯობია ალბათ, — ვთქვი და ხალათის ღილი შევიხსენი, შემდეგ ისევ შევიკარი და მაგრად მივაჯახუნე უჯრა.

— გინდა აგიწერო ბულბულაშვილის პორტრეტი? — მითხრა მიქელაძემ, — ახლა გაქვავებული, მოკუნტული, თმაგაჩეჩილი წევს მორგში. ჩავარდნილი მუცელი, გამხმარი ხელ-ფეხი, გათეთრებული, შეთხელებული თმები ბოქვენზე და სადღაც გამქრალი სული. ოღონდ არა ზეცაში აფრენილი ასვენებთან, ცის მხედრებთან, არამედ სარდაფში გაფანტული — ფორმალინის სუნთან შეზავებული... არავინ მოტყუვდეს, ძლიერნი ამა სოფლისანი იქაც მოახერხებენ ქვეყნის სიკეთეთა დაპატრონებას.

— ლიზა! — დავიყვირე რაც ძალი და ღონე მქონდა.

მეორე დაძახებაზე დამლაგებელი ოთახში გაჩნდა.

— რა არის ეს, ლიზა! ამ ლაქას რა უნდა ახლად გარეცხილ ხალათზე?

ისევ მიქელაძე.

— დიოსკორიდო, ცოდვის ლაქაა!

ლიზამ წინ წამოდგა ფეხი და თვალები მოჭუტა.

— პატარა წერტილია, ექიმო.

— ნამუსიც კარგი საქონელია.

— არც კი ემჩნევა... შემიძლია ხელმეორედ გავრეცხო.

— მომწყდი თავიდან!.. თუმცა მოიცა, შენ რა შუაში ხარ... წადი, ლიზა.

ვის გავუზიარო ის, რასაც ვფიქრობდი, რაც მაწუხებდა გუშინ და გუშინწინ? სად არის ჩემი ბუდუნა? რატომ უნდა ვუცინო „შუქურას“ და „ვარსკვლავის“ თანამშრომლებს? რატომ ჰქონდა ასეთი უმწეო სახე ბულბულაშვილს? სად წავიდა, ან რაზე იყო მოსული? სად გაქრა თაფლობის თვე? ვის ველაპარაკო?.. სინამდვილეში ერთი ადამიანი ნათქვამის მეათასედ ნაწილს თუ გაიგებს... ათას კაცს რომ გავუზიარო?.. ნაწილ-ნაწილ მაინც გაიგებენ... ოღონდ რაკილა ამ იდეას ისევ „შუქურას“ და „ვარსკვლავის“ რედაქციამდე მივყავდი, ხელი ჩავიქნიე.

ოთხის ნახევარზე საავადმყოფოდან გამოვედი. წვრილი, არასასიამოვნო წვიმა ალმაცერად მოდიოდა და სახეში მესხურებოდა. ვის ვესაუბრო მაინც?... მერის გაეცინებოდა. პავლე, სკოლის ამხანაგი?... არ გამოდგება, სმით და ჯაზით არის გატაცებული... მეზობლებიდან ხომ არ შემერჩია კანდიდატი?... არა... ზღვისპირა ქალაქი მაინც ყოფილიყო თბილისი... ბოლოს მაინც მოვიფიქრე. არჩევანი მამინაცვლის ბიძაშვილის — თამარის შვილზე შევაჩერე. ეს ყმაწვილი კაცი, რომელსაც იანვარში თოთხმეტი წელი უსრულდებოდა, მანეთად ეშმაკს მიჰყიდდა სულს. მაგრამ ვალიკოს ერთი კარგი თვისება გააჩნდა. ჭორიკანობა არ უყვარდა და საიდუმლოებას ვაჟკაცურად ინახავდა.

სახლიდან გამოვიხმე ვალიკო და საქმის ვითარება ავუხსენი.

—მაშ, ასე, — თქვა და კეფა მოიფხანა, — რამდენი საათით მქირაობ?

— ასე, ერთი საათით მაინც უნდა დამიგდო ყური.

მაშინ მანეთი ცოტაა, — თქვა მან.

— რამდენს მოითხოვ?

— სამი მანეთი... არ მიყვარს როცა მკრეჭავენ, სხვისი გატყავება მეტ სიამოვნებას მანიჭებს.

ვივაჭრეთ და ორ მანეთად მოვრიგდით.

— ყავასაც დაგალევინებ, — ვუთხარი მას.

— ეგ უკვე შენს მარიფათზეა დამოკიდებული. — მერე მკითხა: — ლუდი ხომ არ აჯობებდა?

— რომ დაგათროს?... ჯერ ხომ მცირეწლოვანი ხარ.

გაიცინა და მხარზე დამკრა ხელი.

— მაგის დარდი ნუ გაქვს... მოდი, რაც იქნება, იქნება ველურ სკვითებივით გავილეწოთ სმით.

მალე „მერანში“ ამოვყავით თავი.

კაფეში ნახევრად ბნელოდა და ხალხიც თითქმის არ იყო.

— ოფიციანტო, დროზე მოგვხედე!— დაიყვირა ვალიკომ, მივუჯექით თუ არა თავისუფალ მაგიდას.

ლუდით არ ვაჭრობდნენ. ორი ყავა და ნამცხვარი შევუკვეთე ოფიციანტს.

— რა ნაცნობი სახე გაქვთ, — ვუთხარი მას.

ქალმა არ მიპასუხა. წავიდა.

— ხი-ხი-ხი, — გაიცინა ვალიკომ, — ასე ვილა არშიყობს ახლა!

— არა, ვალიკო, — ვუთხარი ყმაწვილკაცს, — მართლაც ძალიან ნაცნობი სახე აქვს... შვიდი-რვა წლის წინ ავტობუსის გაჩერებაზე ბაბთებიან ქალიშვილს გამოველაპარაკე. ზორბა გოგონა იყო. გამიღიმა. ავტობუსები ჩერდებოდნენ და ისევ მიდიოდნენ. ჩვენ კი თვალებში შევცქეროდით ერთმანეთს. ყველაფერი ნორმალურად მიმდინარეობდა და უცებ ეს გოგონა შემიყვარდა. იცი როდის შემიყვარდა? როდესაც მხარზე ორ ადგილას თეთრ ბლუზაზე ნაკერები შევამჩნიე. რა ახლობელი, რა ძვირფასი გახდა მაშინვე. „შეყვარებული გყავს?“ — ვუთხე ჩურჩულით. „ო, არა“, — მიპასუხა გოგონამ. როგორ გამეხარდა-ნება რომ დაერთო და მორცხვი რომ არ ვყოფილიყავი, ათას სისულელეს ვეტყოდი ყურში. თუმცა მერე ერთი პატარა წუნი მასაც აღმოაჩნდა... მესამე დღეს მითხრა, რომ ფეხმძიმედ იყო და რომ დაახლოებით ექვსი თვის შემდეგ იმშობიარებდა...

— ხომ არ შევუდგეთ საქმეს? — მკითხა მამინაცვლის ბიძაშვილის შვილმა.

— ახლავე, ჩემო კარგო!

ყავა მოვსვი და დავიწყე:

— „აივანზე ვიჯექი. ჩამოცვენილი მოყვითალო ფოთლებით მოფენილ ქუჩას გავსცქეროდი. ხეები აღარ სუნთქავდნენ“...

— მაპატიე, რას მიყვები, ზღაპარს?— შემაწყვეტინა ყმაწვილმა კაცმა.

— სინამდვილეს, ვალიკო!

— კიდევ ერთხელ მაპატიე, — მითხრა და სმენად იქცა.

— მაშ ასე... „ხეები აღარ სუნთქავდნენ. სივრცეს თითქოს ვიღაცის შავი ფრთები გადაეფარებოდა. ერთი ფოთოლი ქარმა ააფრიალა ტროტუარიდან, დაატრიალა და სადღაც გააქრო. გაძვალტყავებული ფისო ფეხებს შორის გაწოლილიყო და ფეხსაცმლის ზონარს ეთამაშებოდა. ბუდუნა ერქვა. ჩემს გარდა არავინ ჰყავდა. იმ წუთას ყველაფერი შეცვლილად მეჩვენებოდა“...

როდესაც დავამთავრე, მითხრა რომ ნაამბობმა მოხიბლა.

— მართლა მოგეწონა?

— სინდისს გეფიცები.

— აი, ის ადგილი, ფრანგებს რომ ვესაუბრები, ხომ შეუდარებელია? ბუდუნას გაძევება?..

— ბულგაკოვი ხარ...

შემდეგ ადგა და დამემშვიდობა.

— ნახვამდის, ვალიკო.

— ალბერტ, თუ კიდევ დაგჭირდი, ნუ მოგერიდება, დამიძახე. ყოველთვის მზად ვარ მოგემსახურო, — მითხრა წასვლის წინ და ხელი ჩამომართვა.

— გმადლობ, მეგობარო.

— ნახვამდის, პოეტო, — დაიძახა და გაუჩინარდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გივი ალხაზიშვილი

# დიალოგი—ფიქრში

მდუმარებაში, როგორც აკორდი —
სევდანარევი და შორეული
ისე გაისმა შენი სახელი
და უეცარი შუქით შეავსო
შემოდგომის დღე —
სიმარტოვის კვამლით დანთქმული.

მე ველარ გკითხე —
(ძველი კიბის საფეხურივით
გაცვეთილი)
— „სად იყავი,
ასე რატომ დაგაგვიანდა?!“
აჩემებული მოტივივით გიმეორებდი
თუ გივიწყებდი — უნებლიეთ,
ალბათ ისე, შვილის სახე
რომ ავიწყდება
დასასვენებლად წასულ ჩინოვნიკს,
სულ რომ იხსენებს,
მაგრამ მაინც არ აგონდება
და თვალებს ხუჭავს ერთის იმედით:
იქნებ წამით ალვადგინოო,
მაგრამ ამოდ.

— დაკარგვის შიში?!
— ნეტა საიდან, რომელ ხვრელიდან
ამოძვრება დაკარგვის შიში?!
ვიცოდე მაინც, რომ ამოვქოლო
სამარადისოდ,
თუმცა იქაც არ მოისვენებს —
შიშის მარცვალი რომ გაღვივდება,
ამოხეთქავს, გაიტოტება,
ისევ შენი თვალებიდან ამოიხედავს.

— ასე ვარსებობ უშენობით შეურვებული,
როცა შენს სახეს ველარ ვიხსენებ,
მხოლოდ თვალები გაიელვებენ
ცად მოწყვეტილი ვარსკვლავებივით
და მთელი ღამე ბზრიალებენ
უძილობით დაღლილ მზერაში.

მე მეშინია შენი მოსვლის,
გამოგონილი მყუდროების განადგურების,
ამ სიმშვიდის ყურმოჭრილი მონა ვარ
ახლაც
და პატრონს სხვებზე გასაყიდად
არ ვემეტები.

— ღალატი?
ფიქრში ღალატიც ღალატია!

— მე ღალატსაც ვღალატობ ფიქრში,
იმიტომ ვანგრევ რომ ავაშენო
და აშენებულს დასანგრევად
ვიმეტებ ხშირად.

ჩვენ ვმალავთ ფიქრებს,
რადგან ფიქრი ამაოებას ამხელს კაცისას,
ჩვენ კი არ გვიყვარს ამაოების გამზეურება.

—შენც გიფიქრია?

— ნეტა ვის არ უფიქრია...
მხოლოდ ბრიყვი ამხელს ფიქრებს
და ჩვენ დავცინით,
რადგან ყველანი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სიბრიყვეს ჩვენსას ვნილბავთ ნიადაგ
და გვშურს ბრიყვის თავისუფლება.

— გამოიგონეთ უამრავი წინაღობა
და აღარც ძალი, აღარც გონი
აღარ შეგწევთ მათი დანგრევის.

— ირონიაა მარადისი მფარველი ჩვენი,
თვით ნეიტრონის ბომბზე ძლიერი,
გაუყიდველი მეგობარი —
მარადიული თანამგზავრი დედამიწისა!

*

— გარდაიცვალა? რითი?
ასე ახალგაზრდას რა დაემართა?!
იკითხავს ვინმე დედაკაცი,
ბრილიანტის საყურეებს აციმციმებს,
ფრანგულ სუნამოს შემასუნთქებს
და მოირგებს მწუხარე ნიღაბს.
— ქალბატონო, მას თქვენსავით
მარტოოდენ საწოლი და ტანსაცმელი
არ აწუხებდა...
იცით? მისი სულის მღვიმეებში
წვეთავდა შხამი,
და შეუმჩნევლად იზრდებოდნენ
შხამიანი სტალაქტიდები —
გულისაკენ —
ერთადერთი სამიზნისაკენ...
ინფარქტი —
ახლა ასე უწოდებენ მედიკოსები.

*

მდუმარებაში როგორც აკორდი,
სევდანარევი და შორეული,
ისე გაისმა შენი სახელი
და უეცარი შუქით შეავსო
შემოდგომის დღე —
სიმარტოვის კვამლში დანთქმული.

დაგშორდი ფიქრში,
მაინც დაგშორდი,
შენც მიგატოვე,
ჩემი სიცოცხლის წმინდა სტუმარი,
შენ ვარსკვლავების საბანი გხურავს,
გინთია მთვარის თავსასთუმალი.
გთხოვ მომიტევო, თავად არ ვიცი
საით მივყავარ ფიქრთა დინებას,
ის ეხეტება ალმა და დალმა
და ბოლოს მაინც
შენს წიაღში მიეძინება.

ჩემო სტუმარო,
გაიხსენე ზღაპრული ქალა:
ბზა,
სურო,
დაფნა,
ზღვის სანაპირო,
გზა
სულს რომ
ლაფავს
და ცის საფირონს
მიერთებია თეთრი კვამლივით,
სწორედ იქითკენ ვეხეტებოდი,
იქ მეგულვოდი უსხეულოვ,
იქ დაგეძებდი,
ათასი წლის წინ გიხილე და არ
მავიწყდები.
ამაოდ ვლიე გზანი სავალნი,
თურმე შენ ფეთქავ
ყველგან და მარად:
ცეცხლში და წყალში,
ცაში, მიწაზე,
შენ ხარ მუსიკა,
მიყურადებულ კაცს რომ ჩაესმის
თვალუწვდენელი სივრცეებიდან,
მთელი სიცოცხლე ეწვალება მერე
საბრალო —
გადაიწეროს ის მუსიკა
თეთრი ფურცლების უდაბნოებზე,
მაგრამ მუსიკა სწრაფად ქრება,
იგი გვშორდება, სივრცეებში უჩინარდება.

— ოდეს ამაოდ აღავლენთ მზერას
ზესკნელისაკენ,
გადმოვიგდებთ იმედის ლუკმას,
ძლივსგასაგონად დავუკრავ არფას,
ათასწლეულთა სიღრმეებიდან რომ
გაგაგონოთ
და გაგიტყუოთ სივრცეებში სახეტიალოდ.

*

— რომანტიკოსო, დახედე მიწას,
თავი ანებე წამიერ სტუმარს,
მიმოიხედე, ის აღარ არის
და ზეციური არფებიც სდუმან!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მშიერს, დაბზარულს
        დახედე მიწას —
წყურვილისაგან დამსკდარ ბაგეთა
გეცნო ჩურჩული?!
        გვეძახის მიწა,
მოგვიხმობს შვილთა
        მოამაგეთა.
უბრუნდებიან ფოთლები მიწას
შიშით, წვალებით, ქვითინით, ნებით
და ბოლოს მაინც უბრუნდებიან
ჩაქალტამებულ ნოემბრის გზებით.

შენ კი მოელი მითიურ სტუმარს
და როგორც მთებზე ღრუბლის ჩრდილები
დიან დღეები თითქოსდა ზანტად,
ჩვენც ამ დინებას ვემორჩილებით.

დროის სიზანტე მოჩვენებითი
სწრაფწარმავლობას ნიშნავს ნიადაგ,
უცნობი ხალხით გარემოცულო,
შენ მრავალი წლით დაგაგვიანდა!

•

— რას გაიხსენებ ჩაბჟუტულ სხივს
ან ჩავლილ ტალღას,
მოწყვეტილ ფოთოლს —
შემოდგომის ყვითელ პეპელას,
მხოლოდ ჟამიჟამ შემაკრთობს ეჭვი:
თანდათან, ჩუმად რაღაცას ვკარგავთ...
მხოლოდ ჟამიჟამ ვცხოვრობ წარსულში,
როგორც სარკმლიდან, იქიდან გიმზერ,
შემებრალები ამ სიმდორეში,
ამ მოსაწყენი წლებით დანთქმული.

მხოლოდ ჟამიჟამ ეჭვის მცენარე
მოისხამს შიშის საზარელ ნაყოფს:
არავის ესმის, არავინ გისმენს,
ტყუილად ჩხაპნი, ტყუილად ლაყბობ.

— შენ უფრო მეტად წარსულს ეკუთვნი,
გახლართულია შენი ფესვები
გარდასულ დღეთა უხილავ ფსკერზე,
იქით გიზიდავს მორევის ბრუნვა...

— რად მეჩვენება თითქოს ეს წუთი
ან დღე-ღამის მონაცვლეობა —
არ დასრულდება, არასოდეს
        ჩაიფერფლება?!

მხოლოდ ჟამიჟამ შემაკრთობს ექვი:
ტოტებდახუნძლულ მცენარესავით,
ოდეს შევიგრძნობ სიახლოვეს
        ფერისცვალების ·
და მენანება ყოველ წუთს რომ
        რაღაცას ვკარგავ.

მე ვემატები წარსულს თანდათან,
ჩავლილ ტალღასთან, ჩამქრალ სხივთან,
იმ მოწყვეტილ ფოთოლთან ერთად,
მე ვემატები წინაპართა მდუმარებას
და გარდასულ დღეთა სარკმლიდან
შევყურებ როგორც მიწიერ ვარსკვლავს —
შვილის ხალათზე ამოქარგულ
        ვარდისფერ ყვავილს.

— მზე, ქარი, მიწა
ჩუმად გსრუტავენ,
სუყველას მიაქვს თავისი წილი,
შუქი და წყალი,
სითბო და თრთოლვა,
შენც უბრუნდები მშობლიურ წიაღს,
ღვთით ბოძებული გაეც,
        გაიღე დაუნანებლად.

ხედავ? ქარს მიაქვს,
შენს თვალებში გაბლანდული
სევდის ღრუბელი
და გულის ფრიალს იმეორებს
ვერხვის ფოთოლი —
კენწეროზე რომ ჰკიდია ობლად
და საბრალოდ ცახცახებს ქარში.
ხედავ? ცას მოწყდა
შენს თვალებში ანთებული
        წყვილი ვარსკვლავი
და უკვალოდ გაუჩინარდა...
გაეც, გაიღე ღვთით ბოძებული
        დაუნანებლად!

დღე ხვალინდელი
წარსულისკენ მიედინება,
შენც იქით მიხვალ —
მომავლისკენ რომ ეშურები,
მაშ მიეც დროის უსამანო ერთიანობას
ღვთით ბოძებული წელიწადები —
დაუნანებლად,
        დაუნანებლად,
                დაუნანებლად.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯარჯი ფხოველი

## ქალაქის ღამე

ქალაქის ღამემ დაივიწყა კრუალების ხმა...
ქალაქის ღამემ დაივიწყა ძაღლის ღავლავი...
ქალაქის ღამემ დაივიწყა მგლების სიმღერა —
შიმშილის ორთქლს რომ აბნევს ხოლმე
დათოვლილ ტყეში...

და ერთადერთი, რაც შემორჩა, რაც გულს უმაგრებს —
სურათია ჩვეულებრივი:
ცათამბჯენების,
კვამლიანი ავტოსტრადების
ახლოს კვლავ მოჩანს ორი ლანდი, ორი მდინარე,
ერთურთისაკენ პირმიქცეული —

რეკლამის ალით დამფრთხალი ღამის
დაცხრილულ ჭერქვეშ უფრო ჯიუტად
და გულმოდგინედ გადანასკვია
ერთიმეორეს მათი ხელები.

## ყვავილი

ნეტავ რა ყვავილს აღმოგიცენებს
მიწა, ასფალტით გადაფარული,
და მანქანების მოზეიმე სვლაში
რეზინის
მძიმე ტერფებით გადატკეპნილი,
მიწა — დამხრჩვალი
ავტოსტრადების,
ცათამბჯენების ბეტონის ქვეშე?

ნეტავ რა ყვავილს აღმოგიცენებს, —
რკინის ფოთლოვან მცენარეთა შორის,
ბეტონის
კედელთა გვერდით...
რა ყვავილი აშრიალდება
ამ ვიწროებში — ფიქრდაკარგული
და ფერების არამცნობელი
მოკვდავის თვალწინ მოყელყელავე?

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცათამბჯენის ფუძის ანგელოზო

ცათამბჯენის ფუძის ანგელოსო,
მიიღე ჩემი უძილო ღამეები,
თეთრი კრავების თოვლი მოქათქათე...

მე მახსოვს: შენი სიყვარულის ფრთების შეხებამ
გამომიყვანა უსამანო ძილისძილიდან...
შემომაქცია უხსოვრობის ხეობებიდან...
და დამსვა შენი ცათამბჯენის უფოთლო ტოტზე,
მარმარილოთი შეფიფქული კედლების ახლოს.

ცათამბჯენის ფუძის ანგელოსო,
მიიღე ჩემი უმთვარო ღამეები,
თეთრი ღამეები — წამწამთა ღიობი...
ჩემი მოთმენა — მოლოდინის გრდემლზე ნაკვერი,
აჩალე, აამჩატე... ო, როგორ მომწყინდა
კულტუროსანი სტუმრის ნიღაბი...
გამიშვი შენი ფარეხიდან
ჭალაკთა,
ტყეთა,
მდინარეთა ღმერთის სახელით...
უნდა ყველაფერს მივეწვადო —
რაც ამიკრძალეს წინაპარმა ბავშვებმა,
რის გამო ჯერაც თითს მიქნევენ მათი ლანდები...

ცათამბჯენის ფუძის ანგელოსო,
ჩემში ჭრიალებს და წკარუნობს
გამომთვლელი მანქანის ფიქრის ხერხემალი,
რიცხვთა საიდუმლო,
რიტუალი ცათამბჯენების —
ლაყუჩების გაღება ყოველდილით,
თრობა სმოგით და უძილო ღამეებით...

ცათამბჯენის ფუძის ანგელოსო,
მიიღე ჩემი თეთრი ღამეები —
შესაწირავი თოვლისფერი...
გამიშვი ბეტონის ღმერთის ფარეხიდან
უფრო კეთილი,
უტყუარი ღმერთის სახელით —
არყოფნის კარად ვინც ყვავილთა ველი მიბოძა,
ვინაც შემმოსა ბუერის ფოთლით,
ვინც შეაყარა ვარსკვლავთა ცეცხლი
ჩემი ღამის ცას... და გალიაკი
ვინც გადამხურა ყვავილთა ველზე —
ჭალაკთა,
ტყეთა,
მდინარეთა ღმერთის სახელით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## თამაში

უფსკრულის თავზე, სადაც წყდება ლომის ღრიალი,
სადაც ლოდები გასუსულან, სადაც ბალახი
კრძალვით მიცოცავს და მდინარენი
იწურებიან სადაც ცახცახით —
იქ დააბიჯებს შენი ლანდი, თავაწეული,
გადის — გამოდის მდინარეზე — დამუნჯებულზე
და შიშის შეჭმულ ქვებს ებჯინება,
ღიღინებს ავი ქარების თვალწინ,
ხელებს ინაცვლებს აღრენილი ლომის ფაფარზე
და მღერის, მღერის — იგი სიმღერა
კუნაპეტიდან გამოღწეულ ხმას უერთდება —
მუნჯი მდინარის და ლოდების დანარცხების ხმას...

უფსკრულის თავზე —
სადაც შიშის ტყე იდრიკება,
სადაც მავანნი მდუმარებენ მთელი სიცოცხლე,
იქ დააბიჯებს შენი ლანდი,
თავაწეული,
მღერის უფსკრულის ღვთაებათა მწარე სიმღერებს
და ცეკვავს შიშის პირქუშ ცეკვებს
და ხელს ინაცვლებს
ლაშდაღრენილი ლომის ფაფარზე...

## ეჭვი

მაგრამ იაგომ მაინც დარგო ეჭვის მცენარე
ჩვენს შორის... ეჭვი გაიფოთლა და გაიშალა
ყვავილად, ჩრდილად, ჩრდილის ჩრდილად
და ჩრდილის ჩრდილში
განიბნა ჟამის ქარაფებზე გადამსხვრეული
ხმა — გაიფანტა იმედების და მოლოდინის
ერთად შემკრები ხმა — კენჭებად,
ფიჩხად, ბალახად,
ფოთლის ჩურჩულად,
განთიადის ცრემლად, ლოდებად...
და ყოველივეს ჩრდილის ჩრდილი გადაეფარა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კრიმინალის ვარიაციები ჩაპლინის ცხედრის დაკარგვის გამო

I

კაენის შთამომავალმა
სამარიდან ამოთხარა
აბელის შთამომავლის
ცხედარი
და წაიღო თავის ღამეში...

II

თითქმის ორიათასი წელიწადი
ელოდა იგი სასწაულს გამეორებას...
აღსდგა,
აღსდგა
ფოტოაპარატების,
ტელეკამერების
თვალწინ...
აღსდგა სამაროვნით...
აღსდგა!

## მ ტ კ ვ ა რ ი

ცის ლურჯი ზოლი ქართლის ველებზე —
მოელავს, მოაქვს ნისლის ბულული,
თევზის წინწკალი,
ტყის კენწერონი...
და გაკაფული ტევრის დუმილი,
ქარხნების თითთა ანაბეჭდები,
მაგისტრალების კვამლი და ორთქლი...
მიწის ბელტები (ქართველის ძვალთა
ნაცრის დულაბით შემოკირული),
და ნაგზაურზე გაფენილი სიმღერის ექო—
იქნებ ურმული, ოროველის ფოთლები იქნებ
ან ლაშქრულის ხმა...
მოაქვს მდინარეს —
ცის ლურჯი ზოლი ქართლის ველებზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# წვიმა, რომელიც ქალაქს ასველებს

ჩემშია, დიდი ქალაქი, უცხო
ნაფეხურებით მოფენილი, წელში მოხრილი..
შფოთავს,
ყაყანებს,
იჯაგრება, სიყვარულის მზერას ასხივებს.
სძულს კიდეც —
მისი სიძულვილი კვამლად ამოდის
სახლების თავზე და უდაბურ ცას უერთდება;
იქედან ცრემლავს — ეწვეთება ბეტონის შუბლზე,
საბურავებით გაცხელებულ ხელისგულებზე...
და გარეუბნებს, სად ამწეების
ჟანგისფერი გამოფენაა,
აგრილებს, რეცხავს... აწვიმს დაკეჭნილ,
მხრებგადატყაულ ხევებს, ხეივნებს...
სახლებს —
პლასტმასის ფერად ნიჟარებს,
საპყრობილეებს,
რესტორნებს, ვილებს —
ურღვევი ფიცით შეკრულ კავშირებს
ან დარღვეულებს... აწვიმს და აწვიმს...

ჩემშია, ჩემში
რკინის და ცეცხლის
და ბეტონის პირქუში მხარე...
ჩემშია წვიმაც, დაღლილ ქალაქს შუბლს რომ უგრილებს,
რომ ეწვეთება გაცხელებულ ხელისგულებზე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯანრი გოგეშვილი

# ვალი

## მოთხრობა

ემზარ ჭოხონელიძეს ვალი ჰქონდა. ვალი დიდ თანხას არ შეადგენდა, სულ რაღაც ოთხმოცდაათი მანეთი იყო, მაგრამ მაინც ვალი ეთქმოდა და ჭოხონელიძე, როგორც ალალ-მართალ კაცს შეეფერება და ჩვევია, მის დროულად გადახდას ეშურებოდა.

არადა, გაჭირდა ფულის შოვნა. ვალის გადასახდელად დათქმულ დღეს ჭოხონელიძე ძრწოლვით შეხვდა, გეგონებოდათ, ვიღაც დაუნდობელ მევახშისაგან ჰქონდა ფული ნასესხები... ის კაცი კი, ნათესავად ეკუთვნოდა და ძალზე მეგობრულად ეპყრობოდა. როცა სირცხვილისაგან ალანძული მის სამუშაო ოთახში შეიძურწა და მისალმებისა და იმ თითქოსდა სავალდებულო გასაუბრების შემდეგ ფული გაუბედავად სთხოვა, კაცმა თბილად გაუღიმა, ორმოცდაათი მანეთის მაგივრად, ასი მანეთი დაუდო მაგიდაზე, რა იცი, იქნებ დაგჭირდესო. ემზარს ის ასი მანეთი მართლაც სჭირდებოდა, მაგრამ რატომღაც მხოლოდ ოთხმოცდაათი მანეთი აიღო, ათმანეთიანი მძევალივით შეატოვა მაგიდას, კეთილმოსურნეს ვალის გადახდას მომავალი თვის თხუთმეტ რიცხვში მხნედ შეჰპირდა და მოკრძალებით გამოემშვიდობა.

— როგორც გაგიხარდება... კარგ საქმეზე დაგეხარჯოს! — დაადევნა მან.

ფული ემზარ ჭოხონელიძემ მართლაც კარგ საქმეზე დახარჯა, ოღონდ ეს იყო, ნათესავისათვის უკან დასაბრუნებელი თანხის შოვნა გაუჭირდა.

თავდაპირველად ხელფასის ოთხიოდე დღით ადრე აღებას აპირებდა, მაგრამ, თითქოსდა ჯიბრზე, იმხანად გამოიფხიკა სალარო; თუმცა მისი ხელფასი სამოცდათვრამეტ მანეთს შეადგენდა, გადასახდელი თანხის ოციოდე მანეთით შევსებას როგორმე მოახერხებდა, ახლა კი... თანატოლებთაგან, რომლებთანაც ემზარი ახლო ურთიერთობაში გახლდათ, უმეტესობა მასავით ჯიბეგამოფხეკილი დადიოდა. იმ ორიდან კი, დაგროვილი სიმდიდრისაგან მედიდურობის უფერული ლორწო რომ გადაჰკვროდათ, ფულის სესხებას სიკვდილი ერჩივნა. იმ ნათესავის სადარი მოკეთე სხვა აღარ ეგულებოდა და იმ კაცთან პირის გატეხა დასამარებად ულირდა.

მართალია, ფული სხვა დროსაც ესესხნა ვინმესგან, ოღონდ ადრე მშობლებს, ან მეუღლეს იყენებდა შუამავლად, ან კიდევ ასჯერ გაზომავდა და მსესხებელს ისე დაუთქვამდა ვალის

ეროვნული

გადახდის შესაძლებლობის დროს. ამჯერად კი, ღმერთმა უწყის რამ აცდუნა (ალბათ ადამიანურმა გულისხმიერებამ), არც კი დაფიქრებულა, ისე განუცხადა იმ კაცს — „თხუთმეტში აუცილებლად დაგიბრუნებო"; ამის გახსენება ცნობიერებას ულრღნიდა.

და მაინც იმ დღეს სულ მთლად მოეცარა ხელი. შებინდებამდე ფულის შესახებ ხმა არ გაუღია. გულზე მოწოლილ ბოღმას ეჯაჯგურებოდა. მერე შინისაკენ მიმავალი თითქოს გამოცოცხლდა, თავს ძალა დაატანა და ალალბედზე გზად შემხვედრ ფულიან ხალხად მიჩნეულ, ოღონდ მაინც კაიკაცებად ცნობილ ხამ კაცს, ხათრითაოდ სთხოვა ოთხმოცდაათი მანეთი. ერთმა დაუფეთა... მეორემ მოუბოდიშა... მესამემ ხრინწული გამოთქვა... ოღონდ ფულის შესახებელი არც ერთი არ გამოდგა.

ისევ სახოწარკვეთილებას მიეცა ემზარ პეტრონელიძე. სიყვდილზე ფიქრიც კი გაუჩნდა. ბოლოს თავისთავს აუჯანყდა, პირშაობა, უხეირობა დასწამა და ზოგი სალანძღავი სიტყვებიც თავდაუზოგავად უძღვნა. რა ექნა, ახეთი გუნების კაცი იყო, თორემ იმ უნებლიეთ დადებულ პირობას სულ სხვა ელფერს მისცემდა, სულ სხვა პირობად აქცევდა, სხვაგვარ მოვალეობას დაანათლავდა და იმ კეთილ კაცს ვალს ნაწილ-ნაწილად გადაუხდიდა, ან კიდევ ფულს ნაწილ-ნაწილ ისესხებდა, ოთხმოცდაათ მანეთს როგორმე შეაკოწიწებდა.

მოულოდნელად, გზად მიმავალი, სადღაც სიმთვრალეში გაცნობილი მამაკაცი შეაჩერა. სიგარეტი გამოართვა, თან მხიარული კილოთი ფული სთხოვა. კაცს გაეცინა, არც კი შეპასუხებია, ისე განშორდა, ალბათ ეგონა ეხუმრებოდნენ. ემზარსაც გაეცინა, სიგარეტი მადიანად გააბოლა. სიგარეტი, ხუთი წელი იქნებოდა, რაც არ მოეწია, მაგრამ ამაზე სრულებით არ დაფიქრებულა. უმალ მაღაზიას მიაშურა სიგარეტის საყიდლად, რათა ისევ სათხოვარი არ ჰქონოდა.

მერე ერთხანს, მაღაზიის წინ თავშეყრილ მამაკაცებთან განწყობილებისა მიღმა ილაყბა. ფულზე სიტყვაც არ დასცდენია. მოსალოდნელი გაწბილება ზარავდა.

შინისაკენ გულდაბოღმილი წავიდა. სიგარეტი რომ დაუნახეს ხელში, მშობლებმა და ცოლმა ერთხმად შეიცხადეს. ამ ახალი მარცხით ხასიათწამხდარი, დასაძინებლად უვახშმოდ გაემართა. მეუღლე უკან აედევნა. ჩვეულებისამებრ, როგორც ამ დროს ქალებმა იციან, საწოლის კიდეზე ჩამოჯდა და შეწუხებული სახით ჰკითხა — რა შეგემთხვაო.

ვალი მაქვსო, ძლივს ამოღერღა. ქალმა ძალისძალად ათქმევინა ორიოდე სიტყვა იმ ვალის შესახებ.

— მერე რა მოხდა, გადავიხდით! — დაამშვიდა.

— გადავიხდით კი არადა, დღეს უნდა გადამეხადა! — შეუწყრა ემზარი.

— ახლა რა უნდა წაგაშველო, ოცამდე მაძროთვე, ხელფასს ავიღებ და...

— ოცში მეც ავიღებ! — მხარი იცვალა მან.

ცოლის მიუხვედრელობამ კიდევ უფრო დაბოღმა და გააგულისა.

ათასი კურთხევა შეუთვალა თავის გაჩენის საათს. მერე სადღაც წაკითხული იაპონური წეს-ჩვეულება თუ თქმულება გაახსენდა.

თქმულების მიხედვით, იაპონიაში ერთ დროს არსებობდა ჩვეულება — ფულის გამსესხებელი, მევალის უპირობის გამოაშკარავების მიზნით, ღამით უჩუმრად შეიპარებოდა მის ეზოში და ყელს ხმაგაკმენდილი გამოიღადრავდა.

„ეგ ქესტი ალბათ სახეში შეფურთხებას ნიშნავდა," გაიფიქრა მან და ინატრა სული გასძვრომოდა.

დილით, ავადმყოფივით უსიცოცხლოდ გამოეღვიძა. სიზმრად იმ იაპონურ თქმულებაზე აღმოცენებული ათნაირი საშინელებანი იხილა და უნებლიედ სახლიდან გასვლისა ეშინოდა. ეშინოდა, ის კეთილისმსურველი მართლაც ყელგამოღადრული არ ეხილა... თანაც თამბაქოს წევისაგან პირში საშინელი გემო ჰქონდა ჩარჩენილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძალისძალად ადგა, ძალისძალად შეიმოსა, ხელ-პირი დაიბანა და შინიდან გაუბედავად გავიდა.

ქუჩაში გზად მიმავალ ავტომანქანებს მალვით უთვალთვალებდა და თითქმის მიიძურწებოდა.

იმ ნათესავს „ვოლგა“ ჰყავდა, მაგრამ ემზარს უნებურად ყველა მანქანის საჭესთან მისი სახე ელანდებოდა.

სამსახურში (საბჭოთა მეურნეობაში რიგითი ეკონომისტის თანამდებობა ეკავა) სამუშაოს ჩაჰკირკიტებდა, განყოფილების უფროსის მითითებებს უხმოდ ასრულებდა. შესვენების დროს ოთახიდან გასვლა არ სურდა. სახლამდე გასასვლელი გზის გავლას უფრთხოდა, კვლავ იმ კაცთან მოსალოდნელი შეხვედრის ალთქმა აცბუნებდა.

„ავალ და ბოდიშს მოვუხდი, ბოლოს და ბოლოს რამ დამაგლახა“, გადაწყვიტა მერე და სამუშაო უმალ დასტოვა.

დერეფანში უცაბედად მოლარე ქალმა შეაჩერა. საიდუმლოდ უჩურჩულა.

— ემზარ, შენ ხომ ფული გინდოდა, მოდი... დღეს მოვახერხე და ცოტაოდენი გამოვიტანე.

— აგაშენა ღმერთმა! — დალოცა გულმხურვალედ და გაიფიქრა — „არც მთლად უბედო ვყოფილვარ, არც მთლად...“

სალაროდან მხნედ გამოაბიჯა. მოდიოდა და მიუხაროდა. მშვიდი ამინდი იდგა. ხეთა ჩრდილებს ფოთლების ჭუჭრუტანებიდან დამსხლტარი მზის შუქი სამკაულებივით დაჰფენოდა.

„თხუთმეტი მანეთის ღდინიც გაწყდეს, თხუთმეტ მანეთს როგორ ვერ ვიშოვნი... თუ არადა, მივალ იმ კაცთან და პირდაპირ ვეტყვი, ბოლოს და ბოლოს რამ დამაგლახა...“

— თითო ბოთლი ხომ არ დაგველია! — გამოსძახა მოულოდნელად ვიღაცამ.

ის ვიღაცა ერთი იმათგანი გახლდათ, ვისი დანახვაც გულუბრყვილოდ სიამოვნებდა. გულალალ და ჭკვიან კაცად იცნობდა. იცოდა ფული არ ექნებოდა, მაგრამ რამდენიმე დღის უკან მაინც ჰკითხა:

— ჩვენში დარჩეს და ოთხმოცდაათი მანეთს ხომ არ მასესხებდი?

— ჩემი თავი მოგიკვდეს, თუ გაწყობს ერთი ათმანეთიანი მიგდია ჯიბეში... — მხიარულად გაეპასუხა იგი, ჯიბიდან ათმანეთიანი ამოიღო და ჯიბეში ჩაუდო...

მართალია, ფული მაშინვე უკან დაუბრუნა, მაგრამ მადლობის გრძნობით აღივსო.

ახლა რატომღაც განსაკუთრებით გაეხარდა მისი დანახვა.

— რაზეც არა! — უთხრა გაბედულად, — დავლიოთ, ერთი ჩვენც ხომ უნდა შევუბეროთ ამ ცხოვრებას, — არც კი შეყოყმანებულა, ისე ჩასჭიდა ხელი მეგობარს და სასაუზმეში შეალაჯა. „დაიქცა ქვეყანა, ხუთი მანეთი თუ დავხარჯე, ხუთი მანეთი... მთელი დღე არაფერი მიჭამია.“

ოღონდ მერე, როცა სადილს მადიანად შეექცნენ, როცა თითო-თითო ბოთლი ღვინის მაგივრად, ორ-ორი დალიეს, მერე ვიღაც ნაცნობსაც გაუმასპინძლდა და ხუთი მანეთის მაგივრად თხუთმეტი მანეთი ძლივს გაწვდა დანახარჯს. მაგრამ ამაზე სულაც არ უდარდია, პირიქით, გახარებული გახლდათ ამხანაგისა და იმ ნაცნობის გამასპინძლება რომ შესძლო. თავისებური დამოუკიდებლობა იგრძნო და კიდევ უფრო მოუნდა ამ დამოუკიდებლობის განმტკიცება.

სასაუზმედან გამოსულს თამამად გაახსენდა, რამდენიმე დღის უკან ერთი კარგა ხნის მივიწყებული ამხანაგი რომ ეპატიჟებოდა, ტყუპი ვაჟკაცი შემეძინა და აბა შენ იცი, ჩამოდიო.

„იმ კაცს როგორც იქნა გავახსენდი, მე კი ვერ წავედი, ჯიბეგამოფხეკილი ვიყავი და რა მექნა, არც ახლაა გვიან, გაუხარდება, ნამდვილად გაუხარდება“.

თავისი წადილი ამხანაგს გაუმხილა, ერთად წასვლაც შესთავაზა; ამხანაგმა გაიპატიჟა, მშრომელი კაცი იყო, მიწის მუშა, გლეხკაცურად, უბრალოდ ეცვა და უცხო კაცთან ისე სტუმრად მისვლა ესირცხვებოდა.

ეროვნული

არ მოეშვა, ლურჯი „მოსკვიჩი“ გააჩერა და შიგ ძალისძალად ჩასვა.

სამსახურის გაცდენას აღარ ნაღვლობდა. ალილინდა, ჯერ მეგობარი აიყოლია, მერე კი ახალგაზრდა მძღოლიც და ასე, ერთი საათის შემდეგ, იმ მივიწყებული ამხანაგის კარ-მიდამოს გალაღებული მიადგა.

ამხანაგი მეუღლესთან ერთად ეზოში ტრიალებდა. ემზარს ეგონა, დამინახავს თუ არა, სახეგაბადრული მომაშურებსო.

— გაგახსენდი, კიდევ კარგი!... — ცივად გამოსძახა მასპინძელმა, უხალისოდ წამოდგა ნაბიჯი და მიმანიშნებლად ჩაილაპარაკა: — წერილში რა, დღევანდელი დღე ეწერა?!...

ამ მოულოდნელობისაგან შეცბა, ამ შეხვედრისათვის გულში გადანახული სითბო ულმერთოდ შეაცივდა. ეზო მიმოათვალიერა და მიხვდა, ეზოში „სეფა“ იყო ახლახან განაჭიმი. ქალალდის ნაკუწები ტალახში აზელილიყო. აქაიქ ბოძჩანასობი ადგილები ჭრილობებივით აჩნდა მიწას.

ჭიშკარი სახემომღიმარემ გამოაღო, მასპინძელს გადაეხვია, ბედნიერება მოულოცა, მერე ამხანაგი გააცნო, თან გაეხუმრა:

— თუ არ გაგიხარდა, წავალთ...

— რას ამბობ, მობრძანდით, მობრძანდით! იმ შაბათს გელოდი და მეწყინა რომ არ ჩამოდი, ასეთ დროს ხომ იცი... — ხელები ფართოდ გაშალა, ვეებერთელა ტანის კაცი იყო და ხელების გაშლა ძალზე დაშვენდა. „ალბათ ფულის შეგროვება გადაწყვიტა...“ — გაახსენდა ცოლის ნათქვამი, როცა მასთან ერთად ის მოსაწვევი ბარათი წაიკითხა, „საიდან მოიტანე?! ალბათ გავახსენდი, ერთ დროს კარგი ამხანაგები ვიყავით,“ — სცადა მაშინ ყოფილი ამხანაგის დაცვა.

ახლა კი... კვლავ გულღიად იღიმებოდა, ამხანაგი უხერხულ მდგომარეობაში რომ არ ჩაეყენებინა. მერე კი, ორი ბუთხუზა ბიჭის ნახვამ, ერთმანეთის გვერდით რომ იწვნენ ფართო დივანზე და ხელებს უმწეოდ აფათურებდნენ, ერთბაშად გამოუკეთა განწყობილება. ბიჭებს ათმანეთიანები დაუთვლელად ამოუდო სასთუმალს ქვეშ.

იმ საღამოს გვარიანად მოულხინეს. ყოფილმა ამხანაგმა, მეუღლეს ეზოში, ზედ მარანთან გააშლევინა სუფრა. მასპინძლობა დაიმშვენა, გალაღდა. იმ ურთიერთობიდან, როცა ემზართან ძმაკაცობდა, მხოლოდ მოგონების ღირსი ეპიზოდები გაიხსენა. მერე სამივე ახალი მეგობრობის, ადამიანური სითბოს გაღვივებას მიეძალა.

გვიან ღამით წამოიშალნენ. მასპინძელს არასდიდებით არ სურდა მათი გაშვება, დილით ქეიფის გაგრძელებას აპირებდა. „სახლ'ში გადაირევიან, გადაირევიან სახლში!..“ — გაიძახოდა პასუხად ერთიც და მეორეც. თუმცა კარგად იცოდნენ, არც მთლად ასეთი გულისხმიერებით ჰყავდათ ოჯახის წევრები განებივრებულები.

იმ ღამით, სახლამდე მაინც ვერ მიაღწიეს. ის ღამე პატარა ქალაქის ავტოვაგზლის შენობის წინ, გრძელ სკამებზე წამოწოლილებმა გაათენეს.

შემაცივებლად გრილოდა. ვარსკვლავებით მოჭედილი ცა თვალს იტაცებდა.

ორიოდე საათი ემზარმა ძილბურანში გაატარა. ბოლოს მთლად გაუკრთა ძილი. ცაზე იისფრად მოციმციმე ვარსკვლავი ამოირჩია და გულმოდგინედ დაუწყო თვალთვალი. ცდილობდა სხეულზე ალყაშემორტყმული სიცივე იმ ვარსკვლავზე ფიქრით გაელლო.

მერე ამხანაგს გამოეღვიძა. „ჰეიო“, შეიძახეს ერთხმად; წამოდგნენ და ერთმანეთს დაეჯაჯგურნენ, იმ ჯაჯგურში გზატკეცილზე გავიდნენ და მოსახვევში გამოჩენილ სატვირთო მანქანას ტაშისცემით შეეგებნენ.

სატვირთო ავტომანქანა შორიახლო გაჩერდა.

— პირდაპირ და არავითარი გადახვევა! — გამოსძახა მძღოლმა.

— აგაშენა ღმერთმა! — გაეხმიანა ემზარი და ამხანაგთან ერთად ადგილს მოწყდა.

მძღოლი ხალისიანი კაცი გამოდგა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მგზავრად აყვანილები უმალ აიყოლია საუბარში და ანეკდოტების მოყოლა წამოიწყო.

ხალისიანად იცინოდნენ და გონების საყუდარში შეხიზნულ ანეკდოტებს იხსენებდნენ.

სოფელს რომ მიუახლოვდნენ, კარგა ხნის გათენებული იყო. ემზარ ჭოხონელიძემ უეცრივ სოფლის განაპირას თითქოსდა მრისხანე ლომივით შემართულ და ფაფარაყრილ ერთ-ერთ ბორცვს შეავლო თვალი და მის არსებაში რაღაც იდუმალებით მოცული გრძნობა აზმიანდა.

— გააჩერე! — შესძახა მან.

მძღოლმა გაოცებით შეხედა, მაგრამ მაინც დაამუხრუჭა ავტომანქანა.

ჭოხონელიძემ ჯიბიდან ამოღებული სამმანეთიანი მძღოლს მიაწოდა და კარი გააღო.

— აქ რა გინდა?! — იჭვნეულად იკითხა ამხანაგმა, ოღონდ კაბინიდან მაინც გადავიდა.

— გმადლობთ! — ხელის აწევით გამოემშვიდობა მძღოლს ემზარი, ამხანაგს ხელი მოხვია და თბილად უთხრა:
— სასაფლაოზე ავიდეთ, რა ხანია გიგას საფლავი არ მოგვინახულებია.

— აგაშენა ღმერთმა... — თვალებით მიესიყ;ყარულა ამხანაგი. გზიდან გადაუხვიეს და ორღობეს გაუყვნენ.

გრილი ჰაერი სუნთქვას უამებდათ. ხეთა ყვავილების სულში მოღიტინე სურნელი მოთენთილ სხეულს მაცდუნებელ შვებას ჰგვრიდა. ნელა მიჰყვებოდნენ ალმართს და გიგას იხსენებდნენ. ‹ხსენებდნენ საოცრად ალალმართალ, საოცრად საყვარელ ბიჭს, მუდამ სიკეთის შუქით მოფენილი სახე რომ ჰქონდა, მუდამ ვისიმეს დახმარებას, შეგულიანებას რომ ცდილობდა და თავად ისე នაადრევად, ისე ულმერთოდ მიიცვალა.

საფლავთან კარგა ხანს მდუმარედ იდგნენ. მერე მძიმედ ამოიოხრეს და მძიმე ნაბიჯებით გაემართნენ სოფლისაკენ.

მერე ამხანაგი რაღაც სასაცილო ამბავს ჰყვებოდა, ემზარი კი გულუბრყვილოდ გახლდათ გახარებული იმ ყოფილ ამხანაგთან მისვლა რომ მოახერხა, ახლა კი უდროოდ გარდაცვლილი თანატოლის საფლავის ნახვა.

სოფლის გზატკეცილზე რომ გავიდნენ, ამხანაგმა რატომღაც ხალისიანად შეიძახა:

— ნახე, იწვის, ვიღაცის სახლი იწვის, მგონი ათანასესია!

ასე, სამასიოდე მეტრის იქით, მართლაც იწვოდა ორსართულიანი სახლი. ცეცხლი კიბესა და მეორე სართულის დერეფანს გაჰკიდებოდა. სახლიდან სუსტი შეკივლება ისმოდა.

ორივე თავდაუზოგავად გაიქცა.

ეზოში შევარდნილმა ემზარ ჭოხონელიძემ პირდაპირ ცეცხლმოდებულ კიბეს მიაშურა. დერეფნის ცეცხლმოდებულ კარებთან მოწრიალე ქალს ბავშვი ხელიდან გამოსტაცა, მკერდზე მიიკრა და კიბეზე დაეშვა... ამხანაგმა პაწია გოგონა მარჯვედ დაიჭირა. ემზარმა ხარბად შეისუნთქა ჰაერი და უკან გავარდა. სასომიხდილ ქალს, გულწასულს მიუსწრო, გაჭირვებით ასწია და ცეცხლის რკალში თავდაუზოგავად გამოატარა.

— დივანი, უკანა ოთახში დივანი დგას! — შეჰღრიალა ეზოში ჩამორბენილმა სახლის პატრონმა და ცოლი ხელიდან გამოგლიჯა.

ჭოხონელიძემ ისევ კიბეს მიაშურა, ბედად აასწრო, აივანზე ფეხი შედგა და კიბეც ჩაიშალა.

მხრჩოლავი კვამლით დაბურულ ოთახში ძლივს შეაღწია. დივანი დერეფანში გამოათრია. თავგანწირული შემართებით წამოსწია და ცეცხლმოდებულ ფანჯარას ატაკა. მერე, სამოსზე ალმოდებული, დაურიდებლად გადაეშვა გამტვრეულ შუშაბანდში, მიწაზე დაცემისას თავი რაღაცას დაჰკრა და ცნობიერება დაჰკარგა.

გონს მალე მოეგო. გარშემო ხალხი შემოხვეოდა. თვალის გახელისთანავე ლოცვა-კურთხევა დააყარეს. სახლს უკვე ერთიანად მოსდებოდა ცეცხლი.

ეროვნული

ემზარი წამოდგა.

— მაგას უკვე ველარ ჩააქრობ, იმ პატარა გოგოს კიბეზე და დერეფანში ნავთი მოუსხამს, მგონი ოთახებშიც, ხანძრობანას ვთამაშობდით, — განუმარტა ამხანაგმა და ხელი შეაშველა.

ემზარმა შავოსანი ქალის კაბის კალთას აკრულ აქვითინებულ გოგონას გახედა. მერე ვაშლის ხის ძირთან აყირავებულ დივანთან მოფუსფუსე ცოლ-ქმარს მიაპყრო მზერა.

— ათი ათასი ჰქონიათ შენახული, ეგ დივანი რომ არ გადაგერჩინა, ჭკუაზე შეირყეოდნენ... — ჩაიცინა ამხანაგმა.

გზატკეცილიდან სახანძრო მანქანის საყვირის ხმა მოისმა. ემზარმა მამაკაცის ხელში ჩაბღუჯულ ათმანეთიანებს მზერა აარიდა. გაახსენდა, ამ კაცს გუშინ სესხი რომ სთხოვა. ამ კაცმა კი ცოლ-შვილი გაიწყვიტა, სად მაქვს, თორემ უკეთესს ვის ვასესხებდიო... სხვებისაგან გაეგო, ამ ოჯახს ფული რომ ჰქონდა გადანახული, მაგრამ უმალ შეეჭვდა, იქნებ ხმას უყრიანო. არა, ახლა კი არ გაახსენდა ეს ამბავი, ეზოში რომ ჩამორბოდა და ცეცხლმოდებულ აივანზე არბოდა, მაშინაც თავში უტრიალებდა. უბრალოდ, ახლა ამ ფაქტისათვის სულ სხვა განზოგადება უნდა მიეცა, რამაც ფიზიკურ სატკივარზე უფრო მეტად შეაწუხა.

მარჯვენა ფეხს მიწაზე თამამად ვერ აბიჯებდა, მაგრამ მაინც დაითხოვა მხარში ამომდგარი ამხანაგი და ჭიშკრისაკენ წავიდა. ჭიშკარში კი ამ დროს სახანძრო ავტომანქანა შემოგრიალდა.

ემზარ ჭოხონელიძე თავჩაქინდრული მიაბიჯებდა ორღობეში და ვინმესთან სალაპარაკოდ შეჩერებას ერიდებოდა.

გზატკეცილზე გასულმა მოულოდნელად „ვოლგა“ შეამჩნია. საჭესთან ის კეთილმოსურნე ნათესავი დალანდა. შეცბა, შეძრწუნდა, ლამის თავისთავში ჩაკარგულიყო. კანდამწვარი ხელი სახეზე მიმოიფათურა და უდიდესი ტკივილის შეგრძნების ფასად ორღობისაკენ გაუჩქარა.

ორღობის გავლა ორმაგად გაუგრძელებდა შინ მისასვლელ გზას, მაგრამ ამას ახლა აღარ დაგიდევდათ, ოღონდ კი ისე პირშერცხვენილი, ისე გასავათებული, წესიერი სიტყვის თქმაც რომ არ შეეძლო, იმ კაცს არ გადაყროდა.

ემზარ ჭოხონელიძეს ვალი ჰქონდა...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

**იმედა არაბული**

# მთებთან დაბრუნება

მთებო, მე თქვენი ჯაჭვის პერანგი
ვერა, ვერა და ვერ შემოვლეწე;
უზუსტო სიტყვა, ვით ბუმერანგი,
ყოველთვის ზურგში წამომეწია.
და რომ მეგონა მერნებს ვკაზმავდი,
თქვენი ნისლებით ფილტვებს ვივსებდი,
სუყველა თქვენი ხევი აზვავდა
და ჩამიკეტა გზები ისევე.
თქვენი ამაყი შუბლის წინაშე
ძარღვებს ვიგლეჯდი და გულს ვწურავდი,
და თქვენს ცრემლებში, როგორც მინაში,
ჩემი საწყალი ჩანდა სურათი.
ყოველთვის, როცა თქვენთან მოვედი,
თანაც, ყოველთვის თქვენთან მოვედი,
როგორც ცოდვილი პირმშო, გპოვებდით,
და არა როგორც წმინდა პოეტი.
თქვენ ისე მზრდიდით, ვით პირმშოს უნდა,
ჭირში თუ ლხინში, ველსგარეთ თუ შინ —
თქვენ მე ყოველთვის მიშვებდით გულთან,
მაგრამ არასდროს მიშვებდით გულში.
მე კი ყოველთვის, სულო ცოდვილო,
რაც არ მხვდებოდა, იმას ვეძებდი,
და რაღაც დიდი პოვნის წადილით
თქვენს კეთილ სულში ხელს ვაცეცებდი.
ამიტომ ხშირად მე ვმარცხდებოდი
და ვეცემოდი როცა, ყოველთვის
თქვენ მაყენებდით ფეხზე დედობით
და ნაწყენ ლოცვას თან მაყოლებდით.
თქვენ მაფარებდით კალთას დედობით,
მე გავურბოდი მფარველს ყოველთვის,
კვლავ ვეცემოდი... და მე ვხვდებოდი,
რომ კვლავ ვკარგავდი, რასაც ვპოვებდი.
და მე გავრბოდი — თქვენ გამირბოდით —
სხეულს ვკაწრავდი უცხო ძეძვებით;
რას არ ვეძებდი, სანამ ვიგრძნობდი,
რომ თურმე ყველგან თქვენ დაგეძებდით,
რომ მე თქვენი ვარ და ამაოა
გაქცევა,
ცოდვა — მშობელთან ბრძოლა,
რომ მოლის ღერი სადაც ამოვა,
იქვე სწერია იმისი ბოლო.
სულის და ხორცის გზებით მოვლილი,
ამაყად, მაგრამ შენდობით მზირველთ,
აჰა, მოგსვლივართ ძე შეცთომილი,
გთხოვთ, ნუ მომაგებთ სამოსელს
პირველს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

ზღვა... ყველა მისი მიქცევა სულში
სიცარიელეს მიტოვებს მხოლოდ;
და მე პირველად ვიგრძენი გუშინ,
რომ მეც მარადი მიქცევით ვცხოვრობ;

რომ, რაც იწყება ჩემით ან ჩემში,
თვითვე ინახავს დასასრულს წერტილს,
და ამიტომაც ვერაფრით შევრჩი
რწმენას, რომლითაც ვსვამდი და ვწერდი.

ვტოვებ ნაცნობებს (ანდა ვაპირებ),
ანდა მე თვითონ მტოვებენ ისე,
როგორც ტალღები თავის ნაპირებს —
მარილიანი ღიმილით პირზე.

დაღლილ წყალივით სიღრმეში მტკივა
ნიჟარებივით კაცები ქონდრის,
მაგრამ ზღვას უფრო ვაღმერთებ იმად,
რომ კვლავ მოქცევის იმედი მქონდეს.

მაგრამ ნათდება ადრე თუ გვიან
და მწარე კითხვა გარკვევას ითხოვს:
მიმტოვებელი ზღვას რატომ ჰქვია,
მიტოვებული — ნაპირებს, ვითომ?!

* * *

ამას არა წერს ერთ-ერთი სამასარაგველთაგანი,
არც მათი შენდობა არის ამ სადღეგრძელოს საგანი.

წეღანის ერთი ხევსური — ერთი არაგვისხეველი
ჩიოდა — ცოტა არ იყოს — სათქმელს გულგაურჩეველი:

— ხამასარაგვლობას ვიყავ, კაცი არ იყო სამასი,
იქიდან სამი ხევსურნი — დამფიცველი ვარ ამაზე.

ბარად ჩასულებს არ ვამბობ—არც გვარ ახსოვდათ, არც ძირი,
ვისაც ჯერ კიდევ ჰყვებოდა გუდანის ჯვარის ნაწილი.

ამ ცისა ითქვა, იმ ცისა, მთისა ითქვა და ბარისა,
ის მაინც ეთქვა ერთ-ერთსა — „თემთ სიტყვა დაგვაბარესა!".

ღმერთო, რა ცოდვა დაეცა არაგველთ ჯიშის ბუდესა,
ლიბოს რომ წყალი შეუდგა, შამბი მოევლო ზღუდესა;

სადაც სამასი თავს სდებდა — სიცოცხლე-სიკვდილლამაზი,
მათთვის შენდობის მთქმელიც რომ აღარ დამრჩალა სამასი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიხეილ ჩაჩუა

# ორი არსენა

*არსენ კობაიძეს*

ოძელაშვილი არსენა
იმწუთას რამ გამახსენა?
წუთი მეახლა ლამაზი,
თუმცა მხლებია მანამდეც.
შენზე ვფიქრობდი, ანაზდად
ფიქრი გადასწვდა მარაბდელს.
და უცებ ორი არსენა
ერთად დამიდგა თვალწინა.
ოცნებით სივრცე დავსერე,
ფრთა გამკრა ორმა არწივმა,
ორი ვეფხვის თუ ლომისა
ბრდღვინვა-ბუხუნი მომესმა.
ორივეს ძმობა ვინატრე,
ვით ბნელ ღამეში სინათლე.
....ერთურთს ძმებივით შვენოდით,
ძმებივით ჰგავდით ერთმანეთს.
თქვენი ძალ-ღონე მშველოდა —
მთებსაც დავძრავდი, ღმერთმანი.
გიყურებდით და ვხარობდი,
ვმზიანობდი და ვდარობდი
და თქვენს შემყურე ქვეყანას
გულზე ვარდები ეყარა.
ამას ვფიქრობდი იმწუთას
(დილა იყო თუ მიმწუხრი):
გამჩენმა ძალამ აშოროს
უარსენობა სამშობლოს.
...და მაინც რამ გამახსენა? —
ეს ხიდი როგორ გაიდო? —
სად მარაბდელი არსენა
სად შენ, ქედელო რაინდო!

სხვა დარდი ჰქონდა, სხვა ცეცხლი
სდაგავდა იმ შენს სეხნიას.
შენც იწვი, — განა არ მესმის? —
მაგრამ ეს სულ სხვა ცეცხლია.
მაშ რამ შეგყარათ ჩემს თვალწინ
ერთად, ვით ორი ღვიძლი ძმა?
ვფიქრობ და... ციდან მზე მაწვიმს,
შუქი მეფრქვევა მიწიდან.
რამ დაგაწყვილათ, რა ძალამ? —
ეს კითხვა კვლავ არ მასვენებს
(ო, ნურც მენახოთ ცალ-ცალად,
სულ ერთად გევლოთ არსენებს).
გიყვარდეთ, თვითონ გავცემდი.
ჩემს კითხვას პასუხს შესადარს,
მაგრამ, თქვე კაიკაცებო,
თქვენი პასუხი მეწადა.
ჰოდა, მივიღე კიდევაც,
არ დავრჩი გულდაწყვეტილი
(და მაინც — გაგიკვირდებათ? —
ლექსს ვერ დავუსვი წერტილი):
— ერთმანეთს ჰგავდეს ორი ძმა,
რა გასაკვირიც ეს არის,
ორივე ერთი გორისა,
ორივ სიკეთის მთესავი,
შვილნი ამ მთის და მდელოსი,
ერთი ზღვის ორი მორევი,
სრულიად საქართველოსთვის
თავდადებული ორივე.

# სიზმარი

გადასარევი სიზმარი ვნახე,
მსგავსს ვერასოდეს ვიხილავ ცხადად...
ღრუბლებში მედგა პატარა სახლი
და მზე მეკიდა კედელზე ხატად.

ღრუბლები იყო ძალიან თეთრი
და სახლი იყო მსუბუქი ისე,
კმაროდა სულის შებერვა ერთი —
გაფრინდებოდა შორეულ ცისკენ.

არ მჭირდებოდა შებერვა სულის,
მე ბედნიერი ვიყავ ისედაც.
იყო სიმშვიდე, სიწმინდე სრული
და ჩემს გულისთქმას ღმერთი ისმენდა.

მერე... კარავში ვიყავით ორნი,
მზე იყო მოწმე, სხვა კი არავინ
და ირწეოდა თეთრ ღრუბლებს შორის
ჩემი ოცნების თეთრი კარავი.

ის წუთი იყო, მართლაც გრძნეული,
სულაც არ ჰგავდა წუთებს წინანდელს.
არ არსებობდა ჩემთვის სხეული,
იყო სული და იყო სინათლე.

არსაით ჩქამი, შორეულ ძახილს
ახშობდა სულის უხმო შრიალი
და ირწეოდა პატარა სახლი
როგორც აკვანი ჩვილბავშვიანი.

მე — ნებიერი — გულაღმა ვიწექ
დანაყრებული მზით და ალერსით.
არავითარი ვნება და ბიწი,
ეს იყო განცდა უნეტარესი.

მერე... შენ უკვე შენ არ იყავი...
ელვა დააცხრა მოკუმულ ბაგეს
და ამოვარდი როგორც გრიგალი,
რაიც ყველაფერს ლეწავს და ანგრევს.

მეც, იმ წუთებში, მე არ ვიყავი
და ვირწეოდი ფრთებზე გრიგალის.

ამაზე უფრო რამ გამახაროს —
ეს სიხარულზე უფრო მეტია:
შემომატარე მთელი სამყარო,
ძლივს შეველიე ცაში ხეტიალს.

ბოლოს დაღლილი დაუშვი ფრთები —
უკანასკნელი სტრიქონი მოწყდა.
დასტოვე თეთრი ღრუბლების მთები
და ფეხი ფრთხილად შეახე მიწას.

...აღარ ვიყავით კარავში ორნი,
მზე იყო ჩემთან, სხვა კი არავინ,
და ირწეოდა თეთრ ღრუბლებს შორის
ჩემი ოცნების თეთრი კარავი.

**ნოდარ ჯალაღონია**

## ძველი კოლხური ჰანგები

ეს ციკლი მეგრული ფოლკლორის მოტივებზეა შექმნილი, თუმცა ზოგიერთი სტრიქონი და სტროფი თარგმნილიც კი არის. ლექსებში კარგად ჩანს რევოლუციამდელი საქართველოს გლეხკაცის ნაღველი, პროტესტანტული სული და თავისუფლებისათვის ბრძოლის წყურვილი. სასიყვარულო ლექსების სევდიანი მოტივიც ძველი დროის სოციალური უსამართლობის ნაყოფია.

### მ ზ ე

მზეო, წყაროვ სინათლის,
დედავ სიყვარულისა,
მზევ, სამყაროს სიმართლევ,
სითბოვ კაცის გულისა;
ღამის ჭირისუფალო,
დღის მეკვლევ და მეგზურო,
დედასავით უბრალოვ,
დედასავით ერთგულო, —
აღმაზევე, აღმანთე
და მაჩვენე ცისკარი,

წუთისოფლის აღმართზე
კარგი სიტყვა მითხარი;
ცოტა წამომეშველე,
ცოტა ხელი წამკარი,
რომ ლამაზი მეჩვენოს
ეს ცხოვრება წამხდარი;
თორემ ვხედავ ხელადვე,
ბედმა ფეხქვეშ მომიგდო.
გადავრჩები ყველაფერს,
შენ რომ ხელი მოგკიდო.

### ჩემი ენა ქართული

საზღაპრო და საოცარი
ჩემი ენა ქართული,
არის ჩემი სალოცავი,
დაჩოქილი გარს ვუვლი.
თბილი როგორც დედის გული,
ტკბილი როგორც დედის ხმა,

ის ბაღი და მე ბულბული,
ის ბატონი და მე ყმა.
ის საყდარი, მე სარკმელი,
ის შარა-გზა, მე მგზავრი,
ის ხატი და მე საკმელი,
ის სამრეკლო, მე ზარი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის ზეთი და მე კანდელი,
მე აბედი, ის კვესი,
ის ჯვარი და მე სანთელი,
მე ფოთოლი, ის ფესვი.

საზღაპრო და საოცარი
გულის ძარღვში ჩართული,
არის ჩემი სალოცავი
ჩემი ენა ქართული!

## სიზმარი

დამესიზმრა —
ღმერთნი ციდან
ჩამოფრინდნენ გუნდი-გუნდად,
ტანთ ემოსათ ღრუბელი და
მზე ეხურათ თავზე ქუდად.
ანგელოზნი გვერდით ედგნენ
ცისარტყელას ჭრელი ფრთებით,
დედამიწა ჰგავდა ედემს,
დალოცვილი ღმერთის ნებით.
არც თაღლითი, არც ხელმრუდი,
სიყვარული იყო მარტო.
დარცხვენილი ნემსის ქურდი
დაეძებდა ნემსის პატრონს,
ძმის მკვლელი და ღვთისგან კრული
მუხლზე იდგა ის კაენი,
და ხარობდა კაცის გული,
მორჩენილი კაცის ენით.
ოქროს სასმისს ერთად ცლიდა
ხელმწიფე და ღამის მეხრე,
და იუდა უკოცნიდა
ქრისტეს
ჯვარზე გაკრულ ფეხებს.
თხა და მგელი ერთად ძოვდა,
ვეფხვი შველის გვერდით იწვა,
ჯიქი ირმის ძუძუს წოვდა
და მღეროდა ცა და მიწა.
გამელვიძა
თუმცა კი ჯობდა
ვყოფილიყავ იმ სიზმარში..
თურმე მე რომ ძილში ვბჭობდი
იცინოდა ღმერთი ცაში.

## სისა ტურა

ნანაია, ნანა შვილო, ნანას ჭირიმე,
აკვანს მიწევს ანგელოზი, ვარდის პირი მე,
აბრეშუმის საბანს ავხდი და დავხედავ მე,
მზე და მთვარეს ემსგავსება, მისი ჭირიმე.
სისა ტურა, იქით ტურა,
ბონდოს ძილს ნუ უშლიო,
ბონდო ბიჭი ეხუტუნა
დედიკონას გულშიო.
ბიჭო, ცისგან გაჩენილო,
მზის და მთვარის გამოზრდილო,
ვარდის პირო გადაშლილო,
დაიძინე, ნანა-შვილო!
დაუდგება თვალი მტერს,
შენ კი დაიძინე დღეს,
ჯერჯერობით უკეთესს
ვერ იშოვი ვერაფერს.

## უღელში შებმული ბულბული

ღმერო ჩემო, რას ვუყურე,
გული ახლაც დამაქვს მკვდარი,
მაფშალია ება ურემს,
ვარდს უმღერდა სახედარი.
მართლაც არის გასაკვირი,
უფრო მეტიც —
ქვეყნის ჭირი,
ბულბულს ედგას უნაგირი,
ბულბულობდეს ბაღში ვირი.
როს ღირსება უნდათ უღირსთ,
წამხდარი დრო
ალბათ მაშინ:
ბულბულს ადგამს ვირის უღელს,
ვირს სვამს ოქროს გალიაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დიოვ, ნანა

დიო, დიოვ, დიოვ, ნანა,
დიოვ, რას მემართლები.
შეაჭამე ტურებს განა,
ჩემი თეთრი ბატები?
დიო, დიოვ, დიოვ, ნანა,
დიოვ, არ გებრალები?

სხვისთვის გამოგზარდე განა,
გოგო, ასე წვალებით?
გამომისვი ყელზე დანა,
დიოვ, რა ვქნა აწიო...
დიოვ, დიოვ, დიოვ, ნანა,
დიოვ, ნანა, დამწვიო.

* * *

სიყვარულს ვერ გავექეცი,
თუმცა ბევრი ვემალე.
ჩამწყდარია ხიდი ბეწვის,
უნდა მოვკვდე მე მალე.

ცოცხალი არ გამახარე
მკვდარი მაინც მაცხონე,
გულზე მიწა დამაყარე
შენს სიზმრებში მაცხოვრე.

შენს ფიქრებში დამაძინე,
ჩემს ფიქრებთან გაყრილი,
მიწა როგორ დამამძიმებს
შენი ხელით დაყრილი.

ამ სიკეთეს თუკი მიზამ,
იმ ქვეყნადაც გეყმები.
დამატკეპნე გულზე მიწა
შენი კოხტა ფეხებით.

## ნატვრა

აღარ ვინდომო რამე სხვა:
ოქრო, ვერცხლი და დიდება.
მე შენი თითისტარი მქნა,
გამცვითოს შენმა თითებმა.

ეკალი ვიყო ქაცვია,
ჩემს ვარდს ხელს ვერვინ გკიდებდეს.
ან ყურთბალიშად მაქცია,
და თვქვეშ ამომიდებდე.

ანდა მქნა ფერ-უმარილი,
ბროლის ღაწვებზე წამისვა,
ან შენი ბაღის ყვავილი
მნახავდე წამიწამისად.

ბულბული ვიყო, ჩემი ხმა
მიეიდეს ოქროს გულამდე.
ანდა ისეთი ლექსი მქნა,
დამიზეპირო უმალვე.

წერილი ვიყო ისეთი
სიზმარშიაც კი მელოდე,
ანდა ისეთი სიმღერა
გულამომჯდარი მმღეროდე.

შენი ჩონგურის სიმი მქნა,
ზედ ბროლის თითებს მისვამდე,
ან შენი ფეხსაცმელი მქნა
ყოველდღე ფეხზე მიცვამდე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხილოვან ნარიმანიძე

## საბადურის ტყეს

ნეტავი კი, შენ,
　　სიარული შეგეძლოს, —
გაჰფინო შენი ჯანმაგარი,
　　ახოვანი სხეული საჰარის უდაბნოზე,
შემოგხვდე და გითხრა: — ჩვენებურო! —
შენ კი,
　　ხაბადური მოიგონო და ინატრო.
და იშრიალო ისევე ლაღად,
　　ჭაბუკობისას გაზაფხულის ცას
　　　რომ უმღეროდი,
და იბურბუშლო იმავ სინაზით,
მე რომ მინახავს ფოთოლცვენის შენი სინაზე,
და იყო ისე მაღალი და დიდსულოვანი,
რომ გააკვირვო შემხვედრი ყველა.
ნეტა შენ,
　　სიარული შეგეძლოს!..

* * *

მე მიყვარს სიტყვა,
　　რომელიც წაშლის
დროს და გაჰყვება ახალ მაისებს,
შენც ლექსო, ჩემო,
　　რად გინდა ტაში,
შენ უფრო დიდი ხარ სიხალისე...
მოივლი მთა-ბარს
　　მშობლიურ სახლებს,
შეხვდები ათას ახალ სახელებს,
ან გზას ამირევ, ან დამასახლებ,
ან დამაქცევ და ან მასახელებ.

მიწავ, რამდენი უნდა გეფიცო, —
დასჭრეს, დადაღეს, შენი სხეული,
შენ, როგორც მშობელს გიცქერ და მინდა,
რომ არ ჩამთვალო მე შორეულად.
მე მიხარია, როცა შენ ჰხარობ,
თუ გტკივა, შენი წუხილი მტანჯავს,
მუდამ მაღალო ჩემო მთა-ბარო,
ჩავჭიდებივარ შენს ძლიერ მაჯას.
შენს ალმაფრენას, ლაჟვარდებს წმინდას,
მქუხარ ხევების ქოთქოთს და ლხენას,
ნარნარა ნიავს წამოსულს ზღვიდან,

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენ რომ გჩვევია, იმ აღმაფრენას, —
მე მიველტვოდი მუდამ მგზნებარი,
თან წამყვა შენი ნაოცნებარი...
შენი არსებით, ფრთებით და მზერით,
შენი მხრებით და გზნებით და ძნებით,
სულ იფრთიანე, რადგანაც ყველა,
შენი დროშის ქვეშ დარაზმულია,
შუქად შვიდფერი ჩანს ცისარტყელა,
იქ, სადაც ველი, ტყე და ხნულია...
შენც ლექსო ჩემო, გააპე კიდე!
იქ, ბრძოლის ველზე გაჰყევი დრო-ჟამს,
და როგორც სხვები, მეც შემიწირე,
დროშავ, მამულის მაღალო დროშავ!

## ეჰ სოფელო..

ჩემს აივნიდან ლურჯ ბურუსში მოჩანს სოფელი,
ეს წუთიერი ნავსადგური, კაცთ-სამყოფელი.
სოფელი გზებით, ბილიკებით, წყლებით, ვარდებით,
უსიერი ტყით, ეკალ-ბარდით, უსურვაზებით,
ბუხრების ცამდე ამართული საკვამურებით,
შარით და შფოთვით, საწუთროზე საყვედურებით,
ვიწრო დუქნებით, ზოგან ჭრელი ბაღჩა-ბაღებით,
ძველი ამბებით, ციხეებით ნაპარტახლებით.
მოჩანს სოფელი ათასფერი ხოდაბუნებით,
წარსულზე სევდის მარადისი დასადგურებით.
ვინ როგორ ცხოვრობს,
  ვინ რა კუთხით განიზომება,
ყოველთვის როდი არღვევს ამ ბინდს
  კაცის გონება.
რამდენი რამე სატკივარად გულს დაგრჩენია,
და ვერ კი გითქვამს,
— რადგან მსმენი?
— აღარც მსმენია!
ესე სოფელი და საწუთრო ბინდში ბინდდება,
ზოგჯერ კი კაცი, ვით ცაზე მზე ამობრწყინდება,
მაგრამ ნათელი, ვით ქროლვანი ქარისა ქრება,
სოფელო, ეჰა, არ გშვენის ეს გადაბინდება!...
და მიმოდიან,
  ვით ცის თაღზე თეთრი ნისლები,
შეუღწეველი სოფლის ფიქრზე კაცის ფიქრები.
საკვირველი ხარ,
  გრძელი გზების უარმყოფელო,
ნისლის ბურუსში გახვეულო, ესე სოფელო!..

## მთვარის სონატა

კოჯრის ციხესთან ლეკის ბიჭივით,
  ღამის სიბნელემ გადაიარა...
ბჰა იხილეთ,
რა სიყვარულით ელოდება მთვარის
  ამოსვლას
მთის ვიწრო ყურე, —
ნავსადგური წამ-წუთიერი...
— ამოდი, ამოდი!
დიდებულო და მოუწყინარო,
  მუდამ ახალო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუდამ მაღალო!..
მიმოიხედე და მიმოიბრწყინე!..
გაშლილი ზეცა ოკეანეა,
მხნედ გადასცურე ეს ოკეანე!
ის არცა ღელავს,
არცა ბობოქრობს: —
ჩემი ბავშვობის ტკბილო სიზმარო, —
გრძელი მგზავრობა მოგელის შენ,
გზა მშვიდობის შენ!
სანამ ხელახლა გიხილავდეთ,
ათასები მოდიან და მიდიან ქვეყნად,
ბრძოლის ველია ეს სამყარო, —
დიდ მსხვერპლს მოითხოვს იგი კაცთაგან.
შენ კი,
უცვლელი რჩები ნიადაგ! —
ნათლით აავსე ეს მიდამო,
შორს სივრცეებში
შენ რომ გიყურებ ასე მგონია,
თითქოს მოვსულვარ სამარადისოდ!...

* * *

ის იდგა შორი
ნაზი და მორცხვი,
მე ვგავდი ზამთრის შერჩენილ ფოთოლს,
სად იყავ ბავშვო, მოხვედი — როდის,
ამ ულრან ტყეში მომძებნე როგორ.
მინებებული ბედს და განგებას,
დამძიმებული დღით და იჭვებით,
ვით ღია ზღვაში ნაზი არსება,
ვეღარ ებრძოდნენ ტალღებს ნიჩბები.
ნაზი ჩურჩულით ამბობდი — არას,
იმ არას, ბაგე ამბობდა მხოლოდ,
გული კი თითქოს კარგავდა ძალას,
და უნუგეშოდ ვრჩებოდი ბოლოს...
მერე საღამო ჩადგა ჩვენს შორის,
გაფრინდი როგორც ბოლო მერცხალი —
შემოდგომისას, სამხრეთის ქვეყნებს
რომ მიაშურებს, ხმა უეცარი,
მიწყდა და გული დამძიმდა უცებ,
და როგორც ლოდი დამაწვა გულზე,
სევდა და დამრჩა ჩემი მტანჯველი,
რად მომაკუთვნე მძიმე სასჯელი.
და ახლა უნდა ველოდო ზამთარს,
როგორც მთებიდან მოვარდნილ აფთარს.
რა ძალა მბოჭავს, რა ძალა მიტევს,
შენა ხარ იგი, ისევ და ისევ!..

* * *

ზარების რეკვას ვისმენ შორეულს...
მიმოვიხედე,
რომ გიხილო მშვენიერებავ,
რომ ძალა ვიგრძნო სხეულში ისევ,
და მთების იქით გამიტაცო,
ზღაპრულ მხარეში!
მთვინახულებ გაზაფხულო,
რომ ყველაფერი ჩემს კუთვნილად წარმოვიდგინო,
მიწა, ტყე-ველი, მთა თუ ბარი,
მერცხლების ლაღი ჟღურტული ცაში,
მდინარეების აღმაფრენა, ზვირთთა ღიღლივი,
რაც შენ მაჩუქე, ის ყველაფერი!...
აღემატება ყოველივეს ჯილდო ბუნების, —
ხიცოცხლე ერთხელ რომ მთგვენიჭა!
ჩემო კეთილო მეგობარო,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შენი ხმა ვიცან,
ნუთუ კვლავ მიხმობ იმ ბილიკებით, —
დიდბუნოვანმა ჩემმა ზაფხულმა,
მშვიდად და უხმოდ რომ ჩაიარა?!
მე გავაცილე ყველანი შორეთს —
ვისაც მჯეროდა და ვინც მიყვარდა...
ცრემლიანი და სევდიანი,
გამოვეთხოვე სუყველას თითქმის...
სიმღერაც აღარ მსმენია მერე,
      ტკბილი სიმღერა!
ახლა კვლავ ვხედავ, —
მოადგაფუნებს გაზაფხული ოლეებს, ჭყანტებს, —
      ყვავილობს ბაღი ათას ფერებით.
მწერებიც ირგვლივ მიმოფრენენ
და სიხარულით გუგუნებს ჭალა.
ო, რა კარგია ეს ყველაფერი!
გამომშიურდი ბედნიერებავ,
ყველას სახეზე დამენახვე
      ყველა მონახე!
ახე შორიდან,
      ვისი ხმა მესმის,
რომ გამაღვიძოს, გამაფხიზლოს,
      დამიბრუნოს, რაც დრომ წამართვა, —
თან გამაყოლოს,
ტალღებს, რომელნიც უდარდელად მიიჩქარიან!..
მე ვემზადები
და ვიკაზმები შესახვედრად ახალ დღეების, —
ისევ შევხარი ჩქერთა ვარდნას ქარაფებიდან...
გადავიღელავ გულმკერდს ბავშვივით,
      ლაღად მივუშვერ მოვარდნილ ნიავს:
მივესალმები მოგზაურებს ისე მხურვალედ,
დიდი ხნის შემდეგ განშორებულნი,
ძმები ხელახლა როგორც ხვდებიან...
აღარ დამტოვო ტკბილო სიზმარო, —
ბინდიც დაეშვას, — არ მეშინია,
სუყველა ერთად ამ ბინდში ვივლით.
ხომ ვიგრძენ იგი,
      ხომ ვნახე იგი, —
მე რომ ველოდი მოლოდინით,
      ხან არც ველოდი...
ვარდ-ყვავილებით, გაბმულ წვიმებით,
მოვიდა იგი,
      მომიტანა ძღვენი მრავალი.
შენ დამიბრუნე ის ყველაფერი,
რაც დრომ წამართვა,
      გაზაფხულო!...

ანატოლი ჟაჟიევი

# ჩიფა და ძიბილი

(ციკლიდან „მზე და მთები“)

ოთხი სოფელი — კობეთი, ხუდოსანი, კასართა და ახსარჯინი — ერთი კოლმეურნეობაა. გამგეობა ჩვენს სოფელშია.

ერთი სოფლიდან მეორემდე ორიოდე კილომეტრი თუ იქნება. თავდაპირველად ხეობაში კოლმეურნეობა რომ დაარსდა, მას შემდეგ თავმჯდომარეებს, თითო-ოროლა გამონაკლისს გარდა, ყველას კობეთიდან ირჩევენ.

იცის კობეთმა!.. კობეთს ჭკუას ვერავინ ასწავლის! მაგრამ ერთი შეცდომა მაინც მოუვიდათ — საშუალო სკოლის ახსარჯინში აშენება როგორ დათმეს, თვითონაც უკვირთ...

...იმ დღეს ჩიფა და მისი ახსარჯინელი მეგობარი ძიბილი გამგეობის წინ, მზით გაფიცხებულ ქვებზე ისხდნენ და კამათობდნენ.

— სკოლა აქ, კობეთში უნდა აშენებულიყო, — თქვა ჩიფამ.

— ვითომ აქ რათაო და ახსარჯინში რატომ არაო? — იკითხა ძიბილმა.

— ახლა შენ ჭკუა მოგეკითხება?

— შენ იყავ, ბატონო, ჭკუის კოლოფო! — წამოხტა ძიბილი.

— დაჯე, ძიბილ, დაჯე... ჩიფას უგდე ყური, ჩიფა კლდიდან არ გადაგაგდებს, ჭკუას დაგარიგებს.

ძიბილი ჯერ დაჯდა, მაგრამ ისევ ფიცხლად წამოხტა.

— ჩიფა! — უყვირა მან, — ბოლოსდაბოლოს შენზე უმცროსი კი ვარ, მაგრამ შენი ბავშვი როდი ვარ!

— თუ ღმერთი გწამს, რა გახტუნავებს? დაეგდე და ყური მიგდე... ზამთრის სამი გრძელი ღამით უფროსი მაინცა ვარ შენზე, თუმცა ახსარჯინელებმა როდის იცოდით უფროს-უმცროსი?!

— თუ კაცი ხარ, მომეშვი! — აბუზღუნდა ძიბილი, — რის თქმაც გინდა, ადამიანურად მითხარი და მორჩი. არა მცალია, სახლს უნდა მივხედო, დროა...

— მე იმას გეუბნები, რომ სკოლა კობეთში უნდა ყოფილიყო. ახსარჯინისათვის აფსუსია... ხედავ, ბოლო წლებში როგორი გახდა კარტოფილი? დაწვრილდა... — თქვა ჩიფამ და გაიბუთა.

— აი, ესეც საოცრება, თუ გინდა! რადა ხართ ეგეთები, კობეთელებო, რადა?! საკუთარი თავის მეტი რატომ არავინ გიყვართ?! — იქნევს გრძელ ხელს წამოჭარხლებული ძიბილი. — ახსარჯინში ხალხი არ ცხოვრობს თუ?! ახსარჯინი სოფელი არ არის?! — და ისევ ფეხზე წამოხტა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დაჯე, ძიბილ, თუ ღმერთი გწამს; თუ ფეხზე არ ადექი, ისე თავი არ მუშაობს, თუ რაშია საქმე?

ძიბილი დაჯდა. ერთ წუთს ორივე გაყუჩდა. მერე ჩიფამ თამბაქო გაუწოდა:

— მოსწიე, ძიბილ, მოსწიე... დაწყნარდი და მისმინე. ახსარჯინიც სოფელია, სოფელი, ჩემო მზეო... მაგრამ გამოტყდი, კობეთი უფრო განვითარებულია...

— საკვირველია! რითი? თქვენმა ქათმებმა ოქროს კვერცხის დება დაიწყეს, თუ კოსმონავტი ხართ რომელიმე?!

— ჩვენს ქათმებს მოეშვი, ძიბილ... შენც კარგად იცი, ერბოკვერცხის საჭმელად თქვენთან არ მოვდივარ... ზევით კი, — ჩიფამ ხელი ცისკენ აიშვირა, — უბირ ხალხს არ გზავნიან... და მშვიდად იყავით, ახსარჯინელებო, შიში ნუ გაქვთ, თქვენებურს არავის გაგზავნიან...

ძიბილი წამოხტა.

— ხუცას ბიჭო, რის თქმასაც აპირებ, მითხარი და მორჩი! თუ შენ ესენი შეგარჩინო, ხმალიც გადაგტყდომია ჩემს კისერზე!

— მითხარი, ძიბილ, — განაგრძობდა ჩიფა, — ჩვენი კოლმეურნეობის ბეჭედზე რა არის ამოკვეთილი? კობეთის კოლმეურნეობაო — ასე არაა?..

— ვიცი, მერე რაო?

— მისმინე, ძიბილ, მისმინე... და მიხვდები... თუ კოლმეურნეობა ჩვენი სოფლის სახელობისაა, რაღაზე იტკივებ თავს და მეც რაღად მატკივებ?

— თავი დამანებე, თუ კაცი ხარ! შენ თვითონ ატყდი და ბურდღუნებ!..

— მალე, ძიბილ, ჩვენს სოფელში ერთი ოჯახიც აღარ იქნება ისეთი, მისი წევრი თავმჯდომარედ ნამყოფი არ ყოფილიყო...

საწყალ ძიბილს ბრაზისაგან კრიჭა შეეკრა. მეთევზესავით ერთ წერტილს მიშტერებოდა და ატირებას ბევრი აღარ უკლდა.

— ჩვენ რჩეული ხალხი ვართ, — განაგრძობდა ჩიფა, — რომ[illegible]ნდა თქვი. თუნდაც კინტული ავილოთ...

— კაი ერთი, სად ისახელა თავი მაგ პირმოღრეცილმა, — დაჰკივლა ძიბილმა, — ტუჩი ყურზე რომ აქვს დაკიდებული, იმიტომ მეტრაბახები?! კობეთელებო, რის ღირსიც ხართ, იმით მოგაქვთ თავი!

— ეჰ, ძიბილ, ძიბილ, — ამოიოხრა ჩიფამ, — ეგრე თავმსუბუქი თუ იყავი, რატომ არ ვიცოდი!?.. როგორ არ ისახელა თავი?! ქვაისაში და ცხინვალშიც კი იცნობენ. ისეთი კვირა არ გამოერევა, კინტულმა კოლმეურნეობის კარტოფილის ან ცერცვის ნათესში ორი-სამი ღორი არ გააგოროს. შენ როგორ გგონია: არ იცი, რომ ყოველდღე წვეულებაა კობეთში, მოდი, თითო მწვადი შევჭამოთო: მოგვწყინდა ამდენი მწვადის ჭამა. მიხვდი ახლა, ვინ არის კინტული?.. მართალია, ჩემი კერატიც დაახურდავა, მაგრამ არა უშავს, მაინც კარგი ფასი ავაღებინე ქვაისაში... შენ მართალი ხარ, პირმოღრეცილი კია, მაგრამ, რა მიზანში სროლა იცის, იმ შეჩვენებულმა!? ისეთი უბედურია, ერთი ტყვიით გააგორა თავმჯდომარის ღორი. ცხრა ფუთს არაფერი დააკლდებოდა. ჰო და, იმას გეუბნებოდი, ჩვენ რჩეული ხალხი ვართ, ჩვენი პირმოღრეცილებიც კი განთქმულები არიან. შენ კი, ძიბილ, ვინ გიცნობს? თავს მოსაჭრელად ვდებ, თუ შენ ქასაგჯინის იქით ტურისტად არ ჩაგთვალონ...

— მომეშვი, ჩიფა! არავინ მიცნობს და არცა მჭირდება... სანამ გვარსა და სახელს არა მკითხავს, ცოლიც არ მიღებს კარებს, — ხვეწნით უთხრა ძიბილმა.

— ერთხელ, ჯერ კიდევ ახალგაზრდა და თავქარიანი რომ ვიყავი, ძიბილო, ქალსა გთხოვდით და არ მომათხოვეთ. კიდევ კარგი, არ მოხდა ეს საქმე... ჩემი მტერი იყოს ახსარჯინელების სიძე. თავიანთ მსგავსს გამხდიდნენ.. ვინ დაიწუნეთ, თქვე გლახებო? ვინა?! არაყს რომ ყლუნწავს, ისეთი სიძე არ გვინ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაო! როგორ არა! მუხლის ჩოქვით არ მოვედი სახვეწნად? ველარც ქალი მოვიყვანე დონიფარსიდან! მერე რა გოგო დაიბადა! იმას რომ თქვენი სისხლი ერიოს, ახლა სამედიცინო ინსტიტუტის მეორე კურსის სტუდენტი იქნებოდა?!

— ნაადრევად ნუ აქებ. რა ექიმიც დადგება, მაგასაც ვნახავთ! მე რომ მკურნალობს, თუ იმაზე უკეთესი არ იქნა... — ძიბილმა ძირმაგარათი დამახინჯებული ლოყა უჩვენა ჩიფას, — ორი კვირაა რაღაც წამალს მისვამს, მაგრამ მორჩენისა არა ეტყობა რა...

— რა გითხრა ექიმმა, რა გეტაკა ლოყაზეო?

— რა უნდა მითხრას, მუწუკიაო. შენ თვითონ ვერა ხედავ, რომ მუწუკია?

— მუწუკი?!

— ჰო, ბრმა ხარ თუ?. .

—არა, მართალი მითხარი, თვითონ შენ გჯერა, რომ ნამდვილად მუწუკია?

ძიბილი შეკრთა.

— ჰაუ, რაო, მუწუკი არ გინახავს?!

— აბა, ეგ მუწუკი არაა, ძიბილო...

— აბა, რა არის?

— რა და ბუასილი...

— შე სულელო, სად გინახავს სახეზე ბუასილი? — უთხრა ძიბილმა და ისევ ახარხარდა.

— ახსარჯინელების საქმეს ეშმაკი ვერ მიხვდება!

ძიბილმა უცბად შეწყვიტა სიცილი და ჩიფას მიაშტერდა.

— ეგ რა თქვი?!

— დიდი არაფერი... რა უნდა ისარგებლონ-მეთქი თქვენი სოფლის სკოლაში ჩვენმა ბავშვებმა... სკოლა ჩვენთან რომ ყოფილიყო, თქვენი ბავშვებიც მოგებაში იქნებოდნენ. გამოვიდოდა, რომ ერთს კი არა, ორ სკოლას დაამთავრებდნენ. ერთს — ნამდვილს, მეორეს — ჩვენსას, ჭკუადამჯდარი, დინჯი ადამიანების სკოლას. მოგვბაძავდნენ, ჩვენს წესსა და ადათზე გაიზრდებოდნენ, მთლად რჩეული კაცები დადგებოდნენ.

ძიბილს თვალთ დაუბნელდა, [illegible] აცახცახებული ნერწყვსლა ყლაპავდა და ხორხი აუდ-ჩაუდიოდა:

— ენით დამჯაბნა ამ ყვითელმა ეშმაკმა! — ამოიოხრა ბოლოს, მერე წამოდგა და უხმოდ გაემართა.

— დაიცა, რომ მიდიხარ, ეგრე უნდა?

— თავი დამანებეთ, კობეთელებო!— უყვირა გაფითრებულმა ძიბილმა, — ღვთის პირისაგან შეჩვენებული, უკუღმართი ხალხი ხართ! იქამდის მიმიყვანეთ, იმ ოხერ სკოლაში ლამის თავი ჩამომახრჩობინოთ?

...ძიბილს არ ჩამოუხრჩვია თავი. ნახევარი საათის შემდეგ ჩიფას ოჯახში იჯდა, ჭამდა ცახარაჯინებს და სვამდა ცხარე არაყს... დღეს თავის ოჯახს ველარ მოაკითხა. იქნებ მოეხერხებინა, მაგრამ კაი ხანს რომ გააბეს, ჩიფამ შეახსენა, რვა შვილი რომ ჰყავდა.. ძიბილმა ყველაზე უმცროსის სადღეგრძელო მერვე ყანწი რომ დასცალა, თავი მაგიდაზე ჩამოსდო და ხვრინვა ამოუშვა.

— ვაი, შენ გამჩენს რა ვუთხრა, ახსარჯინელო! თვრამეტმა ყანწმა ეგრე უნდა მოგწყვიტოს კისერი? ახლა რომ კოლექტივის კარტოფილში ჩამათრევინა, კინტული თვალის დახამხამებაში დაუმიზნებდა და მიახურდავებდა... ძიბილბეგ, — შეანჯღრია ჩიფამ, — ძიბილბეგ, ახლა რომ გკითხო, რომელი ვართ ვაჟკაცი-მეთქი, იტყვი, მე ვარო, ა?.. — ღრმა ძილში წასულმა ძიბილმა ამოიკვნესა და თავი მეორე მხარეს გადააბრუნა.

ჩიფამ ამაყად დახედა და თავისთვის მოზრდილი ყანწი გაივსო... — როდის იყო, ახსარჯინელებმა სმა იცოდნენ?— და ყანწი პირზე დაიმხო.

მთაში ცხოვრებაც და შრომაც წყნარად, მშვიდად მიმდინარეობს. დროდადრო გამოვლენ , კარტოფილის ნათესებს გათოხნიან და სოფელი კვლავ მოწყნარდება.

მე რომ ქალაქიდან კობეთში ავედი, მის წინა დღეებში კოლმეურნეობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარტოფილის ნათესების მარგვლას მორჩენილიყვნენ და ახლა ფერმის ბოსლის მშენებლების გარდა, ყველა თავის საქმეს აკეთებდა. ბოსლის მშენებელთა ბრიგადაში ჩიფაც იყო და ძიბილიც, მაგრამ ბრიგადა ისვენებდა.

ვდგევარ აქ ეზოში და ჩიფას ვუყურებ. იგი, წყალთან რომ დიდი სალესი ქვა გდია, იმაზე ცულს უწყობს პირს.

— დილამშვიდობისა, ჩიფა, — დავუძახე მე.

— ო, მახამათ, მშვიდობის დილა მოგცეს ღმერთმა, — მიპასუხა და ნაჯახის პირს ფხა ცერზე გაუსინჯა. კიდევ ორიოდეჯერ გაუსვა სალეს ქვას და მერე ჩემსკენ გამოემართა.

—ვის ელაპარაკები? — მკითხა ბებიამ და კიბეებზე ნელა ჩამოვიდა.

— მე მელაპარაკება, ხუბულონ, მე,— სიცილით უთხრა ჩიფამ, ქვის ყორეს გადმოალაჯა და ეზოში შემოვიდა, — დილამშვიდობისა, ძალუაჩემო, — მიესალმა ჩიფა და ცული ჯირკვში ხმაურით ჩაასო.

— გმადლობ, ჩიფა, მაგრამ მითხარი, რა აკივლებდა ამ დილაადრიანად შენს დიასახლისს? გული გადმომიტრიალდა, უბედურება არა იყოსრა-მეთქი.

ჩიფა დაღონდა.

— ძიბილს რად დაალევინეო. საკვირველი არ არის, ოჯახში სტუმარი შემოგივიდეს და არ დაალევინო?!

მე ღობეს მივეყუდე და ღიმილით ვიხსენებ, როგორ გადაანთხია ბრაზი ფიდარონმა ქმარს. მე ხომ ყველაფერი მოვისმინე. ჩიფას სახლი ჩვენი სახლის გვერდით დგას.

— „გაგისკდა გვერდები, სად გაგონილა ასე?! — უყვიროდა ფიდარონი.

— რა იყო ქალო, რა დაგემართა ამ დილაადრიანად?! — ოხრავდა ჩიფა.

— კიდევაც მეკითხები, შენი კუბო ვნახე, შენი! კაცი ურმით წასაღები რომ გახადე, ეგ არაფერია?!

— ნეტა შენცა, მოგცლია! თუ დალევა არ შეეძლო, ნუ დალევდა, ვინ აძალებდა. ის რა სტუმარია, თუ არა სვამს?

— ნუ, შე სასიკვდილე, ნუ სჯამ [illegible] ვიცი, საით მოგწყდე და მოგცილდე! წყევლით რომ აგვიკლო. ძიბილის ცოლმა კუბალონმა, რისთვისაო? შენ გეკითხები!

— ნეტა ერთი, მეტი საქმე არა გაქვს, წყევლა ეხლა... კუბალონიც შენსავით სულელია... ემანდ ბევრ ლაქლაქსა ერთი ყანწი არაყი დამისხი, ლამის თავი გამისკდეს. არ ვიცი, შენი ლაქლაქით ამტკივდა თუ გუშინდელმა სმამ მიყო...

— არაყი არა, შავი ქვა და ნაცარცხელი არ გინდა! — დასჭყივლა ფიდარონმა და კარის ჯახუნიც გაისმა.

ჩიფა კი ბებიას უყვება:

— დაავლო უმცროს ბიჭს ხელი და წაიყვანა, — სამშობლოში მივდივართ.

— ნუ გაუშვებდი, შე კაი კაცო, ქალის დამშვიდებას რა ბევრი უნდა, — უსაყვედურა ბებიამ.

— არ ვუშვებდი, არა, — დარდიანად თქვა ჩიფამ, — მაგრამ თუ გამომყე, თავს მოვიკლავო, დამემუქრა. სულელი არ არის?!

— არა ხარ მართალი, ჩიფა, — უთხრა ბებიამ, — დედაკაცი საბრალოა, უნდა გაუგო. ეს ოჯახის საქმეო, ეს ბავშვებიო. აბა, მე რა დაგარიგო, შვიდ ბავშვს მოვლა უნდა, მერვე გოგო ქალაქში გყავს სასწავლებლად... დედის გული ხომ იცი, ათასგან ედარდება...

— ეჰ, ძალუაჩემო, შვილებზე მამაც ფიქრობს: ჰო, მაშა! დედაკაცებს კი ჰგონიათ, რაკი მუცელი არა მტკენია, გულიც არ შემტკივა, — ნაღვლიანად ჩაიქნია ხელი ჩიფამ.

— ჩიფა, შვილად მეკუთვნი, შემოგევლე და დამიჯერე. ხვალ დილასვე წადი დონიფარსში და გადმოიყვანე ფიდარონი. გაქცევით კი გაგექცა, მაგრამ მტერს გაუხდეს ისე სანანებლად საქმე, როგორც ახლა ის ნანობდეს. დედაკაცი ავი და ბუტია თუ არ იქნა, ის რა დედაკაცია?!

ჩიფამ ისევ ხვნეშით დაიწყო:

— მეტი ჯანი არ არის. საოცარი კია ეს ცხოვრება. ქალიშვილს რომ შეიყვარებ, ვაჟკაცობას გთხოვს, დათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყურით მოთრევას რომ დაპირდე, ერთს არ გეტყვის, ნუ იზამო. სხვაზე ნაკლები არ უნდა იყო, თორემ არ გამოგყვება! კარგი და პატიოსანი! მაგრამ როგორც კი შეირთავ და შენი კარის ზღურბლის შიგნით დურთავს თავს, იმ წამსვე შეიცვლის ზნეს. მერე უკვე აღარ სჭირდება შენი ვაჟკაცობა... აღარ დალიო; ქალაქს თუ წახვალ, ერთი კაპიკიც არ დახარჯო; ასე მოიქეცი, ისე ნუ იქცევი! რა მოუვათ ხოლმე, ანგელოზებად მოვიყვანთ და მგლებად გადაიქცევიან, რაშია საქმე?! ეჰ, მამაკაცო, რა საცოდავი ხარ?!

ახლა კი დავიჯერე, ჩიფას ნამდვილად სტკიოდა გული. უხმოდ ვუყურებდი და თვალწინ წარმომიდგა, გუშინ ქმრის საძებრად წამოსული კუბალონი. ნავახშმევს, შეღამებულზე სწრაფი ნაბიჯით ამოიარა კობეთი და ჩიფას სახლს მიუახლოვდა თუ არა, დასჭყივლა:

—ფიდარონ, აი, ფიდარონ!

კარის ჭრიალი გაისმა და მთვრალი ჩიფა გამოჩნდა:

— ო, მობრძანდი, კუბალონ... რომელმა ქარმა, რომელმა წვიმამ მოგიყვანა?

— გმადლობთ, არა მცალია. ი კაცს ვეძებ... დილას გამოვიდა და დაიკარგა.

— ნუ გეშინია. კაცია, სად დაიკარგება...

— არ გინახავს? — წარბი შეკრა კუბალონმა.

— როგორ არა, აქ არის, ისვენებს...

— აი მაგისი კუბო ვნახე, მაგისი. მე მთელი დღეა ველოდები, წისქვილში საფქვავია წასაღები, ეგ კი აქ ნებივრობს.

— კაი ახლა, პატარა ხანს დავჯექით... თითო ყანწი დავლიეთ. ახლა, ე, ძინავს აგერ!

— მთვრალია, თუ?!

— კაი, კაი, რას წიწმატობ, აგრე როგორ იქნება. კაცმა ხანდახან უნდა დალიოს, აბა!..

— მაშ ისევ შენი ოინებია?!

— თუ ღმერთი გწამს, მომეშვი, კუბალონ! დღეს გამიცანი, ფუ! ძიბილზე საყვარელი ამ ხეობაში კაცი არ მყავს და თუ იმას არ დავალევინე, აბა, ვილას?

ამასობაში ფიდარონიც გამოვიდა საკუჭნაოდან.

— საღამო მშვიდობისა, კუბალონ! ეზოში რად დამდგარხარ, შემოდი სახლში, — შემოიპატიჟა ფიდარონმა.

— ვერ შემოვალ... დამანებეთ თავი..

— ძიბილს ლოგინი გავუშალე და ძინავს...

— აღარააყენა მამაზეციერმა! რას დაეთრევა კარდაკარ მუცლისამოსაყორად, მაგის სატირლად შეყრილიყოს ხევი ადრე და მალე!

— შე კაი ქალო, ჩიფას ოჯახი ძიბილისათვის რა უცხო და მოსარიდებელია! ხომ კარგად იცი, ერთი ჯამიდან ჭამენ და სვამენ.

— დამანებე თავი, ფიდარონ, თავი დამანებე! ჩიფასაც დროა, შეაგნებინო რამე! რაც ჩემ კაცს დაუძმობილდა, ძიბილისაგან ოჯახს მისხალი ხეირი აღარ უნახავს.

ახლა ფიდარონსაც ეცვალა ფერი.

— თუ ქალი ხარ, აქ საჩხუბრად ამოხვედი?! იმ შენ დოყლაპიას რა, ძალით ვეპატიჟები, თუ? რას ხტუნაობ, ნეტა ვიცოდე!

— კრინტი-მეთქი! — დაუყვირა ჩიფამ.

— კრინტი კი არა, თუ კიდევ დავინახე ჩემს სახლში, არ ვიცი რას გიზამ! ეგ-ღა მაკლია ვიღაც თავგამოლაყებულის გულისთვის ამდენი საყვედურები ავიტანო!

— კრინტი-მეთქი! — ისევ უყვირა ჩიფამ და შეტორტმანდა, — ეს ჩემი სახლია! გესმის, ჩემი სახლი! სტუმარი მამაკაცის საქმეა, სუფრის გაშლა დედაკაცისა და მე მითქვამს, კრინტი-მეთქი!

კუბალონი აილეწა :

— მაშ ძიბილი თავგამოლაყებულია, ჰა?

— თორემ ტყუილია, აი! აბა, რატომ თავგზისა არა გაეგება რა, ე ჩემი კა-

ცოც მაგასთან არა სვამდა, ნირიც არ შეუცვლია!

— ერთი ყანწი არაყი დაალევინე და იმას აყვედრი, ხომ?!

— ერთზე რამდენით მეტიც იყოს, იმდენი მუწუკი გამოგივიდეს მაგ უბედურ ენაზე. ჰო და, ახლა სულაც აღარ მეყეფება! ადი ახლა და ფეხით გამოათრიე! გიჟია, ოხერი! თუ სმა არ შეუძლია, რძე ასვი... თუმცა, ალბათ რძე კუჭს უშლის?! არაყი კიდევ თავს! როგორის ღირსიცა ხარ, ისეთს გადაეკიდე. დააბრალეს ჩიფას.

ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, რომ ოხშივარადენილი ძიბილი ლოგინიდან გადმოიღეს და კუბალონმა მარხილით წაიღო შინ.

მარხილში შებმული ხარები ნელა, ზანტად მიდიოდნენ. კუბალონი სახრეს აშხივლებდა და ხმამაღლა იწყევლებოდა:

— აი, ვინც შენ ეგრე დაგათრო, იმის ქელეხში გაგძვრეს სული! ორ დღეს გიტირებ და სამაგიეროდ ყოველდღე ტირილს მოვრჩები!

მაგრამ ძიბილს არ ესმოდა, ეძინა თივაზე და სიზმარში რაღაცაზე ეღიმებოდა...

...ჩიფა გაყუჩდა, ღრმად ამოიოხრა და ცული რომ დაარჭო, იმ ჯირკზე ჩამოჯდა. მეც გვერდით, შეშის გადანაპერზე ჩამოვჯექი.

— ნუ დარდობ, ჩიფა, — უთხრა ბებიამ, — დედაკაცის გაბუტვა დიდხანს არ გასტანს. ხვალ დილითვე აქ იქნება. მაგრამ შენ თვითონ დაასწარი და წამოიყვანე. გაუხარდება.

— სულაც არ ვდარდობ! გამებუტა! გამექცა! არ უნდა ეფიქრა, შვიდ-შვიდ ბავშვს როგორ უნდა მოვუარო, აქეთ ძროხებია მოსაწველი, ბოსელი დასახვეტი... თავბრუ დამეხვა.. კიდევ კაი, თებლონი წამეხმარა. ატირებას აღარა მიკლდა. თანაც პატარა გოგომ ისეთი თვალით შემომხედა, გეგონება მე გავეგდოს დედამისი.

ჩიფა ადგა:

— სვამე, ძალიან ბევრ [illegible], ისე სვამო. შენ იყავ მოწმე, ხუბულონ, არაყს ვსვამ?

— სვამ, ჩიფა, როგორ არა სვამ!

— მუშაობის დროს როდისმე მთვრალი გინახივარ? გეცოდინება, სახლიკაცები არა ვართ?..

— არა, გენაცვალე, არა. მერე ვინ გითხრა?

— ვინ, ვინ და ფიდარაანთ ქალბატონმა. ღმერთო შეგცოდე, თვეში ოთხჯერ თუ დავლევ, ეგ არის და ეგ! სანამ დავქორწილდებოდი, არ ვიკლებდი, ახლა? თანაც ვიტან, ზოგიერთივით ჭკუას არ მაკარგვინებს... — ჩიფა გაჩუმდა, ეზოში ბრაზიანად გაიარ-გამოიარა. — მე მგონია, ხუბულონ, — შედგა ბებიას წინ, — მე მგონია, მართალი უთქვამთ, ვინც არ გიყვარს, იმისი ჭამა ჭლახა-ჭლუხი და სიარული ფრატფრუტიო. ასეა...

ბებიამ გაიცინა:

— რას ამბობ, ბიჭო, რას? რვა შვილის მამა ხარ, რაღა დროს შენი „მიყვარს“ და „არ მიყვარს“ არის?

ჩიფამ კვლავ ამოიოხრა:

— ე, ძალუაჩემო, ღმერთი მუქთად არაფერს იძლევა. ჩემმა ქალმა ორჯერ ტყუპები რომ შემძინა, გულში უსიამოდ გამკრა, მივხვდი, საქმე მთლად კარგად ვერ იყო... ვფიქრობდი, ბედი კარგი შემხვდა, მაგრამ სანაცვლოდ რას წამართმევს-მეთქი ნეტავ? და ხედავ? ტყუილად კი არ უთქვამთ: „ისეთ ღმერთს არ ვიცნობ, უთხუთმეტმანეთოდ ვირი გაჩუქოსო“. ამაზე უბედურება რაღა იქნება, ადამიანთან ბერდებოდე და ერთმანეთისა არ გესმოდეთ?! სახლიკაციც რომ შემოგიღებს კარებს, უკვე სტუმარია. სტუმარს პატივისცემა უნდა. მერე რითი უნდა სცე პატივი, ცარიელი სიტყვებით?! რათ დაათვრეო! როგორ დავათვრე, როგორც ის სვამდა, მეც — ისე! სწორს არ ვამბობ, მახამათ? — მკითხა ჩიფამ.

— რა ვი, აბა!

— „რა ვი“ კი არა, მართალი ვარ! შენ ქალაქურ „რაეის“ მოიშვი. აქ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთაში თუ თიბვა არ შეგიძლია, მოფოცხე მაინც. სწორია?

— ჰო, სწორია.

— დღეს რას აკეთებ?

— არაფერს.

— თევზაობა არ გინდა?

— კარგად რომ არ ვიცი.

— არც მე დავბადებულვარ მეთევზედ, მაგრამ წყლის დაწყვეტას დიდი არაფერი უნდა. წამომყე, კარგი ადგილი ვიცი. დავწყვეტავთ, ბევრი თევზი იცის. მოდიხარ?

— მოვდივარ...

მივდივართ მე და ჩიფა სათევზაოდ, მაგრამ წყალგალმა სოფელი ახსარჯინი მოჩანს. ჩიფა დუმს. მეც ჩუმად მივყვები.

— მახამათ, დაქორწილებას არ აპირებ? — მკითხა ჩიფამ.

— ჯერ არა!

— ერთით კარგია, ცოლს რომ შეირთავდე, მეორე მხრივ კი ღმერთმა დაგიფაროს!

— რითი იქნება კარგი?

— რითი და ბავშვებს, სანამ არ გადაყრუვდები, მანამ უნდა მოესწრო. ბავშვი ბედნიერებაა, რომ იტყვიან, გულში ნათელი ჩაგიდგება. ჩემი ბიჭი უკვე გაქანებული მთიბავია, ჩვიდმეტი წლისაა. მე თვითონაც ჯერ საქორწილო ბიჭსა ვგევარ!

მეორე მხრივ, მახამათ, ნუ იჩქარებ. სანამ მარტოობა არ მოგწყინდეს, მანამ ახარე შენი ჭია. ქალის საქმე ასეა, შენ რომ არ ეძებო, სულ ერთია, თვითონ მოგძებნის, გამოგიჭერს, გასაქანს არ მოგვცემს და ულელქვეშ ქაფი გადაგასკდება. გაიგე?

— გავიგე, ჩიფა!

— ქალი, სანამ პირველი ბავშვი შეეძინება, ანგელოზია; წარბშეკვრით კი არა, ირიბად არ შემოგხედავს. მაგრამ მერე! მაინც რა ეშმაკები არიან. ესე იგი, თუ კი ბავშვი სახლში ბატონია, მეც იმისი დედა ვარ და კრინტიო!

მივდივართ. მზე აჭერს. მაგრამ ჩამოცხა. ჩიფამ ხალათის ღილები შეიხსნა. მე სულაც გავიხადე ხალათი და მაისურის ამარა მივდივარ.

— მახამათ, — მეკითხება ჩიფა, — როგორ ფიქრობ, ოს კაცს რად უყვარს სტუმარი? ვთქვათ მე, თუნდაც სხვას.

— იმიტომ, რომ უყვარს, — აბა სხვა რა მეთქვა?

— რა თქმა უნდა, სტუმარი ღვთისაა, მაგრამ აქ სხვა რამეცაა, ვერ გრძნობ?

მე დავფიქრდი, მაგრამ მივხვდი, ამ „სხვა რამეს“ მაინც ვერ გავიგებდი.

— არ ვიცი, — ვუთხარი მოგვიანებით.

ჩიფამ მხარზე დამკრა ხელი.

— აქ ბევრი არაფერია საფიქრალი, ბიჭო! თუ სტუმარი ხშირად არ მოგივა, საკლავს მალ-მალე ვერ დაკლავ, ვერც ხაჭაპურების ცხობას მოუხშირებ, ვერც ძიქქას* კეთებას. უსტუმროდ ყველის ქილა სწრაფად ივსება. ჰო და, როცა ქილა ყველით აივსება, ბოსელი — პირუტყვით, რა უნდა ჰქნა?

მე მხრები ავიჩეჩე, რავიცი-მეთქი...

— რა და ბაზარში უნდა გაყიდო, ჩემთვის კი, მახამათ, ვაჭრობა და ჭირი ერთია. მომკალი და ნურაფერს გამაყიდვინებ, როგორლაც მერცხვინება. წადი და დაეყუდე სასწორთან, წონე კილოობით. შენ ერთ ფასს იტყვი, გამყიდველი სხვას და ევაჭრე ახლა იმას. არა, მახამათ, ეს ვაჟკაცის საქმე არ არის. საწყალი ძიბილი, როცა გაიგებს კუბალონი ცხინვალში ან ქვაისში რაიმეს გასაყიდად გაგზავნას უპირებს, წელს აიტკივებს და ორი-სამი დღე ტახტიდან არ გადმოდის. შენ მაინც ნასწავლი კაცი ხარ, მახამათ, გეცოდინება, ოს კაცს რად ეჯავრება ვაჭრობა?

— ალბათ, სისხლში არა გვაქვს, ჩიფა. არც ჩვენი წინაპრები მისდევდნენ ვაჭრობას და არც ჩვენ დაგვიტოვეს მემკვიდრეობად.

— ჰო, ალბათ, ეგრეა. მამაკაცი ისეთ სამუშაოს უნდა ასრულებდეს, საცა ოფლს მოიდენს, თორემ... — ბოლომდე აღარ თქვა ჩიფამ სათქმელი.

---

* ძიქქა ყველის ფაფაა.

...მივდივართ. მჟავე წყაროსთან მივედით. იქვე ჩამოვსხედით.

— შარშან ფიდარონმა ორი ტომარა ყველი გამატანა ცხინვალში, გაყიდეო. ბარემ მესიკვდილებოდა წასვლა, მაგრამ ვინ დაგაყენა... ჩამოვედი ქალაქში, საკომისიო მაღაზიას ჩავაბარე და უკან გავბრუნდი. რა მალე ამოხვედი, — მკითხა ცოლმა, — გაყიდეო? გაყიდიანმეთქი, ვუთხარი. ვინ გაყიდისო? საკომისიო მაღაზიის გამყიდველები-მეთქი. იქ ჩააბარეო? უი, შენი სიკვდილი და არ გადარჩენა, იქ ხომ ბევრად იაფად იბარებენ, ვიდრე ბაზარზე ღირსო. მეორედაც გამატანა და ისევ საკომისიოში ჩავაბარე. იმის შემდეგ დამეხსნა და აღარ მგზავნის ბაზარზე. ვერ უყურებ? მაგას უნდა ორიოდე ზედმეტი მანეთისთვის ბაზარში დავეყუდო?

...ვსვამთ მჟავე, გაზიან წყალს და სიამით ვქშინავთ. კარგი წყლებია კუდაროს ხეობაში, ძალიან კარგი. ზოგს სანამ მიუახლოვდებოდე, მანამდე გესმის მათი შიშხინის ხმა. ამოდუღან მიწის გულიდან.

კარგა რომ ვიჯერეთ გული, წამოვდექით და გზა განვაგრძეთ.

— თუ თვალი მიჭრის, ეს ძიბილი უნდა იყოს, — წამკრა მუჯლუგუნი ჩიფამ. — უყურე შენ, როგორ გამოცოცხლებულა! მე კი მეგონა ამ ორ დღეს ფეხზეც ვერ წამოდგება-მეთქი.

დავეწიეთ.

— ო, ჩიფა, შენა ხარ! — თქვა და ორივეს ხელი ჩამოგვართვა.

— მე ვარ და რაო? რა გაგიკვირდა? ვითომ წუხელ შენ მაგიერ მე ვებრძოდი სულს, არა?!

— არა მიკვირს რა! ისე, შორიდან ვირი მეგონე, — გაიცინა ძიბილმა.

— არა უშავს, ძიბილ, ხდება ხოლმე, ზოგჯერ შეცდება კაცი, — ვითომც აქ არაფერიო, წყნარად გაეპასუხა ჩიფა, — შენ კი შორიდან მომეჩვენე ადამიანად, — ეშმაკურად ჩაიქირქილა ჩიფამ.

— არ ვიცი, ჩიფა, არ ვიცი, მე მგონი, ეგ ენა სხვისი ხელით შეგალებინებს საიქიოს კარს, — თავი გადააქნია ძიბილმა.

ეროვნული

— მაგაზე მოგვიანებით მოვილაპარაკოთ, უბედურო, ერთი ეს მითხარი, მოსულიერდი? როგორც გატყობ, კაცად არ ვარგებულხარ. ცოლი უფრო ვაჟკაცური გყავს. წუხელ რომ გადმოგვეჭრა, ცოტა არ იყოს, შევფიქრიანდი.

ძიბილს გაეცინა.

— გუშინ ორივე ბეჭით დამდე. დილით რომ გამეღვიძა, გავოცდი, აქ როგორ გავჩნდი-მეთქი?!

— როგორ გაჩნდი და კუბალონმა მარხილით წაგათრია.

— ვიცი. ჩემმა გოგომ მითხრა, — დაღონდა ძიბილი.

— კაი დაგემართოს, მაგრამ ახლა საით მიდიხარ? — ჰკითხა ჩიფამ.

— შენთან მოვდიოდი.

— ჩემთან? — გაუკვირდა ჩიფას და შემომხედა, — იქ რომ დაგინახოს ფიდარონმა, ნეკნებს დაგითვლის, — გაიცინა ჩიფამ და თვალი მიყო, არ გამთქვა, ცოლი რომ გამებუტა და სამშობლოში გამექცაო.

— ფიდარონის დასალეწი ნეკნები არა მაქვს. თხა დავკალი და ცოტა წავიპურმარილოთ-მეთქი.

— შენთან? — გაკვირვებით შემომხედა ჩიფამ.

— ჩემთან, აბა, ჩემ თხას სხვის სახლში ხომ არ შევჭამ!

— მერე კუბალონი?

— რა, კუბალონი?

— როგორ თუ რა. წუხანდელის მერე როგორღაც საშიშია ახლა თქვენთან მოსვლა. იქნებ გინდა ძალით ჩამაგდო კუბალონის ხელში? არა, არა, ძიბილ, თაფლად შეგერგოს შენი თხა, მე და მახამათი სათევზაოდ მივდივართ.

ძიბილმა ამოიოხრა:

— კუბალონი... შინ არ არის...

— რაო? რა თქვი?

— თუ ღმერთი გწამს, ყურები სადა გაქვს! — შეხტა ძიბილი, კუბალონი შინ არ არის! გაიგე?!

— აბა, სად არის?

ეროვნული

— სამშობლოში წავიდა, — ამოიხვნეშა ძიბილმა.

— სამშობლოში? — ყურები დაცქვიტა ჩიფამ.

— ჰო, ხუდისანში.

ჩიფამ მხიარულად შემომხედა, მეც მივხვდი, ძიბილსაც გაქცევია ცოლი.

— გოგონაც თან წაიყვანა? — ჰკითხა ძიბილს ჩიფამ.

— ჰო.

ჩიფამ სიცილით მოუტყაპუნა მეგობარს ბეჭებზე ხელი:

— ნუ გეშინია, ძიბილო, მარტო არ დარჩები. ბიჭი არ ვიყო, თუ სხვა ცოლი არ მოგიყვანო!

ძიბილი შეხტა.

— რას ბოდავ, ჩიფა?!

— მე?! არაფერს, ძიბილო, შენ თვითონ არ მითხარი, კუბალონი გამექცაო?

— კაი, თუ ძმა ხარ, მომეშვი.

— მე კი მოგეშვები, მაგრამ ღმერთი მოგეშვება თუ არა, არ ვიცი. ისე, კი ღირსი ხარ. ცოლს სადავე მაგრად უნდა დაუჭირო. შენ კი თავზე დაისვი. როგორ უნდა გაგექცეს ცოლი? დილას მეც დამიპირა ფიდარონმა აყალ-მაყალის ატეხვა, მაგრამ უცბად მოვაკეტინე. ვუთხარი, კრინტი-მეთქი! შენი ადგილი იცოდე-მეთქი! დავლევ თუ არა, შენ არ გეხება-მეთქი! პირკატა ეცა; არა, მე არაფერს ვამბობ... შენ კაცი ხარ, ოჯახის პატრონი, რას იზამ და როგორ მოიქცევი, რა ჩემი დარიგება გინდაო. გამიღიმა კიდეც და მოფერებაც მოინდომა, მაგრამ მე ვუთხარი:— ლაქუცი და პირფერობა ჭირივით მეჯავრება-მეთქი... ასეა, აბა, ძიბილო! შენ კი ცამდე აიყვანე კუბალონი და ჭიანჭველადაც ველარ გამჩნევდა. ჰო და, ხედავ, მიგატოვა!

— ჩიფა, მე შენთან ჭკუის დასარიგებლად როდი მოვსულვარ. თუ გინდა, წავიქეიფოთ, წამოდი. შენი ლაპარაკით დიდი ხანია კბილი მაქვს მოკვეთილი. მოდიხარ თუ არა? ხორცი ცეცხლზე მაქვს შემოდგმული, აქამდე კიდევაც მოიხარშებოდა.

ჩიფამ ჯერ მე შემომხედა, მერე ძიბილს და ახარხარდა:

— აი, შე ღმერთძაღლო! გუშინ რომ ურმით ასატანი გაგხადე, გინდა ახლა გადამიხადო? ვშიშობ, რაც არაყი გაქვს, არ გეყოფა ჩემს დასათრობად. მერე ხუსკალჯინელებმა როდის იყო, არაყის გამოხდა იცოდნენ?! თქვენი არაყი კაცს ბერავს, თორემ თრობით ხომ ვერ ათრობს.

— თუ გინდა, ერთ ყანწსაც ნუ დალევ. მე მინდა, დავსხდეთ და ვიმუსაიფოთ.

ჩიფა ჩაფიქრდა. უყურებდა ძიბილს და უკვირდა მისი საქციელი.

— ე, ე, ძიბილო, — თქვა ბოლოს,— რალაც ეშმაკობა გიდევს გულში, მაგრამ მაშინ მოკვდეს ჩიფა, თუ შეგიშინდეს! წამოდი!

— მერე თევზი? — ვკითხე ჩიფას.

— დამიჯერე, მახამათ, თხის ხორცი თევზზე ნაკლები როდია, — მითხრა ჩიფამ, მხარზე ხელი მომხვია და წამოყვანა.

* * *

ვსხედვართ ძიბილთან. ვსვამთ ერთი ყანწით. თუმცა მე ერთი ყანწის მერე უარი დავურტყი. ახლა ვჭამ თხის თბილ-თბილ, გემრიელ ხორცს. ჩიფა ბარკალს ხრავს. ძიბილი უყურებს და საყვედურობს:

— ჩიფა, რას დაემგვანე, რას? მუცელი კარტოფილის ტომარაზე უარესად გაგბერვია, რა ამბავია, თუ იცი?!

ჩიფა ძალლადაც არ აგდებს.

— ბევრს ნუ ყბედობ... დაასხი და დაილოცე, ლაქლაქს ეგრე გირჩევნია,— თქვა ჩიფამ და ძვლის ხვრა განაგრძო,— კაცს ფერი და ხორცი უნდა ეტყობოდეს. აბა, შენსავით ჩამოვიხმობ თავს შე მიცვალებულო?!

ძიბილმა ყანწი აავსო და ჩიფას მიაწოდა.

— არა, არა, შენ თვითონ მიირთვი!

— აბა-ბა, ჩიფა, ორემხაც არ ვესვრი შენზე წინ!

— დალიე-მეთქი. იქნებ ენა გაიქა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვო, თორემ ძალიან მოუმატე ლაპარაკს.

— კარგი, — თქვა ძიბილმა და ყანწი მაღლა ასწია. — შენ გაგიმარჯოს, ჩიფა. ღმერთმა იცის, რა დღესაც შენ მაყრი, მაგრამ მაინც იცოცხლე. დიდი ხნის სიცოცხლე მემეტება შენთვის, — და გადაჰკრა.

ახლა ჩიფას რიგია. სანამ ძიბილი ყანწს ავსებდა, ჩიფამ გაზეთის ნახევით ხელები გაიწმინდა და ყანწი გამოართვა. ადგა, ჩაახველა და დაიწყო:

— გმადლობ, ძიბილო... აბა, რა გითხრა? ღმერთმა გისმინოს. შენთვისაც გამემეტება, რომ ამ ქვეყნად ცხოვრება შეგძლებოდეს. ჰო, ჰო, იცოცხლე, ძიბილო და სანამ მე ცოცხალი ვარ, სიკვდილს ნუ დააპირებ. მართალია, დიდი ვერაფერი კაცი ხარ, მაგრამ ღმერთმა იცის, როგორ მიყვარხარ; იმდენ ხანს იცოცხლე, სანამ მე არ მოვისურვო საიქიოს წასვლა, მერე თან წაგიყვან.

— მადლობელი ვარ, — ჩაიბურტყუნა ძიბილმა, — მარა შენ მარტო წაბრძანდი, მე აქ რაღაც-რაღაც მოსაგვარებელი მექნება.

— არა, ძიბილო. იცოდე, ჩემს შემდეგ ერთ მამლის ყივილამდეც არ დაგტოვებ აქ. ამას მე — ჩიფა გეუბნები! და ეს ბიჭი რომ რამეს იტყვის, კიდეც ასრულებს.

— ნუ იყვედრები, თუ სვამ, დალიე,— ლექვა-ლექვით უთხრა ძიბილმა.

— მართალი ხარ, ძიბილო. — საიქიოს დავანებოთ თავი, ამქვეყნიურ საქმეებზე ვთქვათ.

— დალიე-მეთქი, აორთქლდა არაყი.

— ჰო და იმას გეუბნები, რომ მე შენ ძალიან მიყვარხარ. განა სხვა ხარ ჩემთვის, ჩემი ძიბილიკო ხარ.

— ჰო, ჩიფა, ჰო, მჯერა! — ამოიოხრა ძიბილმა და მე მომიბრუნდა:

— არ იცი, ამ ოხერმა როგორ დამაკარგვინა მოტოციკლეტი? — მერე ისევ ჩიფას მიუტრიალდა და ცხვირწინ მუშტი დაუქნია: — ძალიან რომ გიყვარვარ, ეგრე უნამუსოდ მექცევი?! მაშინ მომატყუე და გადამირჩი. მაგრამ არა უშავს, ვნახოთ ამის შემდეგ, — თქვა ძიბილმა და ღრმად ამოიოხრა.

— ყველაფერს თავი უნდა, ძიბილო, თავი! უნდა იცოდე, ვის ექიდები, თორემ შენ თავმოჭრილი ქათამივით კლდეებს ეხეთქებოდი და... — ძიბილი აღარ უსმენდა, და ისევ მე მომიბრუნდა:

— მახამათო, ცხენიდან რომ ჩამოვილე, დამიჯერე, ოდნავლა სუნთქავდა, კინაღამ ფეხები გაფშიკა...

ჩიფა წამოდგა, წარბი შეიკრა და ძიბილს შეუტია:

— ძიბილო, თუ ღმერთი გწამს, რაკი დაგვპატიჟე, სუფრას მიხედე, რა ცარიელი სიტყვებით ამოგვყორე. შენ კი, ბიჭო, — ახლა მე შემომხედა, — ვის უსმენ? ვის ჭორებზე დაგიცქვეტია ყურები! იცოდე, ჭკუისნატამალს ვერ მოისმენ და დროს ტყუილად კარგავ... გიჯობს ჭამო... — და თხის ქათქათა ბეჭის ძვალი მაგიდას დაუკაკუნა.

ძიბილმა მხარსზემოდან ღიმილით გადახედა, მერე მომიტრიალდა და მითხრა:

— ახლოს მოიწი, მახამათო, საოცარ ამბავს გეტყვი. მოტოციკლეტი რომ დამაკარგვინა, ისე ვიყავი ამაზე გაცეცხლებული, ისე, რომ ცხენიდან ჩამოღებისას ვარიკაზე უფრო მსუბუქი მეჩვენა.

— ოი, მთიელმა მოხუცმა ვარაიდა, ვარაიდა
ეი, ოი, მთიელმა მოხუცმა, ოი, დაა,
ვარაიდა, ვარაიდა ვაი-ვაი, ეი, კუდაროელი
საწყალი კაცი...

— დასცხო ჩიფამ სიმღერა, დასცხო მთელი ძალით და ღონით. გაწითლდა, ყელის ძარღვები დაებერა. ძიბილი მისკენ შეტრიალდა, ერთხანს უყურა, მერე თვითონაც დასჭექა:

ვაი, კუდაროელი მოხუცი კაცი თავისი
ორი თხით
შემოდგომითაო ყიზლარის ველებისკენ
მიეშურება.

იქ მოზრდილ ფარეხებს რომ დაუმზადებს,
ვაი, უი, და კუდაროელი საწყალი მოხუცი
კაცი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მღერიან ორნი, ჩიფა და ძიბილა. უფრო სწორად, ძიბილის ხმა არც ისმის მე სულ ახლოს ვუზივარ, ვუყურებ და ასე მგონია, თითქოს პირს ყასიდად აღებს. ჩიფას ბოხი ხმა აქვს, ძლიერი, ისე ძლიერი, რომ მის ტალღებში ძიბილის ხმა ფოთლის შრიალივით იკარგება.

ვაი, და ერთ საღამოს სტუმარი ესტუმრაო,
სტუმარი.
რინ მიმასპინძლებსო, ვინ მიმასპინძლებსო,
სოფელო!

ჩიფა სიმღერით adგა, თაროსთან მივიდა, ქუდი აიღო, დაიხურა, გაჩუმდა, ჩაახველა და მითხრა:

— მახამათო, წამოდი, ვინც სტუმრის პატივისცემა არ იცის, ჩვენ იქ არა გვესაქმება რა, — თქვა და კარისკენ გადადგა ნაბიჯი.

ძიბილი ჯერ გაშტერდა, მერე წამოხტა და ჩიფას წინ გადაუდგა, — ეს როგორ, რანაირად მიდიხარ?! — ჰკითხა შეშინებულმა.

— იქით გაიწი-მეთქი, — აქ შენი სამასხარაო არავინ არის. დაგვპატიჟა რაღა! ამოგვიყვანა ყელში თავისი უთავბოლო ლაქლაქით! საკუთარ სუფრას თვითონ თუ არ დასდე შნო, ისე რა ფასი აქვს?

ძიბილს პირკატა ეცა. გაფითრდა.

— მომკალი და ეგრე ვერ გაგიშვებ! დასხედით, დავლიოთ, თორემ თავს მოვკლავ, ვიცი. არა, არა, მე მოგიკვდე, თუ გაგიშვა...

ჩიფამ და ძიბილმა გაიწ-გამოიწიეს და ისევ დასხდნენ სუფრასთან.

სადღეგრძელოს გარდა ზედმეტი სიტყვა არ დასცდენია ძიბილს. ჩიფა გამხიარულდა, ჭამს, სვამს. თვალები ეშმაკურად უბრწყინავს. ხან ერთს შევხედავ, ხან მეორეს და მეცინება. ის, რაც ძიბილს ჩემთვის უნდა ეამბნა, შარშან აქეთია ვიცი... და მართლაც, თუ მოტოციკლეტის ამბავში ძიბილი წაგებული დარჩა, სამაგიეროდ ჩიფამ მაშინ რომ შიში გამოსცადა, ისეთი თავის სიცოცხლეში არ გამოუცდია.

შარშან შემოდგომის პირზე კუზალონმა ძიბილს ცხინვალში დეკეული გაატანა გასაყიდად. არ მიდიოდა ძიბილი, რა არ მოიმიზეზა, მაგრამ ჩიფას თქმისა არ იყოს, საღლაა ჩვენს დროში დედაკაცის მომრევი კაცი. ბევრი ლაი-ლაის შემდეგ მაინც მოაბა თოკი ყელზე დეკეულს ძიბილმა და ბაზრისკენ გაუყენა.

..უცბად გაყიდა ძიბილმა სიმსუქნისაგან კვერცხივით ჩამრგვალებული დეკეული. ერთმა ვაჭარმა შორიდანვე დაუწყო თვალ-თვალი, მთელი ნახევარი საათი შორიახლო უტრიალა.

ძიბილი წყნარად იდგა თავისთვის და თამბაქოს აბოლებდა. ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს სულაც არ ედარდებოდა, გაიყიდებოდა თუ არა მისი დეკეული. ღიპიანი, შავულვაშა ვაჭარი მივიდა, დეკეულს გარს შემოუარა, მერე ულვაშები შეათამაშა და ქვემოდან ზევით ახედა ძიბილს. ზედ ეტყობოდა, ვაჭრობაში გამოცდილი ვინმე იყო. ძიბილი კი იდგა და თითქოს ვერც ამჩნევდა, თამბაქოს წევას განაგრძობდა. ულვაშიანი საბაზრო ბრძოლისათვის მოემზ. და. გაყუჩდა და ელოდა ეს გრძელ-გრძელი კაცი ბოლის ნაცვლად პირიდან სიტყვას როდის ამოუშვებდა. ვაჭრობის საქმეში მთავარია, პირველად გამყიდველმა ამოიღოს ხმა. პირველს მართლაც ძიბილს გაუწყდა მოთმინება.

— ყიდულობ? — მოკლედ ჩაიბუზლუნა მან.

ღიპიანი შეხტა და თითქოს ძიბილი მისი დიდი ხნის ნაცნობი ყოფილიყოს, ისე გაუცინა:

— შენზეა დამოკიდებული, — გაიკრიჭა და დეკეულს შუბლზე ხელი დაუსვა, — რას აფასებ, მამასისხლად ვერ ვიყიდი, რა თქმა უნდა. მაგრამ ასეთ საშუალო და მჭლე საქონელს რაც ეკუთვნის, იმას ჩაგითვლი.

— მსუქანსა და მჭლეს რომ ვერ არჩევ, აქ ამის გარჩევის დრო არა მაქვს, — მოუჭრა ძიბილმა, — ბაზარია, მაგრამ სავაჭროდ არა ვარ ჩამოსული. რას იძლევი, თქვი და წაიყვანე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მყიდველი შეცბა, ულაპარაკოდ, შევაჭრების გარეშე ყიდვა არ მოსწონდა. უგემურია საქმე, რომელზეც სიტყვა არ დაიხარჯება და თითქოს ძიბილი მისი მოსისხლე ყოფილიყოს, ულვაშას ბრაზი შემოენთო გულზე, თვალები სისხლით აევსო და ისეთი ფასი დაადო დეკეულს, რაც ღირდა იმაზე სულ ცოტა ასი მანეთით ნაკლები — ორმოცი მანეთი.

— კარგი, კარგი, — დაეთანხმა ძიბილი და ხელში ჩასჩარა დეკეულის თოკი.

კაცმა ფული რომ მიუთვალა, ძიბილმა თავისუფლად ამოისუნთქა და მისთვის საძულველი ბაზრიდან უკანმოუხედავად მოუსვა ქალაქისაკენ.

იმ დღით სამხრობამდე ტყუილად ელოდა კუბალონი ქმარს. პირუტყვი ცხინვალში უცბად იყიდება და ძიბილი, მისი ანგარიშით, მალე უნდა ამოსულიყო. მაგრამ იგი ვახშმობისას არ ჩანდა. შეშფოთდა კუბალონი, ადგილს ველარ პოულობდა, ძიბილი ცხინვალში არასოდეს რჩებოდა ღამის გასათევად.

— იქნებ იმ ღვთის პირიდან გადავარდნილ ჩიფას შეხვდა სადმე, — ფიქრობდა კუბალონი. ის დალეული, ის კრუხის პალო, ის არის ჩემი ოჯახის დამაქცევარი. ერთად რომ შეიყრებიან, ჩემი კაცი ჭკუაზე ველარ მოდის. კუბალონი კობეთისკენ გაეშურა.

ჩიფა შინ აღმოჩნდა. კუბალონმა არაფერი ჰკითხა. ცოტახანს წაიმუსაიფა ჩიფას ცოლთან და მერე ისევ შინ გამობრუნდა დაფიქრებულ-დანაღვლიანებული. ჩიფა რომ შინ დახვდა, ამან ცოტა დაამშვიდა...

ძიბილი ახსარჯინში შუაღამე რომ გადავიდა, მაშინ გამოჩნდა მოტოციკლეტის რახრახით. სოფელს უკვე ეძინა. ძაღლებიც კიბეებს ქვეშ კაი ხანია სიზმრად ხორციან ძვლებს ხრავდნენ. მაგრამ ამ უცნაურ ხმაზე წამოცვივდნენ, ბეწვი აეშალათ. უცბად აივსო ახსარჯინი გაავებული ყეფით. მთელი სოფლის ძაღლები ძიბილის სახლისკენ მორბოდნენ.

...ძიბილმა მოტოციკლეტი თავის სახლთან გააჩერა, ეზოს კარი გააღო და მიგნით შეაგორა. კუბალონი გაშტერებული იდგა შუა ეზოში და ხან ძიბილს უყურებდა, ხან — მოტოციკლეტს. ძიბილი კი ქალს თითქოს ვერ ხედავდა; ვითომც აქ არაფერიო, მოტოციკლეტის საჯდომს რამდენჯერმე დაუტყაპუნა ხელი, წელში გაიმართა და თქვა:

— აბა, რას დაყუდებულხარ, ლამის შიმშილით სული გამძვრეს, შენ კი პირდაღებული შემომცქერი. მარდად, მარდად კუბალონ, ვივახშმოთ და დავიძინოთ. ულმერთოდ დავიღალე.

ცოლის გარდა ამ წუთში ძიბილს, სულ ცოტა, ერთი ორმოცი ძაღლი მაინც შესცქეროდა. იცნეს, ეს ხომ ჩვენი ძიბილიაო და დაწყნარდნენ.

— ეგ რაღაა? — ჰკითხა მოგვიანებით კუბალონმა მოტოციკლეტზე.

— რა არის და მოტოციკლეტია, დეკეულის ფასით ვიყიდე. მართალია, ნახმარია, მაგრამ ჯერ არა უჭირს.

შეხტა და შეპროწიალდა კუბალონი, მოხსნა პირი და სულ ცეცხლი გადააყარა ქმარს:

— გიჟო, უტვინო! რისთვის დაგვჭირდა რაღაც მოტოციკლეტია, თუ ჭირი და სიკვდილი შენს თავს! შე ფულის მტერო, ოჯახის დამაქცეველო! ახლავე ჩამითვალე დეკეულის ფული, გაიგე, თუ არა?! სულაც არ მეკითხება შენი მოტოციკლეტი. უყურე ერთი ამას, ვირიც არ უნახავთ თვალით შენს წინაპრებს, ახლა მოტოციკლეტი მომინდომა ოჯახის მარჩენალმა! მეტი აღარაფერი გვაკლდა, შენმა თავის გახეთქვამ, აი! ან სად უნდა ატარო, შე ტვინგაწყალებულო? ამ კლდე-ღრეში კისერი გინდა მოიტეხო, არა?! ჩამოიქცა ის ღმერთი, შენ რომ ჩაგიგდო ჩემი თავი ხელში, რაც მე შენგან დარდის მეტი არაფერი მახსოვდეს. შემჭამე, შენ გაგისკდა გვერდები, ჩემი ცოდვით, შენა, გამათავე და ეგ არის!..

ძიბილმა ცოლი პასუხის კი არა, მოსმენის ღირსადაც არ გახადა. სახლში შევიდა, ცივი ხაჭაპურით ივახშმა და ტახტზე მიწვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

...ძიბილი ბაზრიდან ავტოსადგურისაკენ მიიჩქაროდა. იმედი ჰქონდა, რომ ქვაისისაკენ მიმავალ ავტობუსს მიუსწრებდა. ნაკრეფაში ჩამოვიდოდა ავტობუსიდან, იქიდან კი ახსარჯინი სულ ახლოსაა — ფეხით ავიდოდა. ავტოსადგურთან ახლოს, ერთი სახლის წინ, მოტოციკლეტი დაინახა, ძველი, ომისდროინდელი ეტლიანი მოტოციკლეტი. ძიბილმა ნაბიჯი შეანელა და შორიახლოს გაჩერდა, მოაგონდა დიდი ხნის წინანდელი დღეები. მაშინ, ცხრაას ორმოცდასამი წელს ძიბილი ფეხში დაიჭრა და ფრონტისპირა ქალაქის ჰოსპიტალში მოათავსეს. სამიოდე კვირის შემდეგ უჯოხოდ შეძლო გავლა. ჩამოდიოდა ჰოსპიტალის ეზოში, დაჯდებოდა სკამზე და მზეს ეფიცხებოდა. ძიბილს ჰოსპიტალში ძიბილს კი არა, დავითს ეძახდნენ, როგორც დაბადების მოწმობაში ეწერა. თანაც წაუმატეს „ბალშოი", რადგან ძიბილზე დიდი ტანისა მთელ ჰოსპიტალში კაცი არ იყო. რა სასაცილო ამბავს არ მოუგონებდნენ ხოლმე, პალატიდან პალატაში გადადიოდა მისი სახელი. ძიბილი როდი ბრაზობდა, პირიქით, თვითონაც მათთან ერთად გულიანად ხარხარებდა.

სამედიცინო სამსახურის უფროსი ლეიტენანტი გენადი იაროშევსკი იყო ძიბილის მკურნალი. ხუთიოდე კვირის შემდეგ ეზოში სიარულის ნება დართეს.

— ყოჩაღ, დავით, ყოჩაღ, უკვე მოგირჩა ფეხი ,— ეუბნებოდა ექიმი, — ერთი ორი კვირაც და ერთმანეთს დავემშვიდობებით. ომის დამთავრების შემდეგ გესტუმრები ოსეთში, არ მპატიჟებ?

— მობრძანდით, შენი ჭირიმე, — იცინოდა ძიბილი ,— სტუმარი ღვთისაა.

ერთ დღეს, სადილობის შემდეგ, ძიბილი ისევ ეზოში იჯდა ამოჩემებულ სკამზე. გენადიც გვერდზე მოუჯდა და ხუმრობით უთხრა:

— დავით, ბუნებამ შენდა ბედად მოგცა ორი მეტრი სიგრძის ტანი. იღბალი გქონია, თორემ ცოტა [illegible] ყოფილიყავი, ტყვია შიგ მუცელში მოგხვდებოდა... ეს კი, ჩემო მეგობარო, სხვანაირი ჭრილობა იქნებოდა, შენსაზე ბევრად რთული და საშიში...

რა იცოდა უფროსმა ლეიტენანტმა იაროშევსკიმ, როგორი ტკივილი მიაყენა ძიბილს ამ სიტყვებით. თვალთ დაუბნელდა ძიბილს, ცრემლით აევსო, ისეთი დარდი შემოენთო გულზე, როგორ ადგა და წავიდა, თვითონაც ვერ მიხვდა. გენადი წამოხტა და წამოეწია:

— რა იყო, ჩემო მეგობარო, გეწყინა? — გაუკვირდა ექიმს.

ძიბილი მოუბრუნდა და თავი გაიქნია, არა, არაფერი მწყენიაო. პალატაში შევიდა და საწოლზე ჩამოჯდა. ისევ თვალწინ დაუდგა ის სისხლით დაშბალი სახვევები, მკვდარივით გაფითრებული სახე. შორიდან, ძალიან შორიდან ჩაესმოდა ყურში ვასთირჯის[1] სიმღერა.

* * *

ომში ჩიფა, ძიბილი და აზამათ გოროთი ერთ დღეს წავიდნენ. ფრონტზეც ერთ ასეულში იბრძოდნენ, ოლონდ ცალკე ოცეულებში იყვნენ — ჩიფა და ძიბილი ერთად, აზამათი — სხვა ოცეულში. ერთმანეთს ყოველდღე ნახულობდნენ — უცხო მიწაზე როგორც იცის ნათესაურმა სისხლმა. წერილებსაც ერთად წერდნენ ოჯახებს. აზამათი გოროთების სოფლიდან იყო, თუმცა ცალკე სოფლის თქმა არც იყო საჭირო — კობეთსა და გოროთებს შორის სულ ერთი კილომეტრი თუ იქნებოდა. ჭირიც ერთი ჰქონდათ და ლხინიც, წყალსაც კი ერთი წყაროდან სვამდნენ.

...ეს ამბავი უკრაინის მოზრდილ სოფელ ტაშლიკის განთავისუფლების დროს მოხდა. ჩიფა და ძიბილი ავტომატებს ტენიდნენ, აზამათის ამხანავმა რომ მოირბინა:

— ბიჭებო! — იყვირა და უცბად გა-

[1] ვასთირჯი — ოსური მითოლოგიით, მეომართა და მგზავრთა ღვთაება წმინდა გიორგი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩუმდა, — იქ, — ხელს იშვერდა საიდანაც სროლის ხმა ისმოდა, — აზამათს მუცელში მოხვდა... ცუდად არის, თქვენი ნახვა უნდა... — თქვა და უკან გავარდა.

აზამათი დაიჭრა ჩვენი ტანკის მიერ აფეთქებულ ჯავშანტრანსპორტიორთან სულ ახლოს საშინელი ბრძოლა მიმდინარეობდა. ასეულმა ალყა შემოარტყა ქვის სახლს. სახლში ჯერ ისევ ესესელთა ჯგუფი იდგა. დროდადრო ჯავშანტრანსპორტიორის ზუზუნით ხვდებოდა ტყვიები და ძალაგამოცლილები აქეთ-იქით ცვიოდა.

აზამათს გადაბრუნებული ჯავშანტრანსპორტიორი იფარავდა. მუცელი სისხლით დამბალი სახვევებით ჰქონდა შეხვეული. სანიტარი გოგონა ნელი დანილოვა ახალ-ახალ დოლბანდს ახვევდა, მაგრამ წამში წითლდებოდა სახვევი. აზამათი თვალდაჭყეტილი შეჰყურებდა ლურჯ ცას, აუტანელი ტკივილისაგან კბილებს ახრჭიალებდა.

— ცოტაც, ძვირფასო, ცოტაც მოითმინე. ახლავე შევაჩერებ სისხლს და ზურგში გაგიყვანთ, — ეუბნებოდა ნელი.

თანამებრძოლმა რატომღაც ლოყა მოუსრისა ამხანაგს და ათრთოლებული ხმით უთხრა:

— აბა, გამაგრდი, აზამათ, კაცი არა ხარ?! ჩვენ შენი ბიჭის — პეტკას ქორწილშიც მოვასწრებთ ცეკვას.. აი, შენი მეგობრები მოგიყვანე.

აზამათმა ახედა მათ, სახე თანდათან უთეთრდებოდა, მკვდრის ფერი ეპარებოდა.

— მივდივარ, ბიჭებო, მშვიდობით,— ძლივს ამოიხრიალა აზამათმა.

— ნუ სულელობ, — უთხრა ჩიფამ ნაძალადევი ღიმილით, — წასვლა რომ იყოს საჭირო, გვეცოდინებოდა.

— არა, ჩიფა, არა, ვიცი მე... მივდივარ.

— კაი, თუ კაცი ხარ, შენს მეტი ამ ომში არავინ დაჭრილა, თუ? მოგარჩენენ, — დაიხარა მისკენ ჩიფა, — მიგაკერ-მოგაკერებენ და ჩვენ ბევრჯერ მოგვიწევს ერთად მამითადში სა[illegible] სვლა.

ჩიფა ლაპარაკობდა და ლაპარაკობდა, მაგრამ აზამათი არ უსმენდა, თავი ოდნავ გაანძრია და მისმა ნათქვამმა ძიბილს ტანში გააკანკალა. ამ ტყვიების ქუხილში, სისხლისა და დენთის ოხშივარში როგორღაც მთაში გამომცხვარი ხორბლის პურის სურნელი იყნოსა, თვალწინ გაუელვა როგორ ბრუნდება საძოვრებიდან ნახირი მოსაღამოვებულზე. მის თვალწინ კი სულს ღაფავდა მისი მეზობელი, მისი მეგობარი, ვისთანაც ბევრი პური და მარილი უჭამია, ეს აზამათი იყო, ერთადერთი ბიჭის მამა, ჩვენი აზამათი! და ირწმუნა, რომ ნამდვილად მოკვდებოდა აზამათ გოროთი.

აზამათმა თქვა:

— გზას ვადგევარ, ბიჭებო, მიმღერეთ ვასთირჯის სიმღერა.

მიმღერეთო? ჰო, ასე ითხოვა მომაკვდავმა! მიმღერეთო! ირგვლივ კი ტყვიები წიოდნენ, ვიღაცა იჭრებოდა, ვიღაცა კვდებოდა. ამას ველარ გრძნობდა აზამათი და... მიმღერეთო!

ჩიფა გაშეშდა. ძიბილიც. ორივე გრძნობდა, აუცილებელი იყო ემღერათ, მაგრამ რომელი აღმოჩნდება უფრო ძლიერი, რომელი დასჭექავს პირველი!

...ამღერდა ძიბილი. ვერაფერს ხედავდა და არაფერი ესმოდა მომაკვდავი აზამათისა და საკუთარი ხმის გარდა. ჩიფამ ბანი უთხრა. მღეროდნენ:

ოი, ვასთირჯი,
მაღალ მთაზე მჯდომარევ,
გადმოვხედე და დაგვიფარე!
აგერ შენი შვილები, შენი ჩამომავლები
ომის ქარცეცხლში თავებს არ იზოგავენ,
ოი, მშვიდობის გზა მიეცი,
შენ დაიფარე სირცხვილისაგან.
ცოცხლები თუ მკვდრები —
მშვიდობის გზით ატარე,
იმარჯვოს მათმა მამაცობამ და სინდისმა.
ოი, გზამშვიდობით ატარე, გზამშვიდობითა,
გზამშვიდობითა, ოქროს ვასთირჯი!

ჯარისკაცები გაქვავებულები უსმენდნენ. ოსური არ იცოდნენ, მაგრამ მაინც

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიხვდნენ, რომ ეს სიმღერა მოთქმა არ იყო და ცრემლი არ შვენოდა... ამ სიმღერას სიკვდილმაც ვერ შეუშალა ხელი...

მღეროდნენ ძიბილი და ჩიფა, აზამათმა რომ სული დალია, მაშინაც არ გაჩერებულან. ბოლომდე იმღერეს და თავი მაღლა არ აუწევიათ მაშინაც კი, მეავტომატეებმა ტყვე ესესელები გადაბრუნებულ ჯავშანტრანსპორტიორის გვერდით რომ ჩამოატარეს.

* * *

...მეორე დღეს ძიბილი ჰოსპიტლის წინ ისევ ძველ ადგილზე იჯდა. უცბად გაისმა: ტრახ-ტრახ-ტრახ და ეზოში ნადავლი გერმანული მოტოციკლით შემოფრინდა უფროსი ლეიტენანტი ჟორა რიაზანცევი. ძიბილი რომ შენიშნა, მისკენ მიმართა. გააჩერა, გადმოვიდა და ხელი გაუწოდა:

— გინდა, დავით, მოტოციკლეტის მართვა გასწავლო? — ჰკითხა მოულოდნელად ჟორამ, — არ შეიძლება არ გამოგადგეს. რაკი ფაშისტი გარბის, უკან დადევნება დაგვჭირდება. დასადევნებლად მოტოციკლეტს არაფერი ჯობია.

ცხრა დღეში ისწავლა ძიბილმა მოტოციკლეტის მართვა. პირველ დღეებში ჟორა ეუბნებოდა:

— ნუ ღელავ და ნუ ჩქარობ, კავკასიური ცხენი როდია, ეს მექანიზმია, გესმის?

...რიაზანცევს ომის მერე ოსეთში ჩამოსვლა არ დასცალდა. ძიბილი ისევ ჰოსპიტალში იყო, ჟორა რომ წინა ხაზზე დაჭრილების გადმოსაყვანად წავიდა... უკან გამობრუნებისას სანიტარულ მანქანას ფაშისტურმა თვითმფრინავმა ბომბები დაუშინა...

...და ეს მოტოციკლეტი, სადგურთან ახლოს მდგარი სახლის წინ რომ შენიშნა, იმ მოტოციკლეტს ჰგავდა, რიაზანცევის ნადავლ მოტოციკლეტს. ამასაც ადგილ-ადგილ ასტკეცოდა საღებავი.

ქვაისის ავტობუსი წავიდა. მიუსწრებდა, მაგრამ ძიბილი იდგა და მოტოციკლეტის პატრონს ელოდა. იგი მთლად ახალგაზრდა ბიჭი აღმოჩნდა. სახლიდან სწრაფად გამოვიდა და როგორც კი მოტოციკლეტი აამუშავა, ძიბილი თავს წაადგა:

— შენა ეს მოტოციკლეტი?

— კი, ჩემია.

— არ გაყიდი?

— გავყიდი?! — დააცქერდა ბიჭი.

— ჰო, ახლავე ჩაგითვლი ფულს.

ბიჭი დაფიქრდა და თქვა:

— იმის იმედი ნუ გექნება, იაფად მოგცე. ძალიან ძველი ნუ გგონია, შესაღებია, თორემ ჯერ ისარივით მიჰქრის.

— რას აფასებ?

— ოცდაათ მანეთს, — დაურტყა ბიჭმა.

ძიბილმა უხმოდ ჩაუთვალა ფული. საღამომდე ისევ შენ გქონდეს, — უთხრა ბიჭს, — ცხრაზე მოვალ და წავიღებ, კარგი? დამელოდები?

ბიჭმა თავი დაუქნია, ძიბილი წავიდა. ბიჭი გაკვირვებით გაჰყურებდა და ფიქრობდა: „ამ ფულს სულ ცოტას დავუმატებ და ახალს ვიყიდი“.

იმ დღით ცხინვალში ორ ადამიანს ეგონა, რომ ძიბილი მოტყუვდა: იმას, ვინც მისი დეკეული იაფად დაითრია და ბიჭს, რომლისაგანაც ძველი მოტოციკლეტი ძვირად იყიდა. მაგრამ ძიბილი თავს გონებაჩლუნგად არასოდეს თვლიდა. ბაზარი ჭირივით სძულდა და რაც მალე მოშორდებოდა, ის უნდოდა. ამ მოტოციკლეტმა კი სისხლი რაღაც არაჩვეულებრივად აუჩქროლა. მაგრამ ვის და რისთვის უნდა უთხრა ის, რამაც ასე მოულოდნელად გაიღვიძა მის სულში? აბა, საიდან იცნობს ეს ბიჭი აზამათ გოროთის, რიაზანცევს, კრავცოვს, ნელი დანილოვას და ბევრ სხვებს.

ძიბილი ახლავე წაიყვანდა მოტოციკლეტს, მაგრამ ტარების ნებართვა არ ჰქონდა. აუცილებლად დააკავებდა ავტოინსპექცია. ღამე უფრო საიმედო იყო სიარული და ამიტომ იყო, შუაღამეზე რომ ამოვიდა ახსარჯინში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

ძიზილი მოტოციკლეტიდან აღარ ჩამოდიოდა. განა შორს სადმე მიდიოდა, არა! ვერ ბედავდა. რა ახლოს იყო ქვაისა და იქაც კი ვერ ჩადიოდა — უბნის რწმუნებულის, უმცროსი ლეიტენანტის სოზირისა ეშინოდა. რაკი მართვის უფლება არ ჰქონდა, სოზირი ბევრ ლაილაის როდი დაუწყებდა — ჩამოართმევდა მოტოციკლეტს.

კუზალონს ეს „ციკლეტი" ჭირივით ეჯავრებოდა, მიუხედავად იმისა, რომ საოჯახო საქმეებში იყენებდნენ. ძიზილი ხან ფქვილს ამოიტანდა კოზეთის მაღაზიიდან, ხან რძის ბიდონით მჟავე წყალს ამოარბენინებდა. კუზალონი სამშობლოში წასვლას რომ დააპირებდა, ძიზილი ეტყოდა:

— ჩაჯექი, ქალო, ამ მანქანაში და თვალის დახამხამებაში თქვენების ეზოში გაგაჩენ.

მაგრამ კუზალონი შხამიანად მოუჭრიდა:

— მე თავქარიანებისა არაფერი მმართებს. რაღაც რკინის ნაგლეჯებისთვის შვილს ობლად ვერ დავტოვებ. წადი და შენ თვითონ იმტვრიე კისერი.

ძიზილს კისერი არ მოუტეხია, მაგრამ რა დასამალია, რამდენჯერმე კი გადმოვარდა, ხანამ ამ ოღრო-ჩოღრო გზებზე გაიწაფებოდა. კაიხანი ჰქონდა მუხლის თავები და იდაყვები დამუწუკებული, ცხვირიც ზურგგადატყავებული.

— გაიგე, კაცო, შეიგნე, ომი კაი ხანია დამთავრდა! — უყვიროდა კუზალონი ცხვირგადატყავებულ ძიზილს, — ვილას ეომები, მთელი კუდაროს ხეობა რომ გააყრუე მაგ ოხრადდასარჩენი „ციკლეტის" რახრახით. ქალიშვილზე მაინც იფიქრე, უკვე გასათხოვარია, ვინ მოინდომებს, შე ეშმაკის შეცდენილო, შენთან დამოყვრებას, ვილა ითხოვს!

მაგრამ ძიზილს არაფრის გაგონება არ სურდა. ქვაისის მაღაროთსამმართველოს შოფრებიდან ვინც გინდა გამოჩენილიყო ამ მხარეში, ძიზილს რომ ბენზინი არ ეთხოვა, არ იქნებოდა. სადღაც ძიზილმა ერთი დიდი რკინის კასრი მოათრია და ბენზინით პირთამდე აავსო.

კასრი სახლში ასასვლელი კიბის ქვეშ იდგა. კუზალონი ისე ფრთხილად ადიოდა კიბეზე, თითქოს ეშინოდა გველს არ დავაბიჯოო ფეხი.

— ვიღუპებით, ვიღუპებით! — დაიწყებდა მოთქმას, — აფეთქებას ბევრი აღარა გვიკლია რა! ჩვენმა ბრძენმა მარჩენალმა სახლი ბენზინის საწყობად გადააქცია. გადავიწვებით, დედაბუდიანად გადავიწვებით, წინასწარ ვიცი. მკითხავთან უნდა წავიდე, ვინ მომიჯადოვა ოჯახი, ვინა? დაღუპვის გზას დაადექით; ასე ყოფნას თავის ჩამოხრჩობა ჯობია. მეზობლის ქალებს სუნამოს სურნელი ასდით, მე ამ ოხერი ბენზინის სუნით ავქოთდი!

ძიზილი, ვითომ არც ესმოდა, თავის საქმეს აკეთებდა. ისე მართლაც, კასრის ბენზინს ბენზინისა კი არა, რაღაც მწვავე სიმყრალის სუნი ჰქონდა. ალბათ, ათასგვარი ბენზინის ნარევი რომ იყო, იმიტომ.

კუზალონმა, ძიზილს რომ ვეღარაფერი მოუხერხა, ქრისტეს ფეხის მკვნეტელ ჩიფას დაუწყო ჩხუბი:

— შენი კუზოც მენახოს, — ეცა ჩიფას კუზალონი, — კაცმა რომ გკითხოს, ძიზილზე ძვირფასი ამ ქვეყნად არავინა გყავს და ხომ უყურებ, იღუპება კაცი, რატომ არაფერს ეტყვი?

— რაო, რა მოხდა, კუზალონო, გადამალული არაყი დაგილია ძიზილმა, თუ ახალი ცოლის მოყვანა დააპირა?

— ოჯახი მექცევა, შენ კი ხუმრობის გულზე ხარ! — კოპები შეიკრა კუზალონმა.

ჩიფა მიხვდა, აქ სახუმროდ აღარ იყო საქმე.

— კარგი, კარგი, კუზალონ, დაწყნარდი. რაც შემიძლია, ყველაფერს ვილონებ. გეფიცები ჩემს თავს, დაწყნარდი.

კუზალონმა სულ დაწვრილებით უამბო ყველაფერი.

— თუ ამ საქმეს არ გააკეთებ, — და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ემუქრა კუბალონი, — იცოდე, ჩემს ეზოში თუ დაგინახე, მე ვიცი მერე,— თითი დაუქნია და წავიდა.

დრო გადიოდა. კუბალონი ელოდა, როდის გადაარჩენდა ჩიფა მის ოჯახს ამ ხათაბალას. მაგრამ ჩანდა, ჩიფას მათი ოჯახის ამბავი სულაც არ ეფიქრებოდა. კუბალონი ბრაზით ცეცხლებს ყრიდა.

დღეგამოშვებით ჩემს ოჯახში იხეთქავდა მუცელს, ახლა კი ორი კვირაც გავიდა, სულაც არ ჩანს, გაქრა მისი სახსენებელი! ვერ უყურებთ ამ დალეულს; რაც მიწის ზევით დადის, შვიდი იმდენი მიწის ქვეშ დაძვრება.

* * *

ეს სამი დღეა ძიბილი ყელამდე იყო საქმეში. ბოსტნის ლობე შეახწორა, ადგილ-ადგილ ახალი მოწნა. ბოსლის სახურავი შეაკეთა. ამ დილით ულელს უკირკიტებს, შეშის ჩამოსაზიდად ემზადება, სალამომდე უნდა მოათავოს, ხულ ხუთიოდე გზა ექნება. თიბვა ახლოვდება. ხვალ კი მარგილების მოსაჭრელად წავა, ერთი ოთხმოცი ცალი მაინც დასჭირდება.

საქმეში გართულს თავს ჩიფა წამოადგა. საიდან გაჩნდა, ვერც კი გაიგო ძიბილმა.

— დილამშვიდობისა, ძიბილ, — მიესალმა ჩიფა, — მუშაობ?

— იცოცხლე, ჩემო ჩიფა, ვმუშაობ, ვმუშაობ, — უთხრა ძიბილმა, — რომელმა ქარმა, რომელმა წვიმამ მოგიყვანა ამ დილაადრიანად?

— მაშ, მუშაობ, ძიბილო? — ისე ჰკითხა ჩიფამ, თითქოს მისი შეკითხვა ალაც გაეგონოს.

— ვმუშაობ, შე ღმერთგამწყრალო, ვმუშაობ, აბა, უშრომლად ვინ არჩენს ჩემს ოჯახს? — წამოენთო ძიბილი, — რა გინდა, რას დამადექი თავს?!

— არ შეიძლება პატარა ხანს დაანებო თავი მაგ საქმეს?

— არა! სათქმელი რაც გაქვს, თქვი და წაბრძანდი შენს სახლში.

— დონიფარსში მინდოდა გადაგეყვანე შენი მოტოციკლეტით! მოყვრებს ვნახავთ, არაყი, ცხვრის მწვადები — ქეიფი იქნება, რად გინდა ლაპარაკი! მოეშვი მაგ ულელს. შენ კარგად მეყოლე, თორემ ამ ქვეყნად გასაკეთებელს რა გამოლევს.

ძიბილი არ ტყდებოდა:

— გითხარი არა-მეთქი და არა! — ყელამდე საქმეები მაქვს. ეგეც არ იყოს, რაო, შენი ცხენი გეცოდება, თუ? რატომ ცხენით არ მიდიხარ შენს ქეიფისმოყვარულ ცოლის ძმებთან?

ჩიფას ალარაფერი უთქვამს, ერთხანს უყურა ძიბილს, მერე შეტრიალდა და წავიდა. ძიბილი შეცბა, უკან გამოუდგა. არ ეგონა თუ როდისმე ჩიფა ვერ გაუგებდა და გაუნაწყენდებოდა. ახლა უკან რომ ალარ მოხედა, იფიქრა, ავამუშავო მოტოციკლეტი და ჩავარბენინო მოყვრებში, რა დიდი ამბავიო.

ჩაიყვანდა კიდეც. მაგრამ ჩიფა კარგა მანძილზე რომ გაშორდა, მოუბრუნდა და დაუყვირა:

— შე წერო, შენა, არ გამიმართე ხელი, ხომ?! მე, ჩიფას არ გამიმართე ხელი? ეს ბიჭი გიჩვენებს ხეირს, დამაცა! გაიგე?! მე ხარსაც წამოვაქცევ ხოლმე, არა თუ შენნაირ ჭოტს. მოიცა, მოიცა!

ძიბილი გაშტერდა, გაფითრდა, ბრაზით კინალამ გასკდა.

— დაიკარგე მანდედან, — დაუყვირა ძიბილმა, — ერთი ამას დამიხედეთ, კოკის ნატეხსა ჰგავს და ესეც მე მაშინებს.

რამდენიმე დღე ბუზღუნებდა ძიბილი: ეს დალეული ესა, მიწას არ ატყვია და მაინცდამაინც თავისი უნდა გაატენოს!

ჩიფა კი სულაც არაფერს დარდობდა. როგორც სურდა, საქმე ისე მოეწყო. ძიბილს გაბრაზება დიდხანს არ გაჰყვებოდა, ეს კუდარის ხეობაში ჩიფაზე უკეთ ვინ იცოდა! ძიბილს წინასწარ განზრახვით წაეკიდა ჩიფა, რომ კუბალონის დავალება შეესრულებინა.

ჩხუბიდან რამდენიმე დღემ გაიარა. ერთ დილით ძიბილი ხმაურმა გამოაღ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიძა. ვიღაცა მისი მოტოციკლეტის ამუშავებას ცდილობდა: არაზრასდება მოტოციკლეტი და დადუმდება. ძიბილი საცვლებისამარა გამოვარდა გარეთ და, ღმერთო დიდებულო, ამას რას ხედავს: უბნის მილიციის რწმუნებული, უფროსი ლეიტენანტი, სოზირი ამს მოტოციკლეტთან დახრილა და ფეხით ცდილობს ამუშავებას. მაგრამ ვერა და ვერ მომართა მოტოციკლეტი, ჩაახველებს მანქანა და მიჩუმდება.

ძიბილს ფერი წაუვიდა, მაგრამ მაინც მოახერხა:

— დილამშვიდობისა, სოზირო, რას ეძებ აქ ამ დილაადრიანად?

— რას ვეძებ და შენი მოტოციკლეტი უნდა წავიყვანო. გაქვს რამე შესაკითხი? — უპასუხა მილიციელმა.

— რათაო? აქაც კარგად დგას, ვის რას უშლის?

— რას უშლის და მართვა არ იცი, ჩემს უბანში კი მე უბედურების მოხდენის ნებას არავის მივცემ.

— აჰა! როგორ არ ვიცი, შე კაი კაცო, — შეხტა და შემოპრონწიალდა ძიბილი, — აბა, საკერავი მანქანა რატომ არ ვიყიდე?!

— მაჩვენე აბა, მართვის უფლება!

ძიბილს ენა ჩაუვარდა.

— მალე, აბა, როდემდე გელოდო, მაჩვენე წიგნაკი!

— ჯერ არა მაქვს, მაგრამ ცოტა მადროვე და რამეს მოვახერხებ, — ხვეწნით უთხრა ძიბილმა.

— არა მაქვსო? აბა, რაღას მალაპარაკებ? ჩემს უბანზე რაც ხალხი მყავს, ყველას თუ ამდენი ველიჭინე, როდისღა ვიმუშაო, თუ იცი? — სიტყვა მოუჭრა სოზირმა, — როდისმე რა გექნება, ეგ მე არ მეხება. ვინმე რომ დალუპო, ტყავი მე უნდა გამაძრონ, რატომ დროზე არ ჩამოართვი მოტოციკლეტი, სანამ უბედურებას მოახდენდაო. გუშინაც, შენს ბედზე, დროზე გახტა განზე ის კაცი, თორემ დღეს ციხეში მოადენდი ტყაპანს, გაიგე თუ არა?!

— რომელი კაცი? — გაუკვირდა ძიბილს, — რა ციხე, რის ციხეო, რას ამბობ, კაცო?

— რომელი კაცი და დავაანთ ჩიფა.

ამ სახელის გაგონებაზე ძიბილს თვალთ დაუბნელდა. რაღაც მიხვედრა უნდოდა, ეს ყველაფერი იმ ქრისტეს ფეხის მკვნეტელის მოწყობილი იყო. ბრაზით გაყვითლდა კაცი:

— გუშინ კი არა, სამი დღეა მოტოციკლეტისათვის ხელი არ მიხლია და რას ბოდავს ის ტიკჭორა ისა, — აყვირდა ძიბილი, — შენ თუ მილიციელი ხარ, ნორმალურ ადამიანს უნდა უსმინო! აბა, სად მიგყავს ჩემი მოტოციკლეტი! ჩიფა მემტერება.. ეს კი აქ დილაადრიანად მე დამადგა თავზე!

— მოიცა, მოიცა, რა გაღრიალებს? — გაბრაზდა სოზირი, — ჩიფა თუ განაწყენებული გყავს, ეგ მე სულაც არ მეკითხება, მაჩვენე მართვის ნებართვა, აბა, გამოიტა! — აუწია ხმას სოზირმა და ფეხით მოტოციკლეტის ამუშავებას ცდილობდა, მაგრამ არც მოტოციკლეტი აპირებდა ადგილიდან დაძვრას.

გაცეცხლებული ძიბილი შინ შევარდა და თავისი ქალიშვილის გარმონი გამოარბენინა:

— აჰა, ესეც წაიღე! — უყვიროდა სოზირს, — არც ამისთვის მაქვს ნებართვა და წაიღე! — და ხელში შეაჩეჩა.

სოზირი გაშტერდა, ბრაზით თვალები წამოენთო.

— ვის ამასხარავებ, შე ხულიგანო!— აცახცახებული ხმით უთხრა და გარმონი უკან მიუგდო. გაბრაზებით დასცხო ფეხი და ძიბილის საუბედუროდ მოტოციკლეტი მშვენივრად ათუხთუხდა. ხელში გარმონით საცვლებისამარა როგორ შემოისვა უკან სოზირმა, ძიბილმა თვითონაც ვერ გაიგო. და, ჰეი, ბიჭო, ისეთი სისწრაფით მიჰქრიან, ტყვია რად გინდა! დილის სუსხი გვერდებში გაუჯდა ძიბილს, სანამ ხიდს მიაღწევდნენ, მთლად გაიყინა. ქარივით მიჰქროდა მოტოციკლეტი და ცივი ქარი მათრახივით უტლაშუნებდა ძიბილს. ევედრებოდა ძიბილი სოზირს:

— დადექ, სოზირო, ღმერთი არა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გწამს, გააჩერე, რა! აღარ მინდა ეს ოხრადდასარჩენი მოტოციკლეტი.

მოტოციკლეტი კი მიჰქროდა და თეთრსაცვლებიანი ძიბილი თანდათან შორდებოდა ახსარჯინს. ბექობს რომ მიუახლოვდნენ, ლამის გული გაუსკდა ძიბილს. ბექობთან რომ წყაროა, იმის იქით თავის წითელ ცხენზე ამხედრებული იყო მისი ყველაზე დიდი მტერი — ჩიფა. სირცხვილით ისე მოიკუნტა, მუშტისხელა გახდა კაცი.

ასეთ ყოფაში რომ დაინახა ჩიფამ ძიბილი, გაოცებისაგან კინაღამ ცხენიდან გადმოვარდა. ძიბილი საცვლებისამარა, გარმონით ხელში — სიზმარში ეგონა თავი. მაგრამ მოტოციკლეტმა წინ რომ ჩაუქროლა, გულმა არ მოუსვენა და მიაძახა:

— რამდენი წლის ხარ, ბიჭო?

— ?!

ამის გაგონებაზე თითქოს ტყვია ესროლესო, ისე გახდა ძიბილი, რომ მომკვდარიყო, ერჩივნა. როგორღაც მოეშვა, გამოთაყვანდა და სოზირის ბეჭებს-ღა არჩევდა.

* * *

ერთი სამიოდე კილომეტრით რომ გასცილდნენ ბექობს, სოზირმა მოტოციკლეტი გააჩერა.

— გადმოდი ახლა, ძიბილო. ეს ერთხელ მიპატიებია. მხოლოდ დაიხსომე, მილიციასთან ზედმეტი ლაპარაკი არ შეიძლება.

ძიბილი სიცივისაგან კბილს კბილზე აცემინებდა და ისე უკანტურებდა თავს, კარგი, კარგი, დავიხსომებო.

— აჰა, ესეც ჩემი ხელწერილი, შენი მოტოციკლეტი რომ მიმყავს... როცა დაგიბარებთ, აუცილებლად გამოცხადდი ,— უთხრა სოზირმა და საცვლებისამარა ძიბილი შუა გზაზე მიატოვა.

სანამ მოსახვევში არ გაუჩინარდა, მანამ გასცქეროდა ძიბილი სოზირს. კარგა მანძილზე — ლამის ცხრა კილომეტრზე გამოსცილდნენ ახსარჯინს. დაადგა სახლისაკენ გზას და მიდის, გადაავიწყდა საცვლებისამარა რომ იყო. როცა გაახსენდა, შედგა, ბრაზით თვალები ცრემლით აევსო.

— ეს რა მიყო, რა! დამაცა, დამაცა, ქეციანო ძაღლო! ასე რომ ვინმემ დამინახოს, რას იტყვის? ჭკუაზე შეშლილაო ძიბილი, — სხვა რა უნდა იფიქროს. ახლა ჩიფას შემახვედრა და გინდა ცალი ხელი მომჭრან, — ბრაზით კბილები გაახრჭიალა და ბუჩქებს შეაფარა თავი.

წყლის პირებზე ბუჩქებს ეფარებოდა და ისე მიდიოდა გზის გაყოლებით. ნასადილევს ახსარჯინის ხიდს მიაღწია. კლდეს ამოეფარა, ამის იქით წასვლა აღარ შეიძლებოდა, გზა მოტიტვლებული იყო, ველარაფერს იფარებდა. აქედან სოფლამდე ერთი კილომეტრიც აღარ იყო, მაგრამ რა ექნა? თითქოს ჯინაზე, მისი სახლი შიგ შუა სოფელში იყო წამოჭიმული. სოფელი უკვე ფეხზეა, ვიღაცა მოჰკრავს თვალს საცვლებისამარას და მთელ ოსეთს მოედება მისი სირცხვილი.

„ოხ, ჩიფა, წყლის ნაცვლად შენს სისხლს დავლევ, თუ წაგაწყდი სადმე! როგორ მომჭერი თავი, შენ მიგაკვდა ძაღლი სულში?“ — ამოიოხრა ძიბილმა და ისევ ბუჩქნარში გადაინაცვლა, შეღამებამდე უნდა ვიცადო, მეტი რა გზა მაქვსო, გადაწყვიტა.

...საათზე მეტი გავიდა და ძიბილს ცხენის ფეხის ხმა მოესმა. გზისკენ ახლოს მოიწია და ხედავს: ჩიფა თავის წითელ ცხენზე ამხედრებული მოჩაქჩაქებს და თან უსტვენს. ძიბილს თითქოს ცხელი წყალი გადაასხესო.

— უსტვინე, უსტვინე, ახლა გიჩვენებ სეირს! — აკანკალდა ბრაზით ძიბილი. მიიხედ-მოიხედა და ერთი მოზრდილი ფიჩხის ტოტი დაინახა, ჯოხად რომ ივარგებდა, ისეთი. აიღო და წინ ჩაუსაფრდა ჩიფას. როგორც კი ცხენი მოუახლოვდა, წამოუხტა ძიბილი, აღვირში უტაცა ხელი. ცხენი დაფრთხა და ყალყზე შედგა. ჩიფა კინაღამ ძირს გადმოვარდა, ძლივს შეიმაგრა თავი უნაგირზე.

— ოჰ, ძიბილო, შენა ხარ? — ძლივს ამოთქვა ჩიფამ, — მე კი შენს საძებრად

ეროვნული ბიბლიოთეკა

წამოვედი, დაგინახე, ბექობს ქვევით რომ მიგატოვა სოზირმა.

— ჩამობრძანდი, თავადიშვილო, შენთან საქმე მაქვს! — უბრიალებდა თვალებს ბრაზით აცახცახებული ძიბილი.

ჩიფა მიხვდა, სახუმაროდ აღარ იყო საქმე.

— ძირს რაღაზე ჩამოვიდე, აქაც გავიგონებ.

— მაშ, არ ჩამოდიხარ?

— რომ ჩამოვიდე, ხომ ისევ უნდა შევჯდე! ასე გვიჯობს, შენ ფეხზე, მე — ცხენზე და ვიმუსაიფოთ.

ძიბილს კრინტი აღარ დაუძრავს, ცხენი ალვირით გაიწია და მხედრიანად ტყეში შეიყვანა.

— რას მიშვრები, ძიბილო? — ცხენიდან ჩამოსვლას ცდილობდა ჩიფა, მაგრამ ძიბილს უფრო ღრმად მიჰყავდა ტყისაკენ. მერე შეაჩერა.

— მაშ არ ჩამოდიხარ, ა? — კვლავ ჰკითხა ძიბილმა.

— არა, ძიბილო, როგორღაც მეზარება. ისე, რა დიდი რამეა, ერთხელ მეც დაგხედო ზემოდან!

მოიქნია ფიჩხი და გადააწნა ჩიფას. ჩიფა მოიკუნტა, მათრახი ძირს დაუვარდა.

— რას შვრები! გაგიჟდი?

— უნდა მოგკლა, ვერ ხვდები, თუ? — ეცა ძიბილი, ჩამოათრია, ძირს დააგდო.

— როგორც კი გაინძრევი, გაგიხეთქავ თავს! ვინ გაამასხარავე, შე ძაღლიშვილო!

ჩიფა დუმდა. დაბლიდან მაღლა შესცქეროდა მეგობარს და ხედავდა, — გაგიჟებას აღარა უკლდა რა. ბრაზით კისერი კიდევ უფრო დაგრძელებოდა, სახე საცვლებზე უარესად გათეთრებოდა, თვალები კი დასისხლიანებოდა. ვერაა საქმე კარგად — გაიფიქრა ჩიფამ და თვალები დახუჭა, რაც იქნება, იყოსო.

— გაიხადე შარვალი! — მოესმა ჩიფას.

— რაო? — წამოხტა კაცი, — შარვალი?

— სწრაფად-მეთქი, თორემ, — მოუქნია ჯოხი, — თავს გაგიხეთქავ...

— კაი რა, ძიბილო, ეგ რაღა კაცობაა!

— მალე, მალე-მეთქი! — უყვირა და ერთიც მოუნაცვლა.

— მერე მე რაღა ვქნა?!

— ვითომ შენ ჩემზე უკეთესი რითი ხარ?! ვერა მხედავ? არც შენ დაგემართება რამე! — ისევ მოუღერა ჯოხი.

— კარგი. ძიბილო, კარგი! მაგრამ ჩემი გალიფე შენ — მთასავით დაყუდებულ კაცს — როგორ მოგერგება? გასწი ჯოხი იქით, ჩექმებიც გავიხადო!

— გაქცევა არ იფიქრო, მაინც შევრცხვი და... მოგკლავ და თავსაც მოვიკლავ!

— კაი, თუ კაცი ხარ, მეგობრები არა ვართ? სინდისიც კაი საქონელია!

— კრინტი-მეთქი, სინდისზე როგორ იღებ ხმას? რა მიყავი ეს? მოტოციკლეტი დაეჯახა! როდის დაგაჯახე მოტოციკლეტი, შე გუდურა, შენ!

ჩიფა გაყუჩდა და უხმოდ დაიწყო ჩექმის გახდა. ერთი გაიხადა და ულაპარაკოდ მიუგდო ძიბილს. ძიბილმა იმწამსვე ტუცა შიგ ფეხი და მეორეს ელოდებოდა. მაგრამ მეორეს რაღაც დაემართა, ფეხიდან ვერ მოიცილა ჩიფამ. იწეოდა ჩიფა, მაგრამ ვერა და ვერ გაიძრო, თითქოს ფეხზე შეხორცებოდეს.

— დიდხანს გელოდო, როდის დაამთავრებ ქშენას?! — უყვირა ძიბილმა.

— ვერ ვიხდი, ხომ ხედავ! მომეშველე, — მავედრებელი თვალებით ახედა ჩიფამ.

ძიბილმა ეჭვიანად დახედა, მერე ჯოხი იღლიაში ამოიდო, წინ ჩაუცუცქდა და ჩექმაზე მოეჭიდა...

და მოხდა ის, რასაც ძიბილი არაფრით არ ელოდა: ჩიფამ მეორე ფეხი გულზე ჰკრა და გადააყირავა. როცა წამოდგა, ხედავს, გარბის ჩიფა ხეებს შორის, გზისკენ. ბარემ ესროლა ჯოხი, მაგრამ ჯოხი ხის ტოტებში გაიჩხირა...

გზაზე რომ გამოვიდა ჩიფა, სული მოითქვა. მიხვდა, გადავრჩიო. ცოტაც აირბინა და ისეთ ადგილზე შედგა, რომ

ახსარჯინიდან კარგად შესამჩნევი ყოფილიყო. შვებით ამოისუნთქა, გაიცინა და ქვაზე ჩამოჯდა.

ტყიდან თავი გამოყო ძიბილმა. რა საცოდავი შესახედი იყო! საცვლების ამარა, ლილიაში გარმონით, თვალებზე ცრემლმომდგარი შესცქეროდა ჩიფას.

— ოჰ, რა უნამუსო ხარ, ჩიფა, რა უნამუსო! — ნაღვლიანად თქვა ძიბილმა და ხეს ლოყით მიეყრდნო. ჩიფამ შიშველ ფეხზე დაიხედა, თითები აამოძრავა და ძიბილს მკვახედ უთხრა:

— ბოდიში, მაგრამ გადმომიგდე ჩემი ჩექმა! გესმის? აქამდე მოგატანინებდი, მაგრამ სოფლიდან შეგნიშნავენ, — მიახვედრა, შეტევაზე გადმოსვლა არ იფიქროო. — მალე-მეთქი, ჩექმა გადმოაგდე!

ძიბილი უყურებდა, თვალებით ჭამდა. ისრავდა, ჰკლავდა, სწვავდა, მაგრამ ჩიფა მაინც არ კვდებოდა, იჯდა ქვაზე, ილიმებოდა და ჩექმას ელოდებოდა.

— არ გინდა, ნუ გინდა! — ადგა ჩიფა, — ბიჭი არ ვიყო, თუ მთელი ახსარჯინი არ წამოვშალო! — დაემუქრა ჩიფა და სოფლისაკენ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა.

— შეხეთ, როგორ მღუპავს, შეხეთ! — გააყრანტალა ძიბილს, — აჰა, ყელზეც დაგდგომია! — დაუყვირა და ფეხი გაიქნია. ჩექმა ძიბილის გამხმარ ფეხს წასძვრა, აფრინდა ჰაერში და ჩიფას წინ მოადინა ზღართანი. ჩიფამ ჩექმა ჩაიცვა და ისევ ქვაზე დაჯდა.

— ჩიფა, გეფიცები .თუ ტანსაცმელს არ ჩამომიტან. აქვე მოვიკლავ თავს,— შეეხვეწა ძიბილი.

— ცხენი! — მოკლედ თქვა ჩიფამ.

— ჯერ ტანსაცმელი ჩამომიტანე, ცხენი მერე წაიყვანე.

— რათ? შენი გინდა გაიყვანო? — წამოდგა ჩიფა.

— ჯერ ტანსაცმელი-მეთქი, ცხენს მერე წაიყვან !— გაჯიქდა ძიბილი, — ჩიფა, შენ უსინდისო ხარ, ველარ გენდობი.

— გამოუშვი-მეთქი ცხენი!

— არა, არ გამოვუშვებ!

— როგორც ვხედავ, ხალხის დამახება არ ამცდება, დაე, ნახონ ახსარჯინელებმა რა გარმონიანი გიჟიც ჰყოლიათ.

სხვა რა ჯანი ჰქონდა, გამოუგდო ძიბილმა ცხენი.

— მაშ ასე. ტანსაცმელს ჩამოგიტან, ჰხოლოდ წინასწარ უნდა დაგაფიცო, — უთხრა ცხენზე ამხედრებულმა ჩიფამ.

— რაზე?

— რაზე და რასაც გეტყვი, ჩვენს შორის უნდა დარჩეს.

— თქვი, რა არის ეგეთი!

— არა, ძიბილო, ჯერ დაიფიცე!

— აჰა, ღმერთო, იქნება და რაზე მაფიცებ?

— მაშ იჯექი მანდ! — და ჩიფამ ცხენი კობეთისაკენ შეაბრუნა.

— კაი, კაი, — დაეთანხმა ძიბილი და დაიწყო: — რასაც მეტყვი, თუ ჩემი მიზეზით გახმაურდა, შემირცხვეს ნამუსი და ჩემი ერთადერთი გოგო დავმარხო!

ჩიფა გულდასმით უსმენდა და თანხმობის ნიშნად თავს აკანტურებდა.

— შენი ცხენი ვიყო საიქიოს, რასაც მეტყვი, თუ სადმე ვთქვა.

მოეწონა ჩიფას ძიბილის ფიცი და ცხენი ისევ ახსარჯინისკენ შემოატრიალა.

— მაშ, შენ იცი და შენმა ნამუსმა, ძიბილო, მთელი ეს ამბები შენი ცოლის — კუბალონისაგან მოდის.

— როგორ?!

— როგორ და ამას წინათ შემხვდა და შემეხვეწა, შენ, ჩიფა, ჰკვიანი კაცი ხარ და იმ სულელს უთხარი, აღარ დამანახოს ის მოტოციკლეტი თვალით, ძალიან ცუდ სიზმრებს ვხედავო. სადმე გადაიჩეხება და ერთადერთ ქალიშვილს დამიობლებსო.

ძიბილი გაშტერებული უსმენდა, ჩიფა კი განაგრძნობდა:

— კაცმა რომ თქვას, რაში დაგჭირდა მოტოციკლეტი? აი ცხენი რომ თქვა, კიდევ ჰო... დაიჯერე, ძიბილო, ჩემი ცხენი შენზე უჭკუო როდია. ზედ რომ დამეძინოს, მაინც სახლში მიმიყვანს, დალაგება ეზოში, ჩაიხვიხვინებს — გადმოდი ჩიფა, უკვე მოვედითო.

...მოუტანა ჩიფამ ტანსაცმელი ძიბილს. ცხენიდან არ ჩამოსულა, ისე მიაწოდა და კობეთისკენ შეტრიალდა.

— მოიცა, სალაპარაკო მაქვს შენთან! შიაძახა ძიბილმა, თან შარვალს იცვამდა, მაგრამ ჩიფამ უკვე გააჭენა:

— ჯერ ბული აგდის, როცა დაცხრები, მერე ვილაპარაკებთ, — მოესმა ძიბილს შორიდან...

ძიბილი გარმონით იღლიაში ნელ-ნელა ავიდა სოფელში.

— საით გაქანდი დილაადრიანად მოტოციკლეტით? — ჰკითხა კუბალონმა.

ძიბილმა უხმოდ შეხედა, მერე გარმონი თაროზე დადო.

— შენ არ გეკითხები? — დოინჯი შემოიყარა კუბალონმა.

— გავყიდე მოტოციკლეტი, გაიხარე ახლა, — ჩაიბურტყუნა ძიბილმა.

— ჰო და, კარგად მოქცეულხარ, უბედურების მეტს არას მოგვიტანდა!

— მართალს ამბობ, — ამოიხვნეშა ძიბილმა და ჩამოჯდა.

კუბალონმა გარმონს დახედა:

— გარმონი რაღაში გჭირდებოდა?

— გარმონი?

— ჰო, გარმონი!

— ეგეც უნდა გამეყიდა, მაგრამ მყიდველი არ გამოუჩნდა.

— ხომ არ გაგიჟდი, ეგ რაღამ მოგაფიქრა?

— გაგიჟებამდეც ბევრი აღარ მიკლდა! — იყვირა ძიბილმა.

— რა იყო, კაცო, რა დაგემართა, არ იტყვი? — გაოცდა კუბალონი.

— არაფერი, კუბალონო. არაფერი,— ამოიხვნეშა ძიბილმა, — წყალი მომაწოდე, ყელი გამიშრა.

კუბალონმა პირთამდე გალიპლიპებული წყლით ხის დიდი კათხა შემოუტანა. ძიბილმა გამოართვა კათხა, კიდევ შეხედა ცოლს, მაგრამ არაფერი უთქვამს. ჩიფასთან რომ დაიფიცა, იმიტომ კი არა, საერთოდ ეთაკილებოდა ქალთან ჩხუბი. თავი გადააქნია, ამოიხვნეშა და ლიტრიანი კათხა ბოლომდე გამოსცალა.

ერთი კვირის შემდეგ ძიბილი რაიონის მილიციაში გამოიძახეს. მაგრამ იგი დოყლაპია არასოდეს ყოფილა, და ერთი კვირა ტყუილად როდი მჯდარა. ჩავიდა ცხინვალში და გამოცდები ისე ბრწყინვალედ ჩააბარა, რომ ყველა გაოცა.

მართვის უფლების წიგნაკი რომ მისცეს, ძიბილმა ჩაიცინა და უთხრა:

— სულაც არაფერია გასაკვირი, კუდაროს აღმართ-დაღმართებსა და გორშახებზე სიარულის შემდეგ ამ ასფალტიან გზაზე მოტოციკლეტს გინდ ჰაერში ავაფრენ.

რაღა თქმა უნდა, ძიბილმა მოტოციკლეტი ისევ ამოათუხთუხა სახლში. ახსარჯინში რახრახით რომ შემოაგელვა კუბალონს კინაღამ დამბლა დაეცა, მაგრამ თქმით ვეღარაფერი უთხრა. მიხვდა, ჩხუბს აზრი აღარ ჰქონდა, მაინც ვერ გატეხავდა.

აი ასეთი მეგობრები არიან ჩიფა და ძიბილი; ცხოვრობენ, ისეთ ოინებს უწყობენ ერთმანეთს, რომ ბევრი დარწმუნებით ამბობს ხოლმე, ამის შემდეგ ესენი ერთმანეთს სიკვდილამდე ხმას აღარ გასცემენო. მაგრამ ნათქვამი არ გამართლებიათ. გაიხედავენ და ჩიფა და ძიბილი ისევ ერთად არიან.

* * *

დაითრო ძიბილი. ჩიფას ნირიც არ შეუცვლია. მართალია, სახეზე წამოქარხლდა, მაგრამ თავდაჭერილად ზის. ჩიფა წარა-მარა გადმომხედავს და თვალს მიკრავს: აქაო და შემოგვხედე, რომელი უფრო ვაჟკაცი ვართო.

ძიბილს ლაპარაკის სალერღელი აეშალა, აღარა და აღარ ჩერდება, ლაპარაკის დროს წამოდგება და ჩიფას გადაეხვევა.

— ჩიფა, — ეუბნება ძიბილი, — შენ წყლის მაგიერ ჩემი სისხლი გისვამს, მაგრამ მე მაინც ძალიან მიყვარხარ, — ამოასლოკინა და განაგრძო, — იმიტომ, რომ შენ ნამდვილი ვაჟკაცი ხარ. ჰო, ვაჟ-კა-ცი!

ჩიფამ ისევ შემომხედა, თვალით მანიშნებდა, წასვლის დროა, ძიბილასაგან ხეირი აღარაა, ხომ უყურებ მოთავებულიაო. ძიბილი კვლავ გადაეხვია, შუბლზე აკოცა და განაგრძო:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ხომ იცი, როგორ მიყვარხარ, ჩიფა?

— ჰაუ, როგორ არ ვიცი, — გაიცინა ჩიფამ და ეშმაკურად შემომხედა, — შენც ახლოს მყევხარ გულთან, ეგრე ადვილად ვერავინ დამაშორებს შენს თავს.

— ვიცი, ჩიფა, ვიცი, — კიდევ აკოცა მოტიტვლებულ თავზე ძიბილს, — მაგრამ შენ რომ მიყვარხარ, შენაა... ისე, აჰ, ტყუილთა...

— ჰო, შენი ჭირიმე, ჰო, გავიგე, მაგრამ სახლებში რომ გაგვიშვებდე, კია დრო. ნამეტანი დიდხანს ვსხედვართ.

— ნუ ჩქარობ, ჩიფა, — მოჭახა მხარში ძიბილმა, — მტრის ოჯახში ხომ არაა ხარ, მეგობრის ოჯახში უზიხარ სუფრას. ძალიი ხარ, ჩიფა, ძალიი, მაგრამ ჩვენი ხარ. მოდი და ნუ მეყვარეები ახლა!

ჩიფას გაბრაზება დაეტყო.

— დაჯე, ძიბილო, — მკლავში წაავლო ხელი ჩიფამ, — დაჯექი-მეთქი, გეუბნები. თითო ყანწიც გვეკუთვნის და დავვალევინე. აქ ღამის სათევად როდი მოვსულვართ მე და მახამათი.

ძიბილი დაჯდა.

— მეც მინდა, რომ დავლიოთ. მახამათო, უმცროსი ხარ და შენი საქმე იცოდე!

მე ყანწი შევავსე და ძიბილს მივაწოდე.

— აბა, ვადღეგრძელოთ, ჩიფა, ა?

— თუ კაცი ხარ, მოეშვი ბრტყელ-ბრტყელ სადღეგრძელოებს. ვასთირჯის სადღეგრძელო დავლიოთ და გვეყოფა. შენც მოისვენებ.

— არა, არა ჩიფა, — ჩააცივდა ძიბილი, — ვასთირჯის სადღეგრძელო ნუ გეჩქარება. ეს ყანწი შენი დღეგრძელობისა იყოს და ჩემი ხელით უნდა გადაგაყლურწო!

— შემეშვი, ძიბილო, მაინც ვერაფერს დამაკლებ, — გაუძალიანდა ჩიფა, — მე შენსავით სამი ყანწი როდი მათრობს, — მაგრამ ჩიფას ხელით მაინც დალია.

ისევ ამავსებინა ძიბილმა ყანწი და ისევ ჩიფას გაუწოდა:

— ესეც ჩემი დღეგრძელობისათვის უნდა დალიო.

ძიბილი ადგა და ბარბაცით მივიდა ჩიფასთან, გვერდით დაუდგა, მაგრამ ჩიფამ არ დალია, ისიც ზეზე წამოდგა:

— ნუ ხუმრობ, ძიბილო. ოსი არა ხარ? შენ გეკუთვნის ეგ ყანწი და გამოსცალე. სუფრას რად ურევ? — თქვა და ხელით უნდოდა ყანწი მოეშორებინა, რომ ძიბილმა წაიბორძიკა და არაყი მკერდზე გადაესხა ჩიფას.

— აბა, ეს საქმეა? არყის სუნით უნდა ყარდე ახლა! — აბუზღუნდა ჩიფა.

ძიბილი შეცბა:

— მაპატიე, თუ კაცი ხარ, მე ხომ არ მინდოდა.

— კარგი, ერთი! ოჯახის უფროსი ხარ, სუფრაზე თავის დაჭერა არ უნდა იცოდე? წამო, მახამათო, წავიდეთ!

— ერთ წამს დამიცადეთ, — შეეხვეწა ძიბილი და მეორე ოთახში გავიდა.

— სუფრასთან ჯდომის თავი აღარ აქვს. დალოუპული კაცია, დალოუპული, — ჩაიბუზღუნა ჩიფამ და თითებზე გადათვალა, — თორმეტმა ყანწმა ასე უნდა მოგწყვიტოს კისერი?

ძიბილი შემობრუნდა მეორე ოთახიდან:

— აი, — „შიპრის“ შუშა გაუწოდა ჩიფას, — ორი ცალი ვიყიდე გასულ კვირას. მეორე ნაკლულია. პირის მოპარსვის შემდეგ სახეზე ვისვამ ხოლმე.

ჩიფამ გაოცებით შეხედა: „რად მინდა სუნამო, ალბათ ჭკუაზე შეშალა ცეცხლივით არაყმა ეს საცოდავი“, და ჩიფა მთელი ხმით ახარხარდა:

— ძიბილო, რა ჭირად მინდა ეგ შენი „შიპრი?“ წადი, წადი, მოისვენე ახლა.

— ჰაუ, როგორ თუ რათა? — განაწყენდა ძიბილი, შიპრი ხელიდან წაგლიჯა, — არაყი დაგასხი, ახლა „შიპრს“ მოგასხურებ და არყის სუნი აღარ აგივა, — შუშას თავი მოხსნა და ზედ გადაავლო.

ჩიფა იცინოდა. პირველად ხედავდა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ძიბილს ასე გალეშილს და სიცილით იჭაჭებოდა.

— აქაც ჩამასხი, ძიბილო, აქაც, — საყელო მოიღელა ჩიფამ და კისერი შეუშვირა.

ერთ წუთში ჩიფას სახე, თავი, კისერი, ხელები სუნამოთი გაულუმპა.

— ოხ, ძიბილო, ძიბილო, — იცინოდა ჩიფა, — კაი ახლა, ჩვენ წავიდეთ, შენ დაწექი და დაიძინე!

ძიბილმა შუბლში ხელი იტკიცა.

— ჰაუ, ეს როგორ გამოვთაყვანდი, რამ დამავიწყა! თაფლიც ხომ მაქვს, რატომ არ ჭამეთ?! ჩიფა, ძიბილი მოგიკვდეს, თუ შენ და მახამათმა ახლა თაფლი არ გასინჯოთ.

— არა, ძიბილო, გვეყოფა, ყელამდე ვართ შენი პატივისცემით, — არ ეთანხმებოდა ჩიფა, — თაფლი სხვა დროს გვაჭამე, შე კაცო!

—მაშ თუ ეგრეა, ერთი სკა ფუტკარი უნდა გაჩუქო. შენ ჩემი უსაყვარლესი მეგობარი ხარ, — უთხრა ძიბილმა, — და ამიტომაც ყოველდღე უნდა ჭამო თაფლი.

ჩიფამ თვალები ჰყიტა, ყურები დაცქვიტა.

— ასე მსურს, — განაგრძობდა ძიბილი, — ასე უნდა იყოს. ვინ თქვა, ჩიფა იმის ღირსი არ არის, ყოველდღე თაფლი ჭამოსო, ვინ?!

— რას ამბობ, ძიბილო, რას, ვინ იტყვის ეგრე? — აწყნარებდა ჩიფა, — შენი მეგობარი კუდაროს ხეობაში უსახელო კაცი როდია.

— აბა, ჩემო ძმობილო, — მოეხვია ჩიფას ძიბილი, — წამოდი ახლა და გინდა ორი სკაც აირჩიე შენთვის. რაც ძიბილს ჩიფასათვის დაენანოს, საკუთარ ქელეხში მოხმარდეს.

— რას ლაპარაკობ, ძიბილო, არ გიცნობ რა კეთილი გული გაქვს და რა ხელგაშლილი მყევხარ, თუ? — გადაეხვია ჩიფა ძიბილს და გადმომხედა, მახამათო, ერთი სკა წაგვიძუნძულებიაო, მთვრალმა მაჩუქა თუ ფხიზელმა, ეგ ჩემი საქმე არ არისო.

* * *

გარეთ გამოვედით. სკები ბაღში მწარე ბლის ქვეშ სამრიგად გამწკრივებულან, თითო რიგში ოთხ-ოთხი სკაა. ჩიფამ ყველაზე მოზრდილი აირჩია.

— ჰო, მაგრამ როგორ წავიღო? — ჰკითხა ძიბილს.

— როგორ? — ძიბილმა ქეჩო მოიფხანა ,ჩაფიქრდა, მერე მე მომიბრუნდა, — გაიქე, მახამათო, სადაც ვისხედით, იმ ოთახში ტახტზე ტომარა დევს და ამოარბენინე.

მე უკან გამოვტრიალდი. სადაც თხის ხორცს მივირთმევდით, იმ ოთახში ვეძებე, ვეძებე, მაგრამ ტომარა ვერსად დავლანდე. ტახტის ქვეშაც შევიხედე, არც იქ იყო რამე. ერთხელ კიდევ მოვავლე irგვლივ თვალი და დავრწმუნდი, აქ ტომარა არაა-მეთქი და კარებისაკენ წამოვედი, რომ ღრიალი შემომესმა:

— მომკლეეს!

ერთ წამს ადგილზე გავშეშდი.

— ვკვდებიი, — ისევ მომესმა ჩიფას ხმა.

გამოვვარდი დაფეთებული და რას ვხედავ. ზის ძიბილი მწარე ბლის ტოტზე, ფეხებს აქანავებს და იცინის. ეშმაკი არ მინახავს, მაგრამ ასე სლოკინსლოკინით ალბათ, მხოლოდ ეშმაკი იცინის. ჩიფა იქ აღარ არის...

— რა მოხდა, ძიბილო? — ვკითხე შეშინებულმა.

ის არც მისმენს, სოფლისაკენ იყურება და იცინის, იცინის, კვდება სიცილით; ხელებს მუხლებზე იტყაპუნებს და იცინის გაუთავებლად.

— რა იქნა ჩიფა? — ვკითხე, მაგრამ ვინ გაძლევს პასუხს! ძიბილის სიცილზე ბალი ძირს ცვივა. მარგილს მოვეჭიდე და ღობეზე შევდექი. გავიხედე, საითაც ძიბილი იხედებოდა და შევნიშნე: ჩიფა გარბის. აი უკვე სოფლის ბოლოს გასცდა და ხიდს მიუახლოვდა... გარბის წელში მოხრილი, თავს აქეთ-იქით იქნევს, ხან შედგება, ლოყებზე ხელს შემოიკრავს და ისევ გარბის.

მე ღობიდან ჩამოვხტი და უკან გა-

მოვენთე. ჯერ ვერაფერი გამეგო, რა დაემართა ჩიფას. უკვე ციხის ნანგრევთან ვიყავი მისული, რომ ძიბილის სიცილი ისევ მესმოდა.

ხიდთან მივირბინე და წყალგალმა გაველი. კარგა გვარიანად დავილალე და ნაბიჯი შევანელე.

— ჩიფაა, ჩიფაა! — ვუყვირი დროდადრო, მაგრამ პასუხი არსაიდან მესმის.

...კობეთთან ახლოს ვიპოვნე ჩიფა. ტანსაცმლიანი იჯდა მორევში და წყლიდან მხოლოდ თავიღა უჩანდა. სახეზე წყალს ისხამდა და ისე ფრუტუნებდა, როგორც ცხენი წყლის სმის დროს.

— რა მოხდა, ჩიფა? — ვკითხე.

ჩიფას გაპარსული თავი ამოძრავდა და ჩემსკენ მოტრიალდა რაღაც უცნაური, წითლად აპრიალებული, აფუებული სახე. ერთ წამს უხმოდ მიყურა, მერე ისევ ორივე ხელით დაიწყო წყლის შესხურება.

— მომეშვი, თუ კაცი ხარ, ამოიკვნესა მოგვიანებით ჩიფამ და ისევ წყალში დუროთა სახე. — ცივი წყალი შვებას მაძლევს, — თქვა კვლავ, როცა თავი ასწია, — კინაღამ შემჭამეს, მახამათო, ძიბილის ფუტკრებმა, — ტირილნარევი ხმით დაიწყო ჩიფამ, — აქამდე მომდიეს. კიდევ კარგი, ეს მორევი.. თორემ... აღარც კი მახსოვს, როგორ გადავეშვი თავით წყალში, — აკვნესდა და ისევ ჩაიყურყუმელავა.

* * *

...ვზივარ მთელი ნახევარი საათი ნაპირზე და ველოდები, როდის ამოძვრება ჩიფა მორევიდან, მზე ისე აჭერს რომ სიცხით თავი ამტკივდა.

— ჩიფა, — ვეხვეწები მე, — ამოდი, სულ ერთია, ცივი წყალი სიმსივნეს არ დაგიცხრობს.

დამიჯერა ჩიფამ. აკანკალებული ოთხზე ბობღვით ამოძვრა წყლიდან და გვერდით მომიჯდა წურწურით გასდიოდა წყალი.

— ვკვდები, მახამათო, ვკვდები, — კბილებს ერთმანეთს ურაკუნებდა ჩიფა — წელი გამიშეშდა. ჩექმა გამახდევინე, ბიჭო, წელში ველარ ვიხრები!

გავხადე ჩექმები.

— ვიცხოვრებდი ამ ქვეყნად, მახამათო, და ისე მოვკვდებოდი, არ მეცოდინებოდა, რომ ფუტკარი ძაღლზე უარესად იკბინება. მორევის თავზეც დიდხანს იზუზუნეს, იქნებ კიდევ ჩავივარდოთო ხელში, და...

უცბად სიტყვა გაუწყდა ჩიფას, ზლარბივით მოიბლუნძა, ქვიშაზე გაწვა და ტყისაკენ დაიწყო ცქერა. მე თვალი გავაყოლე და დავინახე, თხილის კნატუნით მოდის სასინკა — სოფელში ყველაზე ძუნწი და ყველაზე ჭორიკანა ქალი.

— დავილუპე, წმინდად დავილუპე,— შეშინდა ჩიფა, — ასე რომ მნახოს, კობეთს ერთ თვეს ვეყოფი საჭორაოდ. რაც იყო და რაც არ იყო, ყველაფერს მოჩმახავს -- აღარ იცოდა, რა ექნა ჩიფას და ისევ წყალში მოადინა ტყაპანი. იქნებ არც კი შევემჩნიეთ სასინკას, ისე ჩაევლო, მაგრამ ახლა წყლის ტყლაშუნზე გამოიხედა მორევისაკენ. რომ დამინახა, მხიარულად გამიცინა და ჩვენსკენ გადმოუხვია.

— რას უზიხარ ამ სიცხეში ბუქუს შვილიშვილო! (ბუქუ პაპაჩემი იყო), — მკითხა მან.

— ვისვენებ, სასინკა, მზეს ვეფიცხები, — ვუპასუხე მე.

— დაისვენე, გენაცვა, დაისვენე. ჩვენთან ჰაერი კარგია, კარაქზე უკეთესია, უცბად ასუქებს ადამიანს, — თქვა და კბილით თხილი გატეხა, შეჭამა და განაგრძო ამ მთისა, იმ მთისა, მაგრამ მე არ ვუსმენდი. სასინკა კი ლაპარაკობს და ლაპარაკობს. მე მორევს თვალს ვერ ვაცილებ. ჩიფას მარტო თავი უჩანს, წყლის თაგვივით გასუსულა და თვალებდაჭყეტილი მომშტერებია. სასინკას არ შეუმჩნევია იგი და ჩიფა ელოდება, როდის მორჩება ლაპარაკს და წავა.

— არც თემბოლია მართალი კაცი, შენ რას იტყვი, შემოგევლე, — ჩამესმა სასინკას ხმა, — სწორად მოიქცა?

და მე მივხვდი, სოფლის ჭორების დასასრულს უახლოვდებოდა სასინკა. კობეთში თემბოლი სასინკასაგან ყველაზე მოშორებით ცხოვრობდა.

— არ მოიქცა კარგად, შემოგევლე, არა; შენ შეგნებული ბიჭი ხარ და დამეთანხმები, ეგეთ დედაკაცს მოსაკლავად არ დავინდობ. აურ-დაურია ოჯახი, ეგ კი მაინც ექომაგება.

ჩიფას სახეზე ეტყობოდა, ძალიან შესცივდა წყალში, ველარ შეიკავა თავი და დაუყვირა:

— რა დაგემართა, სასინკა, კობეთის საქმეები სულ შენი გასარჩევი გახდა?

სასინკა კი არა, მეც შევხტი ამ მოულოდნელ ყვირილზე. ერთხანს თითქოს ენა ჩაუვარდაო, პირდაფჩენილი უყურებდა ჩიფას გასიებულ სახეს.

— არც შენა ხარ კარგი კაცი, ჩიფა! ჰო, არა ხარ! — იქით შეედავა სასინკა.— შენ რომ კაი კაცი იყო, შენს ბიძაშვილ სოსლანს ისეთ ქალს მოგვრიდი? სევასტის გოგო დაიწუნეთ! არ გინდოდათ კაი რძალი, ხომ? ვითომ რა დაუწუნეთ? თუმცა ახია თქვენზე! მოათრიეთ ხუბეჟოვის ქალი და ნახეთ?! ყური მოვკარი, მთელ ოჯახს წყალზე ერეკება და წვეთ წყალს არ დაალევინებს, ისე უკან აბრუნებსო.

ამ წუთში ნეტავ ჩიფაზე უბედური თუ იყო ვინმე? იმ ცივ წყალში სული ლამის გასძვრეს, სასინკა კი წასვლას სულაც არ აპირებს.

— ოჰ, ღმერთო დიდებულო! — ამოიკვნესა ჩიფამ.

— მოიცა, მოიცა, მანდ რას აკეთებ? — მოგვიანებით ჰკითხა სასინკამ.

— ვერა ხედავ ,— გაბრაზდა ჩიფა,— თევზებს ვიჭერ!

— სადღაა თევზი, — ხელი ჩაიქნია სასინკამ და ქვაზე ჩამოჯდა, — გუშინდელივით მახსოვს, ახალი პატარძალი ვიყავი, საცოდავმა ჩემმა ქმარმა, ღმერთმა ნათელში ამყოფოს, ზუსტად ამ ადგილზე ისეთი ლოქო დაიჭირა, ხუთი ფუთი გამოვიდოდა, — გადავიდა ტყუილებზე სასინკა, ჩიფას კი უკვე თვალები აუჭრელდა, — კობეთში აღარავინ დარჩენილა ისეთი, ამ ქვეყნის გემო არ გაესინჯოს.

— სასინკა, ყველაფერი კაი და კეთილი, მაგრამ აქ რას აკეთებ, ადამიანო, შინ საქმე გამოგელია? — ლამის ტირილით უთხრა ჩიფამ.

— უი, მართლა, — მუხლზე ხელი დაიკრა სასინკამ, — ჩემი ფეხთეთრა ხბოსთვის ხომ არ მოგიკრავთ თვალი? სამხრობის აქეთია დავეძებ.

— ფეხთეთრა ხბო? როგორ არა, სულ ახლახან წისქვილთან ვნახეთ. ქვევით მიდიოდა, — იცრუა ჩიფამ, მაგრამ სულ ტყუილად. სასინკამ თხილი ამოიღო, გატეხა, შეჭამა და წყნარად თქვა:

— აბა, მაშ აღარ მედარდება, თუ წისქვილს გასცდა, ისევ მათეანთ ეზოში იქნება: რას მიეჩვია იმ ეზოში, ეშმაკმა იცის. ერთ წელიწადსაც ჩემი დედალი ხოსროანთ სახურავქვეშ მიეჩვია კვერცხის დებას და რაც დადო, იმ სასიკვდილეებმა მოათავეს.

ვინ იცის, კიდევ რაზე აღარ ილაპარაკებდა სასინკა და როდემდე იყურყუტებდა წყალში ჩიფა, სრულიად მოულოდნელად ძიბილი რომ არ გამოჩენილიყო. პირველად ჩიფამ შეასწრო თვალი, ძიბილი ჩემს უკან მაღლობზე იდგა, დოინჯი შემოეყარა და ისე დასცქეროდა ზევიდან ჩიფას, როგორც გამარჯვებული არმიის სარდალი. იდგა გაუნძრევლად, დამუნჯებული შესცქეროდა ძიბილს.

— ჩიფა, რა დონბეთირივით[1] იმზირები მაგ მორევიდან? — თქვა ბოლოს ძიბილმა.

ჩიფას რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ ვერ შეძლო და პირი გაღებული დარჩა.

— ტყავი რომ გაგეყინა. ეგ არაფერი, — განაგრძობდა ძიბილი, — ოღონდ პირი მოკუმე, თორემ ნაწლავები გაგიცივდება.

— უი, ნაწლავების გაცივება ღმერთმა ნუ ქნას! — სიტყვა წაართვა სა-

[1] დონბეთირი — ოსური მითოლოგიით, წყლისქვეშ მობინადრე ხალხი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სინკამ, — მახსოვს, გასათხოვარი ვიყავი, ჩემი ბიძაშვილი, ულამაზესი გოგო, კალმით ნახატი იყო. მაგრამ კაი ხანი იჯდა მამის კერაზე გაუთხოვარი. ადრე ნაწლავები გაცივებია, რაღაც მუცლის სატკივარი გასჩენია და პირი უყარდა. მერე, მართალია, კაი ბიჭს უთხოვია, მაგრამ იმას ცხვირი სტკივებია და ყნოსვა ჰქონია დაკარგული.

— — დაამთავრე სასინკა ლაპარაკი? — ჰკითხა ძიბილმა.

— ჰო, მაგრამ ის უნდა მეთქვა...

— მერე თქვი, სასინკა. ახლა მე მისმინე, — მოუჭრა ძიბილმა.

ვუყურებ ძიბილს და მიკვირს, სულაც არ ეტყობა სიმთვრალე, ლაპარაკიც დაწყობილი აქვს, ყოველგვარი აბდა-უბდის გარეშე.

— სასინკა, ბოდიშს ვიხდი, მაგრამ. არ იცი, ბუასილი რა ალაგას უჩნდება ადამიანს?

— მაგას რა ცოდნა უნდა, საჯდომზე. ღმერთმა აცხონოს საწყალი ჩემი დედამთილი, ძალიან იყო შეწუხებული მაგ...

— მერე, მერე, სასინკა, დანარჩენს მოგვიანებით გვიამბობ, — ისევ შეაწყვეტინა ძიბილმა და ჩიფაზე მიუთითა, — აგერ ის კაცი კი გუშინ მარწმუნებდა, სახეზე უჩნდებაო ადამიანს ბუასილი... ჰო და, ახლა თუ სადმე ღმერთია, უნდა იცოდეს, წყალში ჯდომისაგან სად გაუჩნდება ბუასილი ლოყაზე, თუ საჯდომზე.·.

პირკატა ეცა ამ სიტყვებზე ჩიფას, ადგილზე შეინძრა.

— იჯექი, იჯექი, ჩიფა, რაზე წუხდები? — აშკარად დაუწყო დაცინვა ძიბილმა.

ჩიფას ღონე წაერთვა, როგორღაც მოიღვენთა. მიხვდა, ეშმაკობაში ამჯერად ძიბილმა დაჯაბნა. ყველაზე ძლიერ იმან მოუღო ბოლო, ვისთან ამასხარავებდა ძიბილი! სასინკასთან?! აუჰ, მართლა მტრები ხომ არ არიან, არ უნდა იცოდეს, ამ ქალს სამართებელივით რომ უჭრის ენა?! მისი ენით კობეთში [illegible]ერთობით თუ საიქიოს კარი არავის შეუღია, ყოველ შემთხვევ[illegible] და აყალ-მაყალი ხშირად არის.

სასინკა მიხვდა, აქ სხვანაირად იყო საქმე და ყურები დაცქვიტა. ჩითას დაჰერილ თევზს, რა თქმა უნდა, აღარ უცდიდა.

ძიბილმა მარტო ეს დარტყმა როდი აკმარა ჩიფას. თანდათან აგრძნობინებდა, რომ ძველი წყენა არ დავიწყებია. მისი დამბალი ჩექმა რომ ჩემს წინ დაინახა, უთხრა:

— მეორე ჩექმა, რა თქმა უნდა, ვეღარ გაიხადე, იქნებ მოგეხმარო, ჰა, ჩიფა?!

—მაშ, თაფლი მოგინდა, დალეულო?! როგორ გეგონა, — წარბი შეიკრა ძიბილმა, — შენ რომ ჭკუის საძებნად მიდიოდი, მე ხრეშს ვეზიდებოდი? სულელი ვეგონე. იპოვნა რაღა მთვრალი! ვითომ დიდი ვაჟკაცი მყავს, ყველაზე დიდი სკა ამოირჩია!

ძიბილი ლაპარაკობდა, ჩიფა გაშტერებული უსმენდა. ახლა მიხვდა, რომ ძიბილმა სიმთვრალე განზრახ მოიგონა და ფუტკრებსაც განზრახ დააკბენინა.

— შენ ყველაფერი იცი, ძიბილო, — განაგრძობდა ჩიფა, — ჭკვიანი კაცი ხარ, მაგრამ ის კი არა გცოდნია, ფუტკარს რომ არყისა და სუნამოს სუნი ჰიგივით სძულს. ჰო და ნახე, როგორ გაგისიეს თავპირი!

წამოდგა ჩიფა, ნაპირისკენ გამოცურა, რომ ძიბილი დაეჭირა. მაგრამ ძიბილი გაიქცა, ბუჩქებში შეიმალა და თვალს მიეფარა. ეძება ჩიფამ ბუჩქებში, ცალჩექმიანი, კოჭლობით დარბოდა, მაგრამ გაქრა ძიბილი, ვერსად ჰკიდა თვალი.

* * *

ჩიფა გაუხდელად ზედ იწურავდა ტანსაცმელს, ეშინოდა, კიდევ არავინ გამოჩენილიყო.

—ეს რა ცხოვრება დადგა, კაცო. ბებერიც აღარა ბერდება! რას დაეთრევი აქეთ-იქით, დაეტიე შენს ოხერ სახლში! საკვირველი არ არის სასინკას საქმე? საიდან არ გამოტყვრება და და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადგება თავზე! არა, მახამათო, თუ არ გავიხადე, ასე არაფერი გამოვა. უნდა გაიწუროს.

ბუჩქებში შევედით, გავწურეთ ტანსაცმელი და გასაშრობად დავფინეთ. ზის ჩიფა დედიშობილა მშრალ ჩექმაზე.

— როგორ გგონია, მახამათო, — მკითხა ბოლოს, — კიდევ გავსივდები ვითომ? იმ ცივ წყალში კაი ხანი ვიყურყუტე, ფუტკრის ნაკბენისთვის კი ცივი მარგებელია.

შევხედე, სახეზე ცეცხლი ეკიდა.

— რა ვიცი აბა, მერე როგორ იქნები, ეგ არ ვიცი, მაგრამ ამ წუთში გვარიანად ხარ დასიებული, — ვუთხარი მე.

ჩიფა მოიბუზა.

...ვზივართ ბუჩქებში. მზე მაგრად აცხუნებს. ჩიფას მოლოტპრილი თავი კი უბრწყინავს, მაგრამ გალიფე შარვლის გაშრობას არ ადგება ხიშველი. რაღაც უცნაური სქელი ქსოვილისაგან არის შეკერილი და ალბათ, ამიტომ, ჩიფას მუხლებზე შემოუხვევია ხელები, ზედ თავი ჩამოუდვია და ფიქრობს. მე ვუყურებ, სახე დამწიფებია, კაცი თავის თავს აღარა ჰგავს.

...ჩიფას ტყუილად როდი ეშინოდა სასინკასი. სახლში რომ მივდიოდით სოფლის შუკების გავლით, იგრძნობოდა, რომ მთელ კობეთს მოსდებოდა ფუტკრების მიერ ჩიფას დაკბენის ამბავი.

მიდიოდა ჩიფა, მხოლოდ წინ იყურებოდა და ბრაზიანად ქსიტინებდა. ადგილ-ადგილ თანასოფლელები გვხვდებოდნენ, გვიყურებდნენ, ერთმანეთს იდაყვებით უბიძგებდნენ და ჩუმჩუმად ქირქილებდნენ. მიდიოდა ჩიფა ნელა, დროდადრო ბრაზიანად გააფურთხებდა და სველ, დამძიმებულ გალიფეს ორი ხელით ზევით ექაჩებოდა.

ბებიამაც, რა თქმა უნდა, გაიგო, რაც დაემართა ჩიფას. უყურებდა გულხელდაკრეფილი ახლა სახლიკაცის დარუმბებულ სახეს და თავს საყვედურით იქნევდა:

— სირცხვილი არ არის? ბავშვები ხომ აღარა ხართ, რას უშვრებით ერთმანეთს, რა არის ეგ?

ჩიფა იდგა დამუნჯებული, დროდადრო მუშტებს მოკუმშავდა და ცისფერ თვალებს ბრაზიანად გააპარებდა ახსარჯინისაკენ.

— არ ვიცი, არ ვიცი, — განაგრძობდა ბებია, — თუ ერთმანეთს არ მოეშვებით, მე მგონი ერთი თქვენგანი მეორეს ხუმრობა-ხუმრობაში საიქიოში ამოაყოფინებს თავს. შეხედე შენს თავს, რას დაემგვანე, თავპირი ისე გაგსივებია, გეგონება საფუარში ჩაუყვიაო.

ჩიფამ ისევ ამოიოხრა და მუშტები მოკუმშა, ცეცხლისმფრქვეველი თვალებით გახედა ახსარჯინს. ვგრძნობდი, როგორ უმძიმდა ჩიფას. ყველაზე ძლიერ კი ის სტკენდა გულს, სოფლის ყბაში რომ ჩააგდო ძიბილმა...

* * *

ფიდარონს გაბრაზება დიდხანს არ გაჰყოლია, ნახევარი დღეც არ იყო. დონიფარსში თავის დედასთან შუადღემდე დაჰყო. გული საკუთარი სახლისაკენ მოუწევდა, ედარდებოდა ოჯახი და სამხრობისას უკვე კობეთში მობრუნდა...

და აი კიდევ ახალი ამბავი! მიხედ-მოხედვა ვერ მოასწრო, რომ იმ წუთში მიახარეს, ძიბილმა ჩიფა დაამჟავაო რაღაც თაფლის გულისთვის, თუ ჩიფამ ძიბილი მითეთქვა, მისმა ფუტკრებმა რომ დაკბინესო. ვინ ვის დაუხვდა, ვინ ვის ახრჩობდა მორევში, ჩიფა ძიბილს თუ ძიბილი ჩიფას, ამას ფიდარონმა რიგიანად ვერაფერი გაუგო. სასინკამ სხაპა-სხუპით რაღაც-რაღაცეები დაუფქვა და თვითონ მათეანთკენ დაეშვა, რომ იქაც მოესწრო ამბის ჩატანა.

...იმ დღეს მე მამლისყივილამდე ვაჯექი ჩიფასთან. იწვა ჩიფა ტახტზე და დასიებულ სახეს იოხნენდა. წყაროდან ვედრით წყალი ამოვუტანე და რა არ ჩავყარეთ შიგ: კლიტე გინდა, თოხის დასაკლავი დანა, ნაჯახი და კიდევ ბევრი რკინეული. როცა გაცივდებოდნენ, სათითაოდ ვიღებდი, ვაწვდიდი ჩიფას და ისიც გასიებულ ადგილებზე იდებდა.

ეროვნული

შეხედავდა ფიდარონი, თავს გადააქნევდა, მაგრამ კრინტს არ ძრავდა. სიმართლე უნდა ითქვას, გვარიანად დაუცხრა სიმსივნე.

ვახშმადაც ჩიფაანთას ვიყავი. ფიდარონმა დააცხო მსუყე ხაჭაპურები და გემრიელად შევექეცით.

შეღამებულზე მოტოციკლეტის ხმაური მოგვესმა· ასეთი ხაფი ხმა მარტო ძიბილის მოტოციკლეტს ჰქონდა... ხმა თანდათან ახლოვდებოდა და აი, გაჩერდა კიდეც...

ჩიფამ ჯერ თავი წამოსწია, მერე ისევ ხაჭაპურს მიუბრუნდა და ეზოდან ძიბილის ხმაც მოისმა:

— ოჯახიშვილებო, გამოიხედეთ გარეთ! — და კარზე დააკაკუნა·

ჩიფამ ხაჭაპურის ნაჭერი მაგიდაზე დადო და ხან მე შემომხედავდა, ხან — ფიდარონს.

— ჰაუ, აღარავინაა სულიერი ამ ოჯახში? — უფრო ახლოდან მოისმა ძიბილის ხმა.

არც ერთს კრინტი არ დაგვიძრავს! მარტო ნაკვერჩხლების ტკაცატკუცი ისმოდა ოთახში. ძიბილმა ოთახის კარი ფეხით შემოაღო და შიგნით შემოვიდა. ორი ხელით მომცრო თაფლის კასრი ეჭირა. სამივეს თვალი მოგვავლო და თქვა:

— საღამომშვიდობისათ!

პასუხი არავინ გასცა.

ძიბილმა კასრი ტახტზე დადგა და ჩიფას მიაშტერდა. შეჰყურებდნენ ასე ერთმანეთს. ფიდარონი კი ხან ერთს შეხედავდა, ხან — მეორეს. ძიბილს უციმოდა თვალები, ჩიფას კი ცივად უბრწყინავდა. მერე ოდნავ შესამჩნევი სინათლე შეეპარა ჩიფას თვალებს და გამოიდარეს.

— დაჯე, რას დაყუდებულხარ, — უთხრა ჩიფამ, — ამჯერად მომიგე.

ძიბილი დაჯდა.

— ფიდარონო, — მოუბრუნდა ჩიფა ცოლს, — სტუმარი გვყავს, არაყი ნახე!

— აი, ეს კი, — თითით ანიშნა კასრზე ძიბილმა, — თაფლი მოგიტანეთ, საკუჭნაოში შეიტანე.

ადგა ფიდარონი, თავი გადააქნ-გადმოაქნია:

— თქვენ გაგიწყრათ ჩემი გამჩენი, თქვენსას ეშმაკიც ვერაფერს გაიგებს, — თქვა და კასრი გაიტანა.

...ფიდარონმა კარგი არყის გამოხდა იცის· მე სულ ორი ყანწი დავლიე და თავში ამივარდა. ჩიფა და ძიბილი გვერდიგვერდ სხედან, ხელები გადაუხვევიათ და მღერიან:

ლხინი მოვიდა და სიხარული მოვიდა,
ვინც არა სვამს რისთვის მოვიდა, ოი რაიდა!

მეც ვმღერი, თუმცა ისე კარგად როგორ ვიმღერებ, როგორც ჩიფა და ძიბილი, მაგრამ მწამს, როდისმე მეც ვისწავლი ჩემი წინაპრების სიმღერას. ჩიფას აზრით, ვინც სუფრაზე სიმღერა იცის, ძნელად ითრობა და ნამდვილ ვაჟკაცად ითვლება. ჩვენ კვლავ ვმღერით:

მასპინძლებო, მასპინძლებო, ოი, ვარაიდა,
გაცქერინებთ მთვრალის სეირს, ოი
ვარაიდა!..

— ჩიფა, ყური მიგდე, — ეუბნება ძიბილი, — ხვალ შენი წითელი ცხენი დამჭირდება. კუბალონი თავისით არ დაბრუნდება, სულ ხვეწნა სჭირდება ყოველ გაბუტვაზე. ჰო და, მინდა შენი ცხენით დურჯინში ჩავიდე და ჩემი დედაკაცი წამოვიყვანო . მოიცლის ხვალ შენი ცხენი?

— სცალია თუ არა, შენ არ გეხება! გჭირდება — წაიყვა! — უპასუხა ჩიფამ და ისევ სიმღერა განაგრძო·

ოსურიდან თარგმნა
მერი ცხოვრებოვამ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ხაყანი შირვანელი

(1121—1199)

* * *

ტკივილს და სნებას,
ასე რომ მტანჯავს
და სულის მოთქმის არ მაძლევს ნებას,
სალბუნი შველის,
მაგრამ სალბუნში
არ გავცვლი მე ჩემ ტკივილს და სნებას!
დარდი და ვნება
როგორ მწვდა ყელში,
სახმილში გული, ო, როგორ დნება! —
მაგრამ მე შვებას
ტკივილში ვეძებ,
ხოლო სალბუნში ვპოულობ ვნებას.
ჰე, ნებიერო,
იღბალმა შენმა,
რომელიც თაფლის კვერებით გკვებ,
მე რას მედრები,
ანდა შენ ჩემთან
რას გარგებს დავა და სიტყვისგება!
ამ ჭრელ ბაზარში
მე სხვა მაფიქრებს,
გონება შენი სხვა ფიქრით შვრება:
მე დარდს არ ვყიდი,
რაც უნდა მომცენ
შენ კიდევ ხელით არ უშვებ შვებას.
გითხრა, თუ რატომ
არ ვეყმე სულთანს,
რატომ არ ვუძღვენ მათ ლექსი ქებად? —
ერთ წუთს ნებაზე
ნაპარდი მიჯობს
ათას წელიწადს სხვის კარზე გდებას!

* * *

როგორც კი შაჰმა
აფხაზთა ქვეყნით
შირვანს ინება ჩამობრუნება,
ეკლესიაში წაგვასხა ლოცვად,
შეგვაცვლევინა ზნე და ბუნება.
მუსულმანებთ,
მეჩეთში ლოცვის
დროთ დგას (ყვირილი გამემტყუნება?)
ჩვენ კი საყდარში
წირვაზე ვდგავართ,
ამაზე მეტი თქმულა ცთუნება!

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

გულქვავ, თუმცა ქრისტეს ესავ
და გიჭირავს მისი რჯული,
სული წმინდა არ ხარ, თორემ
დაგწყდებოდა ჩემზე გული.
შენმა ტრფობამ დღისით გქეჯნა,
დამიკარგა ღამით რული.
„მოი, მოი“ და მიხსენი*
კაცი შენგან გატანჯული!

* * *

ეს ჩემი გული
რა გულუბრყვილო
და მიამიტი ყოფილა, ღმერთო! —
კი არ ცოდნია საწყალს,
რომ ხალხი
უმადური და ენდოა ერთობ.
სასომიხდილი
დღესაც მხსნელს ფუჭად
დაეძებს ისე, ვით ბალხში ერთ დროს
გადამთიელი ჩინელი — ვინმე
ნაცნობს ეძებდა
და ჭრაქი ენთო.

* * *

ხაყანი, კარგად დაიმახსოვრე,
კაეშანია სიცოცხლის ძირი, —
შვება არ სუფევს
ვნების გარეშე,
ლხინის თვინიერ არ ჰგიეს ჭირი!
თუ ტანში სულის
ჩადგმა ტანჯვაა
და თუ ტკბილ სულთან
შეყრის დროს ვტირით,
რა უნდა იყოს
ის ტანჯვა, როცა
სულს ამოგვხდიან ამ ტკბილ სულს პირით!

* „მოი, მოი“ (მოდი, მოდი) ხაყანის ქართულად უწერია სპარსულ ლექსში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

მე არა ვარ ჩრდილში
მოსული ხილი,
არც ძაღლთან დაბმას არ ვიმსახურებ.
მე ცხრათვალა მზის
ვარ წყაროსთვალი
და ამ ქვეყანას მაღლით დავყურებ!
კაცი არ ვიყო,
ყველა ამ ცვედანს,
ვინც ჩემთან მტრობის ბაზარს ახურებს,
თუ არ დავასხი
თავზე ლაფი და
ქალის ლეჩაქი თუ არ ვახურე!

* * *

ტრფობით შენი თეთრი სახის
და კავების, მას რომ ამკობს,
აფხაზეთში დავესახლე
და ქართულად ვლაპარაკობ.
იმდენჯერ და ისე გაბმით
გიხმობ: „მოი, მოი აქო“,*
ენა თმისებრ დამიწვრილდა
და თმა ენად მექცა, კარგო.

თარგმნა მაგალი თოდუამ.

---

* „მოი, მოი“ ხაყანის აქაც ქართულად უწერია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გურამ გვერდწითელი

# „უსიყვარულოდ არ არსებობს...“

(ქართული პროზა — 78)

„დიახ.. თქვენ ხელოვნური გული არ გამოგადგებათ, ხელოვნური გულით თქვენ ვერ იცოცხლებთ...“ — ეტყვის პროფესორი ბაჩანა რამიშვილს, ნოდარ დუმბაძის ახალი რომანის „მარადისობის კანონის“ გმირს, პროფესიით მწერალს.

ეს არის ყველაზე უბრალო და ყველაზე დიდი აღიარება, რაც კი მწერალმა შეიძლება დაიმსახუროს. და განა მარტო მწერალმა? ყოველი ადამიანისათვის, რა პროფესიისაც არ უნდა იყოს იგი, ამგვარი სიტყვები მისი არსებობის გამართლება იქნება. ასე გავლილი ხანმოკლე ცხოვრებაც კი ბევრად უფრო ლამაზია და სიკეთის კვალის დამჩნევი, ვიდრე თუნდაც დაუსრულებელი სიცოცხლე, უფრო ზუსტად ფიზიკური არსებობა ზოგიერთებისა, ვთქვათ, ისეთი პირებისა, როგორიცაა რედაქტორის მოადგილე ამავე რომანში, რომელთაც ადამიანი არც ეთქმის.

პროფესორს არც უფიქრია მედიცინის საზწაულებრივი პროგრესის თუნდაც ოდნავი დამცირება, მით უფრო გაბიაბრუება, ვერც იფიქრებდა, რადგან თავად არის ერთი სასწაულმოქმედთაგანი. ეს სიტყვები მისი აზრის მხატვრული მეტაფორული გამოხატულებაა. ხელოვნური გული აქ ცივი გულის სინონიმად არის ნახმარი და ჩვენც შეუძლებელია არ ვირწმუნოთ ის მარტივი და მარადიული კანონი, რაც გენიალური პოეტის სიტყვებით ასე გამოითქმის:

უსიყვარულოდ
მზე არ სუფევს ცის კამარაზე,
სიო არ დაჰქრის, ტყე არ კრთება
სასიხარულოდ..
უსიყვარულოდ არ არსებობს
არც სილამაზე,
არც უკვდავება არ არსებობს
უსიყვარულოდ.

დიახ ყველა და ყველაფერი, კეთილი და ადამიანური სიყვარულის ძალით არის დასმული, სიყვარულის ცეცხლით არის შთაგონებული, სიყვარულის ნათელით არის გასხივოსნებული. ამას კი სიყვარულით სავსე ცხელი გულის ფეთქვა სჭირდება, ცივი და ხელოვნური გული ამის შემოქმედად არ გამოდგება.

ყველაფერი ეს დიდი ხანია, დასაბამიდანვე ცნობილია კაცობრიობისათვის, ასევე მარადიულად არსებობენ ისინიც, ვისაც გულები სავსე აქვთ სითბოთი, სიკეთით, სიყვარულით და ისინიც, ვის გულებშიც მხოლოდ სიცივე, ბოროტება, სიძულვილი, ან თუნდაც სიცარიელე და სადგურებულა. ზნეობრივი სრულყოფის გზაზე რადაც უნდა წარმოვიდგინოთ კაცობრიობის მრავალსაუკუნოვანი ისტორია, განუწყვეტელი ჭიდილია ბოროტსა და კეთილს შორის, სიძულვილსა და სიყვარულს შორის. და ეს ჭიდილი, ვინ იცის, როდის დაგვირგვინდება სიკეთისა და სიყვარულის სრული ზეიმით, საყოველთაო სათნოებითა და სულის სინათლით. ანკი ოდესმე ახდება ეს ოცნება? ამის იმედი არასოდეს გადუწურავს ადამიანს და ყოველი ეპოქის ჭეშმარიტი მწერლობა მხოლოდ სიყვარულის ქომაგად და ქადაგად მოვლენია ხალხს. ასეა ჩვენი ერის ლიტერატურაც საერთოდ, ეს სულისკვეთება ძლიერად გამჟღავნდა გასული წლის ქართულ მწერლობაშიც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოღონდ ერთი კია, ჰუმანიზმის ქადაგება უნაყოფოა, თუ მწერლის სათქმელი მისი ცხელი გულის გავლით არ მიდის მკითხველამდე, თუ მისი სიხარული სულის ყიჟინი არ არის, თუ მისი მწუხარება ტკივილით დაფლეთილი ნერვებიდან არ გადმოგვეცემა. აუთრთოლებელი, მშვიდი, რიტმული, აი ისეთი გულით ნათქვამი სიტყვა, რასაც მკურნალი სანიმუშოდ მიიჩნევს, თუნდაც უკეთილშობილეს გრძნობებსა და აზრებზე დახარჯული, მკითხველისათვის იგივეა, რაც კედელს შეყრილი ცერცვი.

ასეთი სიტყვებიც ხშირად გაისმის ქართულ მწერლობაში, ამ მხრივ არც გასული წელი ყოფილა გამონაკლისი, მაგრამ ახლა ამაზე, ამგვარ ნიმუშებზე არ მსურს საუბარი. მე ის ნაწარმოებები კი არ მინდა გამოვარჩიო, რომელთადმიც სავსებით სამართლიანად ყრუა მკითხველი, არამედ ის, რამაც ჩემი აზრით, მეტ-ნაკლები კვალი დასტოვა ჩვენს სულში, მწერლის სათქმელზე დაგვაფიქრა, მისი გრძნობები ჩვენეული გახადა და განგვაცდევინა.

ვიდრე ამას მოვიმოქმედებდე, ერთი რამ მინდა ვთქვა გულისტკივილითაც და გულისწყრომითაც. ჯერ კიდევ ხშირია შემთხვევები, როცა ხალხისათვის თავგანწირულ მწერალსა და ხელოვანს (არადა, ყველა ჭეშმარიტი მწერალი და ხელოვანი მეტ-ნაკლებად თავგანწირულია, რადგან არასოდეს უძგერთ გული მშვიდად) დაუმსახურებელი საყვედური, უმადურებაც ხვდება წილად.

ჩვენ ყველამ ვიცით, რომ თემურ ჩხეიძის სულ ახალმა სატელევიზიო დადგმამ „ჯაყოს ხიზნებმა“ აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. ამაში არაფერია გასაკვირი. კლასიკური ლიტერატურული ნაწარმოების ინსცენირება თუ ეკრანიზაცია, წარმატების შემთხვევაშიც, მეტწილად გაორებულ გრძნობას იწვევს — სიხარულის და უკმარობის. დამდგმელ რეჟისორთან თუ მსახიობებთან მეც მაქვს ზოგი რამ სადაო, თანაც ისეთ საკვანძო საკითხებთან დაკავშირებით, როგორიცაა თეიმურაზის, მარგოს და ჯაყოს ხასიათების გახსნა. მაგრამ აქ ამაზე საუბრის ადგილი არ არის, მე სხვა რამის გამო გავიხსენე ეს ტელე-სპექტაკლი.

ჩვენ ისიც ვიცით, რომ ტელერედაქციაში არაერთი, თუ ბევრი არა, წერილი მივიდა, სადაც მაყურებლები თავიანთ აღშფოთებას გამოთქვამდნენ სპექტაკლის გამო. არც ეს არის მაინცდამაინც გასაკვირი.

რომანის გამოქვეყნების დროსაც აუმხედრდა მიხეილ ჯავახიშვილს საზოგადოების ერთი ნაწილი და ბრალად დასდო მწერალს ქართველი ინტელიგენციის შეურაცხყოფა. მაშინვე, პირველი ვნებათაღელვა რომ მიწყნარდა, თანდათან გაირკვა ამ რომანის ჭეშმარიტი მხატვრული ღირსებაც, მისი სათქმელის სიმართლეც, მისი დიდი მნიშვნელობაც ეროვნული მწერლობისათვის. ახლა იმდენი რამ არის ნათქვამი „ჯაყოს ხიზნებზე“, თითქოს გაუგებარი არაფერი უნდა იყოს, მაგრამ აი, ამ რომანის მიხედვით დადგმულ ტელესპექტაკლთან დაკავშირებით კვლავ წამოვიდა ეროვნულ გრძნობებში შეურაცხყოფილთა უკმაყოფილების თუ რისხვის ტალღა.

გულსატკენია, რომ ტელემაყურებელთა ერთმა ნაწილმა ასე ვერ გაიგო ეს მართლაც რეჟისორული ნიჭიერებით, ოსტატობით, მხატვრული გამომგონებლობით დადგმული ტელესპექტაკლი და მათი რწმენით პატრიოტულ, ნამდვილად კი ცრუპატრიოტულ გრძნობებს აყოლილებმა არ დაუფასეს ამაგი ხელოვანს; მეტიც, თავიანთ წერილებში აუგადაც კი მოიხსენიეს მისი სახელიცა და მისი ნიჭის მშვენიერი ნაყოფიც. არც სპექტაკლის პირველწყაროს ავტორის, მიხეილ ჯავახიშვილის ნათელ სახელს დააკლეს, რბილად რომ ვთქვათ მკვახე სიტყვები.

მართლაც გულსატკენია ეს, რაკილა საზოგადოების ერთ, თუნდაც მცირე ნაწილს, დღეს, მეოცე საუკუნის მიწურულს, ღრმად ცივილიზებულ ქვეყანაში მცხოვრებს არ შესწევს უნარი ჩაწვდეს ლიტერატურის თუ ხელოვნების ნაწარმოების აზრს, ვერ ითმენს გროტესკს, არ ესმის სათქმელის უკიდურესად გაზვიადების, გამძაფრების უძველესი და უმნიშვნელოვანესი მხატვრული ხერხი, ერის ღალატს სწამებს იმ კაცს, შემოქმედს, ვინც სწორედ თავისი ერის კეთილდღეობისათვის იღწვოდა ან იღწვის, ვინც ჭეშმარიტი მამულიშვილია, ვინც ამ მძიმე, თუმცა ბედნიერ ტვირთს შეუდრეკლად, უდრტვინველად ეზიდებოდა ან ეზიდება თავისი ცხოვრების გზაზე. დიახ, გულსატკენია ეს, მხოლოდ გულსატკენი და სხვა არაფერი, რადგან ამ უსამართლო გამოძახილს გადასწონის მართალი აზრი და მწერალის თუ ხელოვანის ჭეშმარიტი სახე, ღირსება, ღვაწლი თანდათან ყველასათვის ცხადი გახდება.

მაგრამ უკვე მხოლოდ გულისტკენას კი არა, სწორედ რომ გულისწყრომას უნდა იწვევდეს ჩვენში, როცა მართალი აზრის სხვათათვის შთამნერგავად მოწოდებული პირები, ნებსით თუ უნებლიედ, ცდილობენ ლაფში ამოსვარონ მწერლის პატიოსანი სახელი.

აქ მხატვრული ნაწარმოების მოწონება-არმოწონებაზე არ მაქვს ლაპარაკი, ეს ისეთი საკითხია, რაც გემოვნებას უკავშირდება და გემოვნებამ კი შეიძლება ერთხელაც გიღალატოს და ბევრჯერაც.

არა, როცა გულისწყრომაზე ვლაპარაკობ, ვგულისხმობ ისეთ შემთხვევებს, როცა მწერალს დაუმსახურებლად სდებენ ხოლმე ბრალს და, როგორც წესი, ბრალმდებელი სწორედ ეროვნული პოზიციებიდან უკიჟინებს მას, რადგან ეს მისთვის ძალზე მომგებიანი პოზიციაა და აქედან მალემრწმენთა თვალში სხვისთვის სახელის ვატეხა ბევრად ითლი საქმეა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გასული წლის ქართული პროზიდან ერთ-ერთი საუკეთესო ნაწარმოებია თამაზ ბიბილურის რომანი „ეამი კითხულისა“. მე თუ მკითხავთ, იგი დიდად მნიშვნელოვანი რომანია საერთოდ თანამედროვე ქართულ მწერლობაში. მაგრამ როგორიც არ უნდა იყოს სხვათა აზრი ამ რომანის ადგილსა და მნიშვნელობაზე, ერთი რამ აშკარად უდაოა, კერძოდ, ის, რომ მისი ავტორისათვის კეთილი სიტყვა თუ არ გაგვემეტება, ვერც სალანძღავად უნდა მოგვიბრუნდეს ენა.

აბა, გულისწყრომა როგორ არ მოგეძალება კაცს, როცა ამ მართლაც მშვენიერი მოთხრობებისა და რომანების ავტორს, ვისი გულიც სავსეა სიყვარულით ქართველი კაცისადმი და ამ სიყვარულით სავსე გულის ფეთქვა ასე ძლიერად და გადამდებად ისმის მის შემოქმედებაში, სწორედ მისი სათაყვანებელი ხალხის შეურაცხყოფა უკიჟინა ერთმა საჯაროდ.

ქართველებს კიდევ უფრო „თავგამოდებული ქომაგი“ თელავიდან მოგვევლინა. თელაველი კრიტიკოსი ბევრად უფრო რიხიანი და მებრძოლი გამოდგა, რაიონული გაზეთის ფურცლებიდან შემოგვითვალა ყველას, გავიგე ოთარ ჭილაძის რომანს — „ყოველმან ჩემმან მპოვნელმან“.. სხვა ენებზე თარგმნიანო, ეგ საქმე ხომ უნდა ჩაშალოთ, თორემ ვაი თქვენი ბრალი, საქართველოს დაღუპავთო, ქართულ ენაზეც ხელახლად დააწერინეთ ეგ რომანი ავტორს, თორემ მე ვიციო.

ოთარ ჭილაძის რომანს საკუთარი მარნის ჭურჭრუტანიდან სიმახინჯედ ალექსანდრე გვენცაძე აღიქვამს, თელავის პედინსტიტუტის პედაგოგი და მეცნიერი.

ოთარ ჭილაძის რომანები სულ მალე გამოვა სხვა ენებზე თარგმნილი, იმედია თამაზ ბიბილურის გაცნობაც არ დაუგვიანდება უცხო მკითხველს. ბევრი სხვა რამ უკვე ითარგმნა და გამოიცა, მათ შორის გასული წლის პროზიდანაც. ასე, მაგალითად, ნოდარ დუმბაძის „მარადისობის კანონი“ გასული წლის დასაწყისში დაიბეჭდა ქართულად, იმავე წლის ბოლოს კი უკვე რუსმა მკითხველმაც გაიცნო და არამცთუ უბრალოდ გულით მოიწონა, ერთი დიდად საპატიო პრემიითაც აღნიშნა მისი მაღალი მხატვრული ღირსებები და ჰუმანისტური პათოსი.

სხვაც ბევრი ითარგმნება. ღვთის მადლით, ქართულ მწერლობას ბევრი რამ აქვს სხვათათვის გასაზიარებელი და მისი ღირსება შინაც და გარეთაც კარგად არის ცნობილი.

ქართული მწერლობის მიერ სიყვარულით სავსე გულით ნათქვამ სიტყვას ასევე სიყვარულით სავსე გულით უნდა უსმენდეს მკითხველი, ყოველ შემთხვევაში, სიყვარულისათვის დახშული მაინც არ უნდა ჰქონდეს მას გული. კარგ მთქმელს კარგი გამგონე უნდაო, — ძველადვე უთქვამს ხალხს ეს ბრძნული სიტყვა.

ქართველმა მწერლებმა იციან, რომ ხალხი გულისყურით უსმენს მათ და ამიტომაც გრძნობენ პასუხისმგებლობას, შეძლებისდაგვარად ნაყოფიერად და შთაგონებით ღწვიან. ამაში გასული წლის მხატვრული პროზაც ბეჯითად გვარწმუნებს. ათამდე რომანი და რამდენიმე ათეული მოთხრობა გამოქვეყნდა შარშან. ეს არცთუ ცოტაა.

კმაყოფილებით უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ მეტწილი ახალი ნაწარმოებებისა უთუოდ სასარგებლოა მკითხველისათვის, არაერთ საჭირბოროტო პრობლემას წამოჭრის მის წინაშე, ბევრ დამაფიქრებელ საკითხზე მიაქცევინებს ყურადღებას. კიდევ უფრო სასიხარულოა რომ ზოგიერთი მათგანი ქართული პროზის ჭეშმარიტ შენაძენს წარმოადგენს და, ალბათ, დიდხანს დარჩება ქართველი კაცის სულის თანამგზავრად, შინაც და გარეთაც ასახელებს ჩვენს ეროვნულ მწერლობას.

* * *

ერთ დროს, გვახსოვს და ვიცით ეს კარგად, ჩვენში ხმამაღლა და ძლიერ შეუტიეს ისტორიულ რომანისტიკას. მადლობა ღმერთს, ქართველი მწერლები ასე იოლად, თუნდაც დაჟინებითი კარნახით არ იცვლიან გუნება-განწყობილებას, მითუმეტეს არ ღალატობენ საკუთარ გულისთქმასა და შემოქმედებით მისწრაფებებს. თანამედროვეობის სამსახური ყოველი ჟრის მწერლობის უმთავრესი ამოცანაა, მაგრამ მისი განხორციელება ისტორიული ჟანრისადმი გულგრილობის ხარჯზე როდი უნდა მოხდეს.

ან ვინა თქვა, უფრო სწორედ ვინ დაგვარწმუნა იმაში, რომ ისტორიული ხასიათის მხატვრული ლიტერატურა არა დგას თანამედროვეობის სამსახურში. განა ყველას ღრმად არა გვწამს ჩვენი სულიერი მამის მართალი სიტყვები შესახებ იმისა, რომ აწმყო შობილი წარსულისაგან არის მშობელი მომავალისა.

გასულ წელს დამთავრდა რევაზ ჯაფარიძის ფართო და მნიშვნელოვანი ეპიკური ტილოს, ისტორიული რომანის „მძიმე ჯვარის“ მესამე წიგნის ბეჭდვა ჟურნალ „მნათობში“. ქართველმა მკითხველმა ამ რომანით კიდევ ერთი ღრმად საყურადღებო, დიდი ისტორიული სიმართლით სავსე მხატვრული ნაწარმოები მიიღო.

აქ მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ისტორიული ყოფა, პოლიტიკური და ეკონომიური ცხოვრება, სავსე დრამატიზმითა და საბედისწერო მოვლენებით, ცხოვლად, ხატოვნად, შთამბეჭდავად არის წარმოსახული. ჩვენს თვალწინ ცოცხლდება და აღიმართება იმერეთის მეფის სოლომონ პირველის ძლიერი და მომხიბლავი პიროვნება, ვისაც ღრმად აქვს შეგნებული და შესისხლხორცებული ერისა და ხალხის წინაშე საკუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თარი მეფური და ადამიანური პასუხისმგებლობის გრძნობა.

სოლომონთან ერთად, მის გვერდით ჩვენ ვხედავთ ისტორიულ თუ მწერლის ფანტაზიით შეთხზულ გმირებს, ასე რეალისტურად, მართლაც რომ გვიხსნიან სულისკვეთებას იმ დროის ქართველი მამულიშვილებისა, რომლებიც ვაჟკაცურად, თავგანწირვით ეზიდებიან მძიმე ჯვარს ქართული სულისა და სინიდისის, ეროვნული ღირსებისა და თვითმყოფობის გადასარჩენად. ეზიდებიან იმ მძიმე ჯვარს, რომელიც საუკუნეების მანძილზე გამოატარა ქართველმა ერმა და ახლა მათ აწევთ მხრებზე. და რადაც არ უნდა დაუჯდეთ ეს, არამცთუ სიცოცხლედ, თუნდაც უკიდურეს, გაუსაძლის ტანჯვად, მაინც უნდა გაუძლონ, უნდა ბოლომდე ზიდონ, რათა შემდგომ თაობას გადასცენ ისევე პირნათლად, როგორც ეს მათმა წინაპრებმა შეძლეს და მოიმოქმედეს.

მთელი ამ ვრცელი რომანის მანძილზე ჩვენ ვხედავთ რა ერთგულად, ჭაპანწყვეტით, მაგრამ შეუდრეკლად ეზიდებიან ერის ნამდვილი შვილები ამ მძიმე ჯვარს, რა განსაცდელში არ გამოატარებენ მას — ღალატისა და ორგულობის, სიხარბისა და მეთავისეობის, მტრობისა და ქიშპობის გადამკიდენი.

ქართველ დიდგვაროვანთა დამახასიათებელი ყველა ეს ავი ზნე, რაც უახლოესი, სისხლისმიერი ნათესაობით დაკავშირებულ ადამიანებსაც კი ერთმანეთს დაუნდობლად გაამტერებინებს, რაც იმდენად უბნელებს მათ გონებას, რომ საკუთარი დროებითი აღზევებისათვის საერთოდ სამშობლოსაც, მის აწმყოსა და მომავალსაც არაფრად აგდებენ, რევაზ ჯაფარიძის რომანში შემაძრწუნებლად არის წარმოსახული და გახსნილი.

აქვე ვხედავთ იმავ დიდგვაროვანთა წრიდან გამოსულ ჭეშმარიტ პატრიოტებს, თუ მშრომელ ადამიანებს, ვისთვისაც სამშობლო ერთადერთი წმიდა საფიცარია, რის სამსხვერპლოზეც უყოყმანოდ მიაქვთ სხვა ყველა და ყველაფერი.

რევაზ ჯაფარიძე ოსტატურად ძერწავს გმირების, უპირველესად კი სოლომონ მეფის ფსიქოლოგიურ პორტრეტს იმ დროის დრამატული კოლიზიების ფონზე. რომანში ისტორიული და მხატვრული მასალა ორგანულად არის ერთმანეთთან შერწყმული ისე, რომ მათ შორის ზღვარის გავლება, თუნდაც შემჩნევა შეუძლებელი ხდება.

სოლომონ მეფის სახით ჩვენ წარმოგვიდგება ადამიანური განცდებით, თუნდაც სისუსტეებით აფორიაქებული გმირი, ვისაც შესწევს უნარი და ძალა იმისა ,რომ მოერიოს, დათრგუნოს საკუთარი სუბიექტური ვნებები, დაუმორჩილოს იგი თავის მაღალ მოწოდებას, სამშობლოს გადარჩენის უწმინდეს მისიას. ამიტომაცაა ,რომ იგი თავდადებული გმირომეფის როლში გვევლინება და ბოლომდე არ ღალატობს მას.

რევაზ ჯაფარიძე შეუფარავად, ერთდროულად დიდი ტკივილითა და გულწრფელობით მოგვითხრობს მხატვრულად საქართველოს აწეწილ ცხოვრებას, გვიშიშვლებს მის ღრმა ჭრილობებს, რომლებიც საუბედუროდ მხოლოდ გარეშე მტრების მიერ არ აქვს მიყენებული, შინაურებიც არ აკლებდნენ ზურგში ლახვარის ჩაცემას. მაგრამ, რაც მთავარია, მწერალი დიდი სიყვარულით წარმოგვიჩენს იმ ძალასაც, რამაც საქართველოს გააძლებინა, დამოუკიდებლობა შეანარჩუნებინა, იმ ავბედით ეპოქაში დაღუპვისაგან გადაარჩინა.

რომანის პატრიოტული პათოსი ძლიერია და გადამდები. სამშობლოს უანგარო და თავდადებული სამსახური ის მძიმე ჯვარია, რომელიც ყოველ ეპოქაში ყოველმა თაობამ უნდა გულმოდგინედ ზიდოს. ეს ჯვარი ხან უსაშველოდ მძიმდება, თითქოს საცაა წელში გაგწყვეტს, ასეა ეს ამ რომანში, მაგრამ არც არასოდეს არ არის მსუბუქი და იოლი სატარებელი, იგი მუდამ მძიმე ჯვარად რჩება და რევაზ ჯაფარიძის სამშობლოს სიყვარულით ანთებული გულიც საერთოდაც და ამ ნაწარმოებშიც სწორედ ამგვარ თავგანწირვას შთააგონებს მკითხველს.

„მძიმე ჯვარის“ სახით ქართულ ისტორიულ რომანისტიკას მნიშვნელოვანი ნაწარმოები შეემატა, რითაც ჩვენი წარსულის მხატვრული მატიანის კიდევ ერთი ახალი თავი შეივსო. ამ მატიანის წერა ადრევე დაიწყო და დღეისათვის მისი არაერთი საგულისხმო ფურცელი გაგვაჩნია. ახლა კიდევ ერთი ნაბიჯით დავუახლოვდით იმ დროს, როცა ქართულ მწერლობას მისი ერის წარსულის მხატვრული მატიანე სრულად ექნება. ამდაგვარი მთლიანი მატიანის, ისტორიული პროზის უწყვეტი ციკლის შექმნა დიდი მამულიშვილური საქმეა და ვინც მას შეეწია და შეეწევა დაუვიწყარი იქნება მადლიერების გრძნობით გამსჭვალული ხალხისათვის.

გასულ წელს გამოიცა ლევან სანიკაძის „უქარქაშო ხმლების“ მესამე წიგნი. ავტორი აქ საქართველოს ისტორიას მოგვითხრობს მე-17 საუკუნის მანძილზე. როგორც წინათქმიდან ვიგებთ, „უქარქაშო ხმლებს“ კიდევ ერთი, მე-4 წიგნიც ექნება, რაც დააგვირგვინებს ამ ციკლს.

ლევან სანიკიძე ცნობილი ისტორიკოსი და მწერალი გახლავთ. მიუხედავად იმისა, რომ „უქარქაშო ხმლებს“ არ ეთქმის რომანი და იგი მხოლოდ „ქართველთა ისტორიულ-ეპიკური თავგადასავალია“, მაინც მშვენივრად არის აქ შეხამებული მეცნიერებისა და მხატვრის ინტერესები, ავტორის ორთავ ნიჭი და უნარი კარგად იგრძნობა. სწორედ ამიტომაც მოხდა, რომ მკითხველები ამ წიგნებს გულმ-

ეროვნული

ხურვალედ დაეწაფნენ. დღეს იშვიათად მოიძებნება თანამედროვე ქართული წიგნი, მეცნიერული თუ მხატვრული, რომელსაც ასეთი მრავალრიცხოვანი მკითხველი ჰყავდეს.

ლევან ხანიკაძემ დიდად სასარგებლო პატრიოტული საქმე მოიმოქმედა თავისი „უქარქაშო ხმლებით“ და თუმცა უშუალოდ მხატვრული პროზის კუთვნილებად ვერ მივიჩნევთ მას (არცა აქვს ამის პრეტენზია), მაინც მოვალედ ჩავთვალე თავი ორიოდ კეთილი სიტყვა მეთქვა მასზე, რადგან, რა ხასიათისაც არ უნდა იყოს იგი, მკითხველის მადლიერების გრძნობა ავტორისადმი დიდია და გულწრფელი.

ალიო ადამიას „სიკვდილი ერთი დღით ადრე“ („განთიადი“, № 5, 6) რევაზ ჯაფარიძის რომანთან შედარებით განსხვავებული მიზანდასახულებისაა. მას ვერ მივიჩნევთ საქართველოს ისტორიის მხატვრულ ქრონიკად. აქ არც ისტორიული პირები არიან წარმოდგენილნი და არც ჩვენი წარსულის ერთი რომელიმე ეპოქაა მთელი სიგრძე-სიგანით დახატული. ამბის მთხრობელი ჯუანშერ გარსევანიშვილი სულაც ჩვენი თანამედროვე ჩანს, მაგრამ ეს რომანი მაინც ალბათ ისტორიულ ნაწარმოებთა რიგს უნდა მივაკუთვნოთ, რადგან აქ ძირითად ქართველი ინტელიგენციის რევოლუციამდელი ყოფაა წარმოსახული, უფრო სწორად, ხასიათები ამ ფონზეა გახსნილი.

ამ, ერთი შეხედვით, კამერულ, ინტიმითა და სევდით მოთხრობილ ამბავს თავისი ღრმად დაფიქრებული სათქმელი გააჩნია მოვალეობის გრძნობაზეც და იმ სულის ნათელზეც, რაც ადამიანის ცხოვრებას მნიშვნელობას სძენს და მშვენიერებას ანიჭებს.

მწერალმა საინტერესო ქარგას მიმართა იმისათვის, რომ ძალდაუტანებლად, თითქოს უნებურად გახადოს მკითხველი იმ საგულისხმო ამბის მოწმედ, რაც დიდი ხნის წინ მომხდარა, თითქოს შემთხვევით ამცნოს ერთი უსახელო კაცის ბედი, ვისი ცხოვრებაც თურმე ღრმად საგულისხმო შეიძლება იყოს არა მხოლოდ მისი მეგობრებისათვის, არამედ ყველასათვის ვინც კი მას ეზიარება.

ეს სევდიანი განწყობილება თავიდანვე გადმოედება მკითხველს, როცა უკვე ხანდაზმულ ორ მეგობარს, ჯუანშერ გარსევანიშვილს და როსტომ ჯორჯაძეს შეხვდება. მათ გვერდით მუდამ მესამის არსებობაც იგრძნობა, იმისი, ვინც დიდი ხანია თავად ამ ქვეყნად აღარ არის. მესამე მეგობრის კუთვნილი ადგილი მათ ყველგან აქვთ მიჩენილი, ვახშმისათვის გაწყობილ სუფრასთანაც, სპექტაკლის პრემიერაზეც, რაც მთავარია, საკუთარ გულებში. სწორედ ამ დიდი მამაკაცური მეგობრობის გამო, რისი ნაშთი და უნარიც მათ გააჩნიათ და რისი მოწამენიც ჩვენ თვითონ ვხდებით, აღარ ჩანს პოზად გარდაცვლილი მეგობრისათვის სუფრაზე დადგმული სუფთა თე[illegible]სები, არც კიდევ თეატრის ხალხით გაჭედილ დარბაზში მისთვის განკუთვნილი ცარიელი სკამი, რასაც დარბაისელი მანდილოსნებისთვისაც კი ვერ იმეტებენ ჯუანშერი და როსტომი.

ეს რომანი არის სევდიანი მოგონება უსახელო დიდი ადამიანისა, ნოშრევან ბეთანელისა, ვინც სულ ახალგაზრდა დაიფერფლა, ვისაც ბედნიერებასთან ზიარებას ერთი დღე დააკლდა, ვინც სწორედ მაშინ მოცელა სიკვდილმა, როცა გულისწადილის აღსრულების ჟამი დაუდგა.

ჯუანშერ გარსევანიშვილის მოგონებაში ცოცხლდება სამი განუყრელი მეგობრის ჭაბუკობის ხანა, მათი სტუდენტობის წლები რევოლუციამდელ ოდესაში, მათი ცხოვრების გაჭირვებული, მაგრამ უშფოთველი, ხალისიანი, იმედიანი, ნათელი მიზნებითა და ოცნებებით სავსე ხანმოკლე მონაკვეთი. ხანმოკლე იმიტომ, რომ ცხოვრებამ ადრევე მოითხოვა ხარკი ამ სამი მეგობრისაგან. თითქოს სხვათა მიერ არც ერთს არ ეთქმის საყვედური მათი ცხოვრების გამო, მაგრამ ანათგან მხოლოდ ერთმა, ნოშრევან ბეთანელმა იცხოვრა სრულიად უკომპრომისოდ და თავგანწირულად.

რომანის დასაწყისშივე ვიგებთ, რომ ჯუანშერ გარსევანიშვილი, ვისაც არც წარჩინება აკლია და არც დამსახურება, მაინც დაყოლია ცხოვრების ნებას და საკუთარი რწმენის, სურვილის საწინააღმდეგოდ იქცევა ზოგჯერ. ვთქვათ, შინაგანად უხალისოდ და ირონიით, მაგრამ მაინც უწყობს ხელს ერთი არაფრით გამორჩეული, დაუმსახურებელი მეცნიერის საიუბილეო ფაცი-ფუცს.

ნოშრევან ბეთანელი კი სხვა კაცი იყო, შეურიგებელი, საკუთარ რწმენის ერთგული, რისთვისაც ყველაფრის გაღება, გაწირვა შეეძლო. ყველას გადაუდგა და მაინც საკუთარ გულისთქმას დაჰყვა, უნივერსიტეტი მიატოვა და მისი აზლობლებისათვის სათაკილო პროფესიას, მსახიობობას შეუდგა. აქაც აუმხედრდა დამყაყებულ გავლენიან ხალხს, ვისაც თეატრი გასართობ საშუალებად მიაჩნდა და არა ერის, ქვეყნის საკეთილდღეოდ მოწოდებულ ტრიბუნად. მეეტლეობაში გალია თავისი ხანმოკლე ცხოვრების საუკეთესო წლები და მაშინ, როცა მისი პრინციპის ზეიმი უნდა შემდგარიყო, როცა მას, გამარჯვებულს კვლავ უნდა შეედგა ფეხი სცენაზე და ხალხისათვის საკუთარი სათქმელი ეთქვა, სწორედ მაშინ დაეშრიტა ასე დაუზოგავად დახარჯული ენერგია, იმ დღისათვის აღარ ეყო სიცოცხლის ძალა.

სულ ახალგაზრდა იღუპება ეს ტრაგიკული პიროვნება, მაგრამ მისი დიდი, ნათელით სავსე ცხოვრება დაუვიწყარ მიმაგონებელ ნიმუშად რჩება სხვათათვის. მკითხველისათვის სრულიად, მრავალმხრივად იხსნება ნოშრევან ბეთანელის ცხოვრების წესიც და ხასიათიც.

ამაღლებული და ამაღლევებელია მისი და ანა ლოგინოვას სიყვარულის ისტორია, ვაჟკაცური ერთგულებითაა სავსე მისი მეგობრობა, უდრეკია მისი სული და ნებისყოფა, როცა საქმე რწმენას და პრინციპებს ეხება. და ეს ყველაფერი თითქოს მემკვიდრეობით აქვს მიღებული და შთაგონებული ნოშრევან ბეთანელს იმ სუფთა გარემოდან და ხალხიდან, ვის წიაღშიც იგი იშვა და აღიზარდა, — მისი მშობლიური ქართლის სოფლის არადეთის მიწისაგან, კეთილშობილებით სავსე, გამრჯე მშობლებისაგან, წმინდანივით სუფთა, პირთამთმენი, ხათნო გლეხი ქალის — ხესიკიასგან.

ყოველივე ამის წყალობით ალიო ადამიას რომანი „სიკვდილი ერთი დღით ადრე" კერძო, თითქოს პატარა, ამბიდან დიდ და განზოგადებულ სათქმელამდე მაღლდება, ხოლო ნოშრევან ბეთანელის ადამიანური ღირსებით, სულის მშვენიერებით სავსე სახე ქართული მწერლობის კეთილშობილ გმირთა გალერეას ავსებს და ამდიდრებს.

როგორც ვხედავთ, გასულ წელს გამოქვეყნებული ისტორიული რომანებიც გვარწმუნებენ იმ აზრის სისწორეში, რომ წარსულის მოხმობა მწერალს სულაც არ უშლის ხელს თანამედროვეობისათვის მღელვარე პრობლემების წამოჭრასა და გახსნაში, რომ ჩვენგან საუკუნეებით თუ ათეული წლებით დაშორებული ეპოქების გაკვეთილი და გამოცდილება დღესაც მრავლისმეტყველია და დამაფიქრებელი. მით უფრო სასიხარულოა, რომ მარტო ამის ამარა არ დარჩენილა შარშანდელი ქართული პროზა და მან უშუალოდ თანამედროვეობის თემებზე დაწერილი ნაწარმოებებიც უხვად შესთავაზა მკითხველს.

* * *

გასული წლის პროზა უხვიც არის და მრავალფეროვანიც. მრავალფეროვანია არა მარტო თავისი სტილური განსხვავებულებით, არამედ თემატურადაც. ამაში დასარწმუნებლად ისიც საკმარისი იქნება, მარტო რომანებს რომ გადავხედოთ. ერთი წლის მანძილზე გამოქვეყნდა ნაწარმოებები, სადაც მკითხველი ომის წლებსაც გადასწვდება, ქართული სოფლის ცხოვრებასაც ეზიარება, ეგრეთწოდებულ საწარმოო თემასაც შეხვდება, იმასაც ნახავს თუ რითი სუნთქავს ქართველი ინტელიგენცია. რა თქმა უნდა, ეს პირობითი დაყოფაა, რადგან ყველაფერს აერთიანებს ის ჰუმანისტური პათოსი, რაც უმნიშვნელოვანესია მწერლობისათვის და ასე გამოკვეთილია, ძლიერად ისმის ჩვენს მიერ განხილველ ნაწარმოებში. მაგრამ თავისთავად ქართული პროზის თვალთახედვის არის ამგვარი სიფართოვეც კარგია და მისასალმებელი.

თანამედროვე ქართულ მწერლობაში ომის წლებისადმი განსაკუთრებულ ინტერესზე უკვე ბევრი ითქვა და იმის მიზეზებზეც [illegible] მინიშნებული. ქართულ პროზას [illegible] არაერთი მნიშვნელოვანი ნაწარმოები გააჩნია, სადაც ეს დიდი დრამატიზმითა და ჰეროიკით სავსე ეპოქა მხატვრულად საინტერესოდ, სხვადასხვა ასპექტით არის დანახული და გახსნილი. ცხადია, დიდი სამამულო ომი, ჯერ კიდევ დიდხანს იქნება მწერლობის შთაგონების წყარო. ჯერ კიდევ შორსა ვართ ამ თემის ამოწურვისაგან, თუკი საერთოდ შეიძლება მისი ამოწურვა. მით უფრო სამწუხაროა, როცა ქართული მწერლობა თითქოს უკვე იმეორებს ერთხელ, ან რამდენჯერმე ნათქვამ სიტყვას.

ვანო ურჯუმელაშვილის რომანი „ერთი ქართული ბატალიონი" („მნათობი", № 4-7), სადაც მოთხრობილია ქართველ ტყვეთა გმირულ ბრძოლასა და თავგანწირვაზე, უინტერესო არ უნდა იყოს მკითხველთათვის. თუმცა, ჩემი აზრით, იმ რომანების შემდეგ, რომლებიც ქართულ პროზას უკვე გააჩნია ამგვარ ცხოვრებისეულ მასალაზე დაწერილი და სადაც დიდი ისტორიული და ფსიქოლოგიური სიმართლით არის ეს თემა გახსნილი, იგი ნაკლებ შთამბეჭდავია. მას აღარ გააჩნია პირველი სიტყვის უპირატესობა. ამის ანაზღაურება მხოლოდ მხატვრული სიღრმის წყალობით შეიძლებოდა, მაგრამ რომანს ესეც საგრძნობლად ღალატობს.

სოლომონ სამხარაულის „აბა, მოველიც" („ცისკარი, № 8), მიუხედავად იმისა, ურიგოდ არაა დაწერილი, მაინც ბევრს აგებს იმით, რომ აქ მოთხრობილი ომისდროინდელი ამბავი და განცდები ახლის შეგრძნებას არ გვიტოვებს, უკვე ბევრწილად ნაცნობია ჩვენთვის.

ის კი უბრალოდ აღარ შეიძლება ,როცა ათასჯერ ნათქვამ და გადამღერებულ ამბავს გვთავაზობს ზოგიერთი ავტორი. ვლადიმერ მისაბიშვილის მოთხრობა „საჩემო ტყვია" („რიწა", 1978) სწორედ ამდაგვარ არაფრისმთქმელ ახალ ნაწარმოებს წარმოადგენს ომის თემაზე. თავად სათაურიც მიგვანიშნებს, მერე კი მოთხრობა საბოლოოდ გვარწმუნებს იმაში, რომ ეს არის ბანალურობამდე გაცვეთილი ამბავი, რასაც მხატვრულობის არა სცხია რა.

მიღწეულ სიმაღლეებს შენარჩუნება მაინც უნდა, ახალი სიმაღლეების დალაშქვრაზე რომ აღარაფერი ვთქვათ. სამამულო ომზე ამგვარი ნაწარმოების გამოქვეყნება შეუწყნარებელი თუ არა, უბრალოდ გაუმართლებელი მაინცაა.

ქართულ საბჭოთა მწერლობას თანამედროვეობის მძაფრი შეგრძნება, აქტივობა, ხალხის ცხოვრებასთან სისხლ-ხორცეული კავშირი არასოდეს აკლდა, მაგრამ, თამამად უნდა ითქვას, მისი ღრმა და ყოველმხრივი ინტერესი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სადღეისო პრობლემებისადმი, რაც ახლა იგრძნობა, მართლაც სამაგალითოა.

ჩვენს რესპუბლიკაში მიმდინარე მნიშვნელოვანი პროცესები, დაუნდობელი ბრძოლა სიმახინჯის ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ, შრომითი წარმატებების მიღწევის საყოველთაო-სახალხო მოწადინება, ზნეობრივი საფუძვლების განმტკიცებისათვის შეუნელებელი ზრუნვა, ყველაფერი ეს ქართული მწერლობის ყურადღების ცენტრშია.

შეიძლება ითქვას, ყოველი მნიშვნელოვანი ნაწარმოები, დიდი თუ მცირე, ამ სულისკვეთებით არის გამსჭვალული, მაგრამ ზოგიერთი მათგანი მაინც გამოირჩევა თავისი სიმახვილით, მასშტაბურობით, სიმწვავით, განსაკუთრებული სისრულით წარმოსახავს მშრომელთა ცხოვრების მართალ სურათებს.

მათ შორის გასულ წელს გამოქვეყნებული რომანებიდან მე დავასახელებდი რამაზ კობიძის „გვიმრის ფოთლებს“ და გიორგი ციციშვილის „სძლიე სიხარბესა შენსა“.

მიუხედავად ჩვენი ღრმა რწმენისა, რაც მწერლობის საუკუნეობრივმა გამოცდილებამ ჩაგვინერგა, რომ მხატვრული ნაწარმოები ნებისმიერ თემასა, შემთხვევაზე, თუნდაც საგანზე შეიძლება დაიწეროს და ყველაფერი მწერლის ხედვასა და ოსტატობაზეა დამოკიდებული, მაინც, აპრიორული მსჯელობის დროს იქნებ კიდეც დავეჭვდეთ იმაში, შეიძლება თუ არა, რომ ფართო ეპიკური ტილოს საგნად იქცეს თანამდებობიდან ერთი ადამიანის მოხსნა და მის ადგილზე მეორე ადამიანის დანიშვნა? ან ადგილკომის ულიმლამო, უხალისო სხდომა, როცა ყველამ წინასწარ იცის, თუ რა გადაწყვეტილებას მიიღებენ? ან შემთხვევითი მკვლელობის გარემოებები? ან ახალგაზრდა ქალისა და ვაჟის ურთიერთობები, თუ ისინი ერთმანეთს მხოლოდ რომანის დასაწყისში ხვდებიან, შემდეგ კი შორდებიან და ორივე საკუთარ ცხოვრებას იწყებს?

რა თქმა უნდა, შეიძლება, თუ ყველაფერ ამაში მწერალი თავის მნიშვნელოვან სათქმელს ჩადებს. და ეს რომ ასეა, ამაში დამაჯერებლად გვარწმუნებს რამაზ კობიძის რომანი „გვიმრის ფოთლები“, რომლის ბეჭდვაც „მნათობმა“ შარშან დაასრულა. ამ რომანის წაკითხვის შემდეგ, ჩვენთვის ცხადი ხდება, რომ, დიახაც, მეტად პრობლემური და მნიშვნელოვანი ამბავია თანამდებობიდან ერთი ადამიანის მოხსნა და მის ადგილზე მეორის დანიშვნა, მითუმეტეს, როცა ამას დაუფიქრებლობის გამო დიდი სირთულეები შეიძლება მოჰყვეს. ადგილკომის სხდომისადმი გულგრილობაც თურმე სერიოზული შედეგების გამომწვევია. შემთხვევითმა მკვლელობამ და მისმა გამოძიებამ კი ჩვენი საზოგადოების ანტიპოდთა ჭეშმარიტი არსი და ბუნება შეიძლება წარმოგვიჩინოს. თურმე რომანის დასაწყისში ერთმანეთს დაცილებულ ქალ-ვაჟსაც შეუნელებელი ინტერესით მივადევნებთ თვალს რაკიღა ვრწმუნდებით, რომ მათი გრძნობა ოდესღაც წრფელი იყო და მისი გამოძახილი სიუჟეტის განვითარების მთელ მანძილზე აშკარად საგრძნობია.

რომანი გვარწმუნებს იმაში, რომ თეიმურაზ არჯევანიძის და ნათია ავალიშვილის ერთმანეთისაკენ სწრაფვა სწორედ ხალასი გრძნობით იყო გამოწვეული. ჩვენ ვხედავთ, რომ უბნის უფროსის თანამდებობიდან ჯიბრაილ ხელთუფლიშვილის მოხსნა და მის ადგილზე თეიმურაზ არჯევანიძის დანიშვნა მთელ იმ უბანს, ასობით მეშახტეს და ხელმძღვანელობას სერიოზული, მძიმე, ზოგჯერ კი გადაუჭრელი პრობლემების წინაშე აყენებს. ჩვენთვის ნათელი ხდება, რომ უსაქმური თაზო ბულეიშვილის მიერ თავისივე ძმაკაცისა და თანამეინახის ანზორ კუპატაძის შემთხვევითი მოკვლა შედეგია იმ ალვირახსნილი, უაზრო ცხოვრებისა, რასაც ეს ახალგაზრდები წლების მანძილზე ეწევიან. ხოლო გამომძიებლის, მილიციის პოლკოვნიკის, მექრთამისა და გამომძალველის აქვსენტი შარაშენიძის სახე გვიდასტურებს, რომ ზოგჯერ ჩვენს მორალურ და იურიდიულ კანონებს სწორედ ისინი სთელავენ ფეხქვეშ, ვისაც ამ კანონების დაცვა არა მხოლოდ მოქალაქეობრივი ვალით, სამსახურებრივადაც ევალება.

„გვიმრის ფოთლები“ წლების მანძილზე იბეჭდებოდა ჟურნალის ფურცლებზე და მხოლოდ შარშან დასრულდა. რამაზ კობიძეს აქამდე მხოლოდ მოთხრობების ავტორად ვიცნობდით. ეს მისი პირველი და თანაც ფართოპლანიანი რომანია. იგი თამამად შეეჭიდა რთულ, მრავალწახნაგოვან თემას და ჭეშმარიტი პროფესიულობის დონეზე დასძლია.

ეროვნული კოლორიტი, რელიეფურად გამოკვეთილი ხასიათები, ბუნებრივი, ლაღი თხრობა (უნდა შევნიშნოთ, ალაგ-ალაგ გაჭიანურებული), სხარტი დიალოგები, რაც მთავარია, ცხოვრების ღრმა ცოდნა, ემპირიული მასალის განზოგადებისა და ოპტიმისტურ პერსპექტივაში მათი გააზრების უნარი — აი ის ღირსებები, რომლებიც „გვიმრის ფოთლებში“ აშკარად ჩანს.

ეს რომანი ეგრეთწოდებულ საწარმოო თემისადმი მიძღვნილ ქართულ პროზაში, ჩემი აზრით, საუკეთესოა და ამდენად მისი მნიშვნელობა ფრიად სერიოზულია.

„გვიმრის ფოთლები“ ქართველ მეშახტეებზეა დაწერილი. ავტორი კარგად იცნობს მეშახტეების ცხოვრებას და გულთბილად, დამაჯერებლად მოგვითხრობს მასზე. მაგრამ მეშახტეთა შრომისა და ყოფის სპეციფიკის აღწერა ავტორისათვის თვითმიზანი არ არის და არც შეიძლება იყოს. რომანის კითხვის დროს ჩვენს ყურადღებას უფრო ეს სპეციფიკა კი არ იპყ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რობს, არამედ ის ცხოვრებისეული წინააღმდეგობანი, ვნებათა ღელვა, დარდი თუ სიხარული, რაც გმირებს აფორიაქებს.

რომანისეული კოლიზიები, აქ წარმოჩენილი კონფლიქტები ერთნაირი ძალით აღელვებენ არა მარტო იმათ, ვისაც მეშახტეების ცხოვრება აინტერესებს, არამედ ყველას, ვინც კი ასხვავებს ერთმანეთისაგან შრომასა და ყალთაბანდობას, სიყვარულსა და სიძულვილს, პატიოსნებასა და ქვეგამხედვარობას, მეგობრობასა და სიმუხთლეს..

რამაზ კობიძის მეშახტეები მარტო მიწისქვეშეთის წყვდიადსა და ნესტს, ფოლადივით მტკიცე ქანებს კი არ ებრძვიან, არამედ — კარიერისტებსაც და მომხვეჭელებსაც, გულცივ და მეთავისე ხალხსაც, უცოდინართაც და საკუთარ ღირსებებზე გაზვიადებული წარმოდგენის მქონეთაც. ეს უბრალო მშრომელები შესანიშნავად ერკვევიან ჩვენი ცხოვრების, ჩვენი დღევანდელობის უმწვავეს საკითხებში და სიმართლისათვის მებრძოლებად გვევლინებიან.

ეს სულაც არ მოასწავებს იმას, თითქოს რამაზ კობიძის რომანის ის გმირები, რომლებიც მშრომელებს განასახიერებენ, ყველგან და ყველაფერში მართალნი, სიცოცხლისაგან დაცლილი სქემები იყვნენ მხოლოდ. ასე სრულიადაც არ არის და, თუ გნებავთ, სწორედ ამაშია რომანის ჰუმანისტური კონცეფციის სიღრმეცა და დამაჯერებლობის ძალაც.

„გვიმრის ფოთლების" უარყოფით პერსონაჟებზე სიტყვას არ გავაგრძელებ. ისინი, — პოლკოვნიკი აქვსენტი შარაშენიძეც, რომელიც თავის ცხოვრებისეულ ცოდნასა და გამოცდილებას მხოლოდ ქონების მოსახვეჭად იყენებს: შახტის უბნის უფროსის მოადგილე ანთიმოზ ჩახუნაშვილიც, თავისი პირადი კეთილდღეობის ძიებაში საბჭოთა კანონების ჰუმანურობას რომ აეფარება უსულგულო და ლოთი საქმოსანი კალისტრატე მაგრაქველიძეც, გაავებული ახალგაზრდები — ბესარიონ მაგრაქველიძე, თაზო ბულეიშვილი, თენგიზ ჯაველიძე და მათ შორისაც კი ყველაზე უმდაბლესი და უსაზიზღრესი, „დახვეწილი", „ინტელიგენტური" და, ამავე დროს, ყველაზე უფრო სულმდაბალი და ბოროტი, პროფესორის შვილი მირზა ჭირაქაძეც, თუ სხვები — ყველანი საზოგადოების ხორცმეტები არიან. ამ აშკარა გარეწრებს განაჩენს ყველა იოლად გამოუტანს და ავტორისეული პოზიციაც აქ მარტივია.

გაცილებით უფრო რთულად დგას დადებითი გმირების საკითხი. მწერალი იმ მრწამსს მისდევს, რომ ამქვეყნად უშეცდომო არავინ არის და ცოცხალი შტრიხებით გვიხატავს გმირებს. ისინი უბრალო, შინაგანად პატიოსანი, ალალმართალი მშრომელები არიან, მაგრამ ყოველ მათგანს მოსდის სერიოზული, ზოგჯერ კი მძიმე შეცდომაც.

შეცდა გამოცდილი, მრავალჭირნახული, თავისი საქმის შესანიშნავი მცოდნე და ერთგული, ხალხისათვის, მუშებისათვის თავდადებული შახტის უფროსი სარდიონ რაჭველიშვილი, როცა დიდი, რთული საექსპლოატაციო უბნის უფროსად ახალგაზრდა, ჯერ გამოუცდელი და ამისათვის მოუმწიფებელი სპეციალისტი თეიმურაზ არჯევანიძე დააყენა და მას ასობით მეშახტის ბედ-იღბალი, სიცოცხლეც კი ანდო.

შეცდა თვითონ თეიმურაზიც, ეს ბუნებით თავმდაბალი, გონიერი და წინდახედული ახალგაზრდა, როცა ამიდენა უბნის უფროსობა იტვირთა.

შეცდა გულმართალი, პატიოსანი ვაჟკაცი და დაუღალავი მშრომელი ჯიბრაილ ხელთუფლიშვილი, როცა გრძნობებს აჰყვა და რაკი თანამდებობიდან ჩამოაქვეითეს, თავისი შვილივით მოვლილი უბანი, თავისი ერთგული და მოყვარული ამხანაგები მიატოვა და სხვაგან გადავიდა სამუშაოდ.

ცდება ამაყი, თავნება, მომხიბლავი თბილისელი ქალიშვილი ნათია ავალიშვილი, როცა უსაქმურ სალახანებს მეგობრობს, მერე კი შესანიშნავ ვაჟკაცს, ნომალი დიხამინჯიას ნაჩქარევად და უსიყვარულოდ ცოლად მიჰყვება, რათა თავის უსიამოვნო წარსულს ამ გზით გაემიჯნოს, შემდეგ კი ნათია იძულებული ხდება ნომალის გაშორდეს და სრულიად უდანაშაულო ადამიანს უმძიმესი სულიერი ტრავმა მიაყენოს.

დიახ, ცდებიან ყველანი, ან თითქმის ყველანი, მაგრამ ისინი ცდებიან სწორედ მაშინ, როცა ცხოვრების მწვავე სიტუაციებში მოხვედრილნი ღალატობენ საკუთარ მრწამსს, თავისი ბუნების და პრინციპების საწინააღმდეგო საქციელს სჩადიან. ყველა ესენი ალალმართალი, შინაგანად პატიოსანი, საქმის და მოვალეობის ერთგული ადამიანები არიან, ამიტომაცაა, რომ საკუთარ შეცდომებს ყველაზე მტკივნეულად თვითონვე განიცდიან და თვითონვე თავდაუზოგავად იღწვიან მათ დასაძლევად.

ყველაზე დიდი და შეუმცდარი მსაჯული თვითონ ცხოვრებაა, — თითქოს გეუბნება რომანის ავტორი. ადრე თუ გვიან, იგი უთუოდ დაგვარწმუნებს ჩვენს შეცდომებში. შეიძლება ეს ტკივილის გარდა მსხვერპლსაც მოითხოვდეს ჩვენგან. მაგრამ, ვისაც საკუთარი გამარჯვება და საერთოდ სიმართლის ზეიმი სწყურია, იგი არც ტკივილებს და არც მსხვერპლს არ უნდა შეუშინდეს. ასე იქცევიან სწორედ ამ რომანის დადებითი გმირები, რომლებიც მშრომელი ხალხის საუკეთესო თვისებების, ცხოვრებისეული სიმართლის გამომხატველნი არიან. საერთოდაც, სწორედ ეს ცხოვრებისეული სიმართლეა რამაზ კობიძის „გვიმრის ფოთლების" მთავარი ღირსება.

ბევრად უფრო დრამატული მოვლენების მოწმენი ვხდებით გიორგი ციციშვილის ახალ ნაწარმოებში „სძლიე სიხარბესა შენსა", რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელიც გასულ წელს „მნათობში“ დაიბეჭდა და ცალკე წიგნადაც გამოვიდა. მე იგი ზემოთ რომანად მოვიხსენიე, თუმცა ავტორმა მას მოთხრობა უწოდა. ამაზე არ ღირს დავა, მითუმეტეს გიორგი ციციშვილთან, ვინც თავად არის ლიტერატურის თეორიის და ისტორიის ცნობილი და, შეიძლება ითქვას, ძველი სპეციალისტი. არ ღირს იმიტომაც, რომ ეს არ არის პრინციპული საკითხი. უბრალოდ ვიტყვი, ერთი ოჯახის ისტორია აქ ისე საფუძვლიანად არის გადმოცემული მთელი მისი ცხოვრების მანძილზე, თანაც მასთან იმდენად ფართოდ არის დაკავშირებული სოფლის ყოფა და პერიოდის მნიშვნელოვანი, ეპოქალური ძვრების ჟამს, ხასიათები იმდენად მრავალმხრივად, ღრმად და სიხრულით არის გახსნილი, რომ ამ ნაწარმოებს, ალბათ, უფრო რომანი ეთქმის. მაგრამ, როგორც ვთქვი, ეს არ არის მთავარი.

მთავარი ისაა, რომ გიორგი ციციშვილმა ცოცხლად დაგვიხატა შუა ქართლის ერთი მშვენიერი სოფელი სამება, ამაღელვებლად მოგვითხრო მის მცხოვრებთა ისტორიულ ბედზე მეოცე საუკუნის 20-იანი წლებიდან მოყოლებული ჩვენს დღეებამდე, გვიჩვენა ის დაძაბული, შრომით, სიხარულით და სიმწარითაც გავლილი გზა, რაც საერთოდ დამახასიათებელი იყო ქართული სოფლისათვის ამ ხნის მანძილზე და ამით თითქოს კერძო ამბავს განზოგადებული მნიშვნელობა მიანიჭა.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს მწერლის თხრობის დინჯი, დარბაისლური მანერა, მისი ლექსიკის სისადავე, სიმსუყე და კოლორიტულობა. იგი აუჩქარებლად გვიყვება ამბავს, რომ ზერელედ ნათქვამი არაფერი გამოუვიდეს და დაგვაჯეროს თავის სიმართლეში, ყველა და ყველაფერი ცხადლად დაგვანახოს, გვაგრძნობინოს და განგვაცდევინოს, საფუძვლიანად გაგვიხსნას იმ მნიშვნელოვან მოვლენათა მიზეზები და შედეგები, რასაც რომანში შეუფარავად ვხედავთ. უნდა ითქვას, რომ ამ წადილის გამო თითქოს თხრობა გაჭიანურებული გვეჩვენება, ავტორი ერთსა და იმავე ცხოვრებისეულ ეპიზოდს რამდენჯერმე უბრუნდება და ეს ზოგჯერ გამეორების და ზედმეტობის შთაბეჭდილებას სტოვებს, მაგრამ იქნებ სწორედაც განზრახ იქცევა ასე, რომ ბეჯითად გვითხრას და გაგვაგებინოს თავისი სათქმელი.

რომანის სათაურში „ხძლიე სიხარბესა შენსა“ პირდაპირ არის გაცხადებული ავტორის პათოსი, მისი მთავარი შეგონება, და ეს, ერთი შეხედვით საკითხის სწორ-ხაზოვან გადაწყვეტად ჩანს, მაგრამ კითხვის პროცესში თანდათან სულ უფრო ვრწმუნდებით, რომ აქ ზედაპირულად, გარედან არაფერია დანახული და შეფასებული. მწერალი სწორედ სიღრმისეული მიზეზების კვლევით მიდის იმ შემაძრწუნებელი შედეგების ჩვენებამდე, რაც თავისთავად უკვე ცნობილი იყო ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრებითაც და მწერლობის წყალობითაც.

სამება, როგორც შევიტყობთ, ადრე განთქმული სოფელი იყო თავისი სიკეთითაც და თავისი ბარაქითაც, აქაური მოსახლეობა გამოირჩეოდა უზარებლობით და უშურველობით, გარჯითა და შრომით, სიქველითა და სინიდისიერებით. აქვე, რომანის დასაწყისშივე ვხედავთ, რომ ახლა ამ წმინდა სოფელს მომხვეჭელობის ციებ-ცხელება შეჰყრია, გლეხები ერთმანეთს ეჯიბრებიან, ვინ უფრო დიდ და მდიდრულ სახლს აიშენებს მამამისხლად ნაყიდი მასალით. ახლა სხვა ინტერესი გასჩენია სოფელს და თავისი სახეც და თავისი სიკეთეც დაუკარგავს. თითქოს ხალხიც შეცვლილა: ადრე ამოვანნი, ჯანმაგარნი და მშვიდნი, ახლა ჩასუქებულნი, ფაშვგადმოგდებულნი, აცეტებულნი ჩანან, ადრე თუ მიწისა და მარჯვენის იმედით იყვნენ, ახლა თვალი გვერდზე, იოლ საშოვარზე გაურბით. ასეთია, ერთი შეხედვით, კონტრასტი ძველსა და ახალს შორის, რაზეც თავიდანვე მიგვაქცევინებს მწერალი ყურადღებას. მერე კი იწყებს იმ გზის მიკვლევას, რამაც ასეთი კონტრასტი შექმნა და ამას ერთი ოჯახის ცხოვრების მაგალითზე გვიჩვენებს. ეს გოდერძი ზენკლიშვილის ოჯახია.

ეს არის უაღრესად საინტერესო, საგულისხმო ისტორია გარემოებათა წყალობით ერთი მშრომელი გლეხკაცის სულიერი დაცემისა და შემდეგ კვლავ აღზევებისა.

მკითხველი გოდერძი ზენკლიშვილს პირველად მაშინ შეხვდება, როცა ის უკვე სამებაში დაარსებული „ლესსტროიტორგის“ ბაზის მმართველია. ჩასუქებული და გაზულუქებული, ქონება და პატივმოხვეჭილი, იგი მედიდურად გადაჰყურებს სოფელსაც და საკუთარ, ღიას, სწორედ საკუთარ ბაზასაც, მეზობელი რაიონებიდანაც რომ ფუტკარივით შემოსევია ხალხი. მხოლოდ ამის მერე მოგვითხრობს მწერალი თუ როგორ გადაიქცა ერთი ალალი და მშრომელი სამებელი გლეხიკაცი არამ, ფუფუნებაში ჩაფლულ მუქთახორად.

დიდი გულისტკივილით მიგვადევნებინებს თვალს მწერალი გოდერძის სულიერი დაკნინების პროცესს. ახალგაზრდობაში იგი თავისი ვარგენობითაც და სულიერი სიმშვენიერითაც სოფლის თვალი ყოფილა, ნამამასახლარის, მერე კი კულაკ კაკოლა შავდათუაშვილის ქალი მალალოც მხოლოდ მისი საოცარი ეშხიანობის გამო ჩავარდნია გულში და არა იმიტომ, რომ მამამისის ქონებას დახარბდა. მაგრამ ამ ახალ გარემოში მოხვედრამ ბევრწილად გადაწყვიტა მისი ბედის უკუღმა დატრიალება. ჯერ ჯიუტად იუარა მშრომელი კაცის ცხოვრებაზე ხელის აღება, მეტივეობა ირჩია, ხიფათითა და განსაცდელით სავსე ხელობას მოეკიდა, რომ საკუთარი მარჯვენითა და ვაჟკაცობით ერჩინა ოჯახი. მერე ნელნელა, ჯერ უნებურად და შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

უმჩნევლად, შემდეგ კი სულ უფრო მეტად დაჰყვა კაკოლას, ამ გამრჯე, მაგრამ კულაკური ბუნების კაცს და ახე დაემონა მომხვეჭელობას, თუმცა სულის სიღრმეში მიმქრალ, მაგრამ მაინც ერთადერთ სიყვარულად მტკვარი და იქ გატარებული ნამუსიანი ახალგაზრდობა დარჩა.

კაკოლას ახლა ხვა, უკვე პროფესიონალი საქმოსნები წამოეშველნენ, იხაკა დანდლიშვილისა და მისი ფართოდ გაბმული ქსელის მონაწილეთა სახით, სადაც ხელმძღვანელი პირებიც საკმაოდ არიან, მათ შორის რაიკომის მდივანი ვახტანგ პეტროვიჩიც. ახე გადაიქცა გოდერძი გლეხკაციდან საქმოსნად.

მწერალი საინტერესოდ გვიხატავს იმ გარემოს, რომელმაც გოდერძის ბედი ახე უკუღმა დაატრიალა, ჩაძიებულად აკვირდება განსხვავებული ხასიათის, ბუნების, ფსიქიკის გმირებს, რომლებიც ერთმანეთთან საერთო დანაშაულს დაუკავშირებია. მაგრამ მთავარი მაინც გოდერძის აფორიაქებული ფიქრები და მძიმე განცდებია. ცხოვრების ამ მღვრიე მორევში ჩათრეულს ვერც თავი დაუღწევია, არადა დათრგუნული ხმა მაინც ესმის და არ ასვენებს, სულს უღრღნის. სძლიე სიხარბესა შენსა, კარნახობს ეს ხმა, მაგრამ გოდერძის საამისოდ საკუთარი ძალა აღარ ყოფნის.

ამ მხსნელ ძალად მას ახალი საზოგადოებრივი ატმოსფერო მოევლინება, რომელიც ნაპირზე დაყრილი თევზებივით უმაროდ დატოვებს ცხოვრების დაწმენდილი მდინარებიდან გარიყულ საქმოსნებს. ახლა კი სძლევს გოდერძი სიხარბეს, მისი პაპუკობისდროინდელი სუფთა ბუნება იმძლავრებს და იგი თავის არმალ ნაშოვნ ქონებას, სახლ-კარს, ეზო-გარემოს, მთელ სიმდიდრეს სახელმწიფოს გადასცემს საკუთარი ნებით, თვითონ კი სიბერის ჟამს ერთგულ მაღალოსთან ერთად იმ პატარა ღარიბულ სახლს დაუბრუნდება, რომელიც სიყრმიდან ჰქონდა მიტოვებული.

არის რაღაც სიმბოლიკური მინიშნება იმაში, რომ გოდერძის თავისი მეტივეობის „ნანინანატრ დროიდან“ შემორჩენილი სიყვარულის ძალით გული მტკვრისაკენ გაუწევს, თითქოს მისთვის წმინდა წყალში უნდა განიბანოსო. ბებერი, მაგრამ ჯერ კიდევ მხნე გოდერძი მესამედაც შეუტევს მორევს, მაგრამ ამჯერად ძალა უმტყუნებს. მეტისმეტად ძნელი ხომ არ იყო მისთვის ათეული წლების მანძილზე აკიდებული ცოდვების განბანა, ან იქნებ ნაგვიანევი იყო ამისი წადილი? ასეა თუ ისე, სწორედ მის საყვარელ მდინარეში დალევს იგი სულს.

გოდერძი ზენკლიშვილი უთუოდ რელიეფური, საინტერესო სახეა, რომელთან დაკავშირებითაც მწერალი ბევრ საგულისხმო ფიქრს გაგვანდობს და აშკარად ილაშქრებს იმ უკუღმართობათა წინააღმდეგ, რაც დამახასიათებელი იყო ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის. მაგრამ ეს მხილება მაინც ცოტა ნაგვიანევი ჩანს, რადგან ქართულ მწერლობას ამის თაობაზე ადრე უკვე ჰქონდა ნათქვამი პირველი სიტყვა. ახე რომ, ეს უკვე გარდასული ბოროტების ახსნაა და არა ხაზიში, მოქმედი ძალის მხილება.

ჩემი აზრით, გიორგი ციციშვილის რომანში „სძლიე სიხარბესა შენსა“ არის ერთი უაღრესად საინტერესო გმირი, გოდერძის შვილი მალხაზი, რომელიც სწორედ დღეისათვის მეტად სახიფათო ცხოვრებისეულ ტენდენციაზე მიგვანიშნებს და სწორედ მისი მხილება სძენს ნაწარმოებს დიდ მოქალაქეობრივ და პუბლიცისტურ ძალას. მალხაზი იმგვარ ადამიანთა ტიპიური სახეა, რომელთაც მეტი ზიანის მოტანა შეუძლიათ დღეს, ვიდრე ეს გოდერძიმ გუშინ მოიმოქმედა.

გოდერძი აცდუნეს, მისი პირველბუნებისათვის ალალატებინეს და ისე ჩაადენინეს დანაშაული, რასაც იგი აშკარად და შეუნიღბავად ეწევა. მალხაზი უკვე ჭუჭყიან ატმოსფეროში ჩამოყალიბდა და ჭუჭყიანი სულივე დაჰყვა. იგი უოველგვარი სინიდისის ქენჯნის გარეშე ადგას ბოროტების გზას. ამას გარდა, იგი მამამისისაგან განსხვავებით, წინდახედულია, შენიღბული, ცბიერი. პატიოსანი კაცის როლს თამაშობს და სიხარბე კი ვერ დაუძლევია, არცა ფიქრობს მის ღაძლევას, რადგან ეს მისი ორგანული, შესისხლხორცებული მოთხოვნილებაა. მას სხვისი ხელით უნდა ჭუჭყიანი ქონების მოხვეჭა. მამამისს სული სუფთა ჰქონდა, ხელები კი ჭუჭყიანი. მალხაზს პირიქით, სული ბინძური აქვს, ხელები კი სუფთად უნდა ჰქონდეს. ეს გოდერძიმაც შეატყო და ცხოვრებაგალეული კაცისათვის ყველაზე მძიმე ტრაგედიად სწორედ შვილის უცხო, აუხსნელი და შემაძრწუნებელი სიმახინჯე იქცა.

მთავარი კი ისაა, რომ მალხაზი ჯერ აღზევების გზაზეა, იგი კვლავ ახერხებს კარგად მორგებული ნიღბით სხვათა შეცდენას, ქამელეონივით ეხამება ახალ გარემოს. იგი „დახვეწილი“ ბოროტებაა, ძნელად საჩინო, ყველას და ყველაფრის გაყიდვა და გაწირვა რომ შეუძლია შიგნიდან მოწოლილი სიხარბის გამო, მამისაც და ცოლისაც, მეგობრისაც და ხალხისაც. და იგი ახერხებს გულის წადილის ასრულებას. ჩვენ მას ვცილდებით მაშინ, როცა კიდევ ერთი საფეხურით იწევს მაღლა და რაიონის აღმასკომის თავმჯდომარედ მოგვევლინება.

მალხაზები დღეს საკმაოდ ბევრნი არიან. მათ მხილება უნდა. და ეს თამამად მოიმოქმედა გიორგი ციციშვილმა.

□ დასასრული იქნება □.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნიკო გოგოჭური

# ვაჟა-ფშაველას პოეტურ სამყაროში

ვაჟა-ფშაველას შემოქმედებითი დამოკიდებულება ფოლკლორისადმი — საკმაოდ რთული საკითხია. თავის დროზე ვაჟა მეტად მტკივნეულად განიცდიდა, როცა მის ფანტაზიის მარგალიტებს ფოლკლორიდან უბრალოდ წამოღებულად გაასაღებდნენ ხოლმე. პოეტს მოუხდა არაერთგზის გამოსულიყო პრესაში და ეჩვენებინა მიჯნა, თუ სადემარკაციო ხაზი ინდივიდუალურ შემოქმედებასა და ფოლკლორს შორის. და მაინც პოეტის გარდაცვალების შემდეგაც, უკვე ჩვენს დროში არ შეწყვეტილა იმის ცდები, რომ თუნდაც, მაგალითად, „გველის მჭამელის" კონცეფცია ხალხურად გაესაღებინათ. ამასთან ანგარიშს არ უწევდნენ იმას, რომ ვაჟას სიუჟეტები, წიგნური გზით ხელახლა გადიოდნენ ხალხში. იყო შემთხვევებიც, როცა ფოლკლორისტები ხალხში წიგნიდან გადასულ და გადასხვაფერებულ ამ სიუჟეტებს ხელახლა ჩაიწერდნენ და მერე იწყებდნენ ვაჟას ამა თუ იმ ნაწერების გენეზისის ძიებას. „გველის მჭამელის" ირგვლივაც ასეთივე ამბავი დატრიალდა. სინამდვილეში, ვაჟა-ფშაველას „გველის მჭამელის" მიმართება ხალხური თქმულებისადმი ისეთივეა, როგორც გოეთეს „ფაუსტისა" ხალხური ფაუსტისადმი.

ივ. ვართაგავამ ერთ-ერთმა პირველთაგანმა გამოაქვეყნა ცნობილი წერილები, რომლებშიც ხალხურ წყაროებთან ვაჟას დამოკიდებულების საკითხიც იყო განხილული. ივ. ვართაგავასადმი პასუხში ვაჟამ ბევრი, ლიტერატურის ისტორიისათვის დიდმნიშვნელოვანი ცნობა გამოაქვეყნა „ჩემი პოემები თითქმის ყველა ხულ ხალხურ თქმულებებზე, ძველ ამბებზე არის დაფუძნებული, თვითეული მათგანი სხვადასხვანაირად, ზოგი ცოტად თუ ბევრად უახლოვდება დედანს, ხზვა სრულიად დაშორებულია" — წერდა იგი (ტ. V, გვ. 315, 1961). აქვე მოკლედ, შეკუმშულად უთითებს ზოგიერთ ხალხურ წყაროზე, რაც მან ამა თუ იმ პოემის მასალად გამოიყენა.

სასურველი იყო იმის გამოწვლილვით კვლევა, თუ ხალხურ მასალებში ვაჟას რა ცვლილებები შეჰქონდა, რა იდეურ-მხატვრული გააზრებით, და რას აღწევდა ამით. ვრცელი, სრულყოფილი ანალიზი ამჟერად მოუხერხებელია. ამ წერილს მხოლოდ იმის პრეტენზია აქვს, რომ მკაფიოდ გამოავლინოს ის ნაკლებად შესწავლილი ფოლკლორული წყაროები, რომლებთანაც, ჩვენი აზრით, გენეტიკურ კავშირშია ვაჟა-ფშაველას შემოქმედება, მიუთითოს მათ ურთიერთმსგავსებაზე.

ვსარგებლობთ გამოცემით: „აკ. შანიძე — ქართული ხალხური პოეზია, I, ხევსურული, 1931 წ.". მე-17 გვერდზე საყურადღებოა ლექსი „ნარჩევი ხალხი", რომელშიც გმირების მთელი ელიტაა ჩამოთვლილი და ხოტბაშესხმული: ქისტი, ფშაველი, მოხევე, გუდამაყრელი, თუში, ხევსური. ტექსტი ხევსურულია და, ბუნებრივია, ამ კუთხის გმირები უფრო მეტია წარმოჩენილი. ლექსს თამამად შეგვიძლია ვუწოდოთ გმირთადმი მიძღვნილი საგალობელი თუ სადიდებელი. ჰეროიკული პათოსით იგი მოგვაგონებს გრ. ორბელიანის „სადღეგრძელოს" და ჟუკოვსკის ნაწარმოებს — „მომღერალი რუს მეომართა ბანაკში". ტექსტი ფოლკლორულია და ამდენად აქ, პირველ რიგში, საყურადღებოა ხალხის ზნეობრივი სამყარო, თვით ეპოქის ფსიქოიდეოლოგია. მასში იხატება ის ეპოქა, რომელსაც ჰეგელი „გმირთა ხანას" და „ინდივიდუალური თვითმყოფობის აღდგენას" უწოდებდა, ხოლო კარლეილი „ნახევრად ღმერთკაცთა არსებობის" ეპოქას.

აღნიშნული ლექსი ერთგვარ გასაღებს იძლევა ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში მოცემულ გმირთა სამყაროს ფოლკლორულ წყაროებთან მისასვლელად. წიგნში შეტანილია სხვა ლექსებიც,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომლებშიც უფრო დაწვრილებით არის გადმოცემული ამავე გმირთა თავგადასავლები. მოვიტანთ რამდენიმე ნიმუშს. 85, 142, 143, 314, 419-ე გვერდებზე გადმოცემულია თუში ხახალხო გმირის, — ლუხუმის, ანუ ლუის (შვილი) ლუხუმის სავმირო თავგადასავალთა მთელი ციკლი. ლუხუმი, ვაჟამ, როგორც ცნობილია, პოემა „ბახტრიონში“ შემოიყვანა და მისგან ზოგადპატრიოტული სიმბოლური სახე შექმნა. ხალხურ ტექსტებში არსად ჩანს, რომ ლუხუმი ბახტრიონის ბრძოლის მონაწილე, ან თანამედროვე ყოფილიყოს. იგი თურმე ლეკებს ებრძოდა და მათვე ემსხვერპლა. ცოცხალ, რეალისტურ კოლიზიებს აქ ბევრჯერ ლეგენდური პლასტები ენაცვლება და საინტერესო ეპოპეას ქმნის.

85-ე გვერდზე გადმოცემულია ამბავი: თუშთა და ლეკთა მოთარეშე რაზმები ერთმანეთს წასწყდომიან და შეტაკებულან. ლუხუმი ამხანაგებმა სამარცხვინოდ მიატოვეს ბრძოლაში.. ძალადამდგარი ლუხუმი კლდიდან გადახტა (ზოგ ვარიანტში შემთხვევით, ხიფათით გადავარდა) და ფეხი მოიტეხა. ტექსტის სიდიდის გამო მოგვაქვს მხოლოდ ამჯერად საინტერესო ნაწყვეტები:

...დაჩეხა თოფის ყონდაყი,
შაიკრა არტახითაო...
ლუხუმს გველ შამოეჩვია,
მუხლს ულოკს, უკურნისაო...
...შვიდ დღეს, შვიდ ღამეს
ლუხუმი სრუ ერთ ალაგზე ზისაო...
...ორი კვირა რომ გავიდა
ლუხუმს მუხლ ექნა მგლისაო.

ერთ ვარიანტში, ფეხმოტეხილ ლუხუმს ლეკებმა მიაგნეს, თავისი სანაქებო იარაღები წაართვეს და რაღაც უვარგისები მიუყარეს, თანაც „ცოცხალსვე ხელი მააჭრეს, წესიც არ იყვა მთიხაო. სხვა ვარიანტში კი (394) ეს კოლიზია სულ სხვანაირად არის გადმოცემული:

გადმოუჩინდნენ ლეკები
თორმეტი, დაღისტნისაო,
არ შაშინდების ლუხუმი,
ფერი დაიდვა მგლისაო...
„არ გინდ ლუხუმო, არ მაგკლავთ,
ბრალია კაის ყმისაო“...
აქიმად დააყენიან
დიაცი დუსურბნისაო...

ვფიქრობთ, რომ ეს ერთმანეთისაგან განსხვავებული ვარიანტები ვაჟასათვის ცნობილი იყო. მწერლის ჰუმანური, გმირული ეთიკით მეორე ვარიანტი აღმოჩნდა მისაღები, სადაც ლუხუმის უშიშრობამ, უფრო კი ვაჟკაცობამ ლეკები იმდენად მოხიბლა, რომ არა თუ დაუშავეს რაიმე, წაიყვანეს და უმკურნალეს კიდევაც. მოტანილი კოლიზია ბევრი რამით „ალუდა ქეთელაურისა“ და „სტუმარ-მასპინძლის“ კოლიზიების აშკარა ასოციაციას იწვევს: სასიკვდილოდ დაჭრილი მუცალის ხიმამაცე და ამით ალუდაზე მთაბეჭდილების მოხდენა; შემდეგ, — „მარჯვენას არ სჭრის მუცალსა, იტყოდა — ცოდვა არიო“. ან კიდევ ზვიადაურზე ქისტების ნათქვამი: „კარგი ვაჟკაცი ყოფილა, ყველა ალლახსა ჰფიცავდა“... მსგავსება უფრო აშკარად ჩანს სხვა ვარიანტებში (419). მთაში, ბოსელში, ლუხუმი მარტო ყოფილა და...

...დაუგულებავ ლუხუმი,
ლეკებს დაუკრავ თვალია
(ან მთით, ლეკის მონადირემა
ლუხუმს მახკიდა თვალია),
გაუღეს შუაღამის ხანს,
ლუხუმსა ბოსლის კარია,
გამაიძიეს ბოსელი,
ნაწოლ მახელეს ხარია...
დაასხდენ, ვერ იმაგრებენ
ლუის ლუხუმსა ცხრანია,
ძლივს სადამ დაიმორჩილეს,
ამბობს: „რა მოშლით ვარია?.
ვაი თქვენს ლუხუმს, ძალლებო,
თოფმ დამინაყა ტალია,
აღარც გადმომყვა ხანჯარი,
მედინა სისხლის ღვარია!“
გამაიყვანეს ლუხუმი,
ვიწროდ შაუკრეს მხარია,
გამართეს სალეკეთოდა,
წინ დაუყენეს ცხვარია.. .
ქავთრის მთას გადასაესა,
თუშეთს დასწერა ჯვარია:
„მშვიდობით ჩემო თუშეთო,
მომავალ აღარ ვარია!“
ჩავიდეს დიდოთ სოფელში,
შამაეხვია ჯარია:
„შენ ხარა ლუის ლუხუმი,
ლეკეთის ნიაღვარია?!“
იყიდა ჰირის პატრონმა,
სრუ გაიტანა რვალია...
შამაახდინეს საფლავზე,
რო ნაკურთხევი ხარია...
თუშის ქალმ იცნა, შასტირნა:
„ლუხუმს ნუ მახკლავთ, ბრალია!“
საფლავზე გამათამაშთა:
„ხელშიამც მამცა ხმალია!“

მოტანილი ტექსტის თითქმის მთელი სიუჟეტი, — ლუხუმის შეპყრობისა და დასჯის სცენები ეხმაურება „სტუმარ-მასპინძლის“ შინაარს, — ზვიადაურის შეპყრობისა და დასჯის სცენებს: ღამით, უიარაღო კაცზე ვერაგულ თავდასხმას და ბევრთაგან შებოჭვას; შემდეგ: „რას ამბობს ზვიადაური, სახე რადა აქვს მტკნარია? ბოლმა მიტომ მკლავს ვაჟკაცსა, რომ ხელთ არა აქვს ხმალია; „ჩამიგდეთ ხელში ძაღლებო, კარგი დაგიდგათ დარია?“ და სხვა. ლუხუმი „ლეკების ნიაღვარია“, ზვიადაურსაც სახე აქვს „გადალესილი ცოფითა“, მან „აავსო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფშავ-ხევსურეთი აქით წასხმული ძროხითა“ და ა. შ.

„სტუმარ მასპინძლის“ ექსპოზიციური საფუძველი (მონადირეთა შეხვედრით დაწყება) იქნება აქედანაა შთაგონებული: „მთით ლეკის მონადირემა ლუხუმს მახკიდა თვალია“. ასევე, ალუდა ქეთელაურის, საბოლოო მონოლოგის („მშვიდობით საჯიხვეებო“...) შექმნისათვის პოეტის შთამაგონებელ წყაროდ წარმოგვიდგენია ლუხუმის დამშვიდობება თუშეთისადმი — „მშვიდობით, ჩემო თუშეთო“... ლეკის საფლავზე ლუხუმის ცეკვის სურათი თითქმის ტოლს უდებს ზვიადაურის მოქმედებას სიკვდილის წინ. ტყვე თუშის ქალის ტირილი და ლუხუმისადმი გამოქომაგება აღაზას სახის შტრიხია.

ქართულ ფოლკლორში კარად არის ცნობილი შიოლას და მთრეხელის ციკლის ლექსები (12, 14, 827, 340, 341, 342). შიოლა ლუდუშაური ზურაბ ერისთავის თანამედროვე ყოფილა, ზოგი ტექსტით კი ხევში მისი დამპყრობლური პოლიტიკის გამტარებელი თუ დამქაშიც: „შიოლავ, ლუდუშაურო, სკამს იჯე ერისთვისასა“. ერთი გადმოცემით, მას თითქოს ერისთავისაგან ნაბოძები სკამი ჰქონია. ვფიქრობთ, ეს ვერსია — „სკამს ჯდომის“ პირდაპირი მნიშვნელობით მიჩნევა, — გვიანდელი და ტექსტის გაუგებრობაზე აგებული უნდა იყოს. ეს იდიომური გამოთქმაა და ერისთავის ოჯახთან მახლობლურ (თუ ნათესაურ) ურთიერთობას გულისხმობს.

ლექსებში შიოლა, დიდი ფიზიკური ძალის აღიარებასთან ერთად, ძალზე ცუდადაა დახასიათებული: მომხვეჭელი, მჩაგვრელი, ამორალური. მის მეტოქე მთრეხელის შესახებ ცნობები უფრო ძუნწია. ბეს. გაბურის ცნობით, არხოტელი ყოფილა და ხევში (სნოში) გათხოვილ დასთან მიმავალებულა სტუმრად. მას შიოლა შეხვედრია და ძალადობა დაუწყია...

...ცხენი მასთხოვე გიბოძა,
მშვილდს რაღად სთხოვდი რქისასა?!
მშვილდ თავად უნდა მთრეხელსა,
ნაპირის ადგილისასა...
— გზა ყველაისად სწორია,
რად არ გამიშობ ხთის მადლსა?!
არ დაიშალა, გადასწვდა
მხარით ნადებს მშვილდსა რქისასა:
— გახლავარ ლუდუშაური,
არ დაგიფერებ სხვისასა!
...გულს დაგკრა, სხვაკე გაგვარდა
ფალავანს აჩხოტისასა...
— კარგა ხანს სჭამე აჩხოტი,
ახლა მე გაჭმევ მიწასა!

ციტირებული ნაწყვეტი იმდენად ანალოგიურია გოგოთურის და აფშინას შეტაკების ეპიზოდისა; ორივეგან ერთიდაიგივე მორალია: მამაკაცისთვის იარაღი, ტრადიციული გაგებით, ღირსების სიმბოლოა, იარაღის დათმობაც და თვით წართმევაც გაუმართლებელ სიმდაბლედ არის შერაცხული. ხალხის სიმპათია აშკარად მთრეხელის მხარესაა. განსხვავება კი იმაშია, რომ გოგოთურმა მთრეხელისებრ კი არ მოკლა მოძალადე აფშინა, არამედ სამარცხვინოდ განაიარაღა და შეაჩვენა.

მთრეხელს ლუდუშაურები მოსაკლავად გამოუდგნენ. მან ღვთისმშობლის სალოცავს მიმართა, იმ იმედით, რომ შიგ შეფარებულს აღარ მოკლავდნენ. კარები დაკეტილი დაუხვდა. გალებას შეეცადა და მშვილდიც გაუტყდა. ამას მოსდევს ახალი საყურადღებო კოლიზიები. მთრეხელი შიოლას დის ოჯახში შევარდა:

მივა და შაეხვეწების,
ძმისა მამკლავი — დისასა...
— დაო, ვერ შამინახავდი?
ცხონებას შენის ძმისასა!
— შემოდი შავო და ბნელო,
თუ სულს ვაამებ მკვდრისასა!

ბეს. გაბურის ცნობით „ქალმა სოფელი შაყარა, აილეს მთრეხელი, წამაილეს არხვატს. შიოლას დამ დაუყენა წინ მკვდარ მთრეხელს თავისი ქორა ხარი, სამთრეხლოს მთამდე გაჰყვა, მთაზეით დაბრუნდა. უთხრა მთრეხელს: ღმერთმა გაცხონოს მთრეხელო, სტუმარო, ჩემს სახლში დახარჯულოო“.

ჯოყოლაც სწორედ ძმის მკვლელ სტუმარს იცავს: „დღეს სტუმარია ეგ ჩემი, თუნდ ზღვა ემართოს სისხლისა“. შემდეგ: „...შენ და შენ სტუმარს ორივეს ერთად გაგისვრით ბექითა“... „...ვის სტუმარს ჰბოჭავთ თოკითა?.. რად სტეხთ საუფლოს ჩვენს წესსა, თავს ლაფს რად მასხამთ კოკითა“.. „ფიქრობდა ბრაზმორეული, ნეტავი მომცა ცულიო“... „იძრო ხანჯარი, მუსასა, გულში უმარჯვა ვადამდე“... ან: „...ეგ სამხვეწროა, ბერდიავ, ძოლან მოკლულის ქისტისა... „ალლადა ჰქონდეს მუცალსა“... და სხვა.

როგორც ვხედავთ, ვაჟას გმირთა უმეტესობას მართლაც ჰყავს ერთი ან რამდენიმე ხალხური პროტოტიპი, რომელთა საუკეთესო თვისებები განსახიერებულია ამ გმირის ხასიათში. ზოგიერთი ძლიერი, მდიდარი შინაარსის მქონე პროტოტიპის მონაცემები კი „განაწილებულია“ ვაჟას რამდენიმე პერსონაჟს შორის. ფოლკლორული სიუჟეტები, ან პროტოტიპთა ხასიათებიდან ამორჩეული თვით საუკეთესო თვისებებიც კი ვაჟას თხზულებებში ზუსტი, ნატურალური სახით არ არის გადატანილი. ისინი განწმენდილი, დახალასებულია პოეტის შემოქმედებითი კონცეფციის შესაბამისად. ვაჟას ხალხური მასალებიდან ძირითადად იზიდავს ჰეროიკული, გმირული, ჰუმანური იდეალები, რომლიდანაც იგი ქმნის სრულიად ახალ სამყაროს — ზნეობრივად ამაღლებულს, ზოგადკაცობრიულს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამირან ჩხარტიშვილი

# პოეზია პორტრეტსა და პეიზაჟში

**საქართველოს** სახალხო მხატვარი ნათელა იანქოშვილი ქართული ეროვნული ფერწერის ერთ-ერთი აღიარებული ოსტატია და იგი სწორედ ქართული ფერწერის ყველაზე საუკეთესო ტრადიციებს უკავშირდება; ამდენად გასაგებია რაოდენ საინტერესო და თვითმყოფად მხატვართან გვაქვს საქმე.

ნათელა იანქოშვილი ფართო ჰორიზონტის მხატვარია. აქვე გვინდა ვთქვათ, რომ იგი უპირველესად ფერმწერია, ამ სიტყვის საუკეთესო მნიშვნელობით. მისი საოცრად სუფთა, ხასხასა ფერების კოლორიტი გამჭვირვალე და მთრთოლვარეა. მხატვარს უყვარს მუქი ფერები და მან შესანიშნავად გვიჩვენა, რომ ყველა ფერი ჭეშმარიტ ფერმწერის ხელში აზრის გადმოცემის, განწყობილების შექმნის საუკეთესო საშუალებაა. მხატვარი უდიდესი ტაქტით, მაღალი პროფესიული ოსტატობით და დახვეწილი გემოვნებით უხამებს ერთმანეთს რეალურ სინამდვილესა და მხატვრულ თავისუფლებას. მხატვარი ფუნჯის ერთი მოსმით, ერთი ამოსუნთქვით ქმნის დაძაბულ დრამატულ ატმოსფეროსაც და ძალზე რთულ პოეტურ განწყობილებასაც. ნათელა იანქოშვილის სახით თანამედროვე ქართულ სახვით ხელოვნებას ჰყავს მეტად თვითმყოფადი, თავისებური, საკუთარი სტილისა და ხელწერის, მაღალი რანგის მხატვარი, რომელსაც ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უჭირავს ქართულ სახვით ხელოვნებაში. გზა, რომელიც ნათელა იანქოშვილმა გაიარა და რომელსაც იგი ახლაც მიჰყვება, სავსებით გამართლებულია. მხატვარი ფერებით, შუქ-ჩრდილებით ქმნის ადამიანთა იერს, აჩვენებს მათ შინაგან სამყაროს; მხატვარს უყვარს ადამიანი, მასში იგი მხოლოდ სიკეთეს ეძებს და უდიდესი მხატვრული ძალით გამოხატავს ამ კეთილ. თბილ დამოკიდებულებას ადამიანებისადმი. გამომსახველობითობის ძიებაში მხატვარი წარმატებით იყენებს კონტრასტებს, დეკორატიულობას, პირობითობას. მისთვის არ არსებობს წინასწარ დადგენილი კანონები, იგი თვითონ ქმნის თავისი ტილოებისათვის კანონებს და ეს კანონი ფერწერული თავისუფლებაა, სრული, შეუზღუდავი, თანაც ძალზე გაბედული თავისუფლება. ნათელა იანქოშვილი, მიუხედავად თავისი შემოქმედებითი მრავალმხრივობისა, უპირველესად მაინც პორტრეტისტი და პეიზაჟისტია. პორტრეტი მხატვრის საყვარელი ჟანრია. ჩვენ გვინდა მკითხველის ყურადღება შევაჩეროთ მხატვრის ადრეული პერიოდის პორტრეტებზე, რომლებიც, ჩვენი აზრით, მხატვრის საუკეთესო ნამუშევრებია. ესენია: „ნინო ჰავჰავაძე" (ეს პორტრეტი მხატვარმა 1958 წელს შეასრულა), ნუნუ გელდიაშვილის პორტრეტი (1959 წ.), „ნუკრია" (1958) და ავტოპორტრეტი „შავი პალიტრა" (1959 წ.). ამ ნამუშევრებისათვის დამახასიათებელია ღრმა ფსიქოლოგიზმი, მკვრივი მოცულობითი ფორმები, მძაფრი შინაგანი დინამიკა, მოქნილი. ელასტიკური პლასტიკა და ერთიანი მინანქრისებური, ღრმა და ძალზე ფერადოვანი ფერწერული ფონი, ფუნჯის თავისუფალი მონასმები, გამჭვირვალე და მოციმციმე ლაქების ღრმა გრადაციები, რომელიც ორგანულად ერწყმის მოდელთა გარეგან სისადავესა და ნახატის მკვრივ ფორმებს. პორტრეტების ფონი ამძაფრებს გამომსახველობითობას და პლასტიკურობას. აღნიშნული ნამუშევრები ჩვენ ნათელა იანქოშვილის საუკეთესო ტილოებად მიგვაჩნია. ისინი თანამედროვე ქართული პორტრეტის ოქროს ფონდს განეკუთვნება.

მომდევნო წლებში მხატვარი დაუღალავად მუშაობს პორტრეტის ჟანრში და ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენელთა ღრმა ფსიქოლოგიური პორტრეტების სერიას ქმნის:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანა კალანდაძე, მუხრან მაჭავარიანი, ნინო ჭიraქაძე, მედეა ჯაფარიძე, მზია იაშვილი-მესხი, დოდო ჭიჭინაძე, ვარდისფერკაბიანი გოგონა, ლია ჩაქურით, მამის პორტრეტი, სპარტაკ ბალაშვილი გლეხის როლში, ალექსი მაჭავარიანი, გიორგი სალარაძე და სხვ. აი ინტერესთაის ფართო წრე, რომელიც მხატვარს აინტერესებს. სანამ კონკრეტულად აღნიშნულ პორტრეტებზე რაიმეს ვიტყოდეთ, უნდა განვაცხადოთ, რომ ნათელა იანქოშვილი პორტრეტებზე მუშაობის დროს არ ცდილობს მოდელის ზუსტ მიმსგავსებაზე. მისთვის მთავარია ადამიანის ხასიათის. განწყობილების, შინაგანი არსის ჩვენება.

ნანა ფაჩუაშვილის პორტრეტი შესრულებულია მსუბუქად, ლაღად. მხატვარს შესანიშნავად უპოვნია მსახიობი ქალის პლასტიკურად საინტერესო, მშვიდი, ფაქიზი და დახვეწილი, თბილი შინაგანი ბუნება. ოსტატურად მოდელირებული მკვრივი და მოცულობიანი სახე ღრცნების ბურუსშია გახვეული, რბილი ნახატი, მოქნილი და მეტყველი ხაზები, ფაქიზი, ელასტიკური კონტური და ამასთან ძლიერი, ფონიდან მკვეთრად . გამიჯნული ფიგურა მშვიდად და ძალდაუტანებლად შემოდის მაყურებლის წარმოსახვაში და მოდელისადმი მხატვრის გულთბილ, საქმიან დამოკიდებულებას გვაგრძნობინებს. არ შეიძლება განსაკუთრებული ხაზი არ გაესვას მხატვრის მაღალ პროფესიულ დონეს. საოცრად ფერწერულ, მონოქრომულ და მეტყველ კოლორიტულ გამაში მკვეთრ ტონად ზის ერთი მოსმით გავლებული მოცულობიანი, სუფთა შავი ფერი, რომელიც შესანიშნავად ერწყმის საერთო კოლორიტს და კიდევ უფრო უსვამს ხაზს ტანსაცმლის რბილ და თბილ, ოსტატურად დაწერილ კოლორიტს. ეს პროფესიონალიზმისა და მხატვრულ-პლასტიკური ხედვის უტყუარი და გაბედული მაგალითია, რომლის გარეშე არ არსებობს დიდი ხელოვნება. საერთოდ ასეთი დეტალები ქმნიან სურათის მხატვრულ დონეს, მის პლასტიკურ გამომსახველობითობას. მამის პორტრეტის სახის დახვეწილი ნაკვთები, მისი არისტოკრატული ფორმები., რბილი და მოქნილი ნახატი. შუქ-ჩრდილის ნაზი შეხამებები, დაფიქრებული, დინჯი, ოდნავ ნაღვლიანი განწყობილება, რომელსაც კიდევ უფრო აძლიერებს მუქი კოლორიტი და ოდნავ, სულ შეუმჩნეველი მოგრძო პროპორციები, მოდელის სულის სიღრმეში 'ახედებს მნახველს. მხატვარი თითქოს რაღაცას აუღელვებია. მის გარეგან სიმშვიდეში ვეებერთელა შინაგანი სულიერი დაძაბულობა, მოუსვენრობა და ამასთან ხასიათის სიმტკიცე იმალება. ძლიერი, კეთილი ხასიათი, რომელიც, ყოველგვარ უსიამო მოვლენას საოცარი გულისტკივილით, შინაგანი აფორიაქებით ხვდება. ასეთია ეს უაღრესად ფსიქოლოგიური, დახვეწილი ოსტატობით მაღალი მხატვრული ღირსებით შესრულებული პორტრეტი.

აღნიშნული პორტრეტები დიდი ძალით გვიჩვენებს ადამიანის შინაგან სამყაროს, სადაც ფერწერის ფაქიზი და მაღალმხატვრული მოდელირება შესანიშნავად ერწყმის შეკრულ, მთლიან და ლაკონურ კომპოზიციას. ნანა ფაჩუაშვილისა და მამის პორტრეტები ქართული ფერწერის საუკეთესო ნიმუშებია.

მსახიობ ზინა კვერენჩხილაძის პორტრეტის კომპოზიცია რთული და ორიგინალურია. ძლიერი, ენერგიული ფიგურა აღსავსეა შინაგანი დრამატიზმითა და დაძაბულობით. მხატვარი ჩვეული მაღალი პროფესიული ოსტატობით, უტყუარი მხატვრული ალღოთი აჩვენებს საკუთარ დამოკიდებულებას მსახიობის პირად ღირსებებთან და ამას დიდი მხატვრული ტაქტით, პლასტიკური გამომსახველობით აკეთებს. ამიტომაცაა, რომ ამ საერთო დაძაბულობაში მაყურებელიცაა ჩართული. პორტრეტის მძლავრ შინაგან რიტმს ოდნავ ანელებს სურათის კუთხეში გამოსახული თაიგული, რომელიც თითქოს კომპოზიციის მხოლოდ დეკორატიული ელემენტია. იგი თავისი ფერადოვნებით, მშვიდი, ერთიანი ფორმით ანელებს მთელი კომპოზიციის დინამიკას. ეს მხატვრულად დიდი ოსტატობით ნაპოვნი და შესრულებული დეტალი უტყუარი პლასტიკური ხედვით პასუხობს მხატვრის დამოკიდებულებას კომპოზიციისადმი. პორტრეტის ჩამქრალი და ღრმა კოლორიტი, ლონიერი და ძარღვიანი ნახატი, მთლიანი, შეკრული კომპოზიცია, ცოცხალი და მოძრავი რიტმი ზუსტად მიანიშნებს მსახიობის ამპლუაზე და ეს განწყობილება პასიური როდია, იგი იმდენად აქტიური, იმდენად ორმხრივი და ამასთან ბუნებრივია, რომ მაყურებელი მთელი გულისყურით გრძნობს სურათის მიერ შექმნილ განწყობილებას და გულგრილი ვერ რჩება სიტუაციის მიმართ. ეს კი თავისთავად სახვითი ხელოვნებისა და განსაკუთრებით ფსიქოლოგიური პორტრეტის უპირველესი დანიშნულებაა. მხატვარი შესამჩნევ პროფესიულ ოსტატობას ამჟღავნებს, მაგრამ მისი ოსტატობა თვითმიზნური როდია, იგი ერწყმის სურათის საერთო ქსოვილს, ორგანულად შედის მის არსში და მხატვარს ეხმარება თქვას მისი სათქმელი, აჩვენოს მისი დამოკიდებულება. პორტრეტის ფორმისა და შინაარსის ასეთი ერთიანობა იშვიათია ჩვენს პორტრეტულ ჟანრში.

ერთხელ კიდევ გვინდა ხაზი გავუსვათ მხატვრის შემოქმედებითი აზრის, ფანტაზიის სილაღეს, ფერწერულ თავისუფლებას, რომლის გარეშე მაღალი რანგის ფერწერა წარმოუდგენელია. მხატვრის ლაღი, პასტოზური მონასმები, სუფთა ფერები, შუქ-ჩრდილთა გრადაცი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ები, კოლორიტის თავისებურება, ოსტატურად დახატული დეტალები, მკვრივი ფორმები, რომელიც ფერადოვანი ლაქებითაა შექმნილი, დინამიკური კომპოზიცია მხატვრის საკუთარ სტილზე, უტყუარ მხატვრულ ალღოსა და მაღალ მხატვრულ გემოვნებაზე მიუთითებს.

მზია გაბუნიას პორტრეტი შედარებით პატარა ზომისაა, იგი შესრულებულია ყავისფერ კოლორიტში. ფუნჯის თავისუფალი მონასმები, მსუყე, არათანაბარზედაპირიანია და მკვრივი. ხაზგასმულია მოდელის სიმშვიდე და ახალგაზრდობა. სურათის მარჯვენა მხარეს, თავთან ერთი მოსმით შექმნილი მრგვალი ფორმის ფერადოვანი ლაქა დეკორატიული დეტალის სახით შემოდის კომპოზიციაში და მასში დინამიკა, რიტმი და მოძრაობა შემოაქვს, თანაც ახალისებს, ამრავალფეროვნებს პორტრეტის ფერადოვნებას, კრავს მთელ კომპოზიციას. ასეთი ოსტატობით ნაპოვნი დეტალები ხშირ შემთხვევაში სურათის განწყობილების მხატვრული გამომსახველობითობის იმპულსი ხდება. ნათელია იანქოშვილის შემოქმედებისათვის, მისი მხატვრული აზროვნებისათვის იგი დამახასიათებელი თვისებაა, რაზედაც გვქონდა საუბარი, და გარკვეული მიზეზების გამო, რასაც გზადაგზა კიდევ შევეხებით.

მზია იაშვილი-მესხის პორტრეტი სრულიად განსხვავდება სხვა პორტრეტებისაგან, როგორც კოლორიტის, ასევე კომპოზიციის თვალსაზრისით. თეთრ კაბაში შემოსილი და პროფილში გამოსახული ფიგურა საოცრად დინამიკური, ცოცხალი და რიტმულია. იგი ზის დეკორატიულ, ყვავილებით მოჩითულ ბრტყელ, ფერადოვან ფონის წინ და თეთრი, ქათქათა სამოსლით მკვეთრად ემიჯნება საკმაოდ კონტრასტული ფერებით შესრულებულ ფონს. პორტრეტის ნახატი დახვეწილი და ფაქიზია. ფიგურის ზედა ტანი თხელი, ფაქიზი, ნაზი და ცოცხალია, ქვედა ნაწილი კი უფრო მკვრივი, რბილი და მოცულობიანი. მხატვარი განსაკუთრებით უსვამს ხაზს პორტრეტის დეკორს, ბრტყელ ფონზე გამოკვეთილი ფიგურის ტანიც ასევე მოცულობიანია, პერსპექტივა თითქმის უარყოფილია, ფიგურა მთლიანად წინა პლანზეა წამოწეული, მას თან მოჰყვება ფონიც. გამოსახვის ეს ხერხი მაყურებელს საშუალებას აძლევს ფიგურა აღიქვას როგორც ერთიანი, ლამაზი დეკორატიული სანახაობა. ამ შემთხვევაში აუცილებელი იყო დახვეწილი და სწორი ნახატი, რაც მაღალი მხატვრული ოსტატობის გარეშე წარმოუდგენელია, ამასთან მოძრაობა და კომპოზიციის მთლიანობა ერთ მხატვრულ მთლიანობაში უნდა იყოს, ყოველივე ამას მხატვარი იოლად ძლევს, თავისი დიდი გამოცდილებითა და მხატვრული ხედვის წყალობით.

ამ პორტრეტიდან გარკვევით ჩანს რაოდენ მნიშვნელობას ანიჭებს მხატვარ[illegible]ულობას, თუმცა იგი მოდელის შინაგან სამყაროს არასდროს არ ივიწყებს. ნინო ჰირაქაძის პორტრეტში იანქოშვილი ცდილობს ჩაწვდეს მოდელის როგორც გარეგან, ასევე შინაგან სილამაზეს, გადმოსცეს მისი ხასიათი და განწყობილება. მკვრივი, მოცულობიანი, ძალზე ფერწერული პორტრეტი აღსავსეა შინაგანი დინამიკითა და რიტმით. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მხატვარი არასდროს გულგრილი, პასიური არ არის მოდელისადმი დამოკიდებულებაში, იგი მუდამ დიდი სიყვარულით აჩვენებს თავის განწყობილებას, თავის სიმპათიებს. თავისი მრწამსისათვის არც ამჟამად უღალატნია მხატვარს. მაღალი, კარგად მოდელირებული ყელი, მკვრივი თავი, მკერდი და მხრები გამოძერწილია ფერადოვანი შუქ-ჩრდილების ოსტატური თამაშით. მსუბუქი, დახვეწილი და პლასტიკური კონტური განსაკუთრებით მიმზიდველს ხდის ფონიდან მკვეთრად ამოზიდულ ფიგურას.)

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მხატვარი არასდროს, მისი შემოქმედების ძიების ადრინდელ პერიოდშიაც კი, ფერებს თვითმიზნურად არ იყენებს. მხატვარი მუდამ ეძებს მოდელის, გარემოს, განწყობილების შესაფერ კოლორიტს. მართალია. იანქოშვილს ყველაზე მეტად შავი და მწვანე ფერი უყვარს, მისი გამა გამოირჩევა ყველა ქართველი ფერმწერის ფერადოვნებისაგან, მაგრამ ვინც გულდასმით დააკვირდება მის ფერწერულ მანერას, ყოველთვის შეამჩნევს ფერწერულ სიმდიდრეს, რაც ფერებით მოდელირების უმაღლეს პროფესიულ დონესა და დახვეწილ გემოვნებაში აისახება. „ლია ჩაქურით“ როგორც კოლორიტის, ასევე კომპოზიციის თვალსაზრისით ძალზე საინტერესო პორტრეტია. განსაკუთრებით უნდა გაესვას ხაზი ფიგურის მთლიან, მკვრივ ფორმას. ერთი შეხედვით წყნარი, მშვიდი და დინჯი ფიგურა აღსავსეა დინამიკით, ცოცხალი მჩქეფარე შინაგანი განცდითა და მღელვარებით. ნახატი პლასტიკური, მოძრავი და ელასტიკურია. არცერთი ნაოჭი, არცერთი ჩრდილი, მხოლოდ მეტნაკლებად განათებული ადგილები ქმნის სხეულის მკვრივ და მძიმე ფორმას. კომპოზიცია მახვილი, მთლიანი და ჰარმონიულია. თავისუფალი დგომა, ამაყი გამოხედვა, საკუთარ თავში თვითდაჯერება, საკუთარი ღირსების შეგრძნება პორტრეტის ფსიქოლოგიურ განწყობაზე მიუთითებს, ლონიერი ნახატი, მკვეთრი და მკაცრი კონტურები საოცარი სირბილითა და სინაზითაა შესრულებული. მხატვარი ნახატის კონტურის მკაფიობასთან ერთად, დიდი ოსტატობით გადმოგვცემს სირბილესა და მოცულობათა ერთმანეთში შერწყმის ჰარმონიას. ხაზი უნდა გაესვას პორტრეტის კოლორიტს. ეს არის საოც-

რად გაწონასწორებული, ჰარმონიული. მახვილი, ამასთან რბილი და ღრმა გამა, რომლის ტონები და ნახევარტონები ისე ერწყმის და გადადის ერთმანეთში, რომ წაშლილია ყოველგვარი ზღვარი დეკორატიულობასა და ფერწერულობას შორის. საოცარი სინაზით ციმციმებს ფერთა კოლერი, რომლის მრავალფეროვან გრადაციებს ფერწერულ კონტრასტად უდევს გვერდით ხასხასა, შუქიანი და რბილი წითელი ფერი, ფონის ღრმა ლურჯი, თვზამკაულის მოლურჯო-მოთეთრო, რომელიც ღრმა ყვითელში გადადის. ყველაფერი, ფერადოვანი განათებები და ასევე ფერადოვანი მუქი ადგილები თავისთავად კრავს და ერთიან კოლორიტში წარმოგვიდგენს პორტრეტს. ეს პორტრეტი განსაკუთრებული ძალით გვიჩვენებს მხატვრის მაღალ პროფესიულ დონეს.

„ჩაის მკრეფავი გოგონას" პორტრეტი თემატური კომპოზიცია-პორტრეტია. ძლიერი, ელასტიკური, დინამიკური ფიგურა შესანიშნავად ავლენს შრომის პათოსს. მოქნილი, ლონივრი ნახატი, ფიგურის ბუნებრივი მოძრაობა დაძაბული და რიტმულია. კომპოზიცია ზუსტად პასუხობს ფიგურის საერთო განწყობილებას და ავლენს ფიგურის პლასტიკურობას. თეთრი და მწვანე ფერებით ნაძერწი ფერწერა ლაღი და თავისუფალია, მოცულობა მკვრივი. ჩაის ბუჩქები მხოლოდ ზოგადად არის მინიშნებული. სწორედ ასეთი პირობითობაა მხატვრის დამახასიათებელი თვისება და იგი ნაპოვნია დიდი ტაქტითა და განწყობილებით.

მედეა ჯაფარიძის პორტრეტი იანქოშვილმა 1976 წელს შეასრულა. მხატვარი დიდი ტაქტით და გულისხმიერებით ცდილობს ჩაწვდეს მსახიობის სულიერ სამყაროს, ამოიცნოს მისი შინაგანი სულისკვეთება, იანქოშვილი ფაქიზად და მტკივნეულად გრძნობს მოდელის ხასიათის ნიუანსებს. განწყობილების ცვალებადობას. მედეა ჯაფარიძეს ბევრჯერ მოვუხიბლივართ მისი ფიზიკური სილამაზითა და არტისტიზმით, მასში ყოველთვის თანაბრად იყო და არის შერწყმული პროფესიონალიზმი, ქალური სინაზე და მიმზიდველობა. ნათელა იანქოშვილმა კი აქცენტი სწორედ მსახიობის შინაგანი სამყაროს ჩვენებაზე გადაიტანა. მკვრივი, ფიგურა, მყარად და ძლიერად დგას, მსახიობი დაძაბული და მოუსვენარია, თითქოს ახლაც ეძებს ახალ სახეს, სწორედ ასეთი, შემოქმედებითი აფორიაქების მომენტში გვაჩვენა მხატვარმა ჩვენი საყვარელი მსახიობი და ის მართლაც ზუსტად ასახავს მედეა ჯაფარიძის ხასიათს. პორტრეტის თავისუფალი, ძალდაუტანებელი მოძრაობა, დახვეწილი ნაკვთები შემოქმედებით ენერგიაზე მიუთითებს. ნებისყოფის დაძაბვის, დაუღალავი შრომის გარეშე არაფრის მოპოვება არ შეიძლება. აი მხატვრის დამოკიდებულება მოდელისადმი, მსახიობისადმი. იანქოშვილი არასდროს გულგრილი არ არის თავისი მოდელის ჩაცმულობისადმი. მხატვარი თვითონ არჩევს ტანსაცმლის ფერსა და ფორმას, ასევე იყო ამჯერადაც. წითელი, მწვანე და შავი ფერების გამა ზუსტად იგრძნო მხატვარმა და მოუსადაგა მოდელის ფორმას, პორტრეტის განწყობილებას.

მხატვარმა შექმნა ცირკის მსახიობის პორტრეტი, რომელსაც მოგვიანებით „ქალის პორტრეტი" უწოდა. მისი ფერწერული მანერა, კომპოზიციური გადაწყვეტა, საერთო განწყობილება, რასაც იანქოშვილი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს, მიანიშნებს თავდაპირველ ჩანაფიქრზე. უდიდესი სიზუსტით, მაღალი პროფესიონალიზმით არის დაწერილი ქალის თეთრი ქაბოიანი კაბა; ლაღი, თავისუფალი ფერწერა, არათანაბარი თამამი და მსუყე მონასმები საოცრად რელიეფური და ფერწერულია.

ძალზე ნაყოფიერად იმუშავა მხატვარმა 1978 წელს. ის, როგორც ჩანს, შემოქმედებით ამაღლობას განიცდის და რითაც ხასიხარულია, რომ უკვე დაპრძენებული, გამოცდილი ხელოვანი კვლავ დაუღალავად შრომობს და ქმნის დასამახსოვრებელ სახეებს. ამ რამდენიმე წლის წინ შესრულებული პორტრეტებიდან აღსანიშნავია ბორის პასტერნაკის პორტრეტ-კომპოზიცია, რომელიც მხატვარს დიდი სიყვარულით და სითბოთი შეუსრულებია. ქართველი ხალხის დიდი მეგობარი, ქართული კულტურის მოამაგე გამოსახულია პეიზაჟის ფონზე. მახვილი და კეთილი გამოხედვა, პლასტიკური და მეტყველი ფიგურა „ჩაჭედილია" ქართულ პეიზაჟში. შავ-მწვანე კოლორიტში მახვილი ლექსივით შეჭრილა წითელი ფერის ლაქა, ყვავილი, რომელიც ამშვენებს ელასტიკურ, ცოცხალ და მეტყველ ფიგურას. ამავე წელს შექმნა მხატვარმა ნიკოლოზ ბარათაშვილის პორტრეტიც, რომელიც პასტერნაკის პორტრეტის გამოძახილია. კომპოზიციურად, ფერწერულად, განწყობილებით ისინი ძალზე ახლოს არიან ერთმანეთთან და არც საკვირველია; პასტერნაკს ხომ სულის სიღრმემდე უყვარდა და გრძნობდა ბარათაშვილის პოეზიას. ამიტომ დაუკავშირა ისინი ერთმანეთს მხატვარმა. გარდა აღნიშნული პორტრეტებისა მხატვარმა შექმნა ალექსი მაჭავარიანის, მიხეილ თუმანიშვილის, ირაკლი ციციშვილის, შოთა ნიშნიანიძის, მუხრან მაჭავარიანის პორტრეტები. ყველა მათგანზე დაწვრილებით შეიძლება საუბარი, მაგრამ ერთი საჟურნალო წერილი ამის საშუალებას მოკლებულია.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ნათელა იანქოშვილის შემოქმედებაში გარკვეული ადგილი პეიზაჟს უჭირავს. მხატვარი დიდი ენერგიითა და შემოქმედებითი გატაცებით აგრძელებს თავისი მასწავლებლის, დიდი ქართველი პეი-

ზაჟისტის დავით კაკაბაძის ტრადიციებს. ნათელა იანქოშვილი მშობლიური ბუნების სილამაზეში ხედავს მისი ესთეტიკური შეხედულებების, სილამაზის გრძნობის გადმოცემის საშუალებას. ამ შემთხვევაში მხატვარი სრულიად თავისუფალია, მას ნატურა არ ბოჭავს, პირიქით, მშობლიური ბუნების ულამაზესი ხედები საშუალებას აძლევს ბოლომდე და ზუსტად თქვას სათქმელი. ნათელა იანქოშვილმა თანამედროვე ქართულ პეიზაჟში შეიტანა დახვეწილი, თავისუფალი ფერწერულობა, ლირიზმი და პოეტურობა. მისთვის ბუნება. მისი გრანდიოზულობით, განწყობილებით უმთავრესია და ადამიანს მასში მხოლოდ სტაფაჟის როლს აკუთვნებს („შემოდგომა გომბორზე", „გაზაფხული გომბორზე",, „შემოდგომა ატენში" და სხვ.). ნათელა იანქოშვილის პეიზაჟებისათვის დამახასიათებელია დეკორატიულობა, პირობითობა, ლირიზმი. მხატვარი უშუალოდ სწავლობს ნატურას. იკვლევს და ეძებს პლენერის საკითხებს, ზუსტად გვიჩვენებს ბუნების სტიქიურ ძალასა და მის მომხიბლაობას, მონუმენტურობას („კვარას ციხე", „ომალო", „ვანის ქვაბები" და სხვ.). მხატვრის მიერ შექმნილი არქიტექტურული პეიზაჟები ალსავსეა განწყობილებებით, ლაკონურობით და უბრალოებით, ზოგან პოეტურობა ჭარბობს, ზოგან მონუმენტურობა („სხალთა", „ჯვარი",„ უბისი", „შემოქმედის მონასტერი", „კახი", „გურჯაანის ყველაწმინდა" და სხვ.). ყველა დეტალს, ქვასა და ჩუქურთმას ადამიანის განცდის ძალა, ძლიერი ემოციების, განწყობილების დაღი აზის. ნათელა იანქოშვილის პეიზაჟებში, როგორც ვთქვით, ხაზგასმულია დეკორატიულობა, პირობითობა, ისინი ალსავსენი არიან მხატვრის თავისუფალი, ლაღი ფანტაზიით.

იანქოშვილი ბუნების პოეტია, მას სათუთად, ფაქიზად უყვარს თავისი ქვეყანა და ყველაფერს აკეთებს, ასევე შეიყვაროს და აღიქვას იგი ყველამ. „იყალთოს" მსუყე და თავისუფალი მონასმებისაგან გამოძერწილ სუფთა თეთრ-ყვითელ კოლორიტს ერწყმის წითელი სახურავის კონტრასტული ფერი, რომელიც თავისთავად მკვეთრად გამოიყურება მწვანე-ყვითელ და შავ ფონზე. ყველაფერი ეს საერთო ჰარმონიაშია ფერადოვან ცის ფონთან. ფერების ეს დლესასწაული საოცარი პლასტიკური, მკვეთრი ფორმის შეგრძნებით არის გამთლიანებული. ტაძარი მაქსიმალურადაა მიახლოებული მაყურებელთან, თუმცა ამით მას ჰაერი მაინც არ აკლია. მხატვარი არქიტექტურულ ფორმებს ბუნებასთან ერთიან კავშირში გრძნობს და არა ცალკე, დამოუკიდებლად. მხატვრისათვის არქიტექტურა ბუნების ორგანული ნაწილია და ამით ხაზს უსვამს ჩვენი წინაპრის იმ განუმეორებელ გრძნობას, ასე რომ ამშვენებს ქართულ ხუროთმოძღვრულ ძეგლებს. არქიტექტურული ძეგლის ჩასმა ბუნებაში, მისი ფორმისა და მოცულობის პოვნა ბუნების გრანდიოზულობასთან. მისი შერწყმა ბუნების სიდიადესთან ქართველ ხუროთმოძღვართა უდიდესი მონაპოვარია. ასე ესმის და ასე აღიქვამს მხატვარი ქართულ ხუროთმოძღვრებას. „ქვემო ნეკრესის" პეიზაჟის დაძაბული, დრამატული ფონი, ამასთან დახვეწილი, ნატიფი და ფაქიზი ფერწერული შენობა, სხვადასხვა ფორმისა და ზომის ქვების გამჭირვალე, მოყვითალო, რუხი ფერები კონტრასტშია წითელ სახურავთან. მარჯვნით გაწეული ნაგებობა ორგანულად შედის ბუნებაში და ბუნებისა და ნაგებობის ერთიანობას ქმნის. „უბისის" ეზოს წინა პლანი მკრთალად არის განათებული, კონტრასტების შეხამება და შუქჩრდილები ცივია. მოჟვითალო ქვის ლობე ოდნავ ათბობს საერთო ცივ კოლორიტს. ნაგებობა ჩაძირულია სიმწვანეში და მასაც ასეთივე მწვანე ფერი აქვს. იგი ბუნების ერთიანი ფორმაა, მისი განუყოფელი ნაწილია.

„ნიქოზის ეკლესიის" დახვეწილი, კოლორიტული პეიზაჟი მხატვარმა 1975 წელს შეასრულა. მკაცრი, ცივი, დაძაბული ცა, რომელიც მხატვარს ოსტატურად შემოჰყავს ერთიან კომპოზიციურ სცენაში, პოეტურ და სევდიან განწყობილებას ქმნის. კომპოზიცია მარჯვენა კუთხეში, შავი და ძლიერი სილუეტიანი ხის გამოსახულებით იწყება, მარცხნივ გაწეული ეკლესია და სამრეკლო, ხეების შავი სილუეტის ფონზე თავისი ძლიერი მოხაზულობით მყარად იჭრება კომპოზიციაში და მხატვრულ ასიმეტრიის შთაბეჭდილებას ქმნის. ეს არის დიდი მხატვრული ალღოთი ნაპოვნი კომპოზიცია, რომლის დეტალები ასე ოსტატურად ერწყმის საერთო, მთლიან განწყობილებას. ნაგებობა მორთულია გამჭვირვალე, ღრმა, ფუნჯის თავისუფალი მონასმებისაგან გამოძერწილი ქვის სხვადასხვა ფორმისა და მოცულობის ფილებით. ცივი ტონების სიწმინდე და სიმკვრივე ნაგებობას ზღაპრული „ბროლის კოშკს" ამსგავსებს, ოცნების სამყაროში ახვევს.

„დავით გარეჯის მონასტერი. ლავრა" გრანდიოზული სანახაობაა. ამ განწყობილების შექმნა არც თუ იოლი იყო. აქაური მონუმენტური, გრანდიოზული სილამაზის ზუსტი გადმოცემა მხოლოდ პირობითი, ზოგადი კონტურებით თუ მოხერხდება. ყვითელი, თბილი კლდეების მოცულობები, მასში დიდი ტაქტითა და გემოვნებით „ჩასმული" შენობები, მკაცრი ბუნება და კოლორიტი მხატვართა ძიების დაუშრეტელი წყაროა. იანქოშვილმა იგი დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის საერთო განწყობილებით იგრძნო და არა რო-

გორც კონკრეტული ძეგლი და ამით პეიზაჟმა დიდად მოიგო. არ დაიკარგა ის მონუმენტურობა, რაც საერთოდ საქართველოს ამ კუთხეს ახასიათებს. „სხალთა“ თავისუფალი, გაწყობილებიანი, გაბედული, ერთი ამოსუნთქვით, შესრულებული, გაჩირაღდნებული, ჩამავალი მზის სხივებით გასხივოსნებული პეიზაჟური სურათია. მხატვარს ყურადღება მხოლოდ ხუროთმოძღვრულ ძეგლზე გაუმახვილებია. ნახევრად დანგრეული ეკლესია თბილი, პოეტური და რომანტიკულია. „ომალოს“ რბილი, გრანდიოზული მთები და აფორიაქებული ღრუბლები, პატარ-პატარა, ბურუსში გახვეული სახლები, კონტრასტულად დაპირისპირებია ვეებერთელა მთებს, ბუნების გრანდიოზულ ძალას და საერთო განწყობილება ნაღვლიანი და დაძაბულია. ქართველ კაცს დიდი ხანია აწუხებს ადამიანებისაგან მიტოვებული ომალოს ბედი და ეს წუხილი, ეს ნაღველი შესანიშნავად გადმოუცია მხატვარს. პეიზაჟში „საკოლმეურნეო მინდვრებზე“ ადამიანთა ფიგურები (სტაფაჟები), ხეები, ღრმა ველი და მწვანე ფონი მკვეთრ მოძრაობაშია. ველზე მიმოფანტული ფერადების ფერწერული აქცენტები ახალისებს ერთფეროვან, მწვანე კოლორიტს. კომპოზიცია შეკრული, მთლიანი და მკვრივია.

ნათელა იანქოშვილს უყვარს ბუნებაში ვასეირნება, მისი მყუდროება და სიჩუმე. უყვარს ტყის განწყობილება და შესანიშნავად გრძნობს ტყის მომხიბვლელობას და სიდიადეს. მხატვარი ხან საოცრად მეოცნებე, პოეტური და თბილია, ხანაც მკაცრი, გრანდიოზული ძალების მეხოტბე. რბილი, ნაზი და სასიამოვნოა მისი „თუთიყუშები“. ამ შემთხვევაში მხატვარს მხოლოდ კოლორიტის კონტრასტებით გამოწვეული განწყობილება აინტერესებდა, ხეთა მძლავრი სილუეტები, პირობითი დეკორი და ფერადოვანი ლაქების შეფარდება მუქ სიმწვანესთან. წითელი ფერის ფრინველი მკვეთრად იკვეთება მწვანე ფერის გამაზე, საინტერესოდ არის მოძებნილი სურათის ლურჯი ფონი, ღრმა სივრცე და ჰაერი.

ნათელა იანქოშვილი თავის შემოქმედებაში მნიშვნელოვან ადგილს უთმობს დაზგურ გრაფიკას. მხატვარმა კარგად იცის, რომ გრაფიკული ნაწარმოების შესაქმნელად აუცილებელია ზუსტი, გამართული ნახატი. ხატვა გრაფიკის განუყრელი კომპონენტია. მხატვარი საოცარი სიფაქიზით, დახვეწილი ოსტატობით და პოეტურობით ქმნის თავის გრაფიკულ ნამუშევრებს, სადაც თვალნათლივ ჩანს მხატვრის დამოკიდებულება ხატვისადმი. იანქოშვილმა შექმნა დაზგური გრაფიკის ციკლი მექსიკაზე, კუბაზე, სვანეთზე და სხვ. ამ ნამუშევრებში კარგად ჩანს მისი მაღალი პროფესიონალიზმი, ხატვისადმი სერიოზული დამოკიდებულება. მხატვარი ერთი მოქნილი, ელასტიკური ხაზით ქმნის განწყობილებას, ხასიათებს. იანქოშვილის დაზგური გრაფიკის უმთავრესი ღირსებაა მოქნილი და პლასტიკური კონტური, ზუსტად ნაპოვნი და ფაქიზად შესრულებული შტრიხი, ფერადოვანი ლაქა.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მხატვრის მიერ შესრულებული „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციები. მხატვარი ზოგჯერ გაურბის ტრადიციულ კომპოზიციებს. მან თავის ნამუშევრებში მეტი ადგილი დაუთმო პიროვნებათა, მოქმედ პირთა ხასიათების გახსნას. ამიტომაცაა მის მიერ შესრულებული ნესტან-დარეჯანი, თინათინი, ტარიელი, ავთანდილი განსაკუთრებული შინაგანი სითბოთი, პოეტური განწყობილებით გამთბარი. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს თინათინის პორტრეტული გამოსახულება. ნახატი ფაქიზი და დახვეწილია. ერთიანი, მოქნილი კონტური შესანიშნავი მხატვრული გემოვნებითაა ნაპოვნი. კონტურის ძალა და მომხიბვლაობა, ფერადოვანი ლაქის პოეტური ჟღერადობა ამჟღავნებს მხატვრის უზომო შემოქმედებით თავისუფლებას, რომლის უკან იმალება მაღალი პროფესიული ოსტატობა და მხატვარი ქალის ნაზი და ფაქიზი სულისკვეთება. ნათელა იანქოშვილის „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციები განსხვავდება სხვა ქართველი მხატვრების მიერ შესრულებულ ილუსტრაციებისაგან, თავისი განწყობილებით. იგი მნიშვნელოვანი მოვლენაა ქართული წიგნის ილუსტრაციის დარგში.

ქართველ ხალხს უყვარს ხელოვნება. საუკუნეების მანძილზე შექმნილი უდიდესი ტრადიციების თაყვანისცემა და სიყვარული არასდროს განელებია მას. და დღეს, როცა ჩვენს საყვარელ მხატვარს, საქართველოს სახალხო მხატვარს ნათელა იანქოშვილს დაბადების 60 წელი შეუსრულდა, ამ ენერგიითა და შემოქმედებითი ძალებით აღსავსე ხელოვანს თავისი ხალხის სახელით ხანგრძლივ სიცოცხლესა და შემოქმედებით წარმატებას ვუსურვებთ ქართული კულტურის, ქართული ხელოვნების საკეთილდღეოდ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნოდარ ლომოური

# ნოქალაქევისა და ციხე-გოჯის იგივეობის თაობაზე

საქართველოს უძველეს ქალაქთა შორის ერთ-ერთი საპატიო ადგილი უჭირავს დასავლეთ საქართველოს, ეგრისის (ლაზიკის) სამეფოს ოდინდელ დედაქალაქს არქეოპოლისს, რომელსაც არაერთგზის ასახელებენ VI საუკუნის ბიზანტიელი მწერლები — პროკოპი კესარიელი, აგათია და სხვ. ამ ქალაქს იხსენიებენ ბიზანტიასა და სასანურ ირანს შორის მიმდინარე ხანგრძლივი ომის აღწერასთან დაკავშირებით, ომისა, რომლის მთავარ ასპარეზს VI ს. 30-60-იან წლებში სწორედ ეგრისის მიწაწყალი წარმოადგენდა.

არქეოპოლისთან დაკავშირებით საკმაოდ ვრცელი ლიტერატურა არსებობს და ბევრი საკითხი, ამ ქალაქს რომ ეხება, გადაწყვეტილად ითვლება. კარგა ხანია (XIX ს. 80-იანი წლებიდან, შვეიცარიელი არქეოლოგის დიუბუა დე მონპერეს შემდეგ) ეჭვი აღარავის ეპარება, რომ არქეოპოლისი მდებარეობდა აწინდელ ხოფ. ნოქალაქევში (ცხაკაიას რაიონი, ცხაკაიადან 15 კმ დაშორებით, ჩრდილოეთისკენ) და რომ აქ შემორჩენილი გრანდიოზული ნანგრევები, სწორედ ამ ქალაქის ნაშთს წარმოადგენენ; საყოველთაოდაა აღიარებული ისიც, რომ არქეოპოლისი ეგრისის (ლაზიკის) სამეფოს დედაქალაქს წარმოადგენდა (დიუბუა, ბროსე, ჯავახიშვილი, ჯანაშია, ყაუხჩიშვილი, გოზალიშვილი და სხვ.); არაერთ სპეციალისტს აღუნიშნავს, აგრეთვე, რომ თვით სახელი „არქეოპოლისი“ — „ძველი ქალაქი“ მოწმობს, რომ იგი არ შეიძლებოდა VI ს. წარმოშობილიყო და უფრო ძველი ქალაქი იყო (ყაუხჩიშვილი, შნაიდერი, ბერძენიშვილი, ლექვინაძე და სხვ.).

მაგრამ მთელი რიგი საკითხებისა, რომლებიც ამ ქალაქის ისტორიას შეეხება, ჯერ კიდევ მაინც გაურკვეველია, ზოგი მოსაზრება მხოლოდ ჰიპოთეზის დონეზე რჩება და მათი საბოლოო გადაწყვეტის საქმეში თავის სიტყვა ნოქალაქევის არქეოლოგიურმა შესწავლამ უნდა თქვას. შემთხვევითი როდი იყო, რომ ჯერ კიდევ 1928 წელს, როდესაც საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატსა და „გერმანული მეცნიერების ხელშემწყობ საზოგადოებას“ შორის დაიდო ხელშეკრულება კულტურული თანამშრომლობის შესახებ, ერთ-ერთ პუნქტად აქ იყო შეტანილი გერმანელ არქეოლოგთა მიერ საქართველოში არქეოლოგიური გათხრების წარმოება და პირველ ობიექტებად, რომელთა გათხრა განსაკუთრებით საშური იყო, დასახელებულ იქნა ნოქალაქევი და მცხეთა. აღსანიშნავია, რომ ეს ობიექტები შერჩეული იქნა ივ. ჯავახიშვილისა და გ. ჩუბინაშვილის მიერ და მათვე ეკუთვნოდა ამ ნაქალაქართა არქეოლოგიური შესწავლის პირველხარისხოვანი აუცილებლობის დაწვრილებითი მეცნიერული დასაბუთებაც.

ამ ხელშეკრულების შესაბამისად, **1930-31** წწ. ნოქალაქევში მართლაც ჩატარდა არქეოლოგიური გათხრები გერმანელი ბიზანტინისტი-არქეოლოგის ალფონს-მარია შნაიდერის ხელმძღვანელობით და მაშინ ახალგაზრდა სპეციალისტების ლევან მუსხელიშვილისა და გიორგი გოზალიშვილის მონაწილეობით, მაგრამ მხოლოდ ერთი სეზონის (4 თვის) განმავლობაში. გათხრებს უფრო წინასწარული, დაზვერვითი ხასიათი ჰქონდა და შემდგომ, გარკვეულ მიზეზთა გამო, აღარ გაგრძელებულა. ა. მ. შნაიდერმა უკვე ამ ერთი წლის მუშაობის საფუძველზე გამოთქვა ზოგიერთი მოსაზრება, კერძოდ, როგორც ნაგებობათა უძველესი ფენა, ისე ყველაზე ადრეული არქეოლოგიური

ეროვნული ბიბლიოთეკა

მასალა მან ახ. წ. IV საუკუნით დაათარიღა[1]. მაგრამ, ვინაიდან გათხრები ძალზე შეზღუდული იყო, ა. მ. შნაიდერის ამ მოსაზრებებს არ შეიძლებოდა საბოლოო და ურყევი დასკვნების ხასიათი ჰქონოდა.

შემდგომ, კარგა ხნის მანძილზე, აქ გათხრები აღარ განახლებულა, თუმცა ნოქალაქევი მთლად უყურადღებოდ არ დარჩენილა. კერძოდ, 1956 წელს, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის თანამშრომელმა ვ. ლექვინაძემ ხელახლა გაწმინდა და აზომა 1930-31 წ.წ. გამოვლენილი სამშენებლო ობიექტები, ხოლო ზოგი ძეგლის ფიქსაცია პირველად მოახდინა, მანვე სამშენებლო ობიექტების (გალავნის, კოშკების, კარიბჭეების) უძველესი ფენები ცოტა უფრო ადრეული ხანით — III-IV საუკუნეებით დაათარიღა.[2]

ამდენად, ნოქალაქევში სისტემატური არქეოლოგიური გათხრების დაწყებამდე, ყველაზე ადრეულ მასალად მაინც ახ. წ. III-IV სს. მასალა რჩებოდა და, ამდენად, ამ ქალაქის წარმოქმნაც თითქოს ამ ხანაში უნდა მომხდარიყო.

1973 წელს ნოქალაქევში კვლავ დაიწყო არქეოლოგიური კვლევა-ძიება, ამჯერად უკვე სტაციონალური ექსპედიციის, კერძოდ ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ექსპედიციის მიერ (ხელმძღვანელი პროფ. პ. ზაქარაია). ექსპედიციამ უკვე ოთხი სეზონი იმუშავა და მომავალშიაც გააგრძელებს გათხრებს. მიღწეულია პირველი, საკმაოდ მნიშვნელოვანი, ხელშესახები შედეგები, გამოვლინდა ახალი, მანამდე უცნობი ნაგებობები (ორი აბანო, სამნავიანი ბაზილიკა, გრანდიოზული თავდაცვითი სისტემის რთული კომპლექსი, სხვადასხვა ხასიათის სათავსოები), მოპოვებული იქნა მრავალრიცხოვანი არქეოლოგიური მასალა (ადგილობრივი და იმპორტული კერამიკა, ბიზანტიური მონეტები, მინის ჭურჭლის ფრაგმენტები, საბრძოლო იარაღი და სხვ.), გაიწმინდა და უფრო სრულად გაითხარა ადრე ცნობილი ობიექტები. მაგრამ მე ამჯერად არ ვაპირებ მკითხველს მოუთხრო ექსპედიციის მუშაობის შედეგებზე, რამდენადაც გათხრები ჯერ მაინც დაწყებით სტადიაშია, გამოვლენილი ნაგებობები და მასალა არაა სათანადოდ შესწავლილ-გააზრებული,* ჩვენ მიზანს შეადგენს მხოლოდ ნოქალაქევის ისტორიასთან დაკავშირებული ერთი საკითხის გარკვევა და არქეოლოგიურ მონაცემებს ჩვენ მხოლოდ შეძლებისდაგვარად მოვიშველიებთ.

საკითხი, რომელსაც მე ამჟამად მინდა შევეხო, გახლავთ ნოქალაქევისა და ქართულ წყაროთა „ციხე-გოჯის" იგივეობის საკითხი. საქმე ისაა, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში ეს იგივეობა თითქმის საყოველთაოდაა გაზიარებული და, როგორც წესი, „ციხე-გოჯსა" და „არქეოპოლისს" ერთი და იგივე პუნქტის — ნოქალაქევის სინონიმურ სახელებად მიიჩნევენ. მ. ბროსე, დ. ბაქრაძე, თ. ჟორდანია, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, ს. კაკაბაძე, ნ. ბერძენიშვილი, ს. ყაუხჩიშვილი, გ. გოზალიშვილი და სხვ. პირდაპირ და უეჭველად თვლიან, რომ თანამედროვე ნოქალაქევში შემონახული ნაქალაქარის სახელწოდება ბიზანტიურ ხანაში იყო არქეოპოლისი (ბიზანტიელთაგან შერქმეული), ხოლო უფრო ადრეული ქართული სახელი კი — ციხე-გოჯი.

ვნახოთ, რა ცნობები გვაქვს ჩვენ ციხე-გოჯის შესახებ და რას ემყარება ამ პუნქტის ნოქალაქევთან იგივეობის ჰიპოთეზა.

ციხე-გოჯის ხსენება, უპირველეს ყოვლისა, გვხვდება ლეონტი მროველის თხზულებაში „ცხოვრება ქართველთა მეფეთა"... აღწერს რა ქართლის პირველი მეფის ფარნავაზის მოღვაწეობას, ლეონტი მროველი წერს: — „და მისცა ქუჯის (ეგრისის ერისთავს, ნ. ლ.) ქუეყანა ეგრის წყალსა და რიონს შუა, ზღუითგან მთამდე, რომელსაც შინა არს ეგრისი და სუანეთი, და დაამტკიცა იგი ერისთავად მუნ და მან ქუჯი აღაშენა ციხე-გოჯი".[3]

ლეონტის ამ ცნობით ციხე-გოჯის ადგილმდებარეობის გარკვევა არ ხერხდება; შეიძლება მხოლოდ ის ითქვას, რომ ეს ციხე-ქალაქი მდებარეობდა სადღაც დასავლეთ საქართველოში, რიონის ჩრდილოეთით, რიონსა და ეგრის წყალს (ერისწყალი ან ღალიძგა), ზღვასა და კავკასიის მთას (?) შორის. პრინციპში არც ისაა გამორიცხული, კონტექსტის მიხედვით, რომ ის სვანეთში ყოფილიყო.

შემდეგ ციხე-გოჯს რამდენჯერმე ახსენებს „ვახტანგ გორგასლის ცხოვრების" ავტორი, ისტორიკოსი ჯუანშერი. პირველად იგი ახსენებს ციხე-გოჯს ვახტანგ გორგასლის ბავშვობის აღწერისას, მოგვითხრობს ოვსთა მიერ ქართლის აოხრებას, ხოლო ბერძენთა (ბიზანტიელთა, ნ. ლ.) მიერ ეგრისის ციხეთა დაკავებას და აღნიშნავს: ბერძენთა „დაიპყრეს ეგრის-წყლითგან, ვიდრე ციხე-გოჯამდე".[4] უფრო ქვევით, ვახტანგის დავაჟკაცებისა და ოვსეთს მისი ლაშქრობის აღწერის შემდეგ, ჯუანშერი მოგვითხრობს, რომ ვახტანგი ქართლის დიდი სპითა „წარმოვიდა გზასა აფხაზეთისასა", „სულგრძელად და უშიშად იწყო ბრძოლად ციხეთა აფხაზეთისასა (იგულისხმება დასავლეთ საქართველო, ნ. ლ.)... და სამ წელ წარტყუენა

* ყოველწლიური მოკლე ანგარიშები გამოქვეყნებულია პერიოდულ პრესაში და გადმოცემულია ტელევიზიით. პირველი (1973 წლის) ანგარიში დაიბეჭდა სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიურ ექსპედიციათა ანგარიშებში, („საქართველოს სახ. მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები"), აგრეთვე „ძეგლის მეგობარში".

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველნი ციხენი აფხაზეთისანი ვიდრე ციხე-გოჯამდე".5

არც ამ ცნობებიდან ირკვევა ციხე-გოჯის ზუსტი ადგილმდებარეობა და მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ ეს ციხე-ქალაქი ეგრისში ყოფილა, სადღაც, ეგრისწყლის სამხრეთით, ე. ი. ეგრისწყალსა და რიონს შორის.

შემდეგ ჯუანშერი აგვიწერს უკვე არაბთა სარდლის მურვან ყრუს ლაშქრობას საქართველოში და მოგვითხრობს მის მიერ ციხე-გოჯის შემუსვრის შესახებ.6 აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ჯუანშერის თხზულების ეს ადგილი იძლევა ერთგვარ, უფრო ნიშანდობლივ მითითებას ციხე-გოჯის ადგილმდებარეობის გასარკვევად, მაგრამ ციხე-გოჯისა და ნოქალაქევის იგივეობის მომხრე ავტორებს ეს ადგილი რატომღაც მხედველობიდან გამორჩენიათ. არა აქვთ მათ ყურადღება მიქცეული აგრეთვე კიდევ ერთი წყაროს ცნობისათვის. ესაა ძველი ქართული აგიოგრაფიული ძეგლი, არგვეთის მთავრების „დავითისა და კონსტანტინეს წამება" (XII ს.), სადაც იგივე მურვან ყრუს ლაშქრობაა აღწერილი და სადაც ასევე ნახსენებია „ციხე-გოჯი", ოღონდ სხვაგვარი ფორმით „ჯიხან-ქუჯისა" (XVIII-XIX სს. ხელნაწერი) და „ჯიხან-ქვიჯისა" (XVIII და XIX სს ხელნაწერები). განსვენებულმა მეცნიერმა პროფ. შ. მესხიამ თავის გამოუქვეყნებელ, მაგრამ 1949 წ. ისტორიის ინსტიტუტში წაკითხულ მოხსენებაში, მისთვის ჩვეული გულდასხმით გააანალიზა ეს სახელები და სავსებით უეჭველად დაამტკიცა, რომ „ჯიხან-ქუჯიხა" (და „ჯიხან-ქვიჯის") სრულიად კანონზომიერი ფორმაა ქართული „ციხე-ქუჯისა", რომლის შერყვნილ ფორმას წარმოადგენს წყაროების — „ციხე-გოჯი".7 ამ ძეგლისა და ჯუანშერის აღნიშნული ადგილის ცნობებს ციხე-გოჯის ადგილმდებარეობის შესახებ ქვევით შევეხებით.

მთავარი წყარო, რომელსაც მკვლევარნი ეყრდნობიან ციხე-გოჯისა და ნოქალაქევის იგივეობის სამტკიცებლად, ესაა ვახუშტი ბაგრატიონი, რომელიც პირდაპირ წერს: „აწ სენაკს ზეით, უნაგირას ძირში არს ნ ა ქ ა ლ ა ქ ე ვ ი, ც ი ხ ე-გ ო ჯ ა დ წ ო დ ე ბ უ ლ ი. ეს აღაშენა ა' მეფის ფარნაოზის ჟამს ქუჯიმ, ქალაქი და ციხე... შემუსრა ყრუმ, არამედ იყო კუალად ქალაქი, და შემდგომად მოოხრდა ქალაქი. აწ არს ციხე კუალად და სახახლე დადიანისა".8

როგორც ვხედავთ, ვახუშტი პირდაპირ აიგივებს ციხე-გოჯსა და ნოქალაქევს, მაგრამ რა საფუძველს ემყარება ეს გაიგივება, არსაიდან ჩანს. ამავე დროს, სწორედ ეს ცნობა გახდა ძირითადი საყრდენი ამ ორი პუნქტის იდენტიფიკაციისათვის, არადა, როგორც ცნობილია, როგორც ეტიმოლოგიებში, ისე სხვადასხვა დროის სახელწოდებათა გაიგივებაში, მით უფრო დასავლეთ საქართველოს მიმართ, ვახუშტის ხშირად მოსდის შეცდომები და შეუმოწმებლად მასზე დაყრდნობა ფრიად საფრთხილოა.

მაგრამ ვახუშტი ბაგრატიონი როდია ერთადერთი წყარო ციხე-გოჯისა და ნოქალაქევის იგივეობისათვის, ლეონტი მროველის იმ ცნობას, სადაც ციხე-გოჯის აშენებაზეა ლაპარაკი, „ქართლის ცხოვრების" ორ ხელნაწერში — ჭალაშვილისეული ნუსხის ახალ ნაწილში და მაჩაბლისეულში — აშიაზე მიწერილი აქვს ციხე-გოჯის გასწვრივ: „ოდიშს ნაქალაქევი",9 ხოლო ჯუანშერის თხზულების აშიაზეც იმავე ციხე-გოჯის გასწვრივ ჭანაშვილისეულ ნუსხაზე მიწერილია „ციხე-გოჯი ნაქალაქევია".10

სწორედ ამ მინაწერთა საფუძველზე გ. გოზალიშვილი აღნიშნავს, რომ „ქართული საისტორიო წყაროები VIII საუკუნიდან არქეოპოლის — ნოქალაქევს „ციხე-გოჯის" სახელით იხსენიებენ".11 მაგრამ ეს შეცდომაა. ამბავი, რომელთანაც დაკავშირებით ჯუანშერი ახსენებს ციხე-გოჯს (მურვან ყრუს შემოსევა), მართლაც VIII ს. განეკუთვნება, მაგრამ თვით წყარო XI საუკუნისაა, ხოლო მინაწერი, რომელშიაც ციხე-გოჯი ნოქალაქევთანაა გაიგივებული, კიდევ უფრო გვიანდელი; ყველა ის ხელნაწერი, რომელშიაც აღნიშნული მინაწერებია, XVIII საუკუნით თარიღდება; „ქართლის ცხოვრების" უფრო ადრეულ ნუსხებში ეს მინაწერები არ გვხვდება.

მაშასადამე, ყველა ცნობა, რომელშიაც ციხე-გოჯის ნოქალაქევთან იგივეობაა აღნიშნული, XVIII ს. ეკუთვნის; ერთადერთი, რაც შეიძლება დავასკვნათ, ესაა, რომ XVIII ს. უკვე შემუშავებული მოსაზრება ამ იგივეობის შესახებ, თუმცა რას ემყარებოდა იგი, არსაიდან ჩანს.

მეორეს მხრივ, ა. მ. შნაიდერის მიერ ნოქალაქევში ჩატარებულმა გათხრებმა, როგორც ზემოთაც გვქონდა აღნიშნული, აქ უძველეს ფენად ახ. წ. IV ს. ნაგებობები და არქეოლოგიური მასალა დაადასტურეს და თითქოს საბოლოოდ გამორიცხეს ნოქალაქევ-ციხე-გოჯის იგივეობის შესაძლებლობა, რადგან ერისთავი ქუჯი, ვითარცა ფარნავაზ მეფის თანამედროვე, ძვ. წ. III ს. დასაწყისის მოღვაწეა და ციხე-გოჯიც ამ ხანებში უნდა აგებულიყო.

სწორედ ნოქალაქევთან ციხე-გოჯის გამაიგივებელი წყაროების გვიანდელობამ, ამ იდენტურობის დაუსაბუთებლობამ და აგრეთვე შნაიდერის გათხრების შედეგებმა მისცეს თავის დროს საფუძველი შ. მესხიას, რომ უარეყო ციხე-გოჯისა და ნოქალაქევის იგივეობა. ზემოხსენებულ მოხსენებაში მან ციხე-გოჯისა და ზუგდიდის რაიონში მდებარე ჭაქვინჯის ციხის იდენტურობის ვარაუდი გამოთქვა.12

ჭაქვინჯის ციხეზე შემდგომ ჩატარებულმა გათხრებმა არ დაადასტურეს აქ ესოდენ ადრეული (ძვ. წ. IV-IIII სს.) ფენა13 და ამდენად

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამორიცხეს ამ პუნქტთან ციხე-გოჯის იგივეობა, მაგრამ ამით ეს პრობლემა არ გადაწყვეტილა: ცხადი რჩებოდა, რომ ის საბუთები, რომელთაც სპეციალისტები ეყრდნობოდნენ (ვახუშტის ცნობა, გვიანდელ ხელნაწერთა მინაწერები), არაა საკმარისი ციხე-გოჯისა და ნოქალაქევის იგივეობის დასამტკიცებლად.

საბოლოოდ გადამჭრელი პასუხი ამ საკითხზე, როგორც ჩანს, მაინც არქეოლოგიას უნდა გაეცა. და აი, საქართველოს მუზეუმის ნოქალაქევის არქეოლოგიური ექსპედიციის ოთხი წლის (1973-1976) მუშაობამ ნოქალაქევის ნაქალაქარზე ამ ორი პუნქტის იგივეობა თითქმის კიდევ უფრო საეჭვო გახადა. საქმე ისაა, რომ ნაქალაქარის ქვედა ნაწილში გალავნებით შემოზღუდულ ტერიტორიაზე, ე. ი. საკუთრივ ქალაქის ტერიტორიაზე, წარმოებულმა გათხრებმა (ისევე, როგორც აქვე ა. მ. შნაიდერის მიერ ჩატარებულმა მუშაობამ) ფაქტიურად არ მოგვცეს ახ. წ. IV ს. წინადროინდელი არქეოლოგიური მასალა. გამონაკლისს წარმოადგენდა ელინისტური ხანის (ე. ი. ძვ. წ. III-I სს.) ორიოდე ამფორის ძირი, ე. წ. კოლხურ პითოსთა (ქვევრთა) რამდენიმე ფრაგმენტი და უფრო ადრეული თიხის ჭურჭლის ე. წ. „ზოომორფული ყურის“ რამდენიმე ცალი. ასეთი მცირე მონაპოვარი ვერ დაადასტურებს აქ ელინისტური ხანის თუნდაც მცირე სამოსახლოს არსებობას და, მაშასადამე, ჯერჯერობით ჩვენს ექსპედიციას თვით ნაქალაქარზე არ მოუკვლევია მეტნაკლებად ხელშესახები მასალისათვის, რომელიც შეიძლებოდა ციხე-გოჯის დროინდელი ყოფილიყო.

ზემოთქმულის საფუძველზე მკითხველს ალბათ შთაბეჭდილება შეექმნა, რომ მე ყოველი ღონით ვცდილობ დავამტკიცო ნოქალაქევისა და ციხე-გოჯის იგივეობის შეუძლებლობა, რომ მე ასეთი იგივეობის წინააღმდეგი ვარ. მაგრამ სინამდვილეში ჩემი მიზანი სრულიად საწინააღმდეგოა: მე ვეცდები ვაჩვენო, რომ ნოქალაქევ-ციხე-გოჯის იგივეობას აქვს საკმაოდ რეალური საფუძვლები, მხოლოდ აქამდე სპეციალისტები ამ საკითხს შედარებით იოლად წყვეტდნენ, არასაკმარის მონაცემებზე დაყრდნობით და ასეთი სახით ეს იგივეობა არადამაჯერებლად გამოიყურებოდა. რასაკვირველია, ამ იგივეობის სავარაუდოდ ძირითად მასალას მაინც არქეოლოგია იძლევა, მაგრამ ზოგი რამ მოიპოვება წერილობით წყაროებშიაც, თუმცა ამ მონაცემებისათვის მკვლევართ სათანადო ყურადღება არ მიუქცევიათ.

1. ჯუანშერი ციხე-გოჯს „სამ-ზღუდეს“ უწოდებს (მურვან ყრუმ „ციხე იგი სამ-ზღუდე, რომელ არს ციხე-გოჯი, შემუსრა“[14]. ასე საგანგებოდ აღნიშვნა მისი „სამზღუდობისა“, ვფიქრობ, შემთხვევითი არ უნდა იყოს და ეს ციხე-გოჯის თავდაცვითი სისტემის თავისებურებ ზე უნდა მიუთითებდეს, ხოლო ნოქალაქევის ქვედა ნაწილს აღმოსავლეთის მხრიდან (ე. ი. იმ მხრიდან, საიდანაც ის ადვილმისადგომი იყო), მართლაც სამი, ერთმანეთის პარალელურად მიმავალი გალავანი იცავდა; ამათგან გარეთა, ყველაზე მასიური, დიდრონი, კარგად გათლილი ქვის კვადრებით ნაგები კედელი ჩვენი ექსპედიციის მიერ იქნა გამოვლენილი, ხოლო ორი დანარჩენი კედელი, მცირე ზომის კვადრებითა და ნატეხი ქვით ნაგები, შედარებით უკეთაა შენახული. დღეს-დღეობით ჯერ კიდევ ძნელია იმის დადგენა რა დროისაა თითოეული ეს კედელი და რა თანამიმდევრობით აშენდა იგი, მაგრამ ერთი ცხადია, რომ გარკვეულ პერიოდში ეს სამივე კედელი ერთდროულად იცავდა ქალაქს და ნოქალაქევი „სამზღუდე“ ყოფილა, ისევე, როგორც ციხე-გოჯი*.

2. ჯუანშერის თხზულებაში, იქ, სადაც მურვან ყრუს შემოსევაა მოთხრობილი, არაბი სარდლის ეგრის-აფხაზეთში ლაშქრობა ასეა აღწერილი: ქართლის მეფე — წარჩინებულთა მადევარი მურვანი შემუსრავს ეგრისის ციხე-ქალაქებს, მათ შორის ციხე-გოჯს, შემდეგ „შევალს საზღვარსა კლისურისა“ (გახასვლელს კელასურთან), შემუსრავს ცხუმს (სოხუმს) და მიადგება „ციხესა ანაკოფიისასა“ (აწინდელ ახალ ათონთან); მაგრამ აქ უფალმა უშველა ქართველთ და აფხაზთ, მურვანი ძლეულ იქნა და „მსწრაფლ აღიყარნეს და უკან იქცეს კუალსავე თვისსა. და ვითარცა აღიარეს ციხე-გოჯი, და დაიბანაკეს წყალთა მათ ზედა ორთა, მსგავსად ერთისა“... ამ ორი მდინარიდან „უმცროსმან“ (ე. ი. უფრო მცირემ, ნ. ლ.) წვიმისაგან აღიდებულმა წაიღო ოცდასამი ათასი ქვეითი მეომარი მურვანის ლაშქარში მყოფ „აბაშთაგან“, ხოლო „უფროსმან“ (ე. ი. უფრო დიდმა მდინარემ, ნ. ლ.) წაიღო და დაიხრჩო ოცდახუთმეტი ათასი ცხენი; „და მიერითგან სახელ ედვა ორთა მათ მდინარეთა: ერთსა ცხენისწყალი და ერთსა აბაშა“[15].

იგივე სურათს იძლევა ძირითადად „დავითისა და კონსტანტინეს მარტვილობის“ ავტორიც: აქაც აფხაზეთიდან უკუქცეული მურვან ყრუ გაივლის „ქალაქს ჯიხან-ქუჯისასა“ და დაიბანაკებს მდ. აბაშისა და ცხენისწყლის ნაპირებზე, თანაც მარტვილობის ავტორი უმატებს, რომ ჯიხანქუჯი მდებარეობდა ქვეყანასა მეგრელთასა, სანახებსა ჭყონდიდისასა“[16].

მაშასადამე, ორივე წყაროს მიხედვით კარ-

* აღსანიშნავია, რომ ეს არგუმენტი ციხე-გოჯის ნოქალაქევთან გაიგივებისას მოტანილი აქვს თ. ჟორდანიასაც (იხ. გაზ. „ივერია“, 1900, № 193), ოღონდ ნოქალაქევის სამ ზღუდედ მას მიაჩნია: აკროპოლის შემომზღუდავი გალავანი, კალთებზე ჩამომავალი გალავანი და ქვედა ქალაქის კედლები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გად ჩანს, რომ აფხაზეთიდან უკუქცეულ მურვან ყრუს, გაუვლია რა ციხე-გოჯი (იგივე ჯიხანჭუჯი), დაუბანაკია აბაშასა და ცხენისწყალზე; მაშ, ციხე-გოჯის შემდეგ აღმოსავლეთით სწორედ ეს მდინარეები ყოფილა და ეს აღწერილობა კი კარგად ეთანხმება ნოქალაქევის მდებარეობას.

3. მესამე საბუთი უკვე არქეოლოგიური ხასიათისაა. 1966 წ. ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის დასავლეთ საქართველოს საძიებო-არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ნოქალაქევის ზედა ციხეზე, ანუ აკროპოლისზე გაავლო საკონტროლო თხრილი სტრატიგრაფიული ჭრილის დასადგენად. გამოვლენილი კულტურული ფენა ორ ჰორიზონტად გაიყო, რომელთაგან ზედა შეიცავს ვვიანანტიკური ხანის მასალას, ხოლო ქვედა, ექსპედიციის ანგარიშის მიხედვით, ძირითადად ელინისტური ხანის მასალას იძლევა. ესაა „პირამიდული საწაფი, გვერდებაკეცილი ვანჭურის მსგავსი ბრტყელი კრამიტის ნატეხები, ყავისფერთიხიანი ადგილობრივი ამფორების ფრაგმენტები და სინოპური ამფორის ოვალურგანივკვეთიანი ყური; ყველაფერი ეს ძვ. წ. I ს. არ უნდა გადმოსცილდეს“.[17]

მაშასადამე, თუ ნოქალაქევის ქვედა ნაწილში ახ. წ. IV საუკუნეზე ადრეული მასალა რეალურად არ გვხვდება, აკროპოლისზე ასეთი უკვე კულტურული ფენის სახით ჩანს წარმოდგენილი და სრულიად შესაძლებელია ციხე-გოჯის არსებობის ხანას განეკუთვნებოდეს.

*ყოველივე ზემოთქმული საფუძველს გვაძლევს* სავსებით შესაძლებელ და საკმაოდ დასაბუთებულ ჰიპოთეზად მივიჩნიოთ ნოქალაქევ-ციხე-გოჯის იგივეობა და, მაშასადამე, ყველაზე სავარაუდოა ციხე-გოჯის კვალი სწორედ ნოქალაქევის ტერიტორიაზე ვეძებოთ. და, აი, 1974-1976 წლების ექსპედიციებმა ეს ვარაუდი უფრო განამტკიცეს და ხელშესახები გახადეს.

საქმე ის გახლავთ, რომ ექსპედიციას მოუხდა გათხრითი სამუშაოების წარმოება ნოქალაქევის (ე. ი. გალავნებით შემოზღუდული ტერიტორიის ფარგლებს გარეთ, მისი აღმოსავლეთი გალავნის წინ. აქ აღმოჩენილ იქნა საკმაოდ ფართოდ გაშლილი, თუმცა არცთუ ღრმა (0,5 მ სისქის) კულტურული ფენა, 5 ქვევრსამარხი და 8 ორმოსამარხი.

ორმოსამარხთაგან 8 ნოქალაქევის ქალაქობის დროისაა (ე. ი. IV—V სს), ხოლო ქვევრსამარხები (და შესაძლოა ზოგიერთი ორმოსამარხიც) ელინისტური ხანისაა და სწორედ ისინია ამჟამად ჩვენთვის საინტერესო. ქვევრსამარხთა თარიღს იძლევა ჯერ — ერთი თვით ეს დამარხვის წესი — ამ ტიპის სამარხები საქართველოში და კერძოდ დასავლეთ საქართველოში, არსებობდა, ამას გარდა, აქ აღმოჩენილი სამარხეული ინვენტარიც ზუსტად ათარიღებს სამარხებს: ესაა კოლხური მონეტები (ე. წ. „კოლხური თეთრი“), რომლებიც მიმოქცევაში ძვ. წ. IV—II სს. იყო, ბრინჯაოს ტიპიური სამაჯურები, ოდნავ შეზნექილი ზურგით, თავებგახსნილი და ბოლოებშესქელებული, პასტისა და მინის წვრილი მძივები, ფარაკიანი ბრინჯაოს ბეჭედი, ბრინჯაოს წრიული საყურეები, ელინისტური ხანის შავლაკიანი ანტიკური კანთაროსი და სხვ. ყველა ეს ნივთი დამახასიათებელია ძვ. წ. III—I სს. ქვევრსამარხებისათვის.

აღნიშნული სამარხები პირდაპირ კულტურულ ფენაშია ჩაჭრილი და ეს ფენაც შეიცავს ელინისტური ხანის საკმაოდ მრავალრიცხოვან მასალას. ამ მასალიდან ზოგი სამარხეული ხასიათისაა (ე. ი. მსგავსივე, ოღონდ დანგრეული სამარხებიდან), რაც მოწმობს, რომ აქ საკმაოდ ვრცელი სამარხოვანი იყო თავის დროს. ნაწილი მასალისა კი სამარხეულ ინვენტარს არ განეკუთვნება (ესაა პირამიდული საწაფები, იმპორტული შავლაკიანი ჭურჭლის ფრაგმენტები, იმპორტული ამფორებისა და კოლხური პითოსების ნატეხები და სხვ.) და ადასტურებს აქ ელინისტური ხანის სამაროვანთან ერთად, საკმაოდ დიდი სამოსახლოს არსებობას.

ამრიგად, თუ ჯერჯერობით თვით ციხე-გოჯი, ე. ი. ციხე-სიმაგრე მიკვლეული არაა, მისი თანადროული სამოსახლოს და სამაროვანის ნაშთები კარგად ჩანს, დოკუმენტურადაა დადასტურებული და, ჩვენი აზრით, საბოლოოდ ამაგრებს იმ მოსაზრებას, რომ ციხე-გოჯი აქ, ნოქალაქევშივე უნდა იყოს.

მე პირადად ვფიქრობ, რომ ციხე-გოჯის მთავარი ნაგებობები, ე. ი. მისი ციხე და სამეფო (თუ თავდაპირველად საერისთავო) რეზიდენცია, უნდა იმ მთის თხემზე ვივარაუდოთ, სადაც არქეოპოლისის შიდაციხე, ანუ აკროპოლისია განლაგებული. ასეთი ვარაუდის საფუძველია, ჯერ—ერთი, ის გარემოება, რომ სწორედ აქ აღმოჩნდა შედარებით ხელშესახები (თუმცა ჯერჯერობით მცირე) მასალა, რომელიც ელინისტურ ხანას განეკუთვნება და, გარდა ამისა, მთის ძირას გადაშლილი სამოსახლოსათვის სტრატეგიულად ყველაზე უფრო მოსახერხებელი, გარემოზე გაბატონებული პუნქტი სწორედ მთის ეს წვერია და თავდაპირველი ციხე-ქალაქისთვის ის უნდა ყოფილიყო პირველ რიგში გამოყენებული. ჩვენს ამ მოსაზრებასთან დაკავშირებით აღსანიშნავია კიდევ ერთი გარემოება; აკროპოლისის ტერიტორიაზე, მის დასავლეთ, ყველაზე შემაღლებულ ნაწილში, ტეხურისაკენ შვეულად მიმავალი მთის კალთის პირას შენახულია დიდი ზომის ნაგებობა, რომლის დანიშნულების გარკვევა ჯერჯერობით ძნელია, მაგრამ ცხადია, რომ აქ წარმოდგენილია რამდენიმე სამშენებლო ფენა. კერძოდ ნა-

გებობის ჩრდილო ნაწილში მდებარე მაღალი კოშკი აშკარად გვიანდელი მიშენებულია, ამ ნაგებობის ქვედა სართულს წარმოადგენს სათავსი, რომლის აღმოსავლეთ და დასავლეთ კედლებს მიჰყვება პარალელური თაღედი; ნახევრადწრიული თაღები ეყრდნობა შედარებით დაბალ ოთხკუთხა სვეტებს, თაღები ქმნიან დაახლოებით 1 მ სიღრმის ნიშებს. ამჟამად შემორჩენილია მხოლოდ ორი წყვილი ასეთი თაღოვანი ნიშა, დანარჩენები კი შესულია გვიანდელი კოშკის ქვეშ და დაფარულია კოშკის ჩამონანგრევი ქვაყრილით. როგორიც არ უნდა იყოს ამ თაღედის დანიშნულება, ჩვენს ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ გ. ჩუბინაშვილის სიტყვით, იგი ნაგებია მშრალი წყობით და, მისი აზრით, წყობის ხასიათით, უნდა დაუკავშირდეს რომაულ ნაგებობებს.[17]

ეს ნაგებობა ჩვენ მიერ ჯერჯერობით არაა შესწავლილი, მაგრამ თუ იგი მართლაც მშრალი (უდუღაბო) წყობითაა ნაშენი, იგი უნდა იყოს ნოქალაქევის კომპლექსში დღესდღეობით ცნობილი უძველესი ნაგებობა, რადგან, როგორც ცნობილია, დუღაბი შავიზღვისპირეთში ჩვეულად შემოდის ახ. წ. I—II საუკუნეებში".[18]

ამრიგად, ყოველივე ზემოთქმული საფუძველს გვაძლევს ნოქალაქევში ვეძიოთ საქართველოს ერთერთი უძველესი ქალაქი, რომლის ისტორია ძვ. წ. III ს. დასაწყისიდან უნდა ვიანგარიშოთ.

* * *

რაკილა ნოქალაქევის ხნოვანების საკითხს შევეხეთ, საჭიროდ მიგვაჩნია შევჩერდეთ ჩვენს ლიტერატურაში ამ ბოლო ხანს გამოთქმულ მოსაზრებაზე, რომლის თანახმად თანამედროვე ნოქალაქევს შეიძლება კიდევ უფრო ხანგრძლივი ისტორია ჰქონდეს, რამდენადაც ის შეიძლება დაუკავშირდეს კოლხეთის უძველეს ქალაქს, როგორც ჩვეულებრივ ამბობენ, — კოლხეთის მითიურ დედაქალაქს აიას.

განსაკუთრებით დაწვრილებით ნოქალაქევაიას იგივეობის საკითხს შეეხო პროფ. მიხეილ შენგელია 1975 წ. ჟურნალ —განთიადის" № 3-ში გამოქვეყნებულ წერილში „სად იყო მედეას ბაღი?" აღსანიშნავია, რომ ნოქალაქევ-აიას იგივეობის შესახებ მ. შენგელია ადრეც სწერდა (1961 წ. გაზ. „ავანგარდი"), მაგრამ უკანასკნელ წერილში იგი ამ აზრს ვრცლად და მრავალმხრივი დასაბუთებით ავითარებს. წერილში ბევრი საინტერესო და დიდმნიშვნელოვანი მასალაა მოტანილი, რომელიც თავისთავად გასათვალისწინებელია მთელი რიგი საკითხების კვლევისას. მართებულად არის განხილულ-გადაწყვეტილი პოლიენოს როდოსელის „კუტაის" და ქუთაისის იგივეობის საკითხიც.

აქვე ავტორი სვამს და საკმაოდ გადაჭრითაც წყვეტს საკითხს ნოქალაქევთან ძველი ბერძნული წყაროების „აიას" უეჭველი გაიგივების შესახებ.

ჩვენ არ ვისახავთ მიზნად პატივცემული მკვლევარის აქ მოტანილი ყველა არგუმენტის დაწვრილებით განხილვასა და უარყოფას, გვინდა მხოლოდ მკითხველი გავარკვიოთ იმაში, თუ რატომ დგას ასე სათუოდ აიას კოლხეთის რეალურ ქალაქად მიჩნევისა და მით უფრო მისი ნოქალაქევთან გაიგივების საკითხი.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ არ არსებობს არც ერთი წყარო, რომელშიაც აია გაიგივებული იყოს არქეოპოლის—ნოქალაქევთან. ძველ ბერძნულ წყაროებში აია ხშირადაა ნახსენები, მას, როგორც სამართლიანად აღნიშნავს მ. შენგელია, ზოგი ბერძენი, რომაელი და ბიზანტიელი ავტორი ქალაქადაც ახსენებს. ცალკეული მწერლები აიას ლოკალიზაციასაც, რომელიმე ცნობილ ქალაქთან გაიგივებასაც ცდილობენ, მაგრამ არსად არაფერია ნათქვამი მის არქეოპოლისთან გაიგივების შესახებ.

მ. შენგელია წერს, თითქოს „უძველესი ტრადიცია კოლხეთის დედაქალაქს ეა-ს აიგივებს ნოქალაქევთან — არქეპოლისთან". მისი სიტყვით, თითქოს არსებობს ამ გაიგივების „საუკუნებრივი ტრადიცია" და შემდეგ მ. შენგელია აღნიშნავს: „XIX საუკუნეში პ. დ. იოსელიანი, დიმიტრი ბაქრაძე, რაფიელ ერისთავი, რუსი მოგზაური ა. ნ. მურავიოვი და სხვ. ერთხმად აღიარებენ ეა-ნოქალაქევის (არქეოპოლისის) იგივეობას".[19]

პატივცემულ მეცნიერს აქ რატომღაც გამორჩენია შვეიცარიელი სწავლული მოგზაური ფრედერიკ დიუბუა დე მონპერე, რომელიც ფაქტიურად აია-ნოქალაქევის იგივეობის ავტორია. დიუბუა დე-მონპერემ, რომელმაც კავკასიაში 1833-34 წლებში იმოგზაურა, პირველმა გამოთქვა ნოქალაქევთან აიას იგივეობის შესახებ მოსაზრება. მართალია, დიუბუამ მოიტანა აიას შესახებ სტრაბონის, პლინიუსისა და სტეფანე ბიზანტიელის ცნობები, გააიგივა სტეფანე ბიზანტიელის ნაშრომის მიხედვით, აიას მეზობლად დასახელებული მდინარეები ჰიპოსი და კიანეუსი ცხენისწყალთან და ტეხურთან, მაგრამ სხვა მხრივ აიას ნოქალაქევთან გაიგივებისათვის რაიმე მყარი არგუმენტები არ მოუშველებია. იგი ერთგვარი რიტორიკული აღფრთოვანებით წერს: „ვინღა იცნობს კედლების სუროთი დაფარულ ნანგრევებში, ამ სიჩუმესა და მარტოობაში, ლაზთა მეფეების ანტიკურ დედაქალაქს, პროკოპის არხეოპოლისს, კირკეს და არგონავტთა აიას?"[20]

დიუბუა დე მონპერეზე ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა ნოქალაქევის გრანდიოზულმა ნანგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რევებმა, დიდებულმა ბუნებამ და ნაქალაქარის შესანიშნავმა განლაგებამ, მას გაახსენდა ანტიკურ წყაროებში მოხსენიებული კოლხთა მითიური დედაქალაქი და ყოველგვარი საგანგებო დასაბუთების გარეშე აქვე მოათავსა აია, ამდენად ეს გაიგივება უფრო ზოგადი შთაბეჭდილების შედეგი იყო და მას მეცნიერულ ღირებულებას ვერ მივანიჭებთ.

ვფიქრობთ არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ მ. შენგელიას მიერ ზემოჩამოთვლილი პირები უბრალოდ იმეორებენ დიუბუა დე მონპერეს ამ მოსაზრებას. დიუბუას შემდეგ ნოქალაქევი ინახულა ა. მურავიოვმა. მ. შენგელია მას რუს მოგზაურს უწოდებს, უფრო ზუსტად, იგი სამღვდელო პირი იყო, რომელსაც, მისი საკუთარი განცხადებით, საქართველოში, უპირველეს ყოვლისა, ადგილობრივ წმინდანთა ცხოვრებები, ეკლესიები და რელიგიური გადმოცემები აინტერესებდა.[21] ნოქალაქევის ა. მურავიოვისეული აღწერილობა აშკარას ხდის, რომ მან საიდანღაც უკვე იცის, რომ ნოქალაქევს აიასთან აიგივებენ, აღწერს რა ნოქალაქევთან მოახლოებას, იგი პირდაპირ წერს: „ესაა ნოქალაქევი, ანუ არქეოპოლისი, ლაზების ქრისტიანული დედაქალაქი; ესაა ეა, კოლხეთის წარმართული დედაქალაქი, სახელგანთქმული მედეას ცირცეას გრძნეულებით, საითკენაც სავაჭრო საწმისისათვის მოისწრაფოდა იაზონი და სადაც ჯადოქარი ცირცეას ტყვე იყო ულისე (ოდისევსი, ნ. ლ.), ოდისეას თქმულების მიხედვით“.[22]

ესაა და ეს, არავითარი დასაბუთება! ვფიქრობთ, ა. მურავიოვი იცნობს დიუბუა დე მონპერეს თხზულებას და სწორედ აქედან აქვს აღებული აია-ნოქალაქევის იგივეობა. საქმე ის გახლავთ, რომ უფრო ქვევით, ეხება რა ნოქალაქევში შენახული ე. წ. „ორმოც მოწამეთა“ ეკლესიის აშენების დროს, იგი წერს: „შეიძლება დავეთანხმოთ სწავლულ-მოგზაურთა აზრს, რომლებიც მას იუსტინიანის დროს მიაკუთვნებენ“.[23]

„სწავლულ მოგზაურთაგან“ კი იმ დროისათვის მხოლოდ დიუბუა დე მონპერეს ჰქონდა გამოთქმული მოსაზრება, რომ ეს ეკლესია იუსტინიანეს დროს იყო აგებული.[24]

მ. შენგელიას მიერ ზემოთ ჩამოთვლილ პირთაგან დ. ბაქრაძეს თვითონ არაფერი აქვს ნათქვამი აია-ნოქალაქევის იგივეობაზე; ეხება რა ნოქალაქევის „ორმოც მოწამეთა“ ეკლესიას, დ. ბაქრაძე მოკლედ აღნიშნავს ნოქალაქევის არქეოპოლისთან იგივეობას, მოაქვს მ. ბროსეს აზრი ამავე პუნქტთან ციხე-გოჯის იდენტურობის შესახებ და შემდეგ სიტყვა-სიტყვით, ყოველგვარი კომენტარის გარეშე, მოაქვს ვრცელი ამონაწერი ა. მურავიოვის ზემოხსენებული წიგნიდან, სადაც არის ის ადგილიც, რომელიც აიასთან ნოქალაქევის გაიგივებას შეეხება.[25] მაშასადამე, ეს დ. ბაქრაძის აზრი კი არაა, არამედ ისევ ა. მურავიოვისა და წყარო აქ იგივეა — დიუბუა დე მონპერე.

რაც შეეხება პ. იოსელიანსა და რ. ერისთავს, რომელთაც მ. შენგელია ასახელებს ამ იგივეობის მომხრეებად, ჩვენი აზრით, აქ ამოსავალი წყარო ისევ იგივეა, რადგან ისინი არაფრით არ ცდილობენ აიას ნოქალაქევთან გაიგივების დასაბუთებას და უბრალოდ ამ იგივეობას აღნიშნავენ.[26]

ასეთ ვითარებაში, ცხადია, შეუძლებელია ლაპარაკი რაიმე „საუკუნეობრივ ტრადიციაზე“ და თითქოსდა დამკვიდრებულ აზრზე, რომლის უარყოფა „ასე ხელაღებით“ არ შეიძლება. საქმე ისაა, რომ აქ უარსაყოფიც არაფერია! როგორც აღვნიშნეთ, არავითარი პირველწყარო ჩვენ არა გვაქვს ნოქალაქევის აიასთან იგივეობის სამტკიცებლად, ხოლო დიუბუა დე მონპერეს ლიტონი მოსაზრება, რომელიც სრულიად არაა მეცნიერულად არგუმენტირებული და უფრო ზოგად შთაბეჭდილებას ემყარება, არ შეიძლება გამოდგეს ამ იგივეობის დამადასტურებელ საბუთად.

შემდგომად ამისა, მ. შენგელიას მოაქვს ამ იგივეობის რეალურობის საბუთად ადგილობრივ შენახული გადმოცემები და ლეგენდები; ესაა ჯერ კიდევ 1911 წ. გაზეთ „კოლხიდაში“ ვინმე „მოგზაურის“ მიერ გამოქვეყნებული, ნოქალაქევში ჩაწერილი ლეგენდა და თვით პატივცემული მკვლევარისა და მის კოლეგების მიერ ნოქალაქეველ მთქმელთაგან ჩაწერილი გადმოცემები. უნდა აღინიშნოს, რომ თავისთავად ეს ადგილობრივი ლეგენდები ძალზე საინტერესოა და ბევრ შემთხვევაში ანგარიშგასაწევიც. მაგრამ, როგორც თვით მ. შენგელია სამართლიანად აღნიშნავს, „ფოლკლორული მასალების ისტორიულ წყაროდ მიღება შეუძლებელია“ და, რაც მთავარია, თვით ეს მასალა იწვევს ეჭვს იმ მხრივ, რომ ეს კი არაა ხალხში თაობიდან-თაობაში გადმოცემული ლეგენდა, არამედ ლიტერატურული გზით აქ შემოსული ცნობები ნოქალაქევთან აიას და არგონავტთა მითის დაკავშირების შესახებ. მეც მქონდა შესაძლებლობა იმ მთქმელთაგან ზოგიერთს გავსაუბრებოდი, რომელთაც მ. შენგელია ასახელებს. ესაა პ. ზარქუა და გ. ჯლამაძე; ორივემ ისე გამართულად მიამბო არგონავტების მითის ლიტერატურული ფაბულა, რომ მე პირადად ეჭვი არ შემპარვია, ეს ამბავი მათ (ან შეიძლება მათმა უახლოესმა წინაპრებმა) სწორედ ლიტერატურული გზით გაიგეს. კერძოდ პეტრე ზარქუამ (ამჟამად 72 წლისაა) პირდაპირ განმიცხადა, „ოქროს ვერძი აქ იყო, ჯიხაში; ქალაქს ეა ერქვა, ეს ნასწავლი ხალხისგან გამიგია“ და

ეროვნული ბიბლიოთეკა

წამიკითხავს, ძველებისგან — მამა-პაპისაგან ამის შესახებ არაფერი გამიგონია".

ზემოთქმული ცხადყოფს რა სიფრთხილეა საჭირო ამგვარი გადმოცემების შეგროვებისა და მით უფრო მათი გამოყენებისას რაიმე დებულების დასასაბუთებლად; ჩვენ კვლავ ვიმეორებთ, ადგილობრივ ლეგენდა-თქმულებებს უდავოდ ენიჭება გარკვეული მნიშვნელობა და მათი ანგარიშგაუწევლობა უმართებულო იქნებოდა, მაგრამ, სანამ ფოლკლორულ მასალას წყაროდ გამოვიყენებთ, უნდა დავრწმუნდეთ, რომ ეს მასალა მართლაც ფოლკლორულია, ე. ი. ხალხში შენახულ უძველეს თქმულება-გადმოცემებს ეყრდნობა და არა ამჟამად ხალხში ლიტერატურული გზით გავრცელებულ ფაბულას.

ამრიგად, მ. შენგელიას მიერ მოტანილი მეორე რიგის წყაროები ახევე არ აღმოჩნდა საკმარისად მყარი აია-ნოქალაქევის იგივეობის სამტკიცებლად.

ახლა ვნახოთ რას გვაძლევენ თვით ძველი წყაროები აიას შესახებ. მ. შენგელია მართალია, რომ უკვე ძვ. წ. VIII საუკუნიდან ცალკეული ბერძენი ავტორი აიას კოლხეთის ქალაქად და ზოგჯერ დედაქალაქადაც ახსენებს, მაგრამ საქმე ისაა, რომ ესენი ძირითადად პოეტები და სქოლიასტები არიან, რომელნიც ეყრდნობიან „არგონავტების" მითის ლიტერატურულ ვერსიებს და საკუთარ ინტერპრეტაციას უკეთებენ მათ. მთავარი კი ისაა, რომ ის ავტორები, რომლებიც ცდილობენ რეალურად მოძებნონ კოლხეთში ქ. აია, გაარკვიონ მისი ადგილ-მდებარეობა, ამას ვერ ახერხებენ, უფრო სწორად, სრულიად განსხვავებულ მოსაზრებებს გამოთქვამენ მისი ადგილ-მდებარეობის შესახებ.

როგორც თვით მ. შენგელიას მიერ მოტანილი მასალიდან ჩანს, VIII—III სს-ში ბერძნულ წყაროებში ორი განსხვავებული ცნობაა აიას შესახებ: ჰეროდოტე (ძვ. წ. V ს.) და აპოლონიოს როდოსელი (ძვ. წ. III ს.) სრულიად გარკვევით აიას ხმარობენ კოლხეთის, ე. ი. მთელი ქვეყნის სინონიმად („აია-კოლხიდა"), ევგელოს კორინთელი (VIII ს.), ფერეკიდე (ძვ. წ. II ს.), ლიკოფრონ ქალკიდელი (ძვ. წ. III ს.), და სხვ. აიას ქალაქად მიიჩნევენ, თუმცა ზუსტ ადგილმდებარეობას ვერ აღნიშნავენ.

ახლა ვნახოთ, რა ვითარებაა შემდეგდროინდელ ავტორებთან; მას მერე, რაც ბერძნულ-რომაულმა სამყარომ კოლხეთი უკეთ გაიცნო, ცხადია, ბერძენ-რომაელ ავტორთა წინაშე დაისვა საკითხი, გაერკვიათ კონკრეტულად სად უნდა ყოფილიყო ძველი ავტორების ნაწერებში ხშირად მოხსენებული აია. დაიწყო მისი ძებნა და მცდელობა მისთვის კონკრეტული ადგილი მიეჩინათ.

სტრაბონი (ძვ. წ. I,—ახ. წ. I სს.) არაფერს ამბობს გარკვეულს, აღნიშნავს მხოლოდ, რომ „აიას მიუთითებენ ფაზისთან" (გეოგრ. I, 2, 39) ჩანს, კოლხეთის გეოგრაფიაში საკმაოდ გარკვეულმა, მან არ იცის ზუსტად სად იყო ეს ქალაქი.

პლინიუსი (ახ. წ. I ს.) უფრო ვრცლად მსჯელობს: „(ფაზისის) ნაპირებზე იყო რამდენიმე ქალაქი, ყველაზე სახელგანთქმულნი მათ შორის: „ტინდარიდა, კირკეა, კიგნუმი და შესართავთან ფაზისი, მაგრამ განსაკუთრებით სახელგანთქმული იყო აია, 15000 ნაბიჯის დაშორებით ზღვიდან, იმ ადგილას, სადაც ფაზისს, სხვადასხვა მხრიდან უერთდება დიდი მდინარეები ჰიპოსი და კიანეოსი. ამჟამად არსებობს მხოლოდ სურიუმი"... („ბუნების ისტორია", VI—28).

მაშ, პლინიუსის მიხედვით, აია მის დროს აღარ არსებობს, მაგრამ თავის დროს იგი მდ. ფაზისზე მდებარეობდა, ზღვიდან 15000 ნაბიჯის დაშორებით, იმ ადგილას, სადაც ფაზისს უერთდებიან მდ. ჰიპოსი და კიანეოსი. 15000 ნაბიჯი უდრის 22 კმ-ზე ცოტა მეტს, ჰიპოსს და კიანეოსს ჩვეულებრივ ცხენისწყალთან და ტეხურთან აიგივებენ. მაგრამ ცხენისწყალი და ტეხური ერთ ადგილას არ ერთვიან ერთმანეთს, მათ შორის საკმაო მანძილია და ვერც იმას გაიგებს კაცი რას ნიშნავს, „ისინი სხვადასხვა მხრიდან ერთვიან" ფაზისს. თანაც ტეხურის შესართავი ზღვიდან ბევრად უფრო შორსაა, ვიდრე 22 კმ (რომ აღარაფერი ვთქვათ ცხენისწყლის შესართავზე). მაშ, ცხადია, რომ პლინიუსს მთლად ნათელი და ზუსტი წარმოდგენა არა აქვს აიას გეოგრაფიულ გარემოზე და მის მდებარეობაზე, თუმცა მიუთითებს ზღვიდან მისი დაშორების მანძილსაც კი.

ახ. წ. II ს. ბერძენი გრამატიკოსი, ნიკანორ ალექსანდრიელი, როგორც ეს სტეფანე ბიზანტიელის „ეთნიკიდან" ჩანს, აიას დიოსკურიასთან აიგივებდა (გეორგიკა, ტ. III, გვ. 277), ე. ი. ამ ცნობით აია აწინდელი სოხუმის სანახებშია საძიებელი.

იმავე საუკუნის ცნობილი გეოგრაფოსი კლავდიოს პტოლემაიოსი ქალაქ აიას აღნიშნავს ზღვის სანაპიროზე, მდ. ენგურისა და ხობის შესართავებს შორის (გეოგრ. სახელმძღვ"., V, 9, 2).

V ს. ანონიმი მწერალი, რომელმაც ფლ. არიანეს „შავი ზღვის პერიპლუსი" გადაამუშავა, აიაზე აღნიშნავს: „ფაზისზე (იყო) დიდი ქალაქი, ე. წ. აია, საიდანაც იყო მედეა („პერიპლუსი", §4).

და ბოლოს, VI ს. მწერალს სტეფანე ბიზანტიელს რამდენიმე ცნობა აქვს აიას შესახებ. ერთგან ის ამბობს ფაზისის შესახებ, რომ იგი „აიას ქალაქია კოლხების ქვეყანაში" (გეორგიკა, III,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვ. 286), აქ აია კოლხეთის სინონიმად გვევლინება, ქვეყნის აღმნიშვნელად, ისე, როგორც ჰეროდოტესთან და აპოლონიოს როდოსელთან.

მეორე ადგილას სტეფანე ბიზანტიელს, როგორც აღვნიშნეთ, მოაქვს ნიკანორ ალექსანდრიელის ცნობა, რომ აია არის დიოსკურია (გეორგიკა, III, გვ. 277).

ბოლოს იგი საგანგებოდ ეხება აიას და წერს: „კოლხთა ქალაქი აშენებული აიეტის მიერ, ზღვას დაშორებულია სამასი სტადიონით. მას ჩამოუდის ორი მდინარე: „ჰიპოსი და კიანეოსი, რომლებიც მისგან ნახევარკუნძულს ჰქმნიან (იქვე, გვ. 274).

ზოგადი სურათი ჰგავს პლინიუსის აღწერილობას, ოღონდ ზღვიდან დაშორება აქ 300 სტადიონია, ე. ი. 55,5 კმ და არა 22,2 კმ. მაგრამ აქაც წარმოიშობა გაუგებრობა: თუ ჰიპოსი ცხენისწყალია, ხოლო კიანეოსი ტეხური, ისინი ერთიმეორისაგან საკმაოდ დაშორებულნი არიან და ავტორი ვერ იტყვის ისინი აიას ჩამოუდიანო, თუ კი მას სანდო ცნობები აქვს აიას მდებარეობის შესახებ.

ერთი სიტყვით, რას ვხედავთ ჩვენ: ზოგი ავტორი აიას ფაზისის ნაპირას ათავსებს (ნოქალაქევი კი ფაზისზე არაა, იგი მისგან 15-16 კმ-ითაა დაშორებული), თანაც ზღვიდან დაშორებას ზოგი 22 კმ-ს აღნიშნავს, ზოგი ორჯერ მეტს; ზოგი ავტორი მას დიოსკურია-სოხუმთან აიგივებს, ზოგი კი შავი ზღვის სანაპიროზე ათავსებს — ენგურსა და ხობოსს შორის. შეიძლება ამის შემდეგ ჩვენ ვილაპარაკოთ აიას რეალურობაზე და მხოლოდ ერთერთი ავტორის ცნობებზე დაყრდნობით მოვახდინოთ მისი ლოკალიზაცია? რატომ უნდა ვენდოთ სტეფანე ბიზანტიელის ცნობას და არა პლინიუსისა, ან ნიკანორ ალექსანდრიელისას?

აი სწორედ წყაროებში ასეთი არევდარევისა და ურთიერთგამომრიცხველი ცნობების არსებობამ შეატანინა ეჭვი მკლევარებს აიას, როგორც ქალაქის, რეალურ არსებობაში. მეორე მხრივ, ჰეროდოტეს და განსაკუთრებით აპოლონიოს როდოსელის ძალზე ნიშანდობლივმა მონაცემებმა, საიდანაც აშკარად ჩანს, რომ აია აღნიშნავს ქვეყანას, თვით სახელწოდება აიას ეტიმოლოგიურმა კავშირმა ბერძნულ გაიასთან, რაც ნიშნავს „მიწას“, მისცა საფუძველი სპეციალისტებს (პაპე, ს. ყაუხჩიშვილი, ა. ურუშაძე, თ. ყაუხჩიშვილი და სხვ.) აღენიშნათ, რომ თავდაპირველად „არგონავტების“ თქმულებაში „აია“ ნიშნავდა „კოლხეთს“, „კოლხეთის მიწას“, ამ ტერმინის სწორი გაგება შენახული აქვთ ჰეროდოტეს და აპოლონიოს როდოსელს. ხოლო ზოგიერთმა ავტორმა „აია“ გაიგო როგორც კოლხეთის ქალაქის სახელწოდება და მერმინდელმა ავტორებმა დაიწყეს კოლხეთში მისი ძებნა, რასაც მოყვა შედეგად ამ მითიური ქალაქის სხვადასხვა ადგილას მოთავსება.

ასეთია რეალური ვითარება „აიას“ პრობლემასთან დაკავშირებით და სწორედ ესაა მიზეზი იმისა, რომ ფრიად საეჭვოა აიას ძიება სადმე კონკრეტულ ადგილას და მით უფრო ნოქალაქევში, რომელთანაც აიას იგივეობის შესახებ არც ერთი წყარო არ იძლევა რაიმე მონაცემს.

ამრიგად, აია-ნოქალაქევის იდენტურობის უარყოფა არ მომხდარა ხელაღებით; უმართებულოა მ. შენგელიას კატეგორიული განცხადება, რომ უსაფუძვლოა კოლხეთში ქალაქ აიას არსებობაში ეჭვის შეტანა და თითქოსდა „დასაბუთების გარეშე“ მოხდა იმის თქმა, „რომ აია-ეა ბერძნების მიერ გვიან შეცდომით ქალაქის სახელწოდებად იქნა აღიარებული“, რაც, მ. შენგელიას აზრით, „არაა სწორი, არაა მეცნიერული“. საერთოდ ასეთი კვალიფიკაციების მიცემა ისეთი მკლევარების მოსაზრებებისათვის, როგორებიც არიან ს. ყაუხჩიშვილი, ა. ურუშაძე, თ. ყაუხჩიშვილი, ვფიქრობთ, უხერხულია, მაგრამ მთავარი ისაა, რომ სწორედ ეს მოსაზრება არის მრავალნაირ საბუთებზე დამყარებული, სწორი და მეცნიერული.

ამრიგად, ნოქალაქევში აიას ძიება, ჩვენი აზრით, არ იქნება მართებული და უნდა დავკმაყოფილდეთ ამ ქალაქის ისტორიის იმ, ისედაც საკმაო ხანგრძლივობით, რომელიც სანდო წყაროებშია დამოწმებული.

### შენიშვნები

[1] ა. მ. შნაიდერი — არქეოპოლისი (ნოქალაქევი). ჟურ. „ფორშუნგენ უნდ ფორშრიტე“, ტ. 8, № 27, ბერლინი, 1931, გვ. 354—355; შნაიდერის უფრო ვრცელი ანგარიში გამოაქვეყნა ს. ყაუხჩიშვილმა თავისი წიგნის „ლექციები ბიზანტიის ისტორიიდან“ დამატების სახით, თბილისი, 1948, გვ. 199—200.

[2] ვ. ლექვინაძის ნაშრომი გამოქვეყნებულია ჟურნალში „სოვეტსკაია არხეოლოგია“, № 3, 1959, გვ. 157—158.

[3] ქართლის ცხოვრება, ტ. I, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, თბ. 1955, გვ. 24.

[4] იქვე, გვ. 146.

[5] იქვე, გვ. 157.

[6] იქვე, გვ. 235—238.

[7] შ. მ ე ს ხ ი ა, ჰაქვინჯის ისტორიული მნი-

შვნელობის საკითხისათვის, ხელნაწერი, გვ. 3—5; ეს ხელნაწერი ს. ჯანაშიას სახ. სახელმწიფო მუზეუმის ნოქალაქევის არქეოლოგიურ ექსპედიციას გადმოსცა განსვენებული მეცნიერის ოჯახმა, რის გამოც დიდ მადლობას მოვახსენებთ.

8 ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, თბ., 1973. გვ. 777.

9 ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 29.

10 იქვე, გვ. 235.

11 გ. გოზალიშვილი, ნოქალაქევი (არქეოპოლისი) ბიზანტია-ირანის ურთიერთობაში, „მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის", XVI—XVII, 1972, გვ. 216.

12 შ. მესხია, დასახ. ხელნაწერი, გვ. 10—12.

13 პ. ზაქარაია, ვ. ლექვინაძე, ჰაქვინჯისა და გუდავის 1968—1969 წწ. ექსპედიციის წინასწარი ანგარიში, „საქართველოს სახ. მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები", II, 1971, გვ. 96—100.

14 ქართლის ცხოვრება ტ. I, გვ. 235.

15 იქვე, გვ. 235—238.

16 გ. გრიგოლია, გ. ფხაკაძე და სხვ. დასავლეთ საქართველოს სამიებო არქეოლოგიური ექსპედიციის 1966 წ. მუშაობის შედეგები, გსკა, წ. V, 1973, გვ. 36.

ეროვნული

17 გ. ნ. ჩუბინაშვილი, ნოქალაქ[illegible]სათვის, „ხელოვნების ისტორიის საკითხები", ტ. I, 1970 წ. გვ. 96. (რუს. ენაზე).

18 ა. ნ. კარასელი, არქიტექტურა, „ჩრდილო შავი ზღვისპირეთის ანტიკური ქალაქები, ტ. I, მ.—ლ. 1975, გვ. 189 (რუს. ენაზე).

19 მ. შენგელია, სად იყო მედეას ბაღი, „განთიადი", 1975, № 3, გვ. 165.

20 ფ. დიუბუა დე მონპერე, მოგზაურობა კავკასიაში, ტ. 3, პარიზი, 1939, გვ. 52 (ფრანგ. ენაზე).

21 ა. მურავიოვი, საქართველო და სომხეთი, ნაწ. I, პეტერბურგი, 1848 წ. გვ. V—X.

22 იქვე, III, გვ. 265.

23 იქვე, გვ. 268.

24 დიუბუა დე მონპერე, მოგზაურობა კავკასიაში, ტ 3, გვ. 54 (ფრ. ენაზე).

25 დ. ბაქრაძე, კავკასია ქრისტიანობის უძველეს ძეგლებში, თბ. 1875, გვ. 94—95 (რუს. ენაზე).

26 პ. იოსელიანი, ადრე არსებული და ახლანდელი ქალაქები საქართველოში, თბ., 1850. გვ. 55—56 (რუს. ენაზე); რ. ერისთავი, მოგზაურის შენიშვნები სამეგრელოზე, „კავკაზსკაია არხეოლოგიჩესკაია ლეტოპის". № 3, 1873.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეთერ ქიტიაშვილი

# უცნობი თქმულება თამარზე

## მასალები საკითხისათვის „თამარ მეფის სახე ქართულ ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში“

1962 წლის ბოლოს რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის მიერ მოწყობილი ფოლკლორისტული ექსპედიცია, რომელშიც მეც ვირიცხებოდი, ცხინვალის რაიონში მუშაობდა. სოფელ კეხვში შევხვდი 101 წლის ენაწყლიან და ხალისიან მოხუცს სიმონ ზანგალაძეს.

— რამდენი წლისა ბრძანდები, ძია სიმონ! — ვეკითხები.

— ერთისა — მიპასუხა. ვერ მივხვდი. შემატყო და ამიხსნა: ერთი წლისა ვარ, შვილო, ასი გავათავე და ახლა ერთი წლისა ვარ.

შესაშური მუხლი შერჩენოდა: კეხვის ციხეზე ისე აირბინა, ახალგაზრდები შორს ჩამოგვიტოვა. სიმონ ზანგალაძისაგან ბევრი კარგი მასალა ჩავიწერე, მათ შორის თამარ მეფეზე. ლეგენდები და თქმულებები ხომ უამრავია თამარზე, მაგრამ მსგავსი არც გამოქვეყნებული შემხვედრია და არც ხალხში გამიგონია, თუმცა რამდენიმე წლის განმავლობაში ვმონაწილეობდი ასეთ ექსპედიციებში. ამიტომ ვბედავ და მკითხველს ვთავაზობ მას ოდნავ დამუშავებული სახით.

* * *

თამარი დადიოდა, ბრძოლობდა, — ასე დაიწყო მოხუცმა, — აქეთ დარუბანდამდე აიღო, იქით — სტამბოლამდე. ურჯულო მეფეს გაეგო, საქართველოში ქალია მეფეო და დაეტრაბაბა, ეხლა კი ველირსები საქართველოს ხელში ჩაგდებას, იმათ მეფესაც ცოლად შევირთავო. თამარმა რომ ეს გაიგო, თავისიანებს შეუთვალა, ოცი-ოცდაერთი წლის ბიჭები მოაგროვეთ, გუდასტვირები გამართეთ და მოდით მცხეთაში, მომეშველეთო. მოგროვდა ჯარი მცხეთაში. სტამბოლელს კი შეუთვალა, ქალი ვარ, მაგრამ ჭკუა კარგი მაქვსო. თამარმა ჯერ კარგად აქეიფა ჯარი, დრო გაატარებინა, მერე რუხთავში გაგზავნა და უბრძანა, ხაროები გათხარეთო. გათხარეს ტრიალ მინდორზე დიდი ხაროები, წააბადიმეს და თითონ დაიმალნენ. მოდის ურჯულოს ჯარი, თან უხარიათ, ქართველები შეშინებულან და გაქცეულანო. მოვიდნენ რუხთავის მინდორზე, გადაცვივდნენ ხაროებში, მოსდგნენ ქართველები და ამოხოცეს. დაუღეს იმათი ქონება და ამოიტანეს მცხეთაში. ორი კვირა აქეიფა ჯარი და გაუშვა, მაშინ იყო, თამარმა რომ თქვა:

თამარ ქალი ვარ, ხმა დიდი დავიგდე,
ზღვაში სამნები ჩავყარე,
ხმელეთი აქეთ დავიგდეო.

ლაშქრობიდან რომ ბრუნდებოდა თამარი, წმინდა გიორგი შეხვდა.

— ვინ ხარ, რა მოხელე ხარ, რას დადიხარო, — ჰკითხა თამარმა.

— ჩემი ხელობა ის არის, რომ გაჭირვებულს ვუშველო, მდიდარს ვართმევ და ღარიბს ვაძლევ, წმინდა გიორგი ვარო, — უპასუხა გიორგიმ.

— ჩემი ხელობისა ყოფილხარ, და-ძმად გავიფიცნეთო.

— არაო, მე შენი ძმობის ღირსი არა ვარო.

— უთუოდ და-ძმანი უნდა ვიყოთო, — უთხრა თამარმა, — მე მამისერთა ვარ, შენც დედისერთა ყოფილხარ, ორივე ერთ საქმეს ვაკეთებთ, ხალხსა ვშველითო.

გაიფიცნენ და-ძმად. თან წაიყვანა თამარმა გიორგი. სოფელ ხვითში ჩაიარეს. ქალი და ვაჟი ერთად რომ დაინახეს, ხვითელებმა ჩურჩული დაიწყეს, გაჭორეს. თამარს ეწყინა და დასწყევლა ხვითელები: რადგან ასეთი ჭორიკანები ყოფილხართ, მაგაზე მეტი არ გამრავლდითო. თამარი წმინდანი იყო, მისი წყევლაც სრულდებოდა და ლოცვაც. მას აქეთ ხვითი

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ მრავლდება, რამდენიც იყვნენ, იმდენი არიან, თორემ ახლა დიმზე დიდიც უნდა იყოს, დიდი მამულები აქვთ.

თამარს ურჯულოს დატრაბახება არ ასვენებდა, უნდა ვანანოთ. შეაგროვა ჯარი და სტამბოლზე გაილაშქრა. მიადგნენ ზღვას, ერთ კაცს ზღვაში ბადე გადაეგდო. ამოიყვანა თევზები და ცოცხლადვე ჩაყარა ქვაბში.

— რას შვრები, კაცო, ცოდონი არიანო, — უთხრა თამარმა.

— არ არიან ცოდონიო, წყლის შვილები არიან, წყალში უნდა მოიხარშნონო, — უპასუხა მებადურმა. ამოიღო ქვაბიდან თევზები და მიართვა თამარს. თევზები ისევ ხტოდნენ. თამარს შეეცოდა და ვერ ჭამა.

თამარი ზღვით უნდა გასულიყო სტამბოლს, ჯარი — ხმელეთით. წმინდა გიორგიც თან ჰყავს, შედგნენ ზღვაზე (თამარი წმინდანი იყო, ზღვაში ფეხით დადიოდა). გიორგი არ გაუშვა ღმერთმა ზღვაზე, იძირებოდა. — დაო, მიშველეო, — შესძახა. თამარმა დაიჩოქა ზღვაზე და შესთხოვა:

— ღმერთო, ეს ერთი ძმა მიშოვნია და მაჩუქე, ნუ მომიკლავ, გამაყვანინე ხმელეთზეო. გაიყვანა. — გიორგი, ძმაო, შენ ზღვის კაცი არა ხარო (ე. ი. ზღვაზე სიარული არ შეგიძლიაო — მთქმ.) ხმელეთით იარე, ჩემი ჯარიც ხმელეთით მოიყვანე სტამბულს, მე ზღვით მოვალო. სტამბოლში ისევ შეხვდნენ ერთმანეთს. სასტიკად დაამარცხა თამარმა სტამბოლელი, მერე შეუთვალა, ასე რომ დაგტოვო, საქართველოსთან ომს არ მოიშლი, ისე უნდა დაგწყევლო, რომ ჩვენთან ბრძოლის თავი აღარა გქონდეს, ჩემი პატარა საქართველო არ წამიხდინოო. თამარმა დასწყევლა:

სტამბოლის უფროსი იყავ,
ვეხვიოს თავზე თავშალი...
. . . . . . . . . . . . .

ასრულდა თამარ მეფის წყევლა: მას აქეთ თათრებს თავზე თავშალი აქვთ შემოხვეული...

დაბრუნდნენ საქართველოში. გიორგი არ წაჰყვა თამარს სასახლეში:

— არა, დაო, ჩემი ხელობა ხალხში სიარულიაო, — უთხრა.

— წადი, ძმაო, შენი გზით იარე, მაგ შენ ხელობას კიდევ მიუმატე, ღარიბებს მეტი მიეცი, რომ ხალხი არ დამემშესო. მერე დაუმატა: ძმაო, გიორგი, შენც მოკვდები და მეც მოვკვდები, მაგრამ სხვადასხვა ბედი გვაქვს სიკვდილის შემდეგ, ჩემი საფლავი დაიკარგება, ათას წელს ეძებენ და ვერ იპოვნიან, შენ კი წმინდა მთაზე დაგმარხავენ, მარიამობის თვეში. მლოცავი გეყოლება თმაზე უმრავლესი.

ასეც მოხდა: თამარის საფლავი ხომ დაიკარგა და ვერ პოულობენ. გიორგი კი გერის მთაზე დამარხეს და მონასტერი დააარსეს. მარიამობის თვეში თმაზე უმრავლესი მლოცველი მოდის დღეობაზე.

* * *

როცა თხრობა დასრულდა, მე შევეკითხე, რას ნიშნავს „გერის" წმინდა გიორგი, ასე რატომ დაარქვეს-მეთქი.

— გერის წმინდა გიორგი იმიტომ დაარქვეს, რომ გიორგი ღვიძლი ძმა არ იყო თამარისა, გერი ძმა იყოო, — მიპასუხა მოხუცმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლავროსი კალანდაძე

# ბორგვა პოეტისა

მუხრან მაჭავარიანი, რა თქმა უნდა, ხალასი პოეტია, მირონცხებული (დაე, ახალი შინაარსით გაივსოს ეს ძველი საეკლესიო, მაგრამ, ჩემი აზრით, საკმაოდ ლამაზი სიტყვა), მკვეთრად თავისებური, უაღრესად განსხვავებული, ერთობ აზრიანი და გრძნობიერი.

მაგრამ საჭიროა კი საქებარი სიტყვებისა და ეპითეტების ძებნა? ხოტბის შესხმა განა რითიმე აუხვებს ჩვენს სულიერ საგანძურს? იქნებ სჯობდეს, რომ გავიხსენოთ პოეტის თუნდაც ისეთი სტრიქონები თუ ტაეპები, რაც ხშირად გვახარებს და გვატკბობს. ბევრი იქნება? ახლა კი არც იმდენი დრო გვაქვს და არც იმდენი ადგილი. ამიტომ გავიხსენოთ სულ მცირედენი, რაც ანაზდად მოგვყვება ხელში!

ზოგს, ალბათ, აზრი უმალვე გაექცევა ლექსისაკენ „საბა“, ამ ლექსში საოცრად მომჭირნე პოეტური ხერხებითა თუ საშუალებებით, უაღრესად ხალხურ-სასაუბრო ინტონაციით გადმოცემულია უმძაფრესი ტრაგიზმი მწვავე ეროვნულ ბედუკუღმართობისა, როცა დიდებული კაცი ერისა, სულხან-საბა ორბელიანი შველასა და შეწევნას ამაოდ ეძიებდა საფრანგეთის მეფის ლუდოვიკო მეთოთხმეტის კარზე, როცა ქართველ ყრმებსა და ყმაწვილებს იტაცებდნენ და უცხო ქვეყნების ბაზრებზე ყიდდნენ... ყოველი ნაკვთი ამ მძაფრი ტრაგიზმით აღსავსე ლექსისა დამუხტულია თავისებური ესთეტიკური ენერგიით, მშვენიერების დვრიტით.

უნდა განეწყოთ და ასეთ ესთეტიკურ ენერგიას იგრძნობთ ლექსის „ვახტანგ მეფის ნანადირევის“ თუნდაც ისეთ ნაკვეთშიაც კი, როგორიცაა:

მღვრიე წყალი გადალახეს, შეჰყვნენ
რიყე-რიყე...
(მეფე იყო და მეფესთან მარეკები იყვნენ),
მიდიოდნენ!
მიდიოდნენ! მეფე მიდის პირველიო!
აუფრინდათ!
აუფრინდათ!...
— ხოხობია!...
— ხოხობია!...
— ხო ყოფილა!
— ხო ყოფილა
ამ ტყეშიაც ფრინველიო!
ხოხობს ქორი მიუსიეს, მიუსიეს,
მიუსიეს, —
ამ ულრან ტყეს გადასცილდნენ,
შეეფარნენ იმ უსიერს...
დაედევნენ... დაედევნენ...
და...
ჩავიდნენ თბილისში.

დააკვირდით, რა საოცრად უბრალო, ამდროული, ხალხური მეტყველებაა და, თანაც, რანაირი სასალბუნო და საამო შინაგანი მუსიკაა შიგ ჩაწნული. იქ ისტორიულში და ლეგენდარულში თანამედროვეობის სულია შთაბერილი.

ჭეშმარიტი პოეზია, რასაკვირველია, როგორღაც თავისთავის გამოხატვაც და გამჟღავნებაცაა. მაგრამ თვითგამოხატვა მხოლოდ მაშინ ადის დიდი ხელოვნების სიმაღლეზე, როცა ადამიანთა წრის ფიქრებს, გრძნობებს და განცდებს ინაკადებს.

ყურადღებას იქცევს პოეტის ერთი მცირე თვითდახასიათება. მის ერთ ექვსსტრიქონიან ლექსს წამძღვარებული აქვს ნაწყვეტი სიგელ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იდან, რომელიც ერეკლე მეორეს უბოძებია მღვდელ იასე მაჭავარიანისათვის. აი ლექსიც:

საყდრით გამოდის პატარა კახის
კარის მოძღვარი კახთ-მაჭავარი,
რომელიც თურმე ყოფილა ნაღდი
კაცი და, მერე, კაცი რავარი!
ჩემი არ იყოს, ქართველი ხალხი
ყოფილა თურმე მისთვის მთავარი.

ამ ალხარებას წყალი არ გაუვა.

ამ მოტივს ბევრი სულში ჩამწვდომი ლექსით თუ სტროფით იმეორებს, უკეთ ვთქვათ, აღრმავებს პოეტი. ძალოვანი კუნთოვანებით გამოირჩევა მისი ბევრი ლექსი. ადრე სიცოცხლის უსაზღვრო ტრფიალითა და გაუბზარავი სიხარულით შეპყრობილი შემოქმედი ქვეყნიერების სისავსეს და სილამაზეს უმღეროდა გატაცებით, თითქმის თავდავიწყებით. აი, სტრიქონები სხვადასხვა ადრინდელი ლექსებიდან.

კმაყოფილი ჭაბუკი ვილიმები, ვიჩქარი,
ილვიძებენ გზადაგზა სიყმაწვილის დღეები;
წისქვილები,
მინდვრები,
წყაროები,
ტყეები...

. . . . . . . . . . . . .

ველი გადახნულია,
ჰყვავის აკაციები,
აქაც გაზაფხულია,
ხარობს აქაც იები.
მივდივარ და მომდევენ გვერდით აკაციები.
ვხედავ: იქაც იები,
ვხედავ: აქაც იები.
მიხარია...
დატრიალდა მიწის ორთქლი ჰაერში,
მეც ცვარივით ალმიტაცე,
უფრო დაბლა დაეშვი;
დე, ცვარივით გავითქვიფო,
მზეო, მეც ამ ჰაერში.
მივაბიჯებ, მიხარია,
მივიმღერი, მივაბოლებ...
ველარ ვიგრძნო ბალახები, —
განა ისე გავზვიადდი!
სიხარულმა ალმიტაცა,
მომანდომა თამაშობა,
სიხარულმა გამაბრუა
და ეს ლექსიც ამან შობა!
დავდივარ.... დადიან..
ეს ბედნიერება, —
ეს ბედნიერება არაა განა?!
ადამიანები
მიდიან,
მოდიან.
ფართო ნაბიჯით მივდივარ გზაზე.
ქუჩაში დიდი ხეები დგანან,
სივრცე იმხელა გასაქანს მაძლევს!
იმხელა მთვარე დაჰყურებს ქალაქს!
გაზაფხულია
გაზაფხულია.
გახარებულმა რა ვქნა არ ვიცი!
გაზაფხულია.
გაზაფხულია.
ნაცნობ ყვავილებს ეძებს პეპელა.
მე ამ გაზაფხულს,
მე ამ სიცოცხლეს, —
ისე ახლოს და მძაფრად განვიცდი, —
ასე მგონია:
სუნთქავს ქვეყანა
მარტოდენ ჩემდა საამებლად.

შემდეგ და შემდეგ კი პოეტის გაუბზარავ სიხარულსა და აღტაცებას თანდათან ენაკალდება თუ ერწყმის თავისებური დრამატიზმის, სარკაზმისა და, ასე გასინჯეთ, ერთგვარი ტრაგიზმის გრძნობაც კი. ეს ბუნებრივიცაა, რადგან წლები, რასაკვირველია, გარკვეული ცხოვრებისეული და სულიერი გამოცდილებით მუხტავს ადამიანთა და, მაშასადამე, პოეტთა შინაგან სამყაროს. ის გამოცდილება უეჭველად ამდიდრებს, აუხვევს პოეტის ფანტაზიასაც, შემოქმედებასაც.

დრამატული ინტონაციის ერთგვარი გამძაფრება უეჭველად იგრძნობა პოეტის იმ ლექსებშიაც, ამას წინათ რომ გამოქვეყნდა გაზეთ „კომუნისტში". მივუგდოთ ყური:

გამანდო ცეცხლმა, გამანდო დელგმამ;
რაც მელოდება, — ვაი, რომ, — ვიცი...
თუმცაღა ბევრი იბლავლა თერგმა,
მერე და მერე დაოკდა ისიც.
ნათქვამი ჩემი იბარტყებს, მჯე...,
რამეთუ ჩემსას წყალს აწვდის გორჯას,
არა ის, რასაც მოიცავს მზერა,
არამედ იგი, რაც თვალით არ ჩა...

დრამატულთან ერთად პოეტის შემოქმედებაში მძაფრდება კრიტიკული გზნებაც. „მიზეზი ყოვლის" — ეწოდება იქვე დაბეჭდილ ლექსს.

სიგლახეს ჩვენსას დავაბრალებთ უცხოს
ნუროფუხ! —
თვითდაკვირვების მოვიმარჯვოთ, დროთა,
უნარი!
მიზეზი ყოვლის, რა სიგლახეც ჩვენში
მძვინვარებს! —
თქვენ როგორ ფიქრობთ?!
რაა?!
ვინ არი?!
ისევ ჩვენს შორის, რომ თყო და, რომაა
ბევრი, —
თავისი ვისაც ურჩევნია ყველაფერს თავი,
ვინც სამშობლოთი, სამწუხაროდ, არაა
ავად,
ჰკიდია ვისაც საქართველო ფეხებზე შენი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პოეტი არ იზღუდება გამოთქმის, გამოხატვის საშუალებათა არჩევაში. არა მარტო ელვარე, ძარღვიან და მოულოდნელ მეტაფორებს იყენებს იგი, არამედ აზრის პირდაპირ მოძრაობასაც, სხარტულ სენტენციებსაც, თავისეულ აფორიზმებსაც, პარადოქსებსაც, უცნაურ გამოთქმებსაც. პოეტის მეტაფორულ საგანძურში ხშირად იპოვნით ისეთ კარგ ნახატს, როგორიცაა ვთქვათ,

მზე ფოთლებიდან
წამდაუწუმ იძახის: —
ჰიტა!

ლამაზი და საგულისხმოა, მაგალითად, ასეთი სენტენციაც:

სიმართლეს ქვეყნად
პატრონი არ ჰყავს,
ნამუსის გარდა!

ურიგო როდი იქნება ამ სენტენციის მეცნიერულ-ფილოსოფიური გააზრება. პოეტი მეცნიერი არ არის, იგი მხოლოდ თავისი სულის მღელვარებას გამოთქვამს და გამოხატავს.

ლირიკა მეტწილად თვით შემოქმედის სულის ნახატია. ლექსი „მდინარეს უნდა“ არსებითად მუხრან მაჭავარიანის შთაგონებული ავტოპორტრეტია .

ვხედავ:
მდინარე კალაპოტში აღარ ეტევა,
გულს აღტაცებულს
მდინარისგან ვეღარ ვანსხვავებ:
განთიადია...
გაზაფხულის დილა თენდება,
დედამიწიდან
შადრევანი
აქრობს
ვარსკვლავებს.
ვწრიალებთ,
ვბორგავთ
ერთნაირად მე და მდინარე;
ვბობოქრობთ —
გვინდა დავაღწიოთ თავი კალაპოტს.
გვშურს: ვხედავთ ცაში
ფრინველები ლაღად ფრინავენ,
ვცდილობთ ორთავე
რომ პიტალო კლდენი გავაპოთ.

აქ მომხიბვლელია ნახატიც, შედარებაც, მისწრაფებაც, გრძნობაც.

იბორგე, იბორგე პოეტო!

50 წელი ბრძნული სიმწიფის ზღურბლია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვლადიმერ მაჭავარიანი

# ერის მგოსანი

ტრივიალურ, მოარულ ფრაზად გადაიქცა აზრი, რომ საქართველო პოეტების, პოეზიის ქვეყანაა.

ეს ასე არის, ამას ამტკიცებს პოეტთა რიცხვი და პოეზიის ხარისხი.

ამ მიწამ, ამ ზეცამ, მთამ და ბარმა კაცობრიობას მისცეს ლექსის უებარი დიდოსტატები — შოთა, ვაჟა, აკაკი, ილია, სხვებიც რასაკვირველია.

აქ, ასეთ ქვეყანაში, რომ პოეტად მიგიჩნიონ, გაღიარონ, შეგიყვარონ, მგოსნის უებარი ნიჭი უნდა გქონდეს.

აქვს ასეთი ნიჭი მუხრან მაჭავარიანს.

ყველა, უკლებლივ ყველა ქართველი პოეტი, თუ ის ბუნებამ მგოსნის ნიჭით დააჯილდოვა, პირველ რიგში, ამ ფირუზ ცასა, ზურმუხტ ხმელეთს, აქაურ ხალხს უმღერის.

მუხრანიც ამ რიგად იქცევა, მისი ყველა ლექსი სამშობლოს პატივისცემითა და სიყვარულით არის გამთბარი. ხალხმა დაიმახსოვრა, შეიყვარა, გულთან მიიტანა მისი ნიჭის ნაყოფი — პოეზია.

მუხრანის ყოველი ლექსი სავსეა ფიქრით, აზრით, არც თუ ხშირად, ჰმუნვით.

მგოსანი ხომ აქაურ, ჩვენებურ მიწაზე, აქაურ, ჩვენებურ სილამაზეზე, ქართველთა აზრის სიღრმეზე წერს.

მუხრანი ის მგოსანია, რომელიც სამუდამოდ დარჩება ქართველთა პოეტურ სამყაროში, შეგნებაში. მის სტრიქონს უკვდავება აქვს მიმადლებული.

დავულოცოთ მას გზა დიდი პოეზიისა.

ის ხომ ერის მგოსანია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალექსანდრე კალანდაძე

# ლექსის ერთგულება

შალვა ფორჩხიძეს სამოცი წელი შეუსრულდა. აქედან ორმოცზე მეტია ერთგულად ემსახურება ქართულ პოეზიას. ოცდახუთი დიდი თუ მცირე კრებული აქვს დასტამბული, ასობით ლექსისა და პოემის ავტორია. მისი შემოქმედებისადმი ინტერესს ისიც აძლიერებს, რომ, როგორც კრიტიკოსი, კარგად იცნობს პოეტური ხელოვნების საიდუმლოებებს, — გამოქვეყნებული აქვს ქართული ლირიკის სახელმოხვეჭილ ოსტატებზე კრიტიკული წერილების კრებული „დაფნის ხეებთან“. წმინდა საკურთხევლის წინაშე ერთგული სამსახურისა და ვალმოხდილობის რწმენა უფლებას აძლევს თქვას:

> წავიდნენ წლები, სიჭაბუკის დაცხრნენ
> ქარები,
> წამითაც ვერსად დავასვენე დალლილი
> მუხლი.

შემოქმედებაში მუდამ ეძიებენ ავტორის სულს, ხასიათს, პოეტურ ბუნებას, ურომლისოდაც აქ ძალლონის ხარჯვა „ამაოდ დაშვრომა“ იქნებოდა. რაც სიწრფელისა და სიწმინდის ნაყოფი არაა, რასაც ალალი გულის მადლი არ სცხია, ვერასოდეს ვერ აალელვებს მკითხველს, ვერ დაიპყრობს ადამიანის სულს, ვერ აზიარებს ჭეშმარიტსა და მშვენიერთან.

შემოქმედებითს თვითანალიზში ალხარებად ცხადდება ეს აზრი:

> ...რადგან მიწაზე ერთხელ მოვედი,
> რადგანაც მიყვარს და მიტაცებს რაღაც
> ფარული,
> სხვა გაურჯოლიება, ქარიშხლები სხვა
> სიხარულის,
> და საქართველოს მქვია პოეტი,
> რადგან ყველაფერს მე განვიცდი სხვა
> მდუღარებით...

რა გასაკვირია, რომ სიწმინდესა და სიალალმართლეს ყველაზე მეტად ითხოვს სამშობლოს სიყვარული, როგორც პატიოსანი ადამიანის უზენაესი მოწოდება. უსაზღვროა პოეზიის სამყარო, მაგრამ ქართულ პოეზიაში, და არა მარტო ქართულ პოეზიაში, უკეთესთა შორის უკეთესი სწორედ პატრიოტულ თემებზეა შექმნილი. უთუოდ, ესეცაა მიზეზი, რომ ამ თემაზე წერა დღეს განსაკუთრებით ძნელი და საპასუხისმგებლოა. რა კუთხით არ შეხებიან მას წინაპრები და თანამედროვენი, რა ფერები და ნიშნები არ დაუძებნიათ, პოეტური არსენალის რა კუთხე და იარაღი არ გამოუყენებიათ სამშობლოსადმი სიყვარულისა და ერთგულების გამოსახატავად! ვინც არ იცის, რაოდენ ღრმა და ამოუწურველია, ერთი მხრივ, მამულისმოყვარეობა, ხოლო მეორე მხრივ, პოეტური ხელოვნების გამომსახველობითი საშუალებანი, მას იქნებ, შეუძლებლადაც მოეჩვენოს, ამ სამყაროში ახალ წარმატებათა მოპოვება.

ცხადია, ყველა აუცილებელ მაგალითს ვერ მოვიტანთ, მაგრამ მკითხველი რამდენიმე ნიმუშითაც დარწმუნდება, რა ღირსებისაა შალვა ფორჩხიძის პატრიოტული ლექსები, როგორც ფორმის ბუნებრიობით. ისე შინაარსის სიახლითა და ცხოველმყოფლობით.

> ...გაუმარჯოს, ვინც რომ დღემდე
> შენთვის დასდო თავი თვისი,
> ვინც რომ დღესაც შენთვის იღწვის,
> ჩანგი ჩემი ალალ მისი!
> საქართველოვ, საქართველოვ,
> სიხარულის მწვანე ხეო,
> მზეო წრფელო, ცხელო გულის,
> სიყვარულის გრძელო დღეო,
> გაუმარჯოს, ვისაც შენთვის
> სიცოცხლე და ბრძოლა შვენის,

ეროვნული

ვინც გაშენებს, გალორძინებს
გული მისი ალალ შენი!

სამშობლოს სიყვარული მისთვის შრომა, ბრძოლა და თავდადებაა:

საქართველოვ, საქართველოვ,
დამღალე, არ დამასვენო,
წარსულ დღეთა შეჭირვება,
მეტი აღარ გამახსენო.
სიხარული გამიმრავლე,
მადლევგრძელე ღიმილმჩენი,
თუ დაგჭირდე, ნუ დამზოგავ,
თავი ჩემი ალალშენი!

დღეს აღარავინ დავობს, რომ ჭეშმარიტი პოეტი არ შეიძლება სადღეგრძელოების პატრიოტიზმით და პათეტიკური მოწოდებებით შემოიფარგლოს. პოეტური ნიჭი მოწოდებულია ღრმად ჩასწვდეს ერის ავკარგს, დაინახოს და ხვალინდელის ჭრილში გაიაზროს, რის წვდომის მადლი მხოლოდ მას გააჩნია. მაგრამ ცალმხრივად არც ეს უნდა გავიგოთ. წარსულიც, აწმყოც და მომავალიც კონკრეტული და მატერიალურია.

ესაა ჩვენი დიდებული მწერლობა და ხელოვნება, წინაპართა საქმეები და სახელები, ურომლისოდაც ჩვენი ეროვნული სიამაყე და რწმენა ემოციურ ბალავარს დაჰკარგავდა. საქმე ისაა, პოულობს თუ არა შემოქმედი ახალ ფერებსა და ნერგს ამ მარადიული გრძნობების გამოხატვისათვის, ...

ღვიძებლად და გასაცოცხლებლად. შ. ფორჩხიძე ერთი იმ ბედნიერთაგანია, ვინც დაუცხრომლად ეძებს და კიდეც პოულობს საკუთარ ფერებსა და კილოს, თავისი პოეტური გადასახედიდან გვიჩვენებს ნაცნობ საგნებსა და მოვლენებს. ძველი სახელები მის ლექსებში ახალი თვისებებით იმოსება. „ჩემი ვარძია, ჩემი გრემი, ჩემი გელათი, შენ უკვდავების ფოთლებივით ტანზე გასხია“.

შ. ფორჩხიძეს აქტიურად აქვს გააზრებული ერის წარსულისადმი ამ ხადლფისო დამოკიდებულების მნიშვნელობა.

ერის წუთი, ბევრი სხვაც,
რაღაც სხვა ალტაცების,
სულში რეკენ ზარები
ძველი ციხე-ტაძრების.

სამშობლოსათვის თავდადების აზრი და გრძნობა პოეტმა პროგრამული სინათლითა და ღრმა ემოციურობით გააცოცხლა „გრემში“.

მივყვები ცისკენ ქონგურებს ფორთხვით
და უფრო ახლოს ვარ ჩემს მიწასთან...
ლოდებში კვის სისხლი ჩამხმარი,
იცი? — ეს სისხლი სისხლია ჩემი!
იცი? — რა სულის სიმაღლე არის
ცისკენ წასული ბებერი გრემი.

შ. ფორჩხიძე გრძნობს, რომ ამ ციკლის ლექსებს განუმეორებელ ელფერს ანიჭებს ფოლკლორული ვარიაციები. ტრადიციული და დღევანდელი პოეტური ხერხების შეთანხმებით აღნიშნული თვალთახედვა უნაკლოდაა ხორცშესხმული „გადარჩენის ბალადაში“.

შ. ფორჩხიძის პატრიოტული ლექსების ძალას მე მაინც ამ თემატიკურ-იდეურ სიახლეებში კი არ ვხედავ, არამედ სულის მდუმარე, თითქმის გამოთქმულ ლირიკულ სითბოსა და სინაზეში, რომელსაც ისინი ყოველგვარი ძალდატანების გარეშე იწვევენ.

მოხველ საიდან? მიდიხარ საით?
მიენდე შენი სამშობლოს ნიავს,
ყურს ნუ ათხოვებ პატარა სევდას,
რომელსაც ყვითელ ფოთოლში სძინავს.

იყვნენ და არიან ერები, რომელთა შვილობა ბევრ პრივილეგიას იძლეოდა და, მათ პატრიოტობაში უთუოდ ერია ადამიანური ეგოიზმიც. ქართველი მამულიშვილობა კი, მუდამ იმას ნიშნავდა: „ქედს სიყვარულის გედგას უღელი“. აქაც პოეზია მუდამ იყო და იქნება ქართველი კაცის კეთილი თანამებრძოლი, სიბრძნისა და სიწმინდის წყარო, აღმზრდელი და დამრიგებელი. პატრიოტულმა მოტივმა ჩვენს ლიტერატურაში უნივერსალური ხასიათი შეიძინა, შემოქმედი პიროვნების სრული გამოვლინების შინაარსად იქცა, შეისისხლხორცა სოციალური მისწრაფებები, ფილოსოფიური სიბრძნე, ესთეტიკური იდეალები, სიყვარული, პეიზაჟი. როგორც გრძნობისა და აზრის გამოხატვის ძირითადი იარაღი, ის აქტიურად მონაწილეობს არა მარტო სამშობლოსადმი მიძღვნილ ლექსებში, არამედ ინტიმურ ლირიკაშიც, სადაც სწორედ განსაკუთრებულ ზემოქმედების ძალას იძენს. ზემოთქმულის საუკეთესო ნიმუშია შალვა ფორჩხიძის „დედა... სოფელი... ელდა“.

როგორც ამაყი მოყმე დიდგორის,
სისხლნაწვიმარი და ნათოვარი,
ჩემი სიცოცხლის შუა მინდორში
ვდგავარ დაღლილი და ნაომარი.
შენ გინდა, ტანზე აბჯარს ვისხამდე,
მე ჟამი ჩუმად წინ მიფენს ჩეროს,
და მოწყენილი სამხრეთისაკენ
მიფრინავს ჩემი ყვითელი წერო.
და კვის ჩემი სულის სამრეკლო,
ეჭვი მსუსხავს და მკაწრავს ეკალი,
თუ განწირული ვიყავ სამსხვერპლოდ,
ნეტავი ისევ შენ მოგეკალი.
ნეტავი ჩემი ცივი ცხედარი
დიდგორში უბირ ქარებს ენახა,
შენ დაგკლებოდა ერთი მხედარი,
მე ქვეყნის ვალი გადამეხადა.

წარმოსახვათა ახეთ ურთიერთ გამომწვევ კავშირში პატრიოტული გრძნობის გამოხატვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულისხმობს ხალხის ბუნების, ხასიათის, მისწრაფებების წვდომას, ეროვნული სულით გამსჭვალვას. ჭეშმარიტ პოეტს არ უნდა აშინებდეს არც ტრადიციული ფორმა და არც ვერლიბრი, არც მწყობრი სიუჟეტი და არც ფრაგმენტულობა, ოღონდაც, გულისგამგლეჯი სათქმელი წმინდად მიიტანოს მკითხველთან.

ცხრაას ხუთი, ცხრაას ჩვიდმეტი წლების რომანტიკა, არა მარტო რევოლუციის რომანტიკაა, არამედ საერთოდ ისტორიის რომანტიკაცაა, რომელიც უნაპირო ფიქრსა და გრძნობას იწვევს. შ. ფორჩხიძეს სულის სითბო და მადლი ჩაუქსოვია ამ ციკლის ლექსებში. ესაა არა ამბები და მსჯელობანი, არამედ ბავშვობის მოგონებათა ჩუმი ამბორი, თეთრფრთიანი ოცნება გმირებზე, იდუმალება ზებუნებრივის შეგრძნებისა, სისხლხორცეული ნათესაობისა და კავშირისა.

მე...
ჩემს ბედს თვითონ ვჭედდი ნებაზე,
და მწედ
შენი მზე მეცხადებოდა.
ცხრაასხუთელის მართალ კერაზე
ობოლი ბიჭის კვერიც ცხვებოდა.

ძტკიცე საფუძველი გვაქვს ვთქვათ, რომ შ. ფორჩხიძე სოფელზე დაწერილი საუკეთესო ლექსების ავტორია. შესანიშნავად იცნობს და გრძნობს იმერული სოფლის კოლორიტს, იგი წარმოგვიდგება პირველყოფილი გლეხური უშუალობითაც და ესთეტის გამახვილებული ლირიკული ალღოთიც, პოულობს საკუთარ ნიუანსებსა და მიმოხრას. ემოციური ნიუანსებით საგანთა და მოვლენათა შორის იდუმალი კავშირის შეგრძნება იწვევს ინდივიდუალური შეფერილობის განწყობილებებს, რომლებიც ამ ლექსების უმთავრესი ღირსებაა.

რადგან შ. ფორჩხიძე კრიტიკის მიერ გამორჩეული პოეტი არაა, მინდა მკითხველს აქვე შევთავაზო ორიოდე ნიმუში, რათა თვითონ გამოიტანოს მსჯავრი, რამდენად ობიექტურია ჩემი მოსაზრება.

მომენატრა ახლა შენთან ყოფნა,
მზის ჩასვლისას მწვანე მთების ზოლი,,
ჩალიანში გაყუჩება სოფლად,
ეზო-ეზო დაწვიმული მოლი.
ღობის პირას დაბურვილი დაფნა,
ბილიკებზე დახვეული სურო,
ბროწეულის ანთებული აფრა,
ქინძლილებად დახვეული ული.
სავსე მთვარე მწვერვალების იქით,
ტირიფებში სიჩუმე და ფიქრი,
და ჭალებში ხმელი თივის სუნი...
ზაფრანებში ბორიალი ქარის,
მარტოობის სევდით დაისრული —
ღია ჭიშკრის მოჭრიალე კარი.

არის ამ ხტრიქონებში ცხოვრების ცოდნა, მისტიკურის შეგრძნებაც და ეროვნული სულიც. მკითხველს ხიბლავს მშვენიერი და კეთილშობილი, უბრალო და მიამიტური ბუნება, აზრისა და გრძნობის ლოგიკა, სწორედ ის, რაც ძვირფასი ტრადიციის განახლებას უნდა.

ჩვენს დროში პოეზია აზროვნების პრიმატით ვითარდება. ტროპის მნიშვნელობა სუსტდება, მეტაფორულობა დიდ სიფრთხილეს ითხოვს. შ. ფორჩხიძე იმ პოეტთა შორისაა, რომლებიც ინტიმურ განწყობილებათა სიზუსტის ერთგულნი არიან. მის ლექსებში მე ვგრძნობ თავშეკავებულ მღელვარებას და სევდას. მომწონს, რომ ჩვეულებრივს გაცილებით მეტ ადგილს უთმობს, ვიდრე სენსაციურს, ნათელში ბნელს არ გამორიცხავს და ბნელში ნათელს.

შ. ფორჩხიძის კრებულებში მამაპაპათა სახლკარის დაცარიელების საშიშროებაზე ლექსების ციკლს ვერ შეხვდებით, მაგრამ არც ერთი წუთით არ გვტოვებს ცოცხალი განცდა, რომ ქართველი კაცის სული და გული სოფელს შესისხლხორცებია. სოფლის სურათები და შთაბეჭდილებები მთავარ როლს ასრულებენ მხატვრული სახის გამოკვეთაში. არ შევუდგები სპეციალურ ანალიზს, პოეზიისთვის კი ეს სინედლის წყაროა.

„პასტორალებში“ პოეტი არ მოერიდა იდილიურ განწყობილებებსა და ფერებს — თითქმის გულისამაჩუყებელი სინაზით წარმოგვისახა მწყემსებისა და გუთნისდედების ალალმართალი ცხოვრება.

უგუთნისდედო,
უმწყემსებო,
ქვეყანა ყრუა...
და მენანება
მათ ცხოვრებას რატომ ჩამოვრჩი,
მეც მეყოფოდა
მზე და მიწა აქ ერთი მუჭა.

სოციოლოგისა და ფსიქოლოგის ალღოთია ამოცნობილი თანამედროვე ადამიანის გაორება სოფელსა და ქალაქს შორის, ადამიანისა, რომელსაც არ შეუძლია გახძლოს ბუნებასთან, სოფელთან სისხლხორცეული კავშირის გარეშე, ისევე, როგორც არ შეუძლია დაკმაყოფილდეს მხოლოდ ბუნებით. („დაიძრნენ ქარები შემოდგომის, საბძელთან მშიერი ფრინველი მოფრინდა, — კარებზე დავკიდე თავთავი ღომის და გახარებული მოვდივარ სოფლიდან“). ორივე შემთხვევაში საგრძნობია ადამიანის მარტოობის სევდა, რომელსაც სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის ფონზე დედაბუნებისაგან დაშორების შიში იწვევს.

შ. ფორჩხიძეს ეკუთვნის მშვენიერი ლექსი მადლიან თემაზე — გუთანში შებმულ ხარზე. აქ საინტერესოა გამოთქმის კილო, ხასიათი, აქ ხე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავთ როგორ ფლობს ავტორი ფოლკლორისა და თანამედროვე პოეზიის გამომსახველობითს საშუალებებს, რამდენად მართალი და უპრეტენზიოა მისი სიტყვა.

რკინის ტაბიკებს ღუნავდი,
ქედს გედგა ძელქვის უღელი,
და ჯაფის შემდეგ, სამყურის
დამათრობელი სურნელით
სითბოში იზლაზნებოდი,
როგორც ვეება ლრუბელი.
ღასაბამიდან სოფელში ქედს გედგა
ძელქვის უღელი,
მწიფე ყანისთვის შრომობდი
გულდინჯი, ენაუთქმელი,
კვირა დღით კბილებს გკვეთავდა
ნედლი ნეკერჩხლის ფურცელი.
იცოხნებოდი სათიბის მწვანეში,
შუბლდაცვარული,
ღამით ვარსკვლავებს უცქერდი,
რქებზე ცა გედგა ქართული.
და ჯავრით გაგონდებოდა ურემი,
ლაფში ჩაფლული.

პოეზიის მოყვარულთ მოეხსენებათ, რა ღირსებაა და რა შრომით მოიპოვება ეს გარეგნული სიმსუბუქე და სიცხადე. ჩვენს პირად განცდად აღვიქვამთ „დედის საფლავზე მოტეხილი ასკილის ტოტს“, სიჭაბუკის მოგონებებს, სიკვდილზე ფიქრს, მამის ტკივილიან გახსენებას:

თოვს... დობილოში თოვს...
რეკავს მარხილი ზარს!
მივსდევ ბილიკებს შორს,
ვტკეპნი თოვლიან გზას...
იქ ნასაყდრალზე თრთოლვით
ქარი აქანებს ტოტს,
და თოვლი ფარავს, თოვლი,
მამის ხავსიან ლოდს.

შეიძლება, სტილისტურ სიზუსტესა და ლაკონიზმზე ვიდავოთ, მაგრამ გრძნობის სიმართლე და სულის ინტიმურობა არავითარ ეჭვს არ იწვევს. მხოლოდ ჭეშმარიტ პოეტს ძალუძს ასე მშვიდად ილაპარაკოს თავის სიკვდილზე: „მე ისე ჩუმად წავალ აქედან, ვერვინ გაიგებს ფეხის ხმას ჩემსას“.

შ. ფორჩხიძეს აქვს როგორც ხალხურ-კლასიკური ფორმით დაწერილი ლექსები, ისე „არაჩვეულებრივის“ ძიებით აღბეჭდილი ნაწარმოებები. როცა მისი პოეზიის მონაპოვრებზე ვმსჯელობ, მე მხედველობაში მაქვს სწორედ პირველი ჯგუფი, სადაც სახე ჩანაფიქრის ბუნებიდან გამომდინარეობს. რაც შეეხება „არაჩვეულებრივის“ ძიებას, აქ ხშირად ირღვევა ის პრინციპი, რომლის გამოც ოსკარ უაილდს უთქვამს — ხელოვნების მიზანია [illegible]

მშვენიერება და დაფაროს ხელოვნება [illegible] ლება შ. ფორჩხიძის ლექსებს „მანერულობა“, არც სჭირდება ეს, რადგან, როგორც მისი საუკეთესო ლექსები გვარწმუნებს, დაჯილდოებულია საიმედო პოეტური ალღოთი, რომელიც უზრუნველყოფს სიტყვა-გამოთქმების ძალდაუტანებელ შერჩევას, ზუსტად განლაგებას, აზრისა და გრძნობის მართლად გადმოცემას. არც „პოეტური სიტყვებით“ გატაცებას მოაქვს სარგებლობა. შ. ფორჩხიძემ ჩვენს პოეზიას შემატა მშვენიერი სიტყვა „წიფობელა“, მაგრამ არის საშიშროება, რომ ეს სიტყვა მის ლექსებშივე გაცვდეს თვითმიზნური ხმარების გამო. ესთეტიზმს თან ახლავს ქირვეულობანი. ალფრედ მიუსეს ისე არ შეეძლო წერა, თუ თეთრ ხელთათმანებს არ ჩაიცვამდა და საწერ მაგიდაზე კლიკოთი სავსე ბოთლს არ დაადგამდა. არ არსებობს არც მაგიური, არც „არაპოეტური“ სიტყვები. ასეთ შემთხვევებში წარმოიშობა შინაარსისა და ფორმის შეუსატყვისობა. ხარვეზებზე ასე თამამად იმიტომ ვწერ, რომ შ. ფორჩხიძეს უნარი შესწევს იპოვოს გულში ჩამწვდომი ფერები, სახეები და შესაფერისი გამოთქმები. მის ძლიერ ვნებებს, დახვეწილ ინტიმურობასა და ემოციურობას ლექსიკური ეგზოტიკა ზიანის მეტს არას მოუტანს, რადგან სიტყვები არ ქმნიან ჭეშმარიტ გრძნობებს. მით უფრო, რომ შ. ფორჩხიძე არ არის გემოვნებისა და სტილის ახირებებს აყოლილი პოეტი. მართალია, ესთეტიზმი თვალსაჩინო როლს ასრულებს, მაგრამ წარმატებები უბრალოებისა და სისადავის მონაგარია. მას სულში გადადუღებული აქვს ცხოვრება, და ალბათ, ამიტომაც არ წერს ხელგაშლით. პოეზიას „ცხელი სისხლი“ უნდა, მაგრამ „ცხელი სისხლი“ ჯერ კიდევ არ არის პოეზია. შ. ფორჩხიძე ძლიერია იქ, სადაც არ ენდობა აგზნებულ ინტუიციას. სადაც, ტექნიკასთან პირფერობით, ზიანს არ აყენებს გრძნობების უშუალობას, სადაც არ ცდილობს გაგვაოცოს. სადაც საქმიანი, გამჭრიახი და თავშეკავებულია, სადაც გულსა და გონებას შორის ჰარმონიის შენარჩუნებას აღწევს.

მე ამ ლურჯ კორდზე უნდა მეძინოს,
რომ ამ იდუმალ სიმყუდროვედან
ჩემ სულს იმგვარი რამე შევძინო,
ახლად ვიწყებდე ქვეყნად ცხოვრებას.

ახალი პოეტიკა და ფსიქიკა თავს იჩენს ხალხური მოტივების დამუშავებაში:

ღაწვებშეფაკლულს ენისლება თვალები
ფიქრით
და მოაქვს კოკა, სიყვარულით ყელამდე
სავსე.
(„თებრონე“)

ფოლკლორით ნასაზრდოები ლექსები გამოირჩევა მუსიკალური მთლიანობით, ცოცხალი სისადავითა და უბრალოებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არსენა, ჩვენი ბიჭი არსენა,
ნაბადი — ნისლი, გზა — ყიამეთი...
მისი ლურჯაის ერთი გაფრენა —
ალგეთის ჭალა და თრიალეთი.

წარმოსახავენ რა საზოგადოების ზნეობრივ იდეალს, ფორჩხიძის ნაწარმოებები გვიმტკიცებენ ადამიანისადმი ნდობას, იწვევენ მახინჯი მოვლენებისადმი ზიზღს, ყურადღებას ამახვილებენ მორალური საშიშროების კერებზე. ეროვნული გრძნობა აქ გადმოცემულია ალსარებით, მოწოდებით, განგაშით: „შურსა და მტრობას სათოფეზე არ ვეკარები, კვლავ სული ჩემი სიყვარულის დგას მეციხოვნედ“; „დღეს საქართველოს სინდისს დარაჯობს მეხრეც, მელორეც და ლექსის მუშაც“; „მაშ მეტი ცეცხლი, სიფიცხე მეტი, გვეფინოს მადლი პატიოსნების“.

ქართული მწერლობა მუდამ ხელს უწყობდა კეთილი თვისებების აღზრდას და ტრადიცია გვავალებს, ხაზი გავუსვათ, რომ შ. ფორჩხიძის ლექსებს ჯანსაღი ზნეობრივი ძარღვი ასაზრდოებს. მით უფრო, რომ მისი ეთიკური მრწამსი გამოხატულია დიდაქტიკური ჩიჩინის გარეშე, მოკრძალებულად და უბრალოდ.

ზოგან ლირიკული გმირი დაღლილიც მოჩანს წუთისოფელთან ჭიდილში, „სოფლის ორომტრიალი კალოსავით აბრუნებს“. მაგრამ არასოდეს არაა გაბოროტებული. ზნეობრივი დამკვიდრების პათოსი გამჟღავნებულია დიდსულოვნებაში: „ოდესღაც უნდა მოხვიდე ახლოს, მხოლოთ შენი უილბლო მსხვერპლი, ჩემი დაღლილი თვალები ნახო და არ მომთხოვო წამება მეტი“. მიტევების სულისკვეთება წითელ ზოლად გასდევს ამ ნაწარმოებებს.

შენ კი, ფარსადან, ღალატი, მტრობა,
ნახე რა ლიზლი რამე ყოფილა!
რა მოგიტანა მირონის გმობამ,
თუ არა წყევით გასვლა სოფლიდან!

შესაძლოა, პოეტური კულტურა ისე არაფერში მჟღავნდებოდეს, როგორც აზრისა და გრძნობის შერჩევისა და მიწოდების ტაქტში. აქ შ. ფორჩხიძეს უთუოდ კეთილ სამსახურს უწევს ადამიანური თავმდაბლობა და უპრეტენზიობა. ის მკითხველის გასაოცებლად კი არ წერს, არამედ თავის ფიქრსა და გრძნობას უზიარებს, მეგობრული პატივისცემით ესაუბრება მას. ამ ნანატრი თვისებების ნაყოფია თავისი უბრალოებით, სიმართლითა და უპრეტენზიობით მომხიბვლელი ლექსი „საწინდარი“, რომლის ზნეობრივი პათოსი და პოეტური სრულყოფილობა ღირსია აღიარებისა.

ჩვენ სახლის წინ ვაზი გვედგა, ძველი ვაზი,
მას ყურძენი ესხა რტოზე, წითელგვერდა.
მერე, როცა უამრავი ქამთა ზარით
ცისქვეშ ვაზი მამასავით დამიბერდა,
მამამ მითხრა: არ დაგვძრახოს, შვილო, ვინმემ,
მოეფერე, ვაზი ითხოვს ნაწვიმარი,
მოლუნე და თბილ მიწაში ჩააწვინე
ხანდაზმული მწიფე ლერწის საწინდარი.
და როდესაც გადავწინდე ვაზი ფრთხილად,
სამარიდან მომტიროდა სუსტი ლერწი,
და მე მამა მომძახოდა: შვილო, ფრთხილად,
კვირტებზე არ დააფარო მძიმე ბელტი!
გაზაფხულზე ტოტს იყრიდა საწინდარი
და ზეცაში შრიალებდა ლურჯი ფოთლით,
მამა იდგა საწინდართან მომღიმარი
და მე წესი მაკვირვებდა წუთისოფლის.
ტოტს იყრიდა დამარხული საწინდარი,
ჩვენს ეზოში მეორეჯერ მოვლენილი,
და სოფელი გაზაფხულზე, ნაწვიმარი,
იყო ვაზის ლურჯი რტოთი მოფენილი.

ასეთი სითბოთი, ყოველი სულიერისადმი ასეთი თანაგრძნობით უმღერის პოეტი სიცოცხლეს, სამშობლოსათვის შრომასა და ბრძოლას, ალგეთის პირას აღორძინებულ ქართულ სოფლებს, გლეხკაცის ოფლით ნაკურთხ მიწას, ომგადახდილ რუს, ყირგიზ თუ ყალმუხ თანამებრძოლებს.

შ. ფორჩხიძის პოეზია გამსჭვალულია უკმარობის ნაღველით, შემოქმედებითი დაუკმაყოფილებლობის უმშვენიერესი, შესაძლოა, ყველაზე მტანჯველი გრძნობით. ეს არის არა წუწუნი და საყვედური, არამედ თავისებური ლირიკული მოტივი, რომელშიც უკუფენილია სიყმაწვილის ოცნებანი, თავიანთი უსაზღვროებისა და ბუნდოვანების გამო არავის რომ არ უსრულდება და ამიტომაც უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ინარჩუნებენ პირველყოფილ მშვენიერებას და ხანდაზმულობაშიც სიხარულის სევდით გვიჩქროლებენ გულს. შემოქმედისათვის ეს აუცილებელი სიბრძნე და სულიერი სიმშვიდე გაისმის სტრიქონებში:

სხვა რაღა გინდა ხელმოკლე პოეტს,
თუ მუზამ შენთან ბოლომდე დაჰყო?..

ჩვენ უფრო მტკიცედ, რწმენით და მადლიერებით შეგვიძლია გავიმეოროთ მისი სტრიქონები: „ალალი გულის ავყევი წადილს“. და, „ჩემს საქართველოს რომ გაუხარდეს, კეთილი ხელით ვთესე მარცვალი“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზურაბ ჭუმბურიძე

# შალვა ალხაზიშვილი

სამი ათეული წლის წინათ, როცა ჩემი თაობა ის-ის იყო გამოდიოდა სალიტერატურო სარბიელზე, „მნათობი“ ერთადერთი ლიტერატურული ჟურნალი იყო საქართველოში და მის ფურცლებზე მოხვედრა არც ისე იოლი საქმე გახლდათ. ჟურნალს ჩვენი გამოჩენილი პოეტი ირაკლი აბაშიძე რედაქტორობდა, პასუხისმგებელი მდივანი იყო ყველასათვის საყვარელი ნიკა აგიაშვილი ,ხოლო ბიბლიოგრაფიის განყოფილებას სათავეში ედგა ფრიად განათლებული ლიტერატორი-კრიტიკოსი შალვა ალხაზიშვილი, რომლის დაუღალავმა მუშაობამაც ეს განყოფილება ერთბაშად გამოაცოცხლა.

უწინ ჟურნალის ნომერში ერთი ან ორი რეცენზია თუ დაიბეჭდებოდა, ხშირად კი კრიტიკა და ბიბლიოგრაფია სულაც არ იყო წარმოდგენილი. ცნობილი მწერლები და კრიტიკოსები, თითქოს ერცხვინებათო, რეცენზიებს იშვიათად აქვეყნებდნენ. 1948 წლიდან, როცა შალვა ალხაზიშვილმა დაიწყო მუშაობა „მნათობის“ რედაქციაში, მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა და კრიტიკულ-ბიბლიოგრაფიული წერილების რაოდენობა ორ-სამჯერ გაიზარდა. ეს ძირითადად იმის შედეგი იყო, რომ პატივცემულმა შალვამ (რა თქმა უნდა, სარედაქციო კოლეგიის მხარდაჭერით) ამ საქმეში გაბედულად ჩააბა ახალგაზრდა ლიტერატურული ძალები. თავის მხრივ ამან ხელი შეუწყო ახალგაზრდობის წინსვლას და გზა გაუხსნა მათ ფართო შემოქმედებითი ასპარეზისაკენ.

იმ ახალგაზრდა კრიტიკოსთა და მკვლევართა შორის, რომელთა სახელებიც ორმოცდაათიანი წლების დასაწყისში „მნათობმა“ გააცნო ფართო მკითხველ საზოგადოებას, უნდა დავასახელოთ აკაკი თოფურია, ნოდარ ჩხეიძე, ნოდარ კაკაბაძე, ალექსანდრე გვახარია, ნოდარ გურაბანიძე, ზურაბ ჭარხალაშვილი, გიორგი გაჩეჩილაძე, გურამ კანკავა, ვალერიან ითონიშვილი, მიხეილ ქავთარია, ალეკო სანადირაძე, გურამ ბათიაშვილი, ნოდარ რუხაძე, სიმონ არველაძე და სხვები. მათ შორის მეც ვერიე. ჩვენ ყველანი დიდად დავალებული ვართ შალვასაგან იმ მზრუნველობისა და ამაგის გამო, ყურადღებისა და კეთილი რჩევის გამო, რაც მას არავისთვის დაუშურებია. ასაკით ჩვენზე ბევრად უფროსსა და ფრიად განსწავლულს, მას თავი მუდამ ჩვენი ტოლივით ეჭირა და თავისი უპირატესობა არასოდეს უგრძნობინებია.

იმ დროს, რასაკვირველია, ჩვენ ნაკლებად ვიცნობდით ბ-ნი შალვას ბიოგრაფიის დეტალებს, მაგრამ ის კი ვიცოდით, რომ მამამისი ილია ალხაზიშვილი მეცხრამეტე საუკუნის ქართველი ინტელიგენციის ერთ-ერთი მოწინავე წარმომადგენელი იყო, საინტერესო წერილების ავტორი და უანგარო საზოგადო მოღვაწე.

სხვათა შორის, ახლახან „მერანმა“ გამოსცა ილია ალხაზიშვილის წიგნი „ჯავახური ლეგენდების“ სახელწოდებით, შედგენილი შალვა ალხაზიშვილის მიერ. მას წინ უძღვის აკადემიკოს შოთა ძიძიგურის წერილი, რომელიც სხარტად გვაცნობს ავტორის საინტერესო ბიოგრაფიას და ახასიათებს ამ ჩუმი და თავდადებული მუშაკის მამულიშვილურ ღვაწლს. ვფიქრობთ, ზედმეტი არ იქნება, თუ ორიოდე სიტყვით ჩვენც შევაჩერებთ მასზე ყურადღებას.

ილია ალხაზიშვილი დაბადებულა 1853 წლის 16 თებერვალს, კახეთში, სოფელ ზიარში. მამამისი სოლომონი თავად სვიმონ შალიკაშვილის ყმა-გლეხი ყოფილა. პოდპოლკოვნიკი სვიმონ შალიკაშვილი 1850-54 წლებში გრ. ორბელიანის პოლკში მსახურობდა. ერთ-ერთი ბატა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიონის მეთაურად, შემდეგ პოლკოვნიკობა მიიღო და ჭარბ-ბელაქნის ოლქს მართავდა, ბოლოს გენერალ-მაიორის ჩინით დაიღუპა ლეკების საწინააღმდეგო ერთ-ერთი ოპერაციის დროს. ყოველივე ამას იმიტომ აღვნიშნავთ, რომ სვიმონ შალიკაშვილმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ილია ალხაზიშვილის აღზრდაში. ილია სულ ექვსი თვისა იყო, როცა მამით დაობლდა. დედამისი მეორედ გათხოვდა გურჯაანში. ექვსი წლის ილია ბიძამისს წაუყვანია ზაქათალაში, სადაც იმ დროს პოლკოვნიკი სვიმონ შალიკაშვილი მსახურობდა. შალიკაშვილმა ყურადღება მიაქცია ნიჭიერ ბავშვს, ითავა მისი აღზრდა და მიუჩინა მასწავლებლები. ცხრა წლის ილია უკვე მზად იყო გიმნაზიაში შესასვლელად, მაგრამ ვითარცა ყმა-გლეხის შვილს, გიმნაზიაში სწავლის უფლება არ ჰქონდა. მაშინ შალიკაშვილმა გაათავისუფლა იგი ყმობიდან, რითაც გზა გაუხსნა ნიჭიერ ყმაწვილს სასწავლებელში შესასვლელად და სწავლის ხარჯებიც თვითონვე იკისრა. ეს მოხდა 1862 წლის აპრილში, რამდენიმე თვის შემდეგ კი გენერალ-მაიორი შალიკაშვილი სასიკვდილოდ დაიჭრა ლეკებთან ბრძოლაში და გარდაიცვალა.

სწავლას მოწყურებული პატარა ილია თითქოს მეორედ დაობლდა და სრულიად უპატრონოდ დარჩა. ბევრი იწვალა მან, ვიდრე ბოლოსდაბოლოს, კეთილი ადამიანების შემწეობით, გორის აფთიაქში მოწაფედ მიიღებდნენ, მაგრამ აქაც არ მიეცა გასაქანი, რადგან სამაზრო სასწავლებელი არ ჰქონდა დამთავრებული. ორი წელი თავაუღებლად იმეცადინა და 1872 წელს ჩააბარა საფერშლო გამოცდები, რის შემდეგაც დაინიშნა ფერშლად ახალქალაქში (ჯავახეთში).

მალე ილია ალხაზიშვილმა პატარა აფთიაქი შეიძინა და აფთიაქარად მუშაობის უფლება რომ მიეღო, 1883 წელს ჩააბარა გამოცდები ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში, შემდეგ შევიდა თავისუფალ მსმენელად ხარკოვის უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტზე და 1891 წელს დაამთავრა იგი. სამშობლოში დაბრუნებული ილია პროვიზორად განამწესეს თავისივე აფთიაქში, ახალქალაქში, სადაც მუშაობდა 1918 წლამდე. 1918 წლის მაისში, თურქების შემოსევის საფრთხის გამო, ალხაზიშვილების ოჯახი, მთელი ჯავახეთის ქართველობასთან ერთად, იძულებული გახდა გახიზნულიყო. თურქები მალე გარეკეს ჯავახეთიდან და გახიზნულები დაუბრუნდნენ თავიანთ კერას, მაგრამ ალხაზიშვილების აფთიაქი კი თურქებს მთლიანად გაეძარცვათ და გაენადგურებინათ, ასე რომ, ოჯახის მარჩენალი ერთადერთი წყარო აღარ არსებობდა. აქ ილიამ სააფთიაქო სამმართველოში დაიწყო მუშაობა, მაგრამ მალე ავად გახდა და 1921 წლის იანვარში გარდაიცვალა. ასეთი იყო იყო ამ ყოფილი ყმა-გლეხის მძიმე ხვედრი.

რაც შეეხება ილია ალხაზიშვილის საზოგადოებრივ და ლიტერატურულ საქმიანობას, ამ მხრივ მან თვალსაჩინო კვალი დატოვა როგორც ნიჭიერმა კალმოსანმა და ღირსეულმა მამულიშვილმა. ილია ალხაზიშვილი წლების მანძილზე ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების რწმუნებული იყო ჯავახეთში. მისი ინიციატივით და მხურვალე მონაწილეობით გაიხსნა სკოლები და ბიბლიოთეკა-სამკითხველოები, ჯავახეთის არაერთ სოფელში, დაარსდა ქართული გიმნაზია ახალქალაქში. ის იყო ილია ჭავჭავაძის ერთგული თანამშრომელი, ახლო ურთიერთობა ჰქონდა აგრეთვე იაკობ გოგებაშვილთან, გიორგი წერეთელთან, ანასტასია თუმანიშვილ-წერეთელთან და სხვებთან.

ილია ალხაზიშვილმა დაწვრილებით შეისწავლა საქართველოს ძველთაძველი მხარე მესხეთ-ჯავახეთი, სადაც მას ხანგრძლივად მოუხდა ცხოვრება-მოღვაწეობა. ის ხშირად მოგზაურობდა სოფლიდან სოფლად, გულმოდგინედ აკვირდებოდა ხალხის ყოფას, ზნე-ჩვეულებებს, ზეპირსიტყვიერებას, ეცნობოდა ისტორიულ ძეგლებს და თავის დაკვირვებებს, ფიქრსა და განცდას ლიტერატურული თუ სამეცნიერო წერილების სახით უზიარებდა მკითხველს. ეს წერილები და კორესპონდენციები 1875 წლიდან სისტემატურად იბეჭდებოდა ქართულ პრესაში („დროება“, „„ივერია“, „განათლება“, „ჯეჯილი“ და სხვანი). ისინი ძვირფას მასალას შეიცავენ მესხეთ-ჯავახეთის ისტორიის, ეთნოგრაფიული ყოფის, ფოლკლორის შესასწავლად. აქვე მოცემულია მრავალი მეცნიერული ცნობა ბუნებისმეტყველების სხვადასხვა დარგიდან. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია მოგზაურობის დღიურების სახით დაწერილი „ბუნება და ცხოვრება“, რომელიც ცალკე წიგნად გამოიცა 1897 წელს. მის შესახებ ჟურნალი „განათლება“ თავის დროზე წერდა: „ეს წიგნი ბევრს საყურადღებო, საჭირო სამეცნიერო და საეთნოგრაფიო ცნობებს შეიცავს. ყველა ცნობები, ბუნებისმეტყველებას შეეხება იგი თუ ასტრონომიას, საქართველოს რომელიმე კუთხის ხალხის ცხოვრების აღწერას თუ ბუნების მოვლენათა ახსნა-განმარტებას, მარტივად, ყველასათვის გასაგებად და კარგის ენით არის გადმოცემული მოთხრობის კილოთი. ამისთანა მშვენიერი წიგნი უნდა მოიპოვებოდეს ყველა სახალხო წიგნთსაცავ-სამკითხველოებში, ყველა სკოლის ბიბლიოთეკებში ერთი კი არა, რამდენიმე ცალი. ის უნდა შეადგენდეს ჩვენებურ სახალხო მასწავლებელთათვის სახელმძღვანელო წიგნს, რომელშიაც ბევრს საყურადღებო ცნობებს ამოიკითხავს ყველა მასწავლებელი და ცოცხალი სიტყვით თვალსაჩინოდ გადასცემს საჭირო ცნობებს როგორც თავის მოწაფეებს, აგრეთვე ხალხსაც“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ წიგნს დღემდე არ დაუკარგავს მნიშვნელობა და სწორედ ამით არის გამოწვეული მისი ხელახლა გამოცემაც (ახლახანს გამოცემულ ი. ალხაზიშვილის „ჯავახურ ლეგენდებში" მთავარი ადგილი სწორედ „ბუნება და ცხოვრებას" უჭირავს).

საგანგებო შესწავლის ღირსია ილია ალხაზიშვილის ნაწერების ენა — მდიდარი, ხალხური გამოთქმებით შეზავებული, ძარღვიანი ქართული. ეს არც არის გასაკვირი, რადგან ავტორი, წლობით რომ ტრიალებდა ხალხის შუაგულში, საგანგებოდ აკვირდებოდა მის მეტყველებას, კრებდა ტერმინებს, ადგენდა „ბუნების ლექსიკონს".

აი ასეთი თვალსაჩინო ლიტერატორისა და ღირსეული მამულიშვილის ვაჟია ჩვენი პატივცემული ბატონი შალვა. ის დაიბადა 1899 წლის 27 მარტს თბილისში. 1909 წელს მიაბარეს გორის კლასიკურ გიმნაზიაში. ზაფხულის არდადეგებს ატარებდა მშობლებთან, ახალქალაქში და გატაცებით კითხულობდა სხვადასხვა სახის ლიტერატურას, რომლითაც მდიდარი იყო მამის ბიბლიოთეკა. ამასთანავე, ძმებთან ერთად, დადიოდა მესხეთ-ჯავახეთის სოფლებში და ეცნობოდა ამ მხარის დიდებულ ისტორიულ ძეგლებს — ვარძიის მონასტერს, საფარის, კუმურდოს ტაძრებს და სხვებს.

ცოტა რომ წამოიზარდა, დაინტერესდა თეატრით, განსაკუთრებით ოპერით. შაბათ-კვირას გორიდან ხშირად ჩამოდიოდა თბილისში და ესწრებოდა ოპერისა და დრამის თეატრების წარმოდგენებს. აქ იმ ხანებში მღეროდნენ შალიაპინი, ლიპკოვსკაია, ცეხევიჩი, სმირნოვი, ცეკვავდნენ ვერა და მიხეილ ფოკინები, უკრავდა გამოჩენილი ვიოლინისტი იაშა ხეიფეცი, საავტორო კონცერტებს მართავდა სერგეი რახმანინოვი... ჭაბუკი გიმნაზიელი რამდენჯერმე იყო სტუმრად ბიძასთან ბაქოში, სადაც იმ დროს პირველ ტენორად მღეროდა ვანო სარაჯიშვილი, ხოლო ქართულ თეატრალურ დასს ხელმძღვანელობდა შალვა დადიანი.

1917 წელს შალვა ალხაზიშვილმა დაამთავრა გორის გიმნაზია და უნივერსიტეტში შესასვლელად პეტროგრადს მიაშურა, მაგრამ რუსეთის დედაქალაქს რევოლუციის ტალღები აზანზარებდა და სწავლა შეწყვეტილი იყო. სტუდენტობის მაძიებელი ჭაბუკი იძულებული გახდა უკანვე დაბრუნებულიყო. იმ ხანებში ცნობილი საზოგადო მოღვაწის ივანე როსტომაშვილის ინიციატივით და ილია ალხაზიშვილის აქტიური დახმარებით ახალქალაქში ქართული გიმნაზია დაარსდა. მასწავლებელთა კადრები ცოტა ჰყავდათ და შალვა ქართული ენის მასწავლებლად დანიშნეს, მაგრამ სამწუხაროდ, გიმნაზიამ დიდხანს ვერ იარსება.

1918 წელს ჯავახეთში თურქთა შემოსევის შემდეგ, როგორც ვიცით, ალხაზიშვილების ოჯახი თბილისში გადმოვიდა საცხოვრებლად.

მიუხედავად იმისა, რომ ოჯახი იმ დროს სასტიკ მატერიალურ გაჭირვებას განიცდიდა, შალვამ მაინც შესძლო შეეტანა ასი მანეთი (ერთი სემესტრის სწავლის ფული) და შევიდა ახლად გახსნილ თბილისის უნივერსიტეტში სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე, სადაც ისმენდა ივანე ჯავახიშვილის, გიგო ნათაძის, შალვა ნუცუბიძის, გრიგოლ ყიფშიძის, დიმიტრი უზნაძის, გრიგოლ წერეთლის ლექციებს, მაგრამ შემდეგ ხელმოკლეობის გამო მაინც იძულებული გახდა მიეტოვებინა უნივერსიტეტი და სამსახური დაეწყო რეგისტრატორად სახაზინო პალატაში (აქვე მუშაობდა ალექსანდრე ქუთათელი). საღამოობით ესწრებოდა ქართულ კლუბში გამართულ კონცერტებსა და ლიტერატურულ საღამოებს. აქ გაიცნო გალაკტიონი, ტიციან ტაბიძე, გიორგი ლეონიძე და სხვა ახალგაზრდა მწერლები. თვითონაც დაიწყო წერილების ბეჭდვა იმდროინდელ ჟურნალ-გაზეთებში.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მუშაობდა ქართული დივიზიის პოლიტგანყოფილებაში კულტმუშაკად (სიმონ ჩიქოვანთან ერთად), შემდეგ — პროფკავშირის, სახკინმრეწვის სასცენარო განყოფილებაში, ხელოვნების სამმართველოს სარეპერტუარო კომიტეტში, ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების" რედაქციაში, ბოლოს კი, ყველაზე ხანგრძლივად — „მნათობის" რედაქციაში.

ცხოვრებამ და სამსახურეობრივმა მოვალეობამ შ. ალხაზიშვილი ბევრ გამოჩენილ ადამიანთან შეახვედრა და დააახლოვა. ბავშვობაში ის „გაზაფხულის" სტრიქონებს უკითხავდა დიდ ილიას; სიჭაბუკეში ბაქოში, ბიძის ოჯახში შეხვედრია ჩვენს დიდებულ მომღერალს ვანო სარაჯიშვილს, ახალგაზრდობაში შედიოდა ჯერ ქართველ ფუტურისტთა, შემდეგ კი მემარცხენეთა ჯგუფში, რომელშიც გაერთიანებული იყვნენ სიმონ ჩიქოვანი, ნიკოლოზ ჩაჩავა, ბესო ჟღენტი, დავით გაჩეჩილაძე, აკაკი ბელიაშვილი, ნიკოლოზ შენგელაია, ირაკლი გამრეკელი, ბენო გორდეზიანი, ჟანგო ღოღობერიძე და სხვები. ამ ჯგუფთან ახლო ურთიერთობა ჰქონდა რუს მემარცხენეთა ფრონტის ლიდერს — ვლადიმერ მაიაკოვსკის, რომელიც 1924 წელს ჩამოვიდა თბილისში და სასტუმრო „ორიანტში" იდგა. მასთან ბევრჯერ უსაუბრია შ. ალხაზიშვილსაც. ახლოს იცნობდა გამოჩენილ პოლონელ მხატვარს, თბილისში მცხოვრებ სიგიზმუნდ ზიგა ვალიშევსკის. სახკინმრეწვში მუშაობდა რუსული კინოს ცნობილ მოღვაწეებთან — ლ. კულეშოვთან, ს. ტრეტიაკოვთან, ვ. შკლოვსკისთან, აქ გაიცნო ვ. ჟირმუნსკი და ბ. ეიხენბაუმი, აქვე მოუსმენია ეიზენშტეინისა და პუდოვკინის ლექციები; ხელოვნების სამმართველოში მუშაობისას

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადაიღეს რეჟისორებმა გ. ტოვსტონოგოვი, დ. ალექსიძე, ვ. ყუშიტაშვილი და სხვანი.

სამწუხაროა, რომ შ. ალხაზიშვილს ყოველივე ამის შესახებ ვრცელი მოგონებანი არ დაუწერია, თორემ დარწმუნებული ვართ, ჩვენს ღარიბ მემუარულ ლიტერატურას ერთი ძალიან საინტერესო და კარგი წიგნი შეემატებოდა.

შ. ალხაზიშვილმა ლიტერატურული მოღვაწეობა დაიწყო ქართველ მემარცხენეთა ჟურნალებში გამოქვეყნებული ლექსებით და თეორიული წერილებით. სახკინმრეწვში მუშაობისას დაწერა რამდენიმე კინოსცენარი, რომელთაგანაც ორი განხორციელდა ეკრანზე: „საბა“ (1929 წ., რეჟისორი მ. ჭიაურელი) და „საკანი 79“ (1930 წ., რეჟისორი შ. ბერიშვილი).

შ. ალხაზიშვილის კალამს ეკუთვნის კინოს, თეატრის, მხატვრობის, და ლიტერატურის სხვადასხვა საკითხისადმი მიძღვნილი მრავალი თეორიული წერილი და რეცენზია, რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. რის შესახებ არ უწერია მას: კინოდრამატურგიის საკითხებზე, შექსპირის მსახიობებზე, ელეონორა დუზეს, ერმოლოვას, ვერიკო ანჯაფარიძის მსახიობურ ოსტატობაზე, ნიკოლოზ შენგელაიაზე, კალმის, ფუნჯისა და საჭრეთლის დიდოსტატებზე (სადი შირაზელი, მიქელანჯელო, ლეონარდო და ვინჩი, ლერმონტოვი, შევჩენკო, იბსენი, გოგი გაბაშვილი, ლევიტანი, ედუარდ მანე, პაბლო პიკასო, სიგიზმუნდ ვალიშევსკი, ვაჰან ტერიანი, ლევან ასათიანი...) და ა. შ. ეს წერილები დაწერილია დიდი ცოდნით, სიყვარულით, შინაგანი კულტურით. მაგრამ უფრო მეტი დრო და ენერგია შ. ალხაზიშვილმა შეალია სხვათა ნაწერების კითხვასა და სწორებას, შავ რედაქციულ სამუშაოს, რომელიც უცხო თვალისათვის შეუმჩნეველი რჩება, ჟურნალისტებმა და რედაქციის თანამშრომლებმა კი კარგად იციან, რამდენად მძიმე, მოსაბეზრებელი, მაგრამ, ამასთანავე ,საჭირო და აუცილებელია იგი.

უკვე ოცდაათ წელზე მეტია, რაც შალვა ალხაზიშვილი „მნათობის“ რედაქციაში მუშაობს ჯერ ბიბლიოგრაფიის განყოფილების გამგედ, 1961 წლიდან კი — კრიტიკისა და ლიტერატურათმცოდნეობის განყოფილების გამგედ. ამ ხნის მანძილზე ბევრ კრიტიკოსსა და მკვლევარს ჰქონია მასთან საქმიანი ურთიერთობა, ბევრს უგრძვნია მისი დახმარების ხელი. ასე ჩამოაწვა მას მხრებზე ოთხმოცი წელი, მაგრამ ბატონი შალვა კვლავ მხნედ არის, კვლავ თავისებურად ფუსფუსებს რედაქციაში, კვლავ ზრუნავს ახალგაზრდობაზე. ასეთია შალვა ალხაზიშვილი — ჩუმი და თავმდაბალი მუშაკი, სპეტაკი და უანგარო ადამიანი, თვალსაჩინო ლიტერატორი — კარგი მამის ღირსეული შვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ლამაზად გაქვეყნებული სიტყვები...

„სვანური ხალხური ლექსები"!

წიგნის გარეკანიდან ნაბდისქუდიანი ჭაღარისანი მოხუცი შემოგვყურებს. მის არსებაში ნაღველი ჩაბუდებულა, სხივოსან თვალებიდან კი რწმენა და იმედი გამოუკრთის. ლაჭებშუა ჭუნირი მოუქცევია და ამ ჩაფიქრების მიზეზს, თავის გულის ხვაშიადს სიმღერით ამცნობს მსმენელს...

ასე განაზოგადა და წარმოადგინა ჩვენს წინაშე სახალხო მთქმელისა და მომღერლის სახე ამ საინტერესო წიგნის მხატვარმა ვახტანგ ონიანმა.

ზის სოფლის თავკაცი საფიხვნო მოედანზე, სადღესასწაულო თუ ქორის სუფრაზე შემაღლებულ ადგილას, სამახვშიო საკარცხულზე (სასცენო ატრიბუტების სიმბოლიზაციას, განწყობილების შესატყვისი ეფექტური ფონის შექმნას დიდი ყურადღება ექცეოდა) და გულში ჩამწვდომად მოუთხრობს თანამეინახეთ წინაპართა საგმირო საქმეებზე სამონაგროდ წასულთა მწარე ხვედრზე, თავისუფლებისათვის მებრძოლთა შემართებაზე, უშიშარ ვაჟკაცებზე, სახელოვან მონადირეებზე... ხოლო როცა ღალატსა და გამცემლობაზე ჩამოვარდება საუბარი, მეჭუნირეს ხმაში დარდი და ნაღველი მოეძალება, ქარდაკრულ ლაწვებს ცრემლები დაუნამავს...

ლექსში ყველაფერზე დაუფარავად უნდა ითქვას, შეულამაზებლად დაიხატოს ესა თუ ის მოვლენა. მკაცრი და სამართლიანია მავანთა და მავანთათვის მთქმელისაგან მიზღვეული მსჯავრი და განაჩენი. სიწრფელე და უტყუარობ: მას ეხმარება მსმენელთა გულებისაკენ გზის გაკვლევაში, ურომლისოდაც მის კეთილგანზრახულობას — წინაპართა ნამოქმედარი გამოამზეუროს, შეუისსასწავლებელი გახადოს, ხალხს საფიქრალი გაუჩინოს, განსჯისა და აზროვნების უნარი განუვითაროს, საერო საქმეებზე გული შეუტოკოს — ყოველივეს აზრი დაეკარგება! ალალად ნათქვამმა უნდა დააფიქროს ეს ახალგაზრდები, თორემ ამ გრძელი და მძიმე ამბის მოსმენას წინწანაქართან თამაშს არჩევენ ისინი. კარგად უწყის მეჭუნირემ, უგული შეგონებანი წყლისნაყვასავითაა და ამიტომაც ცდილობს მთავარ ამბავთა შორის უმთავრესზე იუბნოს, მნიშვნელოვან, საინტერესო ისტორიებზე გაამახვილოს მათი ყურადღება:

> დიდება შენდა, დიდო ღმერთო!
> დიდება შენდა, ზეციერო!
> ოქროსი გიდგას სრა-სასახლე.
> ზღუდე გავლისა ოქროვანი.
> ირმები წვანან საძირკველზე.
>
> ქონგურზე სხედან შევარდნები.
> შენი ხარები ბუღრაობენ.
> რქანი ასხიათ ოქროსანი.
> ბნელი თალები ირღვევიან.
>
> ქვესკნელის ბჭენი ირყევიან.
> იპნევა ოქროს სამკაული.
> ბრიალებს ოქროს დარბაზები.
>
> დიდება შენდა!
> დიდება შენდა, ზეციურო!

„ლილეოთი" იწყებოდა მხიარულება მთათა ქვეყანაში. სიმღერების ბელადი გახლდათ იგი. მზის სადიდებელს აგუგუნებდნენ მახვლვაჟები. მზე არის სიცოცხლის დედაფუძე, ხაწყისი ყოფიერებისა, უშრეტი წყარო სითბო-სინათლისა, რომლის წინაშეც „ბნელი თალები ირღვევიან, ქვესკნელის ბჭენი ირყევიან"... მთქმელი ძუნწად და ლაკონიურად გვამცნობს მთელ იმ სიკეთეს, მზეს რომ დაუმკვიდრებია დედამიწაზე...

აქაურ მკვიდრთა შემეცნებაში „ცათა სწორია", მზის დარია „ყველასაგან უტურფესი" თამარ დედოფალიც:

> ჰოი, თამარ დედოფალო,
> თაიამარალი,
> ყველასაგან უტურფესო,
> თაიამარალი,
> თვალები და ბაგე-კბილი,
> თაიამარალი,
> ალმასი და იაგუნდი,
> თაიამარალი,
> ალმასი და იაგუნდი,
> წარბ-წამწამი — ყორნისფერი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თაიამარალი,
დალალები — აბრეშუმი,
თაიამარალი,
ატლასებზე — რკინის თორი,
თაიამარალი,
თავზე-ზუჩი, წელზე — ხმალი,
თაიამარალი,
ბედაური — ქვიშისფერი,
თაიამარალი,
ლაგამი და უნაგირი,
თაიამარალი,
ოქრო-ვერცხლით მოჭედილი,
თაიამარალი.
ჰოი, თამარ დედოფალო,
თაიამარალი,
ეცერ — სოფელს მობრძანდები,
თაიამარალი,
მობრძანდები ცათა სწორი,
თაიამარალი,
ყველგან წვიმაა, ყველგან თოვლი,
თაიამარალი.
ეცერ-სოფელს მზე დაჰნათის,
თაიამარალი.

მერე ხაზალხო მთქმელი მამაცი ბეთქილის ამბავს მოგიყვებათ, ნათელ-მარეხზე ჩამოაგდებს საუბარს — სიყვარულის მეუფეს შეენუკვება იგი: „დარჩი, მოგვირთე გაზაფხული, შენი დარია, სანატრელო... ვაჟები გვყვანან გულადები, ფარ-ხმალი შვენით დავერცხლილი, კერასთან მშვიდად დასხდებიან, ომში სჩვევიათ გახელება, რომელიც გინდა აირჩიე, ყველა შენია, სანატრელო“. შემდგომად ამის მელექსე აჯას აღავლენს ხვაგ-ბარაქისა და ყოველთა სიმდიდრეთა პატრონისადმი, ბარბოლ დოლაშისადმი — „შეგვეწიე, ბარბოლ დოლაშ, რა გამოლევს ვიდრე გწყალობ სალმრთო ქვეყრში წმინდა ღვინოს, სამსხვერპლოზე — წმინდა ზვარაკს“, ბოლოს ხეობის სახელოვან ვაჟკაცებს მიუტრიალდება. „ავანსცენაზე“ ერთმანეთს ენაცვლებიან ცეცხლისმკვნეტელი ლებსუჟ ჭაჭველანი, მამაცი ძმები — ვიცბილი და მაცბილი, თამბი, მანგური, ბიმურზოლა მესტიელი და ათასი სხვა...

ერთი სიტყვით, სვანური ხალხური პოეზია თავისი ხასიათით „მთავარზე, მნიშვნელოვან ამბებზე საუბარი“ გახლავთ. უბატონო, სამხედრო დემოკრატიის კლასიკურ მხარეში პოეზიამ ნაწილობრივად თავად იტვირთა საზოგადოებრივი კანონმდებლისა და ცხოვრებისეულ ურთიერთობათა უზენაესი მომწესრიგებლის როლი. იგი ემსახურებოდა ადამიანთა სულიერი და ფიზიკური, მორალურ-ზნეობრივი კათარზისის უმაღლეს მიზანს. ამ მდგომარეობამ ხალხურ ზეპირსიტყვიერებას მიწიერი ელფერი შესძინა, განსაზღვრა მისი მიდრეკილება თხრობის მანერისადმი, სიუჟეტისა და დიალოგისადმი.

მთქმელის პოეტური თვალსაწიერი ერთ რომელიმე კონკრეტულ მოვლენას დასტრიალებს თავს, მისი წარმომშობი მიზეზების კვლევითაა გატაცებული, იგი იმდენად ველარ იცლის მეორეხარისხოვანი ამბებისათვის, ლექსში მხატვრული კომპონენტების უხვად შემოტანისათვის, სათანადო ფონის შექმნისათვის. რამდენადაც მთელ იმედებს ლექსის თემატურ და საზოგადოებრივ აქტუალობაზე ამყარებს, იგი მაინცდამაინც აღარ ზრუნავს სტრიქონთა რითმულ განწყობაზე, მხატვრული დიალსვლებისა და კოლიზიების გარეშე სადად, ყველასათვის გასაგები ენით ძერწავს მთავარი გმირის მხატვრულ სახეს.

სწორედ ამ გარემოებამ განაპირობა ალბათ, რომ სვანურმა ხალხურმა მუსიკამ და განსაკუთრებით კი პოეზიამ სახიერად შემოინახა ქრისტიანობამდელი განწყობილებანი, მითოლოგიური რემინსცენციები („ზიშა და გერგილ“, „სვანური ზარი“, „ლილე“, „ბარბოლ დოლაშ“, „ნათელ მარეხ“ და მრავალი სხვა).

ხინამდვილისადმი ერთგულებამ, ფოლკლორულ ნიმუშებს იმაზე მეტი სარწმუნოობა შესძინა ვიდრე ეს, ჩვეულებრივად, პოეტურ ნაწარმოებს მოეთხოვება ხოლმე. მნიშვნელოვანი ისტორიული ამბებისადმი ასეთი საქმიანი დამოკიდებულება დამახასიათებელი იყო ძველი ხალხების პოეზიისათვის საერთოდ (გავიხსენოთ, რა სენსაციურ აღმოჩენამდე მიიყვანა შლიმანი „ილიადაში“ მოთხრობილმა ერთი შეხედვით თითქოს ჩვეულებრივმა მითოლოგიურმა ამბავმა აქილევსისა და ჰექტორის შერკინებისა და ტროას დაქცევის შესახებ).

წინამდებარე კრებული — „სვანური ხალხური ლექსები“, რომელიც ამასწინათ მიაწოდა მკითხველს გამომცემლობა „მერანმა“ სწორედ ძველი სვანური ამბების ერთგვარ მხატვრულ არმალანად წარმოგვიდგება. მისი გადმომქართულებელი გახლავთ ნიჭიერი პოეტი და მთარგმნელი დავით წერედიანი, რომელმაც ქართველ მწერალთაგან პირველმა სცადა ზოგადქართული ზეპირსიტყვიერების სფეროში ამ ბოლო დრომდე არსებული ვაკუუმის შევსება.

ამჟამად მრავლად მოგვეპოვება ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერების კრებულები, აკადემიური თუ ცალკე გამოცემების სახით. ჩვენ არ დავიწყებთ იმაზე საუბარს, თუ რა მეცნიერულ-პროფესიულ დონეზეა ისინი შედგენილი და გამოცემული, გულდასანანი ის გახლავთ, რომ ხალხური შემოქმედების ამ ზღვაში ერთი ბეწო ადგილი აღარსადა ჰქონდა დათმობილი სვანურ ზეპირსიტყვიერებას, თითქოს აქაურ მკვიდრთ ოდითგან პირში წყალი ჰქონიყოთ ჩაგუბებული. თუ არ ვცდებით, პირველი ქართული ხალხური ლექსების კრებული, სადაც სვანური პოეზიის ნიმუშებიცაა წარმოდგენილი, გახლავთ გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ მიერ 1974 წელს დასტამბული წიგნი—

ეროვნული

„ქართული ხალხური პოეზია“, შემდგენელი ე. ვირსალაძე. რაც შეეხება დავით წერედიანის ხარეცენზიო კრებულს, რომელიც უკვე მეორედ გამოიცა ცალკე წიგნად, კიდევ ერთ წინგადადგმულ ნაბიჯად უნდა მივიჩნიოთ სვანური ზეპირსიტყვიერების მეტად ორიგინალური, კოლორიტული და უძველესი ნიმუშების ათვისებისა და ქართული ფოლკლორული საგანძურისათვის შემომატების გზაზე.

განსხვავებით ვახტანგ ონიანისაგან, რომელსაც მთავარ მიზნად სვანური მითოლოგიური თქმულებების პირველწყაროთა და ვარიანტთა შესწავლა-შეჯერება და მეცნიერული დამუშავება, ამბავთა შესანიშნავი მხატვრული ილუსტრაციებით წარმოჩენა დაუსახავს, დავით წერედიანის მთავარი ყურადღება მიპყრობილია ლექსების გარეგნულ სრულყოფილებასა და სისადავეზე, მხატვრულ დახვეწილობასა და ქართული ლიტერატურის თანამედროვე მიღწევებთან მათს პოეტურ შესატყვისობაზე.

„სვანური ხალხური ლექსების“ მთარგმნელი ჩვენ წარმოგვიდგა, თუ შეიძლება ასე გამოვხატოთ, მაღლიან რესტავრატორად, რომელმაც ჩვენი თვალთახედვის არედან საუკუნოდ განქარვებულ ოქროცურვილ ხატებს უსახურობის ლიბრი გადააცალა და პირვანდელი ბრწყინვალება დაუბრუნა. მთარგმნელმა, როგორც ზემოთ მოყვანილ ნიმუშებიდან დავინახეთ, წარმატებით დაძლია ენობრივი ბარიერი, მისი გადმოღებული ლექსები „ვეფხისა და მოყმის ბალადის“, „ეთერიანის“, „მაჭკვდია, ბეჩავ ირემოს“, „არხენას ლექსის“, „ჭარჯიხა“ და სხვათა მრავალთა გვერდით ისე ბუნებრივად, „ჩვეულებრივად“ გამოიყურებიან, ლაღად და ხატოვნად ჟღერენ, მკითხველის მიერ თითქოს ხალხის წიაღში თავიდანვე ამ ენაზე დაბადებულიყვნენ და ამეტყველებულიყვნენ.

მაინც რითი იქცევენ ისინი ჩვენს ყურადღებას?

პირველ რიგში, უდაოდ სვანური ლექსთწყობისადმი დამახასიათებელი სისადავით, უშუალო და ლაღი თხრობის მანერით, რაც არასოდეს უბრალოებაში არ გადადის, სვანური პოეზიისათვის ნიშანდობლივი ინტონაციურობისა და რიტმული ექსპრესიის შენარჩუნებით. ამ თვისებაზე განსაკუთრებით გვინდა გავამახვილოთ ყურადღება. როგორც თავშიაც აღვნიშნეთ, ყველა სვანური ლექსი თავისი ბუნებით სასიმღეროა, იგი მეჭუნირემ უნდა შეასრულოს, გუნდმა იმღეროს; არის აგრეთვე საფერხულო ლექსები („შინავორგილ“, „დალა კოჭას ხელღვაჟალე“ და მრავალი სხვა), დიდი ადგილი უჭირავთ, ეგრეთწოდებულ „შრომით სიმღერებს“.

აქაურ მთიელთა ყოფისათვის ნიშანდობლივმა „მოძრავმა ხასიათმა“ — ხამონავროდ მგზავრობამ, სავაჭრო-ეკონომიკურმა ურთიერთობამ შორეულ ცენტრებთან, ყოველდღიურმა ბრძოლამ სტიქიასთან და სხვა სახის კონფლიქტებმა იდეურ-ემოციური სიცხოველე, შინაგანი ექსპრესიზმი და რიტმული დაძაბულობა შესძინეს ლექსებს. მათი სასიმღერო დანიშნულება და ხასიათი პირველმთქმელისაგან საშემსრულებლო ხელოვნების იმჟამინდელი სპეციფიკის ღრმა ცოდნას ითვალისწინებდა. ამიტომაც არის, რომ სვანური ლექსები შინაგანი დინამიურობითა და მეტყველი მუსიკალური ინტონაციურობით გამოირჩევიან:

სად ყოფილხარ, თამარ?
ვის ეომე, თამარ?
ვის ეომე, ვინ დარისხე,
ვინ დაამხე, თამარ?

შორით მოხვალ, თამარ!
დავლით მოხვალ, თამარ!
შორით მოხვალ, დავლით მოხვალ,
ძლევით მოხვალ, თამარ!

თამარ დედოფლისადმი მიძღვნილ ამ ნაწარმოებში ძნელი არ არის დავინახოთ საფერხულო ცეკვისათვის დამახასიათებელი მუხლები და ტაქტები, შინაგანი რხევითი მოძრაობანი; სათცრად სახიერი და გამოკვეთილი პლასტიკურობა და მდიდარი სიტყვიერი ლექსიკა ნაწარმოებს არქაულობის განუმეორებელ ელფერს ანიჭებს და მიგვანიშნებს იმ ამაღლებულ განწყობილებაზე, სვანეთში თამარ დედოფლის ჩამობრძანებას რომ გამოუწვევია აქაურ მოსახლეობაში.

წინამდებარე კრებულში თამარ დედოფლისადმი მიძღვნილი სამი ლექსია წარმოდგენილი. სამივე ნაწარმოები თავისთავადი და დამთავრებულია, სამივეში სხვადასხვა კუთხით არის დახატული აქაურ მკვიდრთათვის ყველაზე სანუკვარი სტუმრის სახე, მისი სახელი მართლაც რომ შარავანდედით არის მოსილი სვანურ მითოლოგიაში, ეთნოგრაფიასა და ხალხურ მუსიკაში.

დავით წერედიანმა „თამარის თემა“ მთელი სისავსით გააცნო ქართველ მკითხველს. როგორც ამას თავადაც აღნიშნავს ამ რამდენიმე წლის წინათ გამოქვეყნებულ „ირინოლას“ წინასიტყვაობაში, იგი არ დასჯერებია „სვანური პოეზიის“ პირველ ტომში შესულ ჩანაწერებს და თარგმანებზე მუშაობისას არქივებში დაცულ სხვადასხვა ხელნაწერებიც გაუთვალისწინებია, რამაც, ბუნებრივია, შედეგიც კარგი გამოიღო.

სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ ჯერჯერობით არ მოგვეპოვება სვანური ხალხური პოეზიის ისეთი მეცნიერულ-პროფესიულ დონეზე შესრულებული სახელმძღვანელო კრებული, სადაც მოცემული იქნებოდა ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშების უმთავრესი ვარიანტები მაინც. ჩვენს მიერ ზემოთ მოხსენებულ, 1939 წელს გამოცემულ „სვანური პოეზიის“ პირველ ტომს, რომელიც თავის დროზე მნიშვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნელოვან შენაძენად ითვლებოდა, ხატოვნად რომ ვთქვათ, „ხანდაზმულობა შეეპარა“ და სადღეისო მოთხოვნილებებს ნამდვილად ველარ პასუხობს. მხედველობაში გვაქვს ჩანაწერების არადამაკმაყოფილებელი დონე, ვარიანტების სიმცირე და არასრულფასოვანი პწკარედული თარგმანები. სვანური ზეპირსიტყვიერების ზოგიერთ ნიმუშს იმდენი „ტყუპისცალი“ მოეპოვება, რამდენი სოფელი და თემიც არსებობს ამ კუთხეში. ეს ვარიაციულობა თავისთავში გულისხმობს შინაარსობლივ განსხვავებულობასაც, რაც დამატებით სიძნელეს უქმნის მთარგმნელს, რომელიც, ვიდრე საბოლოოდ მოიკიდებს ხელს რომელიმე ნაწარმოების გადმოღებას, ვალდებულია ერთობ შრომატევადი მეცნიერულ-ტექსტოლოგიური სამუშაო განახორციელოს, დაადგინოს და გამოარჩიოს ყველაზე სრულყოფილი ვარიანტი, „განწმინდოს“ იგი „ზედმეტი ადგილებისაგან“... ერთი სიტყვით, მთარგმნელი ასეთ სიტუაციაში ლამის ამ ხალხური ლექსების პირველმთქმელის თანაავტორად გვევლინება.

ჩვენის აზრით, „სვანური პოეზიის“ პირველ ტომში შეცდომით არის ჩაწერილი ყოფითი ხასიათის სოციალურ-დიდაქტიკური ქვეტექსტების შემცველი ნაწარმოები „სოზარ — ციოყი“. განსაკუთრებით საეჭვოდ გვეჩვენება ამ ლექსის მესამე სტრიქონი, რომელიც ნაწარმოების დედააზრის განმსაზღვრელად გვევლინება ამ ლექსში.

ბალადაში მოთხრობილია ობლობაში აღზრდილი ძმების — სოზარისა და ციოყის შემაძრწუნებელი მკვლელობის ამბავი. მთელი სოფელი იღებდა მონაწილეობას უდანაშაულო ვაჟკაცების ამოწყვეტაში. ამაზრზენად არის აღწერილი ძმების სათითაოდ გატყუების, სუფრაზე მიპატიჟების, დაბანგვისა და მერმე თავების წაჭრის ამბავი. შინ მომლოდინე დედას კი გული უგრძნობს, რომ მისი ოჯახის თავზე რაღაც უბედურება უნდა დატრიალდეს. და მართლაც კოშკის ქონგურიდან გადმომდგარი ქალი დაინახავს, როგორ მოასვენებენ მარხილით ღალატით მოკლულ ძმებს, მის შვილებს სოზარსა და ციოყს თანასოფლელები. იგი დატენილ თოფს გადმოიღებს და ერთ-ერთ მემარხილეს „სამახარობლოს მიუზღავს“. სასოწარკვეთილი ქალი კვლავ ცდილობს თოფის დატენვას, რათა ახლა მეორეზეც იძიოს შური, მაგრამ იარაღის გამართვა რომ არ ეხერხება? იგი თავის მეზობელს გადასძახებს, მასწავლე, როგორ ჩავდო ტყვიაწამალიო, მაგრამ მეზობელი რჩევის ნაცვლად თავგზას აუბნევს გაუბედურებულ ადამიანს. ერთი სიტყვით, ყველამ გასწირა იგი, შინაურმა და გარეშემ მათ წინააღმდეგ შეკრა პირი. თოფი არ გავარდება, მაშინ ქალი თავადაც კოშკიდან გადაეშვება.

მთელი სოფელი სხვადასხვა ფორმით მონაწილეობდა ამ ისტორიაში. მაგრამ ჩვენთვის გაუგებარი რჩება, მაინც რა დანაშაული მიუძღოდათ სოზარს და ციოყს ხალხის წინაშე? და თუ მართლები იყვნენ, რაღას ერჩოდნენ? ან იქნებ სოზარსა და ციოყზე გარდახდენილი ამბავი ჩვეულებრივი მოვლენა იყო მთათა ქვეყანაში?

ყოველივე ამას სათანადო ახსნა სჭირდება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ილახება თვით სოფლის სახე, მისი წეს-კანონი, ტრადიციები, ადათ-ჩვეულებანი. ლექსი კი ყოველგვარ შემეცნებით ღირებულებას კარგავს, უაზრობად იქცევა.

მართლაცდა, წარმოუდგენელია, მსგავსი სამარცხვინო ისტორია სიმღერად შემოენახა ხალხს. უგუნურება და ბოროტება განედიდებინა საზოგადოებას. ძმათამკვლელობის ყოვლად გაუმართლებელი აპოლოგია ექადაგებინა შთამომავლობისათვის. ასეთი რამ, საერთოდ, არ ხდება...

კვლავ მივუბრუნდეთ ლექსის მესამე სტრიქონს, რომელზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი. „სვანური პოეზიის“ კრებულში ვკითხულობთ: „ლალზიგალას დარ ჯაჩოლახ“ — მეზობლებისაგან, მთელი თემისაგან მოსვენება არა გქონდათო (სოზარისა და ციოყის მისამართით ამბობს ამას სახალხო მთქმელი), სიტყვა-სიტყვით: ცხოვრების საშუალებას არ გაძლევდნენო. აღნიშნული სტრიქონი კუთხურ ფრჩხილებშია ჩასმული, რაც იმაზე მიუთითებს, რომ იგი ამ წიგნის რედაქტორების მიერ არის ჩამატებული, ამ სტრიქონებში ხაზგასმულია ძმების მიმართ თანასოფლელთა აგდებული დამოკიდებულება, რაც ყოვლად გამორიცხული რამ გახლდათ ბალსზემო, უბატონო სვანეთში. უბრალოდ წარმოუდგენელი იყო და არის კიდევაც, რომ თავისუფალ საზოგადოებაში უდანაშაულო ადამიანის (ძმების) მიმართ საერთო ზიზღი არსებობდეს, ასეთი რამ ხომ ადამიანთა ურთიერთობებსაც და თანაარსებობის თვით პრინციპებსა და კანონებს ეწინააღმდეგება. იგივე მოვლენა მეტად დამახასიათებელი გახლავთ ბატონყმური ფორმაციისათვის. სვანეთის სინამდვილეში კი ასეთი რამ დასაშვები იყო ბალსქვემო ხეობისათვის, სადაც იქაური განმგებლები — დადეშქელიანები ყოველნაირად ავიწროვებდნენ საყმო გლეხებს, განსაკუთრებით კი საბატონო ბეგარის ურჩ გადამხდელებს. გავიხსენოთ შესანიშნავი ლექსი უშიშარ ვაჟკაცებზე, ვიცბილ-მაცბილზე. დადეშქელიანთა წინააღმდეგ რომ ამხედრდნენ და თავისუფლებისათვის ბრძოლას შესწირეს თავი. ლექსის მესამე სტრიქონში ვკითხულობთ: „ლალზიგალეს დარ ჯაჩომდახ“, ეს კი იგივეა, რაც სოზარ-ციოყზე მოვისმინეთ, — მოსვენებას არავინ გაძლევდათო. ვიცბილ-მაცბილზე მთქმელს თავისუფლად შეეძლო ეთქვა ასეთი რამ, როგორც უკვე ვთქვით, ბატონყმურ სინამდვილეში ასეთი მაგალითები ჩვეულებრივი მოვლენა გახლდათ, მაგრამ იგივეს თქმა სოზარისა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციოყის მისამართით, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ. ყოვლად გაუმართლებელია.

აქ საქმე უნდა გვქონდეს ჩანაწერის უზუსტობასთან. შესაძლოა, მთქმელს ერთმანეთში აერია სტილისტურ-ინტონაციური წყობითა და შინაგანი რიტმით ერთმანეთის მსგავსი ამ ორი ლექსის სტრიქონები, ანდა დაავიწყდა და გამოტოვა, შემდგენლებმა კი „ვიცბილ-მაცბილიდან“ შეავსეს ნაკლული ადგილი. სინამდვილეში აქ უნდა გვქონდეს — „ლალზიგალეს დას ხაროდად!“ — მოსვენებას არავის აძლევდოთ. ასეთი გააზრება უკვე სხვა კუთხით ხატავს ძმების პიროვნებას, მათ ხასიათს, რაობას... სინამდვილეში ასეც არის: სოზარი და ციოყი, ამ ცნობილი ლექსის გმირები სვანეთში ავკაცობის, ყოყოჩობისა და ამპარტავნობის, ხალხის აბუჩად აგდებისა და მზაკვრობის სიმბოლოებია, ასეთები იყვნენ სინამდვილეში სოზარი და ციოყი, თავგასული ძმები, სოფელს რომ იკლებდნენ თავიანთი უგვანო საქციელით. ხალხმაც უთმინა, უთმინა, მაგრამ ბოლოს აევსო მოთმინების ფიალა! დანაშაულის მიტევება აქაურთა გაგებით წაქეზების ნიშავს. ეს კი სამომავლოდ არაფერ სიკეთეს მოიტანდა. ამიტომაც მსგავსი ანომალიური მოვლენები ძირშივე უნდა ამოიძირკვოს აუთვისებიანი სიმსივნის დარად, რათა მომავალში არ მიეცეს თავისი უკეთური გამოძახილი. და ხალხმაც მათი თავიდან მოშორება განიზრახა და ამისათვის თავისებური საშუალებაც მიმართა: „პროფილაქტიკური ღონისძიება“ რომ უმტკივნეულოდ ჩატარებულიყო, დაბანგვის მეთოდი გამოიყენა. გავიხსენოთ ფუთა დადეშქელიანის მკვლელობის სცენა, მთელმა უშგულის თემმა შეაგროვა ფული და დამპყრობლისადმი დამიზნებული თოფის ჩახმახზე გამობმულ თოკსაც ერთად გამოსწია ხალხმა, რათა პასუხისმგებლობა თანაბრად გადანაწილებულიყო ყველაზე...

მართლაც დასანანია, რომ ეს „სვანური პოეზიისეული“ შეცდომა ქართულ თარგმანშიაც გადმოჰყვა სხვა თვალსაზრისით უნაკლოდ, მაღალმხატვრულად გადმოღებულ ამბავს თავნება ძმებზე — სოზარსა და ციოყზე...

ნაკლებ სარწმუნოდ გვეჩვენება აგრეთვე „სვანური პოეზიის“ პირველ ტომში მოყვანილი ლექსის — „ლებსუყ ჯაჭვლანის“ ზოგიერთი ადგილი. ცნობილია, რომ ტყვეებით ვაჭრობას ამ კუთხეში ბალსქვემო სვანეთის მპყრობელები, დადეშქელიანები ეწეოდნენ. მხოლოდ მათ ხელეწიფებოდათ ეს ამბავი. ლებსუყიც ერთ-ერთი ასეთი ტყვეთაგანია. დადეშქელიანთა მთავარს იგი შავ ბაზარზე გასაყიდად განუმწესებია. ჩვენი თანაგრძნობა მიჰყვება თან ამ მართლაცდა ცეცხლისმკვნეტელ ვაჟკაცს, მაგრამ რაოდენ ნელდება ეს განწყობილება, როცა გებულობ, რომ თურმე მას ცხრა ცხუმარელი მყავს მოკლული, ამდენივე დაჭრილი, უფრო მეტიც — ლამაზი თეთროლის-სამი ძმა თურმე ჰებწამშიაც კი გაუყიდია! ყოვლად გაუგებარია, როგორ მოიმოქმედა ასეთი საქმეები ლებსუყ ჯაჭვლანმა, რიგითმა გლეხმა უამალოდ და ერთგული რაზმის გარეშე? მეზობელ კუთხეებთან ძნელადმისადგომობის პირობებში ამ მეტად რთული და შრომატევადი „აქციის“ განხორციელება წარმოუდგენელი რამ გახლდათ. ჩვენის აზრით, ეს ორი ადგილი, სადაც საუბარია მკვლელობებსა და თეთროლის ძმების ტყვეებად გაყიდვაზე ვინმე საქმეში ჩაუხედავი მთქმელის მიერ უნდა იყოს შემდგომში ჩამატებული. ეს ადგილები თხრობის საერთო მიმდინარეობიდან ამოვარდნილად ჩანან. მკვლელობისა და ტყვეებით მოვაჭრის იარლიყებმა სახალხო გმირი თავისი ბატონის გვერდით ერთ სიბრტყეზე წარმოგვიდგინა, რითაც საფუძველი გამოაცალა ლექსის იდეურ ჩანაფიქრს — უთანასწორობასთან ბრძოლის საერთო-სახალხო განწყობილებას, მოთარეშეებისადმი სიძულვილს, მათ წინააღმდეგ ამხედრებული ვაჟკაცებისადმი შინაგან მხარდაჭერას, გამხნევებას, საგმირო საქმეთა განდიდებასა და მომავალ თაობებისათვის სათუთად შემონახვას.

შექმნილი მდგომარეობა მთარგმნელს ერთგვარ შეღავათს აძლევს და უკარნახებს რომ „საგმირო-ჟამის“ უფრო თავისუფლად იმოქმედოს, გაბედულად ისელმძღვანელოს საკუთარი მოსაზრებებით, რათა მსგავსი გაუგებრობანი მაქსიმალურად გამოირიცხოს და უცნობი მგოსნის ოცნებისა არ იყოს, პირველმთქმელის ნაფიქრ-ნააზრევი ლამაზად გაჰქვეყნდეს...

დ. წერედიანის „სვანური ხალხური ლექსების გაცნობისას ერთი შენიშვნა დაგვებადა, რომელიც უკვე უშუალოდ ავტორს ეხება: ლექსში — „ბეთქილი“; ნადირობის ქალღმერთი დალი თავის შეყვარებულს, მონადირე ბეთქილს ეკითხება — „ჩემი ნაბოძები ყელსაბამი რა უყავით. „შინ დამრჩენია, დედოფალო“ — პასუხობს ბეთქილი. დალი გულთმისანია: „შინ დაგრჩენია სარეცელზე, რძლის სასთუმალქვეშ დაგრჩენიაო“ — ტყუილში ამხილებს შეყვარებულს დალი და ფიცის გამტეხს მკაცრ სასჯელსაც უმზადებს.

რამდენადაც ვიცით, „სვანური პოეზიის“ პირველ ტომში და ახევე ხალხში გავრცელებულ სიმღერებში მონადირე ბეთქილზე არსად არ იხსენიება სიტყვა „რძალი“. „სვანური პოეზიის“ კრებულში ვკითხულობთ: „იმღა ხოლატ პირობს მიმგვა“ — რად უღალატე პირობასო, ხოლო მერე — „მაგვარ ლაყვრა თხუმაშ აჯსად, ეჯგვარ ლიტხალს მი სი ჯაჩო!“ — შენ რომ ის მძივი სასთუმალქვეშ დაგრჩა, მეც ისე დაგაბრუნებ შინაო. ე. ი. რა სიმართლესაც ამბობ, იმ სიმართლით გეშველებაო. დალის პრეტენზიები გასაგებია — ბეთქილმა მისი ნაჩუქარი მძივი თავის საცოლეს უსახსოვრა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

დალი დაივიწყა, ერთი სიტყვით, მონადირემ შეურაცხყო მისი თავმოყვარეობა. იგი შურისძიების გრძნობით აღივსება და ბეთქილს კლდეზე ჩამოჰკიდებს.

ნაწარმოები ინტიმური ურთიერთობის სფეროში წესრიგს ქადაგებს, ერთგულებისაკენ, ერთმანეთის პატივისცემისაკენ, სიყვარულისაკენ მოუწოდებს ხალხს. პატიოსნები და სიტყვისკაცები, პირშეურცხვენელნი უნდა ვიყვნეთ! — ასეთია ამ ლექსის დედააზრი, ნათელია ყოველივე — მთათა ქვეყანაში, სადაც ცხოვრება მძიმე, ათას საარსებო საზრუნავს იყო ადამიანი გამოკიდებული, საზოგადოება ესწრაფვოდა ურთიერთდამოკიდებულებათა ყველაზე სრულყოფილი, სამართლიანი და ჩამოყალიბებული მორალურ-ესთეტიკური, ზნეობრივი და სულიერი თვალსაზრისით გამართლებული ფორმები შეექმნა. როგორც თავშიაც აღვნიშნეთ, ამ მიზნის განსახორციელებლად იგი იყენებდა მის ხელთ არსებულ საშუალებებს, ყველაზე საიმედო იარაღს კი ამ სფეროში ხალხური ზეპირსიტყვიერება წარმოადგენდა.

ამ ვითარების ფონზე მიუღებლად გვეჩვენება დ. წერედიანის მოსაზრება, რომ „ბეთქილში" მონადირის დასჯის მთავარი მიზეზი უნდა ვეძებოთ „არა სამონადირეო წესების დარღვევაში (ამ წესებს ყოველთვის მკაცრად იცავდნენ), არამედ ზნეობრივი კანონის შელახვაში — ბეთქილმა თავისი სარძლოს სარეცელი შებღალაო".

ნადირობის კულტი ძველთაგანვე არსებობს სვანეთში. იგი მრავალი ატრიბუტით ხასიათდება, რომელთა დაცვა და შენახვა ნამდვილი მეთხვეარისათვის კანონია. მაგრამ, როგორც ამას დ. წერედიანიც აღნიშნავს, ამ ნაწარმოებში გაკვრითაც კი არაა სადმე [illegible] მონადირეო წეს-კანონების აღსრულება-აღუსრულებლობის თაობაზე, ჩვენის აზრით, არც არსად არაა ლაპარაკი „სარძლოს სარეცლის შებღალვაზე" და ამ სამარცხვინო აქტიდან გამომდინარე „ზნეობრივი კანონის შელახვაზე", პირიქით, ყველაფერი მხარს უჭერს ზემოთ მოცემულ ჩვენეულ აზრობრივ ინტერპრეტაციას, მითუმეტეს, რომ ხალხში დღემდე შემორჩა თქმულებები ბეთქილისა და დალის სასიყვარულო დრამის ანალოგიური ურთიერთობების თაობაზე. ამ თქმულებების მიხედვით მონადირეს უყვარს „უხილავი, გარეშე სულიერი, ფერია" (ქაამ მერდე) და მას არა აქვს უფლება უღალატოს მას, სხვასთან დაქორწინდეს, ოჯახი შექმნას. „ბეთქილის ამბავი" არც მეტი, არც ნაკლები. ამ თქმულების ერთგვარ პოეტურ პერიფრაზად უნდა მივიჩნიოთ.

„ბეთქილის ლექსი" დღესაც ცოცხალია. ხალხმა ზეპირად იცის იგი. რაც შეეხება ბეთქილის მიერ „სარძლოს სარეცლის შებღალვას", ასეთი გაგება ყველას ეუცნაურება. ისინი ამბობენ — სატრფოში გაცვალა დალი, „ქაამ მერდეს" — კლდის ფერიას უღალატა ბეთქილმა, სიტყვა გატეხა და ეგრეც მოუხდებაო"...

სასურველია ეს უმტკივნეულო შენიშვნა მომავალი გამოცემის დროს გაითვალისწინოს მთარგმნელმა.

დასასრულს კვლავ მინდა მადლობა მოვახსენო დ. წერედიანს ამ მშვენიერი „სვანური ხალხური ლექსებისათვის", რომელთა გაცნობამაც, დარწმუნებული ვარ, დიდი სიამოვნება განაცდევინა ქართული პოეზიის ყველა გულშემატკივარს.

მირონ ხერგიანი

# რუის-ურბნისის ძეგლის წერა

გამომცემლობა „მეცნიერებამ" 1978 წელს გამოაქვეყნა ენრიკო გაბიძაშვილის ნაშრომი — „რუის-ურბნისის ძეგლისწერა". ეს არის ქართული სამართლის ჩვენამდე სრული სახით მოღწეული ერთადერთი უძველესი სამართლებრივი ძეგლის სპეციალური, ღრმა მონოგრაფიული შესწავლის პირველი ცდა. თუმცა როგორც ავტორი აცხადებს, მის მიზანს რუის-ურბნისის საკანონმდებლო კრების გადაწყვეტილებების ფილოლოგიურ-ტექსტოლოგიური გამოკვლევა შეადგენდა, მაგრამ გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ მან უფრო მეტის გაკეთებაც შეძლო — მნიშვნელოვანია მისი დაკვირვებები ისტორიულ-იურიდიული თვალსაზრისითაც. გამოკვლევაში საფუძვლიანად არის ახსნილი ძეგლში მოცემული ზოგიერთი სამართლებრივი ნორმის ისტორიული საფუძველი.

სარეცენზიო ნაშრომის არქიტექტონიკა მოწონებას იმსახურებს. ცალ-ცალკე პარაგრაფები მიუძღვნა ავტორმა საკითხებს: 1. რუის-ურბნისის კრების მოწვევის მიზეზები და მიზნები; 2. რუის-ურბნისის საკანონმდებლო კრების მოწვევის თარიღისათვის; 3. კრების ორგანიზაციული მხარე; 4. რუის-ურბნისის კრების

* ენრიკო გაბიძაშვილი „რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერა" (ფილოლოგიურ-ტექსტოლოგიური გამოკვლევა). გამომცემლობა „მეცნიერება", თბილისი, 1978 წ. გვ. 198, რედაქტორი მ. დოლაქიძე.

„ძეგლისწერის“ ავტორის ვინაობისათვის და თხზულების წყაროები; 5. „ძეგლისწერის“ შედგენილობა და მასთან დაკავშირებული საკითხები.

გამოკვლევას თან ახლავს რუსულ ენაზე დაწერილი რეზიუმე. გარდა ამისა, ნაშრომს დამატების სახით ერთვის ძეგლისწერის კრიტიკულად დადგენილი ტექსტი.

სარეცენზიო ნაშრომის წინასიტყვაობაში მართებულად არის ნათქვამი, რომ რუის-ურბნისის საეკლესიო კრებამ დასაბამი მისცა იმ იურიდიულ ნორმათა საზოგადოებრივ ცხოვრებაში განხორციელების იდეას, რომლებზეც დიდად იყო დამოკიდებული იმდროინდელი საქართველოს ცენტრალიზებული სახელმწიფოს ჩამოყალიბება. ამ კრების დოკუმენტში ასახულია ის რეფორმათა იდეური საფუძვლები, რომელთაც ეკლესიაზე გაბატონებული მონოლითური თვითმპყრობელური სახელმწიფოს ჩამოყალიბება მოჰყვა.

ქართულ საკანონმდებლო ძეგლებს, რომელნიც რუის-ურბნისის ძეგლისწერამდე მოქმედებდა საქართველოში, ჩვენამდე სრული სახით არ მოუღწევია. დავით აღმაშენებლის მეფობამდე მოქმედი ქართული საერო სამართლის წიგნების მხოლოდ მცირე ფრაგმენტებია ჩვენს განკარგულებაში. ეს გარემოება კიდევ უფრო ზრდის რუის-ურბნისის ძეგლისწერის მნიშვნელობას.

XII საუკუნის დასაწყისისათვის, რუის-ურბნისის საეკლესიო კრების მოწვევამდე ქართულ ენაზე უკვე თარგმნილი იყო ე. წ. „დიდი სჯულის კანონი“. ავტორს მართებულად აქვს შენიშნული, რომ რუის-ურბნისის „ძეგლისწერა“ ზემოხსენებული „დიდი სჯულის კანონის“ ქართული ტექსტის გათვალისწინებით ჩამოყალიბებულ ძეგლად უნდა მივიჩნიოთ.

აღმოსავლეთის მართლმადიდებლური ეკლესია, ასე თუ ისე, სახელმწიფოს ნებას რთავდა ჩარეულიყო მის საშინაო საქმეებში. საერთოდ კი, ამის გამო, იგი პრინციპულ სხვაობას ვერ ხედავდა საერო და საეკლესიო კანონმდებლობათა შორის. მკვლევარი რიხტერის გონებამახვილური თქმით, საეკლესიო და საერო სამართლის ურთიერთობა უნდა წარმოვიდგინოთ ორი ურთიერთგადამკვეთი წრის სახით ისე, რომ თითოეული მათგანი ნაწილობრივ უფრო ფართოდ არის და ნაწილობრივ ვიწროც მეორეზე.

ეს გარემოება რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერას ქართული კულტურის შესწავლისათვის ერთერთ, მართილაც ხელიხელ საგოგმანო წყაროდ აქცევს.

როდესაც ქართული საკანონმდებლო ძეგლების შესწავლის ისტორიაზე ვლაპარაკობთ, შეუძლებელია არ გავიხსენოთ, რომ ჯერ კიდევ 1914-1917 წლებში გამოქვეყნებული პროფ. ვ. ბენეშევიჩის საუცხოო გამოკვლევა „ქართული დიდი ნომოკანონი თბილისის საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერების მიხედვით“. რუის-ურბნისის „ძეგლისწერას“ სპეციალურად შეეხო აკად. ივანე ჯავახიშვილი თავის კაპიტალურ ნაშრომში — „ქართული სამართლის ისტორია“.

არსენ იყალთოელის მიერ თარგმნილი „დიდი სჯულისკანონი“ რუის-ურბნისის კრების „ძეგლის-წერითურთ“, ვრცელი გამოკვლევითა, შენიშვნითა და იურიდიულ ტერმინთა განმარტებით 1975 წელს გამოაქვეყნეს კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომლებმა ე. გაბიძაშვილმა, ე. გიუნაშვილმა, მ. დოლაქიძემ და გ. ნინუამ. რუის-ურბნისის კრების „ძეგლისწერის“ ტექსტი უკვე ხსენებულ გამოცემაშია მეცნიერულად დადგენილი.

XII საუკუნის დასაწყისში, საქართველოს პოლიტიკური ძლიერებისა და კულტურული აღმავლობის ხანაში შექმნილი ძეგლისწერა ერთ-ერთი უმთავრესი მასალაა ხსენებული ხანის კულტურული და კერძოდ სამართალგანვითარების დონის გამოსაკვლევად.

გარდა ამისა, ხსენებულ საკანონმდებლო ძეგლს დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის შინაგანი, ყოფითი ისტორიის და საერთოდ წარმოებით ურთიერთობათა ფეოდალური ტიპის ქართული ვარიანტის გამოკვლევისათვის.

საკანონმდებლო ძეგლი გვაცნობს დავით აღმაშენებლის რეფორმატორული მოღვაწეობის მნიშვნელოვან მომენტებს. ეკლესია, როგორც სამართლიანად აღნიშნავს ავტორი, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური პროგრესისთვის მებრძოლი ძალების იდეურ დასაყრდენად იქცა. ყოველივე მოწინავე ცენტრალიზებული სახელმწიფოს ტენდენციების მხარეზე დგებოდა.

ე. გაბიძაშვილს წამოყენებული აქვს მოსაზრება, რომ „ძეგლისწერის“ შექმნაში დიდი მონაწილეობა აქვს მიღებული არსენ იყალთოელს და ეს უკანასკნელი უნდა იყოს მისი მთავარი ავტორიც.

ახლახან გამოვიდა პროფ. ივ. ლოლაშვილის წიგნი „არსენ იყალთოელი“ (გამომცემლობა „მეცნიერება“, 1978, გვ. 160). ხსენებული ნაშრომის გაცნობაც გვარწმუნებს, რომ ე. გაბიძაშვილის მოსაზრებანი მართებულია. მართლაც არსენ იყალთოელი ძველი ქართული კლასიკური მწერლობის ცაზე ერთ-ერთი უპირველესი სიდიდის ვარსკვლავია. ის იყო მხატვრული სიტყვის დიდოსტატიც, ფილოსოფოსიც, კანონისტ-იურისტი და სახელმწიფო მოღვაწეც. არსენი იყო „მეცნიერი ბერძენთა და ქართველთა ენათა“, მას ეკუთვნის აგრეთვე „დოგმატიკონის“ და „დიდი სჯულისკანონის“ თარგმანიც.

როგორც „დოგმატიკონის“ (სადაც თავმოყრილი იყო შუა საუკუნეების ბიზანტიური ქრისტიანული ლიტერატურის ყველაზე მნიშვნელოვანი ძეგლები XI-XII საუკუნეებისა), ისე „დიდი სჯულისკანონის“ ქართულად გადმოღება დიდი მეცნიერული გმირობა იყო არსენის მხრივ. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის გარემოება, რომ არსენ იყალთოელის ნაშრომებში იგრძნობა მშობლიური ქართული ენის ღრმა ცოდნა, ქართული ენის განვითარების ტენდენციების ამოცნობა, ბერძნულიდან ქართულ ენაზე ცნებებისა და ტერმინების გადმოღებისას საგანთა და მოვლენათა არსში წვდომა. ვფიქრობთ, ამიერიდან არსენ იყალთოელი უფრო გამოკვეთილად წარმოგვიდგება, როგორც ძველი ქართული კულტურის ერთ-ერთი უდიდესი მოღვაწე. არსენ იყალთოელს უბრუნდება ის ნამოღვაწარი, რასაც აქამდე უმართებულოდ სხვა არსენ ბერს მიაწერდნენ.

ნაშრომს ახლავს ვრცელი შენიშვნები სქოლიოების სახით, სადაც ავტორი არაერთ მართებულ მოსაზრებას გამოთქვამს და ასწორებს სამეცნიერო ლიტერატურაში გაპარულ შეცდომებს და უზუსტობებს.

ე. გაბიძაშვილი თვლის, რომ რუის-ურბნისის კრების მოწვევის თარიღად უნდა მივიჩნიოთ არა 1103 წელი, როგორც აქამდე იყო აღიარებული სამეცნიერო ლიტერატურაში, არამედ 1105 წელი. უნდა ითქვას, რომ რუის-ურბნისის საეკლესიო კრების მოწვევის თარიღი არცერთ საისტორიო და ლიტერატურულ წყაროში არ იყო დამაჯერებლად დადგენილი. პირველი ისტორიკოსი, რომელმაც ამ თარიღის დადგენა სცადა, ვახუშტი ბატონიშვილი გახლდათ. ე. გაბიძაშვილი გვიჩვენებს, თუ რა იყო ვახუშტი ბაგრატიონის მიერ დაშვებული უზუსტობის მიზეზი.

სარეცენზიო ნაშრომის დადებით მხარედ მიგვაჩნია ის გარემოებაც, რომ ავტორი სპეციალურად ეხება რუის-ურბნისის კრების ორგანიზაციულ მხარეს (გვ. 20-28). მართებული ჩანს მოსაზრება, რომ კრების მოწვევის ადგილი საგანგებოდ იყო შერჩეული.

ე. გაბიძაშვილი სპეციალურად ეხება საკითხს — რუის-ურბნისის კრებას ესწრებოდნენ მხოლოდ სასულიერო საზოგადოების წარმომადგენლები, თუ საერო პირებიც. „ძეგლისწერის“ მიხედვით კრების მონაწილედ საერო პირები არ ჩანან. კრებაზე ერისკაცთა დასწრების შესახებ კატეგორიულად არც დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი ლაპარაკობს, რომელიც აღნიშნავს: „შემოკრბა ერი მრავალი: რამეთუ სამეფოსა თვისისა კათოლიკოსი, მღვდელთმთავარნი, მეუდაბნოენი, მოძღუარნი და მეცნიერნი შემოიკრიბნა წინაშე მისსა“. ივ. ჯავახიშვილმა, დაიმოწმა რა ხსენებული ადგილი დავითის ისტორიკოსის თხზულებიდან გამოთქვა ვარაუდი, რომ „ერი მრავალი“ და „მეცნიერნი“ შეიძლება სასულიეროსთან ერთად საერო წარმომადგენლებსაც გულისხმობდესო. ე. გაბიძაშვილის აზრით, ეს შეიძლება სინამდვილეს შეეფერებოდეს, მაგრამ არც ის არის გამორიცხული, რომ ციტატაში მხოლოდ სასულიერო პირებზე იყოს საუბარი. ამიტომ ასეთ გაურკვეველ, ბუნდოვან სიტუაციაში კატეგორიულად მტკიცდება, რომ კრებას საერო წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ, როგორც ამას ზოგიერთი ავტორი სჩადის, გაუმართლებელია.

ბიზანტიაში, სომხეთში, საფრანგეთსა და სხვა ქვეყნებში გამართულ საეკლესიო კრებებს მრავლად ესწრებოდნენ ხალხის სხვადასხვა ფენის წარმომადგენლები „ოღონდ, რა თქმა უნდა, არა ხმის უფლებით“, — მართებულად შენიშნავს ე. გაბიძაშვილი. ამრიგად, განაგრძობს იგი თუ კი რუის-ურბნისის კრებასაც ესწრებოდნენ საერო პირები, ეს არავითარი „უჩვეულო“ მოვლენა არ იქნებოდა (გვ. 22). ასევე უმართებულოა, აღნიშნავს ე. გაბიძაშვილი, მოსაზრება, რომლის მიხედვითაც თითოეული იერარქისათვის განსაზღვრული ასაკის დადგენა რუის-ურბნისის კრების დამსახურებად არის მიჩნეული (გვ. 96).

ავტორს ასევე მცდარად მიაჩნია, და სრულიად სამართლიანადაც, „ძეგლის წერის“ მეორე კანონის შინაარსში განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის აზრის ჩადება და მისი დავით აღმაშენებლისათვის მიწერა. ეს საკითხის გაყალბებააო, აღნიშნავს იგი (გვ. 98).

აქამდე ზოგიერთ ავტორს მიაჩნდა, თითქოს რუის-ურბნისის კრების „ძეგლისწერის“ მიხედვით წიგნის მკითხველის საკმაოდ რთული თანამდებობა — საჭიროებისამებრ სხვადასხვა საეკლესიო წიგნში შესაფერისი ადგილების დაძებნა და მისი ღვთისმსახურების დროს წაკითხვა რვა წლის ასაკის ბავშვს ჰქონდა დაკისრებული. ე. გაბიძაშვილმა დამაჯერებლად გვიჩვენა, რომ ეს მოსაზრება სწორი არ არის და კანონიკური თხზულების ხელნაწერის გადმოწერის შეცდომიდან მომდინარეობს. სინამდვილეში წიგნის მკითხველის ხელდასხმის ასაკი 18 წელი იყო (99).

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული იყო აზრი, ვითომ რუის-ურბნისის კრებამდე საქართველოში საეკლესიო იერარქიის გაუვლელად შეიძლებოდა ამა თუ იმ პირს ერთსა და იმავე დროს მიეღო წიგნის მკითხველის, კერძო დიაკვნის, დიაკვნის, მღვდლის და ეპისკოპოსის თანამდებობები. ამასთან დაკავშირებით ე. გაბიძაშვილი შენიშნავს: ჯერ ერთი, ასეთი წესი არ არსებულა, არამედ ასეთი მოქმედება თვითონ წარმოადგენდა წესისა და კანონის დარღვევას, მეორეც „ძეგლისწერაში “არ არის ნათქვამი, რომ ხელდასხმა წარმოებდა „იერარქიის გავლის გარეშე“, არამედ იერარქიული საფეხურების გავლა ხდებოდა მოკლე დროის განმავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლობაში. ამასთანავე ყოვლად შეუძლებელი იყო „ამა თუ იმ პირს ერთსა და იმავე დროს მიე-ლო“ ყველა საეკლესიო თანამდებობა (გვ. 106).

მცდარად იყო გაგებული სამეცნიერო ლიტერატურაში რუის-ურბნისის „ძეგლისწერის“ მე-4 კანონიც. ზოგი ავტორი მასში ხედავდა გიორგი მთაწმინდელის საეკლესიო რეფორმების გამოხატულებას „გადმოცემულს მის ახალ კურთხევანში!“

სინამდვილეში კი, როგორც ე. გაბიძაშვილმა დამაჯერებლად დაასაბუთა, ზემოხსენებულ კანონში მხოლოდ იმის შესახებ არის საუბარი, თუ რა რიტუალი უნდა შესრულდეს ხელდასხმის დროს (გვ. 109).

სარეცენზიო ნაშრომის ავტორს გამოთქმული აქვს ახალი და ვფიქრობთ, მისაღები მოსაზრება, რომ ე. წ. „კიდეს-კიდე და არაერთგან კურთხევა გვირგვინთა“ გულისხმობს ამ რიტუალში“ მონაწილე არა მარტო სამ პირს, როგორც აქამდე ფიქრობდნენ, არამედ ექვსს. ორ სხვადასხვა ადგილას ჩატარებული ასეთი ცერემონიალი ერთ საქორწინო რიტუალს გულისხმობდა: მასში მონაწილეობდნენ საცოლე, საქმროს წარმომადგენელი და მაკურთხებელი ხუცესი ანდა მეორე შემთხვევაში — საქმრო, საცოლის წარმომადგენელი მამაკაცი და ისევ ხუცესი (გვ. 147).

ვფიქრობთ, მოყვანილი მაგალითებიც საკმარისია იმისათვის, რომ ე. გაბიძაშვილის ნაშრომი — „რუის-ურბნისის ძეგლისწერა“ სერიოზულ გამოკვლევად ჩავთვალოთ. ვერც ერთი მკვლევარი, რომელსაც XII საუკუნის ქართული კანონმდებლობის ისტორია აინტერესებს, სარეცენზიო ნაშრომს გვერდს ვერ აუვლის. იგი მთელი ეტაპია ხსენებული საკანონმდებლო ძეგლის შესწავლის საქმეში. სასურველია ავტორმა დააზუსტოს თავისი შეხედულება ე. წ. „კაცობრივი ქცევისა და ჩვეულების“ შესახებ (გვ. 149—150); ივ. ჯავახიშვილი და მას შემდეგ სხვა ავტორებიც, თვლიდნენ, რომ „კიდეს-კიდე გვირგვინთა კურთხევა“ იყო „კაცობრივი ქცევა და ჩვეულება“ (ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, II, 2 გვ. 370). საკანონმდებლო ძეგლის ტექსტის შესწავლის დღევანდელ დონეზე ავტორს მიაჩნია, რომ ე. წ. „წარმომადგენლობითი ქორწინება“ იყო კაცობრივი ქცევისა და ჩვეულების საწინააღმდეგო მოქმედება (გვ. 149). შეიძლება ავტორი მართალიც იყოს, მაგრამ მაშინ მკითხველს უნდა მივაწოდოთ ინფორმაცია, თუ რას გულისხმობდა ე. წ. კაცობრივი ქცევა და ჩვეულება.

სარეცენზიო ნაშრომის 129-ე გვერდზე ნათქვამია: ვახტანგ VI სამართლის წიგნში მე-100 კანონად შეტანილი ბაგრატ კურაპალატის დროინდელ დადგენილებაში ვკითხულობთ: „ვინცა მოძღვარი იყოს, ანუ მეფეთა წინაშე ზრდილი და ნამყოფი კაცი იყოს... ის დასვით მეფედ, ჭკვიანი იქნების და კარგად ეცოდინების ბჭობა და უსამართლოს არას იტყვისო“. ამაში ავტორს ვერ დავეთანხმებით. ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნში ზემოთ ციტირებული სამართლებრივი ნორმა მეასე კანონად კი არ არის შეტანილი, არამედ ის ერთვის ბექასა და აღბუღას სამართლის წიგნს, რომელიც გაცილებით ადრე იყო შედგენილი ვახტანგის სამართლის წიგნთან შედარებით XIII—XIV ს.ს). ამასთანავე უფრო მართებული იქნებოდა გველაპარაკა სამართლის წიგნის მუხლზე და არა „კანონზე“.

ავტორი იმოწმებს აგრეთვე ბექასა და აღბუღას წიგნზე დართულ ზემოხსენებულ ე. წ. „ბაგრატ კურაპალატის სამართლის“ 103-ე „კანონსაც“ სადაც ნათქვამია: „თუ მოძღვარმან, ანუ მღვდელმან, ანუ მონაზონმან მეფესა თუ ეპისკოპოზსა შესცოდოს, ანუ სჯულსა, ანუ ეკლესიას შესცოდოს, ხელთა არავისგან შეიპყრობის, განკითხვა უნდა“.

ე. გაბიძაშვილი სამართლის წიგნის ხსენებულ მუხლებს იმიტომ იმოწმებს, რომ სურს „მოძღვრის“ ინსტიტუტის არსებობა ფეოდალურ საქართველოში რუის-ურბნისის კრების მოწვევამდე დიდი ხნით ადრე ივარაუდოს. ზემოთმოტანილ სამართლებრივი ნორმები ივ. ჯავახიშვილს ბაგრატ მესამის დროის ამსახველად მიაჩნდა, ხოლო ი. დოლიძეს ბაგრატ მეოთხის დროს შედგენილად. მაგრამ ხსენებული მოსაზრებები სადაოა. უფრო სავარაუდოა, რომ ეს მუხლები უფრო გვიანდელია, ვიდრე თვით რუის-ურბნისის ძეგლის წერა. ამ მიმართულებით მიგვითითებს ორიოდე საინტერესო დოკუმენტური წყაროც გვიან ფეოდალური ხანისა. შესაძლოა მოძღვრის ინსტიტუტი რუის-ურბნისის კრებაზე დიდი ხნით ადრე მართლაც არსებობდა საქართველოში, მაგრამ ეს გარემოება საეჭვოა დამტკიცდეს აღბუღა ათაბაგ-ამირსპასალარის სამართლის წიგნზე დანართი მუხლებით, რომელთა შედგენის დროც დღესდღეობით მტკიცედ არ არის დადგენილი.

ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნის ფრაგმენტად მიჩნეულ ზემოთ მოტანილი მუხლების დათარიღებას ეხებოდა პროფ. ივ. სურგულაძეც, რომელიც მართებულად თვლიდა, რომ ბექა-აღბუღას სამართლის წიგნის „99-103 მუხლების ბაგრატ კურაპალატისეულად აღიარება ჯერჯერობით მხოლოდ ვარაუდია და საკითხი კიდევ გამოსარკვევი რჩება“.

დაზუსტებას მოითხოვს აგრეთვე შეხედულება, თუ რა პირობებში იყო დასაშვები მართლმადიდებელი ქრისტიანისა და მწვალებლის ქორწინება (გვ. 143-145). ეკლესია გამონაკლისის სახით ფაქტობრივად უკვე მომხდარ ასეთ ქორწინებას ნამდვილად ცნობდა მხოლოდ იმ პირობით, რომ არამართლმადიდებელს მართლმადიდებლისათვის ხელი არ შეუშლია სარწმუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნოებრივ ასპექტში და გაჩენილი შვილები აღეზარდა მართლმადიდებლურ სარწმუნოების წესის თანახმად.

ეს სურვილები შენიშვნებად არ ჩაითვლება. მთავარია, რომ ავტორმა სვლასა შინა „გზასა ფრიად საჭიროსა და იწროსა“ შეძლო ახალ სიმაღლეზე აეყვანა ქართული სამართლის, ჩვენამდე მოღწეული ერთ-ერთი უძველესი ძეგლის შესწავლის საქმე.

ვ. ნადარეიშვილი,
ლ. კაციტაძე

# წიგნი ლეო ქიაჩელის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე

ქართული საბჭოთა პროზის ერთ-ერთი ფუძემდებლის — ლეო ქიაჩელის შესახებ არცთუ ისე მცირე ლიტერატურა არსებობს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჯერ ისევ შორს ვართ მისი სიდიადის სრულყოფილად შეცნობისაგან; აკაკი თოფურიას მონოგრაფია „ლეო ქიაჩელის ცხოვრება და შემოქმედება“ ამ მხრივ არსებული ხარვეზის შევსების მეტად საყურადღებო ცდაა. წიგნის წარმატებას, პირველ რიგში, განაპირობებს დიდძალი დოკუმენტური წყაროების მეცნიერული ანალიზისა და მხატვრულ-წარმოსახვითი ელემენტების ერთმანეთთან ორგანული შერწყმა, რის შედეგად მკითხველმა მიიღო საინტერესოდ საკითხავი ბიოგრაფიული გამოკვლევა, ალსავსე დღემდე უცნობი მთელი რიგი ფაქტებითა და მასალებით მწერლის ცხოვრებიდან.

კერძოდ ეს შეეხება ქიაჩელის ბავშვობისა და გიმნაზიაში სწავლის ხანას, 1905-1907 წლების რევოლუციაში მისი აქტიური მონაწილეობის, ქუთაისის საგუბერნიო ციხიდან გაქცევის შემდეგ მოსკოვში არალეგალური ცხოვრების, საზღვარგარეთ ემიგრანტად ყოფნის და სამშობლოში დაბრუნების იმ ეპიზოდებსა და პერიოდებს, რომლებიც ბუნდოვნად ან სრულიად არ იყო შესწავლილი. ასე წარმოგვიდგა მწერლის მრავალფეროვანი ლიტერატურული მემკვიდრეობა მის ბობოქარ თავგადასავალთან, სოციალურ-პოლიტიკურ და ისტორიულ-ლიტერატურულ მოვლენებთან მჭიდრო კავშირში.

არ შეიძლება განსაკუთრებულად არ აღინიშნოს აკაკი თოფურიას ნაშრომში გამოყენებული საარქივო მასალების სიუხვე და სიახლე. ავტორს უსარგებლია ისტორიული წყაროებით, გადმოცემებით, მოგონებებით, და ყოველივე ეს მიზნობრივად გამოუყენებია იმისათვის, რომ დაეხატა მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების ერთიანი სურათი, მოეცა მოვლენებისა და ფაქტების საფუძვლიანი ახსნა.

აკაკი თოფურიას ნაშრომის ღირსება არა მარტო იმაშია, რომ იგი ლეო ქიაჩელის ცხოვრებისა და შემოქმედების მრავალ უცნობ მომენტს გვაცნობს, არამედ იმაშიც, რომ ავტორი მკვლევარისათვის საჭირო კრიტიციზმით, სიფრთხილით, სიფაქიზით და ზომიერების დაცვით ეკიდება განსახილველ რთულ საკითხს. მწერლის ცხოვრება და შემოქმედება ა. თოფურიას სავსებით სწორად ესახება „ერთ მთლიან, ერთმანეთისაგან განუყოფელ კონკრეტულ-ისტორიულ მოვლენად“ და ამიტომ აუცილებელ მოთხოვნად მიაჩნია, რომ მწერალთა ბიოგრაფიების მეცნიერულ დამუშავებას საფუძვლად დაედოს „კონკრეტულ-ისტორიული მიდგომა თითოეული ეპოქის მწერალთა ბიოგრაფიებისადმი, მათი ლიტერატურულ-საზოგადოებრივი მოღვაწეობის დახასიათებისადმი“ („ლეო ქიაჩელის ცხოვრება და შემოქმედება“, 1977. გვ. 9).

ემყარება რა ასეთ ზოგად, მეთოდოლოგიურად სწორ პრინციპს, ავტორი ხაზგასმით მიუთითებს, რომ „შემოქმედს ყოველთვის ღირსებას მატებს პირად ცხოვრებაში მაღალი მოქალაქეობისა და დიდი ადამიანობის მაგალითები“, რომ „მწერლის ცხოვრებისეულ გამოცდილებას, იმ სოციალურ-პოლიტიკურ და საზოგადოებრივ-კულტურულ გარემოს, ოჯახური ყოფისა და ახლობლების გარემოცვას, ე. წ. „მშობლიურ კერას“, რომელშიც ყალიბდება მწერლის პიროვნება, მისი შეგნება და შემეცნებითი უნარი, უეჭველად ფუძემდებლური მნიშვნელობა აქვს მისი შემოქმედებითი ინდივიდუალობის ფორმირების საქმეში“ (დასახელებული წიგნი, გვ. 8).

ასეთი წინასწარ შემუშავებული თვალსაზრისით შედის მკვლევარი ლეო ქიაჩელის პირად ცხოვრებისა და შემოქმედებითი ინდივიდუალობის სამყაროში, არკვევს და აშკარავებს მრავალ ახალ ფაქტს, დოკუმენტური სიზუსტით, მაგრამ მხატვრული წიაღსვლებით აცოცხლებს

* აკაკი თოფურია, ლეო ქიაჩელის ცხოვრება და შემოქმედება, თბილისი, სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1977.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენს წინაშე ქიაჩელს, როგორც მოზარდს და მოსწავლეს, რევოლუციონერს და ემიგრანტს, ადამიანს და მოქალაქეს, მწერალს და საზოგადო მოღვაწეს. და წიგნის ფურცლებზე ავტორთან ერთად მკითხველი გატაცებით ადევნებს თვალს იმ ვრცელ და დიდ გზას, რომელიც განვლო მწერალმა თავისი მშობლიური კუთხიდან მოსკოვის, პეტროგრადის, ჟენევის, პარიზის, ლონდონის და თბილისის ცისქვეშ ხანგრძლივი ცხოვრების პერიოდში მის უკანასკნელ ამოსუნთქვამდე, მთაწმინდის პანთეონში მის სამარადისო დამკვიდრებამდე.

ამასთან დაკავშირებით, სხვა საკითხებს შორის, ჩვენს განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს კერძოდ მწერლის ფსევდონიმის ამოხსნის ის ფართო ლიტერატურული ისტორიული რეალიები, რომლებიც წიგნის 93-101 გვერდებზეა მოცემული. აქ ავტორი ეხება რევოლუციამდელ სამეგრელოში ქიაჩელის ხატის გარშემო ხალხში გავრცელებულ ლეგენდებს, მოაქვს სათანადო საბუთები და დოკუმენტები და ლოგიკური თანმიმდევრობით დამაჯერებლად ამტკიცებს იმას, თუ რა „დიდი მნიშვნელობა ენიჭება ლეო ქიაჩელის შემოქმედებითი ბიოგრაფიის, მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის მეცნიერულ შესწავლაში“ ამ ფსევდონიმის ლიტერატურულ-ესთეტიკური საფუძვლების გარკვევას. ყველაფერი ეს წიგნის უაღრესად ორიგინალური ნაწილია და თავისთავად ფრიად საყურადღებო; სხვათა შორის აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ წიგნის 95-96-ე გვერდებზე მოთავსებულ სქოლიოში ვკითხულობთ, რომ ქიაჩის ხატი „ამჟამად ინახება ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმის ჭედური ხელოვნების № 1 გრიფით და 2769 ნომრით“.

როგორც ამ მუზეუმის მეცნიერთანამშრომელმა და სწავლულმა მდივანმა, რა თქმა უნდა, აღწერილობის მიხედვით ვიცოდი ასეთი ხატის არსებობის ფაქტი ჩვენს მუზეუმში, მაგრამ თუ მის ჭედურ გამოსახულებას, ობუჯის მონასტერში მე-17 საუკუნიდან მის მოთავსებას და ობუჯელი შენგელაიების გვართან მის კავშირს ესოდენ ვრცელი ისტორია ჰქონდა, სრულიად არ წარმოგვედგინა. უბრალოდ, არასოდეს გამხდარა იგი ჩვენი საგანგებო დაკვირვების და ფიქრის საგანი.

ან ავიღოთ მეორე მაგალითი. სობოგა ზუგდიდის რაიონის ჭიხაშკარის სასოფლო საბჭოში შემავალი ერთი პატარა უბანია. არავინ არ იცოდა მისი წარსული და რაოდენ სასიხარულო იყო ჩვენთვის, ზუგდიდის ინტელიგენციის წარმომადგენლებისათვის, გამოგვეხატა გულითადი მადლობის გრძნობა მწერლისა და კრიტიკოსისადმი, როცა 1978 წლის 10 ივნისს აქ, ზუგდიდში, ვიხილავდით მის წიგნს ლეო ქიაჩელის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ ჯერ მარტო იმის გამო, რომ ჩვენი კუთხის ეს პატარა უბანი საქვეყნოდ ცნობილი გახდა, მეორე, იმის გამო, რომ ზედმიწევნითი სიზუსტით გაგვიხსნა და განგვიმარტა უბნის სახელწოდების — სობოგის ტოპონიმი, მესამე, იმის გამო, რომ აქ მიაგნო და მიაკვლია ქიაჩელის ძიძის ვინაობას და, ბოლოს, იმის გამო, რომ ჩვენთვის, მკითხველებისათვის, ემცნო და გაერკვია ბავშვობის დროინდელი შთაბეჭდილებების უდიდესი როლი მწერლის შემოქმედებისათვის.

წიგნში დიდი დამაჯერებლობით არის მოთხრობილი 1905 წლის რევოლუციურ მოძრაობაში ლეო ქიაჩელის აქტიური მონაწილეობის, ზუგდიდის მაზრის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციაში მისი ავანგარდული როლის, „ზუგდიდის რესპუბლიკის“ საქმის გამო მისი დაპატიმრების, ქუთაისის საგუბერნიო ციხიდან სხვა პოლიტიკურ პატიმრებთან ერთად 1907 წლის 26 სექტემბერს გაქცევის, მოსკოვში არალეგალური ცხოვრების, 1912 წლიდან ჟენევაში ემიგრანტად ყოფნის ვ. ი. ლენინთან, გ. პლეხანოვთან, ა. ლუნაჩარსკისთან ურთიერთობის, დავით სულიაშვილთან და სხვა ქართველ ემიგრანტებთან მეგობრობის, თებერვლის რევოლუციამდე რვა თვით ადრე, 1916 წლის გაზაფხულზე, თედო სახოკიასთან ერთად სამშობლოში ფარული გამომგზავრების, თბილისში ჩამოსვლის და ვერა კაკაბაძესთან — ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში სწავლის დროიდან — ერთგულ სატრფოსთან შეუღლების ეპიზოდებსა და მომენტებზე.

ცხოვრების ბიოგრაფიული შტრიხების გადმოცემის პარალელურად, დაწყებული ლიტერატურულ სარბიელზე გამოსვლის პირველი პერიოდიდან, წიგნში საფუძვლიანად არის გაშუქებული მწერლის შემოქმედებითი განვითარების ეტაპები, რომელთა შორის ყველაზე თვალსაჩინო ადგილი აქვს დათმობილი „ტარიელ გოლუას“ (იხ. დასახელებული წიგნის გვ. 121-169). აქ გადმოცემულია ნაწარმოების შექმნის ისტორია, თანამედროვეთა მოგონებები მისი სიუჟეტის ხალხური წყაროების შესახებ, დახასიათებულია მთავარი მოქმედი პირები, გარკვეულია სტრუქტურული აგებულება და ენობრივ-მხატვრული თავისებურებანი. ასევე მეტნაკლები სიღრმით და მოცულობით გარჩეულია წიგნში მწერლის ეპოქალური მნიშვნელობის ისეთი ნაწარმოებები, როგორიცაა: „სისხლი“, „ჰაკი აძბა“, „გვადი ბიგვა“, „მთისკაცი“.

აკაკი თოფურია წიგნში ნათელჰყოფს, რომ ქიაჩელის შემოქმედება რევოლუციამდელ და რევოლუციის შემდეგი დროის გარკვეულ ხანებში თავისუფალი არ იყო ანტირეალისტური ტენდენციების გავლენისაგან. მკვლევარის მტკიცებით, ადრეულ წლებში მწერალმა მეტერლინკის დუმილის ფილოსოფია გაიაზრა (ნოველები „სტეფანე“, „დავითის მადლობზე“ და სხვ). მაგრამ, მიუხედავად ასეთი გადახვევების

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენებისა, წიგნში ლეო ქიაჩელი ყველგან მოჩანს, როგორც ერთი მთლიანი შემოქმედი, „სიტყვის მეუფე“, საუკეთესო საბჭოთა მწერალი, რომელიც თანამედროვეობის არც ერთ საკითხზე არ დარჩენილა გულგრილი.

როგორც აღვნიშნეთ, ნაშრომში დიდძალი მასალაა დამოწმებული, ავტორი სწორ მიმართებას ამყარებს საკითხის ისტორიასთან, უპრეტენზიობა, სხვისი აზრებისადმი პატივისცემა მას ხელს არ უშლის იყოს პრინციპული, უკომპრომისო, როცა არასწორ დებულებებს ეკამათება. მაგალითად, ა. თოფურია არ ეთანხმება ივ. ვართაგავას გვადის სახის ტენდენციურად ცალმხრივად გაგებაში, რომანის შეფასებაში, რაც არ შეიძლება გაზიარებული არ იქნეს.

წიგნის ბოლო თავი — „შემოქმედებითი თავისებურებების ზოგიერთი მხარე“ მიზნად ისახავს ქიაჩელის პროზის ყველაზე არსებითი მხარეების წარმოჩენას. ირკვევა მწერლისათვის დამახასიათებელი ყოფილა ერთი და იგივე საგნის, მოვლენის, სახის მრავალგვარი ასპექტით, ვარიაციებით წარმოდგენა, თვითგამეორება თემებისა და სახეებისა, რაც ქიაჩელს ხელს არ უშლიდა შეენარჩუნებინა ინდივიდუალობა. ეს მის მყარ ლიტერატურულ ინტერესებსა და ღრმა ანალიზის უნარზე მიგვანიშნებს. ამის მაგალითად წიგნში ნაჩვენებია ნამდვილად არსებული მუნჯი ძიკის სიმბოლისტურ-დეკადენტურ[illegible]ხის პროტოტიპად გააზრება ნოველა „[illegible]ში“ 1910 წელს, ხოლო 3-4 წლის შემდეგ იმავე ძიკის წარმოდგენა ბაჩუას სახით, დიდი საზოგადოებრივი იდეალების მატარებელ გმირად; ასეთი და სხვა მსგავსი მაგალითების საფუძველზე ასკვნის წიგნის ავტორი, რომ „ლეო ქიაჩელის შემოქმედებით სამყაროში მხატვრული სახეების თანდათანობით, ევოლუციურ განვითარებასთან გვაქვს საქმე (გვ. 226).

წიგნს დართული აქვს ქიაჩელის თხზულებების მოკლე ბიბლიოგრაფია, ქიაჩელის შესახებ არსებული ლიტერატურის სია და საკუთარ სახელთა საძიებელი.

აკაკი თოფურიას წიგნი „ლეო ქიაჩელის ცხოვრება და შემოქმედება“ საბოლოოდ გვარწმუნებს, რომ ჩვენს სასიქადულო მწერალს მართლაც ჰქონია „საიდუმლოებით მოცული, ბიოგრაფია“, რომლის ბევრი ასპექტი შესანიშნავად ცხადჰყო და გამოააშკარავა ნიჭიერი მკვლევარის მადლიანმა კალამმა. მან მრავალი რამ „ფრიად საყურადღებო, საჭირო და საგულისხმო“ ნათლად და მკაფიოდ გაგვიცნობიერა, რითაც, მკითხველი საზოგადოების კმაყოფილება დაიმსახურა.

ᲚᲣᲐᲠᲐ ᲮᲝᲠᲓᲘᲐ

# ᲘᲚᲘᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲐᲜᲝᲑᲐ

1886 წელი... კახეთი... ალაზნის გაღმა მხრის ერთ სოფელში, ენისელში, გარდაიცვალა მდიდარი მემამულე. ნათესავებმა გადაწყვიტეს მიცვალებული დაემარხათ ენისელის მთავარანგელოზის ეკლესიაში... მაგრამ მთელი სოფლის გლეხობა წინ აღუდგა ამ გადაწყვეტილებას. საქმე ის იყო, რომ ეკლესია დაინგრა ჯერ ისევ ადრე, სპარსელების შემოსევის დროს, გლეხებმა იგი აღადგინეს თავისი ხარჯით და ამ აღდგენის დროს ამ მემამულემ კაპიკიც არ გაიღო. ესეც არ იყოს, მემამულემ გლეხებს იმ ხე-ტყის საფასურიც კი გადაახდევინა, რომელიც ეკლესიის აღდგენას მოუნდა და რომელიც ამ მემამულის ტყეში მოსჭრეს; საერთოდ, ამ კაცმა თავისი ბოროტებით მთელ სოფელს ჰირავით შეაძულა თავი და აი, ახლა გლეხებმა მისი დამარხვა ეკლესიაში ტაძრის შეურაცხყოფად და მკრეხელობად მიიჩნიეს; ბოქაულმა ჯანდიერმა გლეხების ეს პროტესტი მთავრობის საწინააღმდეგო აჯანყებად გამოაცხადა, აჯანყების ჩასაქრობად ჯარი გამოიძახა, ოცდაათი უდანაშაულო კაცი დააპატიმრეს და სასამართლოს გადასცეს.

და აი, აქ საქმეში ჩაერია უსამართლობის პირველი მოწინააღმდეგე, დაჩაგრულთა დიდი მცველი და ქომაგი — ილია ჭავჭავაძე. მისმა გაზეთმა „ივერიამ“ ასტეხა განგაში და აიძულა სასამართლო ოცდაათი უდანაშაულო კაცი გამოეშვა ციხიდან, ხოლო ბოქაული ჯანდიერი დაეთხოვა სამსახურიდან. სხვა დამნაშავეები კი სასჯელს გადაურჩნენ. „ეს ის დამნაშავეები არიან, — წერდა ილია „ივერიის“ ფურცლებზე, — ვისთვისაც ბედს მეტი ცოდნა და ძალა ურგუნებია და ესენი კი, იმის მაგიერ, რომ უმეცართ კანონიერი გზა უჩვენონ და მფარველობა გაუწიონ, პირიქით, ხალხს სჩაგრავენ, აწუხებენ და განსაცდელში შეჰყავთ“.

ეს მხოლოდ ერთი მჭევრმეტყველი ფაქტია, თუ როგორ იბრძოდა დიდი ილია სამართლიანობის დასაცავად. ეს ფაქტი ჩვენ მოვიყვანეთ ვახტანგ ქვანიას ახალი წიგნიდან „სამართლიანობის და სოციალ-ეკონომიური ცხოვრების პრობლემები ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში“. ესაა საფუძვლიანი გამოკვლევა, რომელიც ახლახან რუსულ ენაზე გამოსცა გამომცემლობა „მეცნიერებამ“ და რომელშიც ავტორი აანა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიზებს უზარმაზარ ფაქტიურ მასალას ჩვენი წარსულიდან, და ილიას მოღვაწეობის ამ მხარეს — სამართლიანობისათვის ბრძოლას, ნათელ შუქსა ჰფენს. აქ განხილულია ილიას არა მარტო პრაქტიკული მოღვაწეობა ამ სფეროში, არამედ, იმავე დროს, ნაჩვენებია ილია, როგორც თეორეტიკოსი სამართლის სფეროში. ავტორს განუხილავს, კერძოდ, მისი ნაშრომი — „ცხოვრება და კანონი“, რომელიც ერთი უშესანიშნავესი ძეგლია ქართული აზროვნების ისტორიაში.

რუსულ ენაზე ძალზე იშვიათად იბეჭდება გამოკვლევები ილია ჭავჭავაძის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე. ეს, უდავოდ, დიდი ხარვეზია. ილიას თეორიულ მემკვიდრეობას, როგორც ქართული ეროვნული კულტურის ერთ-ერთ დიდ მოვლენას, სათანადო ადგილი უნდა დაეთმოს მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფოს ხალხთა კულტურის საგანძურში, და საერთოდ, მოწინავე კაცობრიობის აზროვნების ისტორიაში.

ავტორი ზემოხსენებული წიგნისა — ვ. ქვანია ქართველი მკითხველისათვის ცნობილია მთელი რიგი ორიგინალური გამოკვლევებით და პუბლიცისტური წერილებით.

მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის დიდი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის, ამ პერიოდის ქართული საზოგადოებრივი აზროვნების კანონმდებლის — ილია ჭავჭავაძის მრავალფეროვანი მხატვრული და პუბლიცისტური შემოქმედება, მასში დასმული იმდროინდელი საქართველოს ცხოვრების მრავალმხრივი საკითხები, ის ამოუწურავი მასალაა, სადაც დაკვირვებული მკვლევარი კვლავ ბევრ ახალ მხარეს შეამჩნევს და ახალი კუთხით დაინახავს; განსაკუთრებით ნაკლებადაა შესწავლილი ილია ჭავჭავაძის სამართლებრივი შეხედულებანი, მის შემოქმედებაში დასმული სამართლიანობის და სოციალ-ეკონომიური ცხოვრების პრობლემები, რაც უდაოდ მოითხოვს ჩვენი დღევანდელობის თვალით დანახვას, ღრმად შესწავლას და შესაფერის ანალიზს.

ვ. ქვანიას წიგნის პირველ თავში გაანალიზებულია ილია ჭავჭავაძის ნააზრევის ის ძირითადი საფუძვლები, რომლებიც განსაზღვრავენ სამართლიანობის პრობლემასთან მის დამოკიდებულებას, იმ საკითხს, თუ როგორ ესმოდა ილიას სამართლიანი საზოგადოებრივი ურთიერთობა ეკონომიურ, პოლიტიკურ და სახელმწიფო-სამართლებრივ ცხოვრებაში.

ილიას შემოქმედების და პრაქტიკული მოღვაწეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ეძღვნება მის დამოკიდებულებას ბატონყმური ურთიერთობიდან განთავისუფლებული ქართველი გლეხის არსებობისათვის აუცილებელი მიწით უზრუნველყოფის საკითხს. დიდი მწერალი აუცილებლად მიიჩნევდა, რომ ბატონყმური ურთიერთობიდან განთავისუფლებულ გლეხ[illegible]ნოდა უსასყიდლოდ ის მიწის ნაკვეთი, რასაც ამუშავებდა იგი და მისი წინაპრები. რეფორმის გატარებამდე დიდმა ილიამ ეს საკითხი თავისი და მეუღლის მამულებში უმტკივნეულოდ გადაჭრა, მაგრამ ქვეყნის სინამდვილეში ეს საკითხი დარჩა დაუძლეველ პრობლემად და ილიას ბრძოლა ამ საკითხზე მისი სიცოცხლის უკანასკნელ დრომდე გრძელდებოდა. ვ. ქვანიას შრომაში ამ საკითხისადმი მიძღვნილი მასალები მეტად დამაჯერებლადაა გაანალიზებული. ამავე დროს, მასალა ფართოდაა წარმოდგენილი, რის მიხედვითაც გარკვევით ჩანს, თუ რა დამოკიდებულებას იჩენდა იგი მაშინდელ კანონმდებლობასთან, რომელიც ბატონყმური ურთიერთობიდან განთავისუფლებული გლეხობის ეკონომიურ უზრუნველყოფას ეხებოდა.

ნაშრომში ვრცლადაა წარმოდგენილი მასალები საქართველოში კაპიტალიზმის განვითარებასთან დაკავშირებით, გარკვეულია თუ როგორ აფასებს ილია ჭავჭავაძე ამ ახალ სოციალურ მოვლენას, რომელიც ფეოდალურ საზოგადოებრივ ვითარებასთან შედარებით, პროგრესულ მოვლენას წარმოადგენდა, მაგრამ მისი თანმხლები პირობები ძალზე მძიმე მდგომარეობას უქმნიდა მშრომელ მოსახლეობას და განსაკუთრებით ბატონყმური ურთიერთობიდან განთავისუფლებულ გლეხობას. ილია სულ იმის ცდაში იყო გამოენახა ისეთი საშუალებები, რომლებიც მცირედ მაინც შეამსუბუქებდნენ ხალხის ხვედრს და თვალს აუხელდნენ მშრომელებს იმ დიდ უსამართლობაზე, რომელიც კაპიტალიზმის შემოჭრით იყო გამოწვეული.

მრავალი ათეული წლის განმავლობაში ილიას თავდადებული ბრძოლა მიმართული იყო იქითკენ, რომ სასარგებლო მიწების ძირითადი მასა მშრომელი კაცის ხელში ყოფილიყო თავმოყრილი და რაციონალურად გამოყენებული და არა ფულის მქონე ჩარჩების ხელში მოქცეულიყო; მისი პრაქტიკული მოღვაწეობა სადგილმამულო ბანკში, მთელი რიგი ღონისძიებებისა და წინადადებებისა უმაღლეს საკანონმდებლო ადგილობრივ და მთავრობის სხვა ორგანოებში, — ამის ნათელ დადასტურებას წარმოადგენდა.

შრომაში სპეციალურადაა განხილული ჰუმანიზმის, როგორც უმაღლესი სამართლიანობის პრინციპის საკითხი. აქ ავტორი ხაზგასმით ვრცლად ჩერდება საკითხზე სიკვდილით დასჯის კანონმდებლობასთან ილიას დამოკიდებულების შესახებ. ავტორი საკითხს იხილავს დიდი სიფრთხილით და ფაქტების მრავალმხრივი შეჯერებით ძალზე საინტერესო დასკვნებს გვთავაზობს.

ნაშრომში საინტერესო მასალაა მოცემული ქალთა ემანსიპაციის და ქორწინების გარეშე გაჩენილი ბავშვების უფლებრივ მდგომარეო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის საკითხებზე და ილია აქაც უაღრესად პროგრესულ თვალსაზრისს იცავს.

და, ბოლოს, ნაშრომის უკანასკნელი თავი ეძღვნება ილიას დამოკიდებულებას თვითმმართველობასა და სამართლიან მართლმსაჯულების საკითხებთან. ილია დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ადგილობრივი თვითმმართველობის სწორად ორგანიზაციის საკითხს, რომლის მუშაობაში მონაწილეობა უნდა მიეღო ადგილობრივი ადათწესების კარგად მცოდნე ხალხს. იგი ასევე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მომრიგებელი მოსამართლის ინსტიტუტის სწორი ორგანიზაციის საკითხს და არა ერთი ორიგინალური და მნიშვნელოვანი აზრი აქვს გამოთქმული მსაჯულსა და მართლმსაჯულების როლის შესახებ, დანაშაულის სოციალური ბუნებისა და მისი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

ნაშრომში წარმოდგენილია დიდი რაოდენობის მასალა, საიდანაც ჩანს თუ რა მნიშვნელობას ანიჭებს ილია საზოგადოების განვითარების ეკონომიურ კანონებს; ამ კანონებს იგი მიიჩნევს ქვეყნის წინსვლის საფუძვლად.

ვ. ქვანიას ნაშრომი ხანგრძლივი, ნაყოფიერი კვლევა-ძიებისა და შრომის შედეგია, ავტორს შეუსწავლია და გაუანალიზებია მწერლისა და მოაზროვნის არა მარტო მდიდარი ლიტერატურულ-პუბლიცისტური მემკვიდრეობა, არამედ, ასევე გასცნობია, შეუსწავლია და შესაფერისად გაუთვალისწინებია საკითხების ფართო წრესთან დაკავშირებული სამეცნიერო ლიტერატურა. ავტორს გულდასმით შეუსწავლია აგრეთვე არქივებსა და წიგნთსაცავებში დაცული საარქივო მასალები, მკითხველთა სამსჯავროზე გამოუტანია უცნობი თუ მივიწყებული არა ერთი საინტერესო ფაქტი.

ვახტანგ ქვანიას მონოგრაფიული ნაშრომი ყურადღებას იპყრობს კვლევის სიღრმით, წარმოდგენილი მასალის სიუხვით, საკითხების მრავალმხრიობით, მეცნიერული კეთილსინდისიერებითა და სწორი მეთოდოლოგიით.

შალვა გოზალიშვილი

# რომანი ბრძენ დივნოსზე

ქეთევან ნუცუბიძის ისტორიულ რომანს — „ქართლის მძევალს“ შორეულ საუკუნეების სიღრმეში გადავყავართ. ეს რომანი მოგვითხრობს ერთი ქართველი კაცის ცხოვრებაზე, რომლის თავდაპირველი სახელი იყო მურვანი, იგი ცხოვრობდა V საუკუნეში, იყო ძე საქართველოს მეფის — ბუზმარისა და შვილიშვილი დიდი ბაკურისა. ახლა, XX საუკუნეში ამ კაცს იცნობს მთელი განათლებული კაცობრიობა პეტრე იბერის სახელით, რომელმაც იმ ბნელ საუკუნეში იქადაგა ჰუმანიზმის წმინდა მცნებანი; პეტრე, იგივე მურვანი იყო წამებული შუშანიკისა და მისი ცხოვრების მემატიანის — იაკობ ცურტაველის თანამედროვე. როგორც ჩანს, დაახლოებით ერთ დროს მოუხდათ ასპარეზზე გამოსვლა პირველ ქართველ პროზაიკოსსა და პირველ ქართველ ფილოსოფოსს. იმდროინდელი წინა აზიის გამწვავებულ პოლიტიკურ ვითარებაში, როცა ბიზანტიის იმპერია ცდილობდა დაემორჩილებინა და თავის გავლენის ქვეშ მოექცია მეზობელი ქვეყნები და მათ შორის, საქართველოც, ქართლის მეფე ბუზმარი იძულებული იყო მძევლად მიეცა ბიზანტიის იმპერატორის თეოდოსი მცირესათვის თავისი ერთადერთი ძე — პატარა მურვანი, არაჩვეულებრივად ნიჭიერი ბავშვი, შორეულ მომავალში მსოფლიო სახელის მქონე გენიალური ფილოსოფოსი.

რომანში ამბის თხრობა იწყება იმ დღის აღწერიდან, როცა საქართველოდან წასული გემი, რომელსაც მძევალი — ჯერ ისევ ყრმა მურვანი და მისი თანმხლებნი მიჰყავს, აგერ საცაა უნდა მიუახლოვდეს კონსტანტინეპოლს. აი ეს ადგილიც:

„ბოსფორსა და ოქროს რქას შორის კონსტანტინეს ქალაქიც კარგად გამოჩნდა. მაგრამ თოთხმეტი წლის მურვანისათვის შეუმჩნეველი რჩებოდა მანიაკივით მოფენილი თეთრი ეკვდერები და უზარმაზარი გუმბათებიანი ტაძრები. იგი ისევ და ისევ იგონებდა როგორ იძირებოდნენ ზღვაში პატარა-პატარა ქედები, მათ მიჰყვებოდნენ კავკასიონის კალთებიც, მწვერვალებიც და მურვანი მათთან ერთად ინთქებოდა შეუცნობელში. ცა გაუხწეველ ბურუსში გახვეულიყო, თვალთახედვა საყრდენ წერტილს ველარ პოულობდა და მისი ფიქრები გარბოდნენ მზის სხივის ბილიკზე, რომლის საწყისი მამულში იყო, დასასრული კი — ბიზანტიაში.

— კარგს არას უნდა მოასწავებდეს მძევლობა, ესოდენ რომ დაალონა დედ-მამა, სასახლე, მთელი ქვეყანა, — ფიქრობდა იგი, — შესაძლოა დაჰკარგოს ტახტი, რომლის თანამდებიც იყო, ველარც სამშობლოში დაბრუნდეს, ველარავინ იხილოს...

და მურვანმა ისევ წაართვა თავი მოგონე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბებს, ზურგი შეაქცია ზღვას და თავის დიდებულ ამალას მიუბრუნდა. ყმაწვილის ფართოდ დალებული თვალები თითქოს სიზმრიდან იცქირებოდნენ“...

ასეთია პირველი სტრიქონები ამ ნაწარმოებისა. აქ არის ნამდვილად ის, რასაც მხატვრის ხილვა ჰქვია... ზღვაში და შეუცნობელში რომ იძირებიან კავკასიონის ქედები, ფიქრები რომ გასდევენ გამოვლილ გზას, მზის სხივის ბილიკს, საქართველოში რომ იწყება და ბიზანტიაში თავდება...

მურვანს სიყრმის წლებიდან შერჩენია მტანჯველი ფიქრი წუთისოფლის სიმუხთლესა და მოუწესრიგებლობაზე, შემდგომში, უკვე განსწავლულობის წლებში მას აწუხებს და აფორიაქებს წყეული კითხვა — „თუ ღმერთი სიკეთის წყაროა, მაშ საიდანღაა ქვეყნად ბოროტება“; მან იცის, რომ სილამაზე ამ ქვეყნად მხოლოდ და მხოლოდ სიკეთის ემანაცია შეიძლება იყოს. „სილამაზე და სიკეთე ერთი და იგივეა, — წერდა იგი, — ვინაიდან არ არის არაფერი, რაც ერთნაირად არ განეკუთვნებოდეს სილამაზესაც და სიკეთესაც“. აი კიდევ ერთი საინტერესო შტრიხი პეტრე-მურვანის ბიოგრაფიიდან, რომელიც მოტანილია ამ რომანში: მურვანი არა მარტო დიდ გონებრივ, არამედ ფიზიკურ და სამხედრო წვრთნასაც გადის; ის მარჯვე და შეუდარებელი მხედარი და მიზანში მსროლელია, კვლავ მეცადინეობს ისრის სროლაში და იცით რატომ? არა იმიტომ, რომ მიზანში მოახვედროს, არამედ იმიტომ, რომ აუცილებლად აალდინოს ირემს ისარი, თორემ ხომ შეიძლება მონადირემ, გამოუცდელობით, პირდაპირ გულში დაჰკრას განწირულ მსხვერპლს.

პეტრემ კარგად იცის, რომ უმცირესი შეიცავს ჩანასახს უდიდესისას, იგი ცვარის წვეთში მზეს ხედავს და მის ფერთა ელვარებას აკვირდება. როგორც ანტიკური ეპოქის კულტურის შესანიშნავი მკვლევარი ა. ფ. ლოსევი აღნიშნავს, დიალექტიკური იდეის (თეზისი „ღვთის არსებობაზე მის არარსებობაში“, მოძღვრება ყოფიერების სხვადასხვა საფეხურებზე) საწყისებმა და აგრეთვე პანთეისტურმა ტენდენციებმა, რომელიც უაღრესად ნათლად არის გამოხატული არეოპაგიტულ წიგნებში, განაპირობეს ამ წიგნების გავლენა აღორძინების ეპოქის მოწინავე მოაზროვნეებზე. არეოპაგიტულ წიგნებს (ოთხი ფილოსოფიური ტრაქტატი და ათი ეპისტოლე) ეხმაურებოდნენ და მათზე წერდნენ თომა აქვინელი, ნიკოლოზ კუზანელი, ლორენცო ველა, ერაზმ როტერდამელი, ჯორდანო ბრუნო, პიერ ბეილი და კიდევ ვინ მოსთვლის (თუმცა ასეთი პოპულარობის მიუხედავად, არეოპაგიტული წიგნების ავტორის ვინაობა დანამდვილებით არავინ იცოდა. საუკუნეთა ეს საიდუმლოება მხოლოდ ჩვენს დროში, ერთი-მეორისაგან დამოუკიდებლად გახსნეს გამოჩენილმა ქართველმა მეცნიერმა აკად. შალვა ნუცუბიძემ და ბელგიელმა სწავლულმა ე. ჰონიგმანმა. შ. ნუცუბიძემ მოგვცა აგრეთვე პეტრე იბერის მთელი იდეური მემკვიდრეობის ამომწურავი შეფასება. იხ. შ. ნუცუბიძე, შრომები, ტ. V, პეტრე იბერი და ანტიკური ფილოსოფიური მემკვიდრეობა, თბილისი, 1975 წ.).

არეოპაგიტულმა წიგნებმა გაუკაფეს გზა მსოფლიო რენესანსის პირველ დამფუძნებლებს, ჯერ რუსთაველსა და მერე დანტე ალიგიერს. პეტრე იბერს (ფსევდო-დიონისეს) მოიხსენიებენ, როგორც ბრძენს ჩახრუხაძეც და რუსთაველიც, ხოლო დანტე პირდაპირ უთითებს მასზე და უწოდებს „შუქს მოელვარეს, ვინცა ბუნება ანგელოსთა ზესთაზენური ყველაზე უკეთ შეისწავლა და განგვიმარტა“ (დანტე, ღვთაებრივი კომედია, სამოთხე, თარგმანი კონსტანტინე გამსახურდიასი). პეტრე იბერმა თავის მოძღვრებით იმის თაობაზე, რომ ადამიანს შეუძლია „მისწვდეს ღვთაებრივ საწყისებს“, ანუ დღევანდელი სიტყვებით რომ ვთქვათ, მისწვდეს სიკეთისა და სილამაზის ზოგად-საკაცობრიო იდეალებს, ამ მოძღვრებამ ღმერთამდე აამაღლა ადამიანი, საფუძველი მოუმზადა და გზა გაუკაფა მსოფლიო რენესანსის ჰუმანისტურ მსოფლშეგრძნებას. პეტრეს არეოპაგიტული წიგნების ამ დედააზრმა მისცა სტიმული ჯერ რუსთაველს და მერე დანტეს დაემსხვრიათ ქრისტიანული რწმენის დოგმატურ-ტოტალური ფორმა, შეენარჩუნებინა მისი ეთიკური შინაარსი და ამ გზით დაემკვიდრებინათ რენესანსის ჰუმანისტური მსოფლშეგრძნება.

მაგრამ დავუბრუნდეთ ისევ ქეთევან ნუცუბიძის რომანს. როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, წიგნი იწყება მურვანისა და მისი თანმხლებ პირთა (ისინი სულ სამნი არიან) ჩასვლით ბიზანტიაში. ამიერიდან ქართველი უფლისწული კონსტანტინეპოლში, სამეფო კარზე იზრდება; იგი იჩენს განსაკუთრებულ ნიჭიერებას საფილოსოფიო ძალითა და ენების საოცარი ცოდნით. თითქოს გარკვეულია მისი მომავალი მოღვაწეობის ასპარეზი, მან ფილოსოფიას უნდა შესწიროს თავი, მაგრამ მიუხედავად ყოველივე ამისა, კეისარის ერთი შემთხვევითი ახირებითა და მოწადინებით ინიშნება საიმპერატორო ჯარების სარდლად.

ბიზანტიის იმპერია ამ დროს მონოფიზიტებისა და დიოფიზიტების რელიგიური ბრძოლების სარბიელად არის ქცეული; ყოველივე ეს დიდი პოლიტიკური ბრძოლების საფარი იყო. და აი, როდესაც კონსტანტინეპოლის პატრიარქი ხდება ნესტორიოსი, ეს ბრძოლა განსაკუთრებით მძაფრდება, ნესტორიოსი, უპირისპირ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დება იმდროის ალექსანდრიის დიდად სახელგანთქმულ პატრიარქს — კირილეს, რომელიც განუხრელად იცავს თავის დოგმატურ პრინციპებს.

მურვანი ყოველივე ამისაგან განზე დგას, მიუხედავად იმისა, რომ სადღაც თანაუგრძნობს კიდეც ნესტორიოსს; სწორედ ამ დროს ეცნობა იგი კონსტანტინეპოლში მოწვეულ ათენის უდიდეს ფილოსოფოსს, წარმართ პროკლეს. მაგრამ მის შეხედულებებშიაც ხედავს რაღაც მონათესავეს და სწორედ აქ, ამ დროს ეყრება საფუძველი მის მსოფლმხედველობას — „თეოიზსს", მოძღვრებას ადამიანის გაღმერთებისა.

ახალგაზრდა მურვანი ყველას ყურადღების ცენტრშია და შემკული გარეგნული სილამაზით, აღჭურვილი ზნეობრივი და გონებრივი ღირსებებით, ახალგაზრდა სარდალი, განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს მასზე მზრუნველი ავგუსტებისა — დედოფალ ევდოქსიასი და პულქერიასი. მათ ორივეს შეუყვარდებათ: ერთს, როგორც პოეტსა და მწიგნობარს, — ღვთაებრივი წმინდა სიყვარულით, მეორეს კი მიწიერი, ვნებით ანთებული სიყვარულით.

მთელი ეს პოლიტიკური და სასიყვარულო ინტრიგები ჰქმნის ისეთ დამძაფრებულ ვითარებას, რომ სამივე ქართველი გადასწყვეტს დასტოვონ კონსტანტინეპოლი და თავი შეაფარონ პალესტინას, მაგრამ, სადაც არ უნდა იყვნენ ისინი, საქართველოსთან კავშირს არ სწყვეტენ; მათ სისტემატური მიწერ-მოწერა აქვთ, როგორც მშობლებთან, ისე მეფე არჩილთან და იაკობ ცურტაველთან.

პალესტინაში სამივე აღიკვეცებიან ბერებად: მურვანი ამიერიდან იწოდებოდა პეტრედ (შემდეგში სახელგანთქმულ პეტრე იბერი), მითრიდატე — იოანედ (შემდეგში ცნობილი ფილოსოფოსი იოანე ლაზი) და ბურგაკასი — ზაქარიად (პეტრეს მომავალი ბიოგრაფოსი).

იმ დროს სირია დიდ კულტურულ ცენტრს წარმოადგენს. პეტრე აქ სულ მალე გაითქვამს სახელს, მის ირგვლივ თავს იყრიან ყველა მიმართულების ახალგაზრდები, როგორც დიოფიზიტები, ისე მონოფიზიტები. მისი პოზიცია შემარიგებლურია, ნეიტრალურია, ყველას ესახელება მასში თავის მომხრე დაინახოს; იგი, ამავე დროს, მაინც ერეტიკულია, თუმცა მას „მეორე პავლეს", „მეორე მოსეს" ეძახიან, მაინც ერეტიკოსებთან ერთად სდევნიან.

კონსტანტინეპოლს კარზე ამ დროს მთელი არეულობა იწყება: შერისხავენ დედოფალ ევდოქსიას, მას ბრალად ედება სიახლოვე პავლინთან, თეოდოსის ერთგულ მეგობართან. განდევნილი დედოფალი მიდის იერუსალიმში, სადაც აღარ ცდილობს პეტრესთან დაახლოებას. ის დიდ შინაგან სულიერ ჭმუნვასა და შეშფოთებას განიცდის: ტახტზე ასვლისას ფორმალურად გაქრისტიანებული, [illegible] არსებით წარმართად რჩება.

ამას გარდა, ავგუსტა პულქერიაც ჩამოაშორეს სახელმწიფო მმართველობას, და მარტოდ დარჩენილი თეოდოსი, მიუჩვეველი დამოუკიდებელ მოქმედებას, შესაფერ წინააღმდეგობას ველარ უწევს ჰუნების შემოსევას და ატილას მოხარკე ხდება. ყველაფერში დაეჭვებული, ყველაფერში ხელმოცარული კეისარი სრულიად შემთხვევით კვდება ნადირობის დროს.

ავგუსტა პულქერია, ტახტის ერთადერთი მემკვიდრე, როგორც მოქნილი დიპლომატი ხელში ჩაიგდებს ძალაუფლებას, ფორმალურად დაქორწინდება მარკიანეზე, მაგრამ სრულიად მოულოდნელად გარდაიცვლება. კეისარი ევდოქსიას სთხოვს ტახტზე დაბრუნებას, მაგრამ იგი ისეა გატაცებული ქრისტეს მოძღვრებით, ისე ილწვის იერუსალიმის აღდგენისა და გამშვენიერებისათვის, რომ ტახტზე უარს ამბობს.

ევდოქსიას მოღვაწეობა იპყრობს პეტრეს ყურადღებასაც, მაგრამ დედოფალს ამ დროს თავს დაატყდება დიდი უბედურება — მოდის ცნობა ვალენტინიან მესამის, მისი სიძის მოკვლისა და ერთადერთი ქალიშვილისა და შვილიშვილების დატყვევებისა ბარბაროსების მიერ.

უაღრესად სასტიკი კაცია ვანდალი გეიზერიხი, იგი შურს იძიებს რომზე ყველა მიყენებული უბედურებისათვის და ახლა უკვე ბარბაროსი კარნახობს თუ ვინ უნდა დაინიშნოს იმპერატორად, იგი არავითარ თხოვნას ტყვეების განთავისუფლების თაობაზე ყურადღებას არ აქცევს.

ეს სულიერი ტანჯვა დაავძლურებს დედოფალს და იგი აღესრულება კიდეც.

პეტრე და ზაქარია კიდევ უფრო შორს განმარტოვდებიან მთებში, იცავენ თავს დევნისაგან, მაგრამ გაივლის ეს დევნის დროც და პეტრე მაინც არ უბრუნდება საზოგადო მოღვაწეობას, იგი გაურბის პატივსა და ზედმეტ დიდებას, სახელმწიფო საქმეებში მონაწილეობას, უარს ამბობს ეპისკოპოსობაზე, არ ღებულობს საპატიო წინადადებას კეისარ ზენონისა, რომელიც მას იწვევს თავისთან და სთავაზობს დიდად საპატიო საქმის გაძღოლას — „ჰენოტიკონის" განხორციელებაში დახმარებას, რაც ნიშნავდა ორივე ქრისტოლოგიური მიმდინარეობის შერიგებას. უკვე ხანდაზმული, დასნეულებული, სიკვდილის კართან მიახლოებული პეტრე მაინც ეხმაურება ხალხის იმ დიდ და შფოთიან ამხედრებას, რომელსაც ქალკედონის გადაწყვეტილება იწვევს და შთააგონებს თავის მიმდევრებს: „ქალკედონის დადგენილება იმას არ ნიშნავს რომ ჩვენ მართალნი არა ვართ... ის რაც წითელი არ არის, უსათუოდ თეთრი არ იქნება"...

როგორც ეს სჩვეოდათ იმ ეპოქის ქრისტო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოგებს, პეტრემ საიდუმლოების ბურუსში გახვია თავისი შრომები, რომლებზედაც შემდეგში აიგო მთელი შუა საუკუნეების ფილოსოფია.

მკითხველის თვალწინ იშლება ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების მთელი იმდროინდელი ვითარება.

პეტრე იბერს აღარ ეღირსა სამშობლოში დაბრუნება. წიგნი თავდება მისი სიცოცხლის უკანასკნელი დღეების აღწერით. ერთი რამ უნდა აღვნიშნოთ მკითხველის საყურადღებოდ: ქეთევან ნუცუბიძის „ქართლის მძევალი“ არ არის მეცნიერული გამოკვლევა, ეს — მხატვრული ნაწარმოებია, სადაც ბევრი რამ მწერლის ფანტაზიის ნაყოფია, და მაშასადამე, მას არ უნდა მოვთხოვოთ ზუსტად გაჰყვეს ისტორიულ ფაქტებს, ოღონდ უნდა დაიცვას ისტორიის სიმართლე.

და მაინც, წიგნის ავტორი ცდილობს, რამდენადაც კი ეს შესაძლებელია, მიჰყვეს ისტორიის სინამდვილეს. პეტრე იბერის ფილოსოფიური მოძღვრების დედააზრიც კარგად არის გადმოცემული, რომანის ქარგაც შესრულებულია რეალისტური ფერებითა და სახეებით. მკითხველი ამ ნაწარმოებს ღრმა ინტერესით წაიკითხავს.

გიორგი ნატროშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფასი 80 კაპ.

ИНДЕКС
76128

# „МНАТОБИ"

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ